

14
969/2




საქართველო



1969



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ



მნათობი

ქვეყნული ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-კოლტიკური შუროლი

წელიწადი 45-ე

№ 4

აპრილი, 1969 წ.

საქართველოს საბოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

თენგიზ გომოლაძე — ვაჟა-ფშაველას ბული რკინისა, მომხრობა.	3
ნელი გაბრიჩიძე — ლექსები	51
ლია სტურუა — ლექსები	53
ვანო ურჯუნიანი — ფრიდმანობა, რომანი, გაგრძელება	54
ეზრა კვიციანი — ლექსები	89
გიორგი კახაძე — ლექსები	91
დიდარ ივარჯიშა — ლექსები	93
გიორგი ვიგარსი — ლექსები	96

100 ვ. ი. ლენინი 100

✚ სარგო ბარბიძე — ვ. ი. ლენინი ომისა და აკრის შესახებ	98
✚ მოსტაფაძე იმედალი — ლენინი „მოსკოვის უწყებანისა“ და „ნოვო ვი- შიას“ რედაქტორთა მოღვაწეობის თაობაზე	106

კრიტიკა და კულტურისტიკა

ფილიპ ბერიძე — ხიბლი „ფრიდმანი მუშისა“	110
ირმა ჩხეიძე — „მთვარის მოტყუების“ თანამედროება	116
✚ მანთი ნაკვებამ — აკაკის ორი ისტორიული პოემა	127
✚ ჯიჯო ლომაშვილი — „მე, რუსთველი, ხალხობი...“	142
სირა ვიხიძე — სოლომონ ივრანოვილი	149

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

თეიმურაზ ჯანაშვილი — შუა აზრის გზაზე	154
--------------------------------------	-----

ქვე. სსრ კ. მწერლის
სახ. საბ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



რომე მებრძვლი — ერთი ფურცელი ფეოდალური საჯაროებლოს შინაგულ-
სობრივი ბრძოლის ისტორიიდან.



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ფლენტი,
ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენ-
გელაია, ვ. წულუკიძე, ო. ქილაძე, რ. ჭაფარიძე, გ. ჭიბლაძე.

ტიქრედაქტორი რ. ჩავჭავჭავაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი,
რუსთაველის პროსპექტი № 12.

გადაეცა ასაწუობად 25/11-69 წ., ხელმოწე-
რილია დასაბეჭდად 15/IV-69 წ., ქალაქის ფორ-
მატი 70x108/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურ-
ცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16, მ.
ბე 02127. ტირაჟი 11 000. შეკვ. № 629.

ბალეფონები: რედაქტორის — 93-55-11,
პ/მგ. მდივანის — 93-55-18, განყოფილებე-
ბის — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

საქ. კმ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ვაჟასს გული რძინისა

მ ო თ ხ რ ბ ა

საექიმო კომისიაზე შიშველი ბიჭები რიგრიგობით შეჰყავდათ. მეც მათ შორის ვიდექი. ვიბუზებოდი, მინდოდა დავპატარავებულიყავი, რომ ნაკლებად შესამჩნევი ვყოფილიყავი. აღმური მეკიდა, სახე მიხურდა, გული გამალებით მიცემდა. ზოგი წვევამდელი აინუნშიც არ ივდებდა სირცხვილს. იდგა ზეპრესავით, გალაჯული და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ეამაყებოდა კიდევ სიშიშვლეს, რომ ბოლოს და ბოლოს ხალხს დაენახა ისეთი, როგორიც ბუნებამ დაჰბადა, როგორსაც, მისი აზრით, უნდა ევლო და ეცხოვრა ამ ქვეყანაზე, სირცხვილი რომ არ ყოფილიყო. მაგრამ ახლა სადღა იყო სირცხვილი! რახან გააშიშვლეს, ალბათ, აღარც უნდა რცხვენოდეს. ზოგიერთი, მაინც, მეტისმეტად თავხედი მეჩვენებოდა. სხვა რომ არა, კომისიაში ქალებიც იყვნენ.

რიგი შეთხელდა. კარს მიეუახლოვდი. ოთახში შევიჭვრიტე, სადაც ექიმები ისხდნენ. შიშველ ბიჭებს ზომავდნენ, წონიდნენ, სინჯავდნენ, ჯანიანებს არჩევდნენ. ანარჩევი ერთი ჭიანი, საწყალი ბიჭი ვამოვდა. კომისიამ რომ დაიწუნა, არც უნადვლია, ტიტლიკანა ბიჭებს საცოდავად გადმოგვხედა, გავვიღიმა, ტანსაცმელი ჩაიცვა, გამოგვემწვიდობა და წავიდა.

ჩემი რიგიც დადგა. გულმა უარესაუდამიწყო ბაგაბუჯი. ასეთი გულის მქონეს დამიწუნებენ-მეთქი, ჩავაგონე ჩემ თავს.

— გვარი? — მკითხა ცისფერთავლება ქალმა.

— ლებანიძე.

— სახელი, მამის სახელი? სწრაფად!

— შოთა არჩილის-ძე, — წამოვიკნავლე და უფრო ავიღეწე.

გულზე სტეტასკოპი დამადო, ჩემი სხეულის აფორიაქებასა და ხმაურს ყური მიუგდო. წარმოიდგინეთ, ჩემი ასეთი არეულ-დარეულობა მოიწონა და თქვა, ყველაფერი რიგზეაო.

სხეებმაც გამსინჯეს. ერთმა ექიმმა მკითხა, რამე ხომ არ გაწუხებდესო. რა მეთქვა? მშინშარა ვარ და ამის გამო ჯარში ვერ გამოვდგები-მეთქი?!

არავის უკითხავს, გულადი ვარ თუ ლაჩარი, გაბედული თუ მშინშარა, გაეკაცი ბრძოლის ველზე გამოიცილებდა, მაგრამ ამისთვის ხომ მაგარი გულია საჭირო. მთელი შენი არსებობით უნდა გესმოდეს, რომ ომში მიდიხარ, სადაც სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. თვრამეტი წლის ასაკში, აბა, ვის უნდა სიკვდილი?!..

მშინშარა ვიყავი. შიში პატარაობიდანვე დამჩემდა. მეშინოდა ლამის, მეშინოდა ზედმეტი გახმაურებისა, მეშინო-

და ვინმეს შემოტყვისა და მკაცრი მასწავლებლებისაც კი.

რომელი ბავშვია გვირობაზე რომ არ ეოცნებოს და თავი ერთხელ მაინც არ წარმოედგინოს მამაცი ადამიანის ადგილზე! სიმამაცისა და გვირობისაკენ აღტოლვა ყოველ მოზარდს ახასიათებს. ასეთი ოცნებები მეც მალეღვებდნენ. მაგრამ, როცა თავს ამა თუ იმ გვირობის ადგილზე წარმოვიდგენდი, უნებურად ვკრთებოდი და თავს იმდენად უძლურად და უღონოდ ვგრძნობდი, რომ ჩემი თავი მე თვითონ მეტრალებოდა.

რასაკვირველია, ჯარში გამწვრთნიდნენ. გაუწვრთნელად მტერთან არ შემაკინებდნენ. ბზით დატენილ ფიტულებთან სხვა ჯარისკაცებთან ერთად მახტუნებდნენ, მუყაოს სამიზნოებს ტყვიით დამახვრეტებდნენ. აქ რა გულადობა უნდა გამოიჩინოს კაცმა: როცა ნამდვილი ბრძოლის სურათს წარმოვიდგენდი, გული მეკუმშებოდა და თავს პირველსავე ბრძოლაში დაღუპულად ვთვლიდი. თავის იმედი არ მქონდა. სიკვდილიც წარმოუდგენელი და შორეული იყო. მე ხომ მაშინ მეცხრამეტეში გადავდექი. ამიბიბინდა ულვაში, საშუალო სკოლა დავამთავრე და ერთი ვოვოც მომეწონა, რომლის მალულმა ტრფობამ გული ხალისითა და გამოუტენობი სევდით ამივსო. რა ხანმოკლე იყო ეს ტრფიალი! ნუთუ ასე უბედურ კაცად დავიბადე, რომ მასთან ერთი სიტყვის თქმაც არ უნდა დამცლოდა?!.. ნუთუ არ უნდა სცოდნოდა, რომ იგი მომწონდა?!

...მაგრამ ცხოვრებაში იმდენი რამ არის საინტერესო, ძნელია, ძალზე ძნელია სიკვდილზე ფიქრმა მაინც რომ დაგჯაბნოს.

კარგად მესმოდა: სამშობლო ჩემისთანებმა უნდა დაიკვან. ჰაი დედასა, მაგარი გული მომცა! ისიც კარგად მესმოდა, რომ სატრფოს ჩემისთანებმა უნდა უჩვენონ საქმენი საგვირონი. ჰაი დედასა, მაგარი მკლავი მომცა!

ვერაფრით ვერ დავძლიე შიში. ამ

გრძნობით გულდაყოლილი მივდიოდი ფრონტზე.

კომისიაზე რომ ეთქვათ, რომ ვინმე მინ ვტოვებთო, მე, რასაკვირველია, უყოყმანოდ მივუვებდი, გულადი ვარმეთქი. მაგრამ ეს ხომ მტყნარი სიცრუე იქნებოდა, ამით ხომ თავს მოვიტყუებდი. მეთქვა, ლაჩარი ვარმეთქი, ექიმთაგან ერთნი დამცინავად შემომხედდნენ. მეორენი არ დამიჯერებდნენ. ეს უფრო მეტი თავსლავის დასხმა იქნებოდა.

როცა კომისიაზე ჩემი ნერვიული სისტემა შეამოწმეს, ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა. მაგრამ ჩემი ნერვები მაშინვე მივამგვანე უხილავი, ძლიერი დენით დამუხტულ ელექტროგამბარებს. ჩემი ნერვები ხომ შიშით იყო დამუხტული, რომელიც არავის არ შეუნიშნავს.

იმ წუთებში არ ვიცოდი, სამშობლოს როგორი დამცველი გამოვიდოდა ჩემგან, რას გავაკეთებდი ფრონტზე, საით გადამისროდა ცეცხლის დიდი ტალღა.

ასეთი არეული ფიქრებით გამოვედი კომისიიდან. ახლა შინ მხოლოდ ერთ დღეს დავყოფდი და მერე შორეული გზები, წარმოუდგენელი ამბები, ცეცხლის ზღაპრული სამყარო, სიკვდილსიცოცხლის გაუგონარი ქიდილი მომელოდა.

დედა ქუჩაში დამხვდა. დედები სხვა წევვამდებებსაც დახვდნენ. ჩვენ ჰაბუეები ვიყავით, მაგრამ დედები, როგორც ბავშვებს, ისე დაგვტრიალებდნენ.

დედაჩემი შეკრთა ჩემს დანახვაზე, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. ლელავდა. ალბათ მოფერებაც უნდოდა, მაგრამ ვერ მომეფერა. ხოლო, როცა შინ მივედი და განვმართოვდი, დედა ცრემლიანი თვალებით მომაჩერდა, მერე ქვითინით ჩამიკრა გულში და გავიგონე ძლივძლივობით ნათქვამი მისი სიტყვები:

— შენ რა უნდა გააკეთო, რა, რა?!

დიღხანს ქვითინებდა. მისი ცრემლი მთუთქავდა და მზად ვიყავი მეც ავტი-

რებულიყავი, მაგრამ თავს ვიმაგრებდი, რადგან ამ დროს ვაქცალები არ ტირიან.

ვაქცალობა ხომ მარტო წლოვანებით არ განისაზღვრება. ვაქცალობა სულ სხვა რამაა, რაც ცოტა მოგვიანებით უფრო კარგად შევისისხლხორცე, უფრო კარგად გავიგე, როცა მრავალ მამაც აღამიანს შევხვდი. მე მხოლოდ მაშინ გავიგე, რანი ყოფილან ვაქცალები და რა ყოფილა ნამდვილი ვაქცალობა.

დედის წინაშე კი ვაქცად მომქონდა თავი, ცრემლს ვმალავდი და არ ვზღუქუნებდი.

ამხანავთან წასვლა მოვიმიზეზე. მიხდოდა რიყეზე ჩავსულიყავი და ჩემი სატრფოს სახლთან გამეცლო, ეგებ შებინდებისას დამენახა იგი აივანზე გადმომდგარი. სხვა დროს, როცა კი მომნატრებია და რიყის ოღრო-ჩოღროში მის სანახავად ჩამივლია, ყოველთვის მომიკრავს თვალი. სკოლაში ჩემს მომდევნო კლასში სწავლობდა. გაისად ის ამთავრებდა სასწავლებელს. ჩემი სიყვარულისა არაფერი არ იცოდა. იმდენი გამბედრობაც არ მყოფნიდა, რაიმე მეთქვა. დღევანდელ სათქმელს ხვალისთვის ვდებდი. ის ერთი სათქმელი სიტყვა გულში მიტრიალებდა და ტბილად მწვავლებდა. ეს მართლაც ტბილი და სევდიანი წვალემა იყო და ბედს ამის გამო მაინცდამაინც არ ვემდურდი. ანდა, რა მეჩქარებოდა, სიყვარულის კოკორი ის იყო იშლებოდა.

დაღამდებოდა თუ არა, იმ ზანად თბილისში გზას ვერ გაიგნებდა კაც. შუქმენიღბვას მკაცრად იცავდნენ. თბილისს მალავდნენ. ხანდახან პროექტორები თუ გადმოკავდნენ ცას; გრძელი, ნათელი ზოლები ერთმანეთში გადახიზლართებოდნენ. ქალაქი დუმდა, გაყურსული ელოდა ომის გრუხუნს.

დაღამებამდე უნდა მომესწრო რიყეზე წასვლა. ჩავივლიდი, თავს მოვიარხენიებდი სატრფოს ღიმილს დავინახავდი, ერთხელ კიდევ გავიხარებდი, მერე წავიდოდი და... ვინ რა იცის, რა მოხდებოდა.

მეორე დღეს საღამოს უკვე შინაც

აღარ გამიშვებდნენ. სხვაგან იქნებოდა ჩემი სახლ-კარი.

დედამ არ იცოდა, რომ მწვერულზე უნდა ჩავსულიყავი, არ მინებდა, იქრებმლებოდა, მევედრებოდა, არსად არ წახვიდგო, შინ იყავი, შენი ცქერით გული და თვალი მოვიძლოო. თვრამეტი წელი სულ მე შემომცქეროდა და იმ რამდენიმე წუთს კი ისე მტკივნეულად განიცდიდა. თვრამეტი წელი აღარაფერი იყო, ახლა ის რამდენიმე წუთი უფრო მეტის შემცველი, უფრო მეტად მღვლეარე იყო მისთვის.

იქნებ ავს რაიმეს უგრძობობა გული? იქნებ ამიტომაც ტირიდა? ამიტომაც არ მიშვებდა?

მე მაინც ჩემი გავიტანე, რიყისკენ გავიწიე და ამით დედაჩემს გული მოვუკალი, რომ ჩემი გული ერთი წუთით მაინც გამეხარებინა. ასეთი მეთავისენი და შეუბრალებლები ვართ ხშირად ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი აღამიანების მიმართ.

დედაჩემს საიდუმლო ვერ გავუმელავნე. იქნებ სჯობდა, რომ მეთქვა? მაგრამ იქნებ ამ ამბავს უარესად დაეწყვიტა გული მისთვის? ჩემს სიყვარულთან დაკავშირებით ათას კარგ რამეს წარმოიდგენდა, ათასს, მაგრამ ყველას განუხორციელებელს, არც ერთს საიმედოს, რადგან მე ფრონტზე მივდიოდი. ფრონტიდან კი ბევრი არ ბრუნდებდა.

წყნარი საღამო დგებოდა. წამით შევღექი მეტეხის ვიწრო ხილზე და ჩამავალ მზეს გავხედე. მისი თბილი, მაგრამ უტყვი მზერა, რატომღაც სევდიანი მეჩვენა. მკედრის მზე, ოქროსფერი, მიბნედილი, მწუხრის იისფერ ბურუსში გახვეული. რაღაც სხვანაირი მეჩვენა მზე, გულდაწყვეტილი და ჩემზე მეტად დანაღვლიანებული.

...მაგრამ რიყის ერთი ძველი სახლის აივანზე სხვა მზეს ველოდი. მისი ღიმილი კი ნამდვილად ყველაფერს მერჩინა. მეტ სითბოსა და ხალისს მოველოდი. მაშინ სწორედ ის სითბო მიხდოდა. იქნებ ომში მიმავალი აღმაფრენაში მო-

ვეყვანე! მისთვის თავსაც გაეწირავდი. ამის გაფიქრებაზე შემაყრეოლა, მაგრამ მაინც მტკიცედ ვუთხარი ჩემ თავს: შენი იმედით არიან! მაგრამ გულმა არაფერი მიპასუხა.

დღეაღმის რა მოგახსენოთ და ეს გოგონა თუ იქნებოდა ჩემი იმედით, ესეც არ ვიცოდი. ან რანაირად იქნებოდა ჩემი იმედით, როცა ისიც არ იცოდა, ჭარში მივდიოდი თუ არა. გადავწყვიტე, ფრონტიდან მომეწერა მისთვის წერილი, შორიდან გაბედულად შეთქვა გულში ნაღები; იმასაც კი შეეფიცავდი, რომ მისთვის თავს არ დავზოგავდი. ამას ვფიქრობდი მე, მშობარა, ლაყვ და ყველაფერში გაუბედავი.

მივადექი იმ სახლს, რომლის აივანზეც ხშირად დამინახავს ციციხო, მალალი, გამხდარი, კიკინებიანი ლამაზი გოგო.

აივანზე არავინ ჩანდა. გული დამწყვდა. მწვანედ შეღებილ პაწია ჭიშკარზე შავი ფირფიცარი იყო მიკრული და ვილაცას ბატიფებურით თეთრად მიეწერა: „ეზოში ავი ძაღლია“. ამის გამო იმ ეზოში ფეხი არასოდეს არ შემიდგამს. ქუჩიდან კი კარგა ჩანდა ციციხოს სახლის აივანი, მისი პაწია ოთახის კარი და ფანჯარა. ალბათ ძაღზე ბნელი ოთახი ჰქონდათ, ციციხო ხშირად აივანზე იჯდა და იქ სწავლობდა გაკვეთილებს. არ ვიცი, როგორ მამჩნევდა, საკმარისი იყო შუკაში გამოგჩენილიყავი, თავს ასწევდა და გამიღიმებდა. იქველარ ვერდებოდი და გავრბოდი გახარებული და დასაჩუქრებული.

შეეძლებდი კი მისთვის თავი გამეწირა? ჩემს ლაჩარ და მხდალ გულს ამისი გაბედული პასუხის გაცემაც კი არ შეეძლო.

ცოტა ხანს ვიდექი რიყის გამოყრუებულ შუკაში. მხოლოდ ერთმა კაცმა ჩაიარა. ჩემთვის არც შემოუხებდავს.

მერე გავშორდი იქაურობას.

ცულად მენიშნა ჭერ მკვდრის მზე, მერე ციციხოს მიმალვა. მწარე ფიქრი ფიქრს აეკინძა და მთვარეულივით გაეწიე შინისკენ.

შებინდა. ტაროსი შეიცვალა. მეტეხის ზიდზე რომ მივდიოდი, ჭარში პირველი შემხმარი ფოთლები შემოვსავლა ხეებს; ნაგავი, მტვერი და ფოთლები ერთად დაატრიალა და ზიდზე მიმავალს გიჟივით შემომეფეთა.

თითქოს განგებ ყველაფერი აირია, ყველაფერი შეიცვალა.

ხიდზე შეეჩერდი და მოაჩირს გადავეყრდნე. აღარ შეხამულშებოდა ჭარის ქროლვა, მისი გიჟური, უცაბედი და ძლიერი ოხვრა.

ხიდის ბურჯებთან და მეტეხის კლდესთან მტკვარი შხუოდა. მორევი მძლავრი და შემაზრზენი იყო. ბინდბუნდში წყალი ძაღზე მუქი ჩანდა. ეს ნავთობივით შავი მასა თითქოს ერთ ადგილზე ბრუნავდა და ღმუოდა.

ღამდებოდა, მაგრამ თბილისში არსად სინათლეს არ ანთებდნენ. პირველად როდი ვხედავდი ჩაყამებულ ქალაქს. მაგრამ იმ დღეს მეტისმეტად ნაღვლიანი მომეჩვენა.

„აქ კიდევ დადგება ისეთი დღეები!..“

„ისეთი დღეები“ მე ბევრი მახსოვს.

„ისეთი დღეები“, კარგად რომ გაგახსენდება. დღეები, რომლებსაც შენს სულში ნათელი კვალი დაუტოვებია, თავისი სინათლითა და სიხარულით სხვა დღეებს რომ არ ჰგვანებია.

იმედი მომეცა, რომ ქვეყანაზე სიყვითე დაუღვეველია.

შინ აღუღვებული მივედი. ქარი ისევ ქროდა. სინათლე ჩაეაქრეთ და ფანჯარაზე ფარდები აესხენით. დედას არ ეძინა. არ მეძინა მეც. ჩვენ ასე მღუმარედ ვისხედით და არაფერს ვამბობდით. სათქმელი კი, ვინ იცის, რამდენი გვექონდა. დედა ალბათ კვლავ იმას ფიქრობდა, მე რის გამკეთებელი ვიყავი ომში. დროდადრო ოხრავდა.

მეორე დღეს, როცა მეშვმიდობებოდა, გულში მიკრავდა და კვლავ იმას იმეორებდა: შენ რა უნდა გააკეთო, რა!

ეს სიტყვები ისე ჭიუტად ამოიჩემა, მისი გაგონება აღარც კი მინდოდა.

დედას გული შეუღონდა. მატარებლის გასვლას აღარ დაუცადა, უცებ

მომწყდა, ორივე ხელში ჩარგო პირის-
ზე და აქვეითებული ცაიქა.

ჩემი საბრალო დედა! ველარ გავეცი-
დე, ველარ ვანუგეშე. რადგან მე უკვე
სხვათა ხელში ვიყავი და უნებართვოდ
ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შემეძლო.

ორთქლმავალი უკვე ქშინავდა ჩვენი
გველონის თავში.

ირველივე სულ უცხონი იყვნენ, ჩემი-
სთანა ნორჩი ჭბაულები, ზოგი სუსტი,
ზოგი ჯანიანი, ზოგი სევდიანი და ზო-
გიც არხენი. ზოგი ისე იქცეოდა, თით-
ქოს ქორწილში მიდისო. აქეთ ერთი
გარმონს წელავდა, იქით ვიღაც ფან-
დურს აფხაკუნებდა. ბიჭებს ხელი ხელს
გადაუხვევიათ, დაძმაცებულან კიდეც
და მღერიან, და ყველაფერი ეს ზომ
მოჩვენებითი მხიარულება იყო. იქნებ
უხაროდათ კიდეც? უხაროდათ კი? არა
მჯეროდა.

სხვა საქმეა, როცა ვაეკაცი ომში
მტერთან შესარკინებლად დაქადნებით
მიდის. სიმღერითა და ცეკვა თამაშით:
წასვლა, ცოტა არანორმალურად მიმა-
ჩნია. ნეტავ სულ არ ემღერათ და არ
ეცეკვათ. ნეტავ ასე, ჩემსავით დაბლვე-
რილები ჩამომსხდარიყვნენ და მკერდ-
ზე მუშტი დაეკრათ დაქადნებით. იქნებ
ამას უფრო გაეკეთებინა ჩემი გული.
იქნებ მეფიქრა, რომ ისინი გულადები
და მამაცები იყვნენ. რაგინდ ლაჩარიც
არ უნდა იყოს კაცი, ლომგულის გვერ-
დით მაინც სხვაა იგი.

ბიჭების სიმღერა ნაძალადევი და
შევდიანი მეჩვენა. არ მესიამოვნა. აღ-
ბათ კიდეც უფრო იმიტომ მეხამუშებო-
და, რომ კარგადაც არ მღეროდნენ. რა-
მდენიმე ჯგუფი სხვადასხვა სიმღერას
გასძახობდა. პანგი პანგში ირეოდა, დო-
მხალი გამოდიოდა და გული მისივდე-
ბოდა. სიმღერა კი არა, ღრიანცელის
მაგვარი რამ მესმოდა.

ბიჭები სიმღერას ავღებულად ეცი-
ლებოდნენ. ურიტმოდ, ნაძალადევად,
არეულად მღეროდნენ. ფანდური ერთს
ფხაკაფხუკობდა, გარმონი სულ სხვას

იკაპებოდა, დოლი გულგასიებული კა-
ცივით იყო. სმენადახშულად, ბიჭებიც კი
— ბლაოდნენ.

ნეტავ კი ისე არ ემღერათ.

ნეტავ კარგად ემღერათ!

მომისმენია ჯარისკაცების შეწყობი-
ლი და ომახიანი სიმღერა. ის სულ სხვა
იყო. ნაწრთობი ვაეკაცების სიმღერას
სულ სხვა მადლი და ეშხი ჰქონდა. ეს
გაუწერთნელი, გამოუჩორკნავი ბიჭები
კი, ოლონდ სევდა ამოედოთ გულიდან,
არ დაგიდევდნენ სიმღერის სიტკბოე-
ბას.

მაგრამ იქნებ ზოგიერთი გულითაც
მღეროდა, ფრონტზე მიუხაროდა?
ზოგს მართლაც არ ეტყობოდა სევდა.
თვალები უტინოდა და არხენად იყო.
არიან ქვეყანაზე უღარდელი და არხე-
ინი აღამიანები. არიან ისეთნიც, რო-
მელნიც შეგნებულად, გულადად მიდი-
ან საშობლოს დასაცავად. მათ ყველას
გვაჯობეს, მათ ბევრით გავვისწრეს.

სამშობლოს დაცვის, მისთვის თავის
განწირვის გრძნობა ერთბაშად როდი
ღვივდება გულში. და განა ყველას გუ-
ლი ერთნაირად იღებს ამ დიად
გრძნობას? ჩემში შიში სჭარბობდა
ყველაფერს და სწორედ ამის გამო არ
შემეძლო გამეკეთებინა ის, რასაც მამა-
ციები სჩადიოდნენ. სწორედ იმ დროს,
როცა მატარებელი მიჰქროდა და ზე-
დიზედ უკეთესი და უკეთესი სანახაო-
ბანი იშლებოდა ბარისა თუ მთისა,
ვგრძნობდი რა იყო ქვეყნის სიყვარუ-
ლი, მესმოდა მისი ძახილი. მაგრამ ფი-
ციით მაინც ვერ ვპირდებოდი, რომ მე
მისთვის თავს დავდებდი, რადგან სი-
კვდილისა უზომოდ მეშინოდა.

პულმანის ვაგონის ღია კარებში ვი-
ჯექი. მიიჩქაროდნენ ტელეგრაფის ბო-
ძები, ხეები, ბუჩქები, სახლები... ბრუ-
ნავდა გარემო და მიიჩქაროდნენ ფიქ-
რებიც.

ბიჭები ბლაოდნენ. გაცვდა ფანდუ-
რის ლარები და ხრინწი გამოერიაა გა-
რმონს. არც ასეთი გაუთავებელი სიმ-
ღერა ვარგოდა. ეს უკვე სიგიჟე იყო
და მეტი არაფერი.

ღამით პულმანის ვაგონში, სინათლე არავის აღნიშნავდა. იატაკზე და ნარებზე მივეყარებით და დავიძინეთ. გზამ ისე მოგვალა, ისე მოგვქანდა, მაშინვე ჩავვეძინა ყველას. ვაგონი ჯანჯღარებდა. რაღაც ძალა ბიჭების ამ უზარმაზარ აკვანს გაბრაზებული დედინაცვლივით არწევდა.

ერთ პატარა ქალაქში გაგვაჩერეს.

პატარა, მაგრამ კობტა ქალაქი იყო, თეთრად შეფეთილი სახლებით, მწვანინანი ეზოებით. ჩვენი ერთი ბატალიონის ყაზარმები ქალაქგარეთ, მოშიშვლებულ მინდორზე იდგა. აგურით ნაგები ახალი შენობები იყო. ალბათ არავის ჰქონდა გათვალისწინებული ის ამბავი, რომ ოდესმე ფრონტი ამ ქალაქსაც მოუახლოვდებოდა, რომ საჭირო იყო სამხედრო ნაგებობა სადმე შეხამებულ ადგილზე აეშენებინათ.

გვებანავეს, ჩავააცვეს, დაგვახურეს და მაშინვე მოგვაწყვეს. ბლომად ვიყავით. მხოლოდ მაშინ გამოჩნდნენ ჩვენი ნამდვილი მეთაურები. ზოგი ბრძოლის ცეცხლში გამოვლილი იყო, ორდენები მკერდს უმშვენებდა, ზოგს ფრონტი თვალისადაც არ ენახა. უმცროსი ოფიცრები, რომლებიც ოცეულის მეთაურებად იყვნენ დანიშნულნი, პირდაპირ სამხედრო სასწავლებლიდან მოსულიყვნენ.

ჩვენ ერთი მკვირცბლი, მეტისმეტად ცოცხალი ყმაწვილკაცი დავვინიშნეს მეთაურად. უმცროსი ლეიტენანტი იყო, თავმოშწონე და პეწწიკა კაცი ჩანდა. როცა ცალკე მოგვაწყო, მწკრივს თავიდან დაუარა და სათითაოდ რამდენჯერმე აკვავალიერ-ჩავვათვალერა. ყველას რაღაც ჰკითხა. მეც გამომელაპარაკა:

— აბა, შემომხედე, არწივო!

შეხედე, მისი წყლიანი, ციმციმა თვალები ძალიან მომეწონა. გამეხარდა, რომ ასეთი გულლია და თანაც, ეტყობოდა, მამაც ადამიანთან გვექნებოდა

საქმე. გაბედულად რომ შევხედე, შევატყვე, მეც თვალში მთუვედეს...

— ჩვენ ყველანი გმირებმა ვიქმნებთ! — თქვა და ჩაიარა. ახლა სხვას ჰკითხა რაღაც. ოცეულით კმაყოფილი დარჩა.

ერთის შეხედვით, მართლაც რჩეული, სულ კროლა ბიჭები იყვნენ, ზოგი ჯანიანი, ზოგი სუსტი, მაგრამ არც ისეთი მიღებული, რომ რაიმეს ვაკეთება არ შეძლებოდათ.

სხვადასხვა ეროვნების ბიჭებმა მოვიყარეთ თავი. ქართველი ერთი ვერიც.

ოცეულის მეთაურმა ერთხელ კიდევ შეგვათვალერა, მერე მწკრივის წინ, შუაში ჩადგა და გავვეცნო:

— მე ვარ უმცროსი ლეიტენანტი იური ივანეს-ძე პარხომენკო.

ამ გვარის ვაგონებაზე მწკრივი უმალ შეინძრა. ბიჭები უმცროს ლეიტენანტს ისე მიეაჩრდით, თითქოს ჩვენს წინ სამოქალაქო ომის გმირი პარხომენკო მდგარიყო. თურმე ჩვენი იური პარხომენკო შორეული ნათესავიც კი არ ყოფილა იმ პარხომენკოსი. მაგრამ სახელოვანი, გმირი ადამიანის გვარი რომ ჰქონდა, ესეც საკმარისი გამოდგა ჩვენთვის, რომ ეს არცთუ ჯანიანი კაცი სულ სხვაგვარი გვჩვენებოდა.

მხიარული კაცი იყო. ხშირად ხუმრობდა. სროლაში პირადად თვითონ გვაეარჯიშებდა. ჩინებულად ისროდა. მიზანს იშვითათდ აცილებდა. როცა ფიტულებს ხელჩართულ ბრძოლას ვავუმართავდით და დაღლილ-დაქანცულები დასასვენებლად დავეყრებოდით, პარხომენკო ჩვენს მიერ საკმაოდ დაჩხვლეტილ და დაფატრულ ფიტულებს შეხედავდა და გვეტყოდა:

— ეს ერთი ბრძოლაც ხომ მოვიგეთ! ვაშა, არწივებო!

კობტა ხნის მერე გულის სიდრმიდან წამოიძახებდა:

— დიახ, ჩვენ ყველანი გმირები ვიქნებით!

ამ სიტყვების წარმოთქმისას რაღაც ოღნავ შესამჩნევ სევდიანობას ვატყობდი.

მუდამ იმას ცდილობდა, რომ მხიარ-

რულად და ცოცხლად გყოფილიყავით. ამით თვითონაც კარგ გუნებაზე დგებოდა. მოღუშულ კაცს ვერ იტანდა. ფრონტისკენ ისწრაფვოდა, ბრძოლა სწყუროდა, გმირობაზე ოცნებობდა და თავის ფიქრებს როდი გვიმალავდა. ჩემთან ერთად თქვენც გმირები იქნებითო, აუცილებლად უნდა ეთქვა. როცა თავს გმირის ვარსკვლავით მკერდ-დამშვენებულს წარმოიდგენდა, დააბეჭდებდა:

— ისტორიაში ჩასწერენ მეორე პარხომენკოსაც!

გულით რომ მენატრა, ასეთ კაცს ალბათ ვერც კი შევხვდებოდი. ბედს უყვე აღარ ვემდუროდი, ვიდრე ზამთარი კარს არ მოგვადგა. ვიდრე ორმოცდართის ნოემბერში მტრის მზვერავმა თვითმფრინავმა პირველი ბომბი არ გვესროლა.

ბომბი ყაზარმის მახლობლად გასკდა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ დაბნეულებმა გვიან შევნიშნეთ მტრის თვითმფრინავი. როცა გუგუნი მიწყდა ბომბის მიერ ამოთხრილ ორმოს სანახავად გავიქექით. პატარა ორმო იყო, მაგრამ გულის გასახეტქად დაეღო პირი. შემაყრილა. პარხომენკოს შევხედე და გული მომეცა. მან დამცინავად დახედა ორმოს და თქვა:

— ბევრი ბევრი მეტრნახევარი იყოს! ვერ მივხვდი რატომ თქვა ეს. ვაკირვებით შევხედე. ვერც ვერავინ ჰკითხა, რას ნიშნავდა მისი სიტყვები. იქნებ დასცინა მტერს, სულ ესენი ხართ, მეტრნახევარიანი ორმო ძლივს ამოიღო თქვენმა ბომბმაო. რა ვიცი!

ბატალიონის მეთაური საიდანღაც გაოფლილი მოვარდა. დაგვიცაცხანა და იქიდან გაგვრეკა. ბრძოლაში ნაცადი კაცი იყო და მიხვდა რაც უნდა მოჰყოლოდა ამ ერთი ბომბის აფეთქებას. მთელი ბატალიონი ყაზარმებს მოაშორა. მახლობლად მეჩხერსა და დაბალ ტყეში შევაფარეთ თავი.

ორიოდე საათის მერე თვითმფრინავების აფუგუნი შემოგვესმა. რალაც სა-

შინელის მოლოდინში გული გამიკვება.

გვიანი შემოდგომის მზანაღღე მსხრამთა

მოსარკულ ცაზე ფოლადის სვავების ციმციმა წერტილები შევნიშნეთ. ეს წერტილები თანდათან იზრდებოდნენ და გუგუნიც უფრო ახლოვდებოდა.

იმედის თვალთ მხოლოდ პარხომენკოს შევხედე, მისგან გამამხნევებელ სიტყვას ველოდი. კვლავინდებურად მომდიმარე და მოციმციმე მისი თვლები დავინახე და გული მომეცა. პარხომენკო თხრილში იჯდა და ცას თვალს არ ამორებდა.

თვითმფრინავები ქალაქისაკენ პიკირებით დაეშენენ. შეზანზარდა მიწა. ზედიზედ აფეთქდა რამდენიმე ათეული ბომბი. მტერს წინააღმდეგობას არავინ უწყევდა. ქალაქს გული გადაეღელა და ამ გადაღელილ გულს, როგორც უნდოდათ, ისე უძიძგინდნენ სვავები.

ჯოჯოხეთური ცეცხლი გაღვივდა ქალაქში.

დავინახეთ როგორ დაინგრა და ცეცხლის ალში გაეხვა ჩვენი ყაზარმებიც. ბომბები ტყის პირსაც მოხვდა.

პარხომენკოს შევხედე. ორივე ხელი უთრთოდა და სახე თანდათან უფითრდებოდა. აი, მაშინ უფრო მეტად შემეშინდა.

დანგრეულ ყაზარმებში აღარ გვედგომებოდა. მიწურების თხრა დავიწყეთ. ჩვენთან ერთად ჩუმად მუშაობდა პარხომენკოც.

ჯარისკაცები ერთმანეთში ჩურჩულებდნენ:

— აი, გმირი!

— გამოუცდელია... რა იცი, იქნებ გახდეს გმირი.

— როცა ვირი ხეზე გავა, არა?

— ისე, მაგრად კი დაგვეცხეს.

— ქალაქს რას ერჩოდნენ, ის თხრები?

— აფსუს, პატიოსნად გვეძინა ხოლმე. ახლა სამარეს ჩვენ თვითონ ვითხრით.

პარხომენკო წელში გაიმართა. ჯარისკაცებს გადახედა. არ გაუგონია რას.

ამბობდნენ ისინი, მაგრამ ვიგრძენი, რომ მიხვდა, რაც თავისდა უნებურად დააშავა. ერთი ნაძალადევად გაიღიმა. იხუმრა. მაგრამ ამჯერად მისი ხუმრობა იმდენად უკბილო იყო, არავის გასცი-ნებია და არც დამამახსოვრდა. სხვანი, ვინც მართლა მხდალნი მეგონნენ, უფრო გულადნი აღმოჩნდნენ.

ბატალიონს პირველი დაბომბვით არავინ დაჰკლებია. ბინა მიწურებში დავიდეთ. დრო უღიმამოდ მიდიოდა. გული გამიტყდა, როცა პარხომენკომ ასე უცებ გაგვიმტყუნა იმედი.

მტერმა რამდენიმე დღე მშვიდობიანად გვაყოფა და არ გამოჩნდა. პარხომენკოს გამოუნელდა შიში და კვლავ მოცოცხლდა. მისი უკვე აღარავის გეჭეროდა. ჩვენ არწივებნ გვეძახდა, თავად კი ბედურასავით იბუზებოდა, როცა მტერი ბომბებს გვიშენდა.

ვერ ვამტყუნებდი. მე რომ გულადი ვყოფილიყავი, შეიძლება დამეცინა მისთვის, მაგრამ კინტსაც არ ვძრავდი, ჯარისკაცების გამკილავ პაექრობაში მონაწილეობას არ ვეღებულობდი.

ბევრი გულადი კაცი მინახავს, დაბომბვისას ჩემსავით ჩამხტარა მიწურ-ში და ხულვანაბული მისჩერებია მიწურის ქერს ჩამონგრევის მოლოდინში. ძალიან იშვიათად, რომ ადამიანის ნერვებმა გაუძლოს დაბომბვის საშინელებას. შიში გულადის გულშიც გიზგიზებს. მაგრამ გულადს ისიც ძალუძს, გაუძლოს თავის შინაგან ვანცდებებსაც და თავი ისე დაიჭიროს, თითქოს შიშის ნატამალიც არ მიჰკარებია. უსახელოდ შამაცებს უფრო არა სწაღიათ სიკვდილი. მათი შიში სხვაგვარია. მამაცთა შიში ვახურებულ ომში მარცხდება და მამაცთა სიკვდილიც სულ სხვა სახეს იღებს. სიკვდილიც კი სიცოცხლესავით მალღდება და გულადი კაცი უკვდავებაში გადაჰყავს.

ჩვენთან, ნაწილში, იყვნენ კარგი ბიჭები. ზოგი მათგანი უშიშარიც იყო. მაგრამ, ვიდრე ბრძოლაში არ გავედით,

ვერც ერთ მათგანს ვერ ვატყობდით გმირობის ნიშან-წყალს. *გმირობის ნიშან-წყალს*
ბრძოლაში ყველანი გამოგვცადნენ.

გმირობაზე დიდად მეოცნებე პარხომენკო პირველსავე შეტაკებაში დაეცა. სანელოვანი დვარის მეორე წარმომადგენელს აღარ დასცალდა ისტორიაში ჩაეწერა თავისი სახელი.

ჩემს გვერდით დავარდა. თხრილში ვეყარენით. მისი ინდივიდუალური პაკეტი, ჩემი და კიდევ ერთი ჯარისკაცის პაკეტები მივალიე, მაგრამ სისხლი ვერაფრით ვერ შევეუჩერე. თავზე სეტყვასავით ფადაგვდიოდა ტყვია. პარხომენკო გულადმა ეგდო და სისხლისგან იცლებოდა. მის მუდარის გამომხატველ თვალებში თანდათან ქრებოდა სიცოცხლე. მომჩერებოდა და ასე უსიტყვოდ, მთელი არსებით მევედრებოდა:

„ნუთუ არ შეგიძლია მიშველო?!“

ვერ ვუშველეო და ამან უფრო მეტად მომიკლა გული. მე და ჩემი ამხანაგი დავტრიალებდით. სანამ სისხლს შევეუჩერებდით, იგი ხელში გავვიცივდა.

ეს იყო ჩემი ყველაზე უფრო დიდი შიში, თუკი რამ მახსოვს. ვნახე სიკვდილი, მაგრამ იმ წუთებში არცთუ შემაზრზენი მეჩვენა იგი, რადგან ჯოჯოხეთური წამებისაგან უმალ იხსნა კაცი. სიცოცხლე კი ზოგჯერ ასეთი ღმობიერი როდია. მხოლოდ სიცოცხლეს შეუძლია ტყვიელიც და სიამეც, სიმწარეც და სიტკბოც. სიკვდილს კი ერთი რამ შესძლებია და ზოგჯერ რა დიდი შვებაა იგი.

პარხომენკო არ დაცემულა მამაცთა სიკვდილით. გული მეტყინა, რომ მისი ლამაზი ოცნება ასე უკვალოდ გაჰქრა.

ტყვია კვლავ სეტყვასავით გადაგვდიოდა თავზე. ყუმბარები მიწას ფლეთდნენ. დენთი და მტვერი, რკინა და მიწა, სიკვდილი და სიცოცხლე, ცეცხლი და მახვილი ჯარში ირეოდა, ხალხში ითქვიფებოდა, სისხლად დიოდა.

ვინც კი გადავრჩით, ტყვედ ჩავცივდით.

პირველად მაშინ ვნახე გერმანელები. ისეთი გულმოსულეები და გაბოროტებულეები იყვნენ, თითქოს ჩვენ მათ შევესოდეთ, მათი ცოლ-შვილი აგვეწიოკებინოს, მათი სახლ-კარი დაგვერბიოს და გავგეტიალებინოს.

იარალი დაგვაყრევინეს. ამ განსაცდელის ეპას ისეთი რამ მოხდა, რამაც საკუთარ გულში ღრმად ჩამახედა და ჩემი სილაჩრის გამო შემაზიზღა საკუთარი თავი.

აუარება საშინელება გამეგონა ფაშისტებზე. ისინი მართლაცდა შემზარავნი და საზიზღრები იყვნენ. არა, მე ახლა სინდისი მქენჯნის და მრცხვენია გავამხილო ის, ლამის რომ ჩავიდინე შიშის გამო...

სხვამ დამასწრო, ეტყობოდა ჩემზე უფრო მხდალმა და მშვიშარამ. ის ერთადერთი აღმოჩნდა ტყვეთა შორის, რომელიც მუხლებზე დაემხო და თავის ენაზე გერმანელებს ქვითინით შეევედრა, სიცოცხლე მანუქეთო.

ქრუანტელი მივლის იმ წუთების გახსენებაზე. შევეყურებდი ამ ადამიანობა-გამოცილილ ლაჩარს და თვალს არ ვუჭერებდი, რასაც ვხედავდი.

გერმანელმა ავტომატი გადმოიღო და სრულიად გულგრილად მიუშვირა მუხლებზე დაცემულს. არასოდეს არ დამავიწყდება კაცის ასეთი ყველაზე ლაჩარული, სამარცხვინო სიკვდილი.

საკუთარი თავისა შემრცხვა. ჩემში იმ ღროს მეორე, უფრო გულადმა კაცმა ვაიღვიძა და მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ბედ-იღბალი ამიერიდან სრულიად ბუნდოვანი და გაურკვეველი გახდა, მაინც ვიგრძენი სინდისის ქენჯნა და სიხარულიც, მეორე, მამაცი „მეს“ დაბადების გამო.

ეს იყო ჩემი შინაგანი ბრძოლისა და გარდატეხის წუთები. ჩემს გულში მძლავრი ჭიდილი გაჩაღდა. გერმანელები სადღაც მიგვერეკებოდნენ, ჩემს გონებაში კი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები კინკლაობდნენ. იმავე ღროს აღარც მეშინოდა, რადგან მეორე

გრძნობა, უშიშრობისა, ხანდახან პირველს ჯობნიდა.

მანამდე არ მენახა მამაცობა, სიკვდილო, ვნახე სამარცხვინო სიკვდილი, თავისმომჭრელი, დამამცირებელი... ახლა იმის შიშიც მდევდა, მეც ასე არ მოემკვდარიყავი და ისეთივე ზიზღით არ შემოეხედათ ჩემთვის ამხანაგებს, როგორც მას შევხედეთ.

არავის შებრალებია. საშინელი ღრიალით მოკვდა. მის ღრიალსაც კი არავისი სიბრაღულის სიმი არ შეუტოკებია.

მეშინოდა, მაგრამ მხნედ მიგაბიჯებდი, რადგან ჩემს გულშიც იყო ის სასურველი ძალა, რომელსაც მუდამ ვნატრობდი.

მერე საბარგო ვაგონებში შეგვყარეს, კარი მაგრად გადაგვიკეტეს და შუალამისას შორეულ გზაზე დაგვაყენეს.

გამახსენდა თბილისიდან წამოსვლა. ბიჭების სიმღერა-თამაში და მხოლოდ ახლა, როცა ჩვენს ვაგონში აღარავის აღარ ემღერებოდა, მომენატრა ის დღე და ის წუთები, ბიჭები სევდას სიმღერით რომ იქარებდნენ. იქნებ ახლაც გვიშველოს სიმღერამ? ცვიშველის კი?

ჭერებზებივით ვეყარებით არაქათა-მოცილილები. ლაპარაკის თავიც არა გვქონდა. ზოგი ისე იყო ნაგვემი, ალბათ წელსაც ვერ აითრევდა.

მიდიოდა, მირახრახებდა მატარებელი. ნელა მიირწეოდა. ზოგიერთ სადგურში დიდხანს იდგა. ამ ღროს მატარებელთან გერმანელი დარაჯი ჩაივილიდა, ვიღაც გაირბენდა ბაქანზე. გაისმოდა ყვეფის მაგვარი ვაძახილ-გამოძახილი. მერე ყველაფერი მიყუჩდებოდა.

სიბნელეში ვეყარებით. დარწმუნებული ვიყავი, რომ არავის ეძინა, ყოველი ჩვენგანი მწარე ფიქრს მისცემოდა.

ჩვენი ვაგონის ბუფერები მეზობელი ვაგონის ბუფერებს შეეხლებოდა, შევიჩქლრეოდით, ერთქელმავალი ერთს ღრმად ამოიოხრებდა და დავიძრებოდით.

მე კიდევ იმ ლაჩარის სიკვდილზე

ვფიქრობდი. ნუთუ არსებობს ამაზე უფრო მეტი თავის დამცირება, ამაზე მეტი დაცემულობა? ნუთუ სიცოცხლე მართო იმისთვის გვინდა, რომ ჩვენს არსებაში სულმა იტრიალოს? სხვა აღარაფერია საჭირო? სად არის თავმოყვარეობა, სიამაყე, ზნეობა?!

საშინლად ციოდა. სანამ ასე ჰქერხებივით ვეყარნით, ერთმანეთს ვათბობდით, ერთმანეთის იმედით ვსულდგმულობდით, ერთ დიდ ჭირს ვინაწილებდით და თითქოს ამით ვაების მცირე ნაწილი მოგვდიოდა თვითეთლს.

რომელიღაც სადგურში გათენებამდე დაგყავით. მერე მთელი დღე არ დაეძრულვართ. კარი გაგვიღეს და ძაღლებივით შემოგვივადეს ორი მაღალი პური.

ბიჭები ისე იბღვირებოდნენ, თითქოს ერთმანეთს პტრად გადაეიდნენო. უბედურება აუქმურებდა ყველას, მაგრამ მათი მზერა სრულიადაც არ ეხამებოდა მათ საქციელს. ასე თბილად და სიყვარულით ვის ჩაეკვრებოდი, ასე სათუთად და გულით ვის გაუნაწილებდი ერთ ლუკმაპურს. ზოგმა უარი თქვა იმ ერთიბენო ულუფაზედაც კი და ჩვენს შორის ყველაზე ღონეგამოცლილს გაუწოდა. ვანა არ აგვალეღვებდა ეს ამბავი?!

არ ვიცოდით, საით მივდიოდით, რომელ მხარეს. ზოგჯერ ვავიწყობდით საჭიროებისათვის თუ გამოგვიშვებდნენ. მცველები თავზე აეტომატებით გვადგენენ. მხოლოდ მაშინ მოვასწრებდით გარემოს შეთვლიერებას. არე-მარეს ვერ ვცნობდით, სადღაც, უცხო მხარეში რომ მოვხვდით, ამას თვალი და გუმიანი არ გვატყუებდა.

ისევ ვავიწყობდით შეგვეყრიდნენ. ისევ მაგრად ჩაგვეტყავდნენ, ისევ დაიდვადუნებდა ბუფერები და კვლავ ნელა მივირწეოდით.

სული რომ მოითქვეს ბიჭები ალაპარაკდნენ. ალაპარაკდნენ ძუნწად, გულუღვარეობიანად. ყველას ცეცხლი გვიდუღდა გულში.

გავჩერდით. დიდხანს ვიდგით. არ

ვიცი, რომელი სადგური იყო. ვავიწყობს ერთადერთ ფანჯარაში, სახურავის მახლობლად რომ იყო დატანებული დღისნათელი იცრიცებოდა. ბინდდებოდა. მხოლოდ ერთხელ, ჩვენს მეზობელ ლიანდაგზე, სწრაფად ჩაირახრახა მძიმე მატარებელმა. ცოტა ხნის შემდეგ, სულ რომ არ მოველოდით, შორეული გრიალი შემოგვესმა. თითქოს ჩვენმა ლიანდაგამაც დაიზრიალა, ვავიწყობ შეტოკდა. ვიგრძენით, რომ სწორედ რკინიგზაზე მოხდა ძლიერი აფეთქება.

— ეშელონი აყირავდა! — წამოიძახა ვიღაცამ ალტაცებით და ისე წამოსწია თავი, თითქოს დაინახა კიდეც, როგორ აფეთქდა მტრის სამხედრო ეშელონი.

გულმა მიგრძნო, რომ კიდეც რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო.

ვავიწყობს ფანჯრიდან ცაზე ობლად მოციმციმე ერთადერთი ვარსკვლავი დაეინახეთ.

სადგურზე, რამდენიმე აეტომატმა ერთბაშად და მოულოდნელად დაიჭახჭახა. ამას გერმანელი გუშაგების ყვირილი და ალიაქოთი მოჰყვა.

სროლამ იმატა.

ჩვენ ერთ წუთს ზეზე წამოვცვივდით, მაგრამ, როცა ტყვიამ ჩვენი ვავიწყობს არ დაზოგა და სადღაც ჰერში გაიზუზუნა, იატაკზე გავწექით. გულმა ასე არ გაგვიძლო, ისევ ფეხზე დავდექით და ვავიწყობს კარს მივაყყდით. იმედგაღვიძებულნი ვანჯღრევდით ფართო კარს.

— მშებო! — ლულულუდებდა ვიღაც. მეორე კი ჩახლეჩილი, ცრემლშერეული ხმით რაღაცას ვაპყვიროდა. მალე გული შეზარა ვავიწყობს გამოკეტილი აღამიანების ბლავილმა.

სადგურში სროლა არ წყდებოდა. ცხადი იყო, სადგურს პარტიზანები დაეცნენ. სად ვიყავით, რომელი ქვეყნის რკინიგზის სადგურზე, არაფერი ვაგვეგებოდა. გერმანელებს რომ შავი დღე ადგათ, ეს მათივე ყვირილით იგრძნობოდა. ამიტომ უფრო მეტად ავღვლდით. გერმანელთა ხმები თანდათან წყდებოდა, შორეული ხდებოდა. ჩვენები

სადაც ძალიან ახლო იყვნენ. ყოველი ჩვენთაგანი შიშობდა, ვაითუ სადგურის გარნიზონის ამოწყვეტის შემდეგ წასულიყვნენ და ჩვენ ვაგონში გამოკეტილები დაერჩენილიყავით.

ვევიროდით. კარს მუშტებს ვუშენდით. არ ვიცი, გახურებულ ბრძოლაში რამეს გავაგებინებდით თუ არა ჩვენიანებს.

ბროლა მოულოდნელად სწრაფად მიწყდა. ლიანდაგის გასწვრივ ცხენებმა თქარათქურით გაიარეს. ვიყვირეთ, კარს კვლავ დავუშინეთ მუშტები. ისევ გავიგონეთ ცხენების ფეხის ხმა. მალე კარის საკეტმაც გაიჩხაკუნა. კარს ყველანი ერთად ვეციოთ და ცალ მხარეს ჯახანით გავავორეთ. ვაგონთან დავინახეთ ორი ცხენოსანი პარტიზანის ახოვანი ამრდილი.

— ვინა ხართ, რა ხალხი? — გვკითხა პარტიზანმა.

ვაგონიდან გადავცვივდით და ორივე ცხენოსანს შემოვეხვიეთ. ერთი ჩამოქვეითდა, მეორე ისევ ცხენზე იჯდა.

— ტყვეები ვართ. გერმანელები სადაც მიგვერეკებოდნენ. — აუხსნა სიხარულით აღელვებულმა ერთმა ტყვეთაგანმა. — გვეგონა ჩვენს სახსნელად მოხვედით.

— უთქვენოდაც ბევრი სამუშაო გქონდა. მაგრამ, მადლობა დმერთს! მოვეილოცია თავისუფლება! ჩვენთან წამოხვალთ? — თქვა მხედარმა, ცხენიდან რომ არ ჩამოდიოდა.

— ჩვენი გზა ერთილია: თქვენსკენ, ძმებო!

ვიცრემლებოდით. ბავშვივით გულაჩუყებული ვიყავი და იმ წუთებში ყველაზე დიდ ბედნიერებად ეს თავისუფლება მიმაჩნდა. ცრემლის გამო არავინ მძახავდა, რადგან ყველა თავის პირად ბედნიერებას გაებრუებინა, ყველა თავის მღელვარებას აჟოლოდა.

სადგურის შენობაში, ბაქანზე, მიწაყრილებზე და ლიანდაგებში დახოცილი გერმანელი ჯარისკაცები ეყარნენ. ჩვენ მათ იარაღს მიეცვივდით. ბინდ-

ბუნდის ბურუსში ორ ცხენოსან პარტიზანს ავედევნეთ.

ჩვენ ოცნი ვიყავით, ვერც ვცხენებში, ერთი ბედით შედუღაბებულნი.

მალე დაღამდა. ცხენოსნები წინ მიგვიძლოდნენ. მხედრების ნაკვალევზე მივდიოდით. ძალა თანდათან მეცლებოდა, მუხლი მეკვეთებოდა, მაგრამ თავისუფლების გრძნობა და სიხარული ცოტა სიმხნევე როდი იყო. მივდიოდით მღუმარედ, აჩქარებული ნაბიჯით, ხენეშით, შეუსვენებლივ. მივდიოდით ლერწმთან, ნახევრად დაქაობებულ ველზე, მივდიოდით მყარი ბილიკებითაც. მალე შევედით ტყეში.

ტყისპირას ცხენოსნები ჩამოქვეითდნენ და ახლა ყველაზე მეტად დაერლომილი ტყვეთნამყოფები შესვეს.

პარტიზანთა საბუდარი ფხიზელი დარაჯებით იყო დაცული. როგორც იყო მივალწიეთ ბანაკს შუაგულ ტყეში. ვერაფერს ვარჩევდით, სანამ ჩვენმა თანმხლებმა პარტიზანებმა მიწურში არ ჩავიყვანეს და ჭრაქი არ ააბუტეს. დადგა ზეთის მყრალი სუნი, მაგრამ სინათლე მაინც გვეამა.

— მოისვენეთ, — გვითხრა თანმხლებმა პარტიზანმა, — შეიძლება საქმელიც მოგიტანოთ რამე. მოვიკითხავ.

— თქვენს მეთაურს ვერ გვაჩვენებთ? — ჰკითხა ჩვენს შორის ყველაზე ხნიერმა.

— დღეს იგი თქვენთვის ვერ მოიცილის.

— რა გაწყობა, — მხრები აიჩეჩა ხნიერმა ჯარისკაცმა, — დიდი მადლობელი ვართ გათავისუფლებისათვის.

ის მიწური, სადაც ჩვენ მოგვათავსეს, პარტიზანებს სათადარიგოდ ჰქონდათ. რაღაც ძველმანებს ინახავდნენ. ნახევრად ბნელში სხვა საგნებს შორის ორიოდ უნაგირიც გავლანდე.

მალე პარტიზანმა ცოტაოდენი საქმელი მოგიტანა. დიდი ხნის ნჯღრვეისა და მომქანცველი მგზავრობის შემდეგ ცივ მიწაზე ისე დავეყარნით, თითქოს გაფუძფულებულ ლოგინში ჩავწოლილიყავით. ერთმანეთს მაგრად ჩა-

ვეკარი. ძლიერ გვემა ტყის სიმყუდროვე და ამ სიმყუდროვეში ოცი არაქათგაცილილი, ნაწამები ვაყკაცის შვეებით სავსე სუნთქვა, რომელსაც ოხვრა აღარ მოსდევდა.

ჩაგვეძინა ღრმად და აწ უმფოთველი ძილით.

მხოლოდ იმ დამეს ვნახე დედაჩემი სიზმარში. ვნახე და დილით, როცა გამეღვიძა, სიზმარი ვერ გავიხსენე, ძილში ნანახი ამბავი ვერ გამოვიტანე. ვერც ვერავის ვუამბე. თავისუფლების სიხარულმა, დედის ნახვის სითბოც რომ მიემატა, ჩიტივით ამაგდო ზეზე.

ერთმა პარტიზანმა, ცუშინ ბანაქში რომ მოგვიყვანა, დილით მიწურთან მოგვეაწყო და სათითაოდ დაგვათვალა. ერა, სწორედ ისე, როგორც ოდესღაც საწყალმა პარხომენკომ დაგვიარა. პარხომენკოს გახსენებამ გული მატკინა. ვუყურებდი ამ ახოვან პარტიზანს, მაგრამ ეს სულ სხვანაირი კაცი ჩანდა, ბრძოლებში ნაცადი და უფრო მეტად გულადი.

პარტიზანმა ზერელედ დაგვიითხა. თავდაც ფაგვეცნო:

— მე თედორე მაიოროვი ვარ. ჩვენს გვარ-სახელებს არ ვმალავთ, რა მნიშვნელობა აქვს ივანეს დაგვიახებენ თუ პეტრეს. მტერს თუ ჩაუვარდი, პარტიზანი ხარ და მოარჩა... გვარად მაიოროვი ვახლავართ, სამხედრო ჩინით კი უფროსი სერჟანტი, — ღიმილით დაუმატა მან.

მერე პარტიზანების მეთაურის მიწურისაკენ წაგვიყვანა. ძლიერ ციოდა. შილიფად ვიყავით ჩაცმული. აბუზულები კბილს კბილზე ვაცემინებდით. ზოგიერთი ცდილობდა სიცივე აინუნში არ ჩაეგდო. უწინ იქნებ ვაყკაცურად აეტანა უფრო მაგარი სიცივე, მაგრამ ახლა ტყვეობის სულ მოკლე დრომაც კი შელახა და შეარყია მათი ჯანმრთელობა, ისინიც კი ჩვენსავით იბუზებოდნენ.

თედორე მაიოროვი გვიბრძანა შეეჩერებულიყავით. მიწურის კარისკენ

შეგვებრუნა, თავისუფლად, მოგვიგადო ეს ერთი ბრძანებაც და მიწურში ჩავიდა. მალე იქიდან გამოვიდა შილიფად ჩაცმული ვაყკაცი, შავგვრემანი, უღვაშდამშვენებული.

მის დანახვაზე გული შემიქანდა და ერთიანად ავკანკალი. როგორც კი დაილაპარაკა, ველარ მოვითმინე და შევძახე:

— ქართველი ხარ?

ერთი უცებ შემომხედა. აი, ახლა კი გამოქანდებდა და მომხევევა, დაკარგულ ძმასავით მიმიღებს-მეთქი, გავფიქრე. გაოგნებული გავქვავდი, როცა მკაცრად შემომხედა და ქართულად მკვებელ მომიგდო:

— რა ვატირებს? დედაკაცი ხარ?

ალტაცებისაგან ვერც კი მეგრძნო, ცრემლი როგორ გადმომცვივდა.

ჩემს სიხარულს ცივი წყალი გადაახსნა, გული დამიწყულა. გული ისე მატკინა, სახტად დარჩენილი ლამის ბავშვივით ავზლუქუნდი. ასე ნაწყენი და თავლაფდასხმული არასოდეს არ ვყოფილვარ, აჟ, ამ უცხო მხარეში, ერთი მიწაწყლის ორი კაცი შევხვდით ერთმანეთს და... თავბედი ვიწყევლე... იქ მყოფმა ხომ არ ვიცოდი საით მიმაქანებდა ბედი, სად გამირიყავდა ავად აგორებული ბედ-იღბლის ბორბალი.

ჩამოგვიარა, ისეთი თვალით შეგვხედა, თითქოს ტყვეთა ბაზარში მოსულიყო სავაჭროდ. ისეთი თვალთ გვიყურებდა, თითქოს არავის არ ენდობო. გვარ-სახელები არა გვკითხა და მეტად ცივად გამოგვიცხადა:

— ჩემთან მხოლოდ გულადი ვაყკაცები უნდა იყვნენ. ეს რეგულარული არმია არ არის, სადაც შეიძლება გულადს ამოეფარო. აჟ პარტიზანები არიან. პარტიზანებში კი მხოლოდ მამაცებს შეუძლიათ ყოფნა. იფიქრეთ, სანამ ფიცს დასდებდეთ.

მაშინ კი მისმა სიტყვებმა მღულარე-სავით დამიარა. „ჩემზე ამბობს. არ მიკარებს. არ მენდობა. ჯანდაბას ჩემი თა-

ვი, წვეალ, გავეცლები. მაგრამ საით, რომელი გზით უნდა ვიარო? ნუთუ გამიშვებს და გზასაც არ მასწავლის?"

ჩემდამი მისი დამოკიდებულება მაღიზიანებდა და მისდამი სიძულვილს მინერგავდა, მაგრამ, როცა მან სიტყვით მოგვემართა, მომეწონა მისი ცეცხლოვანი თვალები, ვაქცაქური შემართება და სიამაყე ვიგრძენი.

პარტიზანთა მეთაური სერჟანტ მაიოროვს მიუბრუნდა:

— ვაეცით ბრძანება და იმოქმედეთ! შეტრიალდა და ისევ მიწურში ჩავიდა.

დავლონდი.

მაიოროვმა ისევ იმ მიწურში მიგვიყვანა, სადაც წუხელ გავათიეთ ღამე, მორიგე გამოჰყო და საუზმის მოსატანად გაიყოლა.

ნასაუზმევს ჩვენთან მოვიდა შუახნის პარტიზანი. თავაზიანად მოგვესალმა და მერე დაწვრილებით დავკითხა, სად და როგორ ჩავცვივდით ტყვედ. სიფრთხილეს თავი არა სტკიოდა და შევატყვე, რომ პარტიზანები მთლიანად მაშინვე არ გვენდვნენ.

ნაშუადღევს სერჟანტმა მაიოროვმა მეთაურთან წამიყვანა.

— ერთი მიწაწყლისანი ყოფილხართ, — მითხრა სერჟანტმა გზაში.

ხმა არ გავეცი. ჩემთვის არც შემოუხედავს ამ სიტყვების შემდეგ. ეტყობოდა ჩემი პასუხი არც კი სჭირდებოდა.

— ო, რა ყოჩაღია! რა მამაცი! — თქვა მაიოროვმა და მაშინ კი ისე შემომხედა, თითქოს პირველად მიყურებდა.

არც მაშინ გავეცი ხმა. მივეყვებოდი და ვფიქრობდი: ალბათ ჩემს ასაბარგებლად მიბარებს. ტყიდან გამიყვანენ, გზას მაჩვენებენ და ჰაიდა, ქვეყანას ოთხი მხარე აქვს!

თუკი გადავრჩი და თბილისამდე მივალწი, იმდენს შევიძლებ, რომ ქვეყანა მაინც შევუყარო, ასეთი გულცივი შეხვედრისათვის თავი მოვჭრა და სახელი შევეტრცხვინო სახალხოდ. ამით მაინც

გადავუხდი სამაგიეროს. მაგრამ არც ვვარი ვიცი მისი, არც სახელი.

მაშინ კი ვკითხე სერჟანტს, მაიოროვმა სიამოვნებითა და სიყვარულით წართქვა თავისი მეთაურის სახელი დამამის სახელი:

— ვლადიმერ ილარიონის-ძე.

გვარის წარმოთქმა ცოტა გაუჭირდა, მაგრამ მაინც სწორად თქვა:

— ნაეროზაშვილი.

მიწურს მიუახლოვდით. კიბეზე ჯერ მაიოროვი ჩავიდა, მერე მე მივეყვი.

მიწურში ვლადიმერ ნაეროზაშვილი მარტო იყო. ცაურანდავი ფიცრებით შეკრულ მაგიდაზე რუკა გადაეშალა. იქვე ეგდო გადახსნილი პლანშეტი. რუკაზე ლურჯი და წითელი ფანქრები ეყარა.

ნაეროზაშვილმა თავი წამოსწია. მაიოროვი სამხედრო წესით გამოეცხადა. მერე გვერდზე გადადგა და ჩამომეცალა.

მეთაურს მეც წესისამებრ გამოვეკვიმე. ნაეროზაშვილმა სერჟანტს უთხრა. თავისუფალი ხარო და როცა იგი გაისტუმრა, მაგიდას გამოშორდა, მოღუშული სახით მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა:

— შე ღმერთგამწყრალო, ლამის თავი მოშპერი და ეგ არი!

ამ საყვედურში იმდენი სითბო ერია, ლამის ისევ ავტირდი. გული ამიჩქროლდა და თავს ძალა დაეატანე, რომ მღელვარება არ შემშინეოდა.

ქართლელი ვაქცაი იყო, მკვრივად ჩადგმული, სიმაგრე მქიდროდ ჩაცმულხალათშიც ეტყობოდა. ერთი შეხედვით არსენას ტოლს არ დაუდებდა. ჯეელი იყო, ოცდახუთი წლისა, მეტი არა. წვერი ახალი მოპარსული ჰქონდა, ქოჩორი სათუთად გადავარცხნილი. ისე ფაქიზად ეცვა, გეგონებოდათ დღეობაში მიდიხო.

მე კი ქუქუყიანი ვიყავ. ჯერ კიდევ მოცდენილ ყანასავით ამომდიოდა წვერი. თავს სუსტად ვგრძნობდი.

ეს პატარა მიწური მარტო მას ეკუთვნოდა. აქვე ედგა რკინის, მონიკელე-

ბული, ძველებური საწოლი. ამის დანახვამ გამოიკა. საიდან მოეტანათ მისთვის ეს საწოლი ამ შუაგულ ტყეში? სამაგიეროდ სკამი და მაგიდა თვითნაკეთები ჰქონდა.

გაურანდავი ფიცრებით შეკრულ ტაბურეტზე ჩამოვჯექი როცა მიბრძანა, დაქექიო.

— ქართული სიტყვის გაგონება მომენტარა, ბიჭო... კიდევ კარგი, შენ ერთი მაინც ვადმოგადლო ჩვენთან ღმერთმა! მაგრამ, იცოდე, აქ ქალაჩუნობა არ დამიწყო, თორე... ისევ ქართული სიტყვის გაგონებას მოვინატრებ და აქ კი არ გაგაჩერებ. არავითარ შეღავათს ჩემგან არ ელოდო! შენ არ იფიქრო, რამე გაპატიო! აქ ჩემი ბრძანება ისე სრულდება, ზედმეტად თვალს არავინ ახამხამებს. როგორც კი კაცს ცუდლულტობას შევატყობ, ჰაიდა, იარე! ეს ვერანი ქვეყანა ისე დიდია! ახლა მითხარ, სადაური ხარ და ჯარში როგორ წამოგიყვანეს, დედის რძე არ შეგშრობია პირზე.

ვუთხარი ჩემი ვინაობა. ტყვედ როგორ ჩავვარდი. როცა გაიგო, ცხრამეტი წლისა ვიყავი, თუქვსმეტისა მეგონეო, გამომიტყდა. მერე მკითხა, წვერს არ იპარსავდიო?

— ვიპარსავდი. — მივუგე და მის სუფთა ლოყებს შევავლე თვალი.

— სამართებელს გათხოვებ, გაიპარსე, კაცს დაემსგავსე, სუფთად და ლაზათიანად იარე.

ჩემეცინა. რა გაციენებსო, შემომწყრა.

— მე კი არ მინდა სუფთად რომ ვიარო?! — მივუგე და კიდევ ერთხელ გაკვირვებით შევხედე მის სუფთა სამოსელს. საყვლოზე თეთრი მოსაკერებელი უქათქათებდა.

— შეძლებისდაგვარად ყველაფერს ვაკეთებთ. მართალია ტყეში ვცხოვრობთ, მაგრამ ნადირები კი არა ვართ. არა, ის როგორ დავემართა, ცრემლი რომ წამოგივიდა?

— ასე იცის სიხარულმა. მეც მომენტარა ჩვენს ენაზე ხმის გამცემი.

— როგორ გამეხარდა, ქართულად

რომ დაიძახე! შემოგხედე და ფიქრობო მაგონდება ლამის ერთი ლაზათიანი გთხლიშო!

თავი დაეხარე. მის ცეცხლოვან თვალებს ველარ გავუძელი. შემეშინდა, ემანდ მართლა არა მთხლიშოს-მეთქი.

სამართებელი მათხოვა. მიწურის კუთხეში მივჯექი და ლოყები ჩამოვიფხიკე. სარკეში ვიყურებოდი. ვხედავდი თანდათან როგორ ვლამაზდებოდი. ისე ველავდი, ლოყა ლამის გავიჭერი. ჩემს ღინლს სამართებლის ერთი ჩამოსმა ჰყოფნიდა, მაგრამ პარსევს ვახანგრძლივებდი.

სანამ წვერს ვიპარსავდი, მიწურში სხვადასხვა საქმეზე ჩამოდიოდნენ პარტიზანები. ნაეროზაშვილი მოკლე განკარგულებებს აძლევდა. მომწონდა მისი საქმიანობა.

რაში, სადაც ჩვენ მოვხვდით, პატარა იყო. მცირე იყო მისი სამოქმედო ასპარეზიც.

ჩვენი შემომატება უხაროდათ ტყის ბინადრებს. იარაღიც ხომ მოვიტანეთ.

მეთაურს მადლობა გადავუხადე. სამართებელი დავუბრუნე. შემომხედა, შემათვლიერა, ეგრე რაო, მითხრა. მაშინვე მიბრძანა დავბრუნებულიყავი ოცეულში, სანამ მიწურიდან გავიდოდი, გამაფრთხილა, თუ ივარგებ ჩემს აღიუტანტად დაგნიშნავო. სიტყვა აღიუტანტი განსაკუთრებული ზახვასმით წარმოთქვა. ალბათ თავი გენერლად წარმოიდგინა. ის ხომ ერთ პატარა „სამფლობელოში“ გენერალიც იყო და მარშალიც, გენერლობა კი დამშვენდებოდა! ო, როგორ დამშვენებოდა! მთავარსარდალივით დახრილიყო რუკაზე. ერთი კიდევ შევხედე და ნელა, ზანტად გამოველ მიწურიდან. ფეხები უკან მრჩებოდა.

ცა მოქუფრულიყო და ციოდა. ტყის სინესტე ძვალ-რბილში მატანდა და მამაძაგებდა. სიცოცხლე მოსუფთავებულ ლოყებს მიწიწყნიდა. სახე ხელით მოვისრისე და მიწურისაკენ გავიქეცი.

სალამოს ყველა პარტიზანი ერთად მოგვაწყეს. სულ სამი ოცეული იყო. მზარეულიც კი ჩვენთან ერთად იდგა. უმეტესობას თბილი ქუთოთუც ეცვა, დაბამბული ქუდეები ეხურათ. მეთათურები არაფრით გამოირჩეოდნენ რიგითი მებრძოლებისაგან. გვერივინენ შუახნის მამაკაცები. ერთი-ორი თმათუთრი მოხუციც იყო. ეს შურისმაძიებელნი იხტიბარს არ იტებდნენ, ჭაბუკებს არაფერში ჩამორჩებოდნენ და ჯელებივით თავშემართულნი იდგნენ.

პარტიზანები სერჟანტმა მაიოროვმა მოაწყო. როცა ვლადიმერ ნავროზაშვილი გამოჩნდა, მაიოროვმა ისე, როგორც პარადის სარდლები მრავალათასიან ლაშქარს გასძახებენ ხოლმე, თავმომწონედ, მაგრამ ხმადაბლა დაიძახა:

— სენა! სწორება მარჯვნივ!

მარჯვნიდან კი ნავროზაშვილი მოდიოდა. მაიოროვი მეთაურს შეეგება, უპატაკა და განზე გადადგა. მეთაური მოგვესალმა.

ტყეს დიდი ხმაური არ უყვარს. მით უმეტეს ჩვენი ცახმაურება არ შეიძლებოდა. პარტიზანები მეთაურის მისაღებას დუმილით შეეხვდით. წინასწარ ვიყავით გაფრთხილებულნი, რომ ხმა არავის ამოგველო. ჯარში კი ასე არ ხდება. ამ დროს ჯარისკაცები მთელი ხმით დასკექებენ ხოლმე საპასუხო მისაღმებას. პარტიზანებს ეს არ შეგვეძლო.

ვლადიმერი ამაყად გვიყურებდა. ო, რა თავმომწონე და გოროზი იყო! ყოველთვის, როცა კი პარტიზანებს უცქერდა, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს კიდეც და კიდეც მათ სიმხალესა თუ მამაცობას ამოწმებო. მე, რასაკვირველია, ძალიან კარგად შემატყუო, რომ ჯერ კიდეც მხდალი და გამოუცდელი ვიყავი, რომ ჩემისთანა კაცი ომში ზედმეტი ბარგია, რომ ჩემისთანები მხოლოდ მეომართა სათვალავში არიან და ფინიასავით ებლანდებიან ფეხებში ფოლიათებს. შემატყუო, მაგრამ დამტოვა, რადგან... თავის ენაზე ხმის გამკეში კაცი უნდოდა. სხვა ვერაფრით

ამეხსნა მისი საქციელი. მან ხომ მიწველსავე დღეს აშკარად გამოგვიცხადო, ვინც ლაჩარია ჩემთან არ დაგვტოვებო.

საბრძოლო ამოცანა ვაგვაცნო. ბანაკიდან ოცდაათი ვერსის მოშორებით აეროდრომს უნდა დაესხმოდით თავს.

ყველა საბრძოლო ოპერაციას ნავროზაშვილი და მისი პარტიზანები მართლა პარტიზანულად ასრულებდნენ, არც ერთ სხვა პარტიზანულ რაზმს არ უთანხმდებოდნენ. ნავროზაშვილს თავისი მშვერავთა ქსელი ჰქონდა. სოფლებში საიმედო ხალხი ჰყავდა პოლონელთა შორის, რომლებიც მტრის მოძრაობას ზუსტად აცნობდნენ. მე ეს ამბები ცოტა მოგვიანებით გავიგე.

აეროდრომს შუალამისას უნდა დავეცმოდით. შებინდებისას კი ტყიდან უნდა დავძრულიყავით. როცა დავიშალენით და მიწურებისაკენ გავემართენით, სერჟანტმა მაიოროვმა ჩვენი რაზმიდან სამი კაცი ამოგვარჩია და გვიბრძანა, ბანაკში დავრჩენილიყავით, ღამით უნდა გვედარაჯა. უსიტყვოდ დავემორჩილე მთავრის ბრძანებას, გამეხარდა კიდეც.

შებინდებისას ტყიდან კანტიკუნტად, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით გავიდნენ პარტიზანები. მცირე ამალით გაეშურა მეთაურიც. ჩვენ კი, ბანაკში დარჩენილნი, უმეტესად მოხუცები და შუახნის ხალხი, მათ შორის მე, საგულშაგოებზე გავნაწილდით. აი, მაშინ კი გული მომეწვა ჩემი სიმხდალის გამო.

ჩვენს სამეულში ორი ხანში შესულა კაცი იყო, ერთი რუსი, ციმბირელა პეტრე სტრიეწოვი, მეორე, ვდანსკელი პოლონელი, მაცეი ლოპენსკი. პოლონელმა კარგი რუსული იცოდა და ეს ორი შუახნის კაცი ერთმანეთში ხმადაბლა საუბრობდა. მე ზედმეტად ვკარნობდი მათ შორის თავს. ისინი თითქმის არც კი მაქცევდნენ ყურადღებას.

საგულშაგოზე განვლაგდით. რუმებელი იყო. ხეთან, ნი სადარაჯო იყო, ტყეს ცოტა

ჩემს ქვეშ
დავსაგე რეს
სა
ბიბლიოთ

და გადაშლილი გუმბათი და შედარებით მეტი სინათლე იღვავა. მაგრამ, როცა დაღამდა, აქაც თვალთან მიტანილ თითს ვერ დაინახავდა კაცი. ირგვლივ ჩქამი არ ისმოდა. ბუნება ასე ქარიშხლის წინ, ან დიდთოვლობის მოლოდინში თუ გაირინდებდა ხოლმე.

სიცივე ძვლებამდე მატანდა. ქურჭში ვიფუთნებოდი, მაგრამ შიშის სიცივე უფრო მიპყრობდა. სულ რაღაც უბედურებას მოველოდი, ავტომატს მაგრად ვიხუტებდი გულში. მისი იმედი მქონდა.

წარმოვიდგინე, როგორ მიუახლოვდნენ პარტიზანები აეროდრომს. ნეტავი იმ სიბნელეში თუ რამეს ხედავდნენ. ერთმანეთი კი არ დაეხოცათ. მათი ყინიცი კი ჩამესმა, როგორც იმ დღეს, რკინიგზის სადგურზე. ისევ ისეთი გრიალი ვავიგონე, როგორც მაშინ, სადგურის მოშორებით ეშვლონი რომ ააყირავეს. დამთბა ამ ცახსენებით, მათი სიმამაცით. ცულის სიღრმეში სინდისმა ქენჯნა დამიწყო, არ მომასვენა, მაწვალა, შემრცხვა ჩემივე თავისა, რომ მამაცთა ტრფიალი, მამაცებს გავურობოდი და თბილ ბუდეს ვნატრობდი. იმ წუთში უზომოდ მომიინდა მათთან ყოფნა. მომიინდა ცხენზე ამხედრებული შევპრილიყავი აეროდრომზე და მეც დამეცა მეტი მტრისათვის. მეორე დღეს პარტიზანთა მწკრივის წინ ამაყად რომ ჩაივლიდა ლადო ნაეროზაშვილი, სულ სხეანაირად შემომხედავდა, გამიხმობდა გადამებვეოდა და გადამკოცნიდა. სხეებიც მადლობის გრძობით შემომხედავდნენ.

ეს მხოლოდ ოცნება იყო.

მაიოროვმა ახლა თავისი სურვილით დამტოვა ამ ბებრუხუნებში, თუ ნაეროზაშვილმა უბრძანა? იქნებ უნდა, რომ სიცოცხლე შემინარჩუნოს მხოლოდ იმიტომ... მხოლოდ ხმის ცაცემისათვის? და თუ ბრძოლიდან აღარ დაბრუნდა?

არა, იქნებ იქ უფრო უშიშრად ვყოფილიყავი, თორემ აქ, ბუნების მძიმეზე უმძიმეს დუმილს ლამის სული ამოვლო ჩემთვის.

სტრიქენოვი და ლოპენსკი მალე გაჩუმდნენ. სამივენი ერთმანეთისაგან ცოტა მოშორებით ვიყავით. ხვევისკერძას ჩასაფრებულნი. რული არ შეკარებოდა, შიში მაფხიზლებდა. შიშს ისეთი დიდი თვალეზი მქონდა, რომლის მსგავსი მე არც მინახავს. აშკარად ვხედავდი ამ თვალებს და ვგრძობოდი მის სიძლიერეს. შიში დამცინოდა, დროდადრო ტყეში რაღაც გაილაწუნებდა. გამხმარი ტოტი თუ ჩამოვარდებოდა, ან ნადირი რაიმე გაივლიდა ჩინჩხვარზე. ეს ხამუშ-ხამუშ ხდებოდა. იღვავა ისეთი სიჩუმე, საკუთარი გულის ხმა და ძარღვებში სისხლის ჩქრიალი შესმოდა.

უცებ სახეზე რამდენიმე ცივი მარცვალი დამეცა. ამ მარცვალმა ოდნავ ნემსივით წამწიწკნა. ხერში თოვლი იყო. მალე ხმელ ტოტებზე და ფოთლებზე ბრინჯივით დაიწყო ცვენა და გარემო აშრიალდა. საამური შრიალი გაისმა. მესიამოვნა თოვლის ასეთი ხმაური.

ნაშუალამევს შეგვეცვალეს. ყარაულის განმრინებელმა ჩვენს ადგილზე სხეები დააყენა. ჩვენ კი მას ფეხდაფეხ ვავყევით. ჩემი იმლამინდელი მოვალეობა მოვიხაღე. როცა ბანაკში მივედი, მიწურში ნარზე მივეგდე და მაშინვე დამეძინა. არავის გავუღვიძებია. ჩემით გამეღვიძა, თვალეზი მოვიფშვინტე და წამოვჯექი, ნახევრად ბნელ მიწურში ჩამომსხდარი პარტიზანები გავლანდე. არ ვიცოდი რა დრო იყო. პარტიზანები ქვაბუნებს ახმაურებდნენ. ნომარი, დაქანცული და უზომოდ დამშეულები იყვნენ. არაფერს ამბობდნენ, ხარბად მამდნენ. მერე, კვლავ არაფერი თქვეს, ხენშით, მძიმედ მიწვენენ ნარებზე, ჩაიფუთნენ და დაიძინეს. მეძინებოდა, მაგრამ თავს ძალა დავატანე და ავდექი. გარეთ გამოველ. ეტყობოდა სხვა ოცეულის მეომრებიც მიწურებში იყვნენ, ბანაკი გასუსულიყო. მხოლოდ კენტად დადიოდა შეიარაღებული გუშაგი, მოხუცი პანტელეი პინჩუკი, თერთწვერა, მუდამ სევდიანი, დაღვრემილი კაცი. ცერმანელებმა ძირიძირობამ-

დე ამოწყვიტეს იგი, სახლ-კარიც დაუწყვეს. ახლა შურისმაძიებლებთან იყო სისხლის ასაღებად.

პანტელეი პინჩუი ჩემსკენ წამოვიდა.

— რატომ არ გძინავს? მთელ ბანაკს სძინავს.

— უკვე გამოვიძინე.

— ბიჭებს არ ახლდი?

— არა. წუხელ ბანაკს ვიცავდი.

— ბევრი წაგიგია. მეც ვნანობ, წუხელ პეროდრომს რომ არ დავეცი. ყველაფერი მარჯვედ მოეწყო თურმე. თვითმფრინავი ბლომად დაუწყვეთ და ფრიცებიც საკმაოდ უხოციათ. ასეთი საქმე გვემარჯვება. ოღონდ საწყენი ის არის, რომ ჩვენი ათი კაცი იქ დარჩა. გული მწყდება.

— მეც ვნანობ იქ რომ არ ვიყავი, — განგებ მიეუგა, რომ მოხუცის თვალში როგორმე გავზრდილიყავი. განგებ მაინც უნდა მეთქვა ის, რისი გამკეთებელიც არ ვიყავი. ვინ იცის, იმ ათიდან პირველი მე დავემუღლიყავი, ანდა ისეთი რამ გამომსვლოდა ბრძოლაში, მთელი რაზმი დამეღუპა. ალბათ იმიტომაც არ წამიყვანეს, რომ გამოუცდელი ვიყავი. ასეთ დიდ ოპერაციაზე არც დამისწრებდნენ. ბანაკში ცი იმ დროს მხოლოდ პარტიზანთა უძრავი ქონებაა იყო, რასაც საჭირო შემთხვევაში სულ ადვილად დასთმობდნენ შურისმაძიებელნი. ასეთი რამ ცოტა როდი მომხდარა პარტიზანების ცხოვრებაში, როცა ქონება ცეცხლისთვის მიუციათ.

მოხუცმა შემაქო. თანაც ჩემი წლოვანება ინატრა. მე რომ შენს ადგილზე ვიყო, სასწაულებს მოვიმოქმედებდიო და მაშინვე ქებით მოიხსენია ლადო ნავროზაშვილი. გარდა იმისა, რომ მოსწონდა მისი მხედრული გამჭირაბობა, უყვარდა კიდევ. იმ ათი კაცის დაკარგვა დიდ უბედურებად მიაჩნდა მოხუცს ასეთი მეთაურის ხელში.

ვინ იყო ის ათი კაცი? მოხუცმა არ იცოდა. არ ვიცოდი მეც. გამახსენდა გუშინდელი ჩვენი მწყობრი. მაშინ ისინი ჩვენთან ერთად იღვნენ. ახლა სად

არიან? აეროდრომზე ყრბან მტრის დახოცილ გვამებს შორის, ყრბან მტრეებულნი, დაუტირებლები. ასევე პარტიზანის ხვედრი.

შემაყრეოლა, დავდონდი. მოხუცს ნავროზაშვილს მიწურისაყენ ვანიშნე და ვკითხე:

— სძინავს?

— არა მგონია. ბრძოლის მერე მას არასოდეს არ სძინავს.

ამ დროს შევნიშნე, ლადო მიწურიდან ამოვიდა. კბილებამდე შეიარაღებული იყო. გამიკვირდა, რატომ არ მოეხსნა ავტომატი, ახლა რაღად უნდოდა. ხომ აღარსად მიდიოდა საბრძოლველად. გამიკვირდა ისიც, თუ რატომ არ ისვენებდა წუხანდელი ღამენატეხი და ნაომარი.

დამინახა თუ არა, ხელი დამიქნია, მოდიო. ადვილს მოეწყდი და სამხედრო წესისამებრ გამოვეცხადე.

— გამოიძინე?

— მეძინა.

— ჩამოდი ჩემთან. მარტო ვეღარ ვავძელი.

მიწურში ჩავედით. საწოლთან მივიდა და ჩამოჯდა. ავტომატი მკერდზე შეისწორა. შევატყე, საშინლად ლელავდა. მალემალ ქვედა ტუჩს იყვებდა.

— თქვი რამე! — მკვახედ მიბრძანა. ამან მთლად დამაბნია, დავდუმდი და მივაჩერდი.

— ხალხი დავკარგე. მთელ სიცოცხლედ მიღირდა თითო მათგანი. დავკარგე... იმდენი პატივიც ვერ დავდეთ, რომ მიწისათვის მიგვებარებინა. რაღაც ვერ გამოვზომეთ, რაღაცაში მოგტყუვდით.. არ უნდა დაგვეკარგა ამდენი, რაც ვიბრძვით, ათი კაცი სულ არ დაგვეკლებია, ამით მომქონდა თავი.

— საწყენი ამბავია, — ვთქვი ხმადაბლა. მას ეს ჩემი ნათქვამი სხვათაშორის ეჩვენა, გადააფურთხა და მომახანლა, რა უგულო რამა ყოფილხარო. ლამის მიწურიდან გამავლო. ავიღეწე. სახეზე აღმური მომედო. არ ვიცოდი, რა მექნა.

ნავროზაშვილი დრტვინავდა, ვერ ისვენებდა. ბოლოს მომიბრუნდა და მკვებელ მიბრძანა, სერჯენტ მაიოროვს გამოუძახეო. აქვე მოაყოლა ბრძანებას, შენ ნულარ დაბრუნდები, კარგად გამოიძინე, ამაღამ შეიძლება ადგილსამყოფელი გამოვიცვალოთო.

რადაც ცუდად იყო საქმე, რომ ბანაკის აყრას ლამობდა. თურმე ყოველთვის ფრთხილად და დაკვირვებით იქცეოდა, ტყეში ისეთ ადგილებს არჩევდა, სადაც მტერი ადვილად ვერ მიავნებდა. ამისი საოცარი ალღო ჰქონდა. მართლაც დიდი დანაკლძი იყო პატარა რაზმისათვის ათი კაცი! მით უმეტეს დასანანი და საწყენი იყო უფრო მეტად იმიტომ, რომ ისინი სადღაც დაუმარხავი და დაუტოვებელი იყარნენ.

ამ ამბავს ძლიერ ცანიცილიდა მთელი რაზმი, ყველაზე უფრო მეტად ნავროზაშვილი. იგი ზედმიწევნით ფრთხილად ეკიდებოდა თავის მებრძოლებს და ყოველი ახალი მამაცი მეომრის შემომატება სიხარულით ავსებდა, ალაღებდა, მაგრამ უცებ არავის ენდობოდა.

იმ ღამეს ადგილსამყოფელი გამოვიცვალეთ. მთელი სამი დღე ბანაკის მოწყობას მოუწოდით და არ გვიოშია.

მეოთხე დღეს კი ნავროზაშვილი ისევ აფორიაქდა. ბანაკიდან ორ ვერსზე სამხედრო ეშელონს უნდა გაეგლო. მიკვირდა საიდან მოსდიოდა ასეთი ცნობები მეთაურს. ბანაკში რადიომიმღები და ფადამცემი მოწყობილობანი არ იკვებონდა. ნავროზაშვილიმა კი სულ დაწვრილებით იცოდა მტრის მოძრაობა.

გერმანული რუკა ჰქონდა. ბანაკის გარშემო, ასიოდე ვერსზე ყველაფერს დაწვრილებით იცნობდა. კაცს ეგონებოდა აქ დაბადებულა და აქვე გაზრდილაო. ბევრ ადგილს კი ჩვენსავით ხამად ადგამდა ფეხს. მაგრამ გარემოს უცხოობას არ იმჩნევდა.

მიხაროდა ამ კაცთან ყოფნა. ხანდა-

ხან მწარე სიტყვას რომ მესრბოდა და რამეს უკმეხად მიბრძანებდა, უკმეხად არ მწყინდა. თვალეში ვუხუროდი ყველაფერს უსიტყვოდ ვუსრულებდი. ...არც იმ ეშელონის ასაყირავებლად წამიყვანა. მინდოდა კი.

ვახარებული დაბრუნდა. უბრალო ვანაკაწრიც კი არ აჩნდათ პარტიზანებს. ბანაკის დღიურში იმდღევანდელი ამბავი რამდენიმე კაცის თანდასწრებით ჩასწერა ლაღომ. ის ჩანაწერი თედორე მაიოროვს, პეტრე სტრიეცოვსა და მაციეი ლოპენსკის დაადსტურებინა. მათ რეკრიგობით მოაწერეს ხელი.

ლაღოს მეორე რვეულიც ჰქონდა, რომელშიც მთავრობის ჭილდოზე წარსადგენთა სიას წერდა. ამ სიასაც რამდენიმე კაცი უდასტურებდა. ბანაკში ბევრი ჰყავდა ლენინის, წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის ორდენოსნები; მედალოსნები უფრო ბლომად. თუმცა არც ერთ მათგანს ეს ჭილდო მიღებული არ ჰქონდა და ამის შესახებ ჭერჭერობით არც არაფერი არ იცოდნენ მოსკოვში, კრემლში. კალინინისათვის ის სიები ჭერ არავის არ წარედგინა.

ნავროზაშვილი თავის ბიჭებს აგულიანებდა და ყოველი ბრძოლის შემდეგ უხვად „ურჩებდა“ მთავრობის ჭილდოებს. იმედი ჰქონდა, რომ ოდესმე მის მიერ შედგენილი სიები კალინინთან აღმოჩნდებოდა და საბჭოთა ქვეყნის სტაროსტა სიამოვნებით მოაწერდა ხელს მამაცი პარტიზანების და ჭილდოების ბრძანებულუბაზე.

საწოლს ქვეშ ერთი პატარა ცეცხლგამძლე ყუთი ჰქონდა ნავროზაშვილის. დაჭილდოებულთა სიებს და საბრძოლო დღიურს ამ ყუთში საგულდაგულოდ ინახავდა.

ზამთრის ერთ საღამოს დღიურში ძალზე მოკლედ ჩაწერა: „დღეს რაცა ეიშოვნეთ. ჭერ არ ვიციით, საღ, რომელ ტალღაზე დავუკავშირდეთ ჩვენებს“.

რადიოსადგურისათვის ცალკე მიწური გავთხარეთ, იქვე მეთაურის მიწუ-

რის გვერდით. ახლა თავისი მზვერავების საშუალებით ნაეროზაშვილი უნდა დაკავშირებოდა რომელიმე უახლოეს პარტიზანულ რაზმს, დაეთქვათ საიდუმლო სალაპარაკო ნიშნები და ამ ნიშნებით გაებათ კავშირი ერთმანეთთან. სანამ ამ საქმეს მოაგვარებდა, რადიოსადგურზე დღმდა. ნაეროზაშვილი ფრთხილობდა, მტერს არ აღმოეჩინა იგი და ამით ბანაკის ადგილსამყოფელისათვის არ მიეგნო.

თოვლა. მე და პანტელეი პინჩუკი სადარაჯოს პირველ ეშელონში ვიდექით. ეს ადგილი კარგა მოშორებით იყო ბანაკიდან. მეორე ეშელონში სხვები იდგნენ. მესამე რიგის დაცვა უშუალოდ ბანაკში იყო.

ისე საამურად ბარდნიდა და ისეთი მყუდროება სუფევდა ირგვლივ, ბევრ შვივით აღტაცებული ვიყავი. ასეთი მსხვილი და მძიმე-მძიმედ მოფარფატე ფიქვები არასოდეს მინახავს. ბევრ ზამთარს შევსწრებივარ, მაგრამ ის დღე მაინც დაუეწიყარია ჩემთვის. პანტელეისაც უხაროდა. ვუყურებდი ამ თეთრწვერა მოხუცს და მსიამოვნებდა მისი ცქერა კიდევ იმიტომ, რომ იგი, თეთრ, გრძელ ქულაჯაში გამოწყობილი კაცი, ნამდვილ თოვლის პაპას მავონებდა. ერთი ცანსხეავება მარტო ის იყო, რომ საახალწლო ნაძვის ხეზე მოსულ ბერიკაცს ტკბილეულობით საცხე კალათა უჭირავს, ამ მოხუცს კი ავტომატი მოემარჯვებინა და ცოტა მკაცრი გამომეტყველებაც ჰქონდა.

ტყეში ბევრი ნაძვი და ფიჭვი იყო. მათი მუქი ლურჯი ტოტები თოვლს დაემძიმებინა და დაეხნიქა.

თოვლის პაპა წინ მიდიოდა. უკან მე მივეყვებოდი. მძიმე-მძიმედ ვადგამდით ნაბიჯებს. გვათოვდა, სულ თეთრად ვიგუნგლებოდით. არა გვეციოდა. საამური იყო ტყეში ასე ნება-ნება სიარული, თოვლის ხრაშუნი. ზოგ ტოტზე თოვლი ზედმეტად დაზვინულყო. ტოტი იხრებოდა. თოვლის ზვინი ჯერ ნელ-ნელა

იწევდა დაბლა, მერე უცებ ჩამოცურდებოდა. რბილად უხმაურტყდუნეფმწენებოდა, თეთრი ბური დგებოდა. სუფალი ტოტი ისე აქანავდებოდა, თითქოს სიმძიმე რომ მოიშორა, შვებით ამოისუნთქაო.

მოხუცი შეჩერდა, სმენა დაძაბა. მეც გავინაბე და მაშინ კი გავიგონე ვილაცის ფრთხილი, მძიმე ნაბიჯების ხმა, თოვლის ხრაშუნი.

მალე გამოჩნდა უცნობი. შორიდანვე ადვილი შესამჩნევი იყო საბჭოთა მფრინავის ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი.

დავინახეთ თუ არა, მოხუცმა არ დააცუნა, რიხიანად დასტუქა:

— შესდექ! ხელები მალა!

უცნობი მაშინვე დაგვემორჩილა. ხელები ასწია და აღელვებული ხმით მოგვმართა:

— ამხანაგებო, მე თქვენთან ვარ... როგორ მიხარია, რომ მოგაგენით!

— გული არ აგვიჩუყო! — მკვახედ და ცოტა არიყოს დამცინავად მიუგო მოხუცმა. უცნობს მიუახლოვდა, — ფატუბ ჩვენიანი უნდა იყო, მაგრამ სანდო ხარ თუ არა, ამას იქ გაარკვევენ. იარალი უსიტყვოდ უნდა ჩაგებაარო.

რევოლვერი აღმოაჩნდა. მაშინვე მოგვცა. საბუთებიც გვიჩვენა.

— გუშინ ჩამომავდეს... გეძებდით... მაღლობა ღმერთს, რომ მოგაგენით, ახლა აღარეფერი მიშავს.

— მე დაკითხვას ვერ დაგიწყებ, — მიუგო მოხუცმა, — აქ ლაპარაკის უფლებაც არა გვაქვს. იარე!

— მკაცრი ყოფილხართ პარტიზანები, თქვენთანსაც არ ენდობით, — ალაღად ვაიღიმა მფრინავმა.

— თუ საქმით დაგვიმტყიცებ, გენდობით და მეტიც იქნება. ახლა მოვრჩეთ ლაპარაკს, თორემ ტყეს არ უყვარს ზედმეტი ლაი-ლაი!

ამით ვათავდა ჩვენი გასაუბრება უცნობთან. სანამ უახლოეს სადარაჯოსთან არ მივედით, ხმა არავის არ ამოუღია. უცნობი მფრინავი მეორე ეშელონის დარაჯებს ჩაებაარეთ და ჩვენ ჩვე-

ნი მოვალეობის შესრულება განვაგრძობ.

ვლადიმერ ნავროზაშვილმა პარტიზანების ახალი ხიზანი მიიღო. მეც იქ ვიყავი. მფრინავს თედორე მაიოროვი, და პეტრე სტრიჟენოვი მოჰყვენენ. პეტრე სტრიჟენოვი ცონებაგახსნილი, განათლებული კაცი იყო და ყოველთვის ის ესაუბრებოდა ვინც კი ახლად მოგვევლინებოდა პარტიზანებში. სწორედ ამ კაცმა დაგვიტოხა ჩვენც.

სტრიჟენოვმა დაწვრილებით მოახსენა ნავროზაშვილს საბჭოთა მფრინავის ვინაობა.

ლადო ნავროზაშვილი უსმენდა, მაგრამ მფრინავს მზერას არ აშორებდა. მფრინავი შესახედავად მოხდენილი ყმაწვილკაცი იყო. კარგი ვაჟკაცი ჩანდა და გაბედულად უყურებდა პარტიზანების მეთაურს.

ყველანი ვისხედით, მე, რასაკვირველია, მოშორებით, კუთხეში ვიყავი მიკუნტული და თვალს არ ვაშორებდი გაურანდაგი ფიცრებით შეკრულ მაგიდას, რომელსაც პარტიზანები და ის მფრინავი უსხდნენ.

ერთ ხანს დუმილი ჩამოვარდა. ყველა ულოდა, რას იტყოდა პარტიზანების თავკაცი.

— ამხანაგო ბერიოჟკინ, საიდან იცოდით, რომ ჩვენ ამ ადგილებში ვიყავით? — ჰკითხა ლადომ.

— არ ვიცი. ან საიდან მეცოდინებოდა! — გაიღიმა მფრინავმა, — ბედმა არ მიღალატა.

— დაზვის ტყვიამფრქვევი შესწავლილი გაქვთ?

— არასოდეს არ მისვრია. მე ლეიტენანტი ვარ. შემიძლია ოცეულის მეთაურობა, ასეულისაც გავუძღვები.

— დაზვის ტყვიამფრქვევზე იქნებით, — მოკლედ მოუპრა ნავროზაშვილმა, — მეორე ნომრად.

ლეიტენანტი უკმაყოფილოდ შეიშმუნა, მაგრამ მაშინვე ძალდატანებით

გაეღიმა. ეს კი ნავროზაშვილს არ გამოჰპარვია და მაშინვე მიუგო:

— თუ არ მოგწონთ, შეგვიძლია გადავიცლოთ გზამდე... გაქვთ რაიმე შეკითხვა? მაშ თაქისუფალი ბრძანდებით. ამხანაგო მაიოროვი! — მიუბრუნდა სერჟანტს, — ჩარიცხეთ თქვენს ოცეულში, ტყვიამფრქვევზე, მეორე ნომრად.

სერჟანტი და ლეიტენანტი წამოდგნენ. მხედრულად გამოემშვიდობნენ მეთაურს და მიწურიდან გავიდნენ.

— ამხანაგო სტრიჟენოვი, — მიმართა ნავროზაშვილმა მასთან მიწურში დარჩენილ პარტიზანს, — აბა, მითხარით ის ადგილი, სადაც მისი თვითმფრინავი ჩამოავდეს.

ნავროზაშვილმა რუკა გაშალა.

სტრიჟენოვმა მოახსენა ზუსტად ის, რაც მფრინავის დაკითხვის შემდეგ იცოდა. დაახლოებით მაინცნა ის ადგილები, რომელიც ბერიოჟკინს ჰქონდა მითითებული.

ნავროზაშვილი ერთ ხანს დაფიქრებული დაჰყურებდა რუკას. ალბათ გონების თვალთ კიდევ გახედა მთელ იმ გზას, რაც მფრინავმა ჩვენს ბანაკამდე გაიარა. ეს იყო რთული, წინააღმდეგობით სავსე გზა, სადაც ყოველ წამს შეიძლებოდა წასწყდომოდა მტრის პატრულს, ანდა მოზრდილ რაზმსაც კი. არ ვიცი, ნავროზაშვილს ასე ძალიან რად სჭირდებოდა თვითმფრინავის დაცემის ადგილი. რამდენიმე დღის შემდეგ კი ყველაფერი ცხადი გახდა მხოლოდ ჩემთვის და კიდევ რამდენიმე კაცისათვის. ნავროზაშვილმა თავისი შორეული მშვერავების საშუალებით, სოფლებში რომ ჰყავდა, დააზუსტა თვითმფრინავის ჩამოვდების სინამდვილე და ისიც, რომ იგი ნამდვილად საბჭოთა მანქანა იყო. იმ წუთებიდან, როცა ეს ცნობა მიიღო, განსაკუთრებულად თბილად მოეკიდა ლეიტენანტს, მაგრამ თანამდებობა მაინც არ შეუცვალა. აღარც ბერიოჟკინი თავილობდა ტყვიამფრქვევის ტარებას. მას მოსწონდა პარტიზანული ცხოვრება, მაგრამ მაინც ცისკენ ეჭირა თვალი და მუდამ იმ

დღეს ნატრობდა, როცა თვითმფრინავით ისევ კამარას შეკრავდა, ცის იალაღებში გაინავარდებდა.

ასე თითო-ოროდ გვემატებოდნენ პარტიზანები და ყველანი მკაცრ შემოწმებას გადიოდნენ. ყველას ნდობა არ გამოგვადგებოდა. ბრძოლაში ვკარგავდით ხალხს და ვერაფრით ისე ვერ გაიზარდა ჩვენი რაზმი, როგორსაც ლადო ნავროზაშვილი ნატრობდა. მას უნდოდა პყოლოდა დიდი, ძალზე დიდი არმია, რომ ამ ძალით სასწაულები მოეხდინა, რომ უფრო მედგრად დასსმობდა მტერს. ახლა მეტისმეტად ფრთხილად იქცეოდა, ეშინოდა ხალხი არ დაჰკლებოდა და ბოლოს ისე არ შეთხელეებულყო რაზმი, რომ რამდენიმე კაცის ანაბარას თავისი თავის გადარჩენაზედა ეზრუნა.

ერთ დღეს რაზმში გამოჩნდა ქალი. აქამდე სულ მამაკაცები იყვნენ. თითქოს განგებ, ქალები სათოფრზე არ გვეყარებოდნენ, თუ ვერ ავნებდნენ ჩვენს პარტიზანულ რაზმს, „საქალეთ-გაწყვეტილებს“ მართლა რაღაც გვაყლდა და გამოვცადეთ, რომ უქალოდ ბრძოლაშიც კი ცოდონი ვიყავით.

და აი, ამ ერთმა გოგონამ იმდენი სიტბო მოიტანა, ბევრს ალბათ მიჯნურთან განცდილი სანუკვარი წუთი გაახსენა, ზოგს თავისი სატრფო უფრო მეტად მოანატრა.

იგი ბიჭურად ჩაცმული გამოჩნდა, ვაკეაცივით შეიარაღებული, ქერა, მაღალი, პოლონელი გოგონა ევგალია კოვალსკა. შესანიშნავად ლაბარაკობდა რუსულად. როცა რაზმში თავისიანებს, პოლონელებს შეხვდა, პოლონურადაც აქიკიკდა.

მისი მოსვლით ვაცოცხლდა მამაკაცების მეტისმეტად დამძიმებული, დაფიქრებული ბანაკი. ახლა ისე ვიგრძენით, როგორც ტრიალ მინდორზე რომ მიღიხარ, არსაიდან ხმა არ გესმის და უცებ ერთი ჩიტუნა შემოგვსტევენს შემოგვჭიკჭიკებს და სულ სხვა კაცად

გვაქცევს, წყენას ვავიქარვებს, სიამებს მოგფენს და შენც ავამღერებს. მეთაურმა რადიოსადგულზე ჩაბარა, ბინაც იქვე მიუჩინა. ევგალიას ბრძოლა სწყუროდა, მეკავშირედ სხვა დანიშნეთო, მოითხოვდა, მაგრამ ლადო ამ ქალის მუდარამაც ვერ გატენა და რაც ბრძანა მტკიცედ შეასრულა.

რაც დრო გადიოდა, ძლიერ დავუახლოვდი ლადოს. მალე პირველ საბრძოლო ოპერაციაზედაც წამიყვანა.

მაშინ სამხედრო უშელონი ავაყირავეთ. ო, რა ვნახე! უზარმაზარი კატასტროფის ცოცხალი მოწმე გავხდი. დავინახე, ჩვენს მიერ დაგებულ ნაღმზე როგორ აფეთქდა ორთქლმავალი, როგორ უცებ შეტორტმანდა, დაიძაგრა და დაქრილი ცხენივით შეიძართა, თავი ველარ შეიკავა და ვერც ვავონების ჯაჭვი შეაჩერა. ვავონები ერთმანეთს შეემსხვრნენ. გამაყრუებელი და გაბმული გრიალი გაისმა. ცოცხალი ძალა და სამხედრო იარაღი ერთმანეთში აიზილა.

გოცებული ვეყურებდი ამ სურათს. გული ვამალებით მიცემდა. მართლაც, დიდი საქმე გავაკეთეთ, იქ, შორს, ჩვენს ქვეყანაში რამდენი სახლი გადავარჩინეთ დანგრევას, რამდენი ბავშვი დაობლებას, რამდენი ქალი დაქვრივებას. ეს იყო ჭეშმარიტი ზეიმი, მაშინ, როცა ჩვენ ფრჩხილიც არა გვტყენია. წარმატებით აღეღებულენი დავბრუნდით ბანაკში.

დადლილ-დაქანცულმა ლადომ მხოლოდ თავის მიწურში გამოსცალა წყლით სავსე მათარა. მერე შემხედა და გამიღიმა.

— ჰა, რას იტყვი, ხო ვართ ჯივრიანი ბიჭები? ერთი-ორი ასეთი საბრძოლო ოპერაცია და მედლით დაგაჯილდოვებ. ვმადლობ-მეთქი, ვუთხარი და გავეკიმი. დამსვა. მაშინვე თავისი ცეცხლგამძლე ყუთი გახსნა და რაზმის დღიური ამოიღო.

სულ მინდოდა მეკითხა, საიდან ჰქო-

ნდა მოტანილი ეს მონიკელებული საწოლი. ვერ ვუბედავდი. მაგრამ ახლა, როცა რაზმის დღიურში სასიამოვნო ამბები ჩაწერა და მერე ეს ჩანაწერი სტრიქონებსა და მაიორებს დაამოწმებინა, ვაგუბედვ და ვკითხე.

ღმილით შეხედა თავის საწოლს.

— სხვებს ნარებზე სძინავთ, მე კი, ხედავ, ფაშასავითა ვარ, მონიკელებული რკინის საწოლი მიდგას. ამას წინათ ერთი გრაფის მამულს დავეცით. გერმანელების პატარა გარნიზონი, იმ მამულში რომ იდგა და პოლონელ გლეხებს სისხლს უშრობდა, სულ ერთიანად ვაეფუეთ. მერე მთელი ასეული გამოგზავნეს, ვითომ, ყოფას ვიტყვებთო, დამუქრნენ გლეხებს. არც ის ასეული გავახარეთ, სანამ თითს გაატოკებდნენ, იმ ასეულის ჯარისკაცებსაც კარგად გავუსწორდით. ერთი სიტყვით, როცა იმ გრაფის სასახლეში გავიარგამოვიარე, რასა ვხედავ: ერთ ნახევრად ბნელ კუთხეში დგას აი, ეს საწოლი. შევხედე და ვამედიმა. რას ვეღიშებოდა მე მაგ საწოლზეო, მკითხა მაიორი. კარგი ბიჭია, ეგ ღმერთადლი! ისე-მეთქი, ვუთხარი. მერე ველარ დავუშალე და ვამოვუტყდი, შინ სწორედ მავნაირი საწოლი მედგა-მეთქი. ეს იყო და ეს. ბიჭებმა მოიტანეს და დადგეს. მართალია მძარცველები არა ვართ, მაგრამ ეს ერთი გამოჩაქვითი კი ვაგვეცეთ. ვაგიმარჯვებთ და ისევ იმ სასახლეში მივიტანთ და დავდგამთ. თავით ჩემს საწოლს აი, ეს რგოლები არა აქვს, მაგრამ ფერხითი სულ ერთნაირებია. დაწვები, შევხედავ და თავი შინა მგონია.

— შინაური კამოდიც რომ სადმე შევკვებდეს? — შევეუთამამდი.

— ნიჭიერი ხარ! — მითხრა წყენით. შევატყვე, რომ მართლა ეწყინა ჩემი ნათქვამი. ის კი ბავშვურად განიცდიდა ამ უბრალო, მონიკელებული საწოლის ქონებას. მე კი ამის გამო აღტაცება ვერ გამოვამყლავნე.

წყენა მალე დაიქარვა.

— ისე, ჩვენებურად კამოდიც რომ

გვედგას აქ, არც არაფერი დამეცდებოდა. მგონი, შენც არ იტყოდით უკრს, აგერ, იმ კუთხეში დედსაპურებში, საესე ხალამბარი რომ იდგეს. ახლი თავს და მახობლიანი თონის პურის სუნი რომ გეცემა და სურნელებით დაგბნიდავს, რას ამბობ! ხშირად ისე მომენატრება ხოლმე, გული ლამის ამომივარდეს. მინდა სულ მალე ვავალიტო ეს ოხრები. იმ ქაჩეთის ციხისა არ იყოს, ხოცავ და თითქოს ისევ ცოცხლდებიან. აუყირავებ ეშელონს, ახლა სხვა მოდის!..

— დაიწრიტებიან.

— ჩვენ კი ჩვენი გვემართება და! — შეიგინა და გადააფურთხა.

— ნება მოშეცით! — გაისმა ქალის წკრიალა ხმა. ეს ევლალია კოვალსკა იყო. იგი მიწურის ღია კარში გამოჩნდა.

— მობრძანდით. — უთხრა ლადო ნავროზაშვილმა.

ქალმა თოვლით შეგუზგულული ტანისამოსი ჩაიბერტყა და ლადოს მიუახლოვდა. რადიოგრამის შიფრი ვადასცალადომ ქალადლი ისე ჩამოართვა, ევლალიასთვის არც შეუხედავს. უმაღლათავისუფლა იგი.

ქალთან რომ დაიმორცხვა, ეს მაშინვე შევნიშნე.

— მართლა ლამაზია, თუ გვეჩვენება? — უცებ მკითხა ლადომ, ჩემ პასუხს არ დაელოდა. ვანაგრძო, — აქ ჯოჯოხეთის მამხალაც რომ მოსულიყო, ალბათ ისიც მზეთუნახავად მოგვეჩვენებოდა.

— ლამაზია, ძალიან ლამაზი!

— ჰო, მორჩი! აქ ლექსების წერა არ დამიწყო! — რბილად შემომწყრა.

მას შემდეგ რაც მე პარტიზანების მეთაურის ადიუტანტად ვითვლებოდი, საგუშაგოზე აღარ მიშვებდნენ. ბრძოლაში თან დავეყვებოდი ლადოს. შევეუთამამდი და თავისუფლად ვესაუბრებოდი.

რადიოგრამა ვამიფრა, რუკა ვაშალა და ფიქრებში წავიდა. მომავალ საბრძოლო ამოცანას სახავდა.

დიდილობით ევლალის მიწურში ჩვილიდით რამდენიმე კაცი, ლადო ნავროზაშვილი, თედორე მაიოროვი, პეტრე სტრიჟენოვი, მაციე ლოპენსკი და მე. ყველამ კარგად იცოდა, რა სადღეობა იყო კაცი ვიყავი, მაგრამ მეთაურს თავის შშობლიურ ენაზე რომ ველაპარაკებოდი, ესეც დიდი სამსახური იყო. მე რომ ცოტა იუმორით დავეჭილდოვებინე ღმერთს და შეშლებოდა მეთაურის გართობა, მაშინ პარტიზანები აღიუტანტის ტიტულს მომიხსნიდნენ და მეთაურის მასხარას შემარქმევდნენ. მე კი, გულჩათხრობილს, ისევ ლადო ნავროზაშვილი მამხნევებდა, ის მაყენებდა ფეხზე, ის იყო ჩემი იმედი, ცოცხალ არსენას რომ ვხედავდი, ესეც ძლიერ მახარებდა.

მოსკოვიდან გადმოცემულ უკანასკნელ ცნობებს ვუსმენდით. სასიხარულო რამეს ცოტას თუ ვიგებდით და ჩვენ, სადღაც მტრის შორეულ ზურგში მყოფნი, ღრმად ვუფიქრდებოდით შექმნილ მდგომარეობას. ბევრი ჩვენთაგანი იმედს არ კარგავდა, მაგრამ ისიც კი, ვისაც ცოტაოდენი შიში მანც ჰქონდა, უიმედობის გამოქვლივებს ვერ ბედავდა, რადგან პარტიზანთაგან უფლება არავის ჰქონდა იმედიანად არ ყოფილიყო. პარტიზანები ეს მხოლოდ იმედიანი ხალხია. მეთაური ამას მოითხოვდა. ამას მოგვაგონებდა ყოველი ბრძოლის წინ და ბრძოლიდან დაბრუნებისას.

ერთ დღეს საიდუმლო შიფრი გამატანა ლადომ ევლალისთან. პასუხი მაშინვე მოეუტანე. ლადო მეზობელ პარტიზანულ რაზმს გამოელაპარაკა. პასუხი რომ გაშიფრა, მაშინვე სერჟანტი მაიოროვი გამომამახებინა.

— გამოყავით ორი პარტიზანი, — უბრძანა ლადომ მაიოროვს, — ჩვენი რადისტი უნდა გააცილონ პარტიზანულ რაზმ „მწვანე ბორცვში“. იქ ქალებიც არიან...

— ამხანაგო მეთაურო! — ცოტა არ იყოს, გაკვირვებით შეხედა სერჟანტმა.

— შეასრულეთ! — მკვებელ მოუტრა ნავროზაშვილმა.

— არის! — მძიმედ, უხალისოდ თქვა მაიოროვმა და ზანტად გავიდა მწიფთაქანდან.

ჩემად მივჩერებოდი ნავროზაშვილს. იგი არ მიუყრებდა. ვატყობდი, რომ ღელავდა, თუმცა ცდილობდა კი, რომ მღელვარება არ შეემჩნია. გამოიძახა თვითონ ევლალის კოვალსკაც. თვალს არიდებდა და ისე ეუბნებოდა. ბრძანება იყო მოკლე და გასაგები.

ევლალის თვალები აუწყლიანდა, ვერაფერი თქვა. ქალურმა ნისუსტემ წასძლია, მაგრამ თავი მანც შეიკავა.

— მაგლებთ?

— „მწვანე ბორცვში“ ბევრი ქალია. თქვენთვის იქ უკეთესი იქნება. ნახვამდის! — ხელი გაუწოდა ნავროზაშვილმა და მაშინ კი გაბედულად შეხედა თვალეში. შეხედა და მაშინვე გაუშვა ხელი.

ევლალისა შეტრიალდა. კართან რომ მივიდა, ერთხელ კიდევ მოხედა ლადოს.

ლადომ ნიკაპი მოისრისა და ისე საცოდავად, ძალდატანებით და შესაბრალისად გაიღიმა, სულ რომ არ შეშვენოდა მის ვაჟკაცურ იერს.

ევლალისა კოვალსკა იმავე დღეს გააცილეს. მთელი რაზმი სინანულითა და გულისტკივილით გამოემშვიდობა. ყველას გული დაგვწყდა.

გამცილებელმა პარტიზანებმა იგი მშვიდობით მიიყვანეს მეზობელ შურისმაძიებლებთან.

და კვლავ მარტო მამაკაცები დავრჩით. არავინ იცოდა რა მიზეზის გამო მოიშორა ის ერთადერთი ქალი ნავროზაშვილმა. ვერც ვერავინ უბედავდა ამის კითხვას. მე კი, თან რომ დავუყვებოდი და ნიადაგ თვალეში შევყურებდი, ვაჟკაცს სევდის ახალ-ახალ ხნულს ვატყობდი.

ევლალისა კოვალსკას წასვლის შემდეგ „რადიოსადგური“ ერთმა კაცმა

ჩაიბარა. კვლავინდებურად ვუსმენდით ხოლმე მოსკოვის ვადმოცემებს ჩვენთვის დიდი სიახარული იყო სტალინ-გრადათან საბჭოთა არმიის გამარჯვება.

რალაც ძალზე იმედიანად მოაბიჯებდა ცხრაასორმოცდაორის გაზაფხული. მაგრამ სტალინგრადი ჩვენგან ძალზე შორს იყო და გამარჯვებული მებრძოლების ხმა ჩვენამდე არ აღწევდა.

ყინული ლღვებოდა, გაზაფხულის თქეში დაიძრა.

მოსკოვს ვუსმენდით რადიოს ხრინწიანი, ჩუმი ხმით, მაგრამ ვგრძნობდით, რომ ჩვენი დედაქალაქი ახალი შეტევებისათვის ამხნევებდა ჩვენისთანა ბიჭებს.

კარგი ამბების მოსმენა ყოველთვის გვადფრთოვანებდა. ამ აღფრთოვანების უამს ლადომ რამდენიმე ძალზე რისიკიან ბრძოლაში გაგვიყვანა.

დაჯილდოებულთა სიაში უკვე მედალოსნებთან ვეწერე. მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის მარგუნა. კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ მედალი რომ გულზე არ მეკიდა, ეს კი მადონებდა.

ერთხელ, ეს მოხდა სწორედ მაშინ, როცა პირველად გალურჯდა ცა, როცა მზემ ტყეშიც ჩამოაღწია, როცა აქა-იქ, ღრანტეებში ჩარჩენილმა თოვლმა დნობა დაიწყო და მზის სხივებში შემთბარი ჩიტუნები ლალად აჰიკვიკუნენ.

მე და ლადომ ბანაქა ჩამოვუარეთ. ამ დროს ჩვენი რაზმი ასამდე კაცს ითვლიდა. ცხენებიც საკმაოდ გვეყვდა. ორი სამთო ქვემეხიც კი გავგახანდა. ერთხელ თავის ეკიბაყიანად მსუბუქი ტანკიც კი ჩავიგდეთ ხელთ, მაგრამ ტანკი გზაზევე დავეწვით. ბევრ რამეს ვშოულობდით. კარგი აფთიაქიც გვექონდა ყოველნაირი წამლითა თუ ვადასახვევით. აი, რადიოსადგურისათვის კი პატარაიებს ვერსად ვერ მივაგენით. ამიტომ რადიოსადგურს ძალზე ცოტა ხანს და ისიც აუცილებლობის დროს ვამუშავებდით. ლადოს ბრძანების გარეშე რადისტს უფლება არ ჰქონდა ჩაერთო.

როცა ლადომ მათოროვის ოცულის ახლადგაჭრილი მიწური დაათვა-

ლიერა, სტრიენოვის მიწურისავე გავემართეთ. ბანაკს ახალ, ადგილზე ვაწყობდით და ნაეროზაშვილს/ხანტრეესებდა, როგორ განლაგდნენ ოცულები.

უცებ შეჩერდა ლადო. წარბი შეკრა და მომაჩერდა.

— გესმის?

— არაფერი არ მესმის, — ვუპასუხე და მხოლოდ მისი თქმის შემდეგ დავძაბე სმენა. მაინც ვერ გავიგონე ისეთი რამ, რასაც მეთაურის წყორმა შეეძლო გამოეწვია.

— მომყევი! — მიბრძანა და სირბილით გაეშურა „რადიოსადგურისაკენ“.

ავედევნე. როცა მიწურს მივუახლოვდით, მაშინ ვარკვევით გავიგონე ვადამცემის ხმა.

სახელეწილმა და გაბრაზებულმა ლადომ მიწურის კარი შეაჯახუნა და რადიოსიგნალებიც მაშინვე შეწყდა.

ყველაფერი სწრაფად, თითქმის თვალის ერთ დახამამებმაში მოხდა. ლადოს მხარს ავეკარი, უცებ დავინახე რადიოვადამცემთან ჩამჯდარი ლანდი. ვერ გავარჩიე ვინ იყო. სანამ რამეს გავარკვევდი, უცნობის ხელში რევოლვერმა იელვა. მომეჩვენა რომ იარაღი ჩემსკენ იყო მიმართული... ტყვიას კი ლადოს მკერდთან დავხვდი და აღარაფერი მახსოვს.

ლადო ნაპროზაუვილის დღიურიდან

....მაშინვე დავიჭირე ის შობელქაღლი. გული დამეთუთქა ასე რომ ვენდე. ჩვენიანი მეგონა და მოვტყუვდი. აღარ ვაცალე მეორედ გასროლა, დაეახტი და მივბუზნე. ჩვენიანებიც მომეშველნენ. ჩემს ჭკუაზე აღარა ვარ. შოთა ლებანიძეს რა ვუყოთ, რით მოვუაროთ. ტყეში რიგინად როგორ მივხედოთ?! ლაყე მეგონა, კაცი ყოფილა! მეთაურის გადარჩენისათვის ორდენოსნების სიაში ჩავეწერე. რა ვიცი, ეს რას უშველის, ან ის ორდენი ჭერ სად არი!

იმ დღესვე ავყარე რაზმი. ძნელ ვზას დაეადექით. ჩვენს ძველ ბუდეს ფაშისტები დაეცნენ, შაგრამ ცარიელი მიწურების მეტი არაფერი დახვდათ. მივდივართ და მძიმედ დაჭრილიც თან მიგვყავს. ვაზაშივე გამოვყავი სამი კაცი, პეტრე სტრეიენოვი, მაცეი ლოპენსკი და თედორე მათოროვი. ეს სამეული დღეიდან ჩვენი სამხედრო ტრიბუნალი იქნება. დრო არ მინდა დავკარგო, ვაზაშივე მინდა მოვიშორო მოლაღატე ბეროზკინი. მივდივართ და ვასამართლებთ. დაკითხვის ოქმი და განაჩენი ფურგონზე იწერება. მკაცრად დავკითხეთ თავისი ხალხის გამყიდველი. ცანაჩენი მკაცრი და უღმობელი გამოვუტანეთ. პატარა ხეუთან მიაყენეს ბიჭებმა და დახვრიტეს.

ამ ერთი ნაძირალას გამო ამიერიდან ყველას ეჭვის თვალთ როგორ უნდა ვუყურო?!
...ახალ ადგილზე მოვიკიდეთ ფეხი. მიწურები გავთხარეთ და დავბინავდით. ვაზაფხულის პირია და მიწა ნესტიანია. ვინ იცის, როდის ვაშრება ტყე. შოთამ მოიხედა. დაჭრილებისათვის ცალკე მიწური გავაჭრევიანე და შოთაც იქ გვიწევს. როცა გონზე მოვიდა...”

...როცა გონზე მოვედი, ჯერ ჭრილობის ტყვილი ვივარძენი. შერე ლადო დავინახე. თავზე წამომდგომოდა და რაღაცას ელოდა. ალბათ ჩემი თვალეზის ახელას. და, როცა უძღურად, მაგრამ მაინც ავახილე თვალი და სიყვდილის შავი ნისლი ვაიფანტა, ლადოს ვაეღიმა და მღელვარების გამო ნიკაპი მოისრისა.

— შენ გენაცვალე, ბიჭო, გულზე მომეშვა! — სხვა ვერაფერი მითხრა, ისე იყო სიხარულისაგან აღელვებულნი. მე კი ძლივს ვავიხსენე, რაც მოხდა.

უეფეთესობა მალე დამეტყო. პარტიზანულ რაზმში ამიერიდან სულ სხვა სახელი მქონდა. ლადომ თავისი დღიურის ის ნაწილი, რაც მე მეხებოდა, ცოტა მოგვიანებით წამიკითხა და არ და-

მიმალა მართლა ლაყე რომ ვეგონე. ვეგონე, თორემ მართალი არ იყო! ის სიაც მაჩვენა, სადაც მეთაურის გადატყველებისათვის ორდენზე ვეწერე. გამელიმა, ლადოს ვაევეხუმრე, აბა ორდენიმეთი.

— რა გგონია, ამას ისე დაეტოვებ? აქ ვინც მიწერია. ტყუილი როდია. ყველას დამსახურებული აქვს. ეგრე კი არ არი! შენ რა, არ გეკუთვნის? გეკუთვნის და მეტი არა?! ის კი არ დამავიწყდება, ცრემლი დაპალუპით რომ ვდღიოდა... თავი ლაყედ მოგვანგენე, შენ არ ილაპარაკო, კმარა რაცა თქვი... იცი რა დღეებია! ტყე შრება და ჩვენცა ვშრებით.

მეორედ რომ ჩამომიჯდა, ახლა ეს მითხრა:

— განწირული არა ყოფილხარ. სასიკვდილო რომ ყოფილიყავი, ის ტყვია შიგ გულში მოგვხედებოდა. ახლა კი ტყვიის წვიმაში ისე ივლი, როგორც სოფლის ორღობეში ეუუენა წვიმის დროს ვივლია.

თან იღიმებოდა. ჩემი გამოკეთება უხაროდა და როგორც უმცროს ძმას. თავს ისე დამტრიალებდა.

შერე, როცა წამოჯდომაც შეეძელ. ნაღვლიანად გამომიტყდა:

— ის გოგო ვახსოვს?

— აბა, რომელი?

— ბიჭო, ერთი არა გვყავდა... ისე მეკითხები, თითქოს ქალთა მთელი ოცეული გვყოლოდეს.

— ევლალია კოვალსკა?

— დარდიანადა ვარ, რად ვავაგდე... სხვა არაფერი.

ისე სევდიანად ვაიხედა მიწურის კარისაკენ, თითქოს ნატრობს, რა იქნება ეს კარი გაიღოს და ევლალია კოვალსკა გამოჩნდესო. ალბათ ვაზაფხულის ძალამ შესძრა და სიყვარულის კვირტი ვაუღღევა. რომ არ ეთქვა, ისედაც მივეუხებებოდი დარდის მიზეზს.

ტყე შეიმოსა. ნახამთრალი მიწა თითქოს ისევ თავიდან იწყებდა სიციცხ-

ლეს, შეიზმორა, შეიშმუნა. ცამ კარგი დარები დაგვიყენა.

ჯერ კიდეც არ ვიღეკი ფეხზე. ორჯერ დავტოვეთ ბუდე და ახალი ავიშენეთ. ჩვენი დანგრეული ბუდეები კი, ალბათ, კიდეც ახლებდა მტერს, მოგვდეცდა და ვერ გვიშერდა.

ლადო სულ იმას ნაღვლობდა, დიდი რაზმი რომ არა ჰყავდა, უფრო დიდი საბრძოლო ოპერაციების ჩატარება ახლებდა.

იმ ხანებში თავს ლაღად გრძნობდა, რომ არავის ემორჩილებოდა და თავისი სურვილისამებრ წყვეტდა ყველაფერს. მაგრამ ერთ დღეს პარტიზანულ რაზმში გამოჩნდა უცხო კაცი. მას ორი ჩვენი თვის უცნობი პარტიზანი ახლდა. სტუმრები ნავროზაშვილთან ერთად მიწურში ჩავიდნენ. რა მოილაპარაკეს, რა ითათბირეს, ეს ჩემთვის ცოტა მოგვიანებით გახდა ცნობილი, როცა ლადომ ბანაკი აყარა.

პარტიზანულ ბრიგადას უნდა შევერთებოდით.

ჯერ კიდეც არ გათენებულოყო. ტყეში როდის-როდის ჩამოაღწევს ხოლმე მზის სხივი. ბელორუსიისა და პოლონეთის საზღვრებზე საკმაოდ დაბურული ტყეებია.

ტყის მყუდროებას მხოლოდ ჩვენ ვარღვევდით. ფანთიადის მოახლოებისას ჩიტები ხომ ყველას ასწრებენ, გუნდ-გუნდად გალობენ, ჭყვიან, სტევენენ, ჭიკჭიკებენ. ჩვენ ყველა მათი სიმღერა-გალობა შეტყბილებული გვექონდა, მაგრამ ახლა ისე აღრე იყო, რომ ჩიტების ხმა არსაიდან არ ისმოდა.

ფრთხილად მივდივდით, მაგრამ მაინც ვაშარბმურებდით ჩამოლენილ გამხმარ ტოტებს, სორჩი ფოთლებიან შემოსილ ბუჩქებს.

აქა-იქ ტყის თალი გაიხსნებოდა და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა გამოჩნდებოდა. შემაერკოლებლად გრილოდა. ტყეში იმდენი ნესტი იდგა, ძველსა და რბილში გვატანდა.

მძიმედ დატვირთული მივდიოდით. რამდენიმე საზიადარი და ქვემეხი მი-

გვექონდა. ძველ ბუდეში არაფერი დავტოვეთ. ზედმეტ ნივთებს კარგად არ ვატარებდით. ყველაფერს უფრო ადვილად აქცევდა ნავროზაშვილი.

გვახარებდა ბრიგადაში გაერთიანება, რადგან დიდ ძალაში უფრო დიდი გული მოგვეცემოდა, უფრო მედგრად გავუსწორდებოდით მტერს.

როცა ლალისფრად ინათა, ამ დროისათვის არცთუ მაინცდამაინც დიდი მანძილი გვექონდა გავლილი. შევეჩერდით. ბრიგადის პირველ საგულშაღოსკენ ჩვენი კაცი გავგზავნეთ დათქმული პაროლით. მალე მობრუნდა იგი და თან მოჰყვა ბრიგადის შეგზური. მან ყველა საგულშაგო გაგვატარა და მთავარ ბანაკში მაშინ მივედით, როცა ერთმანეთს უკვე კარგად ვხედავდით, როცა ტყეში თავისუფლად შეიძლებოდა ყველსფრის გარჩევა.

ბრიგადა უკვე ფეხზე იდგა.

სანამ ნავროზაშვილი ბრიგადის მეთაურს წარუდგებოდა და რაზმის მოსვლას მოახსენებდა, ჩვენს შესაგებებლად გამოემართა ერთი ახოვანი მამაკაცი. ჩვენი რაზმის მეთაური და იგი ერთმანეთს მიუახლოვდნენ. ახოვანმა არც კი აცალა რაიმეს თქმა, ლადოს ხელი გაუწოდა და როხროხა ხმით მიმართა:

— ნავროზაშვილი ბრძანდებით, ხომამე ბოგდანოვი ვარ, ბრიგადის მეთაური შორიდან კარგად გიცნობთ.

გაიღიმა, ჩამძივებული კბილები გამოაჩინა, ორივე ხელი გაშალა და ნავროზაშვილი გულში ჩაიკრა. ლადო ხომ ზორბა იყო, მაგრამ იმ კაცთან ვერ მოვიდოდა. სიმალეში ბოგდანოვი უსწრებდა.

მესიამოვნა ბრიგადის მეთაურის ასეთი შემოგებება, მისი ალამმართლობა და ტკბილი ღიმილი. ოცულებს მეთაურები გაიცნო, ჩვენც გავგიღიმა, საერთო სალაში მოგვეცა. მერე ყველა ჩვენი თავკაცი თავის „ბინაში“ მიიწვია. ჩვენებს მასპინძლები შემოეხვივნენ.

მალე პარტიზანებს შორის გაცხოველებული საუბარი გაჩაღდა.

ლადომ თან წამიყვანა. თვითონ ბოგდანოვს მიჰყევბოდა საუბრით. მე რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით მივდედვი მაიოროვთან და სტრიჟენოვთან ერთად.

მეთაურს ჩვეულებრივი საველე კარავი ედგა. კარავს კალთები აკეცილი ჰქონდა. ხის ძელზე და გარდიგარდმო გაბმულ თოკებზე მხოლოდ სახურავს ნაწილიდა იყო გაშლილი. ახლა, ვახუშტელის პირზე, კარავში ყოფნას არაფერი სჯობდა.

პარტიზანთა უმეტესი ნაწილიც მწვანე ტოტებით შენიღბულ კარავებსა და ფიჩხისაგან შეხონხილ ქოხებში ცხოვრობდნენ. მთელი ბანაკი ისე ოსტატურად იყო შენიღბული, რომ უცხო თვალი აღვილად ვერ შენიშნავდა ბანაკს.

მეთაურის კარავში ხის ორი სახელდასხვლოდ გაკეთებული საწოლი იდგა. კარავის შუაში ასევე გაურანდავი ფიცრებით შეკრული მაგიდა შუაფეხით ჩაემგარეზინათ მიწაში.

მაგიდასთან შუახნის კაცი იჯდა. ბატონს ქუჭულივით მსუბუქი, ნაცრისფერი თმა მხოლოდ კეფაზე შერჩენოდა. ჩვენ რომ მიუუახლოვდით, აიხედა და მაშინვე დაეინახე მისი მონაცრისფრო-მოწვანო ფერის თვალები, ქოსა იყო. საკმაოდ მოზრდილი ცხვირი ჰქონდა. ზანტად წამოდგა და კარავს მოშორდა. სამხედრო ტანსაცმელი ეცვა. მაგრამ რავითარი ჯანმასწავლებელი ნიშანი არ ეკეთა, რა ჩინისა იყო, ვერ ვაიგებდი. მხოლოდ ჩაცმულობის ხარისხიანობით თუ მიხვდებოდი, რომ „პატარა კაცი“ არ იყო.

ბრიგადის მეთაურმა ლაღად, ხალისიანად წარუდგინა ჩვენი მეთაური და მისი ხალხი.

— აი, მოვიდა ის არწივი, რომ ველოდით, ამხანაგო ორმოცდამეთხუთმეტე!

— რა არწივია, აქ ვნახავთ, იური დიმიტრიჩი. არ გინდათ ასეთი ებითეტები.

„ამხანაგმა ორმოცდამეთხუთმეტე!“ საკმაოდ ოფიციალურად, უკანადაა ართვა ხელი ლადო ნავროზაშვილსა და ნარჩენებს თავის დაკვრით მოგვესალმა. იმ დროს, როცა მან ბრიგადის მეთაურს შენიშვნა მისცა, უმაღლესედა ბოგდანოვსაც. იგი უხერხულად შეწრიალდა, ღიმილი პირზე შეაცივდა.

„ამხანაგო ორმოცდამეთხუთმეტე!“ გამიკვირდა ასე რად უწოდა ბოგდანოვმა. არც გვარი, არც სახელი, არც მამის სახელი. „ორმოცდამეთხუთმეტე!“ რატომ მაინცდააინც „ორმოცდამეთხუთმეტე“? როგორც შემდეგ ვაიგებ, თურმე ორმოცდამეთხუთმეტი წლისა ყოფილიყო.

რა რჯულის, რა ეროვნების კაცი იყო, დღემდე არ ვიცი. საიდუმლოდ ინახავდა თავის სამხედრო ჩინსაც.

როცა კარავში ბოგდანოვი და ნავროზაშვილი შევიდნენ, „ორმოცდამეთხუთმეტე“ ჩვენ ცივად გაგვებრუნა უკან.

— ვილაც კარგა მაგრად გამოხდოლი ზეთია! — ღვარძლიანად და გაბრაზებით თქვა მაიოროვმა და ვადაფურთხა. ასე გაბრაზებული და წამოგზნებული არასოდეს არ მენახა იგი.

სტრიჟენოვი მოიღუშა, მაგრამ არაფერი თქვა. სიტყვა არც მე დამიძრავს. ერთი სული მქონდა, ვამეგო, რა ამბავს მოიტანდა ბრიგადის თავკაცებისაგან ნავროზაშვილი.

სანამ ჩვენიანებს მიუუახლოვდებოდით, ნაცნობი და მხიარული ხმა მოგვესმა. მალე ჩვენს წინ იდგა ატრციალებული, თვალებიციციმა ევლალის კოვალსკა.

— ბოლოს თქვენც აქ მოხვედით ხომ? — თითქოს ნიშნის მოგებით აქიკვიკდა იგი. იმ ერთ სასიხარულო წუთში აღარ იცოდა თავისი მდღეღვარება როგორ გამოეხატა. არ იცოდა რა გაეკეთებინა, ვადაგვევეოდა და ვადავეოცნეთ, თუ ხელის უბრალო ჩამორთმევით მოგვესალმებოდა.

მაიროვმა დაასწრო.
— ევლალისა! — შესძახა და მოეხვია.

აღელვებულმა გოგონამ მერე ჩვენ შემოგვხედა და ხელი ჩამოგვართვა.

— გამომაგდეთ, ხომ? — საყვედურით განაგრძობდა იგი. მაგრამ საყვედური არ გამოსდიოდა.

— უშენოდ კარგა მაგრად მოვიწყინეთ. — ბიჭუნასავით დაიმორცხვა მაირორემა.

ამ დროს თვალი შევასწარი ჩვენსკენ მომავალ ნაეროზაშვილს. ევლალია შეერთა მის დანახვაზე, სწრაფად გამოგვემშვიდობა და ხეებს იქით გაუჩინარდა.

სტრიენოვმა, ამ ძველმა, გამოცდილმა მონადირემ, ევლალია მაშინვე დამფრთხალ შევლს შეადარა და როცა ლადო ნაეროზაშვილი მოგვიახლოვდა, მაშინვე მიახარა:

— ის აქ არის, ვლადიმერ ილარიონოვიჩ.

ლადომ მე შემომხედა.

— ევლალია იყო?

თვალეები აუციმციმდა. სიხარულის დაუფარავი ცეცხლი მოედო. ტყის სიღრმეს გახედა, სადაც ევლალია ეგულებოდა.

— წავიდეთ, ძმებო, — უცებ თქვა მან, — ახალ ამოცანებს გადაცნობთ.

— ის ზეთი ვინ არის? — ხმადაბლა ჰკითხა მაირორემა, როცა ჩვენთანებისაკენ წავედით.

— ნუ ამბობთ ასე! — გაწყრა ლადო ნაეროზაშვილი.

იმ დღესვე დაბინავებას შევუდგექით. სხვა რაზმების მსგავსად ჩვენც უნდა მოგვეწყო ნახევრადმიწური სადგომები.

საქმე მალე მოვითავეთ. ეს ბინები სულ რაღაც ერთი კვირა თუ დაგვირდებოდა. პარტიზანები ერთ ადგილზე დიდხანს არასოდეს არ ვჩერდებოდით, სულ გამუდმებულ მოძრაობაში ვიყავით, რომ მტერს არ მოეგნო. ამიტომ ჩვენი ადგილსამყოფელი სახელდახელოდ შენდებოდა. ნაშუადღევამდე ყველაფერი მოვითავეთ და დასასვენებლად მივეყარნით. ლადო გვერდიდან არ მოგვეშორებია. ჩვენთან ერთად მუშაობ-

და, მერე იგიც გრილ ბალახზე მიწვა. მივივრდა სიტყვას რომ არ სწორავდა ევლალიაზე. ისე, მუშაობის დროს ყველაფერი დავინახე, თვალს მალულად რომ აპარებდა იქით, საითყენაც ცოტა ხნის წინათ ევლალია გაიქცა. რამდენჯერმე კიდევ თქვა გულის სიღრმიდან, რა ტყბილია სიცოცხლეო. იქნებ სხვა რამის თქმა ეწადა და მხოლოდ ამით გამოხატა იმ წუთებში განცდილი მღელვარება.

არ ვიცი, იქნებ ტყის სილამაზეც ხიბლავდა, იქნებ, ის, რომ ტყეში თავისი სიხარულის, თავისი ფიქრის მიზეზი ეგულებოდა. იქნებ როგორ უნდოდა ცოტახნით მაინც რომ მოგვეშორებოდა, ტყეში ლაღად შევარდნილიყო და ეძებნა. ასეთ გახელებულ ძებნას ექნებოდა ეშში და ლაზათი.

ნაშუადღევს ისევ გამოიძახეს ბრიგადის მეთაურთან. ბარემ ჩვენს წარსულ საბრძოლო საქმიანობასაც გადაცნობ და დაჭილდობებულთა სიაზედაც მოველაპარაკებო. დღიური და სია საველე ჩანთაში ჩაიწყო და მეთაურის კარვისაკენ გასწია. კვლავ პეწენიკად გამოიყურებოდა. არ გამიყოლა. მარტო წავიდა.

მოგვიანებით დაბრუნდა ძალზე აღელვებული. დღიური და დაჭილდობებულთა წიგნაკი თავის ცეცხლგამძლე ყუთში შეინახა და იქ მყოფთ მღელვარედ მოგვაჩერდა. მასთან ვიყავით მე, თედორე მაიროვი, პეტრე სტრიენოვი და მაციე ლოპენსკი.

— რა მოხდა, ამხანაგო მეთაურო? — როგორც იქნა შეხედა სტრიენოვმა.

— არაფერი. ხდება ხოლმე! — მოკლედ და ცხარედ თქვა ლადომ. უცებ დაღონდა. მაიროვს მიუბრუნდა და ხმადაბლა უთხრა, — შენ მართალი იყავი...

— იმ ზეთს გააცანი ჩვენი ცხოვრება? ვინ არის, რა მოხელეა?

— ბრიგადის მეთაურის მოადგილეა. ბოგდანოვი კაცი ჩანს, ის კი... საგონებელში ჩავევარდი, ეს სად მოხვდით. ისევ ის თავისუფალი ნავარდი გვერჩინა. ჩვენს ნებაზე მაინც ვიყავით და საქმოდ კარგადაც გამოგვდიოდა საქმე.

— მოდი დაებრუნდეთ! — წამოიძახა მაიოროვმა.

— ეგ რომ გაეკეთოთ პასუხს ისევე გვაგებინებენ, როგორც დეზერტირებს. არა, ეგ არ გამოდგება. ბოლოს და ბოლოს, ის ერთი კაცი რა... ღმერთი ხომ არ არის?!

— მაინც, რაო?

ლადო ნაეროზაშვილმა მოკლედ გვიამბო ის, რაც ბრიგადის მეთაურის კარავში მოხდა.

ლადოს ბოგდანოვისათვის უჩვენებია რაზმის დღიური. ბოგდანოვს უთქვამს, უამისოდაც სულ დაწვრილებით ვიცი თქვენი საგმირო საქმეებიო. მერე დაჯილდოებულთა სია უნახავს. „ამხანაგი ორმოცდამეთხთმეტე“ იჭდა თურმე და ყოველივე ამას ისე უსმენდა და უყურებდა, როგორც უცხო მოწმე, რომელსაც ამ საქმეებთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ბოგდანოვმა მიმართა მას, უნდა დავეხმაროთ ბიჭებს და დამსაზურების მიხედვით მივუზღაოთ ჯილდოებიო. „ამხანაგმა ორმოცდამეთხთმეტემ“ მოუსმინა ბოლომდე, მერე დაჯილდოებულთა სიას გადახედა, წიგნაკი დაკეცა, ნაეროზაშვილს დაუბრუნა და ბოგდანოვს ცივი ღიმილით უთხრა:

„მერედა, თქვენ ეს ყველაფერი გჯერათ, იური დიმიტრი?“

„აბა როგორ! — თვალები გაუფართოვდა ბოგდანოვს, — მჯერა და უფრო მეტიც. ამ ძუნწ სტრიქონებში ბიჭების დიდი და კარგი საქმეებია გამოხატული“.

„ზღაპრებია ყოველივე ეს, იური დიმიტრი! რას იტყვის ამხანაგი კალინინი, როცა ამხელა სიას გადაუგზავნი? არ იტყვის, ორდენები და მედლები ფლავივით ურიგებიათო? სად არის ამდენი ჯილდო? და განა ყველას, ვინც თოფი ერთხელ მაინც გაისროლა, მედლი ეკუთვნის? განა მართლა ყველას ეკუთვნის? თქვენი თვალით ნახეთ და დარწმუნდით? არა, ჩვენ ამის გაკეთება არ შეგვიძლია. ვნახოთ აქ რას გააკეთებენ და მერე მოვილაპარაკოთ ჯილდოებზე“.

ამას რომ ისმენდა, იმ დროს ლადოც ცეცხლი ეკიდა თურმე, ენას კბილს აჭერდა და არც არაფერი არ უთქვამს. ბოგდანოვს ცამოუცილებია, მისთვის მხარზე ხელი დაუკრავს და დაუმშვიდობია, შეინახე ეგ წიგნაკი და დღიური, ძვირფასი მატიანა, გმირული საქმეები უკვდავიაო.

— მოდით და ჩვენც ვაჩვენოთ, რა ბიჭები ვართ!—დაამთავრა თავისი სიტყვა ნაეროზაშვილმა.

— არაფერი არ დაიჯერა, ჰა?

— არაფერი.

— ორნახადი ზეთი ყოფილა! — გაცხარდა მაიოროვი, — მაგას რა უნდა პარტიზანებში, შერყეულთა საავადმყოფოში უნდა იწვეს. სად მოძებნეს ასეთი იშვიათი ეგზემპლარი?!

ლადო ახლა სრულ თავისუფლებას აძლევდა თავისიანებს, რაც უნდოდათ ის ეყბედათ იმ კაცზე. სხვა დროს თუ სწყინდა მეთაურზე გამკილაგი სიტყვის გაგონება, ახლა ამით გულს იფხანდა და მალე გამხიარულდა კიდევ.

— არა უშავს რა, ბიჭებო! — აიშენებდა იგი თავისიანებს, — ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენი ვალია ჭერ მედგრად ვიბრძოლოთ. ბრიგადის მეთაური ღმერთს მოუცია. ღმერთი თუ გწყალობს, ნატონი რას დაგვაკლებსო, ნათქვამია.

მაგრამ — „ნატონმა“ ბევრი რამ დაგვაკლო.

„ამხანაგი ორმოცდამეთხთმეტე“ პარტიზანების ცხოვრების ყოველ წვრილმანში ერეოდა. რაზმში ქალებიც იყვნენ. საკმარისი იყო ქალ-ვაფი განმართებით მოსაუბრე დაენახა, რომ ორივეს ცალ-ცალკე გამოიძახებდა და სასტიკად დაჰკიცხავდა, აფრთხილებდა, რომ ახლა სიყვარულის დრო არ არისო.

ეს კაცი პარტიზანებში თანდათან იტეხდა სახელს. ბრძოლებში მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ სისხლში მოსერილ ნაომარ პარტიზანებს კი ხან რას უთითებდა, ხან რას.

ერთხელ, საბრძოლო დავალება შეეასრულეთ და ბანაკში ისე ვბრუნდებოდით არც ერთი კაცი არ დაგვიკარგავს. ჩვენი ჯგუფი საკმაოდ მოზრდილი იყო. ყველა, ოცდაათივე კაცი, ქვეითად ვიყავით, ის იყო ტყეში გაჭრილი შარაგზა უნდა გადაგვევლო, რომ მტრის კოლონას წაგაწყდით. მაგრამ დროზე შევნიშნეთ და ჩავსაფრდით გზის გასწვრივ.

კოლონაში სამი საბარგო მანქანა იყო ჯარისკაცებით სავსე. მანქანებს წინ ეტლიანი მოტოციკლეტი მოუძღვოდა მეტყვიამფრქვევითურთ, უკან კი მსუბუქი ტანკი მორახრახებდა.

ლადო ნავროზაშვილს არ ვშორდებდით. იმ დღეს მაინც, ძალზე კარგ გუნებაზე იყო, რადგან დილით ევლალია კოვალსკას შეხვდა. რა ილაპარაკეს, არ ვიცი, მაგრამ ის კი დავინახე, ხესთან რომ იდგნენ. ევლალიას თავი ოდნავ დაეხარა და ეტყობოდა რბილად, მაგრამ მაინც საყვედურებით ავსებდა ლადოს. ის კი, ალბათ, თავს იმართლებდა. ერთმანეთს მალე დაშორდნენ. ისიც შევნიშნე, რომ შეხვედრა ორივეს ძლიერ უხაროდა. იმ ერთმა ბედნიერმა წუთმა მთელი დღე მხიარულად ამყოფა ნავროზაშვილი. საღამოს, როცა ბანაკში ვბრუნდებოდით და მტრის კოლონას შემოვეყარეთ, ლადომ ერთი კი შეათამაშა წარბები, ბიჭებს გადახედა და თქვა:

— არც ერთი არ უნდა წაგვივიდეს ცოცხალი!

ბრძოლას სულ სხვანაირად ვარაუდობდა, მტერთან შერკინებისას კი სულ სხვა რამ მოხდა.

ერთდროულად ჯერ ტანკისათვის და მოტოციკლისთვის უნდა დაგვერტყა. ხელყუმბარებით უნდა გავგენადგურებინა ორივე და ამით კოლონისათვის წინ წასასვლელი და უკან დასახევი გზები ვადაგვეჭრა. მერე შუაგულში მოქცეულ მტრისათვის უნდა მიგვეცხო.

შიშის ქრუნტელმა დამიარა. მტერი მრავალრიცხოვანი იყო. სამოც კაცამდე მარტო ღია საბარგულებზე იჯდა,

ახლა ტანკი და მძიმე ტყვიამფრქვევით შეიარაღებული მოტოციკლეტები...

ლადოს არ ვშორდებოდით...

კოლონა მოგვიახლოვდა, ეტყობა მეწინავე მოტოციკლისტს ნადირის ყნოსვა ჰქონდა, მანქანა შეაჩერა და რაღაც გადაულაპარაკა მეტყვიამფრქვევეს. მანკი გაბრაზებით გაიქნია ხელი წინ, იარეო. როცა მოტოციკლეტი შეჩერდა, მთელი კოლონა ერთ ადგილზე გაქვედა.

მოტოციკლეტის მახლობლად ხელყუმბარა გასკდა. ყუმბარა ტანკთანაც აფეთქდა, მაგრამ რკინის ურჩხულს ვერადააკლო რა. ღია მანქანებს მაშინვე დავუშინეთ ცეცხლი.

ვხედავდი ცოცხლებთან ერთად მანქანებიდან პანტაუნტით როგორ ცვიოდნენ დაბოცილები. ცოცხლებმა ცეცხლი გაგვიხსნეს, თან აეტომანქანებს ეფარებოდნენ.

გამაყრუებელ გრუხუნში ფიქრის თავი ვიღას ჰქონდა.

მტრის ჯარისკაცები თავდაუზოგავად გადმოვიდნენ შეტევაზე და გახურდა ბრძოლა.

ლადომ ერთი კი შემომხედა და თითქოს გაბრაზებითა და ზიზლით, დამიყვირა:

— ტანკს მიხედე!

ხელყუმბარები მომიყარა და თვითონ ხელჩართულ ბრძოლაში გადაეშვა.

სწრაფად ავკრიფე ხელყუმბარები და ტანკისაკენ გავხოხდი. ლადოს ბრძანება უნდა შემესრულებინა.

გზაზე კი ის იმდენი მეომარი ერთმანეთს შეერკინა. ისმოდა იარაღის ჩახაჩუხი, ყვირილი, გოდება, წივილი, სროლა... ტანკი დროდადრო ისროდა ტყვიამფრქვევის ცეცხლს. ეს ალბათ მაშინ, როცა ადამიანების დიდსა და გასისხლიანებულ გორგალიდან ვინმე ჩვენთან გამოვარდებოდა უცაბედად.

ყოველი წუთი ძვირფასი იყო. ტანკი გზაზე გარდიგარდმო იდგა. წინ აეტომანქანები ჩახერგილიყო და წასვლის საშუალება არ ჰქონდა. შეეძლო გზის-

პირას ხეები გადაეჭელა, მაგრამ რატომღაც აღარ იძვროდა.

არის ადამიანის ცხოვრებაში წუთები, როცა კაცი თავის თავს აღარ ეკუთვნის. ის სხვისია, სხვას უფრო მეტად სჭირდება მისი სიცოცხლე. ასევე ვჭირდებოდით მეც მათ, გასისხლიანებულ „დიდ გორგალში“ უკანასკნელ ღონეს რომ ხარჯავდნენ, სისხლისგან იცლებოდნენ და სიცოცხლეს არ იშურებდნენ.

ცხისპირა თბრილს მივალწიე. ჩვენს ბიჭებს რომ ემარჯვნათ, სულ ერთია ტანკი მათ ბოლოს მოუღებდა. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა მომესპო იგი.

ავტომატისა და ტყვიამფრქვევის ტყვიებმა ჩემს წინ ერთმანეთის მიყოლებით ძალზე სწრაფად დასწიწკნეს მიწა. თავი თბრილში ჩაერგე. ალბათ ვილაცამ შემამჩნია. სმენა დახშული მქონდა და უკვე აღარაფერი მეყურებოდა. ხელუქმბარა მოვმართე, წამოვხტი და მთელი ძალით გავტყორცნე ტანკისაკენ. თბრილში მაშინვე ჩავემხე და ყრუ აფეთქების ხმაც მომესმა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა აკვამლებული ტანკი დავინახე. ისიც შევნიშნე, ტანკის ზემო საძრომიდან როგორ გადმოზობდა გერმანელი. ავტომატი მიწაყრილზე გადავდე და მიზანში ამოუღებლად მივუჭიე. ტანკისტმა ერთი კი მოიხედა და ჯავშანზე დაცურდა. ხელებით ამოღდა უჭიდებოდა ტანკის ჯავშნის გლუვ ზედაპირს. მეორე გერმანელი იმავე საძრომიდან ისე უკვებ, ვატასავით ამოხტა, გოცებული მივაჩერდი, უმალ ამოეფარა ტანკს, მერე ავტომატჩანებისაკენ გაიქცა. მინდოდა მესროლა, მაგრამ მარცხენა მკლავი აღარ დამემორჩილა. ვერც კი შევნიშნე, როდის ან როგორ დავიჭერი. ხელი მთლად სისხლით მქონდა შეწითლებული და ვერაფერს ვგრძნობდი. დამცეცხლა. ახლა მხოლოდ მარჯვენათილა უნდა მემოქმედა.

ზრძოლა თანდათან ცხრებოდა: „სისხლიანი გორგალი“ თანდათან პატარავდებოდა. ო როგორ არ თმობდნენ ერთ-ერთს!

თითქოს საუკუნოებით დაგროვილი ზოლმა ამოქმედდებოდა. ვერ არ მენახა და არც გამეგონა. მსკვდურსაგან, თუ კაციშვილს ასეთი სიძულელი, ასეთი დიდი მტრობა შესძლებოდა.

მივირის ჩემს ჰკუთხე როგორ დავრჩი და ახლა ასე გულდადინჯებით ვიგონებ ყოველივეს.

ბინდებოდა. ღონე თანდათან მეცლებოდა. თვალში ნისლი მერეოდა. მაგრამ მალე მწარედ ვიგრძენი ჰრილობა და ამ სიმწარემ დამაბრუნა სიცოცხლეში. ვიძალე. მინდოდა როგორმე წამოვმდგარიყავი, მაგრამ ამოღდა ვედილობდი ღონის დაბრუნებას.

გზას გავხედე. ყველაფერი ჩამწვარი და ჩალეწილი იყო. ღამის სულარა თანდათან ეფარებოდა დახოცილთ. და მე მარტო ვიყავი ამდენ მკვდართა შორის. ნუთუ ჩვენთაგან არავინ ვადარჩა? ნუთუ ყველა ერთიანად დახოცეს? გერმანელებიც არ ჩანდნენ. ნუთუ ისინიც პირწმინდად გაჟლიტეს? ვილაცას მაინც ხომ უკანასკნელად უნდა ემარჯვნა? ერთს მაინც! მტრისა იქნებოდა თუ ჩვენიანი, ის ერთი ხომ უნდა გადაჩენილიყო? ან იქნებ იმ უკანასკნელმა მომაკვდავმა ერთადერთი დარჩენილი ტყვიაც მტრის ვაქცეულ ჯარისკაცს მიაცილა და ამით ყველაფერი გათავდა?

შიში მაშინ არ მიგრძენია რადგან იმ წუთებში სხვაგვარი განცდა უფრო მეტი იყო, განცდა ვეჯაკობისა, სიამაყისა და სიამაყისა.

„შენ იქ რა უნდა გააკეთო!“ მესმოდა დედაჩემის შორეული კვნესა.

თავს ძალას ვატანდი, რომ გონება არ წამრთმეოდა. მივზოხავდი იქითკენ, სადაც ჩვენიანები მეგულდებოდა. ჰრილობაზე სისხლი თანდათან ცივდებოდა და ტკივილი მემატებოდა. რაღაცას ვყვიროდი, მაგრამ საკუთარი ხმა არ მესმოდა.

ცაში აქა-იქ ვარსკვლავები წამოიშალნენ.

დავინახე მკვდრეთით როგორ წამოვდგა ერთი ლანდი. მაშინ კი შიშმა

თვალში სხვი დამიბრუნა. დავინახე მეორე ლანდიც, მესამე, დავინახე ისიც, რომ ეს ლანდები ერთმანეთს მოეხვივნენ. ეს არ იყო სიზმარი, ან მოლანდება. ყველაფერი ცხადლივ ხდებოდა. იდგნენ ერთმანეთში ჩახვეული ლანდები და მძიმედ ირწყოდნენ.

მეტი აღარაფერი არ მახსოვს.

როცა თვალი ავახილე, კვლავ ლადო ნავროზაშვილი დავინახე. ამჯერად თავი ვერ შევიკავე და ბავშვივით აქვიითინდი. მომეჩვენა? თავზე დამდგომოდა, მიღიმოდა რაღაც ძალზე სევდიანი ღიმილით. უმალ ის დღე გამახსენდა, მაშინაც ასე დამხედა დაკრილს. გამახსენდა და აქვიითინდი, რადგან ახლა მოჩვენება მეგონა. აბა, რას წარმოვიდგენდი, რომ იმ ხოცვა-კლუტიდან ცოცხალი გადარჩებოდა და პირველი მოლანდებაც ის იქნებოდა, დახოცილთა შორის რომ წამოიშრათა.

დამყურებდა და სევდიანად იღიმებოდა. არაფერს მეუბნებოდა. მე კი გულამომჭდარი ვტიროდი და ცრემლი დააღლებით მდიოდა.

— იტირე, ცრემლი გულს მოგიღობოს! — მიფხრა ვილაცამ ლადო ნავროზაშვილის ხმით. მე კი არა მჯეროდა, რომ იგი ნამდვილად ცოცხალი ლადო იყო, რომ ეს ის კაცი იყო, რომელმაც ერთხელ ცრემლის გამო გამკიცხა, ახლა კი თვითონ მეუბნებოდა, იტირეო.

როცა დამამშვიდეს, კიდევ დავინახე ლადო ნავროზაშვილი. იგი არ მშორდებოდა.

არავითარი ჭილო ჩვენ ამ საბედისწერო შეტაკებაში გამარჯვებისათვის არ მიგვიღია. არც ერთ ჩვენგანს, ვინც კი ცოცხლები გადავრჩით, ეს მაშინ არც გავგხსენებია. დარდი გულს გვიღრღინდა, რომ ოცდახუთი მამაცი პარტიზანი დავკარგეთ. ცხრამეტი შეტაკებისას დაეცა, ორი დაკრილი, როცა მოჰყავ-

დათ, გზაში გარდაცვლილიყო. რთხმა კი ორიოდ დღის შემდეგ დააღვა სული. მათ შორის იყო მკვლელები, რომლებიც მაკვი ლოპენსკი. ეს ძალიან დიდი და მძიმე დანაკლისი იყო. ჩვენ, გადარჩენილებს, ყველანი გმირებად ცთვლიდნენ. როცა პარტიზანებს დახოცილი მტრის ალაფი აუკრეფდათ, ვაოცებულნი დარჩენილან.

„ორმოცდამეთხუთმეტეს“ კი ბრიგადის მეთაურისთვის უთქვამს, ნავროზაშვილი სამხედრო ტრიბუნალს უნდა გადაეცეთო.

„რატომ?“ — ხელები გაშალა თურმე გაკვირებულმა ბოგდანოვმა.

„იმიტომ, რომ ხალხი დაგვიღუპა“. ბოგდანოვს ამინ პასუხად უთქვამს, თქვენ ძალზე ბევრ რამეს იღებთ თქვენ თავზეო.

იური ბოგდანოვი უაღრესად თავდაპერილი კაცი იყო და ყველასთან იმსციდილობდა, თავისი სიპართლე საქმიანად დამტკიცებინა, მით უმეტეს მოადგილისათვის. ბევრჯერ გაუმარჯვინია სიღინჯით. „ორმოცდამეთხუთმეტე“ კი სულ სხვა ბუნების კაცი ჩანდა. ბრიგადის შტაბის სხდომაზე, სადაც ყოველთვის წინასწარ იხილავდნენ ყოველ საბრძოლო ოპერაციას, „ორმოცდამეთხუთმეტე“ უთუოდ გამოთქვამდა თავის აზრს. მას აუარება შენიშვნა შემოჰქონდა შტაბის მიერ წარმოდგენილ გეგმაში. თუ შტაბს განზრახული ჰქონდა, რომ ოპერაციაზე თხუთმეტი კაცი გაეგზავნა, ბრიგადის მეთაურის მოადგილე ორ კაცს ან მიუმატებდა, ან მოაკლებდა. ამით, რასაკვირველია, არავითარი მნიშვნელოვანი ძალა რაზმს არც ემატებოდა, არც აკლებოდა, მაგრამ მისი სიტყვა რომ გადიოდა, ამით კმაყოფილდებოდა.

ახლაც, როცა ჩვენს საბრძოლო გეგმაში სრულიადაც არ იყო გათვალისწინებული მტრის გზადგავილი კოლონის განადგურება და ჩვენ დიდძალი ხალხი დავკარგეთ, ნავროზაშვილი ხალხის დაღუპვისათვის უნდა დასჯილიყო. იმ დიდ სამხედრო ზარალს კი, რაც

მტერს მივაყენეთ, და ბოლოს და ბოლოს რისთვისაც ტყის კაცებად ვიყავით გადაქცეულნი, აინუნში არ აგდებდა ის კაცი.

ბოგდანოვი აღელვებული იყო. არც ის უნდოდა, რომ მოადგილესთან საბოლოოდ წაიკიდებულიყო. წლოვანებით უფროსი იყო და ამბობდნენ სამხედრო ჩინით პოლპოლკოვნიკიაო. ბოგდანოვი კი მაიორი იყო, ოცდაათი წლისა. წლოვანება და სამხედრო ჩინი ამუხრუჭებდა ხმა აემადლებინა მოადგილის წინაშე.

ნაეროზაშვილმა გაიგო „ორმოცდამეთხუთმეტის“ მუქარა და ზიზღით გადააფურთხა.

ბრივადას იურისტი არ ყავდა და არც სამხედრო ტრიბუნალი არსებობდა. მუქარა მუქარად რჩებოდა.

მტრის ეშელონის გადასაყირავებლად ნაეროზაშვილის შენაერთი წავიდა. მე ამ დროს კიდევ ვიტყვიბდი ხელს და ბრივადის საველე ლაზარეთიდან, უფრო სწორედ, ფინხის ქოხიდან, არ ვიყავი დაწერილი.

„ლაზარეთში“ ერთი შავგვრემანი გოგო — რიტა შემომიჩნდა. მანამდე არც კი შემომჩნევია იგი. ჭერ მეხუმრებოდა. მეც გავხუმარე. ერთმანეთთან უფრო ახლო მივიჩიოხ-მოვიჩიოხეთ და მერე დაჭრილებსა არც კი მოერიდა, პირდაპირ მითხრა, შენ ჩემი ქმარი უნდა იყოო. სხვა ასეთი თამამი ვინმე არასოდეს არ შემხედვრია. მის მაგივრად მე გავწითლდი. მოვიდოდა, მაკოცებდა და ისეთ აღმურს შემომინთებდა, მკერდში ისეთი ძალით ამიხმიანებდა გულს, ლამის გავგიჟებულიყავი. ცქრილა თვლები, ბავშვით ფუნჩულა ტუჩები და ლოყები ჰქონდა.

მე პირველად მეუხერხულეობოდა, მაგრამ მერე და მერე ძლიერ მომწონდა მისი ასეთი თამაში.

პირველ ხანებში ციციონს ვახსენებებზე მხარაედა რიტას საქციელი და თითქოს მტულდა კიდევ ეს გოგო. მისი სი-

ძულვილი მაშინ მეუფლებოდა, როცა არ ეხედავდი. საკმარისი იყო დამნახვებოდა, მოსულიყო ჩემთან, — შარჰყობოდა და ვიემაეობა, ქალური სინატიფე, ცხელი სუნთქვა, რომ აზრი უმალ მეცვლებოდა. გრძნობის ასეთ მერყეობაში ვერც კი ვბედავდი, ხელი ერთხელ მეც შემეხო, ყოველთვის ვიდაც გვიყურებდა. ყოველთვის ვიდაც ხარბი თვალთ შემოგვექეროდა და ჩვენი ყოფა სიგიჟემდე ენატრებოდა.

ფარდალალა იყო ჩვენი „ლაზარეთი“. რიტა დილით ადრე დამესხმოდა თავს. დაჭრილებისთვის კერძი მოჰქონდა.

— აბა, როგორ ხარ, ჩემო ქმარო?

ქორწორზე ცადამისვამდა ხელს, იმ წუთებში მასზე უყეთესი არავინ მეგულეობოდა. ბოლოს საქმე ისე წავიდა, რომ უმისოდ ერთ წუთსაც ველარ ვძლებდი. თურმე აღერსი პერივით და წყალივით აუცილებელი ყოფილა. ტყეში ვიყავით ნადირებივით, ყოველგვარ ადამიანურ ცხოვრებას მოკლებულნი, მუდამ სიკვდილს ველოდი, ჩვენი წუთები დათვლილი იყო, განწირული შერისმაძიებლები ვიყავით. და ამ დროს გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ბლომად სიტკბო მაჩუქა, აღერსით გამახალისა და ბედნიერებით ამავსო, მაგრძნობინა, რომ არაფერია დაკარგული, რომ ბრძოლას დიდი, ძალზე დიდი აზრი აქვს.

მეტისმეტად თამამი იყო. იქ, ჩვენს ყოფაში, ალბათ ასე იყო საჭირო. იქ ყველანი გახელებულები ვიყავით, ვინ რითი და ვინ კიდევ რითი, რიტა კი — უსაზომო სიყვარულით.

განა შემეძლო არ მყვარებოდა ასეთი გოგო?!

და ტყეც სხვანაირი ვახდა.

ხანდახან კიდევ უფრო მეშინოდა სიკვდილისა, რომ ეს ბედნიერება ასე მალე არ დამეკარგა. კიდევ უფრო მოშემატა ვაეკაცობაც, რომ ეს ბედნიერება არავის წაერთმია.

ჩემს სულში დიდი სითბო დამკვიდრდა.

წვიმადა. ჩვენი მიწურიც სველი იყო, როგორც მთელი ტყე. სახურავი კარგად ვერ იჭერდა ღვართქაფს და წყალი წურწურით ჩამოდიოდა. მაგრამ ზაფხულის წვიმა თბილი იყო და ისე არ გვაწუხებდა.

„ლაზარეთში“ სამნილა ვიყავით. ორს გული დაუსია გადაუღებელმა წვიმამ, ლაბადები წაიფარეს და მიიძინეს.

მე კი რიტას კალთაში მედო თავი. მეალერსებოდა.

როცა ვმორცხვობდი, იგი ხელდებოდა. ვინც არ უნდა ყოფილიყო ჩვენთან, თუ სურდა მკოცნიდა კიდევ.

— რიტა, სირცხვილია! — ვეჩურჩულებოდი.

— სიყვარული არასოდეს არ ყოფილა სირცხვილი.

— აი ეს... კოცნა... ჩუმიად მაინც... იცინოდა და თვალეშს მიეჭუჭუნებდა.

ახლა მის კალთაში მედო თავი. აჩაფერს ვამბობდით. ყურს უუკვებდით წვიმის თქრიალს, ნიადვრების ჩხრიალს. დროდადრო ჰქვდა.

რიტას არ ეშინოდა ჰქვა-ჭუხილისა. როცა ჩემთან იყო, ჰქვყანა რომ დანგრეულიყო, არაფერი არ ანადვლებდა. ეს, ფიჩხითა და მორებით გადახურული მიწური ქოხი, მას სრა სასახლე ეგონა, ტყე — სამოთხის ბაღი. როცა ჩემთან იყო სხვა სიმდიდრე არაფერი არ უნდოდა.

— რა კარგია! — თქვა რიტამ და თმები მიმიწეწ-მომიწეწა ალერსით. თვალეში მივნახე. მერე ისევ ალერსით დამივარცხნა თმა.

— რა კარგია! — წაიჩურჩულა. ვერ მიუხვდი რაზე ამბობდა, კარგიაო. ვკითხე.

— სულელო! — ალერსით მისაყვედურა, — განა არ არის კარგი, ტყეში ასე გიყურად რომ წვიმს და ჩვენ კი არა გვენადვლება რა! შენ რომ ხელი არა

გტკიოდეს, ცარეთ გავიყვანდი და ამ თბილ თავსხმაში ვიხეტიალებდით. გაახილე თვალი, შემომხედე და მითხარი, ხომ გიყვარვარ?

— მიყვარხარ, რიტა! — წაიჩურჩულე, ვინ იცის, მერამდენედ. თან მშინარე დაჭირლებისა მერიდებოდა, არ გავიგონონ-მეთქი.

თავს მიჭერდა, თითქოს გავუძლიანდებოდი, ანდა უარს ვეტყოდი კოცნაზე. მომიახლოვა თავისი აბურთული ტუჩები და... პარტიზანობა, ტყე და გაჭირვება, ომი და ჭუხილი, სევდა და გულისტკივილი, ერთიანად დიდ ნეტარებაში ჩაინთქა. მესმოდა ქალის საამო ოხვრა.

ქუხდა, ელავდა. წვიმა ღვართქაფად მოდიოდა, ტყეში გიჟმაგი ნაკადულები ჩხრიალებდნენ.

ერთხელ, როცა შუა ზაფხულის პაპანაქება სიცხე იყო, მე და რიტა ბანაკიდან იავიპარეთ. ტყეში ერთი პატარა, ყვავილებით აჭრელებულ მდელოს მივაგენით და იქ მცირე ხანი დავყავით. მაგრამ ეს დრო საუკუნეს სჯობდა.

ყვავილები და ჩვენი სიყვარული გვათრობდა. იარაღი დავყარეთ, შევმსუბუქდით. რიტა დაჩრდილულ მდელოზე იაიქცა და მივდიე. ხელებგაშლილი გარბოდა, კისკისებდა, გზებს განგებ ხლართავდა, რომ ადვილად არ დამეჭირა; როცა მივწვდებოდი, სწრაფად დაინხრებოდა, ხელსა და ხელშუა ფამიჭერებოდა, ერთს შეიფრთხილებდა და კისკისს უმატებდა.

მეც განგებ არ ვიჭერდი. მიხაროდა ასეთი დევნა და სირბილი.

ბოლოს მაინც დავიჭირე, ათჭვირებული, აღელვებული, აგზნებული, ცხელი. მისი გული დატყვევებული ჩიტივით ხტოდა.

— ოჰ, როგორ მინდოდა, სწორედ ასე გვეთამაშა. კარგად კი გამოვიდა! — ნეტარებით თქვა მან. — მშურდა, როცა სადმე დავინახავდი, ან წავეითხავ-

დი შეყვარებულების ასეთ თამაშს... და ჩვენც ხომ... დაილაღე?

— არა, არ დავლილივარ.

— მაშ კიდევ ერთხელ დამიჭირე.

გაიქცა. ვლიე. დავიჭირე და მაშინ კი ორივემ ვიგრძინით დაღლა. მერე, კარგა ხანს ყვავილებსა და ბალახში ვეყარებით.

ლადოს გულახდილად გამოვუტყდი, რისთვისაც გავიბარე ბანაკიდან. „დენერტირობა“ მაპატია და არჩევანი მომიწონა. ვატყობდი, თვითონაც უზომოდ იყო შეყვარებული. მაგრამ თვალი მაინც ვერსად შევასწარ მას და ევლასიას ერთად რომ მდგარიყვნენ და ისე ეშუაქუთათ, როგორც მე და რიტა ვშუაქუთებდით.

რიტა მოსკოველი იყო. როცა გერმანელები დედაქალაქს მიაღდგნენ, რიტა კომკავშირელებთან ერთად მოსკოვის ოლქის პარტიზანებთან წასულა, რაზმამდე ვერ მიუღწევია, ბედმა უმუხთლა და რამდენიმე გოგონასთან ერთად ტყვედ ჩავარდნილა. ფაშისტებმა მაშინვე გერმანიისაკენ უკრეს თავი. პოლონეთისა და ბელორუსიის საზღვარზე, იქ, სადაც ახლა ჩვენ ვიყავით, პარტიზანებმა ეშელონი შეაჩერეს, გერმანელები ამოხოცეს და ტყვეები გაათავისუფლეს. რიტა მაინც მოხვდა პარტიზანებთან, მაგრამ ამჯერად მოსკოვიდან ძალიან შორს.

ხშირად მიაბობდა დედაზე, ახლა მარტოდმარტო რომ იყო შინ. მამა ომის პირველსავე დღეს საზღვარზე დაიღუპა. მიაბობდა სკოლაზე, თავის ამხანაგებზე. და, ალბათ, ძლიერ იყავებდა თავს, რომ ყველა სევდიანსა და სამწუხარო ამბის გახსენებაზე ცრემლის ერთი წვეთიც არ მორევიდა თვალში. ის თამამი და მამაცი გოგონა იყო. ბევრ ბრძოლაში მიეღო მონაწილეობა. არ ვიცი, რა თვალზე დამინახა, პირველად მე შევეყვარდი და არც დამთმო. ისე გულგახეთქილი შემეგებებოდა, თითქოს მთელი წელი არ ვენახე.

ტყეში გდებამ, პარტიზანულმა ცხოვრებამ და რიტამ სულ სხვა კაცად მაქციეს. მე თვითონ ველარ ვცნობდი ჩემ თავს. მკლავი და გული გამიმამარდა. სიმამაცე მომემატა. გაჭირვებას ადვილად ვიტანდი და რიტასთან ერთად ბედნიერ, მშვიდ ცხოვრებაზე ვოცნებობდი.

ხშირად მარტო ვყოფილვარ ბანაკის საგუშაგოზე. ტყეში მარტო, ისიც ღამით. მაგრამ აღარ შემშინებია. ისევე, როგორც თავის სახლში არ ეშინია ბაღს. ტყე ხომ ჩვენი სახლი იყო. აქ ნადირებს მივეკედლეთ, გარეული ცხოველების ხიზნები შევიქენით. მინახავს დამფრთხალი გარეული ღორების კოლტი, თვალი მომიკრავს ქორბუდა ირემისათვის, დაგვიფრთხია ბევრი მტაცებელი.

შეიარაღებულ კაცს გულიც მაგარი აქვს. მით უმეტეს, როცა მძინარე ბანაკს დარაჯობს და იმ ბანაკში მის სატრფოსაც სძინავს. ეს ბევრს ნიშნავდა, რომ უფრო ფხიზლად და გულადად ვყოფილიყავი.

შემდეგ კი ღრმად მეძინა. რიტას ალერსში გამღვიძებია. ალბათ მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ მე სიზმრებში დაეფთაურობდი, იჭდა ჩემთან და მიალერსებდა. ალბათ ამიტომაც უფრო ტკბილი იყო ძილი. გამღვიძებია და რიტას წყლიანი თვლები შემეფეთებია. ძილ-ბურუსიდან გამოვსულვარ და ტკბილ ცხალში ჩავკარგულვარ.

პარტიზანული რაზმი წამოიშალა.

მდინარე ვეშუე, ქალაქ ლუბარტუვთან, სარკინოგზო ხიდი უნდა აგვეფეთქებინა. რკინიგზა ლუბარტუვიდან ლუბლინისაკენ მიდიოდა. ხიდს გერმანელთა გაძლიერებული რაზმი იცავდა. დაზვერვით ვიცოდით, რომ ამ რაზმს ოთხი მძიმე ტყვიამფრქვევი ჰქონდა. ხიდზე იდგა რამდენიმე ბროკეტორი.

ოპერაციას თვითონ ბრიგადის მეთაური ბოგდანოვი ხელმძღვანელობდა. სანამ პარტიზანებს წამოშლიდა, ბრიგადის შტაბის უფროსთან, თავის მოადგილე-

ებთან და ცალკეული ქვედანაყოფების მეთაურებთან ბჭობა გამართა.

ბრიგადის შტაბის უფროსს რუკაზე აღენიშნა რაზმის სამოქმედო გზა.

ლუბარტოვისაყენ ლამით წავედით. ბრიგადა სამ რაზმად იყო დაყოფილი. სამი გზით მივდიოდით გეპშისაყენ. ეს არცთუ ისე დიდი მდინარე იყო. ხიდიც ვებერთელა ნაგებობას არ წარმოადგენდა, მაგრამ მისვლა და აფეთქება ძალზე ძნელი საქმე იყო.

ჭერ კიდევ საკმაოდ შორი მანძილიდან შევნიშნეთ თაღოვანი ხიდის მოხაზულობა. ხიდის დამცველი რაზმი სიბნელეში პროექტორის ღრძელ ხელს დააცეცებდა.

ჭაობში მივტოპავდით. გეცემდა ჩამყავებული წყლის სუნი და გაბრუნებულებს გულს გვირევდა.

როცა ხილზე პროექტორები აენთებოდა და მიდამოს სინათლის ქველთ გადასერავდა, ჯანღი იკრიცებოდა და მკრთალი ნათელი გვეფინებოდა.

ირველივე მყუდროება სუფევდა. ხიდს ნელა ვუახლოვდებოდით.

ჩემთვის, როგორც რიგით პარტიზანისათვის, ყველაფერი ცნობილი არ იყო. რა გეგმით მიდიოდა ჩვენი ოპერაცია, ხიდს საიდან და როგორ დავცხებდით. ვერც ის შევნიშნე, წინა დღეს სად გაქრა ჩვენი ოთხი კაცი და მათ შორის მიათროვიც. ლადო მთელი დღე წრიალებდა, მაგრამ არაფერს მუშენებოდა. მაშინაც ამღვრეული იყო, როცა ჭაობში მივტოპავდით. წინ მიგვიძღვოდა. ხელზე ფოსფორიანი საათი ეკეთა, მაღიმაღ დანუდავდა და გვაჩქარებდა. ჭაობი ფავიარეთ და ახოზე გავედით. ხმას არავინ იღებდა, ღრმა ამოსუნთქვასაც კი ვერიდებოდით.

წამით შევჩერდით. ლადომ ერთხელ კიდევ დახედა საათს და მიჩურჩულა:

—ახლა მატარებელი გამოივლის.

ამის თქმა და ორთქლმავლის შორეული ყრუ ხმაც გავიგონე.

ავგაჩქარა. რკინიგზას მიუუახლოვდით. მიწაყრილის გასწვრივ მეჩხერი ხეები იყო. ცაზე უამრავი ვარსკვლავი ენ-

თო. რკინიგზის მაღალი მიწაყრილი ჩვენს წინ გრძელ, გადასწორებულ ფორაკად გადაჰიმულიყო.

მაღე გუგუნ-გრიალით გაიარა ორთქლმავალმა. მძიმედ მიდიოდა ხიდისკენ და თან მიათრევდ ღია ბაქნებსა და დახურულ მოკლე ვაგონებს.

— ახლა კი დაიწყება! — თქვა ლადომ და ბიჭებს გადმოგვხედა. ის ალბათ სიბნელეშიც გვხედავდა ყველას. ალბათ ყოველ ჩვენთაგანს ცულშიც კი ჩახედა. ბრძოლაში გამოუცდელი და ახალბედა პარტიზანი არავინ გვყავდა, ამიტომ მეთაურიც ცულმაგრად იყო. მაგრამ მაინც, ყოველ შემთხვევისათვის, მატარებლის ხმაურით ისარგებლა და დაგვძახა:

— მაგრად იყავით, ბიჭებო!

რა ვიცოდით, რომ იმ მატარებელს ჩვენი ოთხი პარტიზანი გამოჰყვა მალულად. მატარებლის ხილზე შედგომისთანავე ისინი ხელყუმბარებს დააყრიდნენ მცველებს. ეს სიკვდილთან თამაში იყო, მაგრამ გაბედული თამაში.

ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც ვარაუდობდნენ პარტიზანთა თავკაცები.

მატარებელი ხილზე შედგა თუ არა, ზედოზედ იჭექა რამდენიმე ხელყუმბარამ, მერე დავინახეთ ვაგონის სახურავებიდან გასროლილი ტყვიების მანათობელი ზოლები.

ატყდა ტყვიამფრქვევების კაკანი.

მატარებელი ხილზე ვაჩერდა. ორთქლმავალი გულმოსულივით ხენეშოდა. მის ხენეშას ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების ქახქახი და კაკანი არღვევდა.

პროექტორებმა წამს თვალთანედვა დაგვიხშო. ველარ ვარჩევდით, რა ხდებოდა ხილზე. ჩვენდა სასიკეთოდ პროექტორები სულ მალე ჩაქრა. ბრიგადის მარჯვენა ფრთამ უკვე შეუტია. პარტიზანები მიწაყრილზე აცვივდნენ და ხიდის ყურეს ეძებრნენ. ამ დროს მატარებელი დაიძრა. ამან ხელი შეგვიწყო, რომ მტრის ჯვარედინ ცეცხლში არ მოვხვედრილიყავით.

მტრის მძლავრი ცეცხლი წინ შინც არ გვიშვებდა. ხიდის მარცხენა ყურეში კიდევ აკიაფდა პროექტორი. ლიანდაგის გასწვრივ გაწვა სინათლის მკერძი ჰავლი. ეტყობოდა მატარებელი გერმანელებსაც უშლიდა ხელს, ხიდს სწრაფად გააცილეს. ვაგონების სახურავებიდან უკვე აღარავინ ისროდა. ახლა შუა ხილიდან, ზედ რაინიგზის გაყოლებით, ტყვიამტრქვევის მძლავრი ცეცხლი დაანთო მტერმა. ტყვიას ტაკატუნი გაჰქონდა შპალეზსა და ლიანდაგზე.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ბრიგადის მესამე, მოზრდილმა ნაწილმა, ხიდს მეორე მხრიდან შემოუტია. პარტიზანები იერიშზე გადმოვიდნენ და ვაშის ძაბილით ეკვეთნენ მტერს. ხიდის ის მხარე საიდანაც ჩვენ ვუტყვევდით, უფრო გამაგრებელი იყო, მაგრამ ახლა ჩვენები ზურგიდან ჩასცემდნენ ლახვარს.

ბრძოლამ ისე ჩაგვიტორია, მაიოროვზე და მის ჯგუფზე არაფერი არ გვიფიქრია. სამჯერ მივიტანეთ იერიში ხიდზე და მტერმა სამჯერვე მოგვიტყუა. მეოთხედ კი ცალ ფრთაზე ვძლიეთ და ეს ბზარი საკმარისი აღმოჩნდა, რომ შთლიანად დაგვეგვრია მტრის საცეცხლე წერტილები.

ბრძოლაში ისე შეუმჩნევლად გასულიყო დრო, როცა ხიდთან მივიჭერთ. უკვე ლილისფერი ნათელი იღვა და ჩვენ კარგად ვარჩევდით მტერსა და მოყვარეს.

ხიდზე ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ყველაფერს ვლენწავდით, რაც წინ გვედობებოდა.

ლადო ნაეროზაშვილი არავის არაფერს არ აცდიდა. პირველი მიიწვევა და ისეთი ძალ-ღონით ელტედა ფაშისტებს, თითქოს განგებამ უკვდავების სული ჩაჰბერა და მკერდში რაინის გული ჩაუდგავო. ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა. ბრძოლაში ქუდი დაჰკარგა. ქუდს კი არა, თავს აღარ ჩიოდა კაცი. ფაფარით წამოეშალა ხუჭუჭა ქოჩორი.

გამიგონია, კაცზე უთქვამთ, თვალუბიდან ნაპერწკლები სცვივოდათ. იქ

ენახე რა ყოფილა ეს, თვალუბიდან ნაპერწკლების ცვენა.

ლადო ისე მარჯვედ დაუტყდა მტრის ჯარისკაცებს, გეგონებოდათ ბოდბისხევის, კასპის, ან ყარაღაჯის საჭიდაოზე დასეულ ხურდაბიჭებს იგერიებდნენ. ცოცხლებს ხიდის მოაჯირიდან პირდაპირ მდინარეში ყრიდა, მკვდარს ფეხით სთელავდა. ომამდე კი ქათამი არ დაეკლა. ვინ დაუჭერებდა?! დაილაღა, სული მოითქვა. მეც არ მივიწყებდა. პა, როგორა ხარო, გადმომხედავდა. მისკენ წამოსულ ერთ ფერმანელს მუცელში ისე შეუვარდა, როგორც ფალავანი ფალავანს. წამოვეშველე, რადგან ამ ფანდმა უმტყუნა და იმ ურჯულომ ლამის დანა ჩასცა მკერდში. მტერი მოვუკალ და ლადომ ისეთი მადლიერებით შემომხედა, უსიტყვოდ მითხრა სათქმელი და ისევ ბრძოლის ცეცხლში ჩაება.

მტერი ეძლიეთ. ჩვენც ბევრი დაგვეხოცა. დაჭრილები სწრაფად გავიყვანეთ ბრძოლის ველიდან.

ლადომ ბრიგადის მეთაური მოიკითხა. მოახსენეს, რომ იგი მძიმედ დაჭრილი გავიყვანეთო. სწრაფად მონახა ბოგდანოვი ძალამიცილილი იწვა დროგში. თავს ორ პარტიზანი ადგა. მოვიდნენ ცალკეული რაზმის მეთაურებიც.

ბოგდანოვმა არავის ყურადღება არ მიაქცია, ლადოს ანიშნა უფრო მომიახლოვდითო.

— ააფეთქეთ ხიდი! — ბრძანა, უძლიერი ხმით.

ეს იყო ჩვენი ბრიგადის იმდღევანდელი ბრძოლის დასკვნითი ნაწილი.

ხიდის ასაფეთქებლად ხელს აღარაფერი გვიშლიდა. მაგრამ მაინც უნდა ავჩქარებულყავით, რადგან შესაძლო იყო ქალაქ ლუბარტოვიდან მტრის ჯარი მოსულიყო ჩვენს გასანადგურებლად.

როცა ხიდის რაინის ჩონჩხმა გრიალი გაიღო, ჯერ ზევით აიწია. შეიმართა, რამდენიმე ნაწილად გადაიხლიჩა და ზათქით ჩაეშვა მდინარეში.

ბოგდანოვმა კვლავ მოიხმო ნაეროზაშვილი.

— გაუძეხი ბრიგადას!

ლადო შესწორდა და ბრიგადის მეთაურს მაშინვე უყუყუმანოდ მიუგო:

— შევასრულებ!

ერთი საწინააღმდეგო სიტყვა არ წამოსცდენია. ბოგდანოვმა კარგად იცოდა, ვისაც ანდობდა ამდენ ხალხს.

დახოცილები სწრაფად მივებარეთ მიწას. კიდევ ერთხელ ვესწრებოდი ადამიანთა სწრაფად, პარიპარად დამარხვას. არც პანაშვიდი და არც რაიმე სხვა ცერემონიალი. მიწა მივაყარეთ, იარაღი თითოჯერ დავაჭუხეთ და ამით ყველაფერი დასრულდა.

შვიდობით, ჩვენო მეგობრებო!

დახოცილთა შორის ის მამაცი ოთხი პარტიზანიც იყო, მატარებელს ხიდზე რომ შეჰყვა.

მაიოროვის გვამი ხიდზე ვიპოვნეთ. პირველად მის დანახვაზე თავზარდაცემული შებარბაცდა ნავროზაშვილი. დავინახე როგორ მოხუჭა თვალი. არ უნდოდა დაეჯერებინა, რასაც ცხადლივ ხედავდა, მაგრამ მწარე სინამდვილეს ვერსად ვერ გაქცა.

როცა დახოცილ ამხანაგებს მიწა მიაყარეთ, პარტიზანების უმრავლესობას თვალემა ცრემლით ჰქონდა საესე, ხოლო ბრიგადის ახალი მეთაური იღვა გაკერპებული, გახევებული, ჰვადქცეული. ქვედა ტუჩს იკვნიტდა.

რამდენიმე დღის შემდეგ კი, როცა ძღვერ მოენატრა თავისი მამაცი მეგობარი, ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს საიდანდაც მოეღოსო, მერე ხელი ჩაიქნია და ცრემლი მოიწმინდა. მხოლოდ მაშინ დავინახე მის თვალში ცრემლი. არ დაუშალავს.

ბანაკში ბრიგადის ახალმა მეთაურმა მიგვიყვანა. ნავროზაშვილმა ბრიგადის მეთაური თავის მიწურში დააწვინა. „ორმოცდამეთხუთმეტე“ მაშინვე გაინდა ბრიგადის მეთაურის სადგომში. არავის ყურადღება არ მიაქცია, დაჭრილს მიაშურა. მეც იქ ვიყავი, როგორც ბრიგადის მეთაურის ადიუტანტი. „ორმოცდამეთხუთმეტე“ აღელვებული იყო.

— რა დავემართათ, იური დიმიტრიჩ?

— დავიჭერი... არაფერი... გაცივლის.

— როგორ არა ცრცხვენიათ! ზიზლითა და სახის მანქერულად დახვეწილად ყველა იქ მყოფს „ორმოცდამეთხუთმეტე“, — ნუთუ ერთი კაცის დაფარვა ვერ შესძელით? გაიმეტეთ მეთაური!

— ნურავის უსაყვედურებთ... — ამოიკენესა ბოგდანოვმა, — ყველამ მამაციურად იბრძოლა... ბრიგადას ახალი მეთაური ყავს.

— ვინ არის, იური დიმიტრიჩ? — შეცბუნდა „ორმოცდამეთხუთმეტე“.

— შე გახლავართ, — თავდაჭერილად მიუგო ნავროზაშვილმა.

„ორმოცდამეთხუთმეტე“ რაღაც ჩაიდუღდუნა, მაგრამ სიტყვები ვერ გავარჩიე.

— ეს ჩემი ნებაა... და შეიძლება უკანასკნელიც, — თქვა ბოგდანოვმა, — თუ ვინდათ რომ ბრიგადა მაგარი იყოს!

„ორმოცდამეთხუთმეტე“ აღმაცერად შეხედა ნავროზაშვილს. ერთ ხანს ხმა არ ამოუღია, მერე ბრიგადის ექიმს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— აქ შეგიძლიათ რომ უმკურნალოთ ამხანაგ ბოგდანოვს?

— არა. ზურგში უნდა გავგზავნოთ.

— ჰო, არ მეგონა თუ ასე სერიოზულად იყო საქმე! — ხმის თრთოლვით თქვა ბრიგადის მეთაურის მოადგილემ. მას სხვა რამ უფრო აღელვებდა, ვიდრე ბოგდანოვის დაქრა. და აი, ის „სხვა რამეც“:

— რა ჩინი გაქვთ? — ჰკითხა ნავროზაშვილს.

— გვარდიის კაპიტანი ვარ.

— ჰო, არ ვიცი, როგორ მოგვარდება ეს ყველაფერი... ძალზე ახალგაზრდა ხართ.

— მოგვარებულია და ეგ არი! — ცივად მოუჭრა ნავროზაშვილმა და ბრიგადის ექიმს უბრძანა, — რაც შეიძლება სწრაფად გამოიძახეთ თვითმფრინავი დაჭრილების გადასაყვანად!

ლამით „აეროდრომი“ მოვაშხადეთ. როგორც კი თვითმფრინავის ზუზუნია



გავიგონეთ, დასაჯდომ მოედანზე ცეცხლი ავანთეთ. მფრინავი ყოჩაღი და გაბედული კაცი აღმონდა, თვითმფრინავი მარჯვედ დასვა. შემდეგ ჩვენ მძიმედ დაქრილები ჩავაწვინეთ.

ბოგდანოვი გამომშვიდობებისას ერთხელ კიდევ ულოცავდა საბრძოლო გზას ნავროზაშვილს.

მოტორი აზუზუნდა და ჩვენ მღუშარედ გავაცილეთ რკინის დიდი ფრინველი.

ვათენებისას მივიღეთ ცნობა, რომ სანიტარულმა თვითმფრინავმა ყველა დაქრილი მშვიდობიანად ჩაიყვანა.

ბრიგადის მეთაურად ლადო დაინიშნა.

„ორმოცდამეთხუთმეტემ“ ვერ მოისვენა.

— თათბირებზე რატომ ასწრებთ ამ პარტიზანს? — კითხა ლადოს.

მისი სიტყვა მე შენებოდა. უხერხულად შევიშმუშნე.

— ეს ჩემი ადიუტანტია! — მაშინვე მიუგო ლადომ.

„ორმოცდამეთხუთმეტემ“ ისე დამცინავად ჩააქნია თავი, შევატყვე. ლადოს სისხლი მოაწვა კისერში, ველარ მოითმინა და კითხა:

— იქნებ დროა ვიცოდე ჩემი მოადგილის სახელი და მამის სახელი? თორემ ძალიან შეუხერხებლება მუდამ „ამხანაგი ორმოცდამეთხუთმეტე“. ჩვენ ასე არ ვიმალებით.

ათქმევინა. ლადომ გვარ-სახელის გარდა სხვა ბევრი რამეც ცაიგო. არმიანში დიდი ხნის ნამსახური კაცი ყოფილა.

ერთხელ, საბრძოლო გეგმის ცანხილვისას, „ორმოცდამეთხუთმეტემ“ თავისი მოსაზრება გამოთქვა. შტაბის გეგმა დაიწუნა. ლადომ უთხრა, ყველაფერში მართალი ბრძანდებით, მაგრამ ოპერაციას ჩავატარებთ ისე, როგორც შტაბმა დაგეგმაო.

„ორმოცდამეთხუთმეტე“ ადგილიდან ვანრისხებულნი წამოიჭრა, მაგრამ მე-

ტისმეტი მღელვარების გამო სიტყვა ვერ დასძრა.

ოპერაცია ჩინებულად ჩატარდა.

წარმატებას წარმატება მოსდევდა. ბრიგადა მტრის რისხვად გადაიქცა. სხვა პარტიზანულმა რაზმებმაც გაიგეს ჩვენი მამაცი მეთაურის სახელი.

ლადო კვლავინდებურად წერდა დღიურს და დაჯილდოებულთა სიებსაც ადგენდა. არავის ამაგს არ უქარგავდა და სწამდა, რომ დედასამშობლო ყველას ღვაწლს დაუფასებდა.

— დაჯილდოების რა მანიით ხართ შეპყრობილი, ამხანაგო მეთაურო? — შენიშნა „ორმოცდამეთხუთმეტემ“.

— ბოდიში მომიხდია, წლოვანებით ჩემზე უფროსი ბრძანდებით, მაგრამ სუბორდინაციის დაცვა თქვენც გევალებათ! — ცივად შეაწყვეტინა სიტყვა თავის მოადგილეს.

მიკვირდა, ლადო რატომ იტოვებდა ასეთ კაცს მოადგილედ. ბრიგადის კომისარი, შტაბის უფროსი და ყველა რაზმის მეთაური ამოღებული ხმლებით იყვნენ. მხარში ედგნენ მეთაურს.

ერთხელ, როცა ბრიგადაში ბელორუსიის პარტიზანთა მთავარსარდლობის წარმომადგენელი მოვიდა, ნავროზაშვილი დიდხანს ელაპარაკებოდა მას, გააცნო ბრიგადის საბრძოლო გზა და უჩვენა დაჯილდოებულთა სიები. წარმომადგენელმა აღუთქვა დახმარება. იგი ერთ ხანს დარჩა ჩვენს ბრიგადაში და ლადოს ეხმარებოდა ბრძოლა ეწარმოებინა ისე, როგორც ეს მთავარსარდლობის მიერ იყო ცათვალისწინებული ბელორუსიისა და პოლონეთის ტერიტორიაზე მოქმედ დიდი პარტიზანული შენაერთებისათვის.

სარდლობის წარმომადგენლის გამოჩენამ ფრთები შეაკვეცა „ორმოცდამეთხუთმეტეს“. მაგრამ ღვაძლიანი კაცი არ იშლიდა თავისას. მას სამხედრო ხელოვნების მკოდნედ მოჰქონდა თავი და უმეტესად შტაბის საქმიანობაში ერეოდა.

ერთხელ ლადო ნავროზაშვილმა დაიბარა იგი და ბელორუსიის პარტიზან-

თა მთავარსარდლობის წარმომადგენლის თანდასწრებით უთხრა:

— ბრიგადას ორ ნაწილად ვყოფთ. ერთს მე ჩავუდგები სათავეში, მეორეს თქვენ. საბრძოლო ამოცანა თქვენთვის უკვე ნათელია, ლუბლიანის გზაზე მტრის დიდ ალაღს უნდა დავეხსნათ თავს. ბრძოლა სასტიკი იქნება.

აქამდე „ორმოცდამეთხუთმეტს“ დამოუკიდებლად არც ერთი რაზმი არ წაუყვანია ბრძოლაში. საერთოდ იგი ყოველთვის არიდებდა თავს სასტიკ შეტაკებებს.

...მაგრამ იმ ბრძოლაში კინალამ თავი წააგო და რაზმიც დაღუპა. ისევ ლაღო მიეშველა და იხსნა.

როცა ბრიგადამ ბრძოლა გადაიხადა და დალილ-დაჭანცული ბრუნდებოდა ბანაკში, ლაღო თავის მიწურთან მივიდა და უძღურად მიმოიხედა, მერე გაილიმა. მივხვდი, რომ ჩემს ზურგს უკან რაღაც შენიშნა. მივიხედე და: ჩვენსკენ ჩიტებივით მოფრინავდა რიტა.

— დარდი ექნებოდა, — მითხრა ლაღომ და მიწურში ჩავიდა.

რიტა ყელზე მომეხვია, ქუჩუკიანი სახე დამიკოცნა და თან გულგახეთქილი შეიკოხებოდა:

— დაკრილი ხომ არა ხარ? ხომ არაფერი გტყენია?

დაღლილი ვიყავი, მაგრამ მისმა ალერსმა გული დამიამა. ხელი ჩავკიდე და ტყის მოლიკლივ წყაროსკენ გავიქცით. წელს ზევით გავშიშვლდი და გახურებულს მემამ ცივი წყალი. რიტა ბალღივით მეთამაშებოდა და გახარებული იყო, რომ მე უვნებლად დავბრუნდი ამ ერთი ბრძოლიდანაც.

ცოტა ხნის შემდეგ გვერდიგვევრდ ჩამოესხედით.

შემოდგომის პირველი დღეები იყო, მაგრამ ტყის ისევ ზაფხულის ქათიბი ეცვა, ისევ ზაფხულის სუნთქვით ცოცხლობდა და შემოდგომის დადგომა არც ერთს მის კუნძულში არ იგრძნობოდა.

რიტა ყველაფერს ცაბედულად და პირდაპირ მეუბნებოდა ხოლმე, მაგრამ

მამინ ერთი სათქმელი საკმაოდ მიკიბმოკიბა. ვვიან მიმხვედრან. *მეხმამეღ ყოფილიყო.*

ერთ ხანს სახე ხელებში დამალა, მერე უცებ შემომხედა. ლოყები შესწითლებოდა, დედობის სიხარულის განთიადი უკვე კრთოდა მის თვალუბში. მის ცხოვრებაში ყველაზე ამაღლებელი ხანა ახლოვდებოდა.

ამ ამბავმა როგორც უზომოდ გამახარა, ასევე მატყინა კიდეც გული. ამ არეულობაში, ამ დაულავებელ ცხოვრებაში კარგი იყო ჩვენი ტრფიალი, დიდ ტყვიელებს გვიყუჩებდა. მაგრამ, აბა, წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება მამინ, როცა ჩვენი ბავშვი მოვევლინებოდა ამ ქვეყანას და მერე სად, ტყეში, ისევე როგორც პირველყოფილი ადამიანები იბადებოდნენ, როცა ქვეყანაზე არ იყო არც ერთი ხეირიანად ნაგები ქოხმახიცი კი, როცა ხალხი გამოქვაბულებს აფარებდა თავს და ჩვენსავით მიწურებში ცხოვრობდა. ჩვენს დროში კი ქვეყანაზე იყო მრავალი ათასი ბრწყინვალე ნაგები ქალაქი და სოფელი. სადღაც ადამიანები ცხოვრობდნენ მშვიდად. სადღაც ათასობით ქალი დედობის მოლოდინის სიხარულით იყო წამონთებული და ერთი წუთითაც არ ფიქრობდა იმას, რომ მის შვილს რამე გაუჭირდებოდა. ჩვენ კი... რა მოგველოდა?

— რიტა! — ვახარებულმა და ამავ დროს შეშფოთებულმა წამოვიძახე და მეტის თქმა ველარ მოვახერხე.

ის ალბათ არც კი ფიქრობდა იმას, რაც მე ვიფიქრე. ის მხოლოდ ამ მცირედი ბედნიერებით იყო კმაყოფილი. იქნებ ჩემზე უფრო მწვავედაც ფიქრობდა და განიცდიდა. ვინ იცის! კი არ ამქვანებდა და. იქნებ ეწინოდა, რომ მის სიხარულს ხინჯი რაიმე არ მოსდებოდა?!

ჩვენ უნდა ვაგვხარებოდა. ჩვენს გულში სიხარული უნდა ყოფილიყო, მეტი არაფერი.

რიტას წითლად უღვივოდა ლოყები,

უცინოდა თვალეში, ჩემს ხელს მკერდ-
ში იკრავდა.

— ამიტომ უფრო მეშინოდა, შენ
რომ რამე მოგსვლოდა.

— სხვა დროს რომ მომკლან?

— მაგას ნუ ამბობ. მერე დღეს,
როცა ასე ძალიან მიხარია! შენც ხომ
გიხარია, შოთა? მითხარი, ხომ გიხარია?
როგორ ფიქრობ, რაწიერი იქნება ის?
ნეტავ იყოს ვაჟი და ჰქონდეს შენნაირი
თვალეში, შენნაირი თმა, შენი ნიკაპი
და ტუჩები... იქნებ სჯობს, ვაჟი დედას
გავდეს? არ ვიცი, მე კვლავ შეშლის
ეს სიხარული!

განა შემეძლო არ ავყოლოდი ასეთ
ჰუკუმუტში? ავყვედი და გავიხარეთ. ჩვენ
მომავლისთვის ვიბრძოდით, მაგრამ იმ
წუთში, როცა ნეტარებას განვიცდი-
დით, არც კი ვითვალისწინებდით ცხო-
ვრების ზოგიერთ უღმობელ, დაუწე-
რელ კანონს.

ბევრი ვმალეთ და ვეღარ დავმალეთ:
ბანაკში მალე გაიგეს რიტას ფეხმძიმო-
ბის ამბავი. მაშინ პირველი თოვლიც
მოვიდა და პარტიზანებმა დრმა მიწუ-
რები გაეთხარეთ, სახამთრო ბუნაგები
მოვიწყეთ.

ერთ დღეს „ორმოცდამეთხთმეტემ“
უთხრა ნაეროზაშვილს:

— ხედავ, რა ხდება ბრიგადაში?

მერე მე რატომღაც ზიზლით შემომ-
ხედა. შემაჯრეოლა. თვალი მაშინვე მო-
ვარიდებ, რადგან მივხვდი, რომ წამო-
წყებული სიტყვა მე შემეხებოდა, რომ
მე ჩავიდინე რაღაც ისეთი, რაც ზიზლ-
სა და სიძულვილს იწვევს თურმე, რაც
უნდა გაიციცხოს და დაიგმოს.

მუდამ შიშს განვიცდიდი რიტას ფეხ-
მძიმობის გამო. ტყეში არ იყო სოფლის
საბჭო, რომ ხელი მოგვეწერა და ჩვენი
კანონიერი ცოლ-ქმრობა გავეფორმე-
ბინა, სხვებს სალაპარაკო არ მისცემო-
დათ, რომ ჩვენთვის უკანონო ცოლ-ქმა-
რი არ ეწოდებინათ და ჩვენი შეილისა-
თვის უკანონო შეილი, ნაბიჭვარი, ან
ნაბუშარი. უკანონო! ჩვენ ხომ ასე გა-

ვიყვებით გვიყვარდა ერთმანეთი, ამას
სათვალაუში არავენ მიიღებდნენ. ჩვენ
უკანონონი ვიყავით, რადგან სასადაც
დავთარში ხელი არ მოვაწერეთ და
სხვათა დასანახად ნაზად არ ვეამბო-
რეთ ერთმანეთს.

რაც უფრო მშვენივრდებოდა და იგე-
ბოდა რიტა, მე გული მისკვდებოდა,
ჩვენი ავბედითი მომავალი მაფიქრებ-
და. ვიკოდი, ვგრძნობდი, რომ კარგი
ბოლო არ ჰქონდა. და აი, დაიწყო კი-
დეც.

ლადომ ხმა არ ამოიღო. „ორმოცდა-
მეთხთმეტემ“ ჩაიფრუტუნა:

— ბევრნი ხომ არა ხართ. ბრიგადის
მეთაური ბრძანდებით. როგორ არ იც-
ით, რომ თქვენმა ადიუტანტმა... სინ-
დის-ნაშუსი დაკარგა ზალხმა.

გამიკვირდა რატომ დღემდა ლადო.
შევხედე. მშვიდად იდგა და თავის მო-
ადგილეს უყურებდა. იქნებ ახლა ესეც
მომიბრუნდეს, იქნებ ამანაც გამკიცხოს.
ალმური მომელო, სიფიცხე შემენტო.
მაგრამ გამოსავალი ვერ ვბოვებ, როგორ
დამეცვა ჩემი გრძნობის სიწმინდე,
როგორ დამეცვა რიტა.

უფრო მეტად შემეზიზნა ის კაცი,
ყოველთვის აგდებით, ყოველთვის და-
ცინებით რომ გვიყურებდა და ახლა ჩემს
გრძნობას აფურთხებდა, ვგრძნობდი,
რომ მისი სიტყვა გარკვეულ როლს
ითამაშებდა ჩვენს შემდგომ ცხოვრება-
ში, ვგრძნობდი, რომ ამ საუბრის შემ-
დეგ განსაკუთრებული რამ უნდა მომ-
ხდარიყო.

ამ ფიქრში და ძრწოლაში რომ ვიყა-
ვი, ლადომ ხმადებლა დაიწყო:

— ნუ გაეიწყებნათ, რომ ჩვენ ალა-
მინები ვართ. მეც ერთი ხანობა ვფიქ-
რობდი, რომ ჩვენ აქ მხოლოდ ბრძოლი-
სათვის ვიყავით მოსულნი... რომ ჩვენ
სხვა რამის უფლება არა იცქონდა. მაგ-
რამ ვცდებოდი. ჩვენ მუდამ თანა
გვდევს სიყვარულიც. ურომლისოდაც
ცხოვრებას არავითარი აზრი არა აქვს.
მე ამ რამდენიმე ხნის წინათ პარტიზა-
ნულ რაზმიდან მოვიცილე ქალი, რო-
მელიც შემდეგ უზომოდ შემეყვარა,

ჩემს ბრძოლასაც უფრო მეტი აზრი მიეცა. ხდება ის, რაც უნდა მოხდეს, რაც უნდა მომხდარიყო. მართალია ჩვენ ტყეში ნადირებზევითა ვყრივართ, მაგრამ ადამიანური გრძნობა არავის წაუბრთმევია!

თავი ავწიე. ლადოს უცებ შევხედე. სიხარულმა წამყრა. ალბათ ისე თამამად და ლაღად წამოვიხედე, ლადოს უფრო მეტი მხნეობა მიემატა და სხარტად დაამთავრა სათქმელი.

— თქვენ რა გნებავთ, უფრო ვასაგებად გვიოხარით, ამხანაგო ორმოცდამეთხუთმეტე!

იქ აღარ გავჩერებულვარ, ისე ამალეღვა ლადოს სიტყვებმა. მაშინვე გავიქეცი რიტასთან და გულისხეობებით ვუამბე, რაც მიწურში გავიგონე. რიტა არ შემყრთალა. ძალზე იმედიანი იყო და ეს საუბარი არაფრად ჩააგდო. ანთებული თვალები ჰქონდა, როგორც ყოველთვის, როგორც მაშინ სულმოუთქმელი რომ ყვებოდა ჩვენს მომავალ ცხოვრებაზე. ისე ლამაზად მოჰქარგავდა ჩვენს ყოველდღიურ ყოფას, თითქოს ის ყველაფერი, რაც მომავალში უნდა მომხდარიყო, უკვე განვლილი ყოფილიყო.

ფეხმძიმე ქალის გაჩერება ბანაკში მართლაც აღარ შეიძლებოდა.

„დააოჩხლეტ ქალები, გახსენით სამშობიაროები, რეცხეთ ბავშვების ჰინჯები!“ — ზიზღით ფრუტუნებდა „ორმოცდამეთხუთმეტე“.

და აი, ერთ დღეს, დაჭრილების გადასაყვანად გამოქაჩებულ თვითმფრინავს უნდა გაჰყოლოდა რიტაც. გულში იმედი ჩამენტო, რომ იგი ფასცდებოდა ამ საშიშ ადგილებს, აღარ იწვნედა ტყეში გდებით ზამთრის სუსსს, რომ იქ, სადაც მიდიოდა, უფრო უკეთ იქნებოდა, ვეგბ ოდესმე შეგხედროდი, თუკი ამ ტყიდან სულს გავიტანდი.

დღდასთან წერილი დაწვერე. ვინ იცის, ეს მერამდენედ ვწერდი! გაგზავნით კი ვერ ვაგზავნიდი. წერით გულს

ვიმშვიდებდი და ბარათებს ვინახავდი. ახლა კი ყველა ერთად მოხვედტი და რიტას ჩანთაში ჩავუყარე წერილები ეს წერილები თავად წაეღო თბილისში და იქ, მთაწმინდის ძირში დედაჩემთან შორეული პოლონეთის ტყიდან მისულ ფერიას ექიკიკა და ეთქვა რაც შევიძელი, რა ვიყავი და რა გავხდი.

რიტა თბილად იყო შეფუთენილი. მარტო სახე მოუჩანდა. თვითმფრინავისკენ მიმავლები ერთმანეთს ვარიგებდით. ვევედრებოდით, რომ არაფერი მოგვევლოდა. „თავს გაუფრთხილდი!“ მემუდარებოდა და მეც ამასვე ვუმეორებდი. არა, ეს არ იყო დარიგება, ეს იყო ვედრება. ჩვენ სხვა არაფერი არ გვინდოდა, გარდა იმისა, რომ ომის შემდეგ დათქმულ ადგილზე სული მიგვეტანა, ერთმანეთს შეგხედროდით და მერე, რაც არ უნდა დავრდომილები ვყოფილიყავით ერთმანეთს მაინც გავაცოცხლებდით. მერე რიტას ოცნების სურათებიც გაიგავაფხულებდა.

თვითმფრინავთან მივედი. დაჭრილები უკვე დაებინავებინათ. რიტას ელოდნენ. ნუთუ მან ყველაფერი მითხრა და ერთი სიტყვაც კი აღარ დარჩა სათქმელი? რატომ დადუმდა, ან მე რამ დამამუწჯა?

თვითმფრინავის მოტორი უკვე ზუზუნებდა.

— ნახვამდის! — მითხრა რიტამ და მომეხვია, — გელი მოსკოვში... ოჰ, რა მძიმეა ყველაფერი ეს!.. მაგრამ შენ მაინც მოხვალ, მოხვალ, მოხვალ!

ხმაში ცრემლი გამოერია. ვახელებით მკოცნიდა. მერე ხელი შევაშველე და თვითმფრინავში ავიდა. კარი ისე სწრაფად ჩაკეტეს, თითქოს ჩვენზე გულმოსულები ყოფილიყვნენ, თითქოს ვიღაცას რაღაც ვაწყენინეთ. ვიღაცას რაღაც დავუშავეთ ამ ჩვენი უწყინარი არსებობით, ჩვენი ლამაზი, ხანმოკლე ტრფილით, მაგრამ საუბრამო სიყვარულით.

როცა რკინის ფრინველი ლამის სილურჯეში ჩაიკარგა, საოცრად დიდი სიკარიელე ვიგრძენი.

ლადოს არ ეშორებოდი. მიწურში მასთან შეძინა. მე აღიუტანტიც ვიყავი მისი, დენწიჩიცი, ორდინარეციც, მეკავშირეც... არაფერს ვთავალობდა, ოღონდაც მისთვის მესიამოვნებინა, ამ ვაჟაკმა ძლიერ შემაყვარა თავი. არც ის მაკლებდა ყურადღებას.

სანიტარულ თვითმფრინავს სახიფათო გზის გავლა მოუხდებოდა. იმ დამეს ძილი არ მომკარებია. ლადოსაც ორიოდ საათი არ უძინია. გვიანობამდე შტაბის უფროსთან ერთად რუკას უჯდა და მუშაობდა, მერე გაუხდელად მიწვა და აღვამაც დამასწრო.

გარეთ ჭერ კიდევ ბნელოდა. მიწურში კრაჭი ხრჩოლავდა. არ ვიცოდი რა დრო იყო. ლადომ დამხედა თუ არა, მაშინვე წამოვჩქევი.

— არა გძინავს, ბიჭო?

— რა დამაძინებს! გული არ მისვენებს, რაღაც ცუდს მეუბნება.

— ნუ სულელობ. შენც გულთმისნობა დამიწყე. იქნებ მკითხავადაც დაგვიდგე ბანაკში! — ხუმრობით ხელიც წამკრა, ეცადა, რომ გულს დარდი გადამყროდა.

— იქნებ უკვე მიიღეს ცნობა?

— ადექი, წამოხვე, გავიგოთ.

მაშინვე წამოვხტი. ორივენი ბუშლატებში გავეხვიეთ. მთელი დამე ხეავიანად ეთოვა და ახლაც ბარდნიდა. დროდადრო ტყეში ყრუ გუფუნის ისმოდა და ცივი ნიავქარი ფანტელების კორიანტელს აყენებდა. ჭერ არ იყო გათენებული, მაგრამ თოვლი მიბნედილ მთვარესავით ვერცხლისფერ ნათელს ჰფენდა მიდამოს.

ველალია კოვალსკა ამჯერად მარტო არ იყო „რადიოსადგურში“. მას თანაშემწე ყავდა. ისინი ერთად ცხოვრობდნენ იქ, სადაც რაცია გვედგა.

მიწურის კარს მივუახლოვდით და დავაკაკუნეთ. ველალია ფეხზე დაგვხედა, ხოლო მის მეგობარს ისევ ღრმად ეძინა.

ჭრაქმა გაგვანათა. ლადოს დანახვაზე ველალიას ცისკარი ჩაუდგა თვალებში.

მე ჩემი დაკარგული ბედნიერება მომენატრა და გული დამწყვდა.

ველალიამ მალე ამბუშავა კისრები. დიდხანს ეწვალა და დათქმულ ტალღაზე ვერავის ვერაფერი ვაგონა. გული საგულეს არ მიჩერდებოდა. ვუცქერდი ველალიას ხელებს და თითქოს მათ ამტყველებას ველოდი. ხელები კი ჭიუტად გადასცემდნენ სიგნალს, იმეორებდნენ ერთსა და იგივეს. ერთს ნაღვლიანად ვადმოგვხედავდა ველალია, თავს სინანულით გააქნევდა და მისი ხელები ისევ ჭიუტად მოქმედებდნენ. არაფერი გამოდოდა.

ნაშუადღევს, როცა ქვაბუნებით ცხელი კერძის მოსატანად გავრბოდი, ლადოს მიწურისაკენ მიმავალი ველალია დავინახე. დავუძახე თუ არა, მაშინვე შეჩერდა. შეერთა და ერთ წუთს ისე მიყურებდა, მუხლები დამიძაბუნდა. ენა დამება. იქნებ ელოდა, რომ რამე მეთქვა. მეც ჩემის მხრივ მისგან ველოდი სიტყვას. და ასე, ურთიერთ ლოდინში ვიდექით გახევებულეები. მე თქმას ვერ ვახერხებდი, ის კი რაღაცას მიმალავდა, ეს აშკარად ეხატა სახეზე, თვალებში, უღონოდ ჩამოყრილ მხრებზე და ხელებზეც კი.

ველალია უცებ შეტრიალდა და გაიქცა. თვალი მივადევნე. მეთაურის მიწურთან მიიღბინა, კარი სწრაფად შეაღო და ასევე სწრაფად მოხურა.

ვიდექი გახევებული და აღარ ვიცოდი საით წავსულიყავი. ვგრძნობდი, რომ რაღაც მოხდა, მაგრამ რა, ამას კი ვერ ვხვდებოდი. დიდი ბურუსი ეფინა ველალიას საქციელს.

ფეხათრეული შევბრუნდი ლადოსთან. მან უცებ ამაყად და მგრძნობიარედ შემომხედა. ამ შემოხედვაში ისეთი სიძლიერე დავინახე და ჩემდა უნებურად ისეთი სიმხნევე ვიგრძენი, წამის წინ ცუდი ამბავის მოლოდინში შეშინებული გული უცებ გამიკაჟდა.

ველალია იქვე იდგა. იდგა გამშრალი, ფერმკრთალი და თავშემართული, ისეთივე ამაყი, როგორიც ლადო იყო. თითქოს შეთანხმდნენო, თითქოს სწო-

რედ ასეთი დახვედრა იყო საჭირო იმ კაცის გასამხნეველად, რომელსაც უბედურება დაატყდა თავს და უნდა მოაკონონ, რომ იგი ვაჟაკია, რომ ყოველივე ის, რაც მოხდა, მოსალოდნელი იყო...

ფრონტის ხაზის გადალახვისას თვით-მფრინავი გერმანელებს ჩამოეგდოთ.

არასოდეს არ ეყოფილვარ კუშტი, უკმეზი და გულჩათხრობილი, ესენიც დამჩმედა. მაგრამ არავის უყვირდა და ყველა ითმენდა ჩემს უკმეზ პასუხს. მეგობრებმა გამიგეს და ცოტას როდო ცდილობდნენ გული გაეკეთებინათ ჩემთვის. იმასაც, ვთაკილობდი, როცა ვინმეს პატარა ბავშვივით ვეცოდებოდი.

მე მაშინ ყველაზე უფრო ძალიან ვიგრძენი რა იყო მტრის სიძულვილი. ლადოს ყველგან მიეყვებოდი, ოღონდაც ფაშისტები დამეხოცა. და თუ სადმე გადავაწყდებოდი და გულს ვიჭერებდი, შვებას ვგრძნობდი და ბრძოლის ახალი ჟინით ვივსებოდი. წარსულს ტკივილით ვიგონებდი და სევდით ვბრუნდებოდი.

გერმანელებმა ჩვენს ბანაკს მოაგნეს და ალყა დაგვარტყეს.

როცა დაზვერვამ ეს ამბავი ყოველი კუთხიდან ჯეამცნო, მაშინვე შეიკრიბა ბრიგადის თავკაცობა. სახელდახელო თათბირი „ორმოცდამეთხუთმეტეს“ ბლინდაჟში ჩატარდა. მე ლადოს ვახლდოდი.

გაშალეს რუკები. „ორმოცდამეთხუთმეტეს“ შემფოთებული იყო და დღევანდელი, სიტყვის თქმა არავის აცალა და ბრძანებასავეთ გაისმა მისი ათრთოლებული ხმა:

— ბრძოლით გავვლიჯოთ რკალი!

თითქოს საკამათო არაფერი იყო. თავი უნდა გვეხსნა. აბა სხვა რა გზით დაალწევდა ბრიგადა თავს გარემოცვას?

ლადომ თავი გააქნია და თქვა:

— ჩვენ ისე გავალთ, ერთ კაცსაც არ დაგვარგავთ. რამ შეგაშინათ ეს ბოლო სიტყვები „ორმოცდამეთხუთმეტეს“ განგებ მოარიდა თვალი. არავისთვის მოულოდნელი არ ყოფილა მტრის ალყა, არავის გული შიშს არ შეუძრავს. ჩემთვის გასაგები იყო თავის სიტყვებში ვის გულისხმობდა ლადო, ან ასე თითქოს აგდებით და მხიარულად რატომ თქვა. იგი მხნედ გამოიყურებოდა.

— ნუ გვარგავთ დროს. მომყევით. — რიხიანად დაიძახა ნაეროზაშვილმა.

ბინდისას აიყარა ბანაკი. „ორმოცდამეთხუთმეტეს“ წუწუნებდა, დავიდუბებითო. მოგვეყვებოდა, რადგან სხვა გზა არ ჰქონდა. ჩვენთან ერთად მოდიოდა ადამიანისაგან ჭერ გაუქვალავი გზებით.

ვაზაფხულის პირი იყო. თოვლი გამლზვალყო და ჭაობიანი ადგილები უარესად დატბორილიყო. გამოღვიძებული მიწა ფუფუნებოდა.

წელამდე ცივ წყალში მივათრევდით ფურგონებს, იარაღს, სურსათს, გავინაპირებდით და ვწურავდით სველ ტანსაცმელს, ისევე სველს ვიცვამდით, სიცივით ვდაგვამებდით და მაინც წინ მივიწევდით.

ჭაობები, სულ გაუვალი ჭაობები...

მხოლოდ ეს გზა იყო ჩვენი მხსნელი. და აქი მეორე დღის განთიადზე ჩვენ უკვე სამშვიდობოს ვიყავით.

როცა ნაეროზაშვილმა „ორმოცდამეთხუთმეტეს“ რუკა გაუშალა და დაწვრილებით აუხსნა თუ რა გზებით იარეს და სად იყო მტერი ჩასაფრებული. მე გაოცებული დავრჩი. თურმე ერთგან გერმანელებს ზედ ცხვირწინ გავუარეთ.

ადგილს ხშირად ვიცვლიდით. უმეტესად ჩვენ ვესხმოლით გერმანელებს და კარგადაც ვაწიოკებდით.

გული მეკდარი მქონდა. რიტა დიდი დანაკლისი იყო ჩემთვის. ყოველთვის თვალწინ მედგა. ძილის წინ მის მო-

ლანდებს ვეჩურჩულებოდი და ცრემლს ველაპავდი.

მისი სისხლი ვერა და ვერ ავიღე, გული ვერ მოვიხზე, სიკვდილის შიში დავკარგე და რაღაც საოცარმა აზრებმა დამიწყო თავში ტრიალი. როცა ღრმად დაეფიქრებოდი, რასაკვირველია, ეს ყველაფერი სისულელედ მეჩვენებოდა და მაშინ კი მწარედ ვგლოვობდი.

რაც შემძლო ვაქვაცურად ვბრძოდი და სახელიც კი გავითქვი ბრიგადაში.

ფრონტის ხაზი თანდათან ახლოვდებოდა. შეტევაზე გადასული საბჭოთა არმია პოლონეთის საზღვარს მიაღწა. მალე ჩვენს ბრიგადას ძლევამოსილი ლაშქარი შეიერთებდა.

მტრმა უკან დაიხია. დიდძალი ჯარი მოიწვედა ტყეებისაკენ. ჩვენ როგორმე მტრის ამ მოძალეხას უნდა ვავსებდით. ფრონტის ხაზი უნდა გადაგველახა და ჩვენებს შევეერთებოდით.

ბრძოლა მოგვიხდა მტრის უკანდახეულ ნაწილებთან. ეს იყო სასტიკი შეტაკება, ჩვენი ბრიგადის ნახევარი გაწყდა. არც გერმანელები დაგვიჩინენ უზარალოდ. არტილერიის ცეცხლიც კი გავვისხნეს ურჯულოებმა. ჩვენი არმიის ნაწილები რომ არ წამოგვეშველებოდნენ, ალბათ ვერც ერთი ჩვენთაგანი ცოცხალი ვერ გადწევდა ტყეს.

მტრის არტილერია თანდათან ჩაჩუმდა. ბრძოლა მიწყნარდა.

შებინდებისას, როცა რამდენიმე ათეული კაცი ფრონტის ხაზისკენ მივხიზავდით, დაჭრილი მებრძოლის კენესა მოგვესმა. მე და ლადო დაჭრილმა შეგვაცოვნა. ბუჩქთან კაცი ეგდო. წამოდგომას ცდილობდა, მაგრამ, როგორც კი ოდნავ წამოიწვედა, მძიმედ ეცემოდა. მიუთახლოვდით და მაშინვე ვიცანით „ორმოცდამეთხუთმეტე“. ბრძოლაში თვალთაგან დაგვეკარგა და ავერ, დაჭრილს კი წააწყდით.

— მიშველეთ! — გვემუდარა უძლური ხმით. უსიცოცხლო თვალეებში ახლა იმდენი გრძნობა ჩაწერილიყო, რაც

არასოდეს არ შემინიშნავს. სიბრალულით ქვას ვააღლობდა. *არცინუნული*

— წამიყვანეთ, აქ წუღამტოვებთ! გვედრებთ! გვედრებთ, ნუ დამტოვებთ! — ხმაში ცრემლი ერეოდა.

თავის თავისადმი სიბრალულით გულანუყებულ კაცს პირველად ვხედავდი. თან მეცოდებოდა, თან მეზიზღებოდა კიდევ ასეთი სილაჩრის გამო.

— დაწყნარდით... გიშველოთ, ახა რას ვიზამთ! — ამშვიდებდა ლადო, თან ქრილობას უხევედა. ამ დროს ევლალიც წამოგვეშველა.

დაჭრილი კენესოდა. შველოდნენ, მაგრამ შველას მაინც ითხოვდა. არც საცავე გეჟონდა, არც საზიდარი გავაჩნდა. მოვიღია ლადომ ზურგზე და ასე ათრია. დროდადრო მეც ვეშველებოდი. ხოხვით მივიწვედით წინ. დაჭრილის კენესა გულს გვიღრღნიდა. მის უშველუბელ ლოდივით სხეულს თითქოს თანდათან ემატებოდა სიმძიმე, ძალა გვერთმეოდა, მაგრამ მაინც გავიტანეთ სამშვიდობოს.

ბოლოს იმისი არაქათიც კი არა გეჟონდა, რომ ჩვენი წითელარმიელი ბიჭები დაგვეკოცნა.

სამი დღე ვყვარებით. მეოთხე დღეს ლადომ დაგვხედა მე და ევლალისა. ღიმილით მიყურებდა, მაგრამ იმ ღიმილში სიხარული უფრო მეტი იყო თუ სევდა. კაცი ვერ გაიგებდა. საოცრად გამხდარი მეჩვენა. მაშინ პირველად შევნიშნე მის საფეთქლებთან მორეული ნააღრევი ქალარა.

ამიერიდან თეთრი თმა დარჩა შავი დღეების სამახსოვროდ.

ამის შემდეგ არმიამი მოგხვდით.

ლადოს მაიორის ჩინი მისცეს და სხვა ნაწილში გაამწესეს ბატალიონის მეთაურად. მიმოწერა გეჟონდა. მპირდებოდა ჩემ ნაწილში გადაგიყვანო, მაგრამ აღარ მოხერხდა. მისი უკანასკნელი წერილი საქართველოდან მივიღე. დაჭრილიყო და სამკურნალოდ სამშობლოში გაეგზავნათ. ევლალია კოვალს-

ჩემ წინ სახლი იდგა და რიტას ტიკ-ტიკი ჩამესმოდა: „ქუჩის მხრიდან შესასვლელი არა აქვს. ეზოდან უნდა მოუარო. ღია კიბეს აკყვები, მერე ვიწრო დერეფანია და პირდაპირ ჩვენი ბინის კარი“.

ეს ყველაფერი გამახსენდა. მაგრამ ამ მოკლე ცხის გავლა მაშინ იქნებოდა სასიხარულო, როცა მეცოდინებოდა, რომ იმ კარს იქით რიტა იყო და მელოდა, მელოდა მოუთმენლად...

მარტო დარჩა დედამისი, იქნებ არც იცის რიტას დაღუპვის ამბავი, იქნებ ცოცხალი ჰგონია და ელოდება ყოველ დღე, ყოველ საათსა და ყოველ წუთს? იქნებ ისიც არ იცოდა, მისი გოგონა პარტიზანებთან რომ იყო?

ავიდე, ვნახო? ამის გაფიქრებაზე შემაერთოლა და ეს უნებლიე აზრი ვერაფრით გავდევნე. რა ვუთხრა გაუბედურებულ დედას, რით ვანუგეშო? ვუამბო, რაც მე და რიტას გარდაგვხდა თავს? მერე მე და ის ქალი დაეხსდებოდით, ერთად გამოეტირებდით, მწუხარებას გავინაწილებდით და ამით დასრულდებოდა ყველაფერი. მოლოდინის წუთებს მწუხარების ეპი შეცვლიდა. არა, რად უნდა მოვეუკლა გული?! მაგრამ ნუგეში მაინც სულ სხვაა!

ვიწრო ქუჩა გადავიარე და სახლს მოვუარე. სწორედ ისე იყო, როგორც რიტამ ამიწერა. ღია კიბე, ზემოთ ჩაბნელებული დერეფნის წინა ნაწილი.

არც ვინმე ჩანდა, რომ რამე მეკითხა. ეზოს სიღრმეში ბიჭები თამაშობდნენ, მაგრამ ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევიათ.

კიბეს მძიმედ ავეყვი. ყოველ საფეხურზე სულს ვითქვამდი, ვისვენებდი. გულის ფეთქა თანდათან მემატებოდა. შუა კიბეს რომ ავალწიე, გადავწყვიტე გამოვბრუნებულიყავი, მაგრამ მერე უხილავემა ძალამ მიბიძგა და სულ ზემოთ სწრაფად ავედი. დერეფანში შესულა ვერ გავბედე. აქ არც ისე ბნელოდა, როგორც დაბლიდან მომეჩვენა. ავერ ის კარიც. კარი ცივი, მძიმე, დახ-

შული... კარი, რომლის შედეგად გიდეგ ერთი დიდი მწუხარებაც შენს...
„არ ვეტყვი არაფერს... ვერაფერი...“
ვნახავ, ვანუგეშებ და წავალ. ამით გულს დავიმშვიდებ. სადგურში გავათუვე ამაღამდელ ღამეს და ხვალ კი დავადგები გზას...“

კარზე დავაკაკუნე. ოთახში რაღაცამ გაიხმაურა და გავიგონე ის შორეული, მხიარული ძახილი ქალისა, რომელიც ნიდავგ თან დამყვებოდა. ახლაც მის ძახილად მომეჩვენა:

— ვინ არის?

მომეჩვენა კი არა, ეს რიტას მინამგვანი ხმა იყო. ვინ იცის რამდენი დედა-შვილის ხმა ჰგვანებია ერთმანეთს! რა ვუთხრა, ვინა ვარ?

— თუ შეიძლება, გამიღეთ კარი!

— ღმერთო ჩემო! — კვლავ რიტას ხმაზე შეჰკივლა ქალმა.

კარი გახანით გაიღო და უცებ დავინახე ის, ჩემი გიყი გოგო, ჩემი რიტა! გაბეცდა და მომაჩერდა. გავხევედი და მივაჩერდი.

— რიტა! — ისე ვიყვირე, ჩემს ხმაზე ოთახში ბავშვი ატირდა, აქეთ-იქიდან კი მეზობლები გამოცვივდნენ.

აქვითინებულ რიტას ვეხვეოდი. ის თავისას ამბობდა, მე ჩემსას.

— მართლა ცოცხალი ხარ?

— მე კი გელოდი! ვიცოდი რომ მოხვიდოდი, მოხვიდოდი, მოხვიდოდი!...

მეზობლები სულ სხვა სადარბაზოდანაც გამოვბოდნენ ბედნიერი შეხვედრის სანახავად. პირველ სართულიდანაც ამოცვივდნენ. მე და რიტა არავის ვერიდებოდით, ერთმანეთს არ ვთმობდით, თითქოს ვშიშობდით ეს ბედნიერი წუთები არავის წაერთმია ჩვენთვის.

ბავშვმა უფრო აუწია ხმას. მაშინ ჩვენ ერთი დონდროხა დედაკაცი მოგვიახლოვდა, თვალიდან სიხარულის ცრემლი მოიწმინდა, ორივეს მოგვკიდა ხელო და ოთახში ძალით შეგვყვანა.

— მიხედეთ პატარას, შეხედეთ როგორ ტირის, ღმერთი არა გწამთ?!

წლინახევრის ბავშვი ისე ვაკვიოდა, თითქოს ქვეყანა უნდა შეძრასო. ამ

ერთიციცქნა არსებას ისეთი ხმა ჰქონდა, იქაურობას აყრუებდა.

— ხედავთ, როგორ ხვდება თავის მამას! — თქვა იმ დედაქაცმა, — სად არის ტასია, სად არის, რომ ეს წუთი არ გაუშვას და ნახოს რა არის ყველაზე ბედნიერი წუთი.

— მაკოცე, მაკოცე! — მევედრებოდა რიტა მამინაც კი, როცა ვახელუბული ვკოცნიდი. მერე ბავშვი ავიტაცე და მოხდა საკვირველება, თავისი დიდრონი თვალები შემომანათა და გაჩუმდა.

გაიცინეს მეზობლებმა.

— შეხედეთ, როგორ იცნო! — იხუმრეს და კვლავ გაიცინეს.

„ჩემი ხარ, ჩემი! იყვირე, იყვირე, ეს შენი ლამაზი თათები ლოყაზე მომიტყაპუნე. ცეცხლში ჩასახულო და ბედნიერებისათვის დაბადებულო!“

— შემომხედე, რიტა!

ვაკვირდებოდი მის სახეს, მის ცქრილა თვალებს. ის ისეთივე გიჟი და დაუდგრომელი იყო, როგორც იქ, შორეული პოლონეთის ტყეში.

მეზობლები არ იშლებოდნენ. მამინ იმ დონდროხა ქალმა დაუცაცხანა ყველას:

— რაღას უყურებთ?! კმარა! თქვენ-თქვენ საქმეს მიხედეთ! დაე დარჩნენ მარტო.

დედაქაცმა ოთახიდან გასვლისას ეშმაკურად ჩამიკრა თვალი, ხელი დახვია ყველა მეზობელს და წინ გაირქვა.

ისინი მხიარულად დაიშალნენ და ერთ ხანს კიდევ დევსმოდნენ მათი ხმებმა. ჰქვამართად უხაროდით ჩემი გამოჩენა და თავიანთი მეზობლის გახარება. ალბათ ისინიც განიცდიდნენ იმას, რასაც რიტა განიცდიდა. მელოდა ყველა, ვინც ასე უცებ შემოგვეხვია და ჩვენი

სიხარულის ნაწილი სულს სისხრდოდ წაიღო.

— ბიჭია თუ გოგო? — ვკითხვნიან რიტას, როცა მარტონი დავრჩით.

— რა გვიან მოგავინდა. ბიჭია... მამამუნის სახელი დავარქვი, არჩილი. გელოდი, ო, როგორ გელოდი!..

— მე კი მეგონა, რომ დაიღუპეთ ფრონტის ხაზზე გადასვლისას... ასეთი ცნობა მივიღეთ.

— ხდება ხოლმე. აი, როგორც ხედავ, არ დავლუბულვარ და მადლობა დმერთს, რომ უბედურ ქალად არ გავუჩენივარ დედაჩემს. ნეტავ სად არის აქამდე? ალბათ რძეზე შეაგვიანდა. ჩვენი ბიჭი ისეთი ღორმუცელა რამ არის, ჰამს, ჰამს და სძინავს...

— მე კი წელან თქვენი სახლის წინ ვიდექი და ვტიროდი.

— სულელი! რა გატირებდა?

— შენი დაქარგვა... აი, ამ წუთების დაქარგვა!.. თავი სიზმარში მგონია.

ხელი მოვხვიე ორივეს, მივიზიდე და ერთხელ კიდევ მსურვალედ ჩავკოცნიე გვიან მოვიდა ტასია. მეზობლებს ყველაფერი მიეხარებინათ. ოთახში აღელვებული შემოვიარდა, ერთი დაკვირვებით შემათვლიერა, მერე თვალეში ცრემლი აუციმციმდა და ნახი, დედობრივი აღერსით გულზე მიმიკრა.

— შვილო!.. როგორ გელოდით!

როგორ მელოდა დედაჩემიც! ალბათ მალე, როცა თბილისში ჩავიდოდით სამნი, ისიც ასევე ნახად ჩამიკრავდა რიტას გულში, მაგრამ არ ეტყოდა, როგორ გელოდით. მას არ ელოდა დედაჩემი. დედაჩემი მხოლოდ მე მიმელოდა, მე, რომელიც ერთი წავედი და სამი ვბრუნდებოდი.



მთვარეს გასცაჰინის ჩაოს ღვინაბერი

ხომ შეიძლება იყო უბრალოდ
არა სიმბოლო, არამედ ქალი,
რომელსაც უჭირს აწვევა ტვირთის.

წლები კი მიდის...
რა ადვილად ვამბობთ ყოველთვის,
რომ წლები მიდის...

და ცხოვრობ ასე, და ხედავ, როგორ
არიგებს ხალხი მუყაოს გრძნობებს:
მუყაოს ღიმილს,
მუყაოს სევდას,
მუყაოს ლეკვებს,
მუყაოს აღერსს...

ეზოში დადის რეზინის კნუტი,
სინთეტიკური ლამაზი კუდიტ...

ცას კაუნუკის ამძიმებს მთვარე,
ცას ხორკლიანი აქვს ზედაპირი,
რკოს სახედარი უყურებს მთვარეს,
მთვარეს გასცქერის რკოს დედაბერი.

და თუ მათსავეთ ვიტრინა გფარავს,
და შენი ნაბეა ხალხს ძვირად უღირს,
დაგაეწყდება ძალიან ჩქარა,
მწვანე ნაყოფი რომ იყავ მუხის.

დაგაეწყდება მომწარო სითხე
ნეტარებით რომ წოფდი ტოტიდან,

დაგაეწყდება მომწარო წვენი,
რომელმაც შექმნა სიმკვრივე შენი...

მაგრამ შენ ხედავ
მუყაოზე დახატულ ვნებებს,
და მათ სიყალბეს გრძნობ თითებით,
თმებით, მუხლებით,
შემდეგ უეცარ ფიქრებს ნებდები
და გენატრება შენი მუხები.

და აღარა ხარ ცნება ზოგადი,
აღარც უცხოთა სალოცავში
ჰკიდისხარ ხატად,
და გაქვს უფლება დაიღალო, აიღო ვალი,
არა სიმბოლო,
იყო ერთი უმწუო ქალი.

და კაცს, რომელსაც ამაოდ ელი,
ცრემლით დაუღობო შეჩვეული ნიღაბის
ჩრდილი,

იხილო მისი ნამდვილი ხელი,
მშვენიერ თვალთა ამაყი ჭრილი,

აუნთო ფიქრთა ლამაზი ხომლი,
აუწყო უცხო სხივთა შეხებით,
რომ შენში კედება ფერადი თოვლი
და ვარსკვლავების მწვანე შეფეფები.

რომ დაიღალე და აღარ ძალგძს
გაუწყრე ვინმეს ან დაუყვარო,
და სულ უბრალო, მაწანწალა, უკუდო
ძალიც

ასე მგონია,
პლასტმასაა ანდა მუყაო.

შემდეგ წახვიდე და იარო იდუმალ
გზებით,
ყველა ბილიკი მთებისკენ უხვევს.

მე წავიღოდი და ვიტყვოდი:
„უყურე, მზეო, არქონულნი
რკოს დედაბერი უბრუნდება
მშობლიურ მუხებს...“

ს ი კ ე თ ე

სიკეთეს ზოგჯერ კოჭებამდე აცვია კაბა,
იმ თალხი კაბით წყნეთიდან მოდის.

მოაქვს მაწონი, იმედივით თეთრი და
გრილი,
მოაქვს სიმშვიდე, ოქროყანის ალვების
ჩრდილი,

შემოგთავაზებს ოქროსფერი ზაფრანის
აცმას,
რალაცის თესლებს დაგიტოვებს, რალაცის
მარცვალს...

შემდეგ ბრუნდება დაქანცული და ცაცხვის
ძირას

სიკეთე იშლის ჭალარა ნაწნავს.



მე მინდა დავიკარგო ამ თეთრ ქალაქში...
თოვლი და ქარია.

გარშემო დადიან სადაფის ცხენები
და ეძებენ მარილს
ჩემს ვერცხლისფერ ხელებში,
რადგანაც თოვლს აკლია სიმლაშე...
ხოლო ამ უდაბურ და თეთრ სილაში
ყოველი ბალახი დედაა...
ჩემს ხელებს ასდის ბალახის სუნი,

ჩემი განცენი, მოლაღატე, ბალახის სუნი,
რომელსაც თოვლიც ვერ მაცილებს
და ვერ ადუნებს,
მე კი მინდა დავიკარგო ამ თეთრ ქალაქში...
ელვარებისგან გაოგნებულ სადაფის
ცხენებს

ვეგონო ერთი ღერი ბალახი
და გამიტანონ შაქრისფერი თბილი
ფერდებით...
მე მინდა დავიკარგო ამ თეთრ ქალაქში...

ქალბი. 1942 წ.

ისინი მთელი დღე ხორბალს აწრობდნენ
და პურზე ფიჭვი ყველაფერს ახშობდა
მხრებზე კი აწვავთ ღმუჯილი ხარების
და იისფერი მძიმე ჰაერი...
და მაინც მთელი დღე ხორბალს აწრობდნენ
მერე კი ცხელ და უსაქმურ ღამეს
ტიროდნენ შვილებს, ძმებსა და მამებს
რომ დილას ისევ ტირილის ნაცვლად
გადაყოლოდნენ მარჩენალ მარცვალს.
მაგრამ ამდენი ღამის ცრემლისგან
ერთ დილას ისე ამღვრათ თვალები,
რომ მიწაზე დაიბნა მთელი ხორბალი,
ხორბალი წაიღეს მშვიერმა ჩიტებმა
და მოუშვიდათ ბავშვებს და საქონელს...
მაშინ ქალებმა,
რომლებმაც დაკარგეს ძმები და ქმრები,

იისფერი მძიმე ჰაერი
კუბოსავით შეიდგეს მხრებზე
და დამარხეს თავისი ცრემლი.
ტიროდნენ ბავშვები, ბლადნენ ხარები,
მხრები ჩაწინქა იისფერმა ჰაერმა
და მთელი სოფელი მიასვენებდა
თავის უძრავ უზარმაზარ ცრემლს...
გარეთ ცხელოდა...
და ქალებმა ნაჩვევი ხელებით
ისევ დაიწყეს ხორბლის შეგროვება
წუხანდელ გლოვას
აეფარა საჭმე და დილა.
ისე ცხელოდა,
რომ საგნებმა დაკარგეს ჩრდილი...
და საკუთარი დარდის ჩრდილში
ქალები ისევ აწრობდნენ ხორბალს...

3660 უკუგაგზავნი

ფერიხვალა

რ მ ა ნ ი

ნაშუადღევს დიმიტრის აგარაკთან ტაქსი შეჩერდა. მანქანიდან ვერიკო გადმოვიდა. ეზოში შესვლისთანავე კარი შეიხურა და რაზით ჩაეცტა.

ცისფერი ლაბადა ქალს განივრად ადგა. დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. ყვავილებით მოჩითულ შავ წინდებში ფეხები თითქოს ჩვეულებრივზე უფრო დამსხვილებოდა.

ვერიკომ პატარა, წითელი ჩანთა მეორე სართულზე ამავე კიბეზე დასდო და ბაღჩაში შევიდა.

— ყოჩაღ, მარჯვედ გიმუშავია! თანაც რა ღრმად დაგიბარავს! — შეაქო ქალმა ვლიზბარი და უმალ დაუმატა. — თესლი ამოვიტანე, ბარემ დაეთესოთ კიდევ!

— რის დათესვას აპირებ, ქალბატონო?

— მწვანელიულობას. მერე პამიდორსაც დავრგავთ!

— დათესვა ჯერ ადრეა. მიწა გამომშრალია და ცოტა რომ შევიცადოთ, სჯობია. ორ დღეში მთვარე იცვლება და უთუოდ ამინდიც შებრუნდება.

— ისე ლაპარაკობ, გეგონება მწვანელიულობით ვაპირებდეთ ცხოვრებას. სახალისოდ ვთესავთ. ამოვა კარგი, არ ამოვა და, თავს არ მოვიკლავ. ჰოდა.

დღეს დაეთესოთ. მეც მოგვხმარები. ბარეა მიმძიმს, თორემ თესვის ტრფიალი ვარ!

— ხატრს არ გაგიტეხდი, ქალბატონო, მაგრამ, რა ვქნა, დღეს მხოლოდ ხუთ საათამდე მცალია. ან შენ რად უნდა შეწუხდე, დილაზე ამოვირბენ. როგორც მეტყვი. ყველაფერს ისე დაეთესავ!

— ნეტავი ისეთი რა გადაუღებელი საქმე გაქვს?! — თქვა ვერიკომ იმ განაზებული შეშფოთებით, როგორითაც მიმართავენ ხოლმე განებივრებული ქალები მათი სილამაზით დატყვევებულ თავანისმცემლებს.

ვლიზბარს არსადაც არ ეჩქარებოდა. მარგალიტა ზომ გააფრთხილა, დღეს შინ მოსვლა შეიძლება ცოტა შემავიანდესო. დროის უქონლობას იმიტომ იმიზეზებდა, რომ ამ მარტობასა და სიჩუმეში ქალთან ყოფნა უმძიმდა, გული ლამის საგულედან ამოვარდნოდა, სუნთქვა ეკვროდა. თან მტაცებელი ფრინველივით ჩაფრენოდა ის ფიქრი. ქალთან მარტოდ დარჩენილ კაცს ათას სისულელეს რომ ჩაადენინებს ხოლმე. ცდილობდა რამენაირად ალეღვება დაეფარა, მაგრამ თვითონვე გრძნობდა, ხმაში ბზარი ეპარებოდა, სახეზე მოწოლილი სიმხურვალისაგან წითლდებოდა.

— როგორც გენებოს, ძალას არ დაგატან! — უთხრა ვერიკომ, თან რალაც

დამცინავი მედიდურობით თვალი შეავლო ვაჟს და სახლისკენ შებრუნდა.

ელიზბარი თავაულებლივ ბარავდა. თავისთავზე გულმოსული იყო. ეს რა უტაქტოდ მოვიქეციო.

მართლაც, რატომ მოეპყრა ქალს ასე გულცივად?! განა არ სჯობდა დასთანხმებოდა! ჩანს, ვერიკოს ეხალისება ბალჩაში ტრიალი. ვინ იცის, იქნებ მწევანილეულობის დათესვით ქმართან თავის გამოჩენა სწადია?! მან კი უარი უთხრა, თხოვნა არ შეუსრულა. არა, არ უნდა განენწყენებინა! დიმიტრიმ რომ მოისურვოს, დღესვე აღადგენს სამსახურში, ან სხვა ადგილს გამოუნახავს. ალბათ, ვერიკომ ქმრის იმედით უთხრა, თუ ოდესმე ჩემი თავი დაგვირდეს, გულშემატკივრად მიგულე, ხელს გამოგიწვდი, დაგეხმარები, ჩემი შემწეობით ყველაფერს მიაღწევო.

ელიზბარს უკვე ბოლო კვალი გაბჭონდა, რომ ვერიკო აივანზე გადმოდგა. ლაბადა გაეხადა. ყვითელი ნაქსოვი კაბა ტანზე მჭიდროდ შემოტმასნოდა.

ერთხანს აივანზე ფუსფუსებდა. მერე კი, როცა ელიზბარი ბარვას მოჩა. მოაჯირს გადმოეყრდნო და გადმოსძახა:

— მოათავე?

— დიახ, ქალბატონო!

— აბა, მაშ აქ მოდი!

ელიზბარი მორიდებით მიუახლოვდა აივანს.

ქალმა კაბის ჯიბიდან დასტა ფული ამოიღო, ოთხი თუმნინი გამოაძრო და ჩააწოდა:

— აი, ესეც შენი გასამრჯელო!

— გმადლობთ, ქალბატონო!

აივანი არც ისე მაღალი იყო. კაცი ხელით შესწვდებოდა. ფიცრის რიკულებიანი მოაჯირი ჰქონდა. დასავლეთით გადახრილი მზის სხივები აივანს უხვად ეფრქვეოდა.

ელიზბარმა ფული რომ გამოართვა, რიკულებს შორის თვალი შეასწრო ოთახისკენ შეტრიალებულ დიასახლისის ამოლტილ ტანს. თვალი აარიდა, მაგრამ ცდუნება იმდენად ძლიერი იყო, რომ მაშინვე ისევ შეხედა. ყოველივე ეს

ეწინააღმდეგებოდა მის ხასიათს, მის ბუნებას, მაგრამ რალაც ვერ იმართებდა.

„ნეტავი რალას უდგებარ?! გასამრჯელო ხომ მიიღე, ახლა კეთილი ინებე და შენი გზით წადი!“ — გუნებაში ეჩურჩულებოდა იგი თავის თავს. შინაგანი ხმა კი ჩისძახოდა. უხერხულია გამოუმშვიდობებლად წასვლა, თან ვერიკოს აქ რალა უნდა, ალბათ, ისიც თბილისში წამოვა და, სხვა რომ არაფერი, ზრდილობისათვის მაინც უნდა დაელოდო.

ამ ყოფაში იყო ელიზბარი, რომ ვერიკო აივანზე გამოვიდა. ვაჟის დანახვისთანავე სახეზე ღიმილი ვადაეფინა და აღტაცებით შესძახა:

— მელოდები?

— დიახ, ქალბატონო!

— აი მარწმუნებდი, მეჩქარებო?

მართალია, დრო არ მაქვს, მაგრამ შენი გულისთვის ყველაფერს გადავდებო, უნდა ეთქვა ელიზბარს, მაგრამ რატომღაც შედრკა, კრინტი ვერ დასძრა.

ვერიკომ თითქოს ამოიციო ვაჟის ფიქრი, კვლავ გაუღიმა და იმ ქალივით მიმართა. კაცის მორჩილებაში ოდნავადაც რომ არ ეპარება ეჭვი:

— მაშ, ეს ხარახურა ნაგვის ყუთში ჩაყარე! — და ვედრო ჩააწოდა.

ელიზბარმა ხარახურის გადაყრას ალბათ წუთიც არ მოანდომა, მაგრამ ქალი უკვე ოთახში შესულიყო.

დაუბატიყებლად აივანზე ასვლა უზრდელობად ჩამეთვლება, ამიტომ სჯობია ვედრო აივანზე შევდგაო, არწმუნებდა თავის თავს. მაგრამ სამ საფეხურგამოშვებით აირბინა კიბე, ოდნავ შეღებულ კართან სული მოითქვა და თითით მიაკაეუნა.

— ვედრო მანდ დადგი, შენ კი შემოდი! — რალაც საიდუმლო ელფერი მისცა ქალმა თავის ხმას და ვაჟის ისედაც აშლილ გრძნობებს ფრთები შეასხა.

იგი დივანზე იჯდა, ახორაგებულ ბალიშებზე მიყრდნობილი. აწითლებულ სახეზე კმაყოფილება ეხატა. მის გაბრწყინებულ თვალებში იყო რალაც შემკითხავი, რაც ვაჟს ვერ ამოეცნო.

ელიზბარმა ვერ გაუძლო დაყინებულ მზერას და ოთახი შეათვალიერა. სამკარიანი კარადის ფართო სარკვეში სივრდე-სივრდით მოჩანდა დივანი.

სარკვეში უფრო მაცდუნებელი სილამაზისა იყო ვერიკო.

ვაჟი სკამზე დაჯდა, თვალი სარკისაკენ გაექცა და მისი მზერა ქალის რძესავით თეთრ მკერდს მიეჯაჭვა.

ქალს ეს არ გამოუბარვია.

თავგზაბნეული ვაჟი დიასახლისს თვალს არიდებდა, მაგრამ გრძნობამორეული კაცის გამჭრიახი ალღოთი ზედებოდა, ქალს სახეზე დამკინავი ღიმილი არ სცილდებოდა. ამან კი მის არსებაში ერთბაშად გააჩალა ის ძლიერი გზნება, ქალთან მარტო დარჩენილი სისხლქარბი ქაბუკები რომ აენტებიან ხოლმე.

ეს გრძნობა ადამიანურ ნებისყოფაზე ძლიერია და ძნელად რომ ვინმე გაუმკლავდეს.

ქალმა მრავლისმთქმელი ღიმილით გადახედა ვაჟს და ალერსიანად უთხრა:

— მაინც აქ ვართ, ნულარ გადავდებთ, ბარემ დღესვე დავეთსოთ!

— როგორც გნებავს, ქალბატონო! — ხმადაბლა მიუგო ვაჟმა, რომ მღელვარე გულისძგერა დაეფარა.

— მაშ, თითო ჰიქა კონიაკი დავლიოთ, წახალისდებით, ვაგმხნევედებით!

— და ქალი აივანზე გავიდა, განჯინა გამოალო, მაგრამ კუთხეში მიდგმული ბოთლი ცარიელი იყო. იმედგაცრუებული ბოთლს ხელში ატრიალებდა, შუქზეც კი გახედა, თითქოს არ სჯერა, რომ ცარიელიაო. „ღმიტრის ნაცოდვილარია, აბა სხვა ვინ დალევდა. ეტყობა, ამ დღეებში იყო აქ. როგორ მოსწრებაზეა? ისიც არაფერს იკლებს!“ — გაიფიქრა ვერიკომ, უფრო თამამად გავიდა სამზარეულოში და გადაშალული კონიაკი გამოიტანა.

ისინი მზის ჩასვლამდე თავაუღებლივ მუშაობდნენ. მალიმალ ისვენებდნენ, ცინოზდნენ, ნებივრობდნენ. თავზე ისე დაღამდათ, ვერაფერი გაიგეს და საქმეს სანახევროდ ვერ მორჩნენ.

ვერიკომ აიჩნა, გინდა თუ არა, გვიანობამდე ვთესოთო.

ელიზბარი უარობდა, მზერა მისი ალარ შემძლია, დღეს ეს ვიკმაროთო.

ქალი თავისას არ იშლიდა, აიძულებდა დარჩენილიყო. ვაჟი მტკიცე უარზე იდგა, დღეს რაღა იქნება, დილაზე ამოვალ და მოვთავებო.

— მაშ, დილაზე მეც წამოგვევლები! — თქვა ვერიკომ.

— ნუ შეწუხდები, საქმეს თავად ვაუძღვები...

ვერიკოს არაფრის გაგონება არ უნდოდა, დაყინებით გაიძახოდა, დილიდანვე აქ ვიქნები. დროზე ამოდი, ლოდინს ვერ ვიტან, ნერვები ამეშლებო.

ორმა სასურსათო მალაზიასთან მანქანიდან გადმოვიდა, სანებლიძეს გამოემშვიდობა და კეთილი მგზავრობა უსურვა.

— ჯერ რატომ მემშვიდობები, ხომ შეიძლება მეორე მალაზიაშიც დაგვირდეს წასვლა?

— ბატონო ლაღი, ნულარ შეწუხდები!

— რა შეწუხებაა, გზა მაინც იქითა მაჭვს?!

ორმა მალაზიიდან ხელცარიელი გამოვიდა.

— აი, ხომ გითხარი, დაჯექი, მეორე მალაზიაში წაგიყვან.

— ვაითუ, არც იქ ჰქონდეთ! — თქვა ირმამ, როცა გზა განაგრძეს.

— დარდი ნუ გაქვს. მთელ თბილისს შემოგატარებ და ვაშოვინებ.

არც მეორე მალაზიაში ჰქონდათ კარტოფილის ფქვილი. გამყიდველმა მისაწავლა, პავლოვის ქუჩის ბოლოში რომ სასურსათო მალაზიაა, იქ მიაკითხეთო.

აქით-იქით სიარულს, პავლოვზე წასვლა ამჯობინეს.

ორმა სასურსათო მალაზიაში რომ შევიდა, სანებლიძე უკან შეჰყვა. ტკბილეთულის სექციაში საქონელი შეათვალიერა და გამყიდველს სამი კილო სხვადასხვა შოკოლადის კანფეტი, ორი კი-

ლო ნამცხვარი ააწონინა და ერთად შეაფუთინა.

ირმაჲ კარტოფლის ფქვილი იყიდა და სხვა სექციებს ჩაჰყვა.

ამასობაში სანებლიძეს შეკვეთილი ტყბილეულობა აუწონეს, ერთ ქალაღში შეუხვიეს და გადასახდელი თანხა უნაგარიშეს.

— თქვენ ეს ყველაფერი მეორე ცალადაც შეფუთეთ! მე კი მანამ ფულს გადავიხდი. — უთხრა სანებლიძემ გამყიდველს და სალაროსაკენ გასწია.

„ნეტავი მეორე ცალად ვილასთვის უნდა?“ — გაიფიქრა ირმაჲ და გულში გაჰყრა, ჩემთვის რომ იყიდოს, ამოდენა რამე შინ როგორ გამოვაჩინოო.

მანქანასთან რომ მივიდნენ, სანებლიძემ ირმას შეფუთული ტყბილეული მიაწოდა, ეს ვიას მიართვი ჩემი სახელითო. თითქოს წინასწარ იცოდა, რომ კაცი ამას ეტყოდა. ქალმა ძღვენი მამინვე გამოართვა და მადლობაც არ გადაუხადა. ტყბილეული მანქანის უკანა ფანჯარასთან დააწყეს, თვითონ კი წინ დასხდნენ და ვაკისაკენ გაემართნენ.

გურამიშვილის ქუჩაზე რომ გავიდნენ, სანებლიძემ თავის მხარეს ფანჯარა გააღო. მანქანაში ნაძვის სურნელეზასთან ერთად სიგრილვე შემოიქრა.

— მეც უნდა გავაღო ფანჯარა! — თქვა ირმაჲ და კარისკენ შებრუნდა.

რაკილა ცალი ხელით ვერ შესძლო სახელურის დატრიალება, მეორე ხელიც წააშველა და უფრო მეტად შებრუნდა.

— მოიცა, მე დაგეხმარები! — თქვა სანებლიძემ და სახელურს წაეტანა.

ქალი უძრავად იჯდა, რადგან კაცმა ისე ახლოს მიიწია, რომ მისი გულის ბაგა-ბუვი მოესმა, ფილტვებიდან ამონადენი თბილი ჰაერი კი კულულებს უწეწავდა.

სანებლიძემ ფანჯარა გააღო. მერე ირმას მკლავზე ხელი მოუქირა, ვითომ ფანჯარა როგორ ვერ გააღო, სინამდვილეში კი ქალზე თავის უფლებების გამტკიცება სურდა.

ირმაჲ ეს არაფრად ჩაავდო და ფან-

ჯრიდან შემოჭრილ გრილ ნიავს ალყარული სახე მიუშვირა.

— რა მსუბუქი ჰაერია! — სუნთქვა! — აღმოხდა მას და ნახად გაიღიმა, რამაც მისი სახე უფრო გაამშვენიერა.

— ეს წყნეთიდან წამოსული ნიავია, გინდა ბეთანიისკენ გავისეირნოთ?

არასოდეს ყოფილა ირმა ბეთანიაში. ისიც კი არ იცოდა, თუ აქეთ იყო ეს ეკლესია, რაღაც ზღაპრულ სანახაობად რომ წარმოედგინა. უცებ მის გონებაში გაიფლავა:

„უღაბურს ტყეში ტამარს დარღვეულს,
სად სახე მეფის,
დიდი თამარის
სიხანს ძველ კედელზე გამოხატულად!“

ყოველივე ეს ისეთი მაცდუნებელი და ნახვის უნის აღმძვრელი იყო, რომ სანებლიძეს თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ოციოდე წუთში წყნეთი უკან მოიტოვეს და ბეთანიისაკენ მიმავალ აღმართს შეუდგნენ.

— აი, აქედან მშვენიერი გადასახედილია! — თქვა სანებლიძემ, როცა მთას წვერზე მოექცნენ. მანქანა გვერდზე დააყენა.

ირგვლივ რაღაც შიშისმომგვრელი სიჩუმე იდგა. ხელმარჯვნივ, წყნეთს ქვემოთ, ქათქათა საბურთალო მოჩანდა. მრავალსართულიანი სახლები ასანთის კოლოფებს ჰგავდნენ. ფერხთით ვრცელი ხეობა ვადაშლილიყო. ფერდობზე შეფენილ ბუჩქებში ჩიტუნები ხმაშეწყობილად მღეროდნენ.

სანებლიძე სალი კლდის ქიმზე იდგა. ირმას ფეხი უკან ეჭირა. ეგონა, კიდევ ერთი ნაბიჯი და, უფსკრულში გადავიჩეხებითო.

— ირმა, გეშინია? — ჰკითხა სანებლიძემ.

უარყოფის ნიშნად ქალმა თავი გააქნია, თან ისე შეხედა, აგრძნობინა, შენს გვერდით არაფრისაც არ მეშინიაო.

ქალი სანებლიძეს მიუახლოვდა და ალტაცებით შესძახა:

— რა ლამაზი სანახაობაა! აბა, ყური მიუგდე, მგონი, ბულბულიც ვალობს!

— არა, ეს მოლადურია!

ისინი სულგანაბული უსმენდნენ წკრიალახმიან მოლადურის სტვენას და ისე ეჩვენებოდათ. თითქოს ეს ფრინველი მათ უმღეროდა.

უცებ მოსახვევიდან გამოჭრილმა ავტობუსის გრუნუნმა მყუდროობა დაარღვია. მძღოლმა გზაზე გაჩერებული ვოლგა რომ დაინახა, გახანგრძლივებული სიგნალი მისცა. ეს კი ისეთი მოულოდნელი იყო ნაპრაღის პირას მდგარი ირმასათვის, უნებლიედ კაცს მიეყრდნო.

— ნუ გეშინია! — წასურჩულა სანებლიძემ და ქალი მკერდზე მიიკრა...

რაც დრო გადიოდა, უფრო უმწიკვლო ხდებოდა სანებლიძის ტრფიალი ამ ქალისადმი. მარტო მის მომხიბვლელ ტანს კი არა, ახლა მის სულსაც ეტრფოდა. მაგრამ ჭეშმარიტი სიყვარული ხომ ხორციელი განცდის გარეშე წარმოუდგენელია! ამ კაცის არსებაშიც, მისდა შეუცნობლად, ხორციელი ვრძნობაც იფეთქებდა ხოლმე. ამჯერადაც, შეირხა თუ არა მის ხელში ქალის სხარტი ტანი, სისხლი თავში აუვარდა.

ირმა სანებლიძის ვრძნობას მისი ხელის შეხებით უფრო აღიქვამდა. ვიდრე ხვეწნა-მუდართა და ფიცით, მიყვარხარო. ამასთან ტყით შემოსილმა მაღალმა მთებმა, საღმა კუდეებმა, ამწვანებულმა ფერდობებმა, ჩიტუნების ჭივილხივილმა ისედაც ატაცებულ ქალს. თავბრუ დაახვია. ყაყახოსავით აწითლებულს ეჩვენებოდა, რომ ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა, მთები ირყეოდნენ, თვითონაც ბოროტიკობდა და, იმის შიშით, არ წავიჭეცო, სანებლიძეს ეკვროდა.

სანებლიძემ ხელი ნიკაპზე წაავლო და ფრთხილად მაღლა აუწია თავი.

ქალმა თვალები დახუჭა.

კაცმა ეს თანხმობად ჩასთვალა და მაგრად მოკუმულ ტუჩებზე აკოცა, რამაც მეტი ნეტარება მოჰგვარა, ვიდრე რომელიმე ქალის მხურვალე კოცნას მოუტანია მისთვის ოდესმე.

ირმამ ამობურცულ მკერდზე ნიდაყ-

ვები აიფარა, სახე ხელბში ჩაჩრავ და უცებ აჭკითინდა.

— რა გატირებს, რა? — ამშვიდებდა სანებლიძე.

— ვეხვეწები, გემუდარები, თავი დამანებე! მე ხომ ქმარ-შვილი მყავს, რატომ მხვევ ცოლდაში.

— რა ვქნა, არ შემიძლია. იქნებ შენ გატლვარ, გეზიზღები! თუ ასეა, ნუ მერიდები, მითხარო!

ქალი შებრუნდა, პასუხი შეაგვინა.

— რატომ დუმხარ, მითხარი სიმართლე!

— არა, არ მძულხარ! პირიქით, ვამაყობ შენთან სიახლოვით, იმით, რომ ჩემდამი გულთბილ დამოკიდებულებას იჩენ, ნუთუ ხვეწნა-კოცნის გარეშე არ შეიძლება მეგობრობა?!

— იქნებ არ შეგიძლია ჩემი სიყვარული?! მე ხომ ხანში შესული. შეუხედავი კაცი ვარ, თითქმის... — უნდოდა ეთქვა, მაშად გეკუთვნო. მაგრამ მიხვდა, ეს საქმეს თუ არ ავნებს, არც სარგებლობას მოუტანსო, და შეჩერდა.

— ნუ მითხვ შეუძლებელს, ნუ!

— სიყვარულისთვის შეუძლებელი არა არის რა! მითხარი, თუ არ გიყვარვარ! ეს ჩემთვის ძნელი იქნება, მაგრამ რამენაირად შევეგუები ამ მძიმე ხვედრს!

ქალი დუმდა.

კაცი კი დაეინებით მოითხოვდა, მითხარი სიმართლეო.

ბოლოს ირმამ მოკრძალებით თქვა:

— დიდ პატივსა გცემ, გაფასებ, ვალმერთებ, მაგრამ მაინც არ შემიძლია შენი სიყვარული. რადგან ქმარ-შვილიანი ვარ.

— განა მე არ მყავს ცოლ-შვილი, მაგრამ შენს სიყვარულს ყველაფერზე მაღლა ვაყენებ, თვით სიცოცხლეზეც კი!

— ნუ, ნუ მელაპარაკები ასე... მე დედა ვარ. ოჯახური მოვალეობით შებორკილი.

— აღამიანის სიცოცხლე ხანმოკლეა და ამიტომ ისე უნდა იცხოვროს, როგორც მას უნდა, როგორც გული ეუბნება! მე მხოლოდ შენი სიყვითე მაღაპა-

რაცებს. სხვა ქალებში ვართობას, ნეტარებას ვეძებდი, შენ კი მინდა თავად მოგვინჯო სიხარული, ბედნიერება!

წყნეთის დაღმართზე რომ მიექანებოდნენ, ქალის გონება ერთ აზრს მოეცემა, რატომ არ ვარ ამ კაცთან გულწრფელი. უარს კი ვეუბნები, მაგრამ სინამდვილეში ხომ ეს ასე არ არისო.

მართლაც, ქმრის სიყვარულში ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი, მაგრამ, რომ არც სანებლობისადმი ან გულგრილი? მაშ, რატომ მიუწევს გული ამ კაცისაკენ, რად ენატრება მის გვერდით ყოფნა?! ან რატომ ეჩვენება, რომ მასთან საუბრისას მალდდება, გონიერი ხდება?! ცდილობს იყოს უფრო მომხიზვლელი?! ნუთუ ეს სიყვარულია?! მას ხომ მთელი გზებით, მთელი გატაცებით უყვარდა ელიზბარი?! როგორ თუ უყვარდა?! განა ახლა აღარ უყვარს?! უყვარს, როგორ არა, მაგრამ სანებლობის აღერსით ნათქვამი სიტყვებიც რომ სიამოვნებს! ევლარაფერი გაუგია, ნუთუ შეიძლება ერთდროულად ორივეს სიყვარული?! დაიბნა, გონება აერიო! ეს რა თავსატეხი, რა გაუგებარი რამ ყოფილა სიყვარული!

კარი იდნავ გამოღებულ იყო, ამიტომ ელიზბარი ზარის დაურეკავად შევიდა დერეფანში. სიბნელიდან ორმა ნაკვერცხალმა შემოანათა. ტანზე ეკალი დაყარა, თმა აებურძგნა.

— აცხა, შე ოხერო! — შესძახა შემკრთალი ხმით და მათი ოთახის ზღურბულზე დასკუბებული კატისაკენ გაქანდა. კატამ თავი ჩაღუნა და ზღაზვნით მოხუცის ოთხისაკენ გაემართა.

ელიზბარი კატას წამოეწია. ის იყო, გამეტებით ფეხი უნდა ამოერტყა. რომ სამზარეულოდან მარგალიტას ხმა შემოესმა:

— ირმა, მოხვედი, შვილო?

— არა, მე ვარ! — მიუგო ელიზბარმა და კატას ფეხი ამოსცხო.

ახლა კი იკადრა კატამ გაქცევა. მაგრამ ოთახში რომ შევიდა, ნაბიჯს უკლო,

ერთი დაბლვერით გამოხედა ელიზბარს და საწოლზე შეხტა. გამომწვევად გაიხმორა და ბალიშზე ნებივრად დადიოდა.

პატარა ბიჭუნა საბანგადახდილი იწვა და მშვიდად ეძინა.

ელიზბარი ბავშვს მიუჭდა, ერთ ხანს დასცქეროდა, მერე დაიხარა და ფრთხილად აკოცა ლოყაზე.

ბავშვმა თვალები გაახილა, მამას შესცინა და ხელებით მიეტანა.

მამამ შვილს მკერდზე თითი მოუთათუნა. ხელები დაუკოცნა და ლოყა ლოყაზე მიადო.

ბავშვი გაიტვრინა. ელიზბარი ყურს უვლებდა შვილის გულის ძგერას. პატარა ფილტვებიდან ამონადენი თბილი ჰაერი ყელზე უღიტინებდა. ისეთ ნეტარებაში იყო, ვერ გაიგო როგორ მიუახლოვდა სამზარეულოდან გამოსული მარგალიტა.

მოხუცი ოთახის ღია კართან შეჩერდა. ჩახუტებული მამა-შვილის შემყურეს გული აუჩუყდა, ცრემლი მოერია. უცებ თვალწინ წარმოუდგა ქაბუცი, ქალი-შვილობაში რომ უყვარდა, არა კი არ წარმოუდგა, ცხადლივ დაინახა იგი ელიზბარის სახით. ცრემლი მოიწმინდა, თვალი უფრო ფართოდ გაახილა, მოჩვენება ვაჭკრა.

ეს რა ამბავია მის თავს?! იქნებ ჭკუაზე შეიშალა, მოჩვენებები აქვს?! არა, ის ჯანმრთელია, საღად აზროვნებს, საგნებს ნათლად ხედავს, ყველაფერი გარკვევით ესმის! და გონებაში გაუელვა აზრმა. ასე იმიტომ მეჩვენება, რომ ელიზბარი იმ ქაბუცს ჰგავსო.

თვალი ცრემლით მოეგუბა, გული აუჩუყდა, რაღაც სიმხურვალე მოაწვა ყელში და გულამოსკვნით აქვითინდა. ხმამალლა რომ არ ატირებულყო, ჩაახველა, სხვა ვერაფერი მოიფიქრა და ესლა წაილაპარაკა:

— ირმა მალაზიაში გაიქცა, კარტოფილის ფქვილის საყიდლად!

მოხუცის სიტყვებზე ბურანში წასული ელიზბარი არაცნობიერად წამოდგა და მტკიცე ხმით თქვა:

— მოვკლავ, ნამდვილად მოვკლავ!

— ვისა, შვილო? — იკითხა შემკრთალმა მოხუცმა.

ელიზბარს აღარაფერი უთქვამს, რადგან დერეფანში ირმა შევიდა. ეტყობა, მან გაიგონა ქმრის ნათქვამი, მიხვდა რომ კატას ემუქრებოდა იგი, ამიტომ ელიზბარს თვალით ანიშნა. ნულარაფერს იტყვიო და მოხუცს მიუბრუნდა:

— დეიდა მარგალიტა, მამატიე! ახლომანლო მალაზიებში კარტოფილის ფქვილი ვერ ვიშოვე, რუსთაველის მოედანზე წავედი და ამიტომ შემაგვიანდა.

— ეს რა სალაპარაკოა, შვილო! — თქვა მოხუცმა და თავის ოთახში შევიდა.

ცოლმა ქმარს უსაყვედურა, ნეტავი რას ყვირიხარ, მოკვლავ. მოკვლავო. თუ მომკვლელი ხარ, ვინ ვიშლის, აილე და მოკალიო.

— მოკვლავ კიდეც! — თქვა შტკიცედ ელიზბარმა.

მარგალიტა კი თავის ოთახში სულგანაბული იჯდა, თითქოს ცოლ-ქმრის საუბარს უგდებდა ყურს. მაგრამ მისი გონება სულ სხვა ფიქრს მოეცვა.

ვაითუ მართლა მოკვლას?! ცოდვია, ცოდვა! ბიჭსაც ცხოვრების გზა-კვალი აერევა, გაწვალდება, გაიტანჯება. საბრალო ბავშვიც დაობლდება! ნუთუ უკვე დაგვიანდა, აღარაფერი ეშველებათ?! ეჰ, რა აღუდგება, რა დააოყებს სიყვარულით აძგერებულ ქალის გულს?! სიყვარული გულის მზეა! მზეს კი რა ჩააქრობს?!

— შვილო, ორიოდ სიტყვა მინდა ვითხრა! — მიმართა დილით მარგალიტამ ირმას.

— ახლა რომ სამსახურში მეჩქარება! — მიუგო ირმამ, გულში კი გაიფიქრა. ალბათ ბინის ქირას მომთხოვს, უკვე მეორე თვე გადის და ჩვენ კი წინა თვისაც არ მიგვიციაო.

— არა უშავს რა, დიდხანს არ შეგაკვიანებ! — თქვა მოხუცმა და მშვიდად დაიწყო. — ვიცი, რომ შენც და ელიზბარიც ვერ იტანთ ჩემს კატას. როდი

გამტყუნებთ. კატა რა ოჯახში ვერაჩერებელია. ამაზე ვერაგი, აუტანელი ყველაფერი მეორე არ მოიძებნება! აუტანელი შემეკითხები. მერე რაღას გიზის. რატომ ქუჩაში არ გადაისვრიო? სანამ ამაზე გიპასუხებ, ორიოდ სიტყვით გეტყვი ჩემი ცხოვრების ამბავს! — და იმ ადამიანით ამოიოხრა, გულზე ლოდივით მძიმე ნაღველი რომ აწევს. მერე კი რაღაც განსაკუთრებული გულწრფელობით განაგრძო: — ოდესღაც მეც შენსავით ახალგაზრდა და ბედნიერი ვიყავი. ყველა ახალგაზრდა ქალი თავისებურად ეკლუტცია. და არც მე მაკლდა სილამაზე. ისევე როგორც ყველა ყვავილი ადრე თუ გვიან გაიფურჩქნება, ქალსაც დაუდგება ზოლმე დრო, როცა მისთვის სიყვარული აუცილებელია. და მეც შემოიყვარდა ერთი ყმაწვილკაცი. ისეთი გატაცებით, როგორც იცის სიყვარული თქვესმეტი წლის სათნო ქალიშვილმა. მეძინა თუ მეღვიძა თვალწინ მედგა, იმის გარდა სხვა არაფერზე შემეძლო ფიქრი, უიმისოდ სიცოცხლე ვერ წარმომედგინა. მან კი ჩემს თავს სხვა არჩია. ქალის გულს ზომ ისე არაფერი სპობს, ისე არაფერი ანადგურებს, როგორც გაცრუებულ სიყვარული. მეც მძიმედ ვანვიცადე ეს. თავის მოკვლასაც კი ვაპირებდი. თურმე ქალები ამტანიანებიც ვართ. უბედურებას ადვილად ვეგუებით. — მეც თანდათან შევეუბრებოდი ბედს, მაგრამ ჩემი გული სამუდამოდ დაიჭრა და დაიკოდა. თავყანისმცემელი ბევრი მყავდა. ზოგი მათგანი ხელსაც მთხოვდა, მაგრამ მე არავინ მომწონდა. რაკილა უკარება ვიყავი, მამაკაცები ჩემსკენ უფრო მოილტვოდნენ, მეალერსებოდნენ. მაჭებდნენ, მადიდებდნენ. თვითვე მიხაროდა ჩემი სიტურფე. მეგონა თვალეები იმისთვის მქონდა, რომ მეშხირა, როგორც ალტაცებაში მოდიოდნენ მამაკაცები ჩემი სილამაზით, ყურები მისთვის, რომ მუდამ საალერსო სიტყვები მესმინა. გული მისთვის, რომ ნეტარება განმეცადა, ვინც მეფიცებოდა, ყველასი მჭეროდა, ვინც თავს მამარალებდა, ყველა მეცოდებოდა. იქნებ ზოგ მათგანს გულწრ-

ფელადაც ვუყვარდი, მაგრამ მე არავინ მომწონდა. გათხოვენას არ ვაპირებდი. ქება-ალურსსა და ქათინაურებს ისე მივეჩვიე, უამისოდ არსებობა ველარ წარმომედგინა. მეტისმეტად მიმძიძიდა ერთი და იგივე კაცის გვერდით ხანგრძლივად ყოფნა. ცოლქმრული ცხოვრება საპყრობილედ მეჩვენებოდა. მინდოდა ფრინველივით მეფრინა, მენავარდა. რალა თავი შეგაწყინო, ჩემი გული, ჩემი სიყვარული ერთს კი არ ვუწილადე, აქეთ-იქით გავფანტე, ბეგრს გაფუნაწილე. მაკაკეებმა შემავონეს და, მეც, ტუტუსს, მჭეროდა რომ ლამაზი ქალი სიყვარულისთვისაა გაჩენილი და შეენის კიდეც თავის გასართობი წაეშმაკება. ერთი სიტყვივით. ვცხოვრობდი უღარდელად, ჩემი თავი უბედნიერეს ადამიანად მიმაჩნდა დაერთხელაც არ მიფიქრია, თუ რას მიმზადებდა წუთისოფელი. ახლა ბეგრსა ვნანობ, მაგრამ გვიანდაა. წარსულს ველარ დაიბრუნებ, მომხდარს აღარაფერი ეშველება. უკან რომ ვიხედები. მთელი ჩემი ცხოვრება საშინელი სიზმარი მგონია, მძიმე მტანჯველი სიზმარი. ახლა გავიგე, თუ რა დიდი უბედურებაა ქალისთვის ოჯახური სიტყვობების განუცდელად სიკვდილი, უქმარშვილო ქალი უკვალოდ გამქრალი გარსკვალავია. საშინელი. აუტანელი ყოფილა სიბერეში მარტოობა. როგორ მწყუროდა, როგორ მენატრებოდა, რომ ჩემს გვერდით ყოფილიყო ვინმე სულდგმული, რომელიც ჩემზე იზრუნებდა, ჩემზე იფიქრებდა! მე კი არც შვილი მყავდა, არც შვილისშვილი, არც სხვა ვინმე ნამავარი და, აბა, ვის რად ვენდომებოდი, ვის გავახსენდებოდი?! ადამიანიშვილი ვერ გამოვანახე და ბოლოს ეს ვერაგი კატა შემოვიკედლე. თუმცა თავს მეგობრად მაჩვენებს, მეფერება კიდეც, მაგრამ ვიცი, რომ ჩემი დაუძინებელი მტერია! წუთი-წუთზე ელოდება ჩემს სიკვდილს, ჩემი სისხლი სწყურია, ჩემი ხორცის დაგლეჯა ენატრება. მოკვდები თუ არა, თვალებს დამთხრის, ცხვირ-პირს მომაკამს, დამასახიჩრებს. ახია ჩემზე,

ღირსი ვარ, დავიმსახურე. — დააშთავრა მოხუცმა და დამქნარ ლოყებზე ცრემლი ცრემლზე ჩამოთვლიდა.

ერთ საღამოს ვიას ქუთუთოები შეუშუბდა, ლოყები აუწითლდა, მყეფავად ახველებდა, სიცხემაც აუწია. მესამე დღეს ტანზე წითლად გამოაყარა. ხიხინებდა. გახშირებით სუნთქავდა. უმაღლო იყო.

უბნის ექიმმა გულმოდგინედ გასინჯა ბავშვი და განაცხადა. წითელააო. მკურნალობა დაუნიშნა და ავადმყოფს თითქმის ყოველდღე ნახულობდა.

სამ კვირაში ვია გაჯანსაღდა, გამხიარულდა, წახალისდა, მადიანად ჰამდა, მშვიდად ეძინა.

მარგალიტამ. მისივე სიტყვებით რომ ეთქავთ, კეთილი „ბატონები“ კეთილად გაისტუმრა. მათ საამებლად ბაზმა დაანთო. იავნანა იმღერა, ნიგვზის ქაღები დაეცხო.

წითელა კი გაისტუმრეს, მაგრამ კვირისთავზე ვიამ ერთბაშად მოიწყინა, მადა დაკარგა, არც რძე დალია, არც საკმელს გაეკარა. სახე გაუფერმკრთალდა. მოელუშა. მიმქრალი თვალეები ეხუჭებოდა. ძილი თავს სტაკებდა, მაგრამ უმაღ შეხტებოდა ხოლმე და შეშინებულებით აქეთ-იქით იხედებოდა.

მარგალიტამ ნაშუადღევს ვია ჩვეულებრივზე ადრე დააწვინა. ბავშვს მაშინვე ჩაეძინა, მაგრამ შფოთავდა, ერთი-ორჯერ წამოიტირა, საბანს იხდიდა ყელყელოობდა. თითქოს წამოდგომა სწადიო, მაგრამ არც ძალა ჰყოფნიდა, ვერც ბურანიდან ერკვეოდა და ისევ ძილს ეძლეოდა.

ირმამ შინ მოსვლისთანავე ბავშვი მოიკითხა.

— ენაცვალოს ბებია მარგალიტა. ცოტა უგუნებოდა!

ირმამ ყვავილების კონა მაგიდაზე მიავდო და ბავშვთან მიიჭრა. ვია ოფლში იყო გაწურული, სხეული მოშვებოდა, ღრმად და აჩქარებით სუნთქავდა. შუბლზე ოფლი შეუმშრალა, საბანი შე-

უსწორა, საწოლს მიუჯდა და თან ეჩურჩულებოდა. ჩემო ფუნთუშავ. ჩემო საყვარელო ბიჭო, შემოგველოს დედა! იქნებ მარტო მოიწყინე! მოვედი, შვილო, ახლა გვერდიდან აღარ მოგცილდებიო.

ამსობაში ელიზბარიც მოვიდა.

ცოლი რომ შვილის საწოლთან მიმჯდარი დაინახა, გული შეუქანდა და მაშინვე იკითხა:

— ბავშვი როგორ არის, ირმა!

— უკუნებოდაა, ელიზბარ!

ელიზბარი საწოლთან მივიდა, ბავშვს შუბლზე ოდნავ ხელი შეახო, სიცხე აქვს თუ არაო, მერე დაიხარა და ოფლით დასველებულ კულულებზე აკოცა.

ცოლ-ქმარმა მოგვიანებით ისადილეს, წვნიანს ახლო არ გაეკარნენ, ყველის ნატეხი და ორიოდ ლუკმა პური შექამეს.

ვიამ ერთბაშად გაიღვიძა, თითქოს რაღაცამ შეაკრთოო, ოთახს შიშით მოავლო მიმქრალი თვალები. მერე დედას დააკეჭრა. ხელებიც გაიშვირა მისკენ, თითქოს რაღაცასა სთხოვსო. და უცებ თვალები ზევით წაუვიდნენ, გადაუტრიალდნენ.

ირმამ შვილს ხელი დაავლო, მკერდში ჩაიკრა, გულამოსკვნით ჩასძახა: ვაიმე. შვილო, რა დაგემართაო?!

ბავშვს ნორჩი სხეული დაეჭიმა, კიდურები გაუშეშდა. სახე გადაუყვითლდა, გაფართოებული თვალის გუგები უძრავი გაუხდნენ.

— მიშველეთ, მიშველეთ, ბავშვი ხელიდან მეცლება! — გაკიოდა ირმა.

ელიზბარმა შუბლზე ხელი შემოიბრტყა. ვაიმე, დედა. ეს რა უბედურებაა ჩვენს თავსაო.

— ნუ გეშინიათ. დააწვინეთ! ალბათ, საყმაწვილოა, შარშან ჩვენ მეზობლის ბავშვსაც დაემართა ასე! — ამშვიდებდა მარგალიტა.

ირმამა ვია საწოლზე მიაწვინა და ქმარს მიუბრუნდა, ჩვენს მთავარ ექიმთან გაიქეცი, მარჯანიშვილის მოედანზე ცხოვრობს. იმის მეტი ვერაფერს გვიშვე-

ლის, მხოლოდ ის გვიხსნის უბედურები-საგანო.

ერკონულა

ელიზბარი უხმოდ გაგვიყვანა
ბავშვს მიმქნარებული პატარა სახე
დაემანჭა. დაუმახინჯდა, ხელ-ფეხი გაუ-
ცივდა, სიცოცხლის ნიშანწყალი გაუქრა.

— დეიდა მარგალიტა, სასწრაფო დახმარებას გამოვეუძახოთ! — ყვიროდა ირმა.

— ჩვენს პირდაპირ სახლში ბავშვის ექიმი ცხოვრობს, იმასთან მივალ!

— ჩქარა, ჩქარა!

რაღაც ორიოდ წუთში ექიმი მოვიდა.

ირმა ექიმს ფეხქვეშ ჩაუვარდა, გულ-აჩუყებულმა შესტირა. შვილი ხელიდან მეცლება, გადამირჩინეო.

— ნუ გეშინია, დამშვილდი, ვაკირვების ემს დიდსულოვნებაა საჭირო. — უთხრა ექიმმა ირმას, საჩვენებელი თითით ბავშვს პირი გაუხსნა. სუფრის კოვზის ტარით ენაზე დააწვა და ზორხში ჩახედა.

— ყელი სუფთა აქვს. — წაილაპარაკა ექიმმა, ბავშვს მაჯებში ჩაავლო ხელი და ხელოვნური სუნთქვა დააწყებინა. თან ირმას ფანჯრები გააღებინა, მერე ბავშვს დუნდულბზე ნემსი გაუკეთა და ისევ ხელოვნური სუნთქვა დააწყებინა. ხელისგულით მკერდზე აწვებოდა, პაერის გამოდევნით ამოსუნთქვაში ეხმარებოდა. მკერდიდან ხელების მოცილებით კი ჩასუნთქვას უადვილებდა.

რაკილა ვაკის პარკთან არც ერთი ავტობუსი არ იდგა, ელიზბარი გზაჯვარედინისაკენ გაიქცა. იქ უფრო იოლად დავიჭირავებ მანქანასო. პირველივე შემხედური „ვოლგა“ გააჩერა.

— შენი ჭირიმე. ძმაო, ბავშვი მყავს ავად, ექიმის მოსაყვანად მივდივარ, რა იქნება მარჯანიშვილის მოედანამდე წამიყვანე! — შლაპიან კაცს, მანქანაში რომ იჯდა, კი არ უთხრა, შესტირა ელიზბარმა.

— კი ბატონო, დაბრძანდი! — მიუგო მანქანის პატრონმა.

როცა ჭავჭავაძის პროსპექტზე გავიდნენ. უცნობმა თქვა:

— მხოლოდ ფულის საშოვნელად გამოსული არ გეგონო!

— ვამდლობ, მეგობარო! ღმერთი, შეიძლება, არ არის, მაგრამ ქვეყანაზე სიკეთე არ იკარგება!

ქალაქის ქუჩებს მზე დანათოდა. მაგრამ მთავარი ექიმი დარაბებდახურულ ბნელ ოთახში იჯდა. პატარა აბაჯური მხოლოდ საწერ მაგიდას ანათებდა. მაგიდაზე უწესრიგოდ ელაგა გადაშლილი უცხოური ჟურნალები პრეპარატების ცნობარები. სამედიცინო ენციკლოპედიის ტომები. ოთხივე მხრივ ჭერამდე აყვანილი თაროები წიგნებით იყო გამოქედლი. ელიზბარის შესვლისას მთავარმა ექიმმა შუბლზე ხელი მოისვა, ვით გონიერული მუშაობით გადაღლილმა ბრძენმა, სტუმარს აღმაცერად გადახედა და იკითხა:

— რას მიბრძანებ?

— ექიმო, ბავშვი ხელიდან მეცლება, გთხოვთ წამობრძანდეთ! — მიმართა ელიზბარმა და მთავარ ექიმს დააკვირდა. ღმერთო ჩემო, ნაცნობი სახე აქვს. სად მინახავსო.

— რა ხნისაა ბავშვი?

— ორი წლისაა, ბატონო!

— მანქანითა ხარ?

— არა, თუ წამობრძანდებით, ტაქსი დავიჭირებ!

— და! — თავი დაიქნია ექიმმა, მაგიდიდან განზე გაიწია და ფეხი ფეხზე შემოიღო. — სად ცხოვრობ?

— ფალიაშვილის ცამეტში.

— ეტყობა, ახალი მობინადრე ხარ. მე იმ სახლში ვყოფილვარ. მოხუცი მარგალიტა ხომ ცოცხალია?

— სწორედ იმის მდგმური გახლავარ!

— და! — თქვა მთავარმა ექიმმა და, თითქოს რაღაცას იხსენებდნო, მცირე ხანს ჩაფიქრდა. — ნუ გეშინია, საყმაწვილო ექნება, საშიში როდიღაა. არის ერთი ინგლისური პრეპარატი, რომელიც თხუთმეტ წუთში ხსნის კრუნჩხვებს და ბავშვი მძიმე მდგომარეობიდან გამოკვავს!

— ბატონო ექიმო, იშოვება ეს პრეპარატი?

— როგორ ვითხრა! ჩვენს აფთხიქებში არ შემოდის, მაგრამ მე მაქვს... სამეცნიერო მივლინებით არა ერთხელ ვიყავი ინგლისში, ამერიკაშიც რამდენჯერმე გახლდით, საფრანგეთშიც, იტალიაშიც. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ამ პრეპარატს შენ ვერ იშოვნი.

— ბატონო ექიმო, ოღონდ ბავშვი გადავირჩინეთ, რაცა ღირს, გადავიხდით!

— როგორ გეკადრება, ამას იმიტომ გეუბნები, რომ საქმის კურსში იყო. ნუ გეშინია, ბავშვს განკურნავ. დილაზე დავიწყებული გექნება მისი ავადმყოფობა. შენ წადი მე ჩემი მანქანით მოვალ.

— მალე მიბრძანდებით, ექიმო?

— შევეცდები, ორი ავადმყოფი მყავს სანახავი, მესამე თქვენ იქნებით, თან ცოტა წვერიც უნდა ჩამოვიფხიკო... დილას კი გავიპარსე, მაგრამ ასე ვარ მიჩვეული! — და სახეზე ხელი მოისვა.

— ბატონო ექიმო, გეხვეწებით, გეპუდარებით, ჩვენთან მიბრძანდით პირველად.

— არ შემიძლია, შეპირებული ვარ, რა ვქნა. ერთი წუთი მოცლა არა მაქვს, მაგრამ უარით მაინც ვერ ვისტუმრებ. ასეთი ჭუმანურია ექიმის პროფესია. პირადად მე ყველა ავადმყოფი ძმად მეგობრად მიმაჩნია.

აი, ახლა კი გაახსენდა სად უნახავს ეს კაცი! მედიცინის მუშაკთა დღეს პროფესორთა დიდი ჯგუფი გამოვიდა ტელევიზორში. სხვებმაც მშვენივრად ილაპარაკეს. მაგრამ მთავარი ექიმის სიტყვა ყველასაგან გამოირჩეოდა. გულში ჩარჩა მისი გრძნობით ნათქვამი სიტყვები: ექიმებს ძმად, მეგობრად მიგვაჩნია სნეული, ყოველთვის მივიჩქარათ მისკენ, ვანუგეშებთ, დავრდომილ სულსა და ხორცს მტლად ვედებით. მოყვასის სიყვარულით აძვერებულ ჩვენს გულში ადვილი არა აქვს რაიმე ანგარებას, დაწვრილმანებას. თვალისჩინივით ვუფრთხილდებით, სპეტაკად ვინახავთ ექიმის მალალ სახელსო.

ელიზბარი მთავარი ექიმის სამუშაო

ოთახიდან რომ გავიდა, შეჩერდა, არ იცოდა, საით წასულიყო, რადგან დიდ დერეფანს ორი დერეფანი ჰკვეთდა. მოსვლისას კარი შინამოსამსახურემ გაუღო, წინ გაუძღვა და მთავარი ექიმის სამუშაო ოთახამდე მიიყვანა. ახლა შინამოსამსახურე არ ჩანდა. თვითონ კი აღარ ახსოვდა. საით იყო გასასვლელი. რაკილა ხმაური მარცხენა მხრიდან ისმოდა, გაიფიქრა. ალბათ, მარცხენა დერეფნის ბოლოში დატანებული კარი გადის ქუჩაში, და ფეხაკრეფით იქით გაემართა. ფრთხილად შეაღო კარი, ცარიელი ოთახის კუთხეში მიწოლილმა ვეებერთელა ნაგავმა კბილების ღრკვილით შეღრინა და ყუფით გაქანდა მისკენ. ძლივს მოასწრო კარის გამოხურვა. იმის შიშით, გააქეხული ნაგავი გარეთ არ გამოვარდეს და ნაკუწ-ნაკუწად არ მაქციოსო, კლიტეში გაკეთებული გასასვლელით კარი დაკეტა და ცივად დაბრუნდა უკან. მეორე კარიც შეაღო, იქნებ აქეთ არის გასასვლელი, მაგრამ არც ამგვარად გაუმართლდა იმედი. ესეც ოთახი გამოდგა, შიგ უნგრული საწოლები ელაგა და არავინ იყო. შემდეგ კარიც შეაღო, აქ ძვირფასი ავეჯით გამოკეთილი მისაღები გახლდათ. ასე ჩაპყვა დერეფანს, აქეთ-იქით კიდევ ოთხ ოთახში შეიხედა. მაგრამ გასასვლელს ვერ მიაგნო. ალბათ შეცვლი. მარჯვენა დერეფანს უნდა გავყოლოდიო. გაიფიქრა. და იქით გაეშურა.

აქაც ბევრი იარა. თითქმის ყველა ოთახის კარი მოსინჯა, შეიხედა სათავსოებშიც, მაგრამ გასასვლელი ვერა და ვერ იპოვა.

ვერაფერი გაუგია? თავი იმ ზღაპარში ჰგონია, მეფემ რომ ქვეშევრდომებს გამოუტყადა, ვინც ჩემს სასახლიდან გარეთ გამოსასვლელ გზას გაიგნებს, ასულს მივათხოვებო. ვიღამ არ მოინდომა მეფეს დასიძევება, მაგრამ ყველას კოვზი ნაცარში ჩაუფარდა. ბოლოს ერთმა მწყემსმა ასეთ ხერხს მიმართა: მეფის სასახლეში რომ შეჰყავდათ, მალულად უკან გორგლის ძაფი გაშალა.

მერე კი ამ ძაფს გამოჰყვა, და მეფის ასული დაისაკუთრა. *ერკენული*
ამ ფიქრებში იყო ელიზბარამ რომ ზურგს უკან შინამოსამსახურის ხმა გაისმა: მობრძანდი, გასასვლელი აქეთ არისო.

— გზა ამერია, გასასვლელი ველარ ვიპოვე! — წაილაპარაკა ელიზბარამ.

— როდი გამტყუნებ. შენ კი არა, ხანდახან პატრონსაც ერევა.

ელიზბარი. შინამოსამსახურეს რომ მისდევდა, ვაოცებული აქეთ-იქით იხედებოდა, არა. მე აქედან არ შემოვსულვარო. როცა გარეთ გავიდა, შეჩერდა, სახლის სადარბაზოებს შეავლო თვალი.

რამა საქმე? მართლა ზღაპარში ხომ არ არის?! კარგად ახსოვს. მეორე სადარბაზოში შევიდა, უკან კი მესამე სადარბაზოდან გამოისტუმრეს.

ელიზბარი სახლში რომ მივიდა, გიას მშვიდადა ეძინა, მის საწოლთან ექიმი იჯდა და ფეხებს უხედა.

ირმამ ქმარს წასჩურჩულა, ფრთხილად იარე, ბავშვს სიწყნარე ესაჭიროებაო, და თვალით ანიშნა, უკან გამომყევითო.

როცა სამზარეულოში განცალკევდნენ, ირმა ქმარს შეეკითხა:

— მთავარი ექიმი შინ არ იყო. ელიზბარ?

— შინ იყო, მალე მოვა, ირმა!

— რატომ თან არ წამოიყვანე. ელიზბარ?

— არ წამოვიდა, ვერ სხვებთან ვარ მისასვლელიო, ირმა!

— ორ-ორ ექიმს გასტუმრება უნდა: ფული საკმარისი არა მაქვს. მარგალიტას დაესესხე. შენ უფრო მოგეცემს, ელიზბარ!

მარგალიტამ მაშინვე ორმოცდაათი მანეთი გამოურბენინა ელიზბარს, თუ კიდევ დაჰკვირდეთ, ნუ მომერიდებით, ოღონდ ბავშვი იყოს კარგად და მავ ფულს სულაც აღარ გამოგართმევითო.

მთავარი ექიმი ათ საათზე მოვიდა. ელიზბარი გარეთ გამოეგება, მობრძანდით, ბატონო ექიმო, მობრძანდითო. მთავარი ექიმი მანქანიდან გადმოს-

ელისთანავე დაწინაურდა, საფეხურგამოშვებით აირბინა ექვსმუხლიანი კიბე და თამამად შევიდა მარგალიტას ბინაში.

დერეფანში ირმა რომ დაინახა, გოცემბით იკითხა:

— ირმა, განა აქ ცხოვრობ? შენი ბავშვი ხომ არ არის ავად?

— დიან, ექიმო, ჩემი შვილია ავად! — მიუგო ირმა.

— ნუ გეშინია, ბავშვის ავადმყოფობა საშიში არ არის!

მთავარი ექიმი ოთახში შევიდა.

ვიას ეღვიძა. აცრემლებული თვალებით საცოდავად შესცქეროდა საწოლზე ჩამომჯდარ ექიმს, ხელის თითებს ნაზად რომ უხეღდა, თითქოს ეუბნებოდა, ძვირფასო დეიდა, რა ვქნა, ლაპარაკის თავი არ მაქვს, მხოლოდ თვალებით შემეძლია გამოვხატო შენდამი მადლობა და ამიტომაც შემოგაკიცინებო.

— თქვენ აქ ბრძანდებით, ქალბატონო ოლია?! — ნაძალადევად გაიღიმა მთავარმა ექიმმა, — როგორია ბავშვის მდგომარეობა?

— არა უშავს რა! — მიუგო ოლია ექიმმა.

— კარგია! — და ბავშვთან მივიდა, მაჯა გაუსინჯა, შუბლზე ხელი გადაუსვა, საჩვენებელი თითი ნიკაპზე მოუთათუნა, თან ირმას გაუღიმა, ეს რა კარგი ბიჭი გყოლია, ისეთი ლამაზი ვაყვაცო გაიზრდება, თქვენი სახლის წინ ქალიშვილების რიგი დადგებაო. მერე ოლია ექიმი განზე გაიხმო და ხმადაბლა უთხრა:

— საშიშია არ გაუმეოროს!

— ამიტომაც ვარ აქ!

— ოთახში ჰაერი მაღიმალ ვაწმინდეთ თუ კრუნჩხვები დაეწყოს. ქაფური გაუკეთეთ, პირი ძალით გაუსენით, ხელონური სუნთქვა ჩაუტარეთ!

— ვმადლობთ დარიგებისათვის! — მიუგო ღიმილით ოლია ექიმმა და ისევ ბავშვს მიუჭდა.

მთავარმა ექიმმა კი განაცხადა:

— როცა ოლია ექიმი აქ არის, მე ზედმეტი ვარ. ნურაფრისა ნუ გეშინიათ,

ბავშვი კარგად იქნება. ახლა კი, წავედი, სხვებთანაც ვარ მისასვლელი! — და ოთახიდან უცებ გავიდა.

ელიზბარი დერეფნის კარებთან წამოეწვია მთავარ ექიმს და პიჯაკის ჯიბეში ათმანეთიანი ჩაუღო.

— რას ჰგავს ეს! — ერთბაშად შესძახა მთავარმა ექიმმა, ფული ჯიბიდან ამოიღო, დერეფანში გამოსულ ირმას ხელში მიაჩეჩა. სწრაფად გავიდა გარეთ და უკმაყოფილების ნიშნად კარი დღნავ გაიჭახუნა.

ვია შუალამისას კიდევ შეწუხდა, მართალია, ამჯერად ცოტა იოლ ფორმებში ჰქონდა შეტევა, მაგრამ კრუნჩხვები უფრო გაუხანგრძლივდა.

ოლია ექიმი პირის მოკუმვის საშუალებას არ აძლევდა ბავშვს, ხელ-ფეხს უხეღდა, ხელოვნურად ასუნთქებდა.

ირმა მოთქმით ტიროდა, სახეზე მუშტებს ირტყამდა, მიშველეთ, შვილი მიკვდებაო.

ექიმი ჯერ უყვავებდა, ამშვიდებდა ირმას, მაგრამ ბოლოს ვეღარ მოითმინა და შეუტია; რა დაგემართა, ქალო, გამაგრდი, შენი წივილ-კივილით ბავშვს რას უშველიო.

კუთხეში ატუხული ელიზბარი მთლად ცახცახებდა, ცრემლი ყელში ებჯინებოდა, ხანდახან თავს ვეღარ იკავებდა და ჩუმად ქვითინებდა.

კრუნჩხვების შემდეგ ვიას მიეძინა. მშვიდად სუნთქავდა, აღარც ქოშინი აწუხებდა, აღარც ოფლიანობა.

ოლია ექიმი გათენებამდე გვერდიდან არ მოსცილებია ბავშვს. ირმასა და ელიზბარსაც თვალი არ მოუხუჭავთ. მარგალიტაც ფეხზე ტრიალებდა.

წასვლის წინ ექიმმა ცოლ-ქმარი დაამედა, ბავშვი კარგადაა, ნუ გეშინიათ, ასეთი რამ აღარ გაუმეორდებაო.

ირმამ ექიმი გააცილა. გამომშვიდობებისას ხელები დაუკოცა, მადლობა გადაუხადა, თან შეეცადა, ორი დაკეცილი ათმანეთიანი ჩაეღო ჯიბეში, მაგრამ ექიმმა ხელები გაასავსავა, როგორ გეკადრება, ამიტომ როდი გავათენე ბავშვის საწოლთან ღამეო!

— თქვენ ეს დაიშახურეთ, ძალიან გეხვეწებით აიღოთ, გაწეული შრომის სახლურად!

— ჩემი შრომის სახლური ბავშვის სიცოცხლე! მეც დედა ვარ! დაე, სახელოვან ვაჟაკად გაეზარდოს საქართველოს!

სახლში მიმავალ ექიმს მარგალიტა წამოეწია:

— შენი ჭირიმე, ექიმო, მე მაინც მითხარი სიმართლე, რა დაემართა ბავშვს, შეშინებული ხომ არ არის?..

— ვერაფერს გეტყვი... მეც ვერ გავიგე, რა არის ამ მოვლენების მიზეზი! — მიუგო ექიმმა.

ნამდვილად კატამ შეაშინა პატარა ბიჭი. გუშინ ნაშუადღევს არ იყო, რომ მძინარე ბავშვს დასცქეროდა მტაცებლის თვალებით! მორჩა, კატას სახლში აღარ გააჩერებს, დღესვე მოიცილებს თავიდან! იქნებ რომელიმე მეზობელს აჩუქოს! მერე ვინ აიყვანს, ვის რა ოხრად უნდა?! სოფელში მაინც ჰყავდეს ახლობელი. აიღებდა და გაატანდა. თუმცა კრისა ისეთი სატანაა, ათასი კილომეტრიდან გამოაგნებს გზას და კარზე მოადგება. ყველაფერს ისა სჯობია, ამ დილითვე ტომარაში ჩასვას, პირი მოუკრას და მტკვარში გადაისროლოს. თვითონაც აღარ შეუძლია კატის ცქერა, ვეღარ იტანს, ნერვები ეშლება, გულს უღრღინის მისი კნავილი!

ღამენათევმა ცოლ-ქმარმა თვალი მოატყუეს თუ არა, მარგალიტამ კატა დაიჭირა, იღლიაში ამოიჩრა და გარეთ გავიდა...

ირმამ და ელიზბარმა მარგალიტას ვერც წასვლა გაიგეს, ვერც მოსვლა.

ის კი არ გამოპარვიათ, რომ სრულრვა საათზე მათ მოპირდაპირე სახლის წინ წითელჭვრიანი „მოსკვიჩი“ შეჩერდა.

ოლია ექიმი მაშინვე გამოვიდა, ჯერ ცოლ-ქმარს მიაკითხა. როგორ არის ბავშვიო. ტბილად ჩაძინებულ გიას მჯა გაუსინჯა, მშობლები კვლავ დაარიგა, გული გაუმაგრა. სამსახურის ტელეფონის ნომერი დაუტოვა, თუ დაგვირდეთ.

დამირეკეთო. მერე ჩაჯდა „მოსკვიჩში“ და სააქადმყოფოში წავიდა.

თამარს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ მისი ქმარი ირმას ჰყვარებოდა. მოტყუებული ცოლები მეტოქეებს ნაკლებად მიაგებენ სანაცვლოს, მაგრამ იშვიათია ქალი, გულში მაინც რომ არ გაიყვოს მოღალატე ქმრის სამაგიეროს გადახდა. თამარის გული კი ისე იყო ქმარ-შვილის სიყვარულით სავსე, ასეთი რამ ფიქრადაც არ მოსვლია.

ირმას ხომ მომზიბვლელობასთან ერთად საკმაო მოხერხებულობაც გააჩნია. ორი თავის ხნის კაცს ეტმასნება, ისეთი თავხედია, ლამის სახლში შეეჭრას. ლადის კი არა, მის ჯიბეს უფრო ეტანება. ამ ბოლო დროს ხომ ლადის იმის ნახევარი ფულიც აღარ მოაქვს, ადრე რომ მოჰქონდა. ეტყობა ირმას საჩუქრებს აყრის, ხელს უშართავს. ვინ იცის, იქნებ სახლიც იმან დაუქირავა?! დიდი სიფხიზლე მართებს. ხელჩასაჭიდი ფაქტები უნდა მოაგროვოს. თავდაპირველობაც საჭიროა. ამ სამარცხვინო ამბის განხაურება არ ივარგებს. ლადი ქვეყნის დასაციანი გახდება, სახელი შეებღალება, საზოგადოების თვალში დამცირდება. რაც არ უნდა იყოს, მაინც მისი ქმარია, მისი შვილების მამაა. შეიძლება ყველაფერი ცოტა გაზვიადებულადაც ეჩვენება?! ესეც რომ არა, საგანგაშო არაფერია! ამ ხნისა და მდგომარეობის კაცი მთლად წინდაუხედავად არ მოიქცევა. ლადი ხომ ფიზიკურად გამტყდარია. ჰაბუტკივით როდიღა უეზიზიზებს გრძნობათა ცეცხლი. იქნებ ეს მიმქრალი ვნებათაღელვის საბოლოო გაბრძოლებაა. რაც არ უნდა მოხდეს, მის მოგვიანებულ სიყვარულს გამარჯვება არ უწერია. ისინი ვერც გამკლავებენ თავიანთ სიყვარულს, რადგან ორივეს ოჯახი აქვს და ასაკითაც ერთმანეთს არ შეეფერებიან. დაფარული სიყვარული ვერ გაიმარჯვებს, შეყვარებულთ სიხარულს ის ანიჭებთ, როცა მათ ბედნიერებას სხვები შენატრიან.

უამისოდ უფერულდება, ჰქარგავს მიმ-
ზიდველობას! ასე კი ფიქრობდა თამა-
რი, მაგრამ თავისი დასკვნებისა თვი-
თონვე არა სჯეროდა.

ლადი კი, თითქოს მის ჯიბრზე, დღი-
თიღვე სულ უფრო მეტხანს ტრიალებ-
და სარკის წინ, წვერს იპარსავდა. ულ-
ვაშებს ისწორებდა, სუნამოს იპყრებ-
და.

არასოდეს ეუბნებოდა ცოლს, აქ და
აქ მივდივარ და ამა და ამ დროს მოვა-
ლო. ადრე, რომ შეაგვიანდებოდა, ან
ტელეფონით დარეკავდა, ან მოსვლის-
თანავე იტყოდა მიზეზს. ბოლო დროს
შუალამისასაც რომ მისულიყო, არც
იბოდიშებდა, არც იმას ამბობდა აქამდე
სად იყო.

ერთხელ, ეს იყო სწორედ იმ
დღეს, სანებლიძემ და ირამ ზღვაზე
რომ გაისეირნეს, თამარმა ქმარს უსაყ-
ველურა, სადა ხარ აქამდე, დილას ხომ
შემპირდი, ადრე მოვალ და ვაკის პარკში
გავიაროთო.

— რა ვქნა, ოპერაცია გამიგრძელდა!
— მიუგო ქმარმა, რომელსაც ნაგვიანეც-
მა სიყვარულმა ტყუილის ლაპარაკიც
ასწავლა.

— განა, დღეს ოპერაციის დღეა?

— ავარიასი მოყოლილი ცოლ-ქმარი
მოიყვანეს,

— ეს ხომ გუშინ იყო?

— ვინ ვითხრა, გუშინ კი არა, დღეს
იყო... თუმცა, ჰო, ოპერაცია გუშინ გა-
ვუკეთე, დღეს კი ჭრილობა გაეხსნა და
ხელახლა გავუკერე.

თამარმა დამცინავად ჩაიციხა, როგორ
არ გრცხვენია, ასე აშკარად რომ ცრუო-
ბო.

სანებლიძეს ნერვებმა უმტყუნა და
მეკახედ შესძახა:

— რას ნიშნავს ეს? თვალ-ყურს მა-
დევნებ?! ან როდის აქეთ აღარ გჭირა
ჩემი?!

— როგორ დავიჯერო, როცა ფაქტი-
ბი სხვას ლაპარაკობენ. დღეს ოთხ სა-
ათზე დავრეკე საავადმყოფოში და მით-
ხრეს, სანებლიძე რახანია წავიდა სახლ-
შიო.

— ვინ ვითხრა?

— ამას რა მნიშვნელობა უნდა? მთა-
ვარი ის არის, რომ შენ საავადმყოფოში
აღარ იყავი.

— ეტყობა, შეცდომით გიპასუხეს?!

— მთავარ ექიმს ველაპარაკე, თავისი
ნათესავი ქალი ჩაისვა მანქანაში და წა-
მოვიდაო, მითხრა.

— გაგხუმრებია! — ნაძალადევად გაი-
ცინა სანებლიძემ.

— რატომ უნდა გამხუმრებოდა?!

— ეს მე არ ვიცი. წადი და იმას ჰკი-
თხე! ველარაფერი გამიგია, რითი დავიმ-
სახურე ეს უნდობლობა?! კაცი დავებრ-
დი და რაღა დროს ჩემი ეგებება. ძა-
ლიან ვთხოვ, ასეთ უმნიშვნელო ამბებ-
ზე ლაპარაკით დროს ნუ მაქარგვინებ.

ცოლმა აღარაფერი უპასუხა, გულში
კი გაიფიქრა, მოგეწევა კული, არა? ქალი
არ ვიყო, თუ არ დავიმტკიცო, რა მამა
აბრამის ბატკანიცა ხარო?!

თამარს არ შეეძლო ცისმარე დღე
ფეხდაფეხ უკან ედევნა, ბევრშვებს
უპატრონოდ ხომ არ მიატოვებდა. მაგ-
რამ დროს იხელთებდა თუ არა, განსა-
კუთრებით დღის ბოლოს, საავადმყო-
ფოს შორიასლო ტრიალებდა და ქმარს
უთვალთვალებდა.

ერთხელ ლადიმ საავადმყოფოდან გა-
მოსვლა შეაგვიანა.

თამარს გული გაუწყალდა ლოდინით.
ტელეფონ-ავტომატით მორიგეს დაე-
ლაპარაკა და ქმარი იკითხა.

სანებლიძე თავის კაბინეტშია ჩაკეტი-
ლი, რაღაცას წერსო, უპასუხა მორიგე
ქალმა.

ლადი შებინდებისას გამოვიდა საავად-
მყოფოდან, ჩაჭდა მანქანაში და თავის
სახლის საწინააღმდეგო მიმართულებით
წავიდა.

თამარი მაშინვე გარეთ გავიდა. ბედ-
ზე, იქვე გაჩერებული ტაქსი დაიჭირავა
და ქმარს გაედევნა.

ტაქსი მალე წამოეწია სანებლიძის
მანქანას. ამიტომ თამარმა მძლოლი სა-
გვლანტერიო მალაზიასთან გააფრთხი-
ლა, შეჩერდიო. მალაზიაში შეირბინა,
დახლთან არც მისულა, ისე გამობრუნდა

უკან და მძლოლს წასვლა უბრძანა.

— საით? — იკითხა უცნაური მგზავრით გაოცებულმა მძლოლმა.

— პირდაპირ!

სანებლიძემ მანქანა სასაუზმესთან შეაჩერა. მანქანიდან რომ გადმოვიდა, მიიხედა-მოიხედა, თითქოს ამოწმებს, ბომ არაფერს მითვალთვალეზსო, და სასაუზმეში შევიდა.

თამარმა მძლოლს მანქანა შორიახლო ვააჩერებინა, ფული გადაუხადა და გადმოვიდა.

„თუ აქ პაემანი აქვთ დანიშნული, როგორც წესი, ქალი პირველი არ მოვიდოდა. კიდევაც რომ მოსულიყო, სასაუზმეში მარტო მაინც არ შევიდოდა. მაშასადამე, ვარედან უნდა ვუთვალთვალო“ — გადაწყვიტა თამარმა და ქუჩის შობიერდაპირე მხარეს წიგნის მაღაზიაში შევიდა. ერთი კი შეათვალა წიგნის თაროები და კარიდან დაუდარაჯდა.

ათი-თხუთმეტი წუთი გავიდა, მაგრამ ნაცნობი არაფერი გამოჩნდა. სასაუზმეში არცერთი ქალი არ შესულა, ვარეთაც არაფერი გამოსულა.

„ვაითუ, ქალი სასაუზმეში იყო!“ — გაიფიქრა თამარმა და მაშინვე იქით გაეშურა. კარებს რომ გაუსწორდა, მალულად ფანჯრიდან შიგ შეიხედა. სანებლიძე განაპირა მაგიდასთან მარტო იჯდა და კონიაკს სვამდა.

თამარს ვერაფრით აეხსნა ქმრის საქციელი.

სანებლიძე ხომ, საერთოდ, მაგარ სასამელებს არ ეტანება! მაშ რამ აძულა, რომ ამ პატარა სასაუზმეში კონიაკის დასალევად შევიდა?! იქნებ ცუდი რამ შეემთხვა, ან ვინმემ გული მოაყვანილა და სასამელით ცდილობს ბოღმის გაქარწყლებას?! აქაობას ვასცილდეს თუ სასუზმის შორიახლო იტრიალოს და ქუჩაში გამოსულ ქმარს, ვითომ შემთხვევით წინ შეეფეთოს?

ამასობაში სანებლიძე გამოვიდა, მანქანაში ჩაჯდა ისე, რომ ცოლი არ შეუმჩნევია და ქალაქის ცენტრისაკენ გაეშურა.

თამარი აქეთ ეცა, იქით ეცა, ძლივს დაიჭირა ტაქსი და ორიოდ წუთის

შეგვიანებით კვლავ ქმარს გაედევნა. უფრო სწორად, კი არ გაედევნა, ქმრის მანქანა უკვე აღარ ჩანდა და იმავე მიმართულებით წავიდა, საითაც ის მიიშალა.

თამარი მთელი ნახევარი საათი დაჰქროდა ტაქსით. რუსთაველზე ორჯერ აიარ-ჩაიარა, ჭავჭავაძის პროსპექტზეც გავიდა, მაგრამ ქმრის კვალს ვეღარ მიაგნო.

„ვაითუ, ლაღი შინ მივიდა, მე კი ქუჩა-ქუჩა დავეებო!“ — გაწბილებულმა ქალმა ამითლა დაიძვინდა თავი და სახლისაკენ გაეშურა, მაგრამ ქმარი შინ არ დახვდა.

იმ საღამოთი სანებლიძე გვიან არ დაბრუნებულა, მაგრამ რაღაც აღრენილი იყო. მანქანა ჩვეულებრივისამებრ გარაჟში არ შეუყვანია, ეზოში გააჩერა.

შინ რომ შევიდა, ბავშვებს, ღერეფანში კუბურებით სახლს რომ აშენებდნენ, უხმოდ გვერდით ჩაუარა და თავისი სამუშაო ოთახის კარი შეაღო.

— მამიკო! — შესტირა ნანამ. — კობა არ მსვენებს, უთხარი, სახლს ნუ მინგრევს, რა!

— კობა, კუყუთ იყავი, თორემ მოვალ და ყურს აგიწევ! — დაუტატანა სანებლიძემ ვაჟიშვილს.

— ვერაფერსაც ვერ ამიწევ! — მიუგო მკვანხედ ბიჭმა.

— დახე ამას, ჯერ მიწას არ ასცილდება და სიტყვას როგორ მიბურუნებს! — გაოცებით ტაში შემოკრა სანებლიძემ. — კობა, აბა ახლავე მოდი ჩემთან!

— არ მოვალ! — მიუგო ჭოუტად ბიჭმა.

— აი, შე ჭინკავ. შენა! — გიმეორებ. ახლავე მოდი ჩემთან, თორემ გიჩვენებ სეირს!

— ვერაფერსაც ვერ უჩვენებ! — ჩაერია მამა-შვილის საუბარში თამარი, სამხარეულოს ღია კარიდან ყურს რომ უდგებდა მათ.

— თამარ, ეს რას ნიშნავს, რატომ ექომაგები ბავშვებს? — იკითხა ნაძალადევი სიმშვილით სანებლიძემ.

— ამაზე მერე გიპასუხებ! — ისეთივე სიმშვიდით უპასუხა თამარმა.

— კარგი, ასე იყო! — თქვა სანებლიძემ და, ლმობიერად მიმართა ვაჟს. — კობა, ჩემთან შემოდი, შვილო!

ბავშვმა არაფერი უპასუხა და დარცხვენით მამის ოთახისკენ გაეშურა.

— მეც მოვალ, რა, მამიკო, მეც მოვალ, რა! — ეხვეწებოდა სანებლიძეს პატარა ქალიშვილი.

— კარგი, შვილო, შენც მოდი! სანებლიძემ კოსტუმში გაიხადა, პიჯამო ჩაიცვა, სავარძელში ჩაჯდა და შვილებს მიმართა:

— აბა, ახლა გამოჩნდება ვინ არის ყოჩაღი! ცხენებზე!

ადრე, როცა სანებლიძე შვილებს ასე ეტყოდა, ბავშვები სირბილით გაქანდებოდნენ და მუხლებზე შეახტებოდნენ ხოლმე, ამჯერად მხოლოდ ნანა გაიქცა მისკენ. ძმა კი ადგილიდან არ დაძრულა. გოგონამ მამასთან მიიბრინა, მუხლზე ორივე ხელი მოხვია, მაგრამ როდღღა შეასტა.

— კობა, რას გაჩერებულხარ, გამოიქეცი, ბიჭო! — დაუძახა მამამ.

კობა მორცხვად გაემართა მისკენ.

ნანამ მათკენ მიმავალი ძმა რომ დაინახა, უმალ მამას მუხლზე მოახტა.

კობა ორ ნაბიჯზე შეჩერდა.

— რა იყო, შვილო, რაზე მებუტეები?

— მიმართა კობას მამამ.

— რატომ აღარ გვკოცნი, არც მე, არც ნანას?! — მიუგო ვაჟმა.

— ვინ გითხრა, ვინ დავაროვა, ასე უთხარიო?

— არავისაც არ დაფურიგებია?

— აღარც მანქანით გვასეირნებ, ზღვაზე ერთხელაც აღარ წავგიყვანე, აღარც სათამაშოებს ყიდულობ ჩვენთვის! — დაუმატა წყენით ნანამ.

— რა ვქნა, შვილებო, ველარ ვიცლი, ბევრი საქმე მაქვს! — მიუგო მამამ ხმადაბლა, რადგან არ უნდოდა მეორე ოთახში თამარს გაეგოხა.

— მამა, მამა, კვირას წავგიყვანე ზღვაზე! — უთხრა ნანამ.

— რატომაც არა, წავგიყვანთ, საჩუქ-

რებსაც ბევრს გიყიდით! — და სანებლიძემ ქალ-ვაჟი მკერდში ჩაიკრა და ორივე გადაკოცნა.

ბავშვები დასაძინებლად რომ წავიდნენ, სანებლიძემ ცოლს გასძახა:

— თამარ, აბა, ახლა მითხარი რის თქმა გინდოდა?

— მოგახსენებ! — მიუგო თამარმა მტკიცე ხმით. — ჯერ მხოლოდ ეს გამაგებინე, რატომ ექცევი ბავშვებს ასე გულგრილად?!

— ვინა, მე? — იკითხა გოცებით სანებლიძემ.

— სწორედ შენ! შე კაი კაცო შენი შვილები არიან, გერები ხომ არა?! მთელი დღე დაკარგული ხარ, რა იქნება, როცა მოხვალ, ყასიდად თავზე მაინც გადაუსვი ხელი მოეფერე!

— თამარ, შენი ველარაფერი გამოგივა, ადრე სულ იმას გაიძახოდი, ბავშვებს ნუ ათამამებ, თავზე ნუ წამოისხი, აღარაფერს მიგონებენო! ახლა კი მისაყვედურებ, არ ეფერებიო. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე?!

— მოიქეცი ისე, როგორც შეეფერება შვილების მზრუნველ მამას. ჩვენ ახლა შვილებზე უნდა ვფიქრობდეთ და არა ჩვენ თავზე.

— ვერაფერი გამოგივა, რა ქარაგმებით მელაპარაკები, პირდაპირ მითხარი, რის თქმა გინდა?

— მე ჩემი სათქმელი უკვე ვთქვი! სჯობია მდგომარეობას ჩაუფიქრდე, გონივრულად მოიქცე! — თამარი ერთბაშად შეტრიალდა და ბავშვების ოთახში გავიდა.

სანებლიძე მართო რომ დარჩა, ოთახში ბოლოს ცემა დაიწყო. ყურში ცოლის სიტყვები უწიოდა, „სჯობია მდგომარეობას ჩაუფიქრდე, გონივრულად მოიქცეო“.

რამ ათქმევინა თამარს ეს? რატომ ჰგონია, რომ იგი გონივრულად არ იქცევა? ვინ იცის, იქნებ მართლაც ასეა. უკვე უფსკრულში იჩეხება და კი ვერ ხედება თავზე დატრიალებულ უბედურებას! არა, ამას ვერ დაიჯარებს. თუ გონივრული არ არის ეს გატაცება, მამ-

რატომ არის იგი ასე ძლიერი, დაუოკებელი? რა უწყობ, რომ ბევრი უსიამოვნებაა მოსალოდნელი? ალბათ, ამხანაგების განსჯის საგანიც ვახდება. ზოგი დასცილებს კიდევ, მასხარად აივლებს. მშვენივრად იცის უველაფერი ეს, მაგრამ რა ქნას, როცა არ შეუძლია ამ ძლიერი გრძნობის დათრგუნვა! თამარი კი დვას და ფილოსოფოსობს. თუმცა, არც სტყუის, ის ხომ შეურაცხყოფილი და დამცირებულაა. სხვა მის ალავას უარესს იზამდა, აურზაურს ასტეხდა. საზოგადოებაში თავს მოსჭრიდა, ქვეყნის სალაპარაკოს ვახდიდა!

წყნეთში ბაღის დაბარვის შემდეგ, ვერიკო ორი დღე შეუძლოდ იყო, თავს იტყვიებდა, ტანში ამტკრევედა. გაფერმკრთალდა, ვახდა, ვიწრო კაბები გაუხალვათდა.

დიმიტრი ცოლს ეფერებოდა, ეალერსებოდა. ეხვეწებოდა, თუ გინდა დღესვე პროფესორებს დაგახვევ თავზე. თუ აქაური მკურნალობისა არ გჯერა, მაშინ კაცს გავაფრენ მოსკოვში და იქაურ პროფესორს ჩამოგიყვანო.

ვერიკო უარობდა, ისეთი არაფერი მჭირს, გამივლისო.

დიმიტრი სამსახურიდან ორი საათით აღრე ბრუნდებოდა შინ. მაგრამ რა გამოვიდა, ვერიკო თვალს მოჰკრაედა თუ არა, საწოლ ოთახში ჩაიკეტებოდა და ქმარს ახლო არ იკარებდა. არც ღამით უჩვენებდა გულს. ქმრის მომამბეზრებელ ალურსს ვერ იტანდა.

— რა დაგემართა. ასე რამ შეგცვალა, მითხარი, გამაგებინე! — ეჩურჩულებოდა ქმარი.

— არაფერი, რა უნდა დამმართოდა. ეტყობა დავიდალე! სულელი ვარ, რა მიმარბენინებდა წყნეთში, მუშაობით რა წელს ვიწყვეტილი! — თითქოს ქმარი ყოფილიყო დამნაშავე. საყვედურობდა ცოლი. საბანს წაიფარებდა თავზე და ფიქრს ეძლეოდა.

ასე ნათლად არასოდეს უგრძენია. თუ რა მცდარი, სულელური ნაბიჯი გადადგა ცხოვრებაში. ტანი აკლდა, ფერი თუ

ხორცი?! ქვეყანას თვალი მასზე რჩებოდა. ვილა არ ეთაყვანებოდეს, ვილა არ ენეწებოდა ცოლად გამოეყვინა. მან კი ყველას ორი თავის ხნის კაცი ამჯობინა. ნეტავი თავისთავს რაღას უმაღავს?! დიმიტრის შეძლებას და სამსახურებრივ მდგომარეობას დახარბდა. მანქანამ და ფულმა გაასულელა. ახლა მიხვდა თუ რა ფუქი, არარაობა ყოფილა მისი არსებობა. ისე ეჩვენებოდა, თითქოს აქამდე არც უცხოვრია!

მაღე ვერიკო ისევ ძველებურად გამოხიარულდა. დილით აღრე დგებოდა, ფანჯრებს აღებდა. ბავშვის ოთახში შედიოდა, შეილს ეფერებოდა, ეალერსებოდა. მერე ბაღაში ჩადიოდა, აყვავებულ ალუბლის ტოტებს მკვრდში იკრავდა.

დიმიტრი ფანჯრიდან უთვალთვალებდა ცოლს, შორიდან უღიმოდა, შესცივინებდა. ერთხელ ბაღაში ისიც ჩავიდა. ჯერ ალუბლის ტოტებს დასუნა. მერე ცოლს ხელი მოხვია და უთხრა:

— თუ ნებას დამრთავ, დღეს დიდ ვახშამს გადავიხდი?

— ეს რაღამ მოგაფიქრა? — შეეკითხა ვერიკო.

— შენი გამოჩანმრთელება აღვნიშნოთ, ვიმხიარულოთ, დრო გავატაროთ!

— არა, არ მინდა!

— მაშ რა გინდა? რასაც მოისურვებ, უველაფერს შეგისრულებ! მითხარი, მითხარი!

— არაფერიც არ მინდა... თუმცა, იცი რა?

ვერიკო მცირე ხანს ჩაფიქრდა. თითქოს სათხოვარს იგონებდსო, მერე კი ხმადაბლა წამოიწყო:

— გულჩვილი ადამიანი არც უნდა იბადებოდეს! იმ ბიჭის საცოდაობით კინალამ დავიწვი!

— ვერაფერი გამიგია, ვინ ბიჭზე ლაპარაკობ?

— იმ დღეს, წყნეთში ბაღა რომ დაგვიბარა. — და თავის ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცა, ცოტა ტყუილიც გაურია. მეორე დღეს ცოლიც თან წამოეყვანა. ცოლი ქმარს

მხარში ედგა და ისიც ბარავდა. ძალიან შემეცოდნენ და შევბირდი, ჩემ ქმართან გიშუამდგომლებთ-მეთქი. რა დაგემართა. ამოდენა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ხარ და, ნუთუ ერთი ადგილი ვერ უნდა გამოუნახო?!

— ააა, ჩემო კარგო, აი. რას ნიშნავს, საჭმის ასავალ-დასავალი რომ არ იცი?! ადგილს თუ ვინდ დღესვე გამოვუნახავ, მაგრამ ჩემზე სხვანაირად იფიქრებენ, თუ რაიმე ანგარებას არ აქვს ადგილი. უცხო ადამიანისთვის რა თავს იწუხებსო.

— იფიქრონ, მეხი იმათაც დაეყრებათ!

— ავაშენა! მეხი იმათ კი არა, ჩვენ დაგვეყრება! ზომ იცი, ყველაფერს თავისი ანგარიში აქვს. სხვისი გულისთვის ლუკმას ვინ სულელი მოიკლებს?!

— ხომ არ გიჭირს, რა მოხდა, ცოტა კიდევ მოიკელი!

— ვერიკო, ეს რა ჰკუთხე ხარ? ოცდაათიან წლების კომკავშირელივით დაპარაკობ. მერედა, რა ყველაფერი ჩემი გიჭირს, მიიხედ-მოიხედე, სხვებს ათი ჩემდენი აქვთ.

— მერე, ან იმათ რა ოხრად უნდათ?

— მაშ, ხომ არ გადაყრით?! ფული და ქონება არც სმა-ჰმას თხულობს, არც სხვა ხარჯებს. რაყილა ღმერთს მოუკია. უნდა გავუფრთხილდეთ! აბა, ერთი ჩვენ არ გვქონდეს. ნახავ, ვინ გამოგვიგზავნის. თუმცა ამდენს რას ვლაპარაკობ. რაკილა შენ ხარ მოწადინებული, ავაშენა, ტყავში ვავძვრები და რალაცას გამოვუნახავ!

— აი, ახლა მიყვარხარ! — და ვერიკო ქმარს ყელზე შემოეხვია, — უარი რომ გეთქვა, სამუდამოდ მომიკვდებოდა გული! აბა წარმოიდგინე, მე შენი გულისთვის რაღას არ ვაკეთებ?!

— ამიტომაც მიყვარხარ ასე! — კაცმა თითის წვერებზე აიწია და წინ წაწეული ტუჩებით ქალის ტუჩებს ძლივს მისწვდა. ვნებიანად აკოცა ერთხელ, თრჯერ. მერე კი ხელის ჩაქნევით წაილაპარაკა:

— ეპ, ნეტავი ჩემი საქმე როგორღა იქნება?

— დარდი ნუ გაქვს. გენაცვალე, შენც გეშველება. რა ვქნა, გუშინაც ვიყავი მთავარი სამართველოს უფროსი და არ დამხვდა.

— ავაშენა! ხომ გეუბნებოდი. ნაშუადღევს მიდი-მეთქი! დილით უფროსი ყოველთვის დაკავებულია.

— კარგი, გენაცვალე, ხვალ ნაშუადღევს მივაა!

ვერიკო ოთხ საათზე მივიდა მთავარ სამმართველოში. როგორც ვარაუდობდა, აუდიენციისათვის ერთი საათი კმაროდა. ალბათ, ხუთ საათზე უფროსი შინ წავიდოდა და, რა თქმა უნდა, იმასაც მანქანით სახლამდე მიაცილებდა.

უფროსის მოსაცდელი ოთახი მთხოვნელებით იყო სავსე. ვინ ჯდებოდა, ვინ დგებოდა, სხვები მიდი-მოდოდნენ, ამთქნარებდნენ. იზმორებოდნენ. ერთი სიტყვით, ლოდინით გულგაწყალებული ადამიანები ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდნენ.

თანაშემწე ვერიკოს შეეკითხა:

— ქალბატონო. თქვენ რომელი ორგანიზაციიდან ბრძანდებით?

— დიმიტრი შაქარაშვილის მეუღლე გახლავარ!

— დიდად სასიამოვნოა! — და უფროსის თანაშემწემ ისე შესცინა, თითქოს ეუბნებოდა. დახე, თურმე, ვინ ბრძანებულხარო.

უფროსმა ზარის წყარუნით თანაშემწე კაბინეტში შეიხმო.

შუახნის ტანდაბალი კაცი, კაბინეტის კართან რომ იჯდა. წამოდგა, პიჯაკი შესწორა და კარის წინ გაიარ-გამოიარა, ეტყობა, სიით პირველი იყო.

მთხოვნელები წახალისდნენ, ერთმანეთს გადაუჩურჩულეს, გვეშველო.

ვერიკომ, ვითომ საერთო განწყობილებას აპყვა, დიმილით გადახედა მთხოვნელებს. ფიქრით კი სულ სხვაგან იყო.

თუ რიგით გამოუძახეს, ორი საათი მაინც მოუხდება ლოდინი და, ალბათ, დღევანდელი დღე აქ გამოულამდება. ოპ, როგორ ვერ იტანს ლოდინს, ნერ-

ვები ეშლება, მოთმინება ეკარგება. იქნებ უფროსმა ურიგოდ გამოუძახოს! თვითონვე არ არწმუნებდა. ჩემი კაბინეტის კარი შენთვის ყოველთვის ღიაა? აი, ახლა გამოჩნდება, როგორი სიტყვის კაციცაა. თუ კი მოინდომა, ვის რას ჰკითხავს. ადგება და პირველად მას მიიღებს. საქმე ის არის, ვაითუ, თანაშემწემ სიის მიხედვით სათითაოდ მოახსენოს მთხოვნელებზე! მაშინ, სანამ რიგი არ მოვა, უფროსი ვერც გაიგებს მის აქ ყოფნას.

ამასობაში თანაშემწე გამოვიდა. ვერიკოს შესცინა, რევერანსის მსგავსი მოძრაობით ღია კარი უჩვენა:

— ქალბატონო, უფროსი გთხოვთ, შებრძანდით!

ვერიკო სიხარულით ცას ეწია. ხუმრობა საქმე ხომ არაა. სიით ყველაზე ბოლოს იყო, მაგრამ უფროსი მას პირველად ღებულობს?! ამაყად წამოდგა, შეშფოთებულ მთხოვნელებს აღმაცერად გადახედა, მოხდენილად გაიარა და კაბინეტში შევიდა.

მაგიდას არაფერ უჭდა.

ვერიკომ კარი რომ მიხურა, იქვე მდგარმა უფროსმა მკლავზე ხელი წააგლო.

— ფრიად მოხარული ვარ შენი ხილვით! მპატიე. ღია კარებში ვერ შეგეგებე, მთხოვნელებს მოვერიდე! — მოუბოდიშა უფროსმა, ხელი ჩამოართვა და რამდენიმეჯერ მოწიწებით ზედ აკოცა. მერე კაბინეტის ბოლოში მრგვალ მაგიდასთან მიდგმული რბილი სკამი შეაბრუნა, გთხოვთ დაბრძანდეთ.

ქალი დაჯდა თუ არა, უფროსი მეორე რბილ სკამზე მოთავსდა და მაშინვე ალაპარაკდა, ჯერ ვერიკო მოიკითხა, როგორ ხარ. რას საქმიანობო. მერე კი თქვა:

— რამ გაგახსენა ჩემი თავი, რითი შემიძლია გემსახურო?

— გივი სიმონიჩ. თქვენი პირდაპირობის ამბავი მთელ რესპუბლიკაში ცნობილია, ამიტომ მეც პირდაპირ ვიწყებ. ერთი სათხოვარი მაქვს!

— კეთილი! კეთილი! მაშინ ვგარძნობ

თავს ბედნიერად, როცა ადამიანებს ვეხმარები, ხელს ვუმართავ! ესტონე წარმოიღვინე, რა დიდ სიამოვნებას! მომხარებებს შენისთანა მომხიბვლელი ქალის სამსახური! მზად ვარ, რით შემიძლია, გემსახურო?

— დიახ, დიახ! ამის შემდეგ თხოვდაც რომ არ შემისრულო, მაინც კმაყოფილი ვიქნები. მხოლოდ, გეხვეწები, ჩემს ქმარს არამც და არამც არ გააგებინო ამ საკითხის თაობაზე აქ რომ ვიყავი, რომ გაიგოს თავის ხელით ყელს გამოიჭრის. ხომ იცი, რა მორიდებული, უპრეტენზიო. ამასთან თავმოყვარე ადამიანია?

— კეთილი, კეთილი! — ვერიკოსაკენ გადაიხარა, მოსასმენად მოემზადა, თან სკამი ოდნავ მისკენ მიანჩია.

— ახლავე მოგახსენებ! —

— კეთილი!

— გივი სიმონიჩ, ბუნებაში ყველაფერი ბრუნავს, ყველაფერი მოძრაობს! ადამიანიც მიდი-მოღის, ლაქვარდში მიფრინავს, კოსმოსში მიილტვის!

— ეს რა ჰქვიანურად თქვი! — მოუწონა უფროსმა, თავისთვის კი გაიფიქრა, მიგიხვდი, ჩემო ვერიკო, შენც და შენს ქმარსაც, რა მუცლის გვერემაც ატეხიათო.

— უმოძრაოდ, წყალი რომ წყალია, ისიც მყაყდება!

— ოჰ, ოჰ, ოჰ! — გადაიხარხარა უფროსმა. — დღემდე არ ვიცოდი, თუ ასე მოიფილოსოფოსებდი! კეთილი! — თან ოდნავ წამოიწია და შეუმჩნეველად სკამი ქალისაკენ წააჩოჩა.

— მე ფილოსოფიისა არაფერი გამეგება. ეტყობა, ჩვენს ცხოვრებაშივეა მოცემული ფილოსოფია!

— კეთილი, კეთილი! — იცინოდა უფროსი და სკამს ისევ ქალისაკენ მიანჩოჩებდა.

— ის მინდოდა მეთქვა, სხვები წინ მიდიან, ჩემი ქმარი კი ერთ ადგილზე გაიყინა. თავად არაერთხელ გიბრძანებია, რომ დიმიტრი საქმის მცოდნე, გამოცდილი, სანდო, ორგანიზაციული ნიჭით დაჯილდოვებული მუშაკიაო! მაშ რაღა უშლის ხელს, ნუთუ იმის ღირსი არ

არის, რომ იმანაც ოდნავ წინ წაიწიოს?!

— ღირსიც არის და დროცაა!

— გივი სიმონიჩ, ახლაც ყურში მიდგას ის სიტყვები, დიმიტრის დღეგრძელობისას რომ წარმოსთქვი ახალწლის ღამეს ჩვენს ოჯახში, სწორედ ამან გამაბედვინა. შენთან მოსვლა. ვიცი, რომ ჩვენზე გული შეგტკივა, მხარს დაგვიჭერ, დაგვეხმარები!

— კეთილი, კეთილი!

— დიახ, დიახ! — გამოცოცხლდა ვერიკო და მისკენ წაიწია.

— მიჭირს თქმა, მაგრამ, რა ვქნა, ხომ იცი, პირდაპირობა ჩემი განუყრელი თვისებაა. მით უმეტეს შენთან როგორ არ ვიყო პირდაპირი, როგორ არ ვიყო გულახდილი! ჭრჭერობით ამის გავეთება შეუძლებელია!

— როცა სურვილია, ქვეყანაზე შეუძლებელი არაფერია!

— კეთილი, მაგრამ, მოდი და, ღრმად ჩაიხედოთ საქმის აზსში. ამ ხუთიოდე თვის წინ დიმიტრი კინალამ სამსახურიდან გავათავისუფლეთ. რა იყო და როგორ იყო, ყველაფერი შენც კარგად იცი. ასე უცებ, მისი კანდიდატურა როგორ წამოვყენეთ ამ მაღალ თანამდებობაზე?! — გულში კი გაიფიქრა, თავად ვარ დამნაშავე, იმის მაგივრად, რომ ჩემს სახელს ლოცულობდნენ, პრეტენზიებს მიყენებენ. ეს კიდევ არაფერი, ამათ ისე ვატყობ, მალე ჩემი სკამის ხელში ჩაგდებასაც მოისურვებენო.

— კარგი და, მაშინ ხომ დიმიტრი გამართლდა?! ამან რატომღა უნდა შეუშალოს ხელი?! რაკილა იქ, — ხელი მაღლა აიშვირა, — არავინა ჰყავს, კაცი ერთ ადგილზე ხომ არ უნდა დაბერონ? — უკანასკნელი ორი სიტყვა ცრემლნარევი ხმით წარმოთქვა და თვალის ცრემლით დაენისლა.

— ნუ, ნუ ამბობ ასე! — ეუბნებოდა უფროსი და გამხნეების მიზნით ხელზე ხელს უჭერდა.

ვერიკოს ეს ყველაფერი ვითომ შეუმჩნეველი რჩებოდა, ფანჯრიდან ცის ლავეარდს გასცქეროდა და გაბუტული ბავშვივით ამბობდა:

— გივი სიმონიჩ ახლა კი გააფრთხილებოდა ჩემთვის. ამ ბოლო დროს ასე რატომ დაგვივიწყე, აღარც გვეხედავოდა არსად გვინახულე!

— არ ხარ მართალი! — თავს აქნევდა უფროსი და სკამს ისევ მიანოჩებდა. — ხომ იცი, ვალმერთებ, ჩემი იდეალი ხარ. შენი ნახვა, შენი ხმის გაგონება ოცნებად მაქვს გადაქცეული. კაცი დავებრდი, მაღალ თანამდებობას მივალწიე. ქვეყანა... — უნდა ეთქვა, ქვეყანა ვარო, მაგრამ გაიფიქრა, ეს მეტისმეტი გამოვყო, ამიტომ ასე გადააკეთა: — ისა... ქვეყანა შემოვიარე და ვერ გამოვიგია, ეს რა უბედურებაა ჩემს თავს! იქნებ გავგიჟდი, კუთაზე შევიშალე, ქაბუჭივით ქუჩა-ქუჩა დავეხეტები. დავგებ, შენი თვალის მოკვრას ვნატრობ. შენ კი მისაყვედურებ, დამივიწყებო. რას ამბობ, შენს თავს რა დამავიწყებს. ხომ ხედავ, მუხლს ვიდრეკ, ქედს ვიხრია. შენს წინაშე. — და უცებ ქალის წინ მუხლებზე დაეცა, — გთხოვ, გეხვეწები, ხანდახან შემოვიარე ჩემთან, სხვა არაფერი მინდა, ოღონდ დამენახვე! ალბათ, ასე იმიტომ მენატრება შენი თვალის შეველება, რომ დავებრდი, გამოვიფიტე. თვალის მეტი აღარაფერი შემომჩნა.

ვერიკომ უფროსს მელოტ თავზე ხელი გადაუსვა და ოდნავ უბიძგა, რითაც აგრძნობინა, რახან თხოვნას არ მოსრულებ, თავიდან მომცილდით, და ერთბაშად წამოდგა.

უფროსიც წამოხტა, ერთხელ კიდევ დაეწაფა ქალის ხელს და კბილებში გამოსცრა:

— უკვე მიღიხარ?

— აბა აქ ხომ არ დაგიჯდები?!

— გთხოვ ცუდად არ გამოგო. რა ვქნა, ეს შეუძლებელია, ვერ გავაკეთებ!

— აბა ერთი გინდოდეს, თუ არ გააკეთებ! შენ არ იყავი, რომ მეფიცებოდი, რაც გინდა, მოხოვე, შენი გულსათვის თუ გინდ მტკვარში გადავარდებიო!

— რა ვქნა, ეს თანამდებობა ნომენკლატურულია. კანდიდატურას ისინი, — ხელი მაღლა აიშვირა, — არჩევენ. მე

რომ იმათ არ დავეთანხმო, თავად მშრალზე დავრჩები.

— მაშ, კარგად ბრძანდებოდე! — და ქალი ერთბაშად გასასვლელისაკენ შეტრიალდა.

— ვერიკო, ვერიკო! — ათრთოლებული ხმით ამბობდა მთავარი სამმართველოს უფროსი და ქალს უკან მისდევდა.

— სხვა, რაც გინდა, მოხოვე, თუ არ შეგისრულო, მაშინ დამემდურე! — და წელან რომ იდგა ისევ იმ ალაგას შეჩერდა, რომ კარის გაღებისას მოსაცდელში მყოფ მთხოვნელებს არ დაენახათ.

ვერიკომ დამცინავი ღიმილით გადახედა უფროსს და კაბინეტიდან გავიდა.

ღიმიტრის ბარათში მხოლოდ ორი სიტყვა ეწერა:

„გიგზავნი კაცს“.

მექანიკური საამქროს გამგემ ბარათი რომ წაიკითხა, ელიზბარი თავით-ფეხებამდე შეათვალიერა, მცირე ხანს ჩაფიქრდა, მერე ისევ ელიზბარზე გადაიტანა მზერა და თქვა:

— აი, მე ეს მესმის, დაჯექი!

ელიზბარი დაჯდა.

საამქროს გამგე ანექტური თანამიმდევრობით უსვამდა კითხვებს: გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, დაბადების ადგილი, პარტიულობა, როდის დაამთავრე ინსტიტუტი, ადრე სად მუშაობდი, ცოლშვილიანი ხარ თუ უცოლშვილო და ა. შ.

გამოკითხვას რომ მორჩა, საამქროს გამგემ ისევ ღიმიტრის ბარათს გაუშტერა თვალი, თითქოს ელიზბარს პასუხებს აწალიხს უკეთებდა, და ერთბაშად აღაპარაკდა:

— ჩვენი კოლექტივე მუშტვივით შეკრულია და საათივით აწყობილი მუშაობს. ამიტომ ძალიან ვფრთხილობ ისეთი არავინ გამოგვერიოს. ვინც ბზარს შეიტანს ჩვენს მილიანობაში, ბატონი ღიმიტრი შორსმჭვრეტელი და აღლოიანი ხელმძღვანელია. ამასთან საოცრად ძვირფასი ადამიანია, როგორც იტყვიან. კაცური კაცია. რა თქმა უნდა, უფროსის სიტყვა ჩემთვის კანონია. მიიღმე-

ტეს, როცა საქმე ეხება მის ახლობელ, ნათესავ ადამიანს. ყმაწვილო, ასეა ხომ?

— და საამქროს გამგემ პასუხის მოლოდინში ელიზბარს თვალი თვალში გაუყარა.

— არა, ნათესავი არა ვარ! — მიუგო ელიზბარმა.

— როგორ? — შესძახა სახტად დარჩენილმა საამქროს გამგემ, და მერე გამოძვლად თქვა, — თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს! ასეა თუ ისე, ეტყობა, ღიმიტრი პატივსა გცემს, გაფასებს. ასეა ხომ, ყმაწვილო?

— დიას, ბატონო!

— აი, მე ეს მესმის. რაკილა ღიმიტრი ასე გაფასებს, იმედია შენც არ შეარცხვენ მის სახელს. თუმცა, ან სხვანაირად როგორ შეიძლება! ჰო, ახლა გამახსენდა, ღიმიტრიმ მითხრა, ჩემი მეუღლის ახლობელიაო. ასეა ხომ, ყმაწვილო? — და ელიზბარს პასუხის მოლოდინში ისევ თვალი თვალში გაუყარა.

— არა, ბატონო, ხომ მოგახსენე, იმათი არც ნათესავი ვარ, არც ახლობელი!

— ვერაფერი გამიგია, შენ ხარ მართალი. თუ ბატონი ღიმიტრი?! ის ერთს ამბობს, შენ მეორეს გაიძახი?! ყმაწვილო. ღიმიტრის ნათესაობა ქვეყანას ენატრება... ნუ გერიდება, თქვი სიმართლე, შინაურები ვართ!

ელიზბარს უცებ თავში გაუელვა, ღიმიტრიმ ჩანს, ჩემი თავი ნათესავად იმიტომ ვააცნო, რომ ასეა საქირო. მე კი ცალკე იმას ვაგდებ უხერხულ მდგომარეობაში, ცალკე საქმესაც ვვნებო.

— ბატონო, მეც არ ვიცი, რა ვუწოდო. — მორიდებით წამოიწყო მან. ახლობლები არ ვართ, მაგრამ შორეულბიც არ გვეთქმის. მამაჩემი...

— აი, მე ეს მესმის! — არ დააცალა სიტყვის დამთავრება საამქროს გამგემ. — შე კაი კაცო, თავიდანვე ასე გეთქვა. მე და უფროსს ერთმანეთში დასამალი რა გვაქვს?! იგი პრინციპული ხელმძღვანელია. დიდი ორგანიზაციული ნიჭით დაჯილდოვებული, კაცური კაცია! მისი რეკომენდაცია ბევრს ნიშნავს, უფრო

გასაგებად რომ ვთქვა, ჩემთვის კანონია. რაღა ბეერი გავაგრძელო, როგორც დიმიტრის შევპირდი, წუნდებლად დავნიშნავ. ხელფასი შეიდი თუმანია. მაგრამ ამის ამარა არ დაგტოვებთ. მხოლოდ ოსტატებს უნდა დაუჯერო, ენდო. იმათ სიტყვაზე იარო. ოსტატები თავის საქმის პროფესორები არიან, არ შეცდებიან. მეტი რაღა ვითხრა. თავისუფალი ხარ, ბრძანებას დღეს დავწერ, სამსახურში ხვალ დილიდან გამოცხადდები. გასაგებია?!

— დიახ, ბატონო!

— აი, მე ეს მესმის! იმას არაფერი სჯობია, ადამიანი რომ თეთრს შავისაგან არჩევს. შენ ისეთი ყმაწვილი ჩანხარ არც მერე იქნება შენთვის რაიმე გაუგებარი. თავისუფალი ხარ!

ელიზბარს ერთი სული ჰქონდა, პოლიკლინიკაში შეერბინა და ცოლისათვის ეხარებოდა ეს ამბავი. მაგრამ დიმიტრის ნათქვამი გაახსენდა, საამქროს გამგემ როგორი პასუხითაც არ უნდა გამოგისტუმროს, უსათუოდ შემატყობინეო. ამიტომ ჯერ ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოში შვიგდა.

უფროსის თანაშემწემ ელიზბარი დაინახა თუ არა, უფრო მთხოვნელების გასაგონად, ვიდრე ელიზბარის საყურადღებოდ, თქვა ბატონ დიმიტრის გაფრთხილებული ვეჟარ, მოვიდეს თუ არა, ჩემთან შემოვიდესო, თან კარი გააღო და კაბინეტში შეუშვა.

დიმიტრი ტელეფონზე ლაპარაკობდა. ელიზბარის დანახვა მაინცდამაინც არ ესაიამონა, საჩვენებელი თითით ანიშნა. მანდვე დაქეიო. ოდნავ გვერდით შეტრიალდა, ყურმილს ხელი ააფარა, და ხმადაბლა წაილაპარაკა:

— დიახ, ჰირიმე!

სახეზე ბედნიერების ღიმილი დასთამაშებდა, მალი-მალ დიახ, ჰირიმეს გაიძახოდა და ხმამაღლა იცინოდა.

ბოლოს ელიზბარს გახედა, ყურს ხომ არ მიგდებსო, მაგრამ ამ უკანასკნელს თავი ხელებში ჩაერგო, თვალი იატაკისთვის ჩაეშტერებია, თავის ფეხებს მისცემოდა.

დიმიტრიმ ყურმილს ჩასჩურჩულა:

— ექვს საათზე გამოგივლი, მშენიერი ამინდია, წყნეთში გავსენიროთ უფროსი დადო, ზედ ნახად ხელი გადაუსვა. ჩაახველა და ელიზბარს უთხრა:

— როგორ არის საქმე, ბიჭია თუ გოგო?

— ბატონო დიმიტრი, თქვენი დიდი მადლობელი ვარ, ხვალიდან ვიწყებ მუშაობას.

— აგაშენა! — ანიშნა ახლო მოდიო, მერე ხელი ჩამოართვა და შეანჯღრია.

— სამალარიხოდ გქონია საქმე! ახლა შენ იცი და შენმა ბიჭობამ!

— ბატონო დიმიტრი, არ შეგარცხენ!

— აგაშენა! კარგი ბიჭი ხარ და მინდა ერთი დარიგება მოგცე. შენზე ამბობენ მოურიდებელი და პირში მთქმელიო. მე არ ვთვლი პირდაპირობას ნაკლად, მაგრამ, ჩემი აზრით, ამას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. გულში რაც ვინდა ის იფიქრე, ხმამაღლა კი გამოზომილად ილაპარაკე. უფროსების ხათრი იქონიე, პატივი ეცი, ასიამოვნე, ასევე მოეპყარი მათ ახლობლებს, ცოლებს, შოფრებს და, განსაკუთრებით პირად მდივნებს. ეს გამოცდილებაც ვიცი. აი, ამ სკამამდე ჩემით გამოვიკვლიე გზა. ეს კი იმად დამიჯდა, რომ კაცი ნადრევედ დაებერდი. ორმოცდაათი წლისა ვარ და ყველას სამოცისა ვგონივარ. და ხელი დანაოჭებულ ქუთუთოებს და დაღარულ შებლზე მოცსვა. — ეს ნაოჭები ყალბმა სიცილმა გამიჩინა! უფროსებს რომ ვასაიამოვნო, სიცილის ხასიათზე ვარ თუ არა, მაინც ვიციანი, სახეს ვმანჯავ! არ გაიცინებ, არ დიმიანჯები, სატირლად გავიხდება საქმე! გაიგე, ყმაწვილო?!

— დიახ, ბატონო! — და ელიზბარმა უღრმესი მადლობის ნიშნად თავი დახარა.

— აგაშენა, ახლა, იცი. რასა ვთხოვ, მოდი ჩვენსა შეიარე, ვერკომ ორჯერ დარეკა. უსათუოდ გამაგებინოს, რა პასუხით გამოისტუმრებენო.

— ბატონო დიმიტრი, ტელეფონით დავრეკავ!

— აგაშენა. თუმცა უმჯობესია ძიხვი-დღე. ესაიამოვნება!

დარეკას, მართლაც, მისვლა სჯობია, დიდი-დიდი ნახევარი საათი დაკარგოს! ვერიკოს უნდა უმადლოდეს ყველაფერს. პატივსაცემი, დასაფასებელი ქალია!

დიმიტრიმაც ძალიან მოიწადინა მისი სამსახურში მოწყობა. მერედა, რა გულახდილად ელაპარაკა, რა კარგად დაირიგა. ბევრი რამ უთხრა საყურადღებო, ანგარიშგასაწევი, მონდომებით შეუდგება ხვალიდან მუშაობას. ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც საჭიროა. უფროსებს გაუგონებს, დააფასებს, პატივს სცემს. იქნება ყოველ წუთს მათ ვერ უღრიკოს და ემანქოს, მაგრამ არც შუბლს შეიკრავს. დიმიტრის ხათრით, რა თქმა უნდა, ისინიც ანგარიშს გაუწყვენ. მზრუნველობით მოეპყრობიან. საამქროს გამგებ ხომ უთხრა, ყველანაირად დაგეხმარებით, ხელს შეგიწყობთ, ხელფასის ამარა არ დაგტოვებთო. ალბათ ფულად დახმარებას გაუწყვენ, პრემიებით დააჯილდოებენ. ეპ, ნეტავი ჩქარა მაინც ვათენდეს ხვალინდელი დღე! დილიდან ახალ ცხოვრებას შეუდგება. მშვიდობით უსაქმობავ, მშვიდობით უფულობავ!

შაქარაშვილების სახლიდან ჯერ კარგა მანძილზე იყო, რომ ქუჩის მხარეს გამავალ სარკმელში ვერიკო დაინახა.

ჭალმა სარკმელი გააღო და ვაქს ხელის ქნევით ანიშნა. მოდი, მოდიო.

ელიზბარი აივანზე შეჩერდა. ოთახის კარი შეღებულ იყო, მაგრამ შეუბატივებლად ეუხერხულეობდა შესვლა.

— რისა ვერიდება, მარტო ვარ, შე-მოდი! — გამოსძახა ვერიკომ. ელიზბარი ოთახში შევიდა.

— მომილოცავს გამარჯვება, უკვე ყველაფერი ვიცი, დიმიტრიმ დამირეკა!

— შეეგება ვერიკო ვაქს და ხელი მაგრად ჩამოართვა. მერე დაწვრილებით გამოჰკითხა, თუ როგორ შეხვდა მექანი-

კური საამქროს გამგე. შეეკითხა, რა რჩევა-დარიგება მისცა.

ელიზბარი მოკლედ პასუხობდა, სუბ-რის გაქიანურება არ უნდოდა, მაგრამ ვერიკო კითხვებს უნაცვლებდა, ერთი და იმავეს ხელმეორედ ეკითხებოდა.

ბოლოს ელიზბარმა მოიმიზეზა; შინ მიმელიან, მაპატიე, წავალო.

— იქაც მოასწრებ მისვლას, თუმცა არ გამტყუნებ, გეჩქარება, გინდა გამარჯვება ცოლს ახარო! რახან ასეა, წადი, აღარ დაგაბრკოლებ!

ელიზბარი რომ შეტრიალდა, ქალი უცებ მასთან მიიჭრა, მოეხვია და მხურვალედ აკოცა ტუჩებში. არა, კი არ აკოცა, ტუჩებზე დააღწა, მაგრამ ამ დაულოკებელ საქციელში აფეთქებულ გრძობასთან ერთად იყო ქალური სინაზე, სიტკბოება, ვნებით გატაცება.

— ახლა წადი, ცოლიც გაახარე! თუ ოდესმე ჩემი თავი კიდევ დაგჭირდეს, არ მოშერიდო, იმედად მიგულე!

ელიზბარი გახარებული და ფრთაშესხმული დაბრუნდა შინ.

გიამ, დერეფანში სათამაშო მანქანას რომ დაარბენინებდა, თითქოს იგრძნო, რომ მამა კარგ ხასიათზე იყო, ხელემაგაშლილი მისკენ გაქანდა.

ელიზბარმა ხელში აიტაცა შვილი, უნდოდა ჩაეკოცნა, მაგრამ უცებ გადაიფიქრა, გაახსენდა, რომ ეს-ეს არის მის ტუჩებს სხვა ქალი ჰკოცნიდა.

— მამიკო, ცხენი რატომ არ მიყიდე! — ეუბნებოდა მამის ალერსით განებოვრებული ბიჭი.

— გიყიდი, შვილო, გიყიდი! — მიუგო ელიზბარმა და ბავშვი უფრო მალლა აისროლა.

— როდის მიყიდი?

— სულ მალე?

— ელიზბარ, კმარა, ბავშვს კერზე თავი არ აარტყმევინო! — უთხრა მარგალიტამ, მამა-შვილს დიმილით რომ შესცქეროდა.

ელიზბარმა ბავშვი ძირს დასვა და იკითხა:

— ირმა ჯერ არ მოსულა?

— არა! — მიუგო მარგალიტამ.
 — რა ეჭნა, უკვე რვა საათია, სად არის აქამდე?

იგი დაღამებამდე ფანჯრიდან გასცქეროდა ქუჩას და წუთი-წუთზე ელოდა ცოლის გამოჩენას. ისიც კი გადააფიქვდა, რომ უსადილო იყო და მთელი დღე პირში ლუქმა არ ჩაედო.

მარგალიტა მიხვდა, ელიზბარს გულში რა ცეცხლი უტრიალებდა. ხან რაზე ჩამოუვდო სიტყვა, ხან რაზე. ელიზბარს კითხვები ნერვებს უშლიდა, გულს არ უჩვენებდა, უხალისოდ პასუხობდა, მაგრამ მოხუცი თავს მაინც არ ანებებდა. ბოლოს ისიც კი ურჩია, მთელი დღე შინ ფეხი არ შემოვიდგამს, დაღლილი ხარ, ქუჩაში ცქერას გირჩევენია წამოწვე და დაისვენო.

ელიზბარმა ხელი ჩაიქნია და გარეთ გავიდა.

„ნეტავ სად არის, ასე რად დაავიანდა?“ — ეკითხებოდა იგი თავის თავს და ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. ჯერ უნდოდა ტელეფონით დაერეკა საავადმყოფოში, მაგრამ გადაიფიქრა, სჯობდა წავიდე, ირმას ჩემი სამსახურის ამბავს ვახარებ, თან დაღლილი იქნება და შინ ტაქსით წამოვიყვანო.

საავადმყოფოს მორიგე მდრეფანში შესული ელიზბარი დაინახა თუ არა. თითქოს წინასწარ იცის მისი მოსვლის მიზეზი, სხაპასხუბით უთხრა:

— ირმა ოპერაციაზეა... სულ ცოტა, ორი-სამი საათი შეავგიანდება. სიტყვა დამიტოვა, თუ ჩემმა ქმარმა მიკითხოს, ნუ დამელოდება, საავადმყოფოს მანქანით მიმიყვანენ სახლში.

ელიზბარი ქუჩაში გავიდა. საავადმყოფოს ეზოს გვერდით რომ ჩაუარა, საყარაულო ჯიხურიდან მოხუცმა გამოპყო თავი.

— ეის დაეძებ ბიჭო? — შეეკითხა ელიზბარს მოხუცი, რომლის ხმაში მისდამი თანაგრძნობა და მზრუნველობა გაისმა.

— მეუღლეს! თქვენთან მუშაობს. ალბათ იცნობთ?

— ეიცნობ, როგორ არა! — მოხუცმა

მიიხედ-მოიხედა, ყურს ხომ არავინ გვიღებსო, და ხმას დაუწია. — ~~ტყუარა~~ ~~გოგონა~~, სად არის შენი მეუღლეო?

— ოპერაციაზეაო, ბერიკაცო!

— ერიპა, წახდა ქვეყანა, წახდა!.. დახე, როგორ მოუტყუებიათ! ბიჭო, შენ მეუღლეს ირმას ეძახიან, არა?

— დიახ, ირმა ჰქვია!

მოხუცმა ისევ ირგვლივ მიიხედ-მოიხედა და ხმას უფრო დაუწია:

— ბიჭო, ირმა რახანია ექიმ სანებლიძის მანქანით წავიდა...

— სად? — შესძახა ელიზბარმა, უცებ სისხლი სახეზე რომ მოაწვა და გული ყელში მოეხვინა.

— ეს კი აღარ ვიცი!

მართალია, ელიზბარი ფანტაზიას აყოლილი ადამიანი არ იყო, მაგრამ ერთბაშად ბევრი რამ ენიშნა, ბევრი რამ გასაგები გახდა მისთვის. ნუთუ მართლდება ის გულისმღრღნელი ეჭვი, ამ ბოლო დროს მის არსებაში მზრძანებელივით რომ მოიკალათა? როგორ დაიქვროს ცოლის დაღატი? არადა ირმას რა აქვს სანებლიძესთან აქეთ-იქით ამდენი სასიარულო?! ქალი ქალია! ყველა ერთი ჭკუისანი არიან! რა ვუყოთ, რომ ირმა მისი მეუღლეა? ისიც ხომ ისეთივეა, როგორც სხვა ქალები?! არა, არ ჰგონია, რომ ეს ასე იყოს?! ეჭვალბულ კაცს ხომ ყველაფერი გაზვიადებულად ეჩვენება! იქნებ საგანგაშო არაფერია. ხომ შეიძლება მორიგე დანამდვილებით არც იცოდა და შეცდომით უთხრა, ირმა ოპერაციაზეაო?! განმეორებით რომ შეეკითხოს, არ ივარგებს. ვაითუ ამით ირმას სახელს ჩრდილი მიაყენოს, საავადმყოფოს თანამშრომლებს ჭორაობისათვის საბაბი მისცეს! ასე თუ ისე, ერთი მაინც საკითხავია, სად არის ახლა ირმა?

იგი ქუჩას ვაპყვა. ხალხით სავსე ტროტუარზე უაზროდ აქეთ-იქით იხედებოდა, შემხედურთ ყურადღებას არ აქცევდა. უფრო ქუჩაში მჭროლაე მანქანებს აყოლებდა თვალს და. რატომღაც, შიგ მსხდომ ადამიანებს გაბოროტებით უმზერდა. ისეთი შეგრძნება

ჰქონდა, თითქოს იმათ იცოდნენ, სად იყო ირმა.

სალამო ხანი იყო. მოასფალტებულ გზას გახურებულ თონესავით ასდიოდა სიმახურვალე.

ოფლში გაიწურა, სუნთქვა უძძიდა, მუხლებდაწყვეტილი ძლივსა მიანიჭებდა. უნდოდა როგორმე სხვა რამ ფიჭრისათვის გადაეყოლებოდა გული, მაგრამ რაღაც ხმა ჩასძახოდა: „რა სულელი ხარ! განა ასე ალალებდზე, ქუჩა-ქუჩა სიარულით ცოლის კვალს მიავებ?“

მართლაც, რა აქეთ-იქით დაეხეტება?

რუსთაველის მოედნიდან ავტობუსით გაბრუნდა უკან. ფანჯრის მხარეს იჯდა. უნივერსიტეტის განჩრებასთან ავტობუსს ლურჯმა „ვოლგამ“ გაუსწრო. მძლოლი ვერ დაინახა. მის გვერდით მჯდომ ახალგაზრდა ქალს ძალიან ნაცნობი სახე ჰქონდა. „ეს ხომ ირმა!“ — გაუელვა გულში, და თავის თავს უსაყვედურა, რა ღმერთი გამიწერა, უცებ როგორ ვერ ვიცანიო.

ირმა განაპირას იჯდა, მაგრამ მაინც ემჩნეოდა, რომ თანამგზავრთან გაშინაურებული იყო, თამამად ეჭირა თავი, კაბის კალთა ოდნავ ასწეოდა.

როცა მანქანამ ორმოციოდე ნაბიჯით გაუსწრო, უკანა ფანჯრიდან საქესთან მჯდომიც გააჩნია, — ეს სანებლიძე გახლდათ. ელიზბარი მათ სახეებს ვეღარ ხედავდა, მაგრამ ზურგიდანაც შეატყო, რომ ისინი ერთად ყოფნით კმაყოფილი იყვნენ და თითქოს ხმადაბლა რომელიღაც სიმღერას ლილინებდნენ.

„ახლა რაღას იტყვი, ახლა რაღას იტყვი?“ — ესმოდა ავტობუსის ძრავას გრიალში.

რაღა ეთქმის? ყველაფერს რომ თავი დაანებოს, ასე ურცხვად და მოურიდებლად როგორ იჯდა ირმა სანებლიძის გვერდით?

ავტობუსს ტაქსმა აუქცია გვერდი. ტაქსში ვაეი და ორი ქალიშვილი ისხდნენ. მისდა გასაოცრად ორივე ქალიშვილს ისევე ასწეოდათ კაბები, როგორც ირმას.

„რაშია საქმე, რატომ სხედან ასე ურ-

ცხვად და მოურიდებლად ქალები მამაკაცების გვერდით?“ — უცხოფიქრე და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიღწიე, რომ მალლიდან ჩანდა ასე. ამან ცოტათი დაამშვიდა.

როცა ელიზბარი შინ მივიდა, ირმას ბავშვი კალთაში უჯდა და აჰმევედა. ქმარს აღმაცერად გადახედა და შემპარავი ირონიით უთხრა:

— რა მოკლილივით დადიხარ, ბავშვი მაინც წაგეყვანა პარკში?

„ეს აქეთ მისაყვედურებს?“ — და ვილაყის ნათქვამი გაახსენდა, ქალები თავდაცვას შეტევით იწყებენო და მკვებელ მიახლა:

— აქეთ მედავები?.. განა არ სჯობდა. ბავშვიც მანქანით გესიერნებია!

— ამით რის თქმა გინდა? — თქვა შეფიჭრიანებულმა ირმამ. რომელიც მთლად გაფითრდა, მაგრამ სახეზე ღიმილი მაინც შეინარჩუნა.

— სად ხარ აქამდე?

— ეს რა კითხვაა? ხშირად შენც იკარგები მთელი დღე, მაგრამ მე არ გეკითხები სად, ან ვისთან იყავი-მეთქი!

ვაემა ქალის პასუხი ეჭვალეზული ცოლის სიტყვად მიიჩნია.

ვაითუ, ირმამ გაიგო ვერიკოსთან მისი დამოკიდებულების აშბავი. ქვეყანაზე გაუგებარი ხომ არაფერია. მართლაც, რა სინდისით ედავება ირმას? თავად რომ არ იმსახურებს ნდობას. სხვასაც ეშვის თვალთ უცქერის.

ვაეის სიტყვის შეგვიანებაზე, ქალს გული მოეცა, უფრო წათამამდა.

— სულელი ვარ, ყურს რომ გიგედებ! — თქვა და ქმარს ზურგი შეაქცია.

ელიზბარმა სხვა რომ ვერაფერი მოახერხა. ესლა აჩემა, თუ კუდი არ მოგეწევა. რა ზურგს მაქცევო, მაგრამ ქალი არც მისკენ იხედებოდა. არც რაიმეს ამბობდა. ამან უფრო ააღელვა ელიზბარი. უნდოდა ცოლისთვის შეეტია, გულსატყენი სიტყვა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა, ამას მერეც მოვასწრებო, და უცებ საუბრის თემა შესცვალა:

— ხვალღიდან სამსახურს ვიწყებ, ირმა!

— სად, ელიზბარ?

— მექანიკურ საამქროში, წუნმდებლად, ირმა!

— უკეთეს ადგილს ვერც ინატრებდი: ვის უნდა ეუმადლოდეთ, ელიზბარა!

— არავის! ამ ადგილზე სამინისტროდან გამგეზავნეს, ირმა! — გუნებაში კი თქვა, აბა, კვლავ ვცბიერობ ცოლთანო.

— არც ისე ყოფილა საქმე, როგორც გვეგონა! — თქვა ირმამ და თავისთვის გაიფიქრა. რა კეთილი. ყურადღებიანი კაცია სანებლიძე! ეტყობა, საქმე ისე მალულად გააკეთა, ელიზბარი იმასაც ვერ მიხვდა, თუ ვისი წყალობით მიიღეს სამსახურშიო.

— რა თქმა უნდა, ყველაფერს აზვიადებენ! ამ ბოლო დროს მეტისმეტად მორავლდნენ მოლაყებები. — მიუგო ელიზბარმა, სხვა გამოსავალი არ არის, რა ვქნა, უნდა ვიცრუო და ვიმსახიობო, გაიმართლა თავი.

— აბა, ახლა შენ იცი, როგორ იმუშავებ, იქნებ მერე ბინაც მოგცენ, ელიზბარა?

— წინასწარ ტრამბაში რა საჭიროა, ვნახოთ, მე ჩემსას შევეცდები. ირმა!

მექანიკური საამქრო, საცა ელიზბარმა წუნმდებლად დაიწყო მუშაობა, გორაკზე წამოსკუბებულ ორსართულიან შენობაშია მოთავსებული. შენობას მალალი, ქვითკირით შემოვლებული პატარა ეზო აქვს. შორიდან ისტორიულ ციხე-სისამგრესა ჰგავს. საამქროში ამჯერდებენ დანა-ჩანგალს, კოვზებს, შამფურებს, ჩამჩებსა და სხვა წვრილმან საფოფაცხოვრებო ნივთებს.

საამქროში ოცამდე კაცი მუშაობს. მათ სათავეში ოსტატი დგას, ხანში შესული კაცი, დიდი თუ პატარა ძია ვასოს ეძახის.

ძია ვასო ვერცხლისწყალივით ერთ ადგილზე ვერ ჩერდება. მირბის, მორბის, საცა არ უნდა მიხვიდეთ, იქ დაგხედებათ. ის ერთდროულად ბრიგადირიცაა, აღმრიცხველიც. საწყობის გამგეც. ერთი სიტყვით, საამქროს სული და გულია.

საამქროს გამგე სახელოსნოს ანლოს არ ეკარება. კანტორაშიც არასამსახურში ერთხელ მიდის. რა დროც არ უნდა იყოს, მისვლისთანავე თათბირს იწვევს, თითქოსდა, მის მოვალეობას სხვა არაფერი შეადგენდეს.

პირველი სიტყვა ყოველთვის ოსტატს ეკუთვნის. იგი საამქროს გამგეს მოახსენებს იმ ახალ ამბებს, რაც წინა თათბირის შემდეგ მოხდა საამქროში. ასახელებს წესრიგის დამრღვევებს, სამღურავს გამოთქვამს იმათ მიმართ, ვინც სამუშაოზე იგვიანებს. განსაკუთრებით „გადაამკვრელებს“ ჰკიცხავს. ასე ეძახიან იმათ, ვინც სამუშაო საათებში თერება. ამ მოვლენას ხელს ისიც უწყობს, რომ საამქროს ბუფეტი არა აქვს. შესვენებაზე მუშები „სასაუზმეში“ გარბიან. ვითომ მაღაზე მოსაყვანად ასგრამ არაყს გადაჰკრავენ, ან ჰქია ღვინით ერთმანეთს ადღეგრძელებენ. მერე თითოსაც მიაყოლებენ, სმის საღერღელი აეშლებათ, უგონოდ გამოთვრებიან და შინ მანქანებით წასაღები ხდებიან. ზოგ მათგანს მილიციის გამოსახუბილებელ ოთახშიც კი ამოაყოფინებენ ხოლმე თავს.

ოსტატის გამოსვლის შემდეგ კამათი იმართება. ვინ თავის გამართლებას ცდილობს, ვინ იბოდიშებს, ვინ კიდევ საამქროს ხელმძღვანელობას პრეტენზიებს უყენებს. ზოგი ამბობს, საამქროს არც ერთი ფანჯარა აღარ შერჩა და გვერდები გვეყინებაო. ზოგი ირონიულად აცხადებს, საამქროს კედლები ჩამოენგრა, იატაკი ისე დაღბა, შიგ ხან ფეხი გვივარდება, ხან ლამის ჩვენც ჩავცვივდეთო. ჟანაბას. ამას როგორც იქნება ავიტანთ, მაგრამ, რა იქნება, სახურავი მაინც შეაკეთეთ, ზამთარ-ზაფხულ თავზე გვაწვიმსო. ზოგი კიდევ იმას ჩივის ტუალეტში ისეთი უსუფთაობაა, შიგ ვერ შეესუღვართ. აქეთიქით დავრბივართ და ღრო გვეკარგებაო.

საამქროს გამგე გულისყურით უსმენს ყველას, ვინც კი რაიმე მნიშვნე-

ლოვანს იტყვის, მალულად ბლოკნოტში ინიშნავს.

ბოლოს შემაჯამებელ სიტყვას წარმოთქვამს. მათივე ნალაპარაკებზე სიტყვას ოსტატურად ააგებს, ყველას აკრიტიკებს, ქვას ქვაზე არ ტოვებს. ორატორული ნიჭით არ არის დაჯილდოვებული, ლექსიკაც ღარიბი აქვს, მაგრამ უბადლო ნიჭი გააჩნია, სრულიად უმნიშვნელო საკითხი გაწელ-გამოწელოს და რამდენსაც მოისურვებს. იმდენხანს ილაპარაკოს.

როცა საამქროს გამგე მკვერმეტყველებაში ვარჯიშობს, თათბირის მონაწილენი ამოქნარებენ, იზმორებიან, ერთმანეთს სასაცილო ამბებს უყვებიან. ჩუმად ხითხითებენ. ყოველივე ამას ლაპარაკის აზარტში შესული საამქროს გამგე ყურადღებას არ აქცევს და მონოლოგს აგრძელებს.

— კმ, მაშ, უსამართლობა არ არის, ისეთი საქმის მცოდნე, განათლებულ, მკვერმეტყველ, ორგანიზატორ კაცს, როგორც კუკური პავლოვიჩია ასეთი პატარა ასპარეზი ჰქონდეს! — ვითომდა ხმადაბლა, მაგრამ საამქროს გამგის გასაგონად ეტყვის ხოლმე ოსტატი ბუღალტერს, თათბირის დამთავრების შემდეგ.

— მაშ, მაშ, ეგ არ მიყვირს! — მაშინვე ხმის აწევით კვირს დაუკრავს ბუღალტერი.

— იცი რა ვითხრათ? — ხელებს ასავსავენს საამქროს გამგე, — საცა ვარ, კარვად ვარ. ხომ იცით, რომ მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილეობა არაერთხელ შემომთავაზეს, მაგრამ არ დავთანხმდი, სასტიკი უარი განვაკხადე. გამოცდილებიდან ვიცი, თბილისის უფროსობას, პატარა სოფლის თავაკობა მირჩევენია! — გაიძახის საამქროს გამგე და კაბინეტში ისე უხეშად დააბიჯებს, თითქოს ვეფხვია გალიაში გამომწყვდეულიო.

— ჭეშმარიტებას დადადებ, კუკური პავლოვიჩ! მაშინვე ხომ გირჩევი. ღმერთი არ გაგიწყრეს და არ დათანხმდეს-მეთქი! — იტყვის ბუღალტერი.

— თუ გახსოვს, მეც ამასვე გირჩევიდი, კუკური პავლოვიჩ! დაუშვებებს ოსტატი.

— მაშ, მაშ უთქვენოდ ერთ დღესაც არ ვივარგებთ, ბარტყები ვართ, უგინგლო, პირდაღებულნი! — თითქოს ლამაზი სიტყვების თქმაში ოსტატს ეჯიბრებაო, გაიძახის ბუღალტერი.

— ეპ, მეგობრებო, მეც ისე შეგეჩვიეთ, უთქვენოდ ველარც გაძვლებ, მაგრამ რა ვქნა.

— რა მაგრამ, გვითხარი, ვაგვაგები-ნე, კიდეც ხომ არ გეტაცებენ შენს თავს?! — ეკითხება ოსტატი.

— ღმერთმა დაგვიფაროს! — გაიძახის ბუღალტერი

— რა ვქნა, გამოგიტყდებით, ოღონდ. — და საამქროს გამგე ტუჩებზე თითებს იდებს, ვითომ ამაზე კრინტი არ დასძრათო

— სამარე ვარ! — ამბობს ოსტატი. ბუღალტერი კი უსიტყვოდ მკერდზე ხელს ირტყამს, ვითომ შენს ნათქვამს გულში ჩავიმარხავო.

— აი, მე ეს შესისი! — ორივეს უწონებს საამქროს გამგე. — ბევრი რომ არ გავგრძელო, დღეს ისევე გამომიძახეს.

— სად? — წამოიძახებს ოსტატი.

— ვისთან? — შეჰკვილვებს ბუღალტერი.

— ზევით, სამინისტროში. მინისტრი აღარ მეშვება, გინდა თუ არა, სამმართველოს უფროსად უნდა გადახვიდეო.

— ბედის ამარა ნუ მიგვატოვებ, ნუ! — ამბობს ოსტატი.

— უპატრონოდ დავრჩებით, რაღა გვეშველება! — სწუხს ბუღალტერი.

— არა, მეგობრებო ამაზე ნუ იღარდებთ თუ ზევით წავედი, იქიდანაც ვიპატრონებთ, იქნებ თანაც წაგიყვანო..

— ღმერთმა გისმინოს, ღმერთმა ხელი მოგიმართოს! — ამბობს ოსტატი.

— მერე ერთი პურ-მარალი ჩემზე იყოს! — ხელებს იფშენებს ბუღალტერი.

— ისე რომ, აქ ვიქნები თუ იქ, სულ ერთია. თუმცა არც აქ ვარ ცუდად, ჩემ-

თვის ვარ, არავის ვახსოვარ. უფროსის კაბინეტში შევალ თუ არა, თან მანქანაში რომ დამინახავენ, ყველას თვალში ვეცემი, ათასი მეტოქე გამომიჩინდება! ჰოდა, მირჩევნია ჯერჯერობით აქ ვიყო! ამ ამბავს ვახმაურება არ უნდა. არავისთან არაფერი წამოგცდეთ. ხალხში დარჩეული ხმა ხშირად საქმეს ვნებს, თუმცა ანგარიშს უდავოდ უწევენ. აბა, ახლა თქვენ იცით და თქვენმა კაცობამ.

— ჩვენი იმედი იქონიე, საქმით თუ სიტყვით შენთან ვართ! — აიმედებს ოსტატი.

— ხმა ლეთისა და ხმა ერისაო! — უდასტურებს ბუღალტერი და ორაზროვნად იცინის.

— აი, მე ეს მესმის!

მუშაობის დაწყების პირველ დღეს ღია ვასო ელიზბარს წინ გაუძღვა და საამქრო შემოატარა. მიიყვანა დანადგარებთან, მათი მუშაობის პროცესი აუხსნა, განუმარტა, მუშები გააცნო, გამოშვებული პროდუქცია აჩვენა.

ბოლოს ერთ პატარა დანადგართან შეჩერდნენ. ამით ავტოკალმები უნდა დაეამზადოთ, მთელ საბჭოთა კავშირში ასეთი დანადგარი სულ ორია, ერთი ლენინგრადში აქვთ, მეორე — ეს არის. პრაღიდან ჩამოვიტანეთ, ამის წონა ფული ჩავეყარეთ.

ოსტატმა ორიოდ სიტყვით განუმარტა ელიზბარს წუნმდებლის მოვალეობა. იმის შესახებ კი, როგორ უნდა განესაზღვრა პროდუქციის ხარისხი, სიტყვაც არ დაუძრავს.

ელიზბარი თვით შეეკითხა, რა მონაცემებით დგინდება, ნაწარმის ხარისხიო. ამას მერე, პრაქტიკული საქმიანობის დროს გაიგებო, უპასუხა ოსტატმა.

პირველ დღეს ნაწარმის ხარისხი ოსტატმა განსაზღვრა, წუნმდებელს კი მხოლოდ აქტებზე მოაწერინა ხელი. ასევე განმეორდა მეორე დღესაც.

ელიზბარს ეგონა, რაკილა ჯერ საქმეში არ ვარ ჩახედული, ოსტატი ასე იმიტომ იქცევაო.

ორ-სამ კვირაში ისე შეისწავლა ყველაფერი, რომ მშვენივრად იცოდა, რა წუნი ჰქონდა მათ მიერ გამოშვებულ სიაჯახო ნივთებს.

თავიდათავი ის იყო, რომ დანა-ჩანგალს უქანგავი ფოლადისაგან არ აკეთებდნენ. მონადირის დანას წყალი მიეკარებოდა თუ არა, იყანგებოდა, მერე აღარც იხსნებოდა, აღარც იკეცებოდა. ჩამჩებს არასტანდარტულს ამზადებდნენ, თანაც უხარისხო ლითონის ტარს უკეთებდნენ. მომხმარებელთა მრავალი პრეტენზია მოდიოდა, ხმარებისთანავე ჩამჩებს ტარები ელუნებათო. შამფურებს კი ისე მოკლესა და წვრილს ამზადებდნენ, ზედ სამი ნაჭერი ხორცი ვერ წამოეგებოდა. ტაფებს იმ ალაგზე, საცა ტარებს არგებდნენ, ლითონი ცოტა გამოწეული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასე არ იყო. ტაფის ძირში მიმაგრებული ხის ტარი ცეცხლზე მალე იწვოდა.

სულ გადამავიწყდა ზემოთ მეთქვა, რომ თათბირებზე საამქროს გამგე და ოსტატი ტრამაზობდნენ, ერთი გრამი ლითონის ვადახარჯვა არ გვაქვსო, და ამას დიდ დამსახურებად თვლიდნენ.

ერთი სიტყვით, ელიზბარისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა ნაწარმის ხარისხის განსაზღვრა, მაგრამ ამას ისევე ოსტატი აკეთებდა. ელიზბარს კი მხოლოდ აქტებზე აწერინებდა ხელს.

— ვერაფერი გამიგია, მე ვარ წუნმდებელი თუ შენ. — უთხრა ერთხელ ოსტატს ელიზბარმა.

— ყველაფერი მე ვარ, არავის არაფერს ვკითხავ! — მიუგო ოსტატმა.

— აბა, მე რაღა მოხელე ვარ?

— რა სულსწრაფი ყოფილხარ, მოიფიქრე და გაიგებ!

ელიზბარს უნდოდა საამქროს გამგისთვის ეთქვა, რომ ოსტატი მას არაფერს ეკითხებოდა, მაგრამ ვერ ბედავდა. რაღაც ორიოდ დღის მოსული ვარ და ახლავე რომ საჩივრები დავიწყო, ვაითუ, ინტრიგანად მომნათლონო.

ერთხელ ისე მოხდა, რომ საამქროს გამგე თვითონვე შეეკითხა, როგორ ხარ,

ხომ კარგად შეეწყე საქმესო. არა უშავს რაო, მიუგო, თან დაატანა, ვერაფერი გამოვიდა, მე ვარ წუნმდებელი, თუ ოსტატი, ჩემს საქმესაც რომ ის აკეთებდნო. ნუ გეშინია, ოსტატი არ შესცდება, ენდე მას და ყველაფერი წესრიგში იქნებაო, მიუგო საამქროს გამგემ.

ხელფასის აღების დღეს ოსტატმა ელიზბარი განზე გაიხმო და ფული გაუწოდა:

— გამომართვი, ორმოცდაათი მანეთია, ამ თვეში ამას უნდა დასჯერდე!

— რის ფულია, ძია ვასო?

— რა გაუგებარი ყოფილხარ. ნუ გრცხვენია, აიღე, ფეშქაშია!

ელიზბარმა ფული გამოართვა და წაილაპარაკა:

— ის მაინც მითხარი, რითი დავიმსახურე?

— შენი კაი კაცობით.

ელიზბარი შინ გვიან დაბრუნდა.

ირმა ახალდაწოლილი იყო. თავი მოიმიძინარა და ქმარს მალულად დაუწყო ჭკვრეტა.

ელიზბარს ლოყები წამოსწითლებოდა, თვალები ჩასცვენოდა. სიარულზე ემჩნეოდა, რომ შექვიფიანებული იყო. ამასთან ოთახში ღვინის სუნი დადგა.

ქმარმა ფრთხილად გაიხადა ტანსაცმელი, ცალი თვალით ცოლს გადახედა, ხომ არ გავლდიძაო. დაწვა თუ არა, მაშინვე ისეთი ხერხევა ამოუშვა, თითქოს ორი ღამის უძილო ყოფილიყო.

ირმა კი დიდხანს ტრიალებდა ლოგინში, თავიდან ვერ იცილებდა ფიქრს, ბოლო დროს რომ აეკვიტა.

დიან, მისი ქმარი რაღაცას ეშმაკობს. მაშ, ასე გვიანობამდე სად დაბრძანდება. ან ვინ ასმეჭს ღვინოს?! რაც მუშაობა დაიწყო, თითქმის ყოველ მესამე, მეოთხე დღეს შინ შეგვიანებით ბრუნდება. იქნებ ელიზბარმა ვინმე გაიჩინა?! განა, თავის თვალით არ უნახავს, როგორ მოსწონთ ქალებს?! როგორ არ იეკვიანოს?! როცა ელიზბარს მოსვლა შეაგვიანდება, უთუოდ უგუნებობას, დაღლილობას, ან თავის ტკივილს იმიზეზებს, ზურგს შეაქცევს და მიიძინებს.

ისედაც მთლად გამოიცვალა. თითქოს მის არსებაში სიყვარულს ნაცვალის ჩაქრა, გრძნობები მიუწყუნდა.

დილით ირმამ რომ გაიღვიძა, ელიზბარი უკვე ამდგარიყო, ვია ეზოში ჩაეყვანა და ბურთს ეთამაშებოდა.

ოთახში ღვინის სუნი აღარ იდგა. მაგრამ ძვირფასი სუნამოს მკვეთრი სურნელმა იგრძნო. ეს საამო სუნი ელიზბარის პიჯაკს ასდიოდა.

„ნეტავ ვინ დაასხურა ასეთი ძვირფასი სუნამო?“ — ფიქრობდა ირმა და ვერ გადაწყვიტა, ამის შესახებ შეკითხვოდა თუ არა ქმარს?

კარგი და, კიდევაც რომ ჰკითხოს, რა გამოვა?! ვინ სულელი გაუმხელს ცოლს ასეთ ამბავს? თვითონაც ხომ ბევრ რამეს უმაღავს ქმარს!

ელიზბარმა რვა საათზე ბავშვი შინ მიიყვანა, პიჯაკი ჩაიცვა და სამუშაოზე წასასვლელად გაემზადა. ასე რას მიიჩქარი, ცოტა რამ მაინც შექამეო, ესლა უთხრა ცოლმა. დღეს აღრე უნდა წაკიდდე საამქროში, ბუფეტში ვისაუბრებო, მიუგო ქმარმა.

„მატყუარა!“ — გუნებაში ჩაილაპარაკა ირმამ და ქმრისადმი ზიზღის მსგავსი გრძნობით განიშსკვალა.

„ყველაფერს გავიგებ, ყველაფერს დავადგენ!“ — ამბობდა გულში და წინასწარ ტყებოდა იმ სიამოვნებით, თუ როგორ გადმოულაგებდა ქმარს მისივე ცოდვებს. და უცებ თავის თავს შეეკითხა, კარგი და, რა პირით უნდა გავკიცხო ელიზბარი, განა მაქვს ამის უფლება? ეს ჩემი მხრივ სამართლიანი არ იქნება, არც მე ვარ მთლად უცოდველიო.

მაგრამ იმავე საღამოს ქმარს მაინც უსაყვედურა, კიდევ კარგი, გუშინდელივით არ დაიგვიანე და მთვრალი არ მოხვედიო.

— რა ვქნა, ოსტატმა დამპატიყა ოჯახში და უარი ვერ ვუთხარი!

— ძვირფასი სუნამოც იმან დაგასხა?

ისეთი მოულოდნელი იყო ვაჟისათვის ეს კითხვა, რომ დაიბნა და ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა.

ირმამ კი შეუტია:

— რა, ენა მუცელში ჩაგივარდა? თუ მართალი კაცი ხარ, შემომხედლე თვალებში და მიბასუხე!

— კი, სუნამოც იმან დამასხა!

— რამდენადაც ვიცი, სტუმრებს მასპინძლები სუნამოთი კი არა, ღვინით უმასპინძლებიან! — დამკინავალ გადაიხარხარა ირმამ, მერე ერთბაშად მკაცრი სახე მიიღო და, კი არ თქვა, შესძახა:

— გაუგებარი ქვეყანაზე არაფერია, დამაცა!

ელიზბარი ერთხანს დუმდა, მერე კი კითხვითვე მიუგო:

— შენი აზრით, მაინც სად შეიძლება ეყოფილიყავი?

— ეს მე არ ვიცი!

— რახან არ იცი, სხვას დაუჯერე! — ხმა აუწია ცოლის შერბილებული ტონით წათამამებულმა ქმარმა. — შენც არაერთხელ დაგიგვიანია, მაგრამ მე არ ჩაგიცივებია, აქამდე სად იყავი-მეთქი. თუ კი მე გენდობი, შენ რატომღა იჩენ უნდობლობას?!

— მერე შენ რათ მენდობი?

— რა ექნა. ასეთი ჩვეულება მაქვს. ვენდო ადამიანს!

მათი კამათი იმით დამთავრდა, რომ ვაჟმა ცოლს შეჰფიცა. რახან ასეთი ეკვიანი ყოფილხარ. ამას იქით უშენოდ ნაბიჯს არ გადავდგამო.

ელიზბარი მართლაც ასრულებდა დაპირებას. ირმას აზრით, ქმარმა იგრძნო დანაშაული, თავი მოიკატუნა და შინიდან ფეხს არსად ადგამსო.

როგორ დაიჯეროს, რომ ელიზბარმა მის თავს სხვა ამჯობინა. ქვეყანა მისთვის გოგდება, მის დანახვაზე ყველას თვალი უბრწყინდება! საცა სამართალია, მის ქმარს კი არა, მას უნდა ჰყავდეს საყვარლები!

აქ ჩერდებოდა ქალის გონება, მაგრამ ვილაყის ხმა ჩაესმოდა, მერე საწებლიძე ვილაყო.

ვინ უნდა იყოს, ჩემი კეთილისმდომე-ლია. ჩვენ ისე დიდი ხანია ვიცნობთ ერ-

თმანეთს, თითქმის ახლობლები და ნათესავები ვართო.

სარკინული
ბიზნესი

მეორე ხელფასის აღებისასაც ოსტატმა ელიზბარს კიდევ ორმოცდაათი მანეთი უფუქაშა. თან დაატანა, ამჯერადაც ამას უნდა დასჯერდე, წარმოება დღითიღე ფართოვდება. საქმე წინ მიდის და ჩვენი გვეშველებაო.

ელიზბარმა პირველად ნაჩუქარი ფულის შესახებ ირმას არაფერი უთხრა, ვაითუ, ოსტატმა მერე აღარ მომცეს, ჯერ რა მეჩქარება, თქმას ყოველთვის მოვასწრებო.

ამჯერად მივიღე თუ არა შინ, ცოლს ახარა, ხელფასის გარდა, ოსტატმა ორმოცდაათი მანეთი მომცაო.

— მერე მაღლობა არ გადაუხადე? — შეეკითხა ირმა.

— როგორ არა, გადაეუხადე, მაგრამ მეშინია, ვაითუ...

— რისა გეშინია? ვერ ხედავ რა ღროს ვცხოვრობთ? საცა სხვა, შენც იქ!

— რა ვიცი, აბა!

— შენ რომ არ იცი. იმათ იციან! ისეთ საქმეს არ ვააკეთებენ, რომ გაილანძლონ!

ელიზბარი საამქროში ბევრს არაფერს აკეთებდა. სამუშაოზე სულაც რომ არ მისულიყო, არც მოიკითხავდნენ, არც ვინმე უსაყვედურებდა. ერთხელ შეუძლოდ იყო და ორი დღე გააცდინა. მექანიკური საამქროს ხელმძღვანელები როდი დაინტერესებულან, რა დემართა, რატომ გააცდინა სამსახური: დღის ბოლოს ოსტატის კარნახით ნაწარმს ახარისხებდა, მერე აქტებს ადგენდა, ხელს მოაწერდა და ამით მთავრდებოდა მისი საქმიანობა. ისე გამოდიოდა, თითქმის მარტო ხელის მოწერისათვის ლებულობდა ხელფასსა და საჩუქარს.

რიღასთვის არ შეუდარებოთ ფული?! ადამიანები აშკარად თუ ფარულად ღმერთზე მაღლა აყენებდნენ და აყენებენ ყოველსაშემძლე ფულს. თვით ქვეყნის მრისხანე მბრძანებელი, რომელთა თვალის დახამხამება ზარს სცემდა სა-

ხელმწიფოებს, ვერ უმკლავდებოდნენ ფულის მაგიურ ძალას, ქედს იხრიდნენ მის წინაშე. ემონებოდნენ!

და რა ვასაკვირია: თუ ელიზბარცი შებოჭა ფულის სიყვარულმა. იგი ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაშინ, როცა მის გარშემო მყოფი ადამიანები არაფერს არ იკლებდნენ. ისიც მიისწრაფოდა შეძლებულ ცხოვრებისკენ. თან სულ იმას ნატრობდა იმდენი ფული მქონდეს ირმას ძვირფასი ჩასაცმელი ვუყიდოო.

ის კი არა, ელიზბარმა პირველი ხელფასი და ოსტატის ნაჩუქარი ფული ჯიბეში რომ ჩაიდო. ზედ იმ ალაგას — ბარძაყზე, საცა ფული ედო, სასიამოვნო სიმხურვალე იგრძნო, რაც თანდათან მთელ სხეულში გაეზნა და ბოლოს სიხარულით ამგვრებულ გულში სათუთად ჩაედგარა.

ელიზბარი თვალ-წარბში შესცქეროდა. საამქროს გამგეს და ოსტატს, მათ ყურმოჭრილ მონად იქცა.

ერთი-ორჯერ ოსტატმა საკუთარი „ვოლგით“ თბილისის ზღვაზეც წაიყვანა და აქეიფა. ყველა კმაყოფილი იყო მისით და არც ელიზბარს ჰქონდა ვინმესთან რაიმე დასამღფრი, მაგრამ, ერთხელ საამქროს გამგემ გამოიძახა. კაბინეტში ვილაც უცნობი მოხუცი იჯდა, ხელში დაქანგული დანა-ჩანგალი ეჭირა.

საამქროს გამგემ უცნობს ელიზბარი წარუდგინა. ეს არის ჩვენი წუნმდებელი.

უცნობი ელიზბარს არც მისალმებია. ისე წააყარა ერთბაშად:

— შე კაი კაცო. ასეთი ახალგაზრდა ხარ და თვალი არ გიჭრის?! ეს სადაური რა არის?! და მოხუცმა სუფრის დანა ჰაერში შეათამაშა — ისეთი ბლაგვია, პურსაც ვერა ჰჭრის. თან წნელივით იგრძნება!

— მოითმინე, მოითმინე, ბერიკაცო! — თითქოს რაღაც გაახსენდაო, უცებ ალაპარაკდა საამქროს გამგე, — ეს პურის საჭრელი დანა როდი გახლავო!

— აბა, მაშ რის დანაა?

— ეს დანა-ჩანგალი სუფრისაა. სპე-

ციალურად რესტორნებისთვის დამზადებული. განა შეიძლება ახლანდელ მთვრალ ახალგაზრდებს დანებრის შავივრად ხელში სამართებლები მივცეთ! სიმთვრალეში ხომ თითებს დაიჭრიან. ამას ვინ ჩივის, შეიძლება ჩხუბიც ატეხონ და ერთმანეთიც გამოფაშვონ. ეს კიდევ არაფერი, ვაითუ, მერე სხვებსაც მიუბრუნდნენ და უდანაშაულო ადამიანებს ყელები დასჭრან! მერე ვის აგებინებენ პასუხს? ვის და ჩვენ!

— კარგი და, ასე უცებ რაღად დაიქანგა? — იეთხა ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებულმა მოხუცმა.

— ეს უკვე შენი ბრალია, ეტყობა, დანით ხორცი ან სხვა რამ დაჭერი, მერე კი არ გაამშრალე და ისე შეინახე. შე კაი კაცო, ასე ოქროც დაიქანგება, აბა მაშ რა იქნება?! აგერ წუნმდებელი, დე, თქვას სიმართლეს ვამბობ, თუ არა?

ელიზბარმა თავი გადააქნ-გადმოაქნია, რაც თითქოს თანხმობას ნიშნავდა და არც ნიშნავდა.

— აი, ასე უნდა მიეუდგეთ საკითხს, ბერიკაცო! როგორც ხედავ, ჩვენ ცამდე მართლები ვართ. თუმცა, როგორც ბენსიონერს, ანგარიშს ვაგვიწვევ, გულს არ დაგწვევტ! აი, მე ეს მესმის! დანა-ჩანგალს ვინდა გამოვიცვლი, ვინდა ღირებულებას დაგიბრუნებ. სხვა რა გიშველო? ქვეყანა რომ შესძრა, ამაზე უკეთეს სიტყვას კაცი არ გეტყვის!

— კი, მაგრამ ასეთი დანა-ჩანგალი სხვებმაც ხომ იყიდეს, იმათ რაღა დააშავეს?!

— იცი, რას გეტყვი, ბერიკაცო, არსენობას თავი დაანებე! ყველა თავის თავს მოუვლის. — და ელიზბარს მიუბრუნდა, — აბა, წაიყვანე და ოსტატს ჩემი ბრძანება გადაეცი. ბერიკაცს ერთი დღეინი დანა-ჩანგალი უფეშქაშოს! აი მე ეს მესმის!

როცა მოხუცს დანა-ჩანგალი მისცეს და საამქროდან ისტუმრებდნენ, ელიზბარს ეუბნებოდა. ეს რა ღვთისნიერი უფროსი გყოლიათ. კიდევ კარგი, ჯერ თქვენ მოგაკითხეთ, თორემ სამინისტროში რომ მეჩივლა, რამდენს ვინანებდიო.

ასეთივე პრეტენზიით ხუთიოდე მოქალაქე კიდევ მოვიდა საამქროში. ზოგს დაწუნებულ ნივთებს უცვლიდნენ, ზოგს გადახდილ ღირებულებას უნაზღაურებდნენ. ერთი სიტყვით, ყველას მოხუცებით მოთაფლულებს ისტუმრებდნენ.

ერთხელ საქალაქო გაზეთში კორესპონდენცია დაიბეჭდა, „ეს ხომ მოტყუებაა!“ რამდენიმე დღისახლისი აწერდა ხელს. დღისახლისები აღშფოთებულნი გამოთქვამდნენ, როგორ შეიძლება ასეთი უხარისხო დანა-ჩანგლის, ქვაბების, ტაფების, ჩამჩების, კოვჩებისა და სხვა საოჯახო ნივთების გამოშვება. დროა ამ თაღლითობას ბოლო მოეღოს და დამნაშავენი დაისაჯონ.

მეორე დღეს მექანიკურ საამქროში ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს უფროსი მოვიდა.

უკვე სამი თვე სრულდებოდა, რაც ელიზბარი მუშაობდა და დიმიტრის პირველად ხედავდა საამქროში. მაინცდამაინც დიდი არაფერი რეაქცია მოუხდენია მის გამოჩენას. ეს არ ჰგავდა ხელმძღვანელის მისვლას მის დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში. არც წინასწარ მომზადებულან მის შესახვედრად. მერეც, როცა დიმიტრი საამქროს გამგის კაბინეტში იჯდა, ყველაფერი ჩვეულებრივად მიმდინარეობდა, არავინ მირბოდა, არავინ მორბოდა, გულის ფანტკალით არ ელოდნენ სახელსნოში უფროსის გამოჩენას. ოსტატი მშვიდად დააბიჯებდა დანადგარებს შორის, მუშებს ემუსაიფებოდა, ეხუმრებოდა, თვითონაც გულიანად იცინოდა, იმათაც აცინებდა.

„საგანგაშო არაფერია. — ფიქრობდა ელიზბარი — გაზეთში დაბეჭდილ კორესპონდენციას დიდ არაფერ მნიშვნელობას აძლევენ. ეტყობა, აქ ასეთ რანეტებს ვიჩვეული არიან. ან შეიძლება განგებ არიან მშვიდად. ერთი კი საფიქრებელია. რაღა დღეს მოვიდა მათთან უფროსი?

სახელდახლოდ გამართულ თათბირზე ეს ნათელი გახდა.

ჯერ საამქროს გამგემ წარმოსთქვა სიტყვა. თითქმის ნახევარი საათი ილა-

პარაკა და სულ იმას გაიძახოდა. ჩვენ არ გვეშინია თვითკრიტიკის, პარტიული გაბედულობით უნდა ვაღიაროთ, ბოლო დროს გავეცაცა საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულების სურვილმა, ნაწარმის ხარისხს კი ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ. ეს შეცდომაა. მაგრამ ჩვენ შევძლებთ ამის გამოსწორებას. ამასთან სამართლიანობა მოითხოვს წუნმდებელს ვუსაყვედუროთ, ეტყობა, ამხანაგი საბაშვილი ჯეროვნად ვერ დაეუფლა საქმეს, სუსტად მუშაობსო. ბოლოს საამქროს მთელი კოლექტივის სახელით პირობა დადო, მომავალში გადაჭარბებით შევასრულებთ გეგმებს, მკვეთრად გავაუმჯობესებთ ნაწარმის ხარისხსო.

ოსტატმა სიტყვა-სიტყვით გაიმეორა საამქროს გამგის ნათქვამი. ელიზბარსაც გააკრა, წუნმდებელმა უფრო მეტი სიფხიზლე უნდა გამოიჩინოსო. და ასე დაამთავრა:

— შევასრულოთ გეგმები, მაგრამ ამასთანავე ავამალლოთ ხარისხი! ეს არის ჩვენი გადაუდებელი ამოცანა.

ბულალტერსაც ახალი არაფერი უთქვამს, მაგრამ მის სიტყვაში ეს იგრძნობოდა; საბულალტრო მეურნეობა სრულ წესრიგში მაქვს, პროდუქციის ხარისხზე თვალ-ყურის დევნება ჩემს მოვალეობას არ შეადგენს. ვისაც ეს ეკითხება, დაე, თავი იმან იტეხოსო.

ელიზბარი გამოსვლას არ აპირებდა, ან რა ეთქვა, რითი შეეძლო თავის მართლება? ისინი ხომ სწორად უსაყვედურებდნენ, ნაწარმის ხარისხის დადგენას ყურადღებას არ აქცევსო. მერე რატომ იმას აღარ ამბობენ, რომ თავად არაფერს ჰკითხავენ, თვითონვე არიან ხარისხის დამდგენიც და წუნმდებლებიც?! ასეა, მაგრამ ამით თავი როგორ გაიმართლოს?! შეიძლება პირში მიახალონ, აბა, შენ რაღა მოხელე ხარ. რაში გაძლევენ ხელფასსო. ვინ იცის. იქნებ ისიც წამოსძახონ, ფეშქაშებს რომ ღებულობ, რას ფიქრობ, საიდან ღებულობ. ხომ არ გგონია, ოსტატი თავის ჭიბიდან გაძლევსო. სჯობია ჩუმად იჯდეს. რა იცის, იქ-

ნებ იმიტომაც ლაპარაკობენ, რომ ასეა საჭირო! ან სხენაირად როგორ შეიძლება; ვაზეთში გამოქვეყნებულ კორესპონდენციას პასუხი ხომ უნდა ვასცენ, ვილაცა დაღანაშულონ, ბრალი დასდონ.

ბოლოს სამმართველოს უფროსმა იწება სიტყვა. ელიზბარის გარდა ყველას სათითაოდ შეავლო თვალი, გაუღიმა.

საამქროს გამგე, ბულალტერი და ოსტატი მმართველს ცხვირწინ უსხდნენ. მაგრამ სკამები მაინც მისკენ წასწიეს, მოლულუნე მტრედებივით თავები გვერდზე გადახარეს.

ელიზბარიც თვალ-წარბში შესცქეროდა სამმართველოს უფროსს. მაგრამ ამ უკანასკნელს მისკენ ერთხელაც არ გაუხედვს.

— საკითხი ნათელი და გასაგებია! — თითქოს ვინმეს ხმადაბლა ეუბნებო, ისე დაიწყო დიმიტრიმ. — კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დასტურდება. საკითხავია, ვინ არის დამნაშავე? — უცებ ხმის აწევით იკითხა და მაშინვე ხმას დაუწია. — ვინ და ჩვენ, დაწყებული ჩემით და გათავებული წუნმდებლით. ამხანაგებო, ჩვენი საწარმო სპეციფიკურია. მექანიკური საამქრო კი ჰქვია, მაგრამ დანადგარების უქონლობის გამო, ბევრი რამ კუსტიარულად, ხელით კეთდება, აი, ამიტომაც, რომ გამოშვებული ნაწარმი არასტანდარტული და უხარისხოა. სამართლიანად საყვედურობენ წუნმდებელს. დასამალი არაფერია. ამხანაგ საბაშვილს მე თვითონ გაუწიე რეკომენდაცია ამ თანამდებობაზე. ან რატომ არ უნდა გამეწიო? ახალგაზრდაა, სპეციალობით ინჟინერი, შეხედდე ვეკაცია, სხვებზე არც ტანი აქვს ნაკლები, არც — თავი. — ეტობა, დიმიტრის თვითონვე მოეწონა ნათქვამი, ჩაიციხა და ხელი ჩაიჭინა, ვითომ ეს რა კარგად გამომივიდაო.

თითქოს ბრძანება გაეცათ, სამივემ უფროსივით ჩაიციხა და ხელიც მასავით ჩაიჭინეს.

ელიზბარი სულაც არ იყო სიცოცხლს

ხასიათზე. მაგრამ უნებლიედ იმხანაც ჩაიციხა, ხელიც ჩაიჭინა, თუმცა სხვებზე შორიდებულად. გაუხედვით მართალია, თავისი აშკარა მლიქვნელობისა თვითონვე შერცხვა, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო, თურმე მასაც შესძლებია იმის გაკეთება, რითაც სხვები უფროსს თავს აწონებენ.

დიმიტრის ეს როდი გამოჰპარვია, დიდადაც ესიაზოვნა, ღიმილით გადახედა ელიზბარს, თან მოწონებით თავი ჩაიჭინა და დაჭერებულად განაგრძო:

— ამხანაგებო, სწორი არ იქნება, თუ მარტო წუნმდებელს დავადასნაშაულებთ! ეთქვი და ვიმეორებ, სამართლიანად საყვედურობენ ამხანაგ საბაშვილს, მაგრამ მასთან ერთად ჩვენც ვართ მეტნაკლებად დამნაშავენი, არ დავებმარეთ ახალგაზრდა კაცს. დროზე არ შევაშოწმეთ მისი საქმიანობა!

დიმიტრის სიტყვამ ელიზბარს თავმოყვარეობის გრძნობა გაუღვიძა. როგორ?! განა მარტო ის არის დამნაშავე?! მასზე მეტი დანაშაული ხომ სხვებს მიუძღვით?! აქ კი ისე გამოჰყავთ, რომ ვითომ ის არის ქვეყნის დამანგრეველი. რატომ უნდა ჰქონდეს უფროსს ასეთი ყალბი წარმოდგენა?! იქნებ მას ყველაფერს იმიტომ აბრალებენ, რომ უფროსის ახლობლად თელიან, დაე, თვითონ იტეხონ თავიო. ალბათ, დიმიტრისაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს! რაც იქნება იქნება, სიმართლე უნდა თქვას.

და ელიზბარმაც თქვა, მე მხოლოდ სახელი მაქვს წუნმდებლისა, სინამდვილეში კი ნაწარმის დახარისხებას ოსტატი ახდენსო.

საამქროს გამგე და ოსტატი გაშტერებული შესცქეროდნენ ელიზბარს, მალი-მალ ერთმანეთს გადახედავდნენ და მწარედ ეღიმიებოდათ. ეს ვისთან გვექონია საქმეო.

— ჰმ, უყურე ამას! ავირიე, ველარაფერი გამიგია! — თქვა დიმიტრიმ მხრების აჩეჩვით და ელიზბარს მიმართა. — აგაშენა! ეს ყველაფერი მხოლოდ შენს სისუსტეზე ლაპარაკობს. თუ არ შეგიძ-

ლია მუშაობა. თქვი, დღესვე გაგათავისუფლებ, შესაფერი კაცის გამოჩახვა როდი გაგვიჭირდება!

— მადლობის მაგიერია? წუნმდებელი საქმეში არ იყო ჩახედული და ვეზმარებოდი! აბა, მაშ რა მექნა?! ეტყობა, ოსტატმა გვიან მოიფიქრა და ამიტომ უადგილო ადგილას ისროლა რებლიკა.

— ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ ამაზე რა პასუხი გავცეთ! — მიუგო დიმიტრიმ და გახეთი ჰაერში შეათამაშა.

სანამ იმას ვიტყოდეთ, თუ რა პასუხი გასცეს რედაქციას, გვინდა შევჩერდეთ ამბავზე, რომელიც მას წინ უსწრებდა.

თათბირის დამთავრებისთანავე, ოსტატმა ელიზბარი გაიცალკევა და უსაყვედურა, შე კაი კაცო, ენას კბილი გედარ დააჭირე, რა ყველაფერი დაექვიო.

— მაშ რა მექნა, როცა მე მადანაშაულებდით?!

— აბა, მაშ როგორ, ეს რომ გინდა. უმაწვილო?! — და თითი თითზე მოუსვა. — წკაპურტებსაც უნდა იტანდე!

— ოღონდ მე ნუ გადმოშობალებთ. თქვენი არაფერი მინდა! რაც მომეცით, იმასაც უკან დაგიბრუნებთ!

— მოდი, ასეთი ლაპარაკი არ იყოს, გინდა იმუშავე, არ გინდა, ოთხმხრივ გზა ხსნილია, სახვეწი არაფერი გვაქვს!

მეორე დღეს ელიზბარმა ნაწარმის ხარისხს რომ ამოწმებდა, სანადირო დანები მთლიანად უხარისხოდ ჩასთვალა. დანა-ჩანგალი და ჩამჩები კი კარგად არ გაეწმინდათ, არ გაეპრიანებიათ და ამის გამო საამქროში დააბრუნა.

— ვითომ, რატომღა დანები უხარისხო? — შეეკითხა ელიზბარს ოსტატი.

— ეს სადაური მონადირის დანაა, — ელიზბარმა რამდენიმე დანა გახსნა და დაკეცა. — ხეობიანად ვერც იხსნება, ვერც იკეცება.

— ერიპა, რას ნიშნავს, რომ ახალგაზრდა ხარ! — თქვა ოსტატმა ღიმილით და ელიზბარს ისე მოეჩვენა, რომ გულში მან ესეც ჩაილაპარაკა: შენ კი არა, ჩვენ ვართ დამნაშავე, შენისთანა ბლარტი თავზე რომ წამოვისვითო. და მართლაც, რაღაც ათიოდე წუთის მერე

ოსტატმა სწორედ ასე განუცხადა საამქროს გამგეს.

— აი, მე ეს მესმის! ^{საამქროში} თქვენი საქმე-როს გამგემ, რაც ოსტატმა ასე გაიგო, უყურე იმას ეს რეები დაუწყვიტო.

ოსტატმა თანხმობის ნიშნად თავი ჩაიქნია და ხმადაბლა უთხრა:

— კუჭური პავლოვიჩი, იქნებ სულაც გაუაქმმით წუნმდებლის თანამდებობა?

— არა. ამის ნებას არ მოგვეცემენ! იყოს, რას გიშლის. ეს ჩვენთვის საჭიროცაა. რახან არ უნდა ჩვენთან მუშაობა. ყოველგვარი აურზაურის გარეშე გავისტუმრებ!

როცა ელიზბარმა საამქროს გამგეს უხარისხო სანადირო დანებზე მოახსენა. ამ უკანასკნელმა მხარზე ხელის დარტყმით უთხრა:

— აი, მე ეს მესმის! ვინ თქვა, მუშაობა არ შეუძლიაო?! რა ღმერთი გაგიწყრა, რატომ ადრე ასე არ იტყეოდი? — საამქროს გამგე წამოდგა, მოწონების ნიშნად კიდევ ერთხელ დაარტყა მხარზე ხელი, ყოჩაღო. კარებთან მივიდა და მკვიდროდ მიხურა, ვითომ ყური არავინ დაგვიგდოსო. მერე თავის მაგიდაზე მიდგმულ გრძელ მაგიდას მიუჯდა და ელიზბარს ხელით ანიშნა, ჩემს პირისპირ დაჯექით.

ელიზბარი რომ დაჯდა, საამქროს გამგემ ხმადაბლა თქვა:

— ბევრი ვიფიქრე, ყველაფერი ავწონ-დავწონე. ბატონ დიმიტრისაც ვესაუბრე და იმ დასკვნამდე მივედი, საპირო რედაქციას ვაცნობოთ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

— რა თქმა უნდა! — მიუგო ელიზბარმა.

— აი, მე ეს მესმის! თუმცა მარტო ამის მიწერა არა კმარა, უნდა ვილაცხადავსაოთ! — შეჩერდა, სიტყვას დაუწყეო ძებნა. — საქმე ის არის არ ვიცი, როგორ მოვიქცე, ვინ დავსაჯო?! რა თქმა უნდა, პირადად მე პასუხისმგებლობას არ ვიხსნი. ამაზე, ალბათ სამმართველოში იმსჯელებენ. მუშების დასჯაც მიზანშეუწონელია, ამას არავინ მო-

გვიწონებს. თანაც კვალიფიციური მუშა რომ გავათავისუფლოთ, სამაგიეროს ვერ ვიშოვით. ოსტატსაც ვერ დაადანაშაულებ. იყვირებს, თუ პროდუქცია დაბალი ხარისხისა იყო. რატომ არ დაიწუნეთო, ბულალტერიც ამ ამბიდან გახზედას. ისე რომ. ხელში შენლა შეგვრჩი.

— ბატონო კუკური, თუ ჩემს მეტი არავინაა დამნაშავე, დამსაჯეთ, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

— აი, მე ეს მესმის! ცუდად ნუ გამიგებ; როცა სხვა გამოსავალი არ არის. რა ექნა?!

— დამსაჯეთ, ახია ჩემზე!

— აი, მე ეს მესმის! დასაფასებელი აღამიანი ყოფილხარ! მესსომება! თუმცა, იცი რაშია საქმე, მოდი და. შენ თვითონ დაწერე განცხადება!

— კი, მაგრამ განცხადებაში რა მოვითხოვო, დამსაჯეთ-მეთქი?

— ჰმ, მართალი ხარ! საჭიროა ფორმის გამონახვა. — თითი მოკუმულ ტუჩებზე მიიღო, შუბლი შეიკრა, მოკუტუული თვალები ოთახის კეთხეს გაუშტე-

რა, ფიქრს მიეცა და უცებ ალტაცებით შესძახა:

— აი, მე ეს მესმის! განცხადებაში სამუშაოდან განთავისუფლება მოითხოვე... ჩვენ, რა თქმა უნდა, საყვედურს გამოგიცხადებთ. შეცდომა ყველას მოსდის. თუმცა არც ეს არის სწორი. ვინც არაფერს აკეთებს, ის არც არაფერს აფუქებს და, მაშასადამე, საყვედურებისგანაც შორს არის!

— თუ კი ასეა საჭირო, რა ექნა, დაეწერ!

— აი, მე ეს მესმის! — და უჭრიდან ქაღალდი ამოიღო. მუდმივი კალამი ხელში მიაჩეჩა და გაზეპირებული განცხადების ტექსტი უკარნახა. ბოლოს ხელი მოაწერინა და თარიღიც გარკვევით დაასმევინა.

საამქროს გამგემ განცხადება ცეცხლგამძლე ყუთში შეინახა. ელიზბარი იარამდე მიაცილა და ხელი ჩამოართვა.

— მაგრად იყავი, ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გაგეხარდება! — გულში კი ჩაილაპარაკა, აი მე ეს მესმისო.

(გაგრძელება იქნება)

ქართლო, ჩემს თვალში იმდენად ზიხარ,
ალარ მაშინებს სიკვდილთან ჯიბრი,
გამოსაწვავი შენი ვარ თიხა,
ბეჭებზე მაზის შენი მზის ტვიფრი.

გემატოს ჭერი, სიგრძე და განი,
სულ მინდა შენი დიდება გჭეჭო,
რომ ტყვიებივით დაცხრილოს ტანი
ნაცარწაყრილი გორების ეჭო.

სულ მინდა შენი ვკალი ვკაფო,
თვალს ვუსწორებდე ჟამთა დინებას,
შენ გნატრობს ცეცხლში დამწვარი აბო
და მისი ფერფლი ზედ გეფინება.

შიწავ ქარებით ჩამოლარულო,
მოესწარ ყველა მზის დაბადებას...
ქართლო — იმედო და სიხარულო,
არ მოგვეშალოს შენი ნათება.

ორი ნიჟარა

შავმა ზღვამ ბორგვით გული იჯერა,
უცებ დაირღვა დღეები მდორე...
ცხოვრობს ზღვის ფსკერზე ორი ნიჟარა —
ფრთადაცეცილი ფრინველი ორი.

დგას ორი კოშკი, წყალში აღნაგი...
ბუნების გრძნეულ სურვილით ნაშენს,
სხივი ეცემა ფერად წახნაგებს,
თხელ კედლებს ლოკავს დინება მლაშე.

დაურუებული მოჩანს ბილიკი,
ვიწრო ბილიკი, მათი სავალი;
უძღები ფსკერი წარსულს იღეჭავს,
არ დასრულდება ეს კარნავალი...

იელვებს ლოქოს თეთრი მუცელი,
ტალღების თავზე მზეა ბორჯღალი;
ფრთხილად მოზობღავს და დაბრეცილი
ფეხებით ამღვრევს ღამს კიბორჩხალი.

ორივეს ფარავს ღრუბელი ზანტი,
მათ შორის ნელა წვება სიშავე,
ორივეს აწევს დუმილის ღანდი,
მათი გამყოფი და გამთიშავი.

ზღვამ თხელი რიდე გადაიშორა,
მკვდარი სიზმრებით ივსება ფსკერი,
წუხს მარტოობას ორი ნიჟარა
და სამუდამო ღამეში მღერის.

მონადირე

ვერ მიაკითხავს ტყეებს სადათვეს,
ვერ აუყვება ნამკალს,
არ უხარია მოსვლა მკაათთვის,
რა უხარია ამ კაცს?

ტახის დახვედრა სხვებმა გაბედონ,
მკლავებიც სხვებმა ცვითონ,
თორმეტეტი ძალლი შემოაბერდა,
ბოლოს დაბერდა თვითონ.

სუნთქავს ბუხარი — მუხის ფუღურო —
პირდაღებული შავად...
ცარიელ კედლებს უნდა უყუროს
ერთ ხანს და მერე წავა.

არას ინაღვლებს, წავა იოლად,
სადაც წასულა ბევრი...
ზაფხულის ცაზე კვლავ
ფეხბა ცეცხლის კვერი.

შ ე მ ო რ ბ ო ბ ა

შეუვანებლად დელავენ ქარში
წელში გახრილი, ამჩატებული,
შავი ბალახის ცრუ თავთავები.
და ატყობ, ყოველ გაწვიმებაზე,
შეუმჩნეველად რომ იტანგება
შავი მესერი და ფირფიტები...

ვიღაცა დადის... ვიღაცის გვარი
შეუმჩნეველად შორდება აბრას.
დამსკდარ მიწაზე ის ხარობს მხოლოდ,
თავისი ნებით რაც ამოსულა.
მიცოცავს ზოგო და ფერდობისკენ
ჩრდილივით ნელა ისრება ჯვარი.

უკანასკნელი დღე

ნოდარ ჩხეიძის ხსოვნას

თითონ არ იცის, რა ელოდება,
ამ კაცმა, ასეთს რას უგრძნობს ტანში,
რა არ ასვენებს გათენიებიდან.
თითონ არ იცის, შლეგი სიცოცხლის
სანაპიროზე სანამდე ივლის;
შლამიან ქვებზე აგორავებულ
ტალღებს სანამდე ჩაატყურდება.
მითხრას, ვინ იცის, რა აერიალებს
სუსტი პეპლების მტვერში გავლებულ
ფოლადის ბოძებს, ცივსა და მძიმეს.
მითხრას, ვინ იცის, რა უნდა მოხდეს.
გასკდომოზეა, აგუბებს ყური
ავტობუსების საშინელ გრიალს.

ვერაფერს ახლა ვერ ხედავს იგი;
ვერც ამ დაბრეცილ ცემენტის კედელს,
ვერც შუშის აბრას — გაკრულს უგულოდ.
ვერ ხედავს და არც უნდა დანახვა
და ფიქრობს მხოლოდ: ცოტაც და გზაზე
შეხვდება ბიჭებს; ფიქრობს და მიდის,
მიდის, არსაით არ იხედება...

ამყოფეთ მარტო თავის ფიქრებთან...
ნუ გაუმტყუნებთ,
გაუგეთ,
ეს დღე
უკანასკნელი დღე არი მისი.

მ ო რ ი ბ ე ო ბ ა

მკერდზე ტყეები ისევ გეზრდება,
ლურჯი ყანები ისევ გეზრდება,
ისევ მიდიხარ და არ გბეზრდება:

მორიგეობა მამრის და მდედრის,
მზისა და მთვარის, შავის და თეთრის;

მორიგეობა პურის და შხამის,
ცეცხლის და ყინვის, შვილის და მამის...

სულ გველოს და ვერ ხედავდე კიდეს,
ტანჯვას — იმედი, ღამეს დღე ცვლიდეს.

მუხის ფეხებში ბრუნავდეს წვენი,
ნელა დნებოდეს ცხოვრება ჩვენი,
გავდეს ჩრდილებით მოქსოვილ ბადეს
ძველი თამაში სიზმრის და ცხადის.

გ ა ნ ა თ რ ა გ ზ ე ბ ი

საბჭოთა კოსმონავთებს

განათდა გზები ძიებისა,
ღრთები შეესხა მარადის წყურვილს
და ვარსკვლავებზე ასაფრენად გაიხსნა ზეცა.

ზეცავე გახსნილო,
ადამიანი უკვდავების წყალს დაეძებდა!
სიზმარეული და უძლური ნათება მთვარის,

ციურ ვენერას მარგალიტები —
ასე ახლოა კოსმიური განძი, ზეცაო!

და თითქოს დაერჩი დროის გარეშე
უსასრულო მგზავრობისათვის,
რომ სივრცეების ყვავილებით ავივსო
სული...

ს ე მ ი რ ა მ ი რ ა

ყნობავს უდაბნო შენს ბედს ლომივით
და ცხელ ტორებს აბჯენს ბაბილონს...
გადალურჯებულ ეფფრატის შლამზე,
მონათა სისხლზე
მომზრიალე ბაღები ჩაქრა.

რა არს ჩვენს შორის? —
მზით და ქარით გაცრილი სილა
და უშორესი ყვავილები მოგონებისა, —
განათებული
დაღუპული ბაღების სევდით.

• • •

იყოს ზარები ძოწეულის, ამ გაზაფხულთა,
ცეცხლის ზარებით ჩამორეკეთ ჩემი წარსული...

ვინ ეძიებდა
აქ ჩემსავით მარადისს ყვავილს?

თითქოს ვიღაცა ციმციმებდა ახლოს, სულ ახლოს,
ვერრა შევებდე, სინანულის თქმა ვერ შევძელი...
იყოს ზარები ძოწეულის ამ გაზაფხულთა,
იყოს ზეციდან ჩამოსული,
ფერი ენძელის.

ბოლოდინი


ოქმი დაღუპულ ბიძაშვილს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრება ზაფხული
მეწამულ ღრუბლით და ცის ყვავილით
და შემოდგომის მოლოდინი
წიფობელების ლაგვარდოვან ფრთებს ეფარება...

მიფრენენ წლები ოცნებებში, შრომაში, ფიქრში.
შორეულდება სახეები,
დნება და დნება,
მხოლოდ არ დნება მოლოდინი დაბრუნებისა
სანამდე დედის დაღუული გული წრიალებს.

ჯერ ვერ აღვმართე ობელისკი
მე თქვენთვის მზის ქვეშ,
ვერ გაგიმეტეთ... მოლოდინი როგორ დავმარხო,
სანამდე დედის დაღუული გული წრიალებს?



ჩემო საშობლოვ. მომის თაობა!

ცად აწვართული მთების სილალით,
სპეტაკი თრთოლვით მოდის თაობა,
რომელსაც ჰქვია უკვე სიმაღლე,
სიყვარული და გამბედაობა.

შენი ფიქრია და შენი სუნთქვა,
შენი სითბო და შენი ვენახი, —
უკრთის მიზანი წყაროსე სუფთა
და დღეს გამირობის ეამი ეძახის.

შენი ფესვია, შენი ძარღვია,
მიპაობს სივრცეს არწივას მზერით,
მზისკენ მოუსმობს ზეცა კარლია
და მიირწევა ზევით და ზევით.

ხვალინდელ მიზანს, ხვალინდელ სითბოს
ის ჩაებლართა ძელქვის ფესვებად, —
შობოლიურ ხალხზე ზრუნავს და ფიქრობს
და ამ სიყვარულს არც დაეხსნება.

არ დაეხსნება სასხლსავსე ასე,
რადგან საშობლოს ნახულობს ძილშიც,
არ დაეხსნება ოცნებით სავსე,
ნაყოფი გამძლე — ამაყი ჯიშის.

მან იცის რაა ცრემლები დედის
და შინმოუსვლელ მამებზე დარდა, —
დღეს გაუშლია ზღვასავით მკერდი
და ამ მიწაზე მაისად დადის.

ის ქმნის და იღწვის სიმაღლე შენი,
ზოგჯერ მქუხარე,
ზოგჯერ უთქმელი, —
სამშობლოვ ჩემო, დღეს რარივ გშვენის
მისი ქანგები და ჩუქურთმები.

ის, როგორც სუნთქვა და ცხელი სისხლი,
როგორც ფუტკარა წუთით არ ცხრება,
საქმე, სურვილი, სავალი მისი
მზეებზე ანათებს — არ დამარცხდება.

შენი რწმენაა, შენი მხატვარი,
მიუგავს სული დანთებულ კოცონს
და, გაიხედე, ირგვლივ რაც არის,
მისი საქმით და იმედით ცოცხლობს.

ცად აწვართული მთების სილალით,
სპეტაკი თრთოლვით მოდის თაობა,
რომელსაც ჰქვია შენი სიმაღლე,
სიყვარული და გამბედაობა.

ქ ა რ ი ა ლ ი

კლდეთა ქიმები ფიქრად მარტყია
და... შავ ლოდებზე თავს იკლავს თერგი,
არ ვიცი მე აქ სუსტი ბარტყი ვარ,
თუ მოშრიალე ჩინარის ნერგი.

მაგრამ დღესავით ცხადზე ცხადაა,
ახლა ქუჩივით ქარში ვკანკალე
და ეხედავ,
ეხედავ მკერივ და მადლიან

დიდ წინაპართა ძლიერ ნაკვალევს.
და მსურს მომაწყდეს მკერდზე ზვაგები,
ვიგრძნო ტკივილის მძაფრი ნათელი,
მაგრამ ეს რაა, თითქოს დავება
და მყინვარდება ჩემი სათქმელი.

ჩემი ძახილი ისე სუსტია,
ჩემივე ბაგის კართან იხშობა,
მაინც მივყვები კლდეთა უსიერ,
კლდეთა მქუხარე მარადისობას.

შიქაბი პირამიდასთან

ვდგავარ აქ, ახლა, როგორც მლოცველი
და ვარ უჩინო — ვნების წერტილი,
თრთის ვერცხლისწყალი — ნერვი ოცნების,
სამყაროს ზღვაში ფრთააწყვეტილი.
სისინებს ქარი, ქვიშის ხოშაკი
მიდაღებს სახეს საქსაულივით
და ვიცავ ახლა, როგორ შორს არი
წყარო-წყალი ჩემი წყურვილის.
შენ, პირამიდავ, გყვარდნობი მკერდათ
და მესმის,
მესმის მონათა კვნესა, —
სხვადასხვა სახის და ერთი ბედის
მე კვლავად მესმის, მონათა კვნესა.
აქ ფარაონის ნება-სურვილი
იყო მიზეზი გრიგალთა ქროლვის
და გლოვის ნასლით შემობურვილი
ეს პირამიდა, მნახველი ყოვლის,
დღეს აღმართულა, როგორც მუშია,
სდუმს ყინულივით, სიტყვას არ იღებს,
მაგრამ დაიკათ!
დღემდე უვლიათ,
იმ მიმწუხრისფერ ჭამთა თარიღებს?


წაბოებს სევდა შემოხვევით
და ღვრიან ცრემლებს კოკისპირულად:
— მათი ძვალია,
მათი ხელია,
პირამიდაში რომ ჩაკირულა.
მათი სისხლია, მათი ოფლია,
ამ ქვებს რომ ასე აერთებს მძაფრად, —
მონათა ხვედრი მძამე ყოფილა,
გამჩნება თვისმა წყვევლით თუ ზაფრა.
დამლაღადებენ დღეს თარიღები:
— იმ დარდებისთვის ვერ გვემეტები,
თუმც რას გაუგებ, შენც დაიღლები,
ლაბირინთებში პერგამენტების.
...მე კი მას ვეძებ, რასაც ვეძებდი,
ტვიანის უკრედებს ფიჭვი აწყვდება,
თუმცა ბლავილი დაჭრილ ვერძების,
ქვიშის უერცეს ზღვას ვედარ გასწვდება.
ხელაპყრობილი, როგორც მლოცველი,
ვდგავარ აქ ახლა,
როგორც წერტილი, —
მიპქრის შორეთში სხივი ოცნებას,
სამყაროს ზღვაში ფრთააწყვეტილი.

ვეჯეჩანი

შენ ჰგავხარ დაღლილ მდინარის ვნებას, —
ყვითელ ფოთლების მთვლემარე ჩრდილი
მკერდზე გაწვება და შენ კი ცდალობ,
რომ იგი არვიან არ შეამჩნიოს.
მაგრამ ნიღაბი არის უმწეო
და ვედარ ფარავს, რაც სინამდვილემ
უკვე დაატყო, ოდესღაც ძლიერ,
ოდესღაც მქუხარ სისხლის დინებას.
რას იზამს კაცი, ვერ გაეჭყვება
მიზანს დროას და...
ლოდინს სივრცისა,
რომლებიც ნატიფ ოსტატის ხელით
აჩუქურთმებენ ფერისცვალებას.

შენი საუნჯე და შენი ძალა
და შენი ნერვის ყოველი ფეთქვა
შენ ჩააქსოვე კეთილ და ნამდვილ
ასე საჭირო დაად სუნთქვაში.
შენი ხელები ჰგვანან ლიანდაგს,
უკვე გაცვეთილს,
რომლებზეც ახლა
არ მიმოდინ მატარებლები,
ოდესღაც მიზნით, რომ მქუხარებდნენ.
შენი თვალების ამღვრეულ ტბაში,
რომელიც ერთდროს კრთოდა იისფრად.
არ ირკვლება უწინდებურად
უსაზღვროების შეცნობის სხივი.

დღეს შენი ყურის ორი ნიჟარა
ისე ძალუმად,
ისე მკაფიოდ
ვერ ისმენს ბგერებს და მაჯისცემას
უკმარობის თუ ჩუმი ძახილის.
მაგრამ შენა ხარ წარსული ჩვენი
და დიდხანს უნდა უყურო იმ მზეს,
რომელსაც სითბო უბოძე შენაც,
შენი საქმით და შენი კაცობით.
რა ვუყოთ ჰგაეხარ დადლილ მდინარეს,
მაგრამ იცოდე ნეკერჩხლის ტოტი,
რომელიც ახლა ჩვენ მოგიტანეთ,
არის ნიშანი მარად სიმწვანის.



გიორგი შიგაური

• • •

რაზლივი,
ქოხი,
მარტოობა,
ხეთა შრიალი,
მწვანე ველი და
ყვავილების ნაზი ფერხული,
ერთი უებრო,
გულმართალი ადამიანი
ქოხში მცხოვრები
მშვიდად,
გლესურად.

თუმცა სიმშვიდეს იქ რა უნდა,
სადაც ბრძოლების,
სადაც მომავლის
იჭედება მძლე ასპარეზი...
შორს გააწვდინა
თვალი გონების
და იმედივით
აციმციმდა შუქი თვალეებში

აქ, ფიცრულ ქოხში
ის ცხოვრობდა მართლაც გლესურად,
ის ვერ დაღალა
ქარიშხლიან დღეთა ჭენებამ,
თივაზე იწვა
და საბნადაც თივა ეხურა,
არც უნატრია
მასზე დიდი ბედნიერება...

თეთრად გატეხილ ღამეების
გადიდდა რიგი,
ქალაღს სიცოცხლედ დაეპკურა
ნათელი აზრი,
თავისუფლების
უკვდავი წიგნით
მან უკვდავება მოუტანა
პატარა რაზლივს.

უ კ ვ დ ა ვ ე ბ ა

სიკვდილიც არჩევს,
მასაც უყვარს ბრძენი და ქველი,
მან არჩევანით აამაღლა
სიცოცხლის ფასი,
ჩონჩხად ქცეული ასწია ხელი
და პა, საწუთროს
მისი ხელის ბეჭედი აზის.

პოი, რამდენმა ჩაიმუხლა
ხატქით და ზარით,

არ გვინდა ცრემლი,
მწუსარება,
სევდის ცდუნება,
გმირებმა ღია დაგვიტოვეს
მომავლის კარი
დიდი სიცოცხლის დასაბრუნებლად.

ნუ დავღონდებით,
გულს ვაგბით ნუ ავხდით სარქველს,
მათ განშორებას,
ძმანო, სიკვდილს ამაოდ ვარქმევთ.

სიკვდილიც ფიქრობს,
მასაც უყვარს ჯიშო მამაცთა
და აშაღლება სიცოცხლის ფასის
და თუ ბრძოლებში

თვით სიკვდილიც ბევრჯერ დამარცხდა,
ამ გამარჯვებას
უკვდავების ბეჭედი აწიხ

არქონული
ფიქსური

თეთრი კაცა

გაბრიელ ჭაბუშანიურს


ის მძიმედ სუნთქავს თბილისის ჰაერს,
ქათქათა კედლებს აყოლებს მზეერას,
ამბობს:

— ბავშვები ნაძვის ხეს რთავენ.
თოვლის ბაბუა ვიქნები, მჯერა.

თავდახრილია, როგორც თაველი,
შველას მთხოვს,
ნეტავ შემეძლოს შველა...
ასე თუ სწუხდა დიდი ფშაველიც,
როცა ქქრებოდა თვალების ელვა.

მერე რაღაცა უცნაურს ითხოვს.
აღელვებით და თავდაჯერებით,
გახსენდება არხვატი, მითხი
და ფოთოლივით უთრთის ხელები.

თავზე ვადგევარ მწედ და მსახურად,
ლიმილით მტოვებს კაცი ნამდვილი...
როცა სამშობლოს ზეცა გახურავს,
თურმე სიკვდილიც არის ადვილი.





სარბი ბარამიძე

ვ. ი. ლენინი ომისა და არმიის შესახებ

როგორც ცნობილია, ექსპლოატატორთა კლასის იდეოლოგებმა და ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა, ფილოსოფოსებმა და სამხედრო თეორეტიკოსებმა ომის წარმოშობი მიზეზების ნამდვილ არსს მართალი ახსნა კლასობრივი შეზღუდულობის გამო ვერ მოუძებნეს. უფრო მეტიც, ისინი დაინტერესებულნი იყვნენ მიეჭმალათ და დაემახინჯებიათ ომის გამოწვევი მიზეზების ნამდვილ შინაგანი ბუნება.

ომისა და არმიის წარმოშობის ნამდვილ მიზეზებს შესაებ სწორი მეცნიერული მოძღვრება პირველად შეიმუშავეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა. მათ ახსნეს და გამოაშკარავეს ომის ნამდვილი არსი, მიუთითეს იმაზე, რომ ომის წარმოშობა დამოკიდებულია საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებზე და საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაზე, ე. ი. მათ დაასაბუთეს, რომ ომი დამოკიდებულია წარმოების წესზე, საზოგადოებაში არსებულ მტრულ კლასებზე. მაგრამ ეს მოძღვრება მათ შეჭმენეს მონოპოლისტურ კაპიტალიზმამდე და ამიტომ მათ არ შეეძლოთ გაეთვალისწინებინათ ომის წარმოშობის მიზეზები იმპერიალიზმისა და პრიულტარული რევოლუციის ეპოქისათვის.

ვ. ი. ლენინმა ისტორიაში წარმოებულ ომების ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე დაამუშავა იმპერიალიზმის ეპოქაში ომის წარმოშობი მიზეზები და ხასიათი. მან გვიჩვენა, რომ ომი კლასთა შორის პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი ფორმაა და თავისი სოციალური შინაარსით ამა თუ იმ კლასის პოლიტიკის გავრცელებას ძალდატანების საშუალებით. „...სწორედ ასეთი იყო ყოველთვის თვალსაზრისი მარქსისა და ენგელსისა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომლებიც ყოველ ომს უფრებდნენ როგორც მოცემულ, დაინტერესებულ სახელმწიფოთა — და მათ შიგ-

ნით სხვადასხვა კლასთა-პოლიტიკის განვრცობას მოცემულ დროს-1

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ომისა და არმიის შესახებ აიარაღებს საბჭოთა ხალხს ომისა და არმიის წარმოშობის კანონზომიერებათა ცოდნით, გასაღებს აძლევს მას საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი ამოცანების ღრმა ცოდნისათვის. ამიტომ ეს მოძღვრება წარმოადგენს საბჭოთა სამხედრო იდეოლოგიის თეორიულ საფუძველს. ეხმარება პრიულტარიატს, ყველა მშრომელს სწორი პოლიტიკა გაატაროს ომისა და მშვიდობის საკითხებში, ამ მოძღვრების გენიალური დებულებები ღრმად აშუქებს თანამედროვე ვითარების საკითხებს, განსაზღვრავს ხალხთა მსახურის ბრძოლის გზებს მშვიდობისათვის ომის გამწაღებლების წინააღმდეგ.

ბურჟუაზიული თეორიები ომს აღიარებენ გარდაუვალ მოვლენად, მარქსიზმ-ლენინიზმი გეასწავლის, რომ ომი არის ისტორიული მოვლენა, რომელიც წარმოიშობა საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ საფეხებზე. მარქსიზმ-ლენინიზმი კონკრეტული ფაქტების საფუძველზე ისაბუთებს, რომ კლასობრივ საზოგადოებამდე არსებულმა პირველყოფილმა საზოგადოებრივმა წყობილებამ არ იცოდა ომი.

ამ საზოგადოების ცხოვრებას არ შეუქმნია ომისათვის წინამძღვრები. აქ არ იყო კერძო საკუთრება და კლასები, არ იყო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, არ იყო სახელმწიფო. ამიტომ შეიარაღებული შეჯახებანი, რომელსაც ადგილი ჰქონდათ ცალკეულ ტომებსა და გვარებს შორის, არ ისახებოდა მიზნად ერთი ტომის მიერ მეორე ტომის დაპყრობას.

შეიარაღებულმა შეტაკებებმა ომის ხასიათი

მილო მამინ, როცა დაიწყო პირველყოფილი საზოგადოების რღვევა, როცა წარმოიშვა კერძო საკუთრება საწარმოო იარაღებსა და საშუალებებზე, წარმოიშვა კლასები და სახელმწიფო, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

კერძო საკუთრების წარმოშობამ ომი გახადა სახელმწიფოს რეგულარულ ფუნქციად, ექსპლოატატორული კლასების ინტერესების დასაცავად მისი ბატონობის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის, სხვა ხალხების დამონებისა და გაძარცვის საშუალებად.

ვ. ი. ლენინმა ღრმად შესწავლა რა ომის წარმოშობის მიზეზები და პირობები იმპერიალიზმის ეპოქაში, აღნიშნა, რომ მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა თვით მოიცავს კრიზისებსა და სამხედრო შეჯახებებს, რაც ვაპირობებულია კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარებით. ჩვენს დროში, იმპერიალიზმის ეპოქაში, კიდევ უფრო ღრმავდება კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა და იგი ღებულობს ნახტომისებურ ხასიათს, რასაც მიყვებათ მსოფლიო კაპიტალიზმის შეგნით წინაწარობის დაღრვევამდე. იწყება ბრძოლა კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და შონოპოლისტურ გაერთიანებებს შორის გავლენის სფეროების გაფართოებისათვის შეიარაღებული ძალების გამოყენებით, რასაც ნათლად მოწმობს პირველი და მეორე მსოფლიო იმპერიალისტური ომების მავალით.

კაპიტალიზმს არ შეუძლია იარსებოს ომის გარეშე, განსაკუთრებით ხშირი ვახდა ომები იმპერიალიზმის ეპოქაში, რასაც ნათლად ადასტურებს ის ფაქტი, რომ მხოლოდ XX საუკუნის პირველ ნახევარში ადგილი ჰქონდა 30 ომს, მათ შორის ორ მსოფლიო ომს.

ამრიგად, ომი არის სოციალურ-ისტორიული და არა მარადიული მოვლენა, როგორც ამას ამტკიცებენ ბურჟუაზიული თეორეტიკოსები. ომი წარმოიშობა იქ და მამინ, სადაც და როცა წარმოიშობა კერძო საკუთრება, კლასი და სახელმწიფო.

საბჭოთა კავშირში მოსპობილია ექსპლოატატორთა კლასი და კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებებზე. სსრ კავშირის სახელმწიფო წყობილების სოციალისტურ ხასიათიდან გამომდინარეობს მისი თამიმდგრეყოლი სამშენილობო პოლიტიკა, რომელიც თვალსაჩინოდ ადასტურებს მარქსისტული ღებულების ქეშმარბიტებს ომის, როგორც სოციალურ-ისტორიული მოვლენის შესახებ, რომელიც წარმოშობა ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებრივ ურთერთობაში.

ვ. ი. ლენინი გვისწავლის, რომ ომი თავისი სოციალური შინაარსით არის ამა თუ იმ კლასის პოლიტიკის გავრძელება ძალდატანებითი საშუალებით.

საზოგადოებაში, რომელიც დაყოფილია ან-

ტაგონისტურ კლასებად, ომი არ არის და არც შეიძლება იყოს ზეკლასობრივ, უფუფუნადი ომი ატარებს კლასობრივ ხასიათს. ე. ი. კლასობრივ მოცემულ საზოგადოების გარკვეულ კლასის გარკვეულ ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს.

რომ განვსაზღვროთ ომის არსი, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, უნდა გამოვიღეთ იმ ღებულებიდან, თუ „რა კლასობრივი ხასიათი აქვს ომს, რის გულნათვის ატუდა ეს ომი, რომელი კლასები აწარმოებენ მას, რა ისტორიულმა და ისტორიულ-ეკონომიურმა პირობებმა გამოიწვიეს ის“. ვ. ი. ლენინი გამოიღოდა რა ამ ღებულებიდან გვიჩვენა პირველი იმპერიალისტური ომის ხასიათი, რომ იგი იყო შტრულ დაჯგუფებათა გაბატონებული კლასების, ანტიანტისა და „სამთავროების“, ურთიერთ ომი. ეს იყო იმ პოლიტიკის გავრძელება ძალდატანებითი საშუალებით, რომელსაც ისინი ატარებდნენ ომამდე.

მარქსისტულ-ლენინური თეორია ომის წარმოშობის მიზეზებისა და მისი არსის შესახებ წარმოადგენს მჭლარ იარაღ ბურჟუაზიულ-რეაქციულ თეორიის წინააღმდეგ.

ამჟამად კაპიტალიზმის სამუაროში გავრცელებულია ცრუმეცნიერული თეორიები ომების შესახებ. მათ შორის აღსანიშნავია ეთიკური, ბიოლოგიური და სხვ.

ეთიკური თეორია, რომელმაც ფართო გავრცელება პოეზა ბურჟუაზიულ სახელმწიფოსა და ხალხთა ცხოვრებაში, ომს აღიარებს უმალეს „მორალურ საწყისად“. ამ თეორიის მიხედვით მშვიდობა მიზეზია განვითარების შეჩერებისა და ხალხთა ცხოვრების შეწყვეტისა. ამიტომ ომი ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში სასარგებლო მოვლენაა, იგი აწინააღმდეგებს მის შეშოქმედებით ძალეებს, იცავს მას შეჩერებისა და ლბობისაგან. ეს თეორია მეორე მსოფლიო ომის დროს გამოიყენეს პიტლერულბმა, რომლებიც ხალხთა მიმართ მხვეურ მოპყრობას ფარავდნენ ეთიკური თეორიის ფარით. ეს თეორია ამჟამად ამერიკისა და ინგლისის ომის გამაღლებულია აბსენალშია.

ლენინური თეორია ახვეს, აგრეთვე, ეგროფორდებულ ომის ბიოლოგიური თეორიის მომხრეებს; ისინი ამტკიცებენ, რომ ომი წარმოადგენს არსებობისათვის ბრძოლის კანონზომიერი მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ადამიანთა საზოგადოებაში.

ახლა ომის ბიოლოგიური თეორია მოღაშია ამერიკის ომის გამაღლებლებთან. ასე მაგ., რეაქციონერი დივი ამტკიცებს, რომ ომი ვარაუდულია მოვლენაა, რაც გამომდინარეობს თვით ადამიანის ბუნებიდან; თითქმის ადამიანის სისხლში ჩაქსოვილია მისწრაფება იჩხუბონ

და დახკონ ერთმანეთი, რაც განაპირობებს ხალხთა და სახელმწიფოთა შორის ომებს. ასეთი მსჯელობა მიზნად ისახავს ომისა და მილიონობით ადამიანთა დახოცვისათვის კაპიტალიზმის პასუხისმგებლობა ვადაპირალონ ბუნებას.

საესებით მხილებულია ომის ბიოლოგიური თეორიის ნაირსახეობა, კერძოდ ომის რეაქციული, კაცობაძლე რასობრივი თეორია, რომელიც ადრე იყო გერმანულ ფაშისტთა შეიარაღებაში, ამჟამად ფართო გავრცელება ქვეა ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებში.

რასიზმის, მხეცური ნაციონალიზმის მეორე მხარეს წარმოადგენს კოსმოპოლიტიზმი. აშშ. მილიარდერთა და მათ მსახურთა მემარტოვე სოციალისტების ბანაკიდან გაძლიერებით ქადაგებენ, რომ ეროვნულ სუვერენიტეტის ცნება მოძველდა და მოკმა თავისი დრო. ამიტომ საჭიროა უარი ვთქვათ ეროვნულ სუვერენიტეტზე, მოვხსნათ ეროვნული სახელმწიფოს საზღვრები და შევქმნათ „მსოფლიო მთავრობა“, ამერიკის იმპერიალისტების ხელმძღვანელობით. ეს თეორია დასჭირდათ მათ იმისათვის, რომ ლიკვიდაცია უყონ ხალხთა ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, უზრუნველყონ ამერიკის იმპერიალისტთა მსოფლიო ბატონობა.

თანამედროვე ამერიკელმა კაცობაძეებმა განააღეს მალთუნის თეორია, მოითხოვენ ათეული, ასეული მილიონობით ადამიანის მოსპობას.

ომის სხვადასხვა, ბურჟუაზიულ-რეაქციული თეორია ბევრია, მაგრამ მათი მიზანი და დანიშნულება ერთია, დაფირონ ომის ნაღვლილი არსი და დასაბუთონ ომის გარდაუვალობა და მარადიულობა.

მარქსისტულ-ლენინური თეორია ომის წარმოშობის მიზეზებისა და არსის შესახებ ვამბობდაღვრებულ დარტყმას აყენებს ყველა ამ კრულ რეაქციულ თეორიას და გვიჩვენებს ერთ-ერთ სწორ გზას ომიდან თავის დაღწევისათვის, კაპიტალიზმის მოსპობისა და მიერ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

ომის წარმოშობასთანაა დაკავშირებული არმიის წარმოშობაც. ვ. ი. ლენინი გვესწავლის, რომ არმია წარმოიშვა პირველ კლასობრივ საზოგადოების წარმოშობასთან ერთად, მონათმფლობელურ, ექსპლოატატორულ სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად.

ცნობილია, რომ ექსპლოატატორული სახელმწიფო აბორცელებს ორ ძირითად ფუნქციას: სამინაო პოლიტიკის დარტყმის მარხილესში იყოლიოს ექსპლოატირებულთა უმრავლესობა და საგარეო პოლიტიკის დარტყმაც გაფართოოს ტერიტორია სხვა სახელმწიფოს ხარჯზე. ამრიგად, არმია წარმოადგენს ექსპლოატატორულ სახელმწიფოს მთავარ იარაღს, როგორც სამინაო, ისე საგარეო პოლიტიკის ძალდატანებით

განხორციელებისათვის. ეს ფუნქცია განსაკუთრებული ძალით ვლანდება ბურჟუაზიული სახელმწიფოს არმიაში. ამიტომ არმია ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის მთავარი შემადგენელი ნაწილია, მისი მეხუბებით ბურჟუაზია ბატონობს ექსპლოატირებულთა უმრავლესობაზე.

ამერიკისა და ინგლისის თანამედროვე იდეოლოგიები ცდილობენ დაამტკიცონ თავისი არმიის ზეკლასობრივი ხასიათი, ისინი აღნიშნავენ, რომ არმია დგას პოლიტიკის გარეშე და მოწოდებულია იმოქმედოს არა გაბატონებულ, ექსპლოატატორული კლასის ინტერესებისათვის, არამედ შეასრულოს საერთო ეროვნული ამოცანა, იგი წარმოადგენს მთელი ხალხის შეიარაღებულ ძალას და არა ექსპლოატატორთა ხელისუფლების განმტკიცების იარაღს.

სინამდვილეში იმპერიალისტური სახელმწიფოს არმია, პირველ რიგში, აშშ, ინგლისს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა, ემსახურება მონოპოლისტური კაპიტალის ხელისუფლების განმტკიცებას, მისი აგრესიული პოლიტიკის განხორციელებას. იგი მმართველია პროვრესის წინააღმდეგ, მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ გაბატონებული კლასის არმიასთან ერთად კლასობრივი საზოგადოების ბერიოლში ჩაგრული ხალხები აყენებუბასა და პერიუტეებში ქმნიდნენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს.

პირველი ცდა მსოფლიო ისტორიაში თავისი რევოლუციური არმიის შესაქმნელად პროლეტარიატმა ჩაატარა 1871 წელს, პარიზის კომუნის დროს. მაგრამ იმის გამო, რომ კომუნამ დღახან ვერ იარსება, მან ვერ შესძლო განმტკიცებინა და განეციარებინა შეიარაღებული ძალები.

ბოლშევიკური პარტიის დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი, გამაღიოდა რა მარქსისა და ენგელსის მოძღვრებიდან ომისა და არმიის შესახებ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პროლეტარიატის რევოლუციური არმიის შექმნას. იგი არაერთხელ მიუთითებდა, რომ „გაბატონებულმა კლასმა, პროლეტარიატმა, თუკი მას სურს ბატონობა და იბატონებს, უნდა დაამტკიცოს ეს თავისი სამხედრო ორგანიზაციით“¹

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა ამ ახალი ტიპის არმიის მშენებლობის პრინციპები, სამხედრო იდეოლოგია და მეცნიერება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსვლელობაში, დათხოვნილ იქნა ძველი, ბურჟუაზიულ-მემპლუტური არმია და შეიქმნა ისტარიაში ჯერ არსახელი, ახალი ტიპის არმია, სოციალისტური სახელმწიფოს არმია, რომელიც მოწოდებული იყო დაეთრგუნა დამხობილ ექსპლოატატორთა კლასის წინააღმდეგობა და დაეცა ჩვენი ქვეყანა ინტერვენტებისაგან,

უწინებლყო სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესები.

საბჭოთა არმია, როგორც ახალი ტიპის არმია, თავისი კლასობრივი ბუნებითა და ამოცანებით, პრინციპულად განსხვავდება ექსპლოატატორული სახელმწიფოს არმიისაგან. საბჭოთა არმიის პრინციპული განსხვავება კაპიტალისტური სახელმწიფოს არმიისაგან გამომდინარეობს თვით სოციალისტური წყობილების პრინციპული განსხვავებიდან.

საბჭოთა არმია მთელი მსოფლიოს მშვიდობის უდიდესი ფაქტორი გახდა, მოიპოვა მთელი პროგრესული კაცობრიობის სიყვარული და აღიარება.

საბჭოთა არმიამ იმპერიალისტ აგრესორთა განადგურებით, დასავლეთსა და აღმოსავლეთში, დაიკვა საბჭოთა ხალხის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, იხსნა იეროპისა და აზიის ხალხები ფაშისტ-იმპერიალისტ დამპყრობთა და-მონებისაგან. ამიტომ არის, რომ საბჭოთა არმიის რიგებში სამსახური ჩვენი ქვეყნის უველი შეგომრისათვის წარმოადგენს სიამაყეს. საბჭოთა არმიისათვის არ არის რა იმაზე მაღალი და ძვირფასი, როგორც სოციალიზმის ქვეყნის შეინარღებული ძალების გმირული ტრადიციების განმარტება და გამორელება.

საბჭოთა არმიის მსავსელ შენდება ახალი არმია სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ეს არმიები დგანან ხალხთა ინტერესების დაცვის სადარაჯოზე, იცავენ მათ სახელმწიფოებრივ და ეროვნულ დამოუკიდებლობას.

ომსა და არმიის შესახებ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ომისა და პოლიტიკის კავშირის საკითხს, და ეს შემთხვევითი არ არის, რადგან ამ კავშირის სწორი გაგებდან გამომდინარეობს ამა თუ იმ ომისადმი პოლიტკრიტიკის პარტიის დამოუკიდებულების პრინციპობა.

რამი გამოიხატება კონკრეტულად ომისა და პოლიტიკის კავშირი? ამ საკითხზე ამომწურავ პასუხს იძლევა ვ. ი. ლენინი, იგი წერს: „ომების მიმართ ძირითადი დებულება დიალექტიკისა ის არის, რომ ომი არის მხოლოდ განგრძობა პოლიტიკის სხვა (სახელმობრ, ძალდატანებით) „საშუალებით“... სწორედ ასეთი იყო ყოველთვის თვალსაზრისი მარქსისა და ენგელსისა, რომლებიც ყოველ ომს უყურებდნენ როგორც მოცემულ დანტერესებულ სახელმწიფოთა, და მათ შვინიტ სხვადასხვა კლასთა, პოლიტიკის განგრძობის მოცემულ დროს“¹.

ამრიგად, ომსა და პოლიტიკის შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. პოლიტიკა წარმოშობს ომს, ომი არის პოლიტიკის გაგრძელება ამა თუ იმ კლასის მიერ ძალდატანებითი საშუალებით.

ვ. ი. ლენინი გვესწავლის, რომ ომი პოლიტი-

კის გაგრძელებაა ანა უველი კლასებისა, არამედ განსაზღვრული კლასისა. საზოგადოებაში, რომელიც დაყოფილია ანტაგონისტურ კლასებად, არ არის და არც შეიძლება არსებობდეს სობრივი პოლიტიკა. გაბატონებულ პოლიტიკის წარმოადგენს გაბატონებულ კლასის პოლიტიკა.

ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ პოლიტიკა გამოსახავს კლასებს შორის ურთიერთობას და კლასებს შორის ბრძოლას, რომელიც თავის საფუძველთ ჩაქსოვილია მოცემულ საზოგადოების ეკონომიურ ერთეულობაში. ამდენად პოლიტიკა არის ამა თუ იმ კლასის ეკონომიურ ინტერესების კონცენტრირებული გამოსახულება.

მარქსიზმ-ლენინიზმს, განსაზღვრავს რა ომს, როგორც პოლიტიკის გაგრძელებას, შედეგელობაში აქვს მთლიანად როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკა, რადგან საშინაო და საგარეო პოლიტიკა იმყოფება განუყოფელ ერთეულობაში, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა გამომდინარეობს მისი საშინაო პოლიტიკიდან. ამასთან დაკავშირებით, ვ. ი. ლენინი წერს „ომი არის იმ საშინაო პოლიტიკის ანარკული, რომელსაც ესა თუ ის ქვეყანა აწარმოებს ომის წინს“¹ ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს აშშ, იგი ატარებს რეაქციულ საშინაო პოლიტიკას და ახშობს ქვეყნის შიგნით დემოკრატიულ უფლებებს. ამ რეაქციულ საშინაო პოლიტიკის ანარკულია მისი რეაქციული საგარეო პოლიტიკა, რომელსაც ნათლად მოწმობს მარცხეველური ომი ვიეტნამში, რეაქციული რეჟიმის დამყარება მათდამი დამოუკიდებულ მთელ რიგ ქვეყნებში, მილიტარიზაცია დასავლეთ გერმანიისა და იაპონიისა, შესამე მსოფლიო ომის მზადება.

პოლიტიკა არა მარტო წარმოშობს ომს, არამარტო შეადგენს მის არსს, არამედ განსაზღვრული ძალით მოქმედებს ომის წარმოების საშუალებებზე და მის მოშაღებაზე. პოლიტიკა განსაზღვრავს საშეღრო სტრატეგიის ხისდასსა და მიზანს, უშუალო გავლენას ახდენს საშეღრო ომქმედების მველობაზე. პოლიტიკის სტრატეგიასთან კავშირი და პოლიტიკის განსაზღვრული გავლენა საშეღრო სტრატეგიაზე მდგომარეობს იმაში, რომ ავანტიურისტულ პოლიტიკურ მიზანს მიყავს ავანტიურისტულ საშეღრო სტრატეგიასთან და იწვევს მის ჩაფუშვას.

პიტერებლები ანადებდნენ რა მეორე მსოფლიო ომს თავის პოლიტიკურ მიზნად ისახედნენ მსოფლიო ბატონობის მოპოვებას, მაგრამ ისინი არ ითვალისწინებდნენ მოწინააღმდეგეთა ძალასა და შესაძლებლობას, პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის ძალასა და შესაძლებლობას. ამ

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 21, გვ. 255-256.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 20, გვ. 166.

ავანტიურისტულმა მოქმედებამ ფაშისტური გერმანიის მიიყვანა სამხედრო კატასტროფამდე.

და, პირიქით, ლენინური ბრძნული პოლიტიკა, რომელიც საფუძვლად დაედო საბჭოთა შეიარაღებული ძალების სტრატეგიას, წარმოადგინდა უმნიშვნელოვანეს პირობას საბჭოთა ხალხის ისტორიულ-გამარჯვებისა დიდი სამამულო ომის წლებში.

ამივად, სწორი სტრატეგია გადამწყვეტ გეულენას ახდენს ომის მსვლელობასა და მის დასრულებაზე, სწორი სტრატეგია კი შენდება სწორ, პროგრესულ პოლიტიკაზე, რომელიც საკვებლობს ხალხს თანავრძობითა და მხარდაჭერით.

ომი, რომელიც წარმოიშვა გაბატონებული კლასის პოლიტიკით, ამასთანავე ახდენს თავის მხრივ ზემოქმედებას პოლიტიკაზე. ომს შეუძლია დაადასტუროს ამა თუ იმ პარტიის, კლასის პოლიტიკის სისწორე და ცხოველყოფილობა და, პირიქით, მიიყვანოს კრახამდე, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, გვიჩვენოს სხვა კლასებისა და პარტიის პოლიტიკის გაყოფილება.

ომს შეუძლია გააძლიეროს ან შეამციროს პოლიტიკით დასასული მორანი. ასე, მაგალითად, მეორე მსოფლიო ომი გერმანელმა ფაშისტებმა წამოიწყეს თავიანთი ინტერესებისათვის, მაგრამ ომი შემობრუნდა თვით ომის გამაღებლების წინააღმდეგ, რამაც სრულ კრახამდე მიიყვანა პიტერელთა ფაშისტური პარტია და გერმანელი იმპერიალისტების პოლიტიკა და, პირიქით, ომმა გვიჩვენა საბჭოთა სახელმწიფოს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის სისწორე და ცხოველყოფილობა.

დამოკითხვა, ომის მსვლელობამ და დასასრულმა შეიძლება დაამტკიცოს ან დაამუხრუჭოს რევოლუცია. მაგალითად, ცარიზმის დამარცხებამ რუსეთ-იაპონიის ომში დაამტკიცა რუსეთში მომწიფებული რევოლუცია, 1905 და, პირიქით, 1914 წელს რუსეთში მომწიფებული იყო რევოლუცია, მაგრამ დაწყებულმა იმპერიალისტურმა ომმა დაამუხრუჭა და გადადო იგი 3 წლით.

ასეთია ომისა და პოლიტიკის ურთიერთგავლენა, მაგრამ პოლიტიკა თავის მხრივ შეპირობებულია განსაზღვრული მატერიალურ წარმოების დონით — ეკონომიკით.

„ანტილიურინგში“ ენგელსი წერს: „არავინ არ არის ისე ძლიერად დაყვშირებული ეკონომიკისთან, როგორც არმია და ფლოტი. შეიარაღება, ორგანიზაცია, ტექნიკა და სტრატეგია იმყოფებიან პირდაპირ დამოკიდებულებაში წარმოებასა და ეკონომიკის საშუალებების განვითარების დონესთან“.

ვ. ი. ლენინმა მარქსისტული დებულება ომის ეკონომიკასთან დამოკიდებულების შესახებ განავითარა იმპერიალიზმის ეპოქისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ მისად.

იმპერიალიზმის ლენინური თეორიის მოცულება მარქსისტული დებულებაზე, რუსეთ-ყავშირის შესახებ კაპიტალიზმის მსოფლიო-ისტორიულ-მსოფლიო კაპიტალიზმის მეურნეობის კრიზისთან, რომლისგანაც წარმოიშობა ომი.

ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, რომ თანამედროვე ისტორიულ ვითარებაში ომის დამოკიდებულება ეკონომიკასთან არ განისაზღვრება ომის წარმოების საშუალებებითა და მიზნებით.

ეკონომიური ფაქტორები დებულობს ახალ ხარისხობრივ მნიშვნელობას. ისინი პირველხარისხიანად როლს თამაშობენ ომის დასასრულზე მთლიანად.

ამ დებულებებმა თავისი გამოსახელება პირველ მუდმივმოქმედ ფაქტორებში, რომელიც შორის მნიშვნელოვანია: ზურგის სიმტკიცე, დივიზიის რაოდენობა და ხარისხი, არმიის შეიარაღების პირდაპირი დამოკიდებულება ეკონომიკაზე.

სწარმოო ძალების განვითარების დონეზე დამოკიდებული შეიარაღების რაოდენობა და ხარისხი, ეს უკანასკნელი კი განისაზღვრავს ომის წარმოების საშუალებათა ცვლილებებს. რამდენადღაც წარმოება არ დგას მუდმივად ერთ ადგილზე, ამდენად იგი მუდმივად მოქმედებს სახელმწიფო ტექნიკის განვითარებაზე, ომის წარმოების საშუალებათა ცვლილებებზე.

ომის შესაბამისად აზუსტებდა და აკონკრეტებდა რა ენგელსის დებულებას ი. სტალინი, თავის შრომაში. „რუსი კომუნისტების სტრატეგია და ტაქტიკა“-ში ხაზს უსვამდა იმას, რომ ომის წარმოების ხერხები, ომის ფორმები ყოველთვის როდია ერთნაირი. ისინი იცვლებიან განვითარების პირობების მიხედვით, უწინარეს ყოვლისა წარმოების განვითარების მიხედვით. ჩინგის-ყუჩის დროს ომი სხვანაირად წარმოებდა, ვიდრე ნაპოლეონ III-ის დროს, XX საუკუნეში სხვანაირად წარმოებს, ვიდრე XIX საუკუნეში.“¹

მაგალითად, XIX საუკუნეში ძირითადი იყო მანევრული ომი. მაგრამ მრეწველობის განვითარების შედეგად, ნაღმტყორცნი იარაღისა და სწრაფმსროლელი არტილერიის გამოგონებით, მანევრული ომის ხასიათი იცვლება და გადადის პოზიციურ ომზე. პირველი იმპერიალისტური ომი ხასიათდება ზღვიდან ზღვამდე პოზიციური ომის ხასიათით. მაგრამ მრეწველობის შემდგომმა განვითარებამ არამის მისცა შეიარაღების ისეთი სახე, როგორიცაა ტანკი, თვითმავალი, არტილერია, რეპტიული ავიაცია. ამან განააღებრა ომის წარმოების სხვა წესი, ვ. ი. ახალ საფუძველზე წარმოიშვა მანევრული ომის ტექნიკა. მეორე მსოფლიო ომი იყო მანევრული ომი, მოტორებით ომი.

¹ თანამედროვე ომი მოითხოვს მტკიცედ მოწეს-

რიკებულ, განვითარებად სამხედრო მეურნეობას, კაპიტალისტურ-საზოგადოებრივ წყობილებას თავისი ბუნების გამო არ შეუძლია სწრაფად და წარმატებით შექმნას სამხედრო მეურნეობა. ენობლია, რომ აშშ-ს, რომელსაც დიდად განვითარებული საწარმოო ძალები აქვს, მეორე მსოფლიო ომის დროს თავისი მეურნეობის სამხედრო რესურსებზე ვადაყენისათვის დაუჭირდა დაახლოებით ორნახევარი წელიწადი.

სამხედრო ეკონომიკა მონოპოლისტებს აძლევს ერთი მხრივ უდიდეს მოგებას და ამდინდრებს მათ (მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ მონოპოლისტებმა წმინდა მოგება მიიღეს 87 მილიარდი დოლარი, რაც 14-ჯერ აღემატება 1939 წლის მოგების დონეს), მეორე მხრივ, შრომელთა მასებთან თავის სამხედრო ეკონომიკას მოაქვს შრომის კატორღული რეჟიმი, ძარცვა და სიღატაკე.

ჩვენთან სამხედრო ეკონომიკა ეყრდნობა რა საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, ატარებს სულ სხვა ხასიათს და უდიდესი უპირატესობა გააჩნია კაპიტალისტურ სამხედრო ეკონომიკასთან შედარებით.

მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ უზრუნველყო სამხედრო მეურნეობის გეგმიანი ხასიათი, უზრუნველყო ქვეყნის რესურსების მქონე მთლიანი თავმოყრა სახელმწიფოს ხელში. მათი გეგმაზომიერი გამოყენება ომის საჭიროებისათვის.

მოწესრიგებული და სწრაფი განვითარებადი სამხედრო მეურნეობა ორგანიზაციის საქმეში გადაწყვეტი პირობა იყო, რომ მის მოთაერ მარგინიზებულ და ზღვამდევნელ ძალად, ისე როგორც საბჭოთა ხალხის მთელ ბრძოლებში, გამოვიდა კომუნისტური პარტის, პარტის ორგანიზაციული მუშაობის შედეგად გავრთიანებული იქნა საბჭოთა ადამიანების მთელი ძალები და რესურსები მტრის განადგურებისათვის ბრძოლაში.

ამრიგად, საბჭოთა სოციალისტური წყობილება აღმოჩნდა საუკეთესო ფორმა არა მარტო მშენიღობის მშენებლობის პერიოდში, არამედ ომის დროსაც.

„ომის ვაკეეილიები მოწმობენ. — აღინაგდა ი. ბ. სტალინი, — რომ საბჭოთა წყობილება აღმოჩნდა არა მარტო საუკეთესო ფორმა მშენიღობის მშენებლობის წლებში ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული აღმშენებლობის ორგანიზაციისა, არამედ საუკეთესო ფორმავე ომიანობის დროს მტრისადმი წინააღმდეგობის გასაწევად ხალხის მთელი ძალების მობილიზაციისა“¹.

დიდი სამამულო ომის დროს საბჭოთა ხალხმა მოაპოვა არა მარტო სამხედრო გამარჯვება

დასისტურ გერმანიამ, არამედ მთელ მსოფლიოს უჩვენა სოციალისტური წყობილებისა და სოციალისტური წარმოების წესის უპირატესობა კაპიტალისტურ წარმოების წესთან შედარებით.

ასეთია ომისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირი და დამოკიდებულება.

მარქსმა და ენგელსმა, იხილავდნენ რა იმპერიალიზმამდელ ომებს, გვიჩვენეს, რომ არის ომები პროგრესული და რეაქციული, იმი, რომელიც ამტკიცებს კლასობრივ და ეროვნულ ჩაგვრას და ომი, რომელიც შრომელთა ჩაგვრისაგან განთავისუფლებისაკენა მიმართული.

მარქსი და ენგელსი მხარს უჭერდნენ პროგრესულ ომებს, რომლებიც მიმართული იყო: ფეოდალიზმის დამხობისაკენ, ეტბოელთა ბატონობის მოსაპოვისაკენ, ყოველი ომის შედეგებისას ისინი გამოდიოდნენ პროლეტარიატის ინტერესებიდან და მხარს უჭერდნენ რა პროგრესულ ომებს, გამოდიოდნენ რეაქციული ომების წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად განვითარა მარქსიზმი ახალ ისტორიულ პირობებში იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში. შექმნა მწკობრი მოძღვრება სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ.

„არის ომები სამართლიანი და უსამართლო, პროგრესული და რეაქციული. ომები მოწინავე კლასებისა და ომები ჩამორჩენილი კლასებისა, ომები, რომლებიც განამტკიცებენ კლასობრივ ჩაგვრას და ომები, რომლებიც ამზობენ მას“¹.

ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ სამართლიანი ისეთი ომები, რომლებიც შეეფერება ხალხთა მასების, პროგრესის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ინტერესებს და, პირქით, უსამართლო ისეთი ომები, რომლებიც არ უქმარებენ ამ ინტერესებს.

იმპერიალიზმის ეპოქაში, აღინაგდა ვ. ი. ლენინი, ადვილად აქვს ვაშ მარტო უსამართლო, არამედ სამართლიან განმართვისუფლებელ ომებსაც, ამ „ეპოქაში, — მითითებდა იგი, — ეცილებლად უნდა წარმოშვას და ასაზრდოოს საციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის ბრძოლის პოლიტიკაც, და ამიტომ შესაძლებლობაც და აუცილებლობაც, ქერ ერთი, რველუციური ნაციონალური აჯანყებისა და ომებისა, მეორე პროლეტარიატის ომებისა და აჯანყებებისა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მესამეც, რველუციური ომების ორივე სახის შეერთებისა და ა. შ.“²

ვ. ი. ლენინმა ზუსტად განსაზღვრა სამართლიანი ომების კონკრეტული სახეები იმპერიალიზმის ეპოქისათვის (კერძოდ, სამოქალაქო, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი, სოციალის-

1 ვ. ი. ლენინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, მეოთხე გამოცემა გვ. 118.

1 ვ. ი. ლენინი, ოსხ. ტ. 29, გვ. 395.
2 ვ. ი. ლენინი, ოსხ., ტ. 23, გვ. 95.

ტროი სამშობლოს დაცვისათვის ომები და სხვა). განსხვავებდა რა ომის სხვადასხვა ტიპს, იგი წერდა: არ განეახლებათ ომის ტიპები, მე ვეფიქრობ, ეს იქნება თეორიულად მცდარი და პრაქტიკულად მავნე მოქმედება!

3. ო. ლენინმა იმპერიალიზმის ეპოქაში ომის ტიპებად და სახეებად დაყოფას საფუძვლად დაუდო საზოგადოებრივი განვითარების წინააღმდეგობანი კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა იყო და არის წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის, მეშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის. სამოქალაქო ომში, როგორც განსაკუთრებული ტიპის ომში, სამართლიანი ომის სახე წარმოდგენილია მეშათა კლასის მხრივ, ხოლო უსამართლო ომის სახე ბურჟუაზიის მხრივ.

3. ო. ლენინი ხაზვასმით აღნიშნავდა, არ იერთა სამოქალაქო ომი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომთან. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომებისაგან განსხვავებით, სამოქალაქო ომი წარმოადგენს ერთი სახელმწიფოს შიგნით კლასთა ბრძოლას.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი არის მთელი ხალხის ბრძოლა უცხოელ მზავრელთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლის მსვლელობაში შინაკლასობრივი ბრძოლა დროებით გადადის უკანა პლანზე, ხდება უცვლა კლასის გაერთიანება ქვეყნის ეროვნულ განთავისუფლების მიზნით გარეშე მტრების წინააღმდეგ, რაც კანონზომიერია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლებისათვის და წარმოდგენილია სამოქალაქო ომის პირობებში.

იმპერიალისტების მიერ გამოღებულ ომს ან ომისათვის მზადებას კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და სოციალისტურ სახელმწიფოს შორის ლენინი მიაკუთვნებს ომის ისეთ ტიპს, რომელიც თავისი არსითა და მნიშვნელობით ახლოს დგას სამოქალაქო ომთან, ასეთი ომი წარმოადგენს ანტაგონისტურ კლასების შეჯახებას, შერყაბს მასში პროლეტარიატი წარმოდგენილია არა ჩაგრულ, არამედ მძლავრ პოლიტიკურ ძალად, რომლის ხელთაა ძალაუფლება.

ლენინი აღნიშნავს ომის სხვა ტიპებსაც. მისი აზრით, არსებობს „(1) სამი მთავარი ტიპი: ჩაგრული ერის დამოკიდებულება მზავრელთან (ყოველი ომი პოლიტიკის გავრცელება; პოლიტიკა ურთიერთობა ერებს, კლასებს შორის და სხვა). საერთო წესით, ომი კანონიერია ჩაგრულის მხრივ (სულ ერთია თავდაცვითია თუ შეტევილი სამხედრო თვალსაზრისით).

(11) ურთიერთობა 2 მზავრელ ერს შორის, ბრძოლა კოლონიებისათვის, ბაზრებისათვის და სხვა (რომი და კართაგენი; ინგლისი და გერმანია, 1914-1917 წწ). საერთო წესით აგვირთ ომი ორივე მხრიდან ძარცვა; და დემოკრატიის (და სოციალიზმის) დამოკიდებულება მისდამი შეესაბამება წესს „2 ქრდი ჩიხუბობს, დე ორივე დაიღუპოს“...

(III) მესამე ტიპი, თანაწარმულეობიანი ერთი სისტემა. საერთო გაცილებულ ექვსეუ წინააღმდეგობით თუ ცივილიზაციული წინააღმდეგობით დემოკრატიული ერების გვირდით დგას ცარიზმი. ასე იყო (დაახლოებით) ევროპაში 1815-დან 1905 წლამდე.“¹

პირველი ტიპის ომი წარმოშობილია თანამედროვე ეპოქაში იმპერიალისტურ და არაიმპერიალისტურ, დამოკიდებულ ან კოლონიურ ქვეყნებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა საფუძველზე. ასეთ ომში იბრძვის უცვლა ჩაგრული ერი მზავრელთა წინააღმდეგ: მამასადილე, ამ ომს აქვს სამართლიანი სახე იმ სახელმწიფოს მხრივ, რომელიც იბრძვის კაპიტალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, ხოლო არსამართლიანი სახე ნეოკოლონიზატორების მხრივ. თუ წინათ ასეთი ომებით ღრმავდებოდა კაპიტალიზმის წინააღმდეგობა ახლა მათი საშუალებით ხდება კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გადაწყვეტა (თუმცა ნაწილობრივ) ძალდატანების გზით. თანამედროვე პირობებში ასეთ ომებში იმარჯვებენ ჩაგრული ერები. ასეთი ტიპების ომი შეიძლება ჰქონდეთ კოლონიის ხალხებს მეტროპოლისის წინააღმდეგ (სახალხო აჯანყება), ან თავისუფალ სახელმწიფოს იმპერიალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც ხელყოფს მის დამოუკიდებლობას.

3. ო. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მეორე ტიპის ომს, კერძოდ, პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომს. თავისი ხასიათით ამ ომს ლენინი თვლიდა ერთ-ერთ არასამართლიან ომად მსოფლიო ბატონობისათვის. იმპერიალიზმის ეპოქაში არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს არ შეეძლო გამოეჩინა პროგრესული მიზნებისათვის მისწრაფება. ასეთი ომები „წარმოება ნადავლის გაცოცხლებისთვის, იმის გულისათვის“, ენ უფრო მეტად ჩაგროს და ძარცვას.

იმის შეჯიფო მავალითად თუ როგორ შეიძლება იმპერიალისტური ომის გადატევა სამართლიან ომად—განმათავისუფლებელ ომად, შეიძლება ჩაითვალოს მეორე მსოფლიო ომი. 3. ო. ლენინი წერდა „...არ არსებობს არც ერთი შიშველნი, რომელიც არ შეიძლებაოდეს, განსაზღვრულ პირობებში, თავის დაპირისპირებულზე გადაიქცეს. ეროვნული ომი შეიძლება იმპერიალისტურ ომად იქცეს და პირიქით.“²

ასე მოხდა, შავალითად, მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში, რომელიც დაიწყო იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ორ ჯგუფს შორის, ერთი მხრივ, გერმანიას, იტალიასა და იაპონიას, ხოლო, მეორე მხრივ, ინგლისს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს შორის, ბრძოლა მიმდინარეობდა გასაღების ბაზრების,

¹ 3. ო. ლენინი, ოხზ. ტ. 35, გვ. 282-283.
² 3. ო. ლენინი, ოხზ., ტ. 22, ვვ. 390.

ნედლეულის წყაროებისა და გავლენის სფეროების გაფართოებისათვის, სახელმწიფოთა ორივე წევრის მხრივ იგი იყო იმპერიალისტური, უსამართლო,

შეორე მსოფლიო ომის გამწვანებასა, მოკმელებს სფეროს გაფართოებასა და სამართლიანი ელემენტების — განმანათავისუფლებელ, ანტიფაშისტური ბრძოლის, გაძლიერებისათვის ერთად მიმდინარეობდა ომის ხასიათის შეცვლის თანდათანობითი პროცესი, ომის მსვლელობაში ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები ობიექტურად შეუერთდნენ მთელი ხალხის ინტერესებს, რომლებიც იბრძოდნენ მთავარი მტრის—გერმანიელ ფაშისტთა წინააღმდეგ, ხოლო მას შემდეგ, რაც საფრანგეთში და ინგლისში მარცხი განიცადეს, მათ წინაშე დაიხდა უშუალოდ ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ამოცანა. ამ ობიექტურ პირობებში საფრანგეთისა და ინგლისის მხრივ გერმანიისა და იტალიის წინააღმდეგ ომს შეეცალა ხასიათი. მან მიიღო ანტიფაშისტური სამართლიანი ხასიათი და ფაქტურად შეეწყო ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ თავისუფლებისმოყვარე ხალხთა განმათავისუფლებელ ომს, ომის განმათავისუფლებელი ხასიათი განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მასში ჩაება საბჭოთა კავშირი, ხოლო ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირთან ერთად ანტიიმპერატორული კოალიციის რიგებში აღმოჩნდნენ.

თანამედროვე ომების მნიშვნელოვან თავისებურებად და მისი წარმატების საფუძვლად ლენინი თვლიდა ხალხთა მასების, მონაწილეობას ამ ბრძოლაში, გამარჯვება დამოკიდებულია აქტიური ბრძოლაში ჩაბმულ ხალხთა რაოდენობაზე.

მასების როლი გამოვლინდება სხვადასხვაგვარად, ეს გამოდინარეობს როგორც ომის პოლიტიკურ მიზნებიდან, ისევე იმ ქვეყნის საზოგადოებრივი წყობილების ხასიათიდან, რომელიც ომს ეწევა.

3. ი. ლენინი ეხებოდა რა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ანტანტის სამხედრო ინტერვენციის ჩაშლის მიზეზებს, ხაზგასმით აღნიშნავდა: «ეს

მოხდა არა იმ მიზეზით, რომ ჩვენ სამხედრო მხრივ უფრო ძლიერი აღმოვჩნდით! ჩვენი მანტანტა უფრო სუსტი, არამედ მიზეზი ისაა, რომ ანტანტის სახელმწიფოებში მთელი ამ ხნის განმავლობაში გაძლიერებული მიმდინარეობდა შინაგანი გახრწნა, ჩვენში კი პირიქით, მატულობდა შინაგანი სიმტკიცე.— და ამის დამადასტურებელი და დამამტკიცებელია ომი, თავისი საკუთარი ქარებით ანტანტის აღარ შეეძლო ჩვენს წინააღმდეგ ეომნა.»¹

სოციალისტური სახელმწიფოს ხალხთა მასები ომის სამართლიანი ხასიათის გამო სასწაულებს ახდენდნენ, როცა საჭმე ეხებოდა სოციალისტური სამშობლოს დაცვას, ეს უდიდესი ძალით და დადასტურება საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში.

ლენინს, რომელიც ხაზს უსვამდა XX საუკუნის ომების მზარდ დამანგრეველ ხასიათს, არაერთხელ განუცხადებია, რომ იმპერიალისტების მიერ წამოწყებული მსოფლიო ომი «იწინება არა მარტო სრული კავშირის გაწყვეტა უახლესი ცივილიზაციისა და კულტურის მონაპოვრებთან, რომ მას შეუძლია გამოიწვიოს და რომ იგი უეპყველად გამოიწვევს ადამიანთა საზოგადოების არსებობის თვით პირობათა ძირის გამოთხრას, რადგან ისტორიაში პირველად, რომ ტექნიკის ყველაზე მძლავრ მონაპოვარს ასეთი მასშტაბით, ასე გამანადგურებლად და ასეთი ენერგიით იყენებენ მილიონობით ადამიანთა სიცოცხლის მთაბრძოლად გაქვლიტისათვის».²

თანამედროვე სავრთაშორისო ვითარებაში სამართლიანია ის ომი, რომელიც ამტკიცებს დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკს. ისეთი ომი, რომელიც ძირს უთხრის იმპერიალისტურ ბანაკს და ამით აახლოებს სოციალიზმის გამარჯვებას.

1. 3. ი. ლენინი, თხზ. ტ. 31, გვ. 503.

2. 3. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 514-515.

ქონსკანონი მუხრანის

ლენინი „მოსკოვის უწყებანისა“ და „ნოვოე ვრემიას“
რედაქტორთა მოღვაწეობის თაობაზე

მრავალჯერნახელმა საქართველომ შეცხრა მუხრანის სახელობის დასაწყისში რუსეთის დიდი იმპერიის ფარგლებში არა მარტო ეროვნული სახე და სულიერი კულტურა შეინარჩუნა, არამედ გარეშე მტრებისაგან მოიხსენა და ევროპის მოწინავე კულტურასაც დაეწაფა. მაგრამ ამ დადებით ფაქტორებთან ერთად, ბევრმა უარყოფითმა მოვლენამ იჩინა თავი.

თუ ერთი მხრივ რუსი სახელოვანი მოღვაწეები — გრიბოედოვი, პუშკინი, ლერმონტოვი, პოლონსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიბოვი და სხვები სიხარულით ხელმძღვანელობდნენ ქართველი ხალხის წარმატებებს და პატივისცემით ეპყრობოდნენ მის სახელოვან წარსულს, მეორე მხრივ რუსი შავრაზმელი ჩინოვნიკები ფეხქვეშ თელავდნენ ჩვენს ეროვნულ სიამაყეს — ენას და მრავალსაუკუნოვან კულტურას, ვერ იტანდნენ ქართველების ფიზიკურ არსებობასაც კი.

ბევრი ასეთი ჩინოვნიკის საშარსებელი სახელი შემორჩა ჩვენი ქვეყნის ისტორიას. მათგან შეიძლება დავასახელოთ: კატკოვი, სეფორინა, ნევეროვი, ჩუდოვი, ზელენსკი და სხვები. უმეტესი ნაწილი ამ მოხელეებისა საქართველოში „მოღვაწეობდნენ“, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც შორეული მოსკოვიდან და პეტერბურგიდანაც ახრებდნენ ქართველი ხალხის შეურაცხყოფას.

როგორც ცნობილია, ვაზეთ „მოსკოვის უწყებანის“ რედაქტორმა მიხეილ ნიკოლოზის ძე კატკოვმა იმდენად აიგდო აბუხად ქართველი ხალხის ეროვნული დროშა, რომ განაცხადა ციარკს ვადაცეით. 1882 წლის იანვარში თბილისის თეატრში წარმოადგინა დავით ერისთავის „სამშობლო“. რომელშიაც ეროვნული თავისუფლების იდეა იყო გამოხატული. და როდესაც საბრძოლველად გამზადდულმა ქართველმა შეთქმულებმა სცენაზე ეროვნული

დროშები ააფრიალეს, ხალხის აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, ტანის გრიალი და შემთხვევები დიდხანს არ ცხრებოდა დარბაზში. სცენიდან წარმოთქმულმა პატრიოტულმა სიტყვებმა საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია. პიესის ავტორი მადლიერმა მსახურებელმა ზელში ატაკებული მიაცილა სახლამდე. ასეთი წარმატება არც ერთ წარმოდგენას არ ღირსებია მანამდე. ქართული სიტყვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან განდევნილი, მხოლოდ თეატრის სცენიდან გაისმოდა. დავით ერისთავის „სამშობლომ“ ქვეყნის პირველადი რედაქტორი მთელი საქართველო.

მაღე „სამშობლო“ ქუთაისშიც დაიდგა. აქაც ნაკლები წარმატება როდი ჰქონდა ამ სექტორს. გამოქვეყნდა რეცენზიები, რომლებშიც დიდი კმაყოფილება იყო გამოხატული ასეთი პატრიოტული წარმოდგენის გამო. ქუთაისის გაზეთმა „მროშიმ“ ესტატე ბოსლეველის საინტერესო რეცენზია დაბეჭდა „თეატრალური შენიშვნის“ სახელწოდებით.

„სამშობლო“ წარმოადგინეს სამკერ. — წერს რეცენზენტი, — ქუთაისის სცენას თავის დღეში ამისთანა არაფერი უნახავს. ხაზაროვის თეატრს ამდენი ხალხი ჯერ სიზმარშიაც არ მოუღწევია. აქვთი საზოგადოება ასე ერთგვარად გრძობდა აშლილი და სულიერად დაკმაყოფილებული ზირველად ბრუნდება შინ წარმოდგენიდან. I მაგრამ ქართველი ხალხის აღფრთოვანებას მაღე ფრთები შეეკვეცა. გამოჩნდნენ რუსი შავრაზმელები, რომლებიც არაერთი საშუალებას არ ერიდებოდნენ ჩვენი ხალხის შეურაცხყოფისათვის.

„მოსკოვის უწყებანამ“, რომელსაც შავრაზ-

I ბოსლეველი, ს. ხეივნილის რედაქციით, გამოკვეციით, შენიშვნებით და საბეჭდოთ, გვ. 245.

მელი მიხეილ კატკოვი რედაქტორობდა, 1882 წლის 44-ე ნომერში მოთავსებულ სტატიაში ჩვენი ერგული დროშები კვლავ აბნეხად ახგლო და ქართულ ხალხს სეპარატიზმი და განდგომილება დასწამა, როგორც გამოირკვა, ამ ღვაჭლიანი კორესპონდენტის ავტორი ვილად რიჟოვი იყო, რომელიც წინათ ქუთაისში მასწავლებლობდა თურმე.

„მოსკოვის უწყებანის“ მამბელარა სტატიაში დიდი აღშფოთება გამოიწვია მოწინავე ქართველი ინტელიგენციის სურათი. მაინც პირველი იერში მამბელარა რედაქტორზე დიდმა ილიამ მიიტანა.

ილია ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ კატკოვის სახით მის საქმე ჰქონდა გაიძვირა შევარძმელ რუს მთხელესთან, რომელიც ქართველი ხალხის შეურაცხყოფით პირად კაიერას იყებოდა და რომლის მოქმედებას არავითარი საერთო არ ჰქონდა მოწინავე რუს საზოგადოებასთან.

ამგვარი დამქაშების შემწეობით ბ-ნს კატკოს, — წერს ილია, — დიდი ზადე აქვს ვამბეული რუსეთის სანაპირო ქვეყნებში. ამიტომაც, არ დაჩნენია რუსეთის არც ერთი ქვეშევრდომი ერი, რომ ორგულობა და ვადადგომის სურვილი არ შეეწამებინოს. ამით თვითონაც იკვებებოდა და თავის დამქაშებსაც, ცოტად თუ ბევრად, საყვებად ვზას უხსნის!..

ილიას ისიც აწუხებს, რომ ვივინდარა კატკოვი და მისი კორესპონდენტი პატარა ერებს ცოცხად უთვლის თავისი ხალხის თეატრისა და ევლტურის სიყვარულს. იგი ამის შესახებ დიდი გულსტიკვილით აღნიშნავს: „რათ ჰქონს ბ-ნს კორესპონდენტს, რომ ქართველები თუ სომხები თავიანთ თეატრში დაიარბიან. რა საკვირველია, რომ მე ჩემი უფრო მიყვარდეს, ზემასს უფრო შევხაროდეს; ჩემი უფრო შეამბოდეს და ზემასს უფრო ხელს ვეწყობდეს. გული აღმაინისა ფიცარი ზომ არ არის, რომ ერთი წაშლო და მის მაგიერ სხვა რამ დააწერო. ვრამზოა თავისიანის სიყვარულის ისეთივე ძლიერია, ისეთივე მედიდრია, ისეთივე ბუნებრივია, მათხადაძე, ისეთივე სამართლიანი და პატევისაყვმი, როგორც სიყვარული მამა-შვილური, დედა-შვილური. ვერა ძალა მაგ სიყვარულს ვერ ამოკვეთს აღმაინის გულდამ. ყოველივე იარაღი მის წინაშე უჭმია!“²

კატკოვსა და მის კორესპონდენტს რიკოვს რომ არაფერი ჰქონდათ საერთო რუსი ხალხის ინტერესებთან, ამას კიდევ უფრო ხაზგასმით აღნიშნავს ილია: „მერე უესკან არის შემდგარი ეს მამბელარა რაზმი? რა ჯურის კაცნი არიან? ეგენი არიან მოხელენი, რომელთაც

რუსეთის სიყვარული კი არ ამოქმედებს, არამედ მათი დამშუული კეჭი“¹.

კატკოვთან კამათის დროს ილია თვეწისებურ სიღინჯეს იჩენს და სწორი პარალელუტრი ბრძოლი ციხიდან ედავება მოწინააღმდეგეს. ილიამ კარგად იცოდა, რომ მეფის დაქირავებული მკლამენის — კატკოვის ვარდა, არსებობს მშრომელი ხალხის და მოწინავე ინტელიგენციის რუსეთი, რომელთანაც მეგობრობა და სიახლოვე თვით ჩვენი ხალხის ინტერესებისათვის იყო აუცილებელი. რომ ქართველებს ბედი დიდხანია დაკავშირებულა რუს ხალხთან და მათ საბრძოლო დროშებს ბევრჯერ დაუცავთ ამ ერებს საერთო ინტერესები: „ქართული დროშა ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველობას სახელი და დიდებთა ხელშეკრია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუბილწავად და უჩირქოდ გადაუცია. გვიჩრების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არაერთხელ გამოსულა საომარ ქოზულ და მის წინამძღვრობით და სახელთი ინტელელობას არა ერთხელ დაუღღერიათვის სისხლი რუსეთთან ერთად“² წერდა ილია.

ი. ჭავჭავაძის ამ გონივრული სიტყვებიდან, კარგად ჩანს მოწინავე რუს საზოგადოებასთან, რუს მშრომელ ხალხთან მეგობრული ურთიერთობის დიდი მნიშვნელობა, რეაქციონერ კატკოვის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება; თვით ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობისათვის იყო აუცილებელი. ამ თავმჯდომარი კორესპონდენტის ავტორი რომ ვინმე რიჟოვი იყო, ეს ილიამ არ იცოდა, რადგან გაიძვერა მამბელარას ვერ გაუბედნია ვინაობის გამოძღვანება — და ამდენად ილიას საბრძოლო მახვილი რედაქტორის — კატკოვის წინააღმდეგ იყო მიმართული. თუმცა კატკოვი, როგორც ამ უხასის კორესპონდენტის გამოქვეყნებულ, არსებითად მაინც მთავარ დამნაშავედ ითვლებოდა.

კატკოვის მსგავს რუსი ზინოვნიკები რუსეთის და საქართველოში მრავლად მოიპოვებოდნენ. მაგრამ ქართველების ლანძღვა-გინებაში მიხეილ კატკოვს მზარს უშეწინებდა, ასევე რეაქციონერი ფურნალისტი, გაზეთ „ნოვოე ერემიას“ რედაქტორი, ალექსი სუვორინი. იგი წლებს განმავლობაში რედაქტორობდა ამ რეაქციონელ გაზეთს. გაზეთი ფაქტობრივად მეფის ორგანოს წარმოადგენდა, რომელიც სისტემატურად თავს ესხმოდა რუსეთის იმპერიაში შემავალ მცირე ერებს. იგი აშკარად მოითხოვდა არარუსი ერების ვარუსებას და გადაგვარებას. ერთ სტატიაში გაზეთი უსირცხვილოდ აცხადებდა: „გადაწვეტილია, რომ ყველა გარეშე ტომი, რომელიც კი შემოსულია

¹ ი. ჭავჭავაძე, ტ. 6, გვ. 9, 1957 წლის გამოცემა.

² იქვე, გვ. 11.

¹ იქვე, გვ. 9.

² იქვე, გვ. 12.

დიდი რუსეთის იმპერიაში, ბევრად უნდა გარსდეს¹.

სუვორინი ამ „თეორიული დებულების“ განსაზღვრებლად პრაქტიკულ რჩევას აძლევდა ხელისუფლებას, მისი აზრით, ამისათვის საჭირო იყო რუსების კავკასიაში ჩასახლება და კავკასიელების, მათ შორის ქართველების რუსეთის შიდა გუბერნიებში გადასახლება. ასეთი სამარცხვინო მოსაზრება აღექვა სუვორინმა „ნაოცე ერემიაში“ ვიღაც ბათუმელი კორესპონდენტის, ვიგინდარა მჭვრიძის „სტორიების“ საშუალებით გამოაქვეყნა. კატკოვს თავისი ბნელი მიზნების განსაზღვრებლად თბილისში ვიღაც რიგოვი ჰყავდა, ხოლო სუვორინს ბათუმელი კორესპონდენტი — „სტორიელი“, მაგრამ მათი თავხედური მოქმედება უპასუხოდ არ დარჩენილა. თუ კატკოვი დღემდე ილიამ გააკრა სამარცხვინო ბოძზე, სუვორინის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა პროგრესულად მოაზროვნე ქართველმა პუბლიცისტმა დათა მიქელაძე — შეველემ².

ვერობელი განათლებისმოყვარე და პარზის დღეების მოწმე მუველე ვერ ურიგდებოდა რუსეთის მიერ ხელისშეშუთავ ნაციონალურ პოლიტიკას. იგი ვაბედულად მოითხოვდა მცირე ერების თავისუფლებას და მკაცრ წინააღმდეგობას უწევდა სუვორინის რეაქციონერ მოსაზრებებს. შეველეს, ილიას მსგავსად, გულს უკლავდა პატარა ერების უფლებებო მდგომარეობა, რომ სუვორინს ზურგს უმაჯობდა პოლიცია და მესამე ვანყოფინება, ხოლო მუველე კუშმარიტების ფარს იმარჯვებდა, მაგრამ კუშმარიტებას ძალმომრეობის ეპოქაში უფლებები ჰქონდა აყრილი და უკანონო მოვლენად იყო გამოცხადებული. აი, როგორია სტორიქონებით იწყებს მუველე თავის საპოლიციო სტატუსს: „კაბათონა და ბრძოლა მხოლოდ მაშინ არის წესიერი და სამართლიანი, როდესაც თანასწორობის იარაღით უწესურდებით ერთმანეთს“. და მუველე იმასაც დასძენს, რომ რუსი ხალხის ინტერესები სწულიადაც არ მოითხოვს მცირე ერების სუვერენობას და შეურაცხყოფას, რომ ასეთი პოლიტიკა მხოლოდ სუვორინის მლიქვნელურ მიზნებს უმსახურება. მუველე სწორად გამოხატავს სუვორინის სულიერ სიმდაბლეს, როდესაც მის შესახებ წერს: „ყველგან და ყველადღერში დალატებებს და თუ არა არსისა, სხვა ტომისა არა წამს — არა მკობრობა, არც მოვალეობის აღსრულება, არც რომელიმე ღირსება“.

„სუვორინს ზედზედ ხედება მუველეს მთარაბი, როგორც უნიკო მლიქვნელს, რომელიც არავითარ საშუალებას არ თაილობს, რათა „იერარქიის კიბეზე“ აბობდეს, უტიფრად ითხოვს კანონგარეშე გამოაცხადონ ის ქართ-

ველ-სომეხნი, რომელთაც ვინმე პოპოუს ხელი შეუშალებს ბათუმში დასახლებაში“¹.

ილია კუშმარიტის და შეველეს მსგავსად, ბერი მოღაწე გამოსულს სამარცხვინო მოსაზრებზე ქართველი ხალხის ინტერესების დასაცავად. კატკოვის რეაქციული მოქმედების წინააღმდეგ ისევე გაილაშქრა აკაცი წერეთელმაც. შარბაშელი ჩუდოცი სიციოტხლეს გამოასალმა სემინარიის მოსწავლე ისევე ლლიამვილმა, რისთვისაც რუსეთის ეგზარხოსმა დასწყველა საქართველო. დიპტრი უფინანსი კი ხმა აიმაღლა შარბაშელი ეგზარხოსის წინააღმდეგ, რაც მას სიციოტხლის ფასად დაუქდა.

ასეთი იყო მოწინავე ქართველი ინტელიგენციის პოზიცია ქართველების მოძულე რუსი ჩინონიების წინააღმდეგ, რითაც ისინი ეროვნული თავისუფლების კუშმარიტ იდეებს ემსახურებოდნენ და ქართველ ხალხს სამართლიანი გამათვისებელი ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ.

ახლა, როდესაც ყოველივე ეს ჩვენი და რუსი ხალხის ცხოვრებაში ვანვლილი ეტაპია დაორივე ერი, საბჭოთა კავშირის დიდ ეროვნულ ოჯახში გაერთიანებულნი, წარმატებით აწინებენ კომუნისტურ საზოგადოებას, საინტერესოა რამდენად სამართლიანი და კუშმარიტი იყო ის პოზიცია, რომლიდანაც ათეული წლების წინათ ქართველი პარტიოტები, ილია კუშმარიტი და მუველე, ასე პრინციპულად უპირისპირდებოდნენ მიხეილ კატკოვსა და ალექსი სუვორინს? ანდა, საინტერესოა, ამ მოაზროვნეებმა თვით რუსეთის ისტორიაში როგორი შეფასება დაიმსახურეს?

ჩვენ სასაიომეო მოვალეობად მიგვანია იმისი აღნიშვნა, რომ მიხეილ კატკოვმა და ალექსი სუვორინმა სამარცხვინო ადგილი დაიმკვიდრეს რუს მოაზროვნეთა შორის. ისინი რეაქციონერ იქნენ რეაქციონერის, რენეგატის, შოვინისტის, მეჭრთამისა და კარიერისტის ეპითეტებით.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიხეილ ნიკოლოზის ძე კატკოვის შესახებ აღნიშნულია, რომ იგი 40-იანი წლების ბოლოს ამქარად გადავიდა მოვიზინების ბანაკში და ვახუშტის მთავრობის ინტერესების დამცველი. „კატკოვი აწარმოებდა სასტიკ ბრძოლას მოწინავე რუსული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი მოძრაობის წინააღმდეგ, გამოდიოდა ჩერნიშევსკის და დობროლიბოვის წინააღმდეგ, ცილს სწამებდა გერცენს“².

მაგრამ ჩვენთვის ყველაზე მეტად საფულისხმო ის არის, რომ ამ შოვინისტ ჩინონიებს, ქართველებისა და სხვა მცირე ერების მოსიხლუ შტრებს, სამარცხვინო ბოძზე აყრავს მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი ვლადიმერ ელიას ძე ლენინი. საინტერესოა ისიც, რომ ლენინი კატკოვს ნაციონალისტს,

¹ ე. მაღრაძე, მუველე, 1963, გვ. 102.

² БСЭ, ტ. 20, გვ. 372.

¹ ე. მაღრაძე, მუველე, 1963, გვ. 101.

შოვინისტა, თავაშვებულ შავრაზმელს და მლიქვნელს უწოდებს.

„ლიბერალმა, ინგლისის ბურჟუაზიისა და ინგლისის კონსტიტუციის თანამგრძობმა, მემამულე კატაკომა პირველი დემოკრატიული აღმავლობის დროს რუსეთში (მე-19 საუკუნის 60-იან წლების დასაწყისში) პირი იბრუნა ნაციონალიზმისაკენ, შოვინიზმისა და თავაშვებული შავრაზმელობისაკენ“.¹

ლენინის ამ სიტყვებში მოკლეად, მაგრამ არსებითად, წარმოდგენილია კატაკოვის სრული პოლიტიკური პროფილი, როგორც რეაქციონერისა და შავრაზმელისა. მაგრამ საინტერესოა ისიც, რომ ლენინი უფრო ვრცელად მოგვიხიბობს აღქმის სუფორინის სამარცხეინო პოლიტიკურ მოღვაწეობის შესახებ.

სუფორინს, როგორც მოქალაქესა და პოლიტიკურ მოღვაწეს აი, როგორ ახასიათებს ლენინი:

„ამას წინათ გარდაცვლილმა მილიონერმა „ნოვოე ვრემის“ გამომცემელმა ა. ს. სუფორინმა, თავისი ცხოვრების ისტორიით ასახა და გამოხატა რუსეთის მთელი ბურჟუაზიული საზოგადოების ისტორიის ძლიერ საინტერესო პერსონაჟი.“

ლარიბი, ლიბერალი და დემოკრატიც კი თავისი ცხოვრების დასაწყისში, — მილიონერი, თვითმკაყოფილი და უსირცხვილო მეხოტბე ბურჟუაზიისა, ძლიერთა ამა ქვეყნისათა პოლიტიკის ყოველი შემობრუნების წინაშე მლიქვნელი ამა გზის დასასრულს. განა ეს ტიპური არ არის ეგრეთწოდებული საზოგადოების „განვითარებულ“ და „ინტელიგენტ“ წარმომადგენელს მასისათვის? რა თქმა უნდა, ყველა როდი თამაშობს რენეგატობას ისეთი თავბრუდამხვევი წარმატებით, რომ მილიონერი გახდეს, მაგრამ ცხრა მეთაული, თუ ოთხმოცდაცხრამეტი მესამედი არა — ეწვევა რენეგატობის სწორედ ასეთსავე თამაშს, იწყებს რადიკალური სტრუქტურებით, ამთავრებს ამა თუ იმ სამსახურს, ამა თუ იმ აფიორის „შემოსავლიანი ადგილით“.

ლარიბი სტრუქტურით, რომელიც უსახსრობის გამო ვერ მოხვდა უნივერსიტეტში, სამაზრო სასწავლებლის მასწავლებელი, რომელიც, ვარდა ამისა, მსახურობს თავაღანაურობის წინამძღოლის მდევნად ან კერძო გაცვეთილებს ძღვევს წარჩინებულ და მდიდარ მემამულეთა ოჯახებში. დამწყებთ ლიბერალი და დემოკრატი ეურნალი-სტიც კი, რომელიც გამსჭვალულია სიმპატიით

ბელინსკისა და ჩერნიშევსკისადმი, მტრობით რეაქციონადმი — აი, რით დანწირს ქვეყანაში გასული საუკუნის 50-60-იან წლებში რუსეთში რაღა ეურნალისტმა სუფორინმა მეორე დემოკრატიული აღმავლობის დროს რუსეთში (მე-19 საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს) პირი იბრუნა ნაციონალიზმისაკენ, შოვინიზმისაკენ, მოურიღებელი რეაქციონისაკენ წინაშე ძლიერთა ამა ქვეყნისათა. რუსეთ-თურქეთის ომმა ხელი შეუწყო ამ კარიერისტს „მიეგნო თავისი მოწოდებისათვის“ და მოენახა თავისი გზა ლაქისა, რომელიც ჯიღლოდ იღებდა უდიდეს შემოსავალს მისი გაზეთისა „რას ინებებთ?“. ეს გაზეთი გახდა მეჭრთამე გაზეთების ნიმუში რუსეთში. „ნოვოვრემელისა“ იქცა გამოთქმად, რომელიც იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ცნებებს: მოლაღატობა, რენეგატობა, მლიქვნელობა. სუფორინის „ნოვოვრემია“ ნიმუშია გაცხოველებული ეპრობისა „ქიპობით და გატანით“. აქ ვაპრობენ ყველაფრით, დაწყებული პოლიტიკური რეჟიმით და დამთავრებული პორნოგრაფიული განცხადებებით...

კატაკოვი-სუფორინი, „ვეხველები“, ყველა ესენი ისტორიული ეტაპებია რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის შემობრუნებისა დემოკრატიიდან რეაქციის დაცემისაკენ, შოვინიზმისა და ანტირევოლუციონისაკენ...“

ჩანს, სუფორინი მნიშვნელოვანი ფიგურა ყოფილა რუსეთის რეაქციონერ მოაზროვნეთა შორის, რომ ლენინი ასეთ უტრადღებას აქცევს მისი ცხოვრებისა და პოლიტიკური მოღვაწეობის დეტალებს და რომ სუფორინი, ლენინის აზრით, იყო რენეგატი, რეაქციონერი, შავრაზმელი, შოვინისტი, მეჭრთამე და ანტირევოლუციონერი. უფრო ზუსტი შეფასება ასეთი „მოღვაწისა“ შეუძლებელიც იქნებოდა. ასეთი სამარცხეინო დახასიათება დაიშასხურეს სუფორინმა და კატაკომა დიდი ლენინისაგან.

არ შეიძლება ამ შემთხვევაში სიამაყით არ გაიხსენოთ ილია ჭავჭავაძისა და დავით მიქელაძის სამართლიანი ბრძოლა კატაკოვისა და სუფორინის რეაქციულ, და შოვინისტური გამოხტომების წინააღმდეგ.

ცხადია, ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს ქართველ სამოციანელთა ჭეშმარიტ პოზიციას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხში და იმასაც, რომ მათ სწორად პქონათ წარმოდგენილი. ორი, იდეურად განსხვავებული, რუსეთის არსებობა.

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 18, გვ. 324, 325, 326. მე-ოთხე გამოცემა.

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 18, გვ. 325, მე-4 გამოცემა.

ქართული და რუსული ლექსები

საქართველო
ბიბლიოთეკა

ზილივა გარნიძე

ხიზლი „შვილური მუზისა“

თავისი ერთერთი წიგნის წინასტყვაობაში მტრმან ლებანიძე აღნიშნავს: „მე ბავშვობიდანვე ვწერდი. მამანემი დიდხანს ამრუზით უცქერდა პოეზიით ჩემს ვატაცებას. მამა არ იყო უწიგნური კაცი. მე მაოცებდა მამის განწყობილება და მანერვიულება. მამინ ჩემთვის ძნელი იყო მიემხვდარიყვე მამის ფიქრს. ოცდახუთი წლის შემდეგ მსგავს მდგომარეობაში მე თვით აღმოვჩნდი. ვერც მე გავიმეტე ჩემი პირმშო და ფერწერით გაატაცებულს ვულისტკივილით დავუწერე: „გივის ხალათი გერჩიოს, თოლიგე, მხატვრის და მგოსნის ხალათს! საყვარელ ქალის ღალატი — შეიდფერი მუზის ღალატი!“

ამ ციტატიდან საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ბოლო სტრიქონები: „გივის ხალათი გერჩიოს, თოლიგე, მხატვრის და მგოსნის ხალათს! საყვარელ ქალის ღალატი შეიდფერი მუზის ღალატი!“ და მათში შეფარული მწვავე ღრამბარული განცდა და აზრი ერთგვარად მოვუსადაგოთ მტრმან ლებანიძის პოეტური სტიქიის პულისს. პოეტური ქვეტექსტის მიმხედვრ გონებას ეს სტრიქონები ბევრ რამეს ანიშნებენ და მრავალმხრივ შემრავენ. მხატვრული შემოქმედების პროცესი რომ დიდ სულიერ და ფიზიკურ ტიყვალბთანაა დაკავშირებული, ეს ექვმიუტანელი კემშარიტებაა. ჟერ კიდევ არისორტულ ამბობდა: „განცდა (იგულისხმება მხატვრული, შემოქმედებითი აქტი — ფ. ბ.) არის დამღებველი და დამტანწყველი მოქმედება“. დოსტოევსკი მთელი ხმით გაჰყოდა: „უნდა ეწამოს!“, ლერ-მონტოემა მისთვის ჩვეული გრძნეული აღტყინებით უმღერა ამ „საამო“ წამებას:

Он хочет жить ценою муки,
Ценой томительных забот,
Он покупает неба звуки,
Он даром славы не берет.

ვფიქრობთ, უადგარო არ იქნება თუ ვიტყვიით, რომ ზოგიერთი პოეტი (საერთოდ შემოქმედი), ალბათ ზენაარის „წყალობით“, დაზღვეული ასეთი ტყივლებიანგან; ისინი უშუალოდ კი არ განიცდიან და გრძნობენ (აზროვნებას, საერთოდ ინტელექტს რომ თავი დავანებოთ), არამედ განცდას, გრძნობას ხელოვნურად იგონებენ, როგორც გერონტი ქიქოძე იტყოდა — გრძნობებს აყოწიებენ. მაგალითად, მათ ზოგადად იციან, რომ გაზაფხული აღამიანებს ახარებს, სიყვდილი ცრემლსა და მწუხარებას იწვევს და წერენ განყენებულ, აბსტრაქტულ, „სხვის“ სიხარულსა და ცრემლზე; გამოგონილი განცდის, ხელოვნური გრძნობის სქემატური ფიქსაცია ერთიანად განიზიდავს მყიობველს და ესთეტიურ გრძნობას უჩლუნგებს. მხოლოდ ინდივიდუალურ, უშუალო პოეტურ ხილვას ძალდის მყიობველის დაყრობა და ვატაცება. აქედან იწვება მისი ინტერესის ვადივება და ესთეტიკური ტებობა.

პოეზიისა და საერთოდ ხელოვნების ნიმუში კი არა, ამ ქვეყნად ჟერ არავის არაფერი შეუქმნია აღამიანური გრძნობისა და ინტელექტის საკადრისი რამ წამებისა და ტყივლის ვარეშე. სწორედ ასეთი სულიერი ტერების, შინაგანი წვისა და ვანგამის ორგანული გამოძახილია მტრმან ლებანიძის პოეზია, სწორედ აქედან იღებს სათავეს მისეული პოეტური ვანცდის უშუალობა, სწორფულ, სილადე და პერონენბა. შესაძლოა ეს ზედმიწევნით ინტიმური, პირადული დაკვირვება იყოს და ამდენად ზოგიერთი მყიობველისათვის მეტნაკლებად უცხო, მაგრამ მანც

Что без страданий жизнь поэта?
И что без бури океан?

უნდა ეთქვათ: მერმან ლებანიძის ელასტიური მოძრაობა და მისი სტრიქონის მოქნილი, ნერვული რბევა ცოცხლად და ზუსტად გვაგონებს ერთმანეთს (გაიხსენებთ მთავოვსკის სტრიქონს — «Я стихи пишу всем телом» და აღვნიშნავთ, რომ ასეთი სახის მსგავსება იშვიათად თუ მოინახება პოეტის პიროვნებასა და მის შემოქმედებას შორის). ფიზიკური იდენტურობა აესებს და ამკვეთრებს ლექსის კონტაქტს მისი ავტორის შინაგან სამყაროსთან.

ნეტაე სულ არ მეხილე,
სულ არ დაშენახე,
ხალხო მეზურვე, მეხილვე,
მიწაე სავენახევე...

შენი ოქროსფერი
ალახანი მენატრება,
შენი ოქტომბერი
იანვარში მელანდება.
(„ნეტაე სულ არ მეხილე...“)

ეს სატკივარი შენც გვირდა!
ვევო, ის რად ღირს მარტო, —
მგოსანმა ფილტვი, ბეჭი და
თოთხმეტი ნეკი განდო...

...ტებერდა, კლდეში ჩიხე-რაჯი,
აღბურ მღელღოთა ეშხი,
და შენ, ბიჭია ჩიხარაძე,
პრელი ყვავილით ხელში...
(„ტებერდა, კლდეში ჩიხე-რაჯი“)

ღირიკული გრძნობის ელასტიურ მოძრაობაში, სტრიქონების სისხარტება და დინამიურ დინებაში ნათლად იხატება მერმან ლებანიძის მოუსვენარი, დუოკებელი ბუნება. ერთი სიტყვით, მერმან ლებანიძის ყოველი ლექსი სინთეტურად წარმოსახავს მისი ავტორის ფიზიკურ და სულიერ სახეს.

მერმან ლებანიძის პოეტური ფიჭი ხშირად კონკრეტული, რეალურად არსებული ადამიანებისაკენ მიიტრებს. ამ შეზღუდულ, ლოკალურ სფეროშიც კი გაბედულად მოძრაობს მისი მსატრეული ფანტაზია და ინტიმური ურთიერთობის ნიუანსები ზოგადობის რეგისტრში ახეავს.

პროფესორ ადამ ჩახტაურს

რომ შემხვედროდა დიოგენი ჩვენს ახალ
გზებზე
და განუყრელი თვისი ფარნით ზღვა ხალხში
მავალს,
„კაცს ეეჭებიო!“ — რომ ეთქვა ჩემთვის,
ირც დაუფიქრდებოდი! ჩაუქრობდი ეჭვიან
ფარანს,

ხელს ჩაკვიდებდი, მოვიხსნეკვი ჩიხეშ
შანეთს,
„ტაქსი!“ — ევივირებდი *არქანგელი*
და საჩქაროდ — დელისიტსნი *საქონისა*
ვეტყოლი შოფერს...
გამობრძანდებოდიოთ ზარის წყრიალზე
ერთის შეხედვით დრუბელიოთ კუჭტი და
მეკაციო...

და მერე, როცა გამლიდით მკლავებს
და ნეტარად წაიღიმებდით,
მივუბრუნდებოდი საოცარ ბერძენს
და ვეტყოდი: — თქვენ კაცს ეეჭბოდა?
აგერა — კაცი!

დიოგენის სექსისური გამოთქმის გონებასახველური გახსრებათ, პოეტმა მთელი სისრულით მოხაზა თავისი პერსონაჟის მოქალაქეობრივი სახე, მისი ადამიანური ბუნება და ამ ფოკუსიდან გაუსწორა თვალი ადამიანობის, კაცობის ზოგად შტრიხებს. „აგერა-კაცი!“ — რამდენი რამ იმალება ამ მოუღონდელი და ერთი შეხედვით უბრალო, მავრამ ღრმა და ბევრის დამტევი ფინალს იჭით.

პოეტს თავდავიწყებით უყვარს თავისი ლექსების პერსონაჟები, რომელთა მეტი წილი მისი მგობრები, ახლობლები არიან. ამ ციკლში შეშავალ ყოველ ლექსს მღელვარე ინტიმური გრძნობა და მაღალი ჰემანური პათოსი გამსჭვალავს, ყოველი სტრიქონი წრფელი სიმბაოით განაწყობს მკითხველს ამ პერსონაჟებისადმი და მათ შორისაც მგობრული კონტაქტი მყარდება.

მერმან ლებანიძე მეორე პერსონაჟს ყოველთვის წარმოგვიდგენს თავის პოეტურ სამყაროში, მსატრეულ სტიქიაში გარდატეხილი სახით. ასე რომ, მეორე პერსონაჟის არსებობის ფაქტა ოდნავაც არ უშლის ხელს მერმან ლებანიძის სუბიექტურ გაქანებას. პოეტი ფანტაზიაში, შთამბოვნებულ ასოციაციებში, სუბიექტურ მსატრეულ ხილვებში სრულყოფს მათი სულიერ-ინტელექტუალური მისწრაფებების, ადამიანური ბუნების განცდას.

შენი ოცნება სუყველგან პპოვებს:
გაღინადირებ უახლეს დროებს,
გადაბარგდები ახსენას დროში,
ვადავარდები დავითის ომში,
მოითარეშებ წარსულის ტყეში,
კვლავ დაბრუნდები დღევანდელ დღეში...
(„მურა ბანძელაქს“)

გული მტკივა, მომამველე რამე,
შემახსენე საზიარო სიყრმე,
მომატყუე, რომ შორსაა დამე,
ხილისიან საღებავებს მიხმე...
(„ოთარ კელიძეს“).

პოეტი პარმონიულად წარმოსახავს ამ პერსონაჟსა ზოგადადამიანურ და კერძო, ინდივიდუალურ თვისებებს. ეს თვისებები ისე ორგანიზირდება და მოხდენილად გადადიან ხოლმე ერთმანეთში, რომ ლექსის ლოგიკურ ფინალში დაუშვლელ ფენომენად იქცევიან. ვახუშტისადაც შეიძლება ითქვას, რომ მურმან ლებანიძემ კონკრეტულ ადამიანთა ბიოგრაფიული და შემოქმედებითი სფერო კვშიარით პოეზიად გადააქცია. შესაძლოა, ზოგმა ბუნდოვნად ან სულ ვერ დაინახოს ამ ციკლში ზოგადი მხატვრული ფენომენი, მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ვისაც პოეტური ქვეტექსტის შეგრძნების ალლოპეზი, ის მურმან ლებანიძისეულ მხატვრულ მასშტაბსაც აღიჭვავს.

ლექსში „ქართლის დედა“ ერთი შეხედვით, თითქოს უველოაფერი კონკრეტულ ასპექტშია ნათქვამი; სტრიქონებს შორის ავტორი შეფარულად ამხელს ზელოვანის მიერ ზელოვანისადმი დიდ შოკრძალვას, პატივისცემას და წრფელ სიყვარულს. პოეტმა მხატვრული დამჯერებლობით დაგმო ვნებათა დღევა სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლი ქალის მიმართ, მისი სპეტიკი სახე მითითური ვახადა და ხორციელი სიყვარულის ეინი დაამძაბლა.

ლის ფაქტი, მისი მხატვრული გრძნობა არ არეალური ბიძგის იქით იძენს მასშტაბური/მოდრაობის უნარს

ქართული
მხატვრობისათვის

ბრძოლებით გვიპოვნია, —
კითხვ სარფს და ციხისძირს, —
ხორტში — სიმფონია
საქართველოს სიფხიზლის!..

(„ხორტში“)

— ეს ვაუმარჯოს
საქართველოს აწმყოს და მყოზადს!
— ეს ვაუმარჯოს
საქართველოს დიად მომავალს! —
მე რომ შევძახო რუსთაველის პროსპექტზე
ახლა,
ეთომც მქონია ხელისგულზე გლეხკაცს
მარილი,
ვიცო,
ღვინია-ხარებივით გამიჩრქვდებით!
(„ახალგაზრდობას“)

პოეტის შინაგან სამყაროს ბუნებრივად ერწყმის მშრომელი, შემოქმედი კაცის სიყვარული, რაც ამალეხული ჰუმანიტური მოტივის სახეს იღებს ლექსში.

საქართველოს მშენიერებაზე, მის აწმყოსა და მომავალზე, მის კირსა და ლხინზე მეოცნებე პოეტი წარმოგვიდგება როგორც დიდბუნებოვანი მოქალაქე, რომელიც საზოგადოებრივ ბუნებრივებას, სხვის სიხარულსა და სიყვთეს ისე განიცდის, როგორც პირადულს და მკითხველში ემოციურად ამკვიდრებს კაცთმოყვარეობის კეთილშობილურ იდეას. რეალური ბიძგი, ურომლისოდაც მურმან ლებანიძე საერთოდ არ წერს, ყოველ ფრაზას კონკრეტულ ფუნქციას აძლევს, აზრითა და გრძნობით ალავსებს და საგნობრივად დატვირთულ ლექსს ერთიანად მოყვავს მოძრაობაში მკითხველის გრძნობა და გონება. ხალასი პოეტური ტრანტისა და შინაგანი სამყაროდან ორგანულად მომდინარე მხატვრული გზნების წყალობით მურმან ლებანიძე ასცდა ფრაზის განყენებულ, უმიზნო სილამაზეს, სახის განზრახულ ასტრატულ ეფექტრობას, რასაც ხშირად ეხედებით თანამედროვე პოეზიაში. პოეტი ისე თავისუფლად, ლაღად და ძალდაუტანებლად მეტყველებს, თითქოს საუბრობდეს და ისიც უახლოეს ადამიანთან.

გადი-გამოდან, თუკი საღმე ხეობა ნახეს,
გადი-გამოდან, თუკი საღმე უღელტეხილია
და თუკი საღმე კავკასიონს ქედი აქვს
გაზნექილი:
თეთრი ღრუბლები
ჩერქეზული თეთრი ხარებივით —
შვის ამოსვლისას:
წითელი ღრუბლები

მივეყვები პროსპექტს, სიციხისგან რომელიც
იჩვიის,
ზედ არ შევხედავ მე შიშველ მკლავებს!
ავხედავ მხოლოდ, თბილისის თავზე,
შით გასაოცრებს, ამ სიციხეში მაყამდე
შეკრულთ,
რომელთაგან ერთს — სტუმრისათვის
უპყრია თასი,
რომელთაგან სხვას — სატევარი ჩაუბღვრია...
(„ქართლის დედა“)

გამოყვოფთ კიდეც ერთ მაგისტრალურ ასპექტს მურმან ლებანიძისეული საგნობრივ-კონკრეტული პოეტური მიმართებისა და ძიების სფეროდან. მისი პოეტური გზნების, მხატვრული გაქანების ერთერთი მძლავრი გამოსხივება უაღრესად წრფელ, დახვეწილ და ბუნებრივ პატრონულ გრძნობას უკავშირდება. პოეტი თავდავიწყებით იძირება სამშობლოს, მშობლიურის სიყვარულას გრძნობაში და მოვლენათა თუ საგანთა ზუსტ ემოციურ ექვივალენტს ქმნის ამ მიმართებით.

მურმან ლებანიძე უპირველეს ყოვლისა უველოაფერში თავის თავს, თავისი სულიერი რეაქციის მიზნებს ეძებს; ეს პრინციპი კი თავისთავად განაპირობებს ობიექტის ემოციურ მეტამორფოზას, მის ღრმა სუბიექტურ სახეცვლილებას. სუბიექტური ფენომენის პრიმატს, რაც ლირიკის საარსებო ნერვია, პოეტის ფანტაზიას ადვილიდან ძრავს უშეალოდ ხილული სინამდვი-

ჩერქველი წითელი ხარბებით —
 ევ მზის ჩასვლისას;
 შავი ღრუბლები გარეული კამჩნებით —
 ევ მზე რომ ჩავა და ამოვა ვეებერთელა
 თითბრისფერი მთვარე სანური —
 ვადი-ვაშოდთან, ვადი-ვაშოდთან,
 ვადი-ვაშოდთან
 ათასობით წელიწადია...

(„ღრუბლები“)

პაწია მოსულელო მთვარე,
 ფერმის გოგოსავით საყვ,
 ბეროხვენ აცეცებს თვალებს,
 ამოდის ეცერის თავზე...

პოი, რა ტუბილი საღამოა
 ამაღამ ეცერის კარად!
 რაც იყო, არასდროს აღარ მოვა,
 რაც არის, ჩაივლის ჩქარას...
 („პაწია, მოსულელო მთვარე“)

ამ სტრუქტურებიდან ნათლად გამოსჭვივის ინტე-

ლექტუალურ-გარჩობისეული სისადავე.
 ზოგიერთ პოეტს სისადავეს რომ უხსე-
 ნებ, იქედნურად ელომება. შეურაცხყოფილად
 გრძობს თავს და ავიწყდება, რომ საფრთხე შე-
 ფარულია სადას ქვევით და ზევით — პრიმიტივ-
 სა და ხელოვნურ გართულებაში. სისადავის გა-
 რეშე ლირიკული სახე კარგავს გრძობისეულ
 ხიზლს, ესთეტიკური ზემოქმედების უნარს. სი-
 სადავე მაღალი ხელოვნების, საერთოდ სიღაშ-
 ზის არსებითი ნიშანია და ლირიკისათვის მით
 უფრო გარდაუვალ პირობად გვესახება, რადგან
 ლირიკა (გრძობისმიერობის, ემოციურობის გა-
 მო) უშუალოდ გრძობისათან ამყარებს კავ-
 შირს. სულხან-საბა ორბელიანი ამ მომხიბვლე-
 ლი შინაარსის სიტყვას ასე ლამაზად განმარ-
 ტავს: „სადა—ყოვლად კმაყოფა“. ესთეტიკური
 კმაყოფილება, ტკბობა კი ოდითავე. მაღალი
 ხელოვნების საარსებო მიზანადაა აღიარებული.

პოეტური მეტყველების სილაღე, უშუალობა
 გაცილებით უფრო რთული მისაღწევია მაშინ,
 როცა შემოქმედი კონკრეტულ გარემოში ტრია-
 ლებს. ზოგადი, განელებული პოეტური სწრაფ-
 ვა შერ ვასაქანს იძლევა თავისუფლებისათვის.
 რეალური სფერო პოეტს იძულებულს ხდის, ყო-
 ველი ფრახის მოტრიალებისას შთავონებელი
 იყოს კონკრეტული ნიუანსებით (რაც, როგორც
 ზევით აღნიშნეთ, განზოგადების შესაძლებლო-
 ბას არ გამოირიცხავს), ყოველ სტრუქტურს ნიუ-
 თიერი მოტივირება ამშვენებდეს.

„მამა, ბავშვობა, გოგოლის ქუჩა“ — ამ
 ციკლში მთელი სისრულით გამოიკვეთა მურმან
 ლებანიძისეული მხატვრული განცდის სიმამფრე,
 პოეტური მღვლარება. მან ნერვული სისტემა,

ფსიქოლოგიური „მექანიზმი“ უკანასკნელ შესა-
 ძლებლობამდე დაძაბა და ისე ახლოს მიიყვანა
 მკითხველი თავის შინაგან განგაშთან, რომ საზ-
 დგარი იძლება და ჩვენ საკუთარი სხეულისა და
 შინაგანი სამყაროს წიავედ განვიცდით პოეტის
 სულის მწვავე ტკივლებს. მურმან ლებანიძე
 ანიეთიერებს, ასაგნებს შრომელი, შემოქმედი
 და მხატვრული მამის სიყვარულის, მისი ტრა-
 გედიის განცდას, რომელიც სტრუქტურებს შორის
 ესტრეგიულად ფეთქავს და განუყრელ ნაწილად
 უერთდება მკითხველის გრძობას.

მაგრამ არც ქოლგა, მაგრამ არც წვიმა,
 არც ქარი — მოხუცს აღარ სჭირდება.
 სასაფლაოზე მზემ გავიღიმა
 და აედრის შემდეგ დარი ბრწყინდება.

მამე, საფლავთან ჩერდება ბავშვი,
 მამე, კიდარი შოილებს წყნარად;
 თითო ფოთლიდან წასულხარ ცაში
 და თვით ქვეულხარ ყველაფრად, არად,
 მზედ, წვიმად, ქარად...

მურმან ლებანიძის შემოქმედებაში დრამატუ-
 ლი განწყობილება თავს იჩენს არა მარტო სი-
 ნამდვილესთან კონფლიქტური მიმართები-
 სის, არამედ პარამონიული დამოკიდებულების
 დროსაც. სწორედ აქედან იწყება პოეტის ლირი-
 კული გრძობის აქტიურობა, ეს პროცესი კი
 სედიისა და დრამატიზმის ვარეშე არ არსებობს.
 მურმან ლებანიძე ენერგიული ლირიკული განც-
 დისა და განწყობილების პოეტია. მისი მხატვ-
 რული ტალანტისათვის უცხოა ფლგვა, გულგ-
 რილობა, მუდმივი ფსიქოლოგიური მზადყოფნა
 სა და გრძობად-ინტელექტუალურ შესაძლებ-
 ლობათა მობილიზაციის გამო პოეტს მუდამ სი-
 მებოებით აქვს დაკვირული ნერვები. უმეტეს შემ-
 ბევაში მისეული ლირიკული განცდა სიულ-
 უოული ესთეტიკურ მნიშვნელობას იძენს სუ-
 ბიექტის (მურმან ლებანიძის) შინაგანი სამყაროს
 ვარეშე. ამ მაგისტრალურ ინტუიციურ აქტს ლო-
 გიკურად მოსდევს მისი პოეზიის ფართო რეზო-
 ნანსი. დიდრო წერდა: „თუ ნაწარვეთა ფერმ-
 წერი არ აღძრავს ჩვენში მოგონებას ცხოვრე-
 ბის უელმარობისა და აღმზიანის ნამოქმედა-
 რის ამოღების შესახებ, ეს იმას ნიშნავს, რომ
 მან მხოლოდ ქვების უფორმო ვროვა დაზატა“.

მურმან ლებანიძის ყველა ლექსს ამშვენებს
 ექსპრესია, ფრახის ლაღი არტისტული მიმოქ-
 ცევა, სწრაფი დინება. მისი ლექსია, ერთი შე-
 ვლდვით, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქმის
 პოეტი სადაცაა ჩაჭრება, სათქმელს პოლომდე
 ვერ დაასრულებს, მაგრამ, როცა ენერგიული
 ტემპი ბოლომდე მივიყვანთ, დარწმუნდებით,
 რომ ეს მაცდური შთაბეჭდილება. ყოველი მო-
 მდევრო სტრუქტონი შერ წვასა და ენერგიას ამ-
 ხელს. პოეტი თანდათან ენთება, ენთება და

სტრიქონიდან სტრიქონში გადადის ვრუანტელის მომგვრელი სუთნევა. მერმან ლებანიძე არცერთ ლექსში არ დალატობს საგნის თუ მოვლენის მღვლარედ განცდის, ძლიერი პათოსური შემართების პრინციპს. მისი პოეზიის ფიცხი, ცეცხლოვანი ბუნება ვერ ეგუება სტატიკურ პოზას. „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ ვწერს“ — ასეთი ბედნიერი უქურთაქიას შთაბეჭდილება ტოვებს მერმან ლებანიძის შთელი შემოქმედება.

ფიგურალურად რომ ვთქვათ, მერმან ლებანიძე ფიქრის პოეტიკა. მის პოეზიაში „ცარიელი“ სტრიქონი არ არსებობს; ერთმანეთს ენაცვლება ფიქრი-სიხარული, ფიქრი-სევდა — იქმნება განწყობილების კონტრასტულ-პარამონიული წამა და მთელი შემოქმედება ფიქრების მაგიურ წრეში ბრუნავს. პოეტმა ციკლში — „ფიქრები“ თვითკონტროლის მკაცრი გონებით მოსინჯა პოეტური უნარი ამ მიმართებით და ერთგვარად შეაერთა თავის შემოქმედებაში გამდგომებელ ფიქრთა მაგისტრალური ხაზები. ღრმა დაფიქრება ცხოვრების აე-კარგვს, აღამიანის ბედსა და სიცოცხლეს, აღამიანური ყოფისა და ურთიერთობის მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო დეტალებზე — აი, ციკლის მოკლე რეზიუმე.

და ფიქრებს მკარნახობს ბუზღენით
პაწია მდინარე ოცხე;
„ერთი დალაგდება ცხოვრება?“ —
გულგრილად ჰკითხულობს მდინარე.

„რა ვიცი! — ჰანუხობენ ტყეები,
„ეინ იცის!“ — ყოყმანობენ მთები...
ვილაცს არ ჰყოფნის დიდება,
ვილაც სხვის საქმეში ეჩრება,

ვილაცს წართვეს მიწა,
ვილაც სამშობლოზე სწუხს...
და დღემიწიდან ცამდე
და დასაბამიდან დღემდე
მუქშეშართული და მკაცრი
დგება სილუეტი კაცის...

(„ფიქრი მეორე“)

კონკრეტულ-სავნობრივი ორიენტაციებისავენ სწრაფვის კინმა ამ ციკლშიც საკმაო დოზით (ფიქრი შესაძვ, ფიქრი მეთოთვ, ფიქრი მხებუთვ) გაილედა, მაგრამ პოეტმა კვლავ და კვლავ ღირსეულად შეინარჩუნა სუბიექტური ძიებების, ობიექტის სუბიექტური მხატვრული ფერებით დამორჩილების პრინციპი. ობიექტური საგნები და მოვლენები ხშირად ისე ორგანულად იგუებენ ზოლმე პოეტის მიერ მათში შეტანილ სუბიექტურ თავისებებს — ასოციაციებს, რომ მათ „თანდაყოლილ ნიშნებივით“ აღვიჭვავთ, მერმან ლებანიძის ლირიკული ადღოს მრავალმხრივი განსტრეება მჭედველობითი და სმენითი ასოცია-

ციების ოსტატურ მონაცვლეობაშიც ინატება. პოეტის გრძნობა ორივე მიმართებით თანაბრად მახვილი და ფხიანია.

ლირიკის ისტორიაში არაერთი და უორი ფიქტი არსებობს მჭედველობითი თუ სმენითი ასოციაციებით ცალმხრედ გატაცებისა, რაც ფორმალზმის თავისებური დადასტურებაა. ვერლენი პირდაპირ ამბობდა:

**O музыка на первом месте!
Предпочитай размер такой.**

ბესიკის შემოქმედებაში და განსაუთრებით „ტანი ტატანოში“ ლირიკულმა რიტმულ-მუსიკალურმა ელემამ თითქმის არნახულ ზეიმს, განუმეორებელ დონეს მიაღწია. ლექსი თავიდან ბოლომდე სიმღერით იკითხება, მაგრამ პოეტის სიყვარულის საგანი, მისი გრძნობა და ემოცია, აზრობრივი ფენომენი ისე განუყურელადაა შერწყმული ლექსის მუსიკასთან, რომ იგი (მუსიკა) ლირიკული შინაარსის, საგნის გრძნობად-ემოციურ ექვივალენტად გვევლინება.

მერმან ლებანიძეს არსად არ ეტუობა რომელიმე (მჭედველობითი თუ სმენითი ასოციაციით) ხელოვნური გატაცება. თითოეულ მათგანს ლექსის ყოველ დეტალში უშუალოდის დალი აზის და ლექსის მთლიანი ორგანიზმის ლოგიკური სხეულია. პოეტი მუსიკალობის ნიშნებს ლექსში პროზაული ელემენტების შეტანისასაც ინარჩუნებს. მან შიავნო თავისი მოქნილი პოეტური სტრიქონისათვის შესაფერი პოეტური პროზის საიდუმლოებას. მერმან ლებანიძე პროზაში ისევ და ისევ პოეზიას ეძებს და გრძნობს. მერმან ლებანიძის კალამი ქართული ბავშვების გულისთქმასაც ვახსნიანა. იგი საბავშვო მწერლობაში ერთი პრინციპით იღწვის — მკითხველს უთხრას ისეთი რამ, რაც მის გონებას აამაღლებს, რაც ფანტაზიას გაუღვივებს.

ტურფა გაზაფხული მოვა,
ტურფა გაზაფხული მოდის!
ამას მეუბნება თოვა
და სითოთრე ტყემლის ტოტის,
ამას მეუბნება გროვა
ენძელის და კორჩიოტის...
ტურფა გაზაფხული მოვა,
ტურფა გაზაფხული მოდის...
(„ტურფა გაზაფხული მოვა, ტურფა
გაზაფხული მოდის...“)

პოეტი ტაქტიანად იღებს გვს ბავშვის რეალური გონებრივი შესაძლებლობის იქით, — ისე, რომ ნორჩ მკითხველს არც შეტანსმეტად გაუჭირდეს აეტოროს ჩანაფიქრის მიხვედრა და ვერც იოლად, როგორც იტყვიან, გონების ვენძრეველად ჩაწედეს. მან იცის ბავშვის რთული ფსიქოლოგიური სამყაროს საიდუმლოება და

ნაწარმოების ყოველ დეტალს ამ საიდუმლოების ქარგაზე ქსოვს.

მურმან ლებანიძის საბავშვო ნაწარმოებთა სტილი უაღრესად გამჭვირვალე და რაფინირებულია. მისი საბავშვო ლექსი თუ მოთხრობა მოედინება ანკარა მდინარესავით, რომელშიც ბავშვები ერთდროულად ხედავენ საყვარელი ავტორის სახეს და თავიანთ სახეებს.

„ადმოსაღლეთის პოეზიაში მარადღეკნობი სპარსული ლირიკა მიყვარს, დასავლეთის პოეზიაში — ინგლისური. ჩემი მანწავლებლები იყვნენ: ჟერ ლადო ასათიანი შემდეგ ბერნსი და კპლინგი. იქნებ მათი პოეზიის კვალი არც აჩნდეს ჩემს ნაწერებს, მაგრამ ნასაღდათარბა თვითონ იცის, ვინ იყო მისი ასისთავი!“ — წერს მურმან ლებანიძე თავისი ერთერთი წიგნის იმავე შესავალ წერაილში, რომელიც პირველ სტრუქტურებშივე მოეხსენიეთ. სწორედ ამ სიყვარულმა დაძრა მურმან ლებანიძის კალამი კპლინგის სათარგმნელად და:

„მანდი?! — რიგითმა

იკითხა ბუკის ხმაზე.

„ჩადგვიო, მწყობრში ჩადეკით!“ —

უთხრა სერჟანტმა ასე.

„კარგი და, ფერი რად მიგდის,

შე ჩემი ცოდვით სავსე?!“

„ახლა ვიხილავთ სიკვდილს!“

უთხრა სერჟანტმა ასე...

(„ღენი დივერი“)

ასე მურმან ლებანიძისეული ორიგინალური-სათვის ნიშანდობლივი სილაღით მოჩქეფს მის მიერ თარგმნილი რედიარდ კპლინგის ლექსები და ბალადები. მურმან ლებანიძემ, მოქნილი პოეტური აღლოს კარნახით, ზუსტად აღიჭვა დედანის საიდუმლოება, შეიგრობა მისთვის დამახასიათებელი მალღი სისადაეის მალღი და ქართულ მკითხველს გზა გაუხათა ამ გრძელეული შე-

მოქმედის პოეტური სამყაროსაკენ. ახლახან მან ძველგეგებტური პოეზიის ჟადოსნური სუნთქევე მოგვასმენინა; აი, ამ სუნთქევის სერჟანტის პატარა ავორღი:

სიყვარული შენი —
ფრთოსნის სიყვარული,
შენი სახის იერი —
იერია ყრმის.

სურნელება შენი —
ბალხამისას ჰგავს,
სახის კანი შენი —
ვაშლის თოთო კანს...

(„სატრფილო სიმღერა“)

საერთო სენია და არც საქართველოშია უცხო ხილი ლექსში ენის დამახინჯების შავალითები. ზოგიერთი პოეტი გიტაცებს მხატვრული ხილვებით, მოხდენილი მეტაფორებით, ასოციაციებით და სხვა მხატვრული აქსესუარებით, მაგრამ დაბალი ენობრივი ტექნიკის, ხელოვნური, გაუმართავი ენობრივი ფორმების გამო ეფექტს ვერ ახდენს, ვერ ესიტყვება და ვერ იტაცებს მკითხველის სულღერ სამყაროს.

მურმან ლებანიძის ლექსის ნატიფი, უხინჯო ფრაზა და საერთოდ ენობრივი ქსოვილი შექურასავით ანათებს ლექსის აზრსა და ვანწყობილებას და მტკიცედ ამკვიდრებს მათ მკითხველში. გამართული, მოხდენილი და ფაქიზი ფრაზის აუცილებლობასა და მნიშვნელობასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ფრანსიზ მერიზის სიტყვები — მუზებმა რომ ინგლისური ენა იყოდნენ, შექსპირის დახვეწილი ფრაზებით ილაპარაკებდნენ.

„შეიდღერი მუზის“ ერთგულემა მურმან ლებანიძისადმი გრძელდება და მარად და მარად ახლებური ხიზლის ძალით იმოსება.

იჩხა ჩხიძე

„მთვარის მოტახევის“ თავისებურება

მეოცე საუკუნისათვის ჩვეულებრივი გახდა მრავალბლანინი, მრავალსიუჟეტოანი, რთული კომპოზიციის რომანები. ერთმანეთშია გაღაზი-ლართული სხვადასხვა ენარული კატეგორიები — სათავგადასავლო რომანი, ფსიქოლოგიური, საყოფაცხოვრებო, დოკუმენტალური და სხვ. რომანის ისტორიისათვის ჩვეულებრივია, როგორც ბალზაისა და სტენდალის რეალისტური რომანის ტარდიციები, ასევე მე-20 საუკუნეში ვეროპში აღმოცენებული ანტირეალისტური მხატვრული პროზის ნაკადი — მარსელ პრუსტის, ჟუს ჟოისის, ლოს პასოსის, პაქსლის სახელთან დაკავშირებული. რომანის ისტორიისათვის ისევე ჩვეულებრივია და ზოგჯერ პარალელურადაც ვითარდება ახალი კრიტიკული რეალიზმი და ფრანგული „ანტირომანი“.

მე-20 საუკუნეში რომანი თითქოს უფრო თავისუფალი, ნათრასხოვანი ხდება. დიდ საზოგადოებრივ ცვლილებებთან ერთად ახლის ელემენტები შედის რომანის ტრადიციულ ფორმაში. თანამედროვე რომანში ზოგჯერ თბრობის კომპოზიციაც კონტრასტურადის სისწრაფით ცელის კადრებსა და სურათებს, გმირები გაღაზი ფართო გეოგრაფიულ ასპარეზზე, მოქმედება ხდება ერთ ოჯახში, ათეული წლების განმავლობაში, ერთ დღეში. ორ დღეში, არის ლირიკული რომანები, საესენი პოეზიითა და სინაზით, არის რთული სიუჟეტის რომანები — და რომანი-ბეპორტაჟები.

ეს ცვლილებები რომანის ტრადიციულ ფორმაში ეხება არა მხოლოდ ერთი რომელიმე მიმართულების მწერალს, არამედ სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა წარმომადგენლებს, რადგან მე-20 საუკუნის დიდმა ძეგრებმა და გარდატეხებმა, დიდმა რევოლუციებმა და მეცნიერულმა აღმოჩენებმა თავისი ასახვა ხელოვნებაში პოვეს, კერძოდ, რომანის ენარშიც, რომელშიც ცალკეულ შემოქმედებთ

ქვეთ თავიანთი სანუკავარი პიროვნული ელფერი.

„მხატვრის თავისებურება ისაა, რომ ის რაკით განსხვავდება სხვა ადამიანთაგან და, მამასადამე, მის მიერ შექმნილი სამყაროც თავისებურია“ — წერს ს. მოემი, რომელიც ამ თავისებურებას მწერლის ყველაზე ფასიელ მნიშვნელობას ანიჭებს.

კ. გამსახურდიასე ეს მით უმეტეს შეიძლება ითქვას. მისი შემოქმედება თავისებურ, მეტად მნიშვნელოვან და გამოსარჩევ მოვლენას წარმოადგენს ქართულ ლიტერატურაში. როგორც ბევრმა ქართველმა მწერალმა, მანაც განიცადა 20-იან წლებში ცოცხლებანი და უაღბო ვატეცებანი, მაგრამ დააღწია თავი მათ და 30-იანი წლების დამდგვისათვის დაადგა სოციალისტურ კულტურასთან მჭიდროდ დაკავშირებულ საკუთარ შემოქმედებით გზას.

კ. გამსახურდიასათვის, როგორც ფართო დიამაზონისა და ბრწყინვალე განათლების მწერლისათვის, ისევე ახლობელი და ხელმისაწვდომი იყო დასავლეთის ევროპული რომანი, როგორც დიდი რუსული და ქართული კლასიკური ლიტერატურა. ამიტომ მოხდა, რომ სწორედ „მთვარის მოტახემა“ გახდა ქართული რომანისტიკაში, ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები, რომელიც მე-20 საუკუნის ევროპული რომანისათვის ჩვეული მრავალბლანინი, მრავალსიუჟეტოანი, რთული კომპოზიციით ხასიათდება. მწერალს საერთოდ უყვარს საესე, გართულებული კომპოზიციის ქართული ლიტერატურული პრაქტიკის გამოვლისწინებით, ეს მისი თავისებურებაა, მისი სტილისტური სპეციფიკა. „ანი და პოე“ — მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ და ახასიათებს არა მხოლოდ რომანებს, არამედ ზოგიერთ მის ნოველასაც („ქოსა გახუ“, „ტაბუ“, „ხუთასი ბოლნისელი“), სადაც მინიატურაში მოცემულია ის თავისებური სტილი მწერლისა, რაც პრინციპადაა ქვეყნული კ. გამსახურ-

დიას რომანებში — ადრეულ „დიონისოს დი-
მილიში“, „მთვარის მოტაცებასა“ და „ვაზის
ყვავილობაში“.

„მთვარის მოტაცების“ სიუჟეტურ-კომპოზი-
ციური წყობა ნების ვეაძლეეს მას ეპოპეა ვე-
წოდეთ. პორტრეტების ხატვის თავისებურება
არა განყენებულად, არამედ საზოგადოებრივ
მოყენათა ფონზე, ახალი და ძველი სამყაროს
ჭიდილში ახალი ადამიანის გამოკვეთა, ძველი
სამყაროს დაღუპვის გრანდიოზული სტრატის
ჩვენება თავისებურ სიუჟეტურ-კომპოზიციურ
ჩარჩოშია მოცემული, სადაც უამრავი „ფაბუ-
ლური განშტოებები“ შედის ლირიკული წიად-
სელების, ეპისტოლარული ჩანართების, მითე-
ბის, სიმბოლოების თუ სხვისი სიტყვების სახით.
„მრავალწახანგავანი“ სიუჟეტი რომანისა მწე-
რალს საშუალებას აძლევს დაინახოს და შემო-
იყვანოს რომანში არა მხოლოდ თარაშ ემხვა-
რის გარემოცველ ადამიანთა მთელი სამყარო
— ქორა მახვში, ლანდადქეული და მომიხილა-
ვი თავიდი ფარჯანიანი, ლომკაც ესეანჯია, ტარ-
ბები, ზოსიმია — ეს ასე თუ ისე აქტიური და
პასიური მოწინააღმდეგეანი ახალი ცხოვრებო-
სა, არამედ საშუალებას აძლევს მწერალს დაე-
ვანახოს ბურჟუაზიული სამყაროს ცხოვრების
სურათებიც მრავალრიცხოვანი ბერებისა და
გრუნტების ლაშქრით, გავეციენოს მუსიე რომე-
ნების მახინციებია, მისდიოს პრესაში გამოცხა-
დებულ ნოტებსა და პოლიტიკურ მოვლენებს,
ილაპარაკოს ფაშისმის, ბერძნული კულტურისა
თუ შვეიცარიების პრობლემაზე, გავეზიაროს
თავისი შეხედულებანი ზელოვნებასა თუ პოლი-
ტიკურ ვითარებაზე.

ამასთანად, დიდი მხატვრის ფუნქციით დაგვი-
ხატოს საქართველოს უღამაშესა პეუნაეები,
გვესაუბროს ტექნიკურ სიახლეებზე, ლაღმე-
ბის აფეთქებაზე სენანეთის მთებში, ბობოლების
აქანყების შესახებ ურთახე, ჩამოიყვანოს პო-
ლიტიკური ზელმძღვანელები ოქტომბრ და ვა-
დახვეწოს თავისი გმირები სენანეთის მიუელა
მთებში. იქიდან წერილების სახით გავეციენოს
თავისი გმირთა მომავალი ბედი თუ უბედო-
ბა და ის, თუ ლაღმეების აფეთქების ზმა რო-
გორ თანდათან სღვენის მით სენანეთის მთებო-
დან.

„მთვარის მოტაცებაში“ შეიძლება გამოიყოს
რამდენიმე ხაზი — თარაშისა და არზაყანის,
არზაყანისა და კაცის, თამარისა და თარაშის,
რომელთა ურთიერთდაპოკიდებულებაში იხსნე-
ბა რომანის შინაარსი. მგარამ გარდა ამისა,
მწერალს შემოაქვს „ფაბულური განშტოებო-
ნიც“ — გავაჟ აფაქიძის აბრაგომის ისტორია,
ზოსიმის ამბავი, მეგრების — ყოფილი გვერ-
ლის თავდადასავალი, ჯამსულ ემხვარის, ერამ-
ხეტ ემხვარის, ლომკაც ესეანჯიასი, ქორა მახ-
ვის, რომლებიც ორგანულად ერწყმის რომანის
ძირითად კომპოზიციურ ხაზს. ყველა ეპიზო-
დური გმირი თავისი საკუთარი სიცოცხლით

ცხოვრობს, საკუთარი ანგარიში აქვს ცხოვრე-
ბასთან.

„მთვარის მოტაცების“ კომპოზიციის სწორ-
ხაზოვნება გადაყვეთილია ლირიკული წიადსე-
ბითა და ჩანართებით, მოგონებებითა და ლი-
ურებით, მოულოდნელი და მოსალოდნელი შე-
ნაკადებით (ასეთი მოულოდნელი შენაკადია,
მაგალითად, ვეანჯის მიერ ნამშობი ამბავი ინ-
გლისელი ლედისა და გარეული ტახის ედით
დაქერის შესახებ, ფარჯანიანის თეიომკელე-
ლობა).

რომანში მთელი თავებია — „ჯოჯია“, „და-
ლი“, „ზოხბის ყვილი“, „მოსისხარი შენონ-
გურე“, „ქორა მახვი“, „ჯოჯის თვალი“, სა-
დაც მწერალი თეითონ ხდება რომანის პერსო-
ნაჲი, ცხოვრობს თავისი გმირთა ცხოვრებით,
ვაჟეაციბაშიც კი უჭირბება მათ და თარაშის
საქციელთ აღმწოთებული სასიკედილოთაც
კი იმეტებს თავის საყვარელ გმირს. შეშღგე-
მის სიყვდილში ღარწუნებული ბარად ჩამო-
დის, ერთხელ კიდეც შეიჭრება რომანის მსეღე-
ლობაში, როცა ბარათებს გამოართმევს ჯოჯისა
და უჯე ამ ბარათებს მიანდობს სიტყვას.

ამ თავებში თხრობა მიმდინარეობს გამასტრ-
დიასათვის საყვარელ, ცნობილ Jch Erzählung-
ის წერის მანერით, რომელსაც მწერალი „მთვა-
რის მოტაცებაში“ თავისებურად გამოიყენებს.

მწერლის გაპერსონაჲება თითქოს მოულოდ-
ნელია, მოუხედავად იმისა, რომ ადრევე მზა-
ღებოდა რომანში ამისათვის ნიადაგი.

„მთვარის მოტაცების“ მეორე კარის დასას-
რულს, მიანწერში მწერალი აჟამებს მინამღე
მიმხდარ ამბებს და დასძენს:

„...ხოლო მე, ამ უბედური ამბების ავტორი,
დაელონდი ფრიალ და სასოწარკვეთილმა ეს გა-
დაეწვევიტე: თხრობა შემწვევია საყვანით“.
(გვ. 494).

შემდეგ იწყება რომანის მესამე კარი, რო-
შელშიაც პირველი სტრიქონებიდანვე ავტორი
მოგვევლინება პერსონაჲის როლში. ინგლისელ-
თან სუბარის და შემდეგ შეგონება, სადაც მწე-
რალი უშუალოდ მიმართავს მკითხველს ქარ-
თველი კაცის „სოიავარის“ შესახებ — ერთგვა-
რი მოსაშაღებელი ნიადაგია, რითაც იგი მკო-
თხელით გაფართულ ყურადღებას მიიპყრობს,
როგორც, მაგალითად, იოანე სახანის-ძე —
„მომაზყრენით საჩინონი ეგე სასმენლნი თქუე-
ნი და უფრ ს-ლა საცნობელნი ეგე ყურნი გუ-
ლისა და გონებისა თქუენისა განმპარტენით
სმენალ და მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ამოთ
წეთათ...“¹

ასეთი ხელაუნური შეწყვეტა რომანის მსეღე-
ლობისა საერთოდ გვხვდება „მთვარის მოტაცე-
ბაში“, მწერლის ჩარევა ზოგჯერ რემარკების
ხასიათს ატარებს, იგი ახსნა-განმარტებას აქ-

¹ „მარ ლობა ჰაბლ სი“, ძველი ქართული
ლიტერატურის ქრესტომათია 1946 წ., გვ. 56.

შემკვიდრებას. ვერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის წლებში აკაკიმ მისივე ზღაპრულადანობით დაწერა საკანდიდატო შრომა, რომელშიც ასე ვახეულებდნენ იყო დაუწყებელი „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხი. უამრებია, აკაკი წერეთელი იცნობდა დ. ჩუბინაშვილის ამ მოსაზრებებსაც.

მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ, თუმცა ეს მხატვრულ ნაწარმოებსა და პუბლიცისტურ წერილებშია გამოთქმული, აკაკის ამ აზრებს წინადადებით შედარებით, კიდევ უფრო კატეგორიული მტკიცების ხასიათი აქვს და იგი გადმოცემულია ორიგინალურად, აკაკისუფლად.

რომ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს აკაკის ამ აზრების ორიგინალობა, შევადაროთ იგი ნინოს ცხოვრების წყაროებს, სადაც მის უცხოურ წარმომავლობაზე საუბარია.

როგორც ცნობილია, ნინოს უცხოური და ბრწყინვალე გვირგვინი წარმომავლობაზე მეტხეუ საუკუნის შემდგომდროინდელ ქართულ წყაროებში, თვით მისი ცხოვრების დასაწყისშია მოთხრობილი და ნინო, ვიშვარავთ, კაპადოკიელი ზაბილონის — რომაელთა სარდლის — ასულად, იერუსალიმის პატრიარქის იოანეს დისწულად არის მიჩნეული.

მის უცხოელობაზე წყაროებში შემდგომშიც ხშირად არის მინიშნებული. წყაროება, მაგალითად, ერთხმად მიუთითებენ შემდეგ გარემოებაზე: ფარავნის ტახთან მისულმა ნინომ სასაუბლად ქვა დაიდო და წაიძინა, სიზმრად მას უცხო კაცი — ქრისტე — გამოეცხადა, წყრილი გადასცა და უთხრა: „მობრძე ესე მცხეთას მეფესა წარმართთასა“, ხოლო წმიდამან ნინო იწყო ტირილად და ვედრებად მისა: „უფალო მე დედაკაცი ვარ უცხო და უმეცარი და არცა ვიცი ენა, ვითარ მივიღე უცხოთა ქუეყანასა და უცხოთა ნათესაეთა თანა“! (ხაზგასმა ჩემია), — ვითხოვლობთ „ქართლის ცხოვრებაში“.

ამასვე ამბობს ნინო ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ნინოს ცხოვრების ვარიანტში, სადაც ნინოს თავგადასავლის დიდი ნაწილი პირველ პირშია მოთხრობილი: „ხოლო მეწაფე ტირილად და ვრქუ მას ვედრებით, ვითარმედ: მე უფალო დედაკაცი ვარ უცხო და უმეცარი და არცა ვინისა შეტყუებულად მიცნიერ ვარ და ვითარ მივიღე უცხოთა ქუეყანასა და

კაცი თა მათთანა უცხოთა“! (ხაზგასმა ჩემია, დ. ჩ.).

ასრენ კათალიკოსის მიერ შედგენილ ნინოს ცხოვრების ვარიანტის მიხედვით: „მამამისაჲს უცხოობას შესწივის სიზმრად გამოცხადებულ ღვთისმშობელს, ხოლო საქართველოს საზღვრებში შემოსული, იგი მაცხოვარს სიზმრადვე ეუბნება: „ოუფალო, მე დედაკაცი ვარ უცხოა, ვიდრე ვლიდე უცხოთა ნათესაეთა თანა“! (ხაზგასმა ჩემია, დ. ჩ.).

ყველა დასახელებული წყარო ერთხმად იმეორებს ამ ადგილსაც:

„მამინ მოვიდა სეფე ქალი ერთი, სახელით შროშანა და თილა იგი ზესა მას ქუეყნა: ვანკრდა და მოიყვანა ბერძნულად მეტყველი დედაკაცი და კითხა გზა მისი. ხოლო წმიდამან ნინო აუწყა და უთხრა უოველი გზა და საქმე მისი თჳნიერ ხოლო დედა-მამათა მისთა არა აუწყა, რამეთუ ტყუად უთხრა თავი თჳსი. მამინ შეეწყალა შროშანას უცხოებისა მისთჳს.“

ან „მამინ მოვიდა სეფე ქალი, სახელით სეფექალი, მიხილა და მოიყვანა ბერძნულად უოველი (ბერძნულად მოლაპარაკე, დ. ჩ.) დედაკაცი და მკითხა უოველი გზა ჩემი.

მამინ ვხედვედ მე თუალთა მისთა ცრემლთა დინებასა უცხოებისა ჩემისათჳს“! (ხაზგასმა ჩემია, დ. ჩ.).

„...შროშანა... მოწყალე ქმნილი უცხოებისათჳს მისისა, (ხაზგასმა ჩემია, დ. ჩ.). ცრემლით აიძულებდა წმიდასა ნინოს წარსვლად მისთანა“.⁵

სიკვიდის მიახლოებულ წმინდა ნინოს თავს ადგანან სალომე უჯარმელი, პეროცეარი სივნიელი, ერისთავები და მთავრები. ნინოს ავადმყოფობით ფრიად დამწუხრებულთ, სურთ საიდუმლოებით მოეტლა არ დატოვონ მისი პიროვნება და ნინოს ეკითხებიან: „ვინა ანუ სადათ მოხვედ ამას ქუეყანასა მაცხოვრად ჩუენდა ანუ სადათმე იყო აღზრდა შენი, დედოფლო; მაუწყე ჩუენ საქმე შენი. რასა იტყ; ტყუარობასა, ტყუეთა მსხნელ სანატრელ... ვითარ იტყ, ვითარმედ ტყუე ვარი მე, ანუ ვითარ უცხოა“ (ხაზგასმა ჩემია, დ. ჩ.).

1 ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ან მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა, გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა, ტფ. 1891, გვ. 17.

2 ცხოვრება წმინდა ნინოსი, შედგენილი დიდის არსენი ქართლისა კათალიკოსის მიერ მე-10 საუკუნეში, გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, ტფ. 1902, გვ. 16.

3 ქართლის ცხოვრება, იქვე, გვ. 93.

4 ახალი ვარიანტი, გვ. 26.

5 საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 131.

6 ქართლის ცხოვრება, იქვე, გვ. 127.

1 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით; თბ., წ. 1, 1955, გვ. 86.

ლევს ამა თუ იმ ამბავს, ან და საკუთარ კერძო მწერლობას წარმოადგენს რაიმე საკითხზე (გვ. 259, 494).

„მთვარის მოტაცებაში“ მთელი თავია ჩართული — „ღრიული ინტერმეცო“. ამ თავში მწერალს ქართული ენის ანბანზეა აქვს მოცემული. ღრიული მონოლოდით, ავტორისეული რემარკებით, კ. გამსახურდია თითქოს ასვენებს მკითხველს, აძლევს მის გონებას განსჯისა და ფიქრის საშუალებას, გასაქანს ფანტაზიას — რა მოუვა რომანის გმირებს.

ეს ხერხი თითქოს სარაინდო რომანებისა და ხალხური ზღაპრების მსგავსად ინტერესს აღუძრავს მკითხველს: მარჯვნივ წავა — ბედს შევურება, მარცხნივ — წავა — ხიფათი ელის და ა. შ.

ღრიული ჩანართები ავტორის საშუალებას აძლევს მკითხველს გაეზივინოს, მოახდინოს მასზე გაელუნა, როგორც გარეშე მჭკრეტელმა პირმა, განაჩინო გამოუტანოს თავის გმირს, გაამართლოს ან გაიცილოს იგი, დაანახოს, რომ რაც მოუტეა ამა თუ იმ გმირს, ეს მისი, მწერლის სიმპათიებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმ ცხოვრებისეულ სიმატლეზე, რომლის მოხრობლად გამოდის ამ დროს მწერალი.

ცალკე უნდა გამოიყოს ეპისტოლარული ჩანართები „მთვარის მოტაცებაში“.

ეპისტოლარული ჩანართებით მწერალი ახერხებს არ გადატვირთოს მკითხველის გონება უშუალო თვალშიდგენებით, ერთმანეთს ნებისმიერად დაუკავშირის დრო და სიერცე და ამავე დროს არ ამოვარდეს აწმყოდან, შეკრას და დაუკავშიროს ერთმანეთს რომანის ვრცელი და ძნელი, რთული კომპოზიცია.

ეპისტოლარული ჩანართები უცხო არ არის ლიტერატურის ისტორიისათვის და საშუალებას წარმოადგენს გმირის სულიერი სამყაროს გადმოსაქმნად. ასე იყენებს მათ კ. გამსახურდიაც. რომანი, უპირველეს ყოვლისა, აღმოაჩნა ხასიათის გაგების ცდაა. თარაშ ემხვარის „ბარათები მახვშის კოშკიდან“ და დღიურა მწერალს გამოყენებული აქვს სწორედ ამ მიზნით. დღიურში სხვისი, ამ შემთხვევაში თამარის, თვალთ არის დანახული თარაშ ემხვარის წარსული ცხოვრება, მისი გამწარებული სიკვამილის წლები, ის თუ აბრეშუმის ძაფით თვალმოკრულ მიმინოსავით როგორ გუშავდნენ მას უცხოურ ყაიდაზე. მისი ლტოლვა სამშობლოსაკენ და უცხოებაში ყოფნით გამოწვეული სიმძიმელი, ელენ რომსურთან თარაშის დამოკიდებულების ისტორია და სხვ.

აქ ავტორი არსად ჩანს, ავტორის სიტყვა არ გვხვდება. დღიურში გამოყენებულია პირველ პირში თხოობის ცნობილი მანერა. ეს არის თავისებური აღსარება თარაშ ემხვარისა, რომელშიც ნაწილობრივ ექსპოზიციურად იშლება თარაშ ემხვარის ხასიათი და ეს აღსარება

თავის განვითარებასა და დამსრუტულ მახვშის კოშკიდან მოწვიარს ბარათებში პოტელობს. სადაც თარაშ ემხვარის თითქოს „განაჩინო“ გამოაქვს საკუთარი თავისათვის „წერაწერა“ მათეს უყრის წარსულ ცხოვრებას, ერთმანეთს ცვლის მისი სასოწარკვეთილება და იმედოანი განწყობლება, როცა სენერ ლასკარში შესვლასა და ლამარის შერთავზე ლამარავს.

„ღვე, ეს ბარათი ჩემი უკანასკნელი აღსარება იყოს, თქვენ ისეთი დიდი სათნო გულ გავით, კიდევაც რომ წაიკითხოთ იგი, მომიტყვევით და შემოცოდეთ (თუმცა მე არ მიყვარს ვინცა როცა შემოცოდებს ხოლმე)“ (გვ. 623).

საინტერესოა ერთი რამ. ეს ბარათები დაწერილია როგორც ამა ერთხელ იყო აღნიშნული, პირველ პირში. მარაშ ამ თითქოს თარაშის ხმას ზოგჯერ სხვა ხმაც ახლართება ხოლმე. ბარათებს ზოგჯერ მიჩქმალული პოლემიკის ინტონაცია ეტყობა, საკუთარ თავთან, საკუთარ ჩრეტულთან ან და მეორე პირთან პოლემიკის ინტონაცია.

„შესაძლოა მე თქვენს წინაშე გამომჩინოს ერთგვარი უგულობა, მაგრამ მე ვვარძობდი, თქვენ ისევე ზერტულად მეტყვოდით, როგორც მე თქვენ ყველას ერთად და სათითაოდ. თქვენ მაინც თქვენი ქმარი გაიყვარდათ, თქვენი თათია და ოჯახი“ (გვ. 627).

„უბები რომ ვაიხსენება, არზაყანი ტფილისს წასვლას აპირებს, კაც ზეამბაიამ თუ გაუშვა, მე ალბათ აქ დავრჩები და ლამარისა შევირთავ...“ (გვ. 628).

„მაგრამ ვინა სიტყვა, მაინცდამაინც სწორად უნდა იაროს ძე ხორციელმა მიწაზე? — იღვალღური სწორსაზოვნება ბუნებაში არც კი არსებობს“ (გვ. 621).

როცა თარაშ ემხვარ კაროლინას წერს ამ ბარათებს, ითვალისწინებს იმ პასუხსაც, რომელიც კაროლინას შეეძლო მისთვის მოეწერა, ითვალისწინებს რეაქციას, რასაც მისი წერილი გამოიწვევდა და ამიტომ იწერება უკვე როგორც შესაძლო რეაქციაზე გაეცემული პასუხი. ამ ბარათებში თავს იჩენს უამრავი ნატანჯი ღამეები. თარაშში შინაგანად თითქოს ელოდება სხვისი თვალთ ცხოვრების შეფასებას და რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს ლუკათას შერ მონტანის კაროლინას ბარათი.

„ეპ, რა მოგწეროთ, თქვენ ძლიერ ჩიუბი ადამიანი ხართ, მაინც კარგი გაცვეთილება მივიღიეთ, როგორც ჩანს, სენათში, ისე როგორ დაბარუნდებოდით.

რა ჰქვინთ? ლამარია არ შერთეთ?“ (გვ. 691)

ამის შემდეგ დაკენილივით წამოიჭრება თარაშ ემხვარი. ამას მოსდევს კათალიკოსის ეტრატის კითხვა, სადაც ასდამერვე ლუქსით შერისხულია თარაშის წინაპარი ვარდან ემხვარი. კაროლინას წერილის შემდეგ ეს ლექსი ელერს როგორც თარაშ ემხვარის შერისხვა და

შემდეგი თავი — „ასამერვე ლექსი“, რომელშიც ტარდელ შარავშიძე გვა საუკუნის შემდეგ ისევ ასამერვე ფსალმუნის ლექსით წყველის ვარდნ ემზადებს უკანასკნელ ნაწიგის, ფიქტურ მნიშვნელობას იძენს.

ეს ორხმაინი სიტყვა ერთხელ კიდევ იწინებს თავს — ეს არის თარაშის უკანასკნელი წერილი ვახტანგ იამნინისძისადმი. ეს წერილი დაწერილია საკუთარ ორჯულთან დიდი შინაგანი ბრძოლის შემდეგ. შემთხვევითი არ არის, რომ წერილი მოსდევს თავს — „გაც და ვაიმ,“ როცა თარაში წაგებულად თვლის ბრძოლას და შეგნებულად ირჩევს მესამე გზას — სიკვდილის გზას. ეს წერილი თითქმის რეკვიემია საკუთარ თავზე დაწერილი. თარაში ანალიზს უკეთებს თავის ვანელი ცხოვრებას.

„ხომ ვახსოვს რომში რაც ვითხარი, ორი გზა მეთქი ამ ეპოდ მსოფლიოში, ორად-ორი გზა კომუნისტებისა და ფაშისტებისა...“

„...მოკლედ გეტყვი, ძმაო, მე ვერც ერთ მათგანს ვერ დავადექი, ორივე დაბნული აღმოჩნდა ჩემთვის, რადგან დავრწმუნდით: ის სამყარო, რომელიც მე განუზომლად მიყვარდა, ველარასოდეს აღსდგება აწი. ხუნდებიან ჩემი საყვარელი ფერები, კედლებიან ჩემი სანატრული სიმღერები, და ლოფორთქინასავეთ სახეცელილი ქვეყანა მე მერჩვენება როგორც უფერული ტრამაილი.“

„...სვანეთიდან მობრუნებულმა, ეს პირველად შევიცანი ჩემს სიცოცხლეში მარტობელა კაცი თავისი უდიდესი სიბრძნითაც შლავის შთაბეჭდილებას რომ ახდენს, ამიტომაც ამ მესამე გზას დავადექი მე უნებლოდ.“ (გვ. 705).

შემდეგ შესაძლო რეაქციის გათვალისწინებით ურთავს მწერალი: „ლოგაის ძალით მე ბევრ რამეში შენ გეთანხმები, მაგრამ ხომ ვახსოვს, ვატყავნში რომ ვითხარი, მამა-პაპათა ზნეთაგან ჩვენ ისე შეპყრობილი ვართ მეთქი, როგორც ლაოკონი, და მისი შვილები, გარს შემოგრაგნილი გველისაგან“ (გვ. 705)

და შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილება, უკომენტარო, შეუცვლელი:

„ეს ბარათი უჩვენე ყველას, ვინც ყოყმანობს, ყველას უჩვენე. თანაც უთხარი ყველას, ჩემს ნატერგალზე არაეინ შესდგას ფეხი, რადგან საშინელი წყველით დადაღულია ვარდანიძე-ემზვარების ეტლი და სარბიელი. ჩემი გზა აწი იჭითყენ მიდის, საიდანაც ზეამ უღვარ ბრუნდება.“ (გვ. 706)

თარაში ამის შემდეგ ფაქტურად უკვე მკვდარია. ბოლო თავი, ენგურის მიერ მოთვარის მოტაცება, გარდა დიდი სიმბოლური შინაარსისა, იმიტომაც არის საინტერესო, რომ კომპოზიციუ-

რად კრავს და ერთგვარ პოეტურ ჩარჩოში სვამს რომანსა.¹

„მოთვარის მოტაცებაში“ ყურადღებამ იმეცნეს უაღრესად დიდი პოეტურობის გაცრცხლებული ქართული სინამდვილე. ეროვნულ კოლორიტს ქმნის ტრადიციული რიტულების, უამრავი ზნე-ჩვეულებებისა და სანახაობათა აღწერლობა, ქართული მითოლოგია და სიზმრები, რომლებსაც გარდა მისი, რომ ცხოვრობენი ეგზოტიკურობის ელფერი შეაქვთ რომანში, რა თქმა უნდა, სხვა დანიშნულებაც აქვთ. „მოთვარის მოტაცებაში“ გადმოცემულია დაძვებული მომენტი ორი სამყაროს შეჯახებისა, როცა უკვე გაპარობებული ერთი მოთვარის ცელომა და მეორის სიცოცხლე.

კ. ვამსაჭრლიას „მოთვარის მოტაცებაში“ ძველი სამყარო გაცილებით უფრო დიდი სიცოცხლისშიგრებით არის აღწერილი, ვიდრე ახალი და შესაძლოა სწორედ ეს ძველი, მომავლადეი სამყარო იყოს ყველაზე საუკეთესო ფონი ახალი გამარჯვებული ცხოვრების შეუფერებელი წინსვლისა.

მწერალს ამ ორი სამყაროს შეჯახების ჩვენება უხდება საქართველოს ისეთ კუთხეში, სადაც განსაუფრებებით ძლიერი იყო უოველგვარი ტრადიციები, ძველი რელიგიური გადმონაშთები, თავისებური სინერჯიზმი წარმართობისა და ქრისტიანობისა. მდიდარი მითოლოგია, საინტერესო ძველი რიტუალები და არაჩვეულებრივი წარმართული გადმონაშთები ამ ძველი სამყაროს ცოცხალი სინამდვილე იყო, რომელიც უნდა დაემარცხებინა ახალ ცხოვრებას. იმიტომ ვგვიამბობს მწერალი აფიკარდელის, ნიზიტუს შესახებ, რომ ეს ერთგვარი გასაღება ძველი თაობის ზოგიერთი წარმომადგენლის სულიერი სამყაროს გასახსნელად და შესანიშნავად ესადაგება ამა თუ იმ გმირის ხასიათს. ზოგჯერ გმირიც კი შემოკლება მწერალს ისეთი, რომლის ამოღებაც შესაძლოა რომანის საერთო სურათს არაფერს დააკლებს. მაგრამ რაღაცნაირად უკავშირდება რომანის კომპოზიციას. ასეთია, მაგალითად, კერპთაუკანისმცემელ აფხაზთა მოგვი, გრდემლზე მლოცვეთა ქურბი ზოსიმია. მოგდებულ წისქვილში მცხოვრები ქრისტეზე გარეგნობის კაცი, ქრისტესავეთ უზოვარი და უტონელი, თავისებური ფილოსოფიის მქონე, საიდუმლო კულტის თაყვანისმცემელი — რომანში შემოკლავს მწერალს როგორც იმ გარემომცველი სამყაროს წარმომადგენელი, რომელიც გარს არტყია თარაშ ემზვარს და ახალ სამყაროსთან მისვლაში ხელს უშლის. ამ კაცივეთ ქოხში განმარტობას ნატრობს ემზვარი. ეს კაცი თითქმის ერთი აჩრდილია იმ დროიდან თარაშის შესახვედრად

¹ გავიხსენოთ რომანის დასაწყისი — ისევ აიღლებული ენგური და მის ტალღებთან შეკრინებული არხაყან ზემამია.

რეალურად ფეხადგმული, რომელსაც ეტრფის თარაში. მხოლოდ ერთი, მეორეა გვანჯი აფაქიძე — ნაყინაბარი, თავზებელდებული, მესამე ქორა მახვში, მეოთხე — ლუკია და ა. შ. დანაწილებული, დაქუცმაცებული, თარაშ ემხვარის საოცნებო საწყაროს ნამსხვრევები. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ლუკია ლაბაძე თავს იკლავს ზონიმიას ქონში. მას გველი ჰკლავს, ზონიმიას „ანგელოზობატონი“. რომელიც მითოლოგიაში საერთოდ სიბრძნისა და სიჭანსლის სიმბოლოდ არის მიღებული.

ჯ. გამსახურდიას სიმბოლოა შემოაქვს „მთვარის მოტაცების“ ცალკეულ თავთა საოცარი ვეგეტრები შერჩეულ სათურბუცო. რომლებითაც მწერალს თითქოს წინასწარ უქმნის მკითხველს განწყობილებას. შავალითად, „ჰანგოცარული მიმინო“, „ფოლადისფერი ქარი“, „გარდასული ფერების სიმფონია“, „ქვესკენელის ბუღბუღები“, „ლუკიას გაცეცება“, „პაერთბლანი და ურმის ფერსა“, „როგორ მოიხატა ენგურმა მთვარე“, ცნობილია „მთვარის მოტაცების“ ინტერპრეტაცია:

„საერთოდ, ქვეშეცნულად ვწერ. მეტწილად სათურიდან გამოვდგარ: ვერ ვიტყვი, თუ როგორ ხდება ეს, როგორ გამოვდგა ერთ ან ორ სიტყვას, სათურბო ვახშურებულს, ათასი და ათი ათასი (როგორც ახლად ვახინოდ დედს-ნაყარი ფუტყარი)...“ (როგორ ვწერ?) (გვ. 180).

„პირველთაგანვე იყო მითი. ამ ქვეყნად ყოველთავე მითით შეიქმნა, რაც კი რამ შეიქმნა... მითი იყო უპირველესი განზრახვა ღმერთებისა და ხელოვნებისა და როცა ყოველივე არაბად იქცევა, დარჩება ალბათ მითი“ — წერდა ჯ. გამსახურდიას ნოველაში „ტაბუ“.

ეს მითოლოგია საქმარისად უხვად აქვს მწერალს გამოყენებული „მთვარის მოტაცებაში“. საინტერესოა, როგორ თავსდება ეს მითები „მთვარის მოტაცების“ კომპოზიციაში: ახდენს თუ არა რაიმე გავლენას მოქმედების მსგულლობაზე, გვირის საქციელზე, იწყებს თუ არა გარდატეხას მასში? ეფიქრობთ, რომ მითსაც და სიზმარსაც „მთვარის მოტაცებაში“ თავისთავადი ფუნქცია აქვს, უფრო მეტად როგორც მხატვრულ ზეჩებს გვირის ხასიათის გახსენსათვის. მწერალს ეს მითი შემოაქვს ალგორითული მნიშვნელობით და ახსნავანმარტების აქლევს უკვე მოხდენილ თუ მოხსადენ ფაქტს, ზოგჯერ იგი წინ უსწრებს, ზოგჯერ შემდეგ მოსდევს ამბის მსგულლობას. საინტერესოა ამ მხრივ მითები, რომლებიც ლუკია

ლაბაძეს უკავშირდება („ნებუქოდონოსორის სიზმარი“, „ლუკიას გაცეცება“), ისინი მწერალს ჩაფიქრებელი აქვს, არტისტულ სიტყვორიული ხასიათის მინიშნება: „სადგენს“ ლუკიას ფსიქოლოგიისათვის. როცა ლუკია იგავს უამბობს თარაშ ბრძებისა და თვალბოლოის შესახებ, რომელსაც საოცარი ფრინველი გაუფრინდა, იგი გულისტყვილით დასძენს:

„თვალბოლომა ხელი აცდენს იმ საოცარ არსებას, ხის წვერზე შემომდარს და ხელშეუვლები გაფრინდა თურმე უცხო იგი ფრინველი.“

რად ამბობ ამას, ლუკია? — შევეიხთა თარაშ ემხვარ.

ისე, ჩემთვის ვამბობ, შურიგე“. (გვ. 214). ეს არის საოცარი გულისტყვილით ნათქვამი ბოლოსიტყვა. ლუკია მისტირის იმ საოცარ ფრინველს — სიცოცხლეს — ხელშეუვლები რომ გაუფრინდა. ეს იგავი ეხმაურება თავს „ქვესკენელის ბუღბუღები“, მაგრამ თუ იქ შეზამბომეხებული ლუკია დიდი ექსპრესიით რუკავს ზარებს და ქვეყანას შესტირის — „ოჰ, ცოი შალაო, ოჰ, შრუმე ლამეც. წყველიმც იყავ ბეღტრული სიცოცხლეც“ — ამ იგავში ეს უქმეოფილება უკვე გამოქმეულია უფრო ადრე და ლუკიას ხასიათის ერთი პატარა ნუფანის უკვე გახსნილია.

ასევე „გაცე და გაიმ“. ამ თავში გრძელდება ის ორთამბრძოლა, რაც თარაშსა და მის ორეულს ჰქონდა ერთმანეთთან დევების ქებაში.

„როგორც ერთ შემში დამწყვედილი ორი შორილი — მიესწვდილი ერთმანეთს მე — ავადმყოფი და მე განსალი, მე ჩიხიანი და — მე კოსტუმანი, მე — უწვერული და მე — წვერიანი, დავეგსლეუ ურთიერთი და შევაჩვენიო“...

„ან შენ და ან მე“

დაიწერა მისმა მუხებ ხმამ. იელა მაშინ ჩემს წინ ფოლადმა, გაიბო მვერდი და შეხვარა ტფილი სისხლი მოსისხარმა შეორე შემან.

ისევე მწევარ უხვეულო და განკვეთილი“. (გვ. 601).

ის, რაც თარაშს დღვის ქებაში ეზმანება, შემდეგ მითში პოეტობს განეითარებას. „თვალნათლივ ხედავს თარაშ ემხვარი საშინელისა და ენითუქმელის განეცხადებას: არზანის მთაზე ორი ქანდაცი აღმართავთ ყველა, ორნივე სიბლენისანი თხემიდან ტერფამდის. ორთავეს ჯაჭვი აცივათ-ოქროსანი ტანთ, ხრბოსა და ვერცხლის პოლოტინი... ორთავეს სხმლი იქცევის ხელთეპურათ და უმოწყალოდ მუსერიდენ ურთიერთს.“

მახილთა და მახვილით გადმოიჭრა თარაშ ემხვარი ცხენიდან და ვიდრემდის თავზუჩინარაინდებს გამზაყებულად ჩაუდგებოდა, ორივეს თავი გავრდა ქვიშაზე.

დახვდა თარაშ ემხვარმა და შეიცნო: იღუ-

1 1967 წლის „მნათობში“ (№ 12) დაბეჭდილია მეთად საინტერესო წერილი ა. ბაქრაძისა — „მითი „მთვარის მოტაცებაში“, რომელშიც იტორი იხილავს „მთვარის მოტაცების“ მითოლოგიას ალგორითულ პლანში.

მალეზთა და წინაპართა კერპები — გაც და გამი“ (გვ. 703).

ასე გადააქვს ე. გამსახტრდიას მითში, ირკულტრში, ფანტასტიკაში მანამდე მთელი შეიდასი გვერდის მანძილზე რეალურად მომხდარი ბრძოლა თარაშისა ახალ ცხოვრებასთან. ასე შედის მითი რომანის კომპოზიციაში, როგორც რეალურად მომხდარი ფაქტის აღმწესხავი.

სხვაგვარადაც ხდება. მითოლოგია რომანში იჭრება, როგორც გმირთა მოქმედების შემცველი. ასეთ როლს თამაშობს რომანში მეზირის მოკვლა გარდა იმისა, რომ მეზირის სიკვდილით შწერილი აჩქარებს ქორა მახვშის სიკვდილს, რომლის გონებაში მეზირი მისი ოჯახის, მისი შეჩვეული ყოფის, მამასადაც იმ საშუაროს მფარველია, რომელსაც არსაყანი ებრძვის, გარდა ამისა მეზირის მოკვლა რომანის კომპოზიციაში გარკვეულ როლს თამაშობს. იგი შწერაღს საშუალებას აძლევს გმირები დააბრუნოს სეანეთის მთებიდან და განაგრძოს რომანის თხრობა.

საინტერესოა სიზმრები „მთვარის მოტაცებაში“. სიზმრის გამოყენებას ლიტერატურაში ძველიველი ისტორია აქვს. მისი გამოყენების მარველწყაროების შიგნად ვერ შესასწავლებში, უფრო შორს კი ძველ საბერძნეთში მიგვიყვანდა. სიზმარი ლიტერატურაში წარმოადგენდა სხვა, მეორე ცხოვრების ზეენების საშუალებას. სიზმარული სამყარო იყო სულ სხვა სამყარო, რომელიც შეიძლება სასტრუქო იყო გმირისათვის. სიზმარი აძლევდა მას საშუალებას ახლებურად გადაფასებინა ცხოვრება, თვითონ გამხდარიყო სხვა ადამიანი, თავისი თავი გამოეცადა სიზმარში, ეოცნება, ზელახლა განეცადა ესა თუ ის ამბავი.

აქედან ზღაბრულ-სიმბოლური სიზმრები პარნესთან, კრიზისული სიზმრები — შექსპირთან, ვანწყობის გამოშხატველი — ევა-ფშვეელსთან, მთელი ნაირსახეობა სიზმრებისა დოსტოვისკისთან, სიზმარს გარკვეული ფუნქცია აქვს „მთვარის მოტაცებაშიც“. ისევე, როგორც მითოლოგია, იგი მხატვრულ ხერხს წარმოადგენს. ქმნის ვანწყობას და ხსნის იმას, რაც უნდა მოხდეს შემდეგ. სიზმარი არ ცვლის მოქმედების მსვლელობას, გარდატეხას არ ახდენს გმირის ფსიქოლოგიაში, როგორც, მაგალითად, რასკოლნიკოვის სიზმარი. „მთვარის მოტაცებაში“ სიზმარი კომპოზიცურად ან წინ უსწრებს, ან შემდეგ მისდევს ამბავს და რეალურად მისაჯ-

1 „იწვა ქორა მახვში და მოესმოდა მთების უცნაური გრუხუნნი. გრუხუნებდნენ მთები, იღრწებოდნენ მის შემეცნებაში სვანეთის შეუვლილი მყინვარები. სულ ზეთიოდე წუთის შემდეგ ამოდო ეძებდა საური მაქისცემას მის მარცხენაზე“ (გვ. 645).

დენი ან უკვე მოხდენილი ფაქტი შწერაღს გადააქვს ფანტასტიკაში.

მაგალითისათვის ავიღოთ თამარის სიზმარში. თამარმა ქვარი დაქარგა. ქვარი რომაში მამარისათვის არ არის მხოლოდ ნივთი, დედის სახსოვარი; ქვარის დაქარგვა მისთვის უბედურების მომსახურებელია. თამარს უკვე სათანადო განწყობა ექმნება და ესიზმრება დედა, რომელიც მას თავზე გადააყრის უამრავ ძვირფას თვალს.

„...ქვარი კი, დედის ნაწქარი ქვარიც, ზელში უჭირავს შეეებით მოსიღს.

მაშინ გადააყარა თამარმა ეს პატიოსანი თვლები, წამოდგა და ქვარს წაეპოტინა დედის მკერდზე მზნისწავის. მავარი დედა უსურვია, თამარი მისკენ მიიწევს და დედა უარზეა, არ უნდა შეიღს გადაეხვიოს და მიდის ასე პირ-უცხო სვლით, მიდის და ფეჭქვეშ ეფინებიან დღას ეუბოკრულად დახაზული ველები და ქალები, მიამბოს თამარის ისღის ტერს და დედა ზელგამილი წინ მოქმდვება.

ასე იარეს, იარეს, იარეს, უცებ დაბნელდა გარშემო, თამარმა ბორცეს წაქარა ფეხი, უზარმაზარი შავი, ხის ქვარი შერჩა ზელში კორდზე აღმართული“ (გვ. 318).

ეს სიზმარი თამარის სულიერ აფორაქტებას გამოხატავს, მის განწყობას, მის შინაგან მდგომარეობას და ერთგვარად მიგვანიშნებს რაღაც უბედურებას — წინაწარმეტყველურა, რადგან თამარს ცხადშიც ისეთივე ხის ქვარი შერჩა ზელში, როგორც სიზმარში.

თამარის ქვარი ერთგულ კიდვე შემოდის რომანში. რომანის დასასრულს თამარს ისევე ეზმანება დედა, რომელსაც თამარის დაქარგული ქვარი უჭირავს ზელში. ფანჯარასთან მიიყენს თამარს და ქადრების ზეივანში გამართულ დოღს უჩვენებს. ყველას გაასწრებს არაბია და უეცრად მწვანე ცეხზე მკდარი თარაშ ეშხვარი გამორბედა.

— ამა გადაასწრო მწვანე ცეხმა არაბიას, ჰელოსთან მოვიდა პირველი. მხედარს ჩაბაღხი აფრიალა ქარმა და ხედავს თამარი: თარაშ ეშხვარის ნაცელად კბილადრქენილი ჩონჩხი შემკდარად მწვანე ცეხზე, თარაშის შავ ნოხაში გამოწყობილი.

„სახელი მისი, სიკვდილი“.

ამბობს თამარის გვერდილთ მდგარი დედა და ქვარი მიუშვია ამ მოჩვენებას“ (გვ. 689).

ეს სიზმარი შესაცნობს ზღის თვითონ თამარისათვისაც, ამღენ ხანს შესაძლოა განგებინაღ შეუცნობელს, რომ თარაში იყო მისი სიკვდილის მომხანი; თარაში, რომელიც თამარს უსაყვედურებდა — „შენ მოზღვევებულ სიცოცხლისაკენ ილტვოდი“ — და მისთვის სასტრუქო დრო და სამყარო. ამდენად იყო თამარის თმის მოკვცევა სიმბოლური თამარისათვის, არსაყენისათვის და თარაშისათვისაც.

„შე მინდოდა დარაიას კაბა შემეყვრა შენთ-

ვის, ქართული აფრებობა და მანებით მოქარ-
გული, თამარ, დღეს რომ ენახეთ ისეთი...

„შე ისეთ კაბას ვერ ჩავიცვამ, მისოსტა“.
„რატომ?“

„გერეტას დამიწებენ, ისედაც ველურება-
ვით მიჭერეტენ ქალაქში ჩემი ნაწნავების გამო.
ანული მიჩნევენ მოკვეციკო“.

„შენ თუ თმა შეგიკრიბავს, ჩემი სახელი არ
ახსენო, თამარ“ (გვ. 457).

ქართულ წარმართულ მითოლოგიაში თმის
შეკრება ჭადონსური ძალის დაკარგვას უკავ-
შირდება (გაიხსენოთ დალი). ეს ჭადონსური
ძალა თამარისა იყო მისი დიდი გვარი, ტრადი-
ციული ნაწნავები, ფრესკისებური, ძველებური
სილამაზე — ის იდეალური საქართველო, რო-
მელზედაც ოცნებობდა თარაშ ემხვარი.

არზაყანისათვის თამარის ძველებური ნაწ-
ნავები ატავიზშია და ძველი ტრადიციები. ამი-
ტომაც უჩრევს იგი თმის მოკვეცას თამარს.
ასეა მითში გადატანილი ორთაბრძოლა ძველი-
სა და ახლისა, რომლის შესხვერპლიც თამარი
ხდება. ამიტომ ემხვანება მას ძალიან ხშირად,
აეღმყოფობის ეაშს, თითქოს თმები გაეზარდა,
წელამდის წეღება უკვე ნაწნავები და მოვიდა
თარაშ.

„ვამ, რომ ყრუა თამარისათვის მიწაც და
ცადა...“

სწეველის იმ უხიავ დღეს... აწი თმას არ
მოიკრეტს თამარი არასოდეს და მისი თმები
სამუდამო გლოვის ნიშნად დარჩება მის უხე-
ლურ თავზე.

მუხის ქვეშ დაიჩოქა თამარმა, როგორც მისი
ცრუპორქმუნე ძიძისაგან უნახავს და სტირის,
სტირის...

აჰა, ის მუხაც, დოდონას მუხას რომ უწო-
დებდა თარაშ ემხვარ. უმარავე შავი მტრედე-
ბი შემოხვეოდა ამ მუხას ახლა, თეთრი, ფარ-
ფაბა გვრიტების ნაცვად, ისხენენ, სველი-
ანად გრუტუნებდნენ შავი მტრედები, დამ-
ფარფატებდნენ გამოშვლებულ შტოებს მუხი-
სას და თამარის გულს შემოვითო ახალი დარ-
დი.

შავი მტრედები?..

სად გაგონილა შავი მტრედები?

და მოეჩვენა ამ წუთში თამარს: წარმოგზა-
ნო მისთან განგებამ ისინი მაცნედ უარესი
სიმძიმისა. (გვ. 552).

ეს მითიური დოდონას მუხა თავისებურად
ჩაქსოვილია რომანის კომპოზიციაში. თავში
„მისოსტა“ თარაში უამბობს თამარს, რომ დო-
დონას მუხაში ზევის სული სახლობდა, რო-
მელიც შავი მტრედების საშუალებით ამცნობ-
და ხალხს თავის გულისნადებს.

თარაშის სენათის გადახვეწის შემდეგ აცი-
თხავს თამარი დოდონას მუხას, ეკებ დოდო-
ნას მუხაში თარაშის სულსაც კი ექებს. ოდი-

შის მხარეს ხომ საოცრად იყო ვაერცლებული
მცენარეთა და ხეთა კულტი.

შავ მტრედებს შემდეგ ისევ ეხვებოდნენ რო-
მანში, 590-ე ვვერდზე, თავში „შეგანა ქვანო“.

დიაკონი კითხულობს ფსალმუნის ლექსებს:

„უხილუ აჰა, ცხენი მწვანე და ზედა მდლო-
მარესა მას ზედა სახელი მისი სიკვდილი“.

თამარს მოეჩვენება, რომ შავი მტრედები
გაიქოს ოთახი, იმ შავი მტრედებით, რომლი-
ბიც განგების წარმოგზავნილად ჩასთვალა მან
უფრო ადრე უარესის სიმძიმის მაცნედ. ამას
შემდეგ მოჰყვება თამარის აედამყოფობა და
სიკვდილი, რომელიც მას, როგორც უკვე აღ-
ნიშნული იყო, ზმანდასათუ ჩაუვილი, ფსალ-
მუნის ლექსის მწვანე ცხენზე ამხედრებული
თარაშ ემხვარის სახით წაიხვეანს.

თამარის სიკვდილითან ერთად კვდება ქორა
მაგვში, ლუკია ლაბაზა, ლომაცია ესენაჩია
და ბოლოს შიიტაცებს ენგური მთვარეს —
კვდება თარაშ ემხვარი, — რომლის უსიცოცხ-
ლო უმარავე შვეი არავის არ გამოადგა, არც
ძველ სამყაროს და არც ახალს.

გარჯა დიდი პრობლემისა, ძველისა და ახლის
ჰიდილის ჩვენებისა, საქართველოს ისტორიული
წარსულის შესანიშნავი სურათებისა, ცოცხ-
ლის სინამდვილის პოეტურად გარდასახვისა,
უტრადლების იქცევა ათსგვარი მნიშვნელოვანი
თუ უმნიშვნელი ნიუანსი, რომელიც ქმნის და
ამდიდრებს კ. გამასხურდიას ინდივიდუალურ
სტილს. მის შემოქმედებაში შეიძლება მოიძებ-
ნოს ხასიათთა და გმირთა, ზოგჯერ მხატვრულ
ხეხათა, მთელ რიგ გამოთქმათა და ზოგჯერ
ანტიკა შორეული, მეთიხელისათვის ქვეშეც-
ნულად რაღაც ასოციაციების გამომწვევი ურ-
თიერთშმაგვსება, გამოკრება. ეს არავითარ შემ-
თხვევაში მწერლის ნაკლად არ უნდა ჩათვა-
ლოს. პირიქით, ჩვენ ეფიქრობთ, ეს არის მწერ-
ლის ღირსება, ის ღირსება, რომელმაც ბალ-
ზახს ანრი ღე მარსელ, მაქსიმ ღე ტრაი და ლა-
პალფერინი შეაქმნიეს, და გამოცდიწარებონ
იმ დიდი ცოდნიდან და გამოცდილებიდან.
რაც დასჭირდა მწერალს მისთვის ყარჯად ნაც-
ნობი ვარგის სურათების გაეცხლებიისათვის.

ხდება ასე: მწერალს აინტერესებს რომე
საკობი ან ზახათი, და მას უბრუნდება მთელი
თავისი შემოქმედების მანძილზე, მავალითად,
კ. სავარსამიძე, თარაშ ემხვარი, ვახტანგ კო-
რინთელი — ეს სამეული თითქოს ნაირსახე-
ობაა ერთი ხასიათის. ემიგრაციის საეთიხი და
ემიგრანტი — უსამომბლო კაცი არის თით-
ქოს ის სამპროვანი სახე, რომელიც აწუხებდა
მწერალს. იგი ქმნის სამ სხვაგვარ ხასიათს, ისი-
ნი ავსებენ ერთმანეთს, და ამასთან თითოეული
მთავანი თავის ადგილას ესადაგება იმ დიდ
სოციალურ პრობლემას, რომელსაც მხატვრუ-

ლ. წარმოგებისაზე მწერლის მდიდარი ფანტაზია. ამ სამეულის პროტოტიპი შესაძლოა ფარსმან სპარსი იყოს — „ეპირნიძეო, გაყადული, უსამშობლო კაცი“ (გვ. 814)¹.

„უწინარეს ყოვლისა უნდა განვაცხადო, რომ ფარსმან სპარსი წინამართა საქართველოს ისტორიის მანძილზე წარმოშობილი უსამშობლო კონდოტიერებისა“.

„ფარსმანი გადაეგება, როგორც ხელმოცართული კაცი“... (გვ. 814).

ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელობა არა მარტო ნაწარმოების დაწერის თარიღს, ჩვენ გვინტერესებს მთლიანობაში როგორ დაიწყო, ჩამოყალიბდა და დასრულდა ემიგრაციის საკითხი და ემიგრანტის სახე-ხასიათი კ. გამსახურდიასთან.

ფარსმანი გადაეგება, როგორც ხელმოცართული კაცი.

კონსტანტინე საეარსამიძე გადაეგება, როგორც ხელმოცართული კაცი.

თარამ ემხვარაი, ეს უაღრესად განათლებული, ევროპულ ცივილიზაციას ზიარებული დიდგვაროვანი, გადაეგება როგორც ხელმოცართული კაცი. და ვნებათა ქიდილის, სამყაროთა ქიდილის, სოციალურ ძალთა შერკინების ასპარეზზე კ. გამსახურდია კიდევ ერთ საკითხს — ემიგრაციის საკითხს სუამს და წყვეტს საბოლოოდ ე. კორინთელის სახით.

თიბა მრავალსახობრივ ხასიათისა, თუ შეიძლება ასე თქვას, კ. გამსახურდიას მხატვრული ნიჭის დამახასიათებელი თვისებაა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მწერალს აფორიქებს რაღაც ჩანაფიქრი, იგი ქმნის ხასიათს, მაგრამ ამ ხასიათში ვერ ატევს თავის დიდ ფანტაზიას, დიდ კოდანსა და ნიჭს. თითქოს უცხოეთიდან ჩრება, თითქოს კიდევ რჩება რაღაც უთქმელი და იქნება სხვა, აბსოლუტურად განსხვავებული პირველისაგან, მაგრამ რაღაცით შთანთქმავს. ავიღოთ ახლა სხვა სამეული: ტავუ სამეგია, გვანჯი აფაქიძე და ლომკაც ესევანჯია.

მავალითსათვის ავიღოთ გვანჯი აფაქიძე და ტავუ სამეგია. ორი სხვადასხვა ადამიანი. ერთი — გმირი მრავალმანიანი რომანისა — „მოგარის მოტაცება“, მეორე — ნოველის გმირი.

გვანჯი აფაქიძეს „მთელ ოღიშიში საკუთარი აგენტები ჰყავდა დაქაჩული, როგორც კი სადმე გაიქაჩანებდა წიშინი ცხენი, მყისვე გააქრობდნენ“.

ქვეყანამ იცოდ: ასეთ საქმეებში გვანჯ აფაქიძეს ხელი ერია. მაგრამ ბრმა იყო ძველი კანონი და ქურდი ის იყო, ვისაც ქურდობაზე მოუსწრებდნენ, ხოლო ქურდობის ხელმძღვანელ-

ნი რუსების შეფის ოფიცერების ეპოლეტებს ეფარებოდნენ“ (გვ. 130).

ახლა ენახოთ რას წარმოადგენდა ტავუ სამეგია ძველ დროს:

„ოღესლაც ტავუს სახლი მთელი აფხაზეთის, სამურზაყანოს და საქყონდიდოს ცხენის ქურდების შტაბი იყო.“

ეს იმ დროში, როცა ცხენის ევლტი ოღიშიში მხარეში იშვიათ გმირობას მოითხოვდა...

არასოდეს გაუკრავს კლანჯი მისთვის მართლმსაქულებას, რადგან იგი ფოცხვერითი მარადია. შეუღარებელი მსახიობი, მუდამ ჩინებულად იოკებდა ენებებს დღის სინათლეზე. ხოლო ზნელ დამეში მავარი მავა და მუხლი ეს ხომ ყველაფერია.

ქურდიო?

ქურდი ის არის, ვისაც ქურდობაში დაიჭერენ, ადამიანი მართლმსაქულება მხოლოდ მოუხეშავებსა და ბრწყინებს შესწავება ხოლმე.

ვისაც ქურდობაში ვერ დაიჭერენ, ყველაზე მეტად ის ამაგებდა ხანდახან ქურდებს“ („ქოსა გახუ“, გვ. 58).

თითქოს ერთგვარი ფსიქოლოგია სიტყვებისაც ეუთვგარს თხოვლობს.

გავიხსენოთ ახლა გვანჯ აფაქიძის ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი, რომელსაც იგი თარამ ემხვარს უამბობს. ეს არის გარეული ტახის კვლით დაქერის ამბავი, ინგლისელი ვაქრისა და მისი ოქროსთმინი ლედის „რაინდულად“ გასტუმრების ამბავი. ეს არის ერთი ეპიზოდი გვანჯის აბრაგული ცხოვრებიდან და თუმცა იგი სულ სხვაა, ვიდრე „ქოსა გახუში“ მოთხრობილი ამბავი (ჩანხას ქორწილი, თათისა გატაცება და მამამისის მკვლელობა), თუ ეს ორი განსხვავებული ამბავი მაინც იწვევს რაღაც შორეულ ასოციაციებს, ერთმანეთს ეხმარება, ეს იმიტომ, რომ შთაში გადმოცემულია იმ გარემოს. იმ დროის საერთო სული, რომელმაც წარმოშვა ორი სულიერად მონათესავე აბრაკი ტავუ და გვანჯ.

დაახლოებით ერთგვარად განიცდიან ტავუ და გვანჯ მავ. ცხენისა და ნადირობის ტრფიალს, ცხენების რემის, კოდორის წისქვილების და თხის არვეს (გვ. 133. „მოტ. მოტ.“), ძველებური საცხენავისა („ჩამოქოს“) და ცალთვალა წისქვილის დაკარგვას („ქოსა გახუ“, გვ. 59).

1 „ნადირობა მაშინდელი იყოთხე, ახლა ყველგან მფურნეობები განწლი. რცინიგზამ, ტრაქტორმა და ავტომობილმა დააფრთხო, ბიბი, ტყუერი“ („მოტ. მოტ“, გვ. 198).

„მეძებარი ბატონიშვილებს ჰყავდათ, როგორც ყოველსფერი სიკეთე. აი, დედასა, რა დრო წავგივიდა, უბედურთ ჩემო თავო. დღიანების ხელთ გამოზრდილი მწევრებით ენადირობდი („ქოსა გახუ“ გვ. 62).

1 კ. გამსახურდია, ტ. II, გვ. 814, („დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, ბოლოსტყუვა, 1939 წ.).

დახსოვებით ისეთივე სინანულით აღნიშნავს ტავე სამუგია როგორ „ქედნება“ მას ზღმურ-ტლიანი ოზივავა მღვდლის ბიჭი ვირის ახანოთი“ (გვ. 62). როგორი სინანულითაც გვანჯი აფაქიძე ამბობს, თუ როგორ გასდია ქალაქს გარეთ და „მერე ვის? „ღრანქმობეულ“ კაც ზეამბაის ბიჭს“ (გვ. 134).

მაშასადამე, ორი განსხვავებული ბედი: ერთი თავადი დაბადებით—აფაქიძე, მეორე კი ბატონიშვილის უკანონო სისხლი და ზორცი, საერთოა მათი „ციხფერი“ სისხლი, მათი ბედი, ბედი ძველი გვირგვინისნების, საერთოა: „ნაყანაღარების სისხლი“ (გვ. 85), რომელიც საამქარაოზე ველარ ბედავს გამოსვლის, საერთოა განწყობილება, ფონი, — ძველი თავად-ბანაურების სამყარო, რომელსაც ორივე მათგანი გუფთენის.

მსგავსებაც აქ მოაერთდება. რა თქმა უნდა, შეეკონა იქნებოდა ამ ორი ხასიათის გათვალისწინებით. ტავე სამუგიასა და გვანჯი აფაქიძეს შორის დიდი შინაგანი სხვაობაა, მსგავსება უფრო ზედაპირულია, საერთო გარემოთი შემოფარგლული. მაგრამ ამ საერთო კლასში, რომლის ერთი ლეილი, ზოლო მეორე უკანონო შვილი იყო, მსგავსებასთან ერთად მათი განსხვავებაც განაპირობა.

გვანჯი აფაქიძე ფსიქოლოგიურად გაცილებით უფრო რთული ხასიათია, ვიდრე ტავე სამუგია, რომელიც „ახალ დროში გადარჩენილი ძველი კაცი, წინაპრების ცოდვებით დატვირთული კაცი“ (გვ. 57).

კ. გამსახურდია „ქოსა ვახუ“ში გარკვევით წერს სამუგიაზე. „ჩვენს დროში რომანტიკული დროების ავანტიურისტი თუ სადმე დარჩა, ეს ვახსოვს ტავე სამუგია“ (გვ. 62).

თუ გვანჯი აფაქიძე ძველ დროში დიდი ფეოდალი იქნებოდა, რომელიც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „არზავანისთანა „გაყავებებს მტკაელობით ყიდა“ (გვ. 195), ტავე სამუგია იმ ძველ დროებაშიც ავანტიურისტი უნდა ყოფილიყო: ეს მისი უკანონო დაბადებით იყო განსაზღვრული, ბატონობის უფლება მას ძველ დროშიაც ავანტიურის გზით უნდა მოეპოვებინა. ამიტომაც ტავე სამუგია თითქოს უფრო უფლებილია, თუმცა მისთვის ნიღბის ახლა მწერლის ნოველის მიღმა გადააქვს.

„თავლი ვკიდე: მანქარა ბატონიშვილს ნიღბაფარებული სისხლი იყო ეს, სისხლი ნაყანაღარისა და ფეოდალის, რომელიც საამქარაოზე ველარ პედავდა გამოსვლას.“ („ქოსა ვახუ“ გვ. 85). გვანჯი აფაქიძე მნიშვნელოვანი და კოლორიტული ფიგურაა. კ. გამსახურდიას, რომელსაც ხანდახან უყვარს ფრინველთა სახელწოდების თავის გმირთათვის სიმბოლოდ ხმარება, შესანიშნავი ეპითეტი აქვს მისთვის მონახული — „ფრთხობილი მერა“.

გვანჯი აფაქიძემ იცის წოდების ბევრი უკლებართობა და ცოდვები. „ჩვენ, ბანაურებს

მუდამ გაყიდვებზე გვეპირა თვალი და გამყიდვის ფსიქიკაზე ვეგებოდით, ამიტომაც ეს ჩვენ გახადეთ ჩვენი ქვეყანა, ისევე დექნად, სადაც უცხოელები გაცილებით უკეთ ვაჭრობდნენ, ვიდრე ჩვენ თვითონ და ყოველი კაცი მეორეს ევიბრებოდა, რომ საქართველო ისე გაეყიდა, როგორც ებრაელებს კვართი უფლისა, ჩვენი სტუმართმოყვარეობა უთუოდ ჩვენი მონური წარსულის ნაშთი უნდა იყოს, ბიჭი“ (გვ. 197).

გვანჯი აფაქიძემ შესანიშნავად იცის თავისი მტრის — ბოლშევიკების ძალა და ფასი: „ეს მათ გამოამყიდნენ კაცობრიობა... მათ ნიღბი ჩამოგლიჯეს მატყუარა ღმერთებს, ტრამპია შემომრებს, ცრუმეტელა ხუცებს და ქარაფშუტა პატრიოტებს“ (გვ. 207).

გვანჯი ვიამოლშევიკების „ურა-პოლიტიკის“ ქვეშ ნათობ ნიღბს ცნობს. ძალაუფლების წყურვილის ნიღბს და შესანიშნავად იყენებს თავისი მიზნებისათვის. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ იგი ხელმძღვანელობს ბოლშევიკებს აჯანყებას.

ერთ რამეში თანმიმდევარია გვანჯი აფაქიძეს არის მისი რწმენა „ციხფერი სისხლის“ უპირატესობისა.

იგი თავაყმეტებით უშლის თამარს არზაყანთან შეგობრობას. თეთონ გვანჯი იძულებულია კომპრომისზე წაიხდეს, სიძულე ვეასალია გაიხადოს. მაგრამ ეს არ წარმოადგენს მისი ფილოსოფიიდან გადახვევას. პირიქით, მისი პოლიტიკით — „ნარდის თამაშს ჰავს ეს სოფელი, მხარია“ (გვ. 676). „ყოველი კაცი შენი მიზნისათვის უნდა გამოიყენოს. მთავარია კამათლის სრულა გემარჯვებოდეს, დროზე რისკი შეეცადოს“ (გვ. 677).

მისი ფსიქოლოგია ადამიანი-მგლის ფსიქოლოგიაა. „ცხვრის ქურტი უნდა გქონდეს წამოსხმული და მგლის კლანჭები მზად უნდა იქონიო, მგლობა უნდა არჩიო, მგლობა, თორემ ადამიანებმა თუ გაგაცხვარეს, მერე მგლობას ვერ ეღობება“ (გვ. 677).

„მთვარის მოტაცებაში“ ორი რელიეფური ფიგურა უპირისპირდება კონტრასტულად ერთმანეთს — გვანჯი აფაქიძე და ლომკაც ესეანჯია...

ესეანჯიას და აფაქიძის გარკვეული თუ შინაგანი სულიერი უპირისპირების ზერხით მიღებული მეკვთრი კონტრასტი ერთსა და იმავე დროს კიდევ უპირისპირებს და კიდევ ანათესავებს მათ ერთმანეთს...¹

გვანჯი აფაქიძესა და ლომკაც ესეანჯიას ორივეს ნიღბის ტარება უყვარს. პირველს რინინდისა, მეორეს — თემის თავისა და მოვეის.

„რინინდის პოზა უყვარდა აფაქიძეს ეპიდიანებაზე. უაღრესად მზდას, მუდამ გულუხვო-

¹ გ. მერკვილაძე. თანამედროვე ქართული რომანი. 1965 წ., გვ. 159.

ბის გამოჩენას ლამობდა, იგავიუწვდენლად კრივანგი, ფარისეულრად ლოცულობდა ეკლესიაში და შემოხვევა რომ მიეცემოდა, ღმერთსაც კი შეინახებდა ველზე მიწოილ გესს“ (გვ. 683).

ეს საერთო თვისება, ნიღბის ტარება, ახლოებს ერთმანეთთან რელიგიის ექსტაზში გადავარდნილ, თემის თავობის მოსურნე მოვსს და ახალ ცხოვრებაში შეეცვლილ გვანგ აფაქიძეს: თუ უქანასკნელი ძველ დროში დაუფიქრებლად ყიდდა ვაჟაკებს, ახლა ასევე დაუფიქრებლად, ცხენის ხელში ჩაგდებას მიზნით სრულიად მშვიდად აწყობს კაცის მკვლელობას („ხინტიკორია“, ხილთან თავდასხმა). ამ ორ სხვადასხვა ნიღბს — ორივეს პატივმოყვარეობა და ძალმოყვარეობა კვებავს. ოღონდ გვანგ აფაქიძე — ძლიერი ნებისყოფის კაცი, აფვილად იმპორინლებს სხვებს და ისინიღ ლომავიდაით დაწყეზბული ბობოლეებით დამთავრებული „თაქიძის პოტივი“ ღვამენ „უფებს ნებსით“, ოღონდ ეგაა, რომ „რისის კაცს“ სათამაშო სვლები ეშლება და ახალ ცხოვრებასთან „ნარდის თამაშს“ საბოლოოდ აგებს.

ცოტა შორი ექსტერის გამოვლენიდა. დაეუბრუნდებოდა ახლა ჩვენს სათქმელს. შორეული მსგავსება შეგვიძლია დავინახოთ კიდევ ერთი სამეულის ლუკაია ლაბახუსა, ქოსა ვახუსა და მახარას შორის. ესენი არიან სხვადასხვა ბედის, სხვადასხვა თაობის და სხვებისავე კლასის წარმომადგენლები, სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა უარის ნაწარმოებთა გმირები. ქოსა ვახუ ნოველის გმირი, მახარა — ისტორიულ რომანისა და ლუკაია — დიდი სოციალური ეპოპების მავრამ მიიღო არის ზოგიერთი რამ, რაც მათ აახლოებს ცოტაოდენად ერთმანეთთან.

პირველი — ეს არის მწერლის მიწრაფება ამ სამივე რეალისტური ხასიათის ოდნავ იდეალური, უცნაური ფერებით ხატვისა. ეს შესაძლოა თავისებური ხარკიცაა დეკადენტობასთან. თუმცა მათში არავფერაა არაცხოვრებისეული და ვადამეტებით ავადმყოფური, სამივე მათგანი მახინჯია, სამივე ან ქუსლმოქცეული ან ღრანქმოქცეული, დიდთავა, ქონდრისკაცი და სხვ. და სხვ. ამასთან ორი მათგანი — ქოსა.

შორე და რაც მათვარია, ამ სამეულს ანათესავენ ის, რომ სამივე მათგანი ფუნქციონალარული ადამიანია ამ ცხოვრებაში. თუმცა თვითველს გამწარდელის როლი აკისრია. მახარას დავით მეფის გამწარდელის დიდი მისია, ლუკაიას — თამარის და ხერბისის, ქოსა ვახუს კი სუეთობა პირშეობა.

პირადი ცხოვრება არც ერთ მათგანს არ გვაჩინა და შესაბრალისები, ადამიანურად სწყელობლები არიან.

და შესამე: სამივე მათგანი სიბრძნის ენით მეტყველებს, სწორედ მათი მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი იგავები და თქმულეზები. სამივე მათგანს ლენრის ნიღაბი აქვს აფა-

რებელი—ქოსა ვახუსა და მახარას შეგნებულად (ქოსა ვახუს თვედაცვის მიზნით, მახარას — ამ ბრძენეაცისა და დიდებულ მარტველს ღვაბრბი უწოდებს შლეგს და მახარაც ზოგჯერ იმეჩაებებს თავს), ლუკაიას ცხოვრება აბეჩავენებს და ახლოვნებს („ფერისცვალება“).

ასეთი მსგავსება გვეხდება არა მარტო ხასიათებისა, არამედ აბსტრაქტული ცნებებისაც. ასეთია, მაგალითად, უნაყოფობა კ. გამსახურდას შემოქმედებაში. აქაც შეიძლება საამეულის გამოყოფა. ეს არის კ. საეარსამიძე, თარამ ემხვარი და თუნდაც ქოსა ვახუ. საეარსამიძეთა, ემხვართა და ბატონიშვილების სისხლს არ უწერია მომავალი. ეს ამბავი მხოლოდ რამდენიმე საგვარეულოს მომავალზე არ მიგვანისწნებს. ეს არის იმ ბნელი სამყაროს, იმ კლასის მომავალი, რომლის უქანასკნელ წუთეზსაც ასე შესანიშნავად აგვიწერს მწერალი.

„...თუ კვამლი ჩაქროს ამ ოჯახში, ისე გავაქროს წმ. ხახულის ღეთისმშობელმა, როგორც უინულზე დაეარდნილი ნაპერწყალი და თუ ჩემი გზა დაივიწყო და ტბაი შელიას უეულმართ გზებს მისდიო, ღმერთმა გზა დაგიზნოს. თუ ჩემი სიტყვა შენი გონების ყაბირზე არ დაეცეს, ჩემი შენდამი მობარებელი იესლი ისე მოშამოს სუჭუნის წმ. გიორგიმ რომ ვერც ერთმა დედაკაცმა ვერ გაუძლოს შენი თესლის ნაყოფის შობას და უყოფი ქალი...“

„...ყოველი ქალი, რომელსაც შენ გავეკრები, ისე უნაყოფო ქნის წმინდა გიორგიმ და მაცხოვარმა, როგორც ეწერის ქაობში მღვარი თხმელა, ზამთარ-ზაფხულ შტობებშემხარი ყვავილს რომ არ ისხამს.“¹

უნამთერთად გადავგო კ. საეარსამიძე, რომლის ერთერთი ნატვრია „ყინულზე დაეარდნილი ნაპერწყალივით გადნეს თუნდაც ჩემი სხეული“.²

ეს წყველა მამისა თითქოს ეზმურება „მთვარის მოტყუებნი“ შორე გამოპოტებული მამის წყველს. ასეთივე ამაზრზენი სიტყვებით შერისხეულია თარამ ემხვარიც:

„...ქრულმცა არს ძილი და ღვიძილი მისა საფლავი და სახსენებელი თარამ ემხვარისა და სატანას გუფსნულითამცა საეკრულითა შეაკვრის ტომით, ნათესავით და სახსენებელით მისითერთი“. (გვ. 699).

საინტერესოა ეპიგრაფი, რომელიც ამ თავს აქვს წამაღვარებელი:

„...ყოველი ისო ადამის ტომისა, ზოგი სისხლად გადაიქცევა, ზოგი თელგამად და ზოგი სველად“ (ქართული კარბადინენიდან)

ეს თითქოს შეზბული მიწის წყველაა, რომელიც სდენვის ქვეყნის კიდედან კიდემდე უსა-

¹ გვ. 671 („დიონისოს ღმილი“ — კონსტანტინე საეარსამიძის ავტობიოგრაფი).

² გვ. 948, იქვე

მშობლო კაცსა და ამ უნაყოფობას კვალ-
კვალ სიკვდილი მისდევს კ. გამსახურდიას რო-
მანებში. კვდება ელვირა, კვდება ანა-მარია:
ფრანკონი, ზანმოკლე ტრფალინი თარაშ ემბე-
რისა, დაბოლოს კვდება თამარი. თითქოს არც
ერთ მათგანს არ ძალუძს ძველი გვარის ცოდ-
ვებისაგან გაღარიბებული სისხლისათვის სიცო-
ცხლის მიცემა.

სიკვდილი თითქოს განგების ნებას ასრუ-
ლებს. იგი უნაყოფობასავეთ შეორდება კ. გამ-
სახურდიას შემოქმედებაში და კ. გამსახურდიას
საყვარელ ქალებს ძალიან ზშირად ეთანამგზავ-
რება.

თითქოს თავისი სათაყვანო ქალის იდეალს
ვერავისათვის ვერ იმეტებს მწერალი, იდეალს
ფრესკასავეთ მშვენიერს, მიწიერსა და ამავე
დროს მიწველომელს; გულადს, უშიშარს და
ამავე დროს შელის უწყრივეთ მფრთხალს;
ათასწლოვანი საქართველოს გამოცდილებით
გამოცდილს და ამავე დროს ახალ ცხოვრებას-
თან უსუსურსა და სუსტს.

დიდი სიფაქიზითა და სინატიფით აღწერილი
ბუნების სურათი, ბუღბუღების სტვენა, წვიმის
ღრუბლები და იდეალების ბნელი ფრთებით
დაფარული მთელმარე ბაღნარი თითქოს ხახს
უსეამს ამ სევდის იერს, რომელიც თან ახლ-
და თამარს მთელ რომანში და რომელიც ბო-
ლოს სიკვდილის შესაფერი იერი ხდება. რომ-
ანტიელ, იდეალ ფერებში და სიმბოლურ
მნიშვნელობის სიზმრებში იფერფლება თამა-
რის, სიცოცხლე.

„მთვარის მოტაცებაში“ თამარს არ უწერია
სიცოცხლე, რადგან მას ყველა დიდი გვარის
ცოდვების ზიდა დააქისრა მწერალმა. რომანში
მეორე ქალია ახალი ცხოვრების მაცნე — „ვა-
შლის ყვავილივით სათუთი და თეთრი, რომ-
ლის ნახ გულში ცეცხლი ღვივის“ — მომეტლას
ცეცხლი — ძაბული და თუ თამარს მწერალი
თაყვანს სცემს, როგორც ძველ ფრესკას, ძა-

ბულის იმედი აქვს და ადამიანურად უყვარს.
დასასრულს კიდევ ერთი რამ უნდა აღვნი-
შნოთ.

„მთვარის მოტაცებაში“ კაროლინა შარვაში-
ძე შენიშნავს ერთგან:

„ჩვენს ახლოს დიდხანს ყოფნის გამო საგნე-
ბი ისე გვეთვისებოდა, თითქოს სხეულის ჩვენის
ნაწილი ხდებოდა. ლხენათა და მწუხარებათა
ჩვენთან თანაზიარია“. (გვ. 255).

ეს შემთხვევითი სიტყვები არ არის. კ. გამსა-
ხურდიას უყვარს საგნების, ნივთების დახვეყე-
ბა და არა მარტო ამ რომანში იგრძნობა სწრა-
ფვა უსულო სივანთა ჩამოთვლისაყენ. „ლანდად-
ქიუული თაყადი“, (გვ. 400) მწერალი ლან-
დადქიუულ თაყადებთან ერთად აღწერს სამ-
გზის ვატიხრულ დარბაზს, რომელიც უამრავი
შველბური ნივთების სასაფლაოდ ქცეულია და
ეს უსულო ნივთები მათი პატრონების სიკვდი-
ლზე შერყველებენ. ივარქმინილი ნივთები, ია-
ვარქმინილი სასახლე ვარდანიძე-ემხვარებისა,
დანგრეული ბუდეები „ქანჯმოცარული მიმი-
ნობისა“, ვანაძეებისა, სივარსამიძეებისა—
თლად ჩანს ამ დაგროვილ, უქმად დარჩენილ
ნივთებში. კვდებიან ნივთები, უქმდებიან სატე-
ვრები და ჯაზაირები, ზუნდებიან საყვარელი
ფერები, ლანდადქიუულან მათი მეპატრონეები,
ინგრევა ძველი სამყარო, თავს იკლავენ ფარ-
ჯანიძეები და მთავრდება უქმურს აყოლილ სი-
ზმარით ქორა მახშების, ღვთის ვლახების—
და ფოლადისფერი ქორებისა და ქანჯმოცარე-
ული მიმინობების სამყარო.

კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ შე-
სახებ კიდევ ბევრი რამ დარჩა უთქმელი. ჩვენ
ვეცადეთ შეგვენიშნა და შევძლებისდაგვარად
გაღმოგვეცა ის მთავარი, რამაც ჩვენი უკრად-
ლება მიიპყრო სოციალურ თემაზე დაწერილი
ამ ბრწყინვალე რომანში.

აქაპის ორი ისტორიული პოემა

მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია ჩვენის სახელმწიფო მგოსნის აკაკი წერეთლის შემოქმედება. სამართლიანად შენაშნავდა განსვენებულ მეცნიერს ეახტანე კოტეტიშვილი: „აკაკი იმდენად დიდი შემოქმედია, რომ მის შესახებ დისერტაციები უნდა იწერებოდეს, რომ იგი სპეციალური და გამოუღმებელი კვლევის საგანს უნდა წარმოადგენდეს“ (ხაზგასმა ჩვენია, დ. ჩ.), მართალია ჭერ კრდეუ ბუერი რამ არის საკვლევი და საძიებელი, მიუხედავად დიდძალი ფილოლოგიური თუ ისტორიულ-სოციოლოგიური ხასიათის გამოკვლევებისა. „თანამედროვე მეცნიერული აზრი უდავოდ დიდ ვალშია მემამულეებს სანჯგადად მოღვაწეთა მიმართ“ (პ. რატანი).

ჩვენს წერილში მიზნად ვისახავთ, აკაკი წერეთლის შედარებით ნაყლებშესწავილი ორი ისტორიული პოემის — „ანდრია პირველწოდებულისა“ და „წმინდა ნინოს“ შექმნების დეტალურ განხილვას, მათი მნიშვნელობის ჩვენებას ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიასში.

პოემა „ანდრია პირველწოდებულისა“ მთავარ ისტორიულ წყაროდ „ქართლის ცხოვრების“ ეს ადგილი უნდა მივიჩნიოთ, რომელიც ჩანართს საბით არის წარმოდგენილი. აკაკი თავის პოემაში გვერდს უვლის ანდრია მოციქულის საქართველოში მოგზაურობის წინა ამბებს, რომლის მიხედვითაც ყოვლად წმიდა ლეთისმშობელი ანდრიას ეუბნება, საქართველო წიღებდომილი ჩემი ქვეყანაა და ჩემს მავიერად შენ უნდა იქადაგო იქ ქრისტეს სჯული, სამაგიეროდ იგი, გარკვეული მოსაზრებით, „წმინდა ნინოშია“ ჩართული. პოემაში არც ის ადგილია, სადაც მოთხრობილია, რომ ლეთისმშობელმა ფიქარზე თავის სახე გამოხატა და ხატადვე გამოატანა ანდრია მოციქულს. გამო-

ტოვებულია აგრეთვე საქართველოში შემოსვლის სხვა, წინა დეტალებიც — ანდრიას მოსვლა ტრაპიზონს, წყაროების მიხედვით, მეგრეთა სოფელში, იქ ხალხისათვის ქადაგება, ამ ურწმუნოთაგან მრავალი შურაცხყოფის დათმენა, ერთისათვის ტრქმენის ჩანერგვა, წყაროს აღმოკენება, ლეთისმშობლის სახელობის ეკლესიის აგება, ლეთისმშობლის ხატის ორეულს გადაღება და მფარველად ხალხისათვის დატოვება...

ანდრია მოციქულს საქართველოში მიმოსვლის ამბები, ცხადია, იმთავითვე ცნობილი იყო აკაკისათვის. „ქართლის ცხოვრების“ ხსენებული ჩანართის გარდა, ბევრ სხვა იმდროინდელ გამოკვებშია მასზე მოთხრობილი. ამ მხრივ შესანიშნავ წყაროს წარმოადგენს მიხეილ საბინინის „საქართველოს სამოთხე“.

საერთოდ, წყაროები ძირითადად ერთსა და იმავეს იმეორებენ, მაგრამ ზოგიერთ დეტალში განსხვავებასაც ამჟღავნებენ.

აკაკი წერეთელი პოემის შექმნისას წყაროებს გარკვეული მხატვრული და იდეური კონცეფციით მისდგომია და მათგან ანდრია მოციქულის საქართველოში მოგზაურობას ყველაზე მეტად საინტერესო ემიზონდა — მის მიერ სამცხეში ჰაბუციან მკვდრეთით აღდგენა შეურჩევია. მაგრამ იგი პედანტურად კი არ გამოყოლია წყაროების გადმონაცემებს, არამედ შემოქმედებითად გამოუყენებია იგი. მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ იმ ვადმოცემების საფუძველზე, რომ წარმართ მღვდლები მოციქულის მოღვაწეობას შურათა და მტრობით შეხედნენ, პოემაში მხატვრულად არის აღწერილი მათი ორგიული ღრუობა და სათვალთმამყო ოინზაზობა. აკაკიმ მათივე თავაკი დაუპირისპირა ქარისუფალი დედოფლის მხსნელად მოვლენილ მოციქულს და ამათ პოემაში მძაფრი სიუჟეტური კოლიზია შექმნა.

ამავე საფუძველზე უწვევებს პოეტს პროგრესულა, ქრისტიანული რელიგიის, ამ შემთხვევაში ახალი იდეოლოგიის უპირატესობას წარმართულთან შედარებით, ამავე მიზნით პოეტს, წყაროებზევე დაყრდნობით, არც მათი ზოგიერთად დეტალის შეცვლას მორიდებდა. მავალითად, ანდრია მოციქულის მიერ მოვლენილი საწმინტოთი გაყვარებული კერპთავეინისმცემელი მღვდლები, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, შერცხვენენ და ანდრიასაგან შენდობას ითხოვენ, ხოლო, პოემის მიხედვით, მთავარი ქერტი ამას პირფერობით ჩადის და გულში კვლავად ბნელი ზრახვები ეუბნებიან... არც პოემაში ნახსენები ბიზანტიკური სახელია აკაიის მიერ გამოგონილი. იგი ჭერ კიდევ ეკუთნებოდა მთაწმინდელთანა დადასტურებულ: „სახელის დებანი იგი საწარმართოთა კერპთანი, რწენი მათ ღთ ად შეაბხევენს, რწენიმე მამათა და რწენიმე დედათა სრულიად მოისვენ — დისი ანუ ახოლს, ანუ არტემის ანუ ბოჩი (ხახვასმა ჩემოა, დ. ჩ.) და გაცი და ბეადონ და არამა ანუ რომელ იგი წწხასა ყურძნისა ბილწისა მის დიონისეს სახელს იტყვიან... ესე ყოველი საფუძვალა არს და მოისვენ ქრისტიანეთაგან“.¹

აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნში ექვთიმე მთაწმინდელის ეს მითითება საფუძვლიანად შეუღარა სხვა მასალებს და ამ დასკვნამდე მივიდა, რომ იგი მგერული „ოპოზიციის“, ქართული „ოპოზიტირეს“ იდეენტრი უნდა იყოს და ნადირთ მწყემს უნდა პრქმეოლა.²

ჩვენი მხრივ აქ ერთი რამ უნდა შევნიშნათ: როგორც ცნობილია, „ბოჩოლას“ რამდენს ძირი ბოჩოლას“ უნდა მოდიოდეს, დღეს ხმის უძახიან საალერსოდ. მაგრამ ამ სიტყვას სულ სხვა შინაარსით ხმარობენ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, მავალითად, ლეჩხუმში. აქიურები ბოჩოლას („ბოჩოლის“) ცვლიან ბიტრალა ბავშვების დასაწინებლად მოხმობენ ხოლმე. ამ სიტყვის ასეთი ნიუანსით გავება უფრო დამაჯერებელს ხდის ისტორიულ მცენიერებაში გამოთქმულ ზემოხსენებულ შეხედულებას. მაგრამ იგი, ჩვენი აზრით, იმის შესანიშნავად დასაბუთება იძლევა, თუ რატომ უნდა დატყმევოდა ხმის „ბოჩოლა“ პირველ შემთხვევაში, როცა ბოჩოლას სახში არსებულ თვლამ, საქმე უნდა გვეკონდეს „ბოჩოს“ („ბოჩის“) თვლამბირველი გავების გადმონამითან — იგი, ვითარცა ნადირთ მწყემსი ღეთება, ისევე სახში არსებულ უნდა ყოფილიყო მინ-

ნული, როგორც მისი თქველები „ოპოზიტი“ და „ოპოზიტირე“. ეს სიტყვები ხომ ხმარდა გაიგებებელი ბოროტ ტყვეს თუ სხვა ემშავეულობებთან. მეორე შემთხვევაში კი — წარმართულ ღეთებათა დაშობის, მათი გუვენებლობის, ჩამოყრდნობის რეინისტრუქცია უნდა შეინიშნებოდეს. ცნობილია, რომ უკუნერსა და რევენ კაცს „ხმოსთავს“ ეძახიან...

ისტორიულ წყაროებს მტკიცედ ვყრდნობა აკაიის მეორე ისტორიული პოემა „წმინდა ნინო“. მაგრამ პარალელური არ იქნებოდა თუ ვიტყვით, რომ იგი საისტორიო მასალებთან ცხელით თრულ ურთიერთობას ამტკიცებს, ვიდრე აკაიის მიერ წარსულის თქმაზე დაწერილი ბევრი სხვა ნაწარმოებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკაიის ეს პოემა (და აგრეთვე „თორნივე ერისთავი“) პირველად პროფესორმა (იმდროისათვის ჭერ კიდევ სტუდენტმა მენცერმა) დაეთი გამგზავნა შუადარა ქართულ საისტორიო წყაროებს ნარკვევში — „ძველი ლიტერატურა როგორც თქმატყუბი წყარო აკაიისათვის“, რომელიც პოეტის საიუბილეო კრებულში გამოქვეყნდა 1940 წელს.¹

მგლევარმა მიუთითა, რომ პოემა „წმინდა ნინოსათვის“ აკაიის ძველი ლიტერატურული ძეგლებიდან ფაბელის ნაწილი კი არ იქნა არამედ მთელი ფაბელი. ავტორმა ცოცხალი მავალითებით უწვენა, რომ პოეტს ნაწარმოების შექმნისას ნინოს ცხოვრების ერთი რთმელივე ვარიანტი კი არ უსარგებლია, არამედ რამდენიმე.

წყაროებთან პოემის თანმიმდევრული და გულმოგვინე შედარებით ავტორმა მკაფიოდ და დამაჯერებლად გაიბათილა ლიტერატურის ისტორიკოსთა, აგრეთვე, ისტორიკოს-სოციოლოგთა მიერ წინათ გამოთქმული მცდარი შეხედულებები, თითქმის აკაი თვალცრემლიანი გაქუტუტებდა წარსულს, რომ ამ მიზნით იგი ძველი დროის ნამდვილ სურათებს კი არ ვერ მოსცემდა, არამედ უხეშად არღვევდა სინამდვილეს და მას საყუთარი გამოინაგონებით ცვლიდა განმდილი მასალის შეცნერული ანალიზის საფუძველზე დ. გამგზავრამავილი საინტერესოდ დასაყენიდა:

აკაიის წერეთელი ძველი ლიტერატურას იყენებდა, როგორც თემატიკურ წყაროს, ეროვნული მოტივის გაძლიერებისათვის. ეს გამოწვეული იყო ორი მიზეზით: ერთი ის, რომ ძველი ქართული ლიტერატურის თავისებურ ბასათი საშუალებას აძლევდა მწერალს გამოყენებინა იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელ

¹ ციტირებულა ივ. ჯავახიშვილის ქართული ერის ისტორიის პირველი წიგნიდან, თბილისი, 1960, გვ. 86-87.

² იქვე, გვ. 87.

¹ აკაიი წერეთელი, საიუბილეო კრებულა, თბილისი, 1940 წ., გვ. 209-221.

ბრძოლისათვის, ხოლო მეორე იმიტომ, რომ ცენტრული არტაბებისაგან განათავისუფლებულიყო. ასევე იქცეოდა, შავალითად, ილია ჭავჭავაძე და სხვები.

საერთოდ კი, ჩვენი სამშობლოს ისტორია აკაკის დიდ ძალას აძლევდა თავისი იდეალებით შესაქმნელად. აქ ის უბადლოა, თავის მეფედ ვარძიას და მისი პოეტური ნიჭით მთელი საერა-სივანიით იშლებოდა...

შეუძლებელია ვთქვათ: აკაკის მიზნად ქმნიდა წარსულის იდეალიზაციას. წარსულის სურათების იდეალიზაცია მისთვის მიზანი კი არ იყო, არამედ საშუალება — რთული სოციალური ლაბირინტიდან გამოსასვლელად.¹

ჩვენი წერილის ლიტმოტივიც დაახლოებით იგივეა. ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ თემის სპეციფიკურობის გამო, პოემის ისტორიულ წყაროებთან შედარება უფრო ვრცელად და მსჭვალბად სხვა ეთნობიოლოგიკური მკვლევარებისა და ისტორიულ-სოციოლოგიკური მოზიციებიდან...

როგორც ცნობილია, წმინდა ნინოს მოღვაწეობასა და მის მიერ ქართველთა მოქცევის შესახებ შრავალი — ქართულთან ერთად, ბერძნული, სომხური და ერთი-ეტიოპური წყარო არსებობს.²

ქართულად: „ქართლის ცხოვრებაში“ ჩართული ლეონტი მროველისეული „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“, საბინინის „საქართველოს საშობევი“ გამოქვეყნებული „ცხოვრება ნინოსი“, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1890-91 წლებში გამოქვეყნებულ „ქრინიკებში“ დაბეჭდილი მასალები...

ზიხანტიური, ბერძნული წყაროები მეოთხე საუკუნიდანვე მოგვითხრობენ ამის შესახებ. პირველი ისტორიკოსები გელასი კესარიელი და მისი თხულებობის რომაულად მთარგმნელი რუფინუსი, ხოლო მათ ნამამბობს იმეორებენ მეხუთე საუკუნის ავტორები: თეოდორიტი კვირელი, სოკრატე სქოლასტიკოსი და ერასი სოზომენი.

ქართლში ქრისტიანობის გავრცელებისა და წმინდა ნინოს ქადელების შესახებ მოთხრობილია მისე ხორენელის ისტორიაში; ნინოს ცხოვრება სომხურ სეინაქსარებშიც არის შეტანილი.³

გელასი კესარიელი ვადმოგვცემს, რომ კონსტანტინე დიდის მეფობაში „ღმრთის მცნება მიიღეს პონტოს ვასწყაივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც ნინამდე ის არა სწამდათ... ამ უღი-

დეს სიყეთის მიზეზი ვახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ, მან საანო ცხოვრებას მიიღწია და თავისე კმაყოფილებითა და სხვა ეთილი საქმეებით მას აღტაცებაში მოჰყავდა ყველანი. როდესაც მას ეთი-ხებოდნენ ასეთი მისი ვანდეკლობის მიზეზის შესახებ, ის წმინდა დედაკაცი მარტოვად უმასუბებდა ხოლმე, ქრისტეს მიზეზისათვის, ძისა ღმრთისაო“⁴.

მოტანილი ციტატადან ჩანს, რომ ქართველთა განმანათლებელი, წმინდა ნინო აქ უბრალო ტყვე ქალად იხსენიება და არაფერია ნათქვამი ნინოს ბრწყინვალე წარმოშობაზე. არც მომდევნო ხანის ბერძენ ავტორებს აქვთ რაიმე ამის თაობაზე ნათქვამი. როგორც აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა თავის დროზე შენიშნა, „უფრო ვასაოცარი ის არის, რომ მოქცევა ქართლისაჲს შემართონი, რომელსაც შატბერდის ქრებულში წაიწიოს ცხოვრებაზედ მოსდევს, არასამბობს ნინოს შთამომავლობისა და აღზრდის შესახებ; უმეველია ინიტომ, რომ მოქცევა ქართლისაჲს დაწერის დროს წაიწიოს მშობლები სხახელები არ ეცოდინებოდათ“⁵.

ყველა ეს მონაცემი განსვენებულმა მეცნიერმა სხვა ისტორიულ საბუთებს შეუდარა, გულ-მოდგინედ გამოიძია შრავალდგეროვანი წყაროები და დაასკვნა, რომ არც რომის ისტორია იცნობს კაბადოკიელი მხედართმთავრის, ვინმე ზაბილონის სახელს, არც იერუსალიმში მეოთხე საუკუნეში საბატრიარქო ტახტზე არ მჯდარა იუბენალი, რომლის დისწულადაც მიიჩნევენ გვიანდელი ქართული წყაროები წმინდა ნინოს.

ამის საფუძველზე ივანე ჯავახიშვილი წერდა:

„ვინ უნდა ყოფილიყო ნინო, რა წოდებისა და ეროვნებისა, დაბეჭოთებით არ ვიცით; შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ იგი ისეთ მოღვაწეთა ასული და ნათესავი არ ყოფილა, როგორც ზაბილონი და იუბენალია. ამის მშობლები იმდენად გამოჩენილები არ ყოფილან, რომ თანამედროვეთაც კი (რუფინი, ბაყური)მე ყურადღება არ მიუქცევიათ მათთვის და მათა

1 ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ. 1964, გვ. 127.

2 ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, ქრანალი „მოამბე“ 1900, № 6, გვ. 19.

3 ივ. ჯავახიშვილი (და იგარეთვე სხვებსაც) პირველ ისტორიკოსად რუფინუსს მიიჩნდა, — როგორც თვითონვე მან მიუთითა გვიან, გელასი კესარიელის შრომა მაშინ უცნობი იყო.

1 იქვე, გვ. 220, 221.

2 ივ. ჯავახიშვილი, ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა, „მოამბე“, 1900 წ., № 5, გვ. 56.

3 იქვე.

სახელები არ დამახსოვრებიათ. ნინო იყო ვილაც ტყვე — მხოლოდ ეს იციან რუფინიმ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-მ და მოსე ხორენელმა, — მხოლოდ მე-8-9 საუკუნეში ჩნდება ნინოს დედ-მამის და დედის მისი სახელები ცხოვრებაში. მაგრამ, როგორც სახელები, ისე ვინაობის დასურათება შეუძლებელია.¹

მამასადადე ივ. ჯავახიშვილის ამ კონცეფციის მიხედვით, წმინდა ნინო მე-8-9 საუკუნეებამდე მხოლოდ ტყვე ქალად იხსენიება, ეროვნება კი საერთოდ დღესაც გამოურკვეველია.² მხოლოდ შემდგომი დროის ქართულ წყაროებში ნინო ბრწყინვალე გვარის ჩამომავალ ქალად არის მიჩნეული — მამამისი დიდგვარიანი კაპადოკიელი, სახელგანთქმული რომაელი სარდალი ბრანჭთა (ფრანგთა?) მეფეამთავართა შემშესვრელი და შემდეგ მათი გამაქრისტიანებელი ზაბილონია, ხოლო დედა — იერუსალიმის პატრიარქის ოუზენალის დაი, მაგრამ მის ქართულ წარმომავლობაზე, ერთმეორისაგან განსხვავებულ ამ წყაროებში, არსად არაფერია ნათქვამი.

ამ ტრადიციას, რომელზეც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, — ნინოს ბრწყინვალე გვარიდან წარმომავლობას — ერთგულად მისდევდნენ შემდგომდროინდელი ძველი ქართველი ისტორიკოსები.

და, აი, აკაკი წერეთელიც არ მოერიდა წყაროებში იმთავითვე განმტკიცებულ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც იგი უცხოური და ბრწყინვალე წარმოშობის ქალად არის მიჩნეული, და ვადაპკრით, მთელი ლიტერატურული შემართებით წარმოთქვა, რომ სახელოვანი მოღვაწე, ქართველთა განმაქრისტიანებელი, წმინდა ნინო ტომთაც ქართული წარმოშობისა იყო. აკაკის ეს აზრი მკაფიოდ არის გამოთქმული აგრეთვე მისი სტატიის „თამარ მეფე“, აკაკი წერს: „ერთი უბრალო მოგზაურ, უძილურ, კაპადოკიელ ქართველი ქალის წმინდა ნინოს (ხაზგასმა ჩემია, დ. ჩ.) წინაშე, რომელსაც მისივე თმებით ცვარად შეკონილ ვაზის ვარდა არა ეცირა რა ხელში, ემხოზიან თავიდან ფეხებამდე აღჭურვილი მეფე და დიდებულები.“³

საინტერესოა, თუ რა საისტორიო მასალებს ეყრდნობოდა აკაკი წმინდა ნინოს ქართველობის მტკიცებისას.

¹ იქვე, გვ. 21-22.

² განსვენებულმა მეცნიერმა უფრო გვიან, წიგნში — ისტორიის მიზანი, წყაროები წინათ და ახლა, მეთერთა — ჩამომავლობით ქართულთა განმანათლებელი კაპადოკიელია, მისი შრომები, ალბათ, ბერძნებად არაბო ნაგულსხმევი.

³ აკაკის შვიდტომეული, ტ. VI, თბილისი, 1957, გვ. 461.

მ. საბინინმა თავისი „საქართველოს სამოთხის“ წინასიტყვაობაში მიუთითა: „დიდი გიორგი (წმინდა გიორგი, დ. ჩ.) ახლა წერეთელი იყო წმ. ნინოს და როგორც ვგონებ, ქართველთაგან უნდა იყოს, ვითარა წმ. ნინო და ღირსნი მამანი ასუ რასტანელნი, მეორე მოციქულნი ჩუშნისა ეკკლესიისანი და მფარტულნი მისნი“ (ხაზგასმა ჩემია დ. ჩ.).

მაგრამ ამ განცხადებას ჰქონდა საკმაოდ დამაჯერებელი მეცნიერული საფუძველი.

კაპადოკია რომ ძველ ქართველთა სამკვიდრო იყო, ეს აზრი მკაფიოდ გამოქვეყნა აკაკი წერეთლის სტუდენტობისდროინდელმა მასწავლებელმა, სახელოვანმა ქართველმა მეცნიერმა დაეით ჩუბინაშვილმა პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ბროშურაში — «Этнографический обзор древней каппадокии или Чавети».

ეს ნაშრომი ილია ქავჭავაძემ ქართული თარგმანით ვადმოგვქდა 1877 წელს „ივერიაში“, სათაურით — „ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ქანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“, და მისი ოთხი ნომერი დათმო. დ. ჩუბინაშვილი თავის ნაშრომში ქანეთს ძველ კაპადოკიასთან აიგივებდა და თვით სტრაბონის დედასაც ლაზის ქალად მიჩნევდა. ტომონიმიური და სხვა ენობრივი მონაცემების საფუძველზე ავტორი დამაჯერებლად ამტკიცებდა ქართველთა ახლო მონათესაობას ძველ კაპადოკიის მოსახლეობასთან. ამავე ვარაუგობით ხსნიდა იგი ქართული სამონასტრო ცხოვრების ფუძემდებელთა — სირიელ მამათა ჩამოსვლას საქართველოში. დ. ჩუბინაშვილი წერდა: „რადგანაც კაპადოკიის ხალხსა ჰქონდა მონათესაობა საქართველოს ხალხთან, ამით განიმარტების სურვილი კაპადოკიის სულაერთა მამათა დამუარება საქართველოში ქრისტიანობის სარწმუნოებისა.. თუ ქართული ენა არ სცოდნოდათ ამ წმინდანებს, საქართველოში ვერ მოხდებოდნენ მოსვლასა და ვერც მომთაყვანებდნენ ხალხსა. ესეც უნდა ეთქვათ, რომ წმინდა გიორგი იყო კაპადოკიელი და ამის გამო მთელს საქართველოში ძალიან პატივცემულია, ამ წმინდა გიორგის მონათესავე იყო წმინდა მოციქულთ სწორი ნინო, აგრეთვე კაპადოკიელი და მცოდნე ქართული ენისა (ხაზგასმა ჩემია, დ. ჩ.) უამისოდ არ შეეძლო ქადაგება ქრისტეს სარწმუნოებისა და მოქცევა ქართველთა“.²

აკაკი წერეთელი თავიდანვე გულსხმიერად აღიგნებდა თვალს თავისი სახელოვანი მასწავლებლის დაეით ჩუბინაშვილის მეცნიერულ

¹ საბინინი, საქართველოს სამოთხე, ს. პეტერბურგი, 1882, გვ. 3 (გ).

² „ივერია“ 1877, № 14.

ანდა: ვინაჲ ნუ ვითარ მომუერ შენ, ქუყა-
ნასა ჩუქნსა მაცხოვრად ჩუქნდა, ანუ სადმე
იყო აღზრდა შენი, დედოფალო, მუწუწე
ჩუქნ საქმეს შენი რასაჲ იტყუ ტყუობასა,
ტყუეთა მხსნელი სანატრლოა.¹

„ნდა კიდევ „...ვინ, ანუ სადათ, ანუ ვითარ
მოხუშ და ქუშ ყანასა ამას მაცხოვრად
მოხუშდ ქუყანასა ამას მაცხოვრად ჩუქნდა,
ანუ სადათმე იყო აღზრდა შენი, დედოფალო,
მუწუწე ჩუქნ საქმე შენი, რასა იტყუ ტყუობა-
ბასა... ვითარმედ ტყუშ ვარ ანუ ვითარცა უც-
ხოა“².

ამასთან დაკავშირებით შემდეგ გარემოება-
ზეც უნდა მივუთითოთ: აკაკის პოემის მიხედ-
ვით, წმინდა ნინოსთან საგანგებოდ მისულ ნა-
სა დედოფალს ქრისტიანი ქალი „ტკბილიქარ-
თელით“ ესაუბრებდა. შეიძლება ვეცადოთ ს-
ხმა, რომ ნინომ საქართველოში მოსვლის შემ-
დეგ შეისწავლა ქართული და პოეტს ესა აქვს
მხედველობაში, მაგრამ ის, რაც ზემოთ ითქვა,
ამის საფუძველს ოდნავადაც არ იძლევა. მა-
შასადაც, აკაკი აქაც პოემის დასაწყისში ნათ-
ქვამ სტრიქონებს ლოკუტორად მისდევს და
მთხინია, რომ ნინო იმთავითვე კარგად ფლობ-
და ქართულ ენას. ხოლო, წყაროების მიხედ-
ვით, საქართველოში შემოსული კაპადოკიელი
ქალი, ვითარცა უცხო ტომის წარმომადგენე-
ლი, ქართული ენის უცოდინარობის გამო იძუ-
ლებულია მეგობარ სომეხ ქალიშვილებთან
შესწავლილი სომხურით გამოეუღლაპარაკოს
სომხებს, ხოლო ებრაული ენის კარგად ცოდ-
ნის წყალობით, მოღვაწეობის გადაცილების
მიზნით, ებრაელებს მიმართავს და პირველ
თანამდგომეზადაც მათვე იხდის.

ამრგვად, აკაკი წერეთელმა, ქართული და უც-
ხოური წყაროების ტრადიციით შექმნილი და-
ბეჭდვით ესე ერთმანადა გადაიხა და წმინდა
ნინო ქართველ ქალად გამოიყვანა, თუმცა ისიც
უნდა ითქვას, რომ საამისო საფუძველი დ. ჩუ-
ბინაშვილისა და მ. საბინინის ნაშრომებშიც იყო
შემზადებული, მაგრამ ყველაზე მეტად ეს
აზრი აკაკის აქვს გამოთქმული.

როგორც ცნობილია, აკაკი წერეთლის პოე-
მა „წმინდა ნინო“ 1906 წელს დაბეჭდა პირ-
ველად. ამ პერიოდს წინ უძღოდა მკვლევარ-
თა მრეტარე მოღვაწეობა საქართველოს ის-
ტორიის ამ შეტად მნიშვნელოვან საკითხში
— ახალი ხელნაწერთა ვარიანტების აღმოჩენა,
პუბლიკაციება, მათზე დართული გამოკლე-
ვები. აი, ამის ზოგადი სურათი: 3.

1 ახალი ვარიანტი, გვ. 2.

2 საქართველოს სამოთხე, გვ. 150-151.

3 ამ საკითხის მიმოხილვისას ძირითადად
ვისარგებლობთ სიმონ ჯანაშიას ნაშრომით —
„უძველესი ეროვნული ენობა ქართველთა
პირველქაცხოვრების შესახებ“, იხ. მისი „ნაშრო-
მები“ ტ. II, თბილისი, 1952, გვ. 26.

1888 წელს ქართველთა შორის წერა-კითხ-
ვის გამარტივებელი საზოგადოების წიგნთსა-
ცავმა შეიძინა შატბერდის განმარტებული კრებუ-
ლი. იმავე წელს სამეცნიერო-საზოგადოებრივი
საზოგადოებრივმა ნიყო მარხა ვაზეთ „ივერიაში“
მოათავსა ამ ხელნაწერთა აღწერილობა. შატ-
ბერდის კრებულმა და „ქართლის მოქცევა“
იმთავითვე მეცნიერთა დიდი ინტერესს გამოი-
წვია — იგი არმეოლოგ-არქეოგრაფთა და ის-
ტორიკოსთა საკვლევი საგანი გახდა. მომდევ-
ნო წელს „ივერიის“ 6 იანვრის ნომერში დაი-
ბეჭდა „ივერის“ (თედო ეორდანიას) წერილი,
რომელშიაც გადმოცემული იყო ქართლის მოქ-
ცევის მოკლე შინაარსი. იმავე ხანებში ცნო-
ბილია ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე
შეეხო ამ საკითხს, ხოლო ოთხმოცდაათიან
წლების დასაწყისში, როგორც აღნიშნული
იყო, ექვთიმე თაყაიშვილმა კომენტარებითა და
გამოკვლევით გამოსცა ქართლის გაქრისტიანე-
ბის ეს ახლადამოწმებული მასალები. 1892
წელს თედო ეორდანიამ თავის ცნობილ „ქრის-
ტიანეში“ შეიტანა „მოქცევაჲ ქართლისაჲს-
ს“ ტექსტი. 1893 წელს ა. ხაჩანაშვილმა გამო-
აქვეყნდა წიგნი «Источники по введению хри-
стианства в Грузию», რომელშიც სათანადო აღ-
გილი დაეთმო ნინოს მოღვაწეობას. 1900 წელს
ექვთიმე თაყაიშვილმა ნინოს ცხოვრების რუ-
სული თარგმანიც გამოაქვეყნა, ვრცელი შე-
ნიშვნებითა და კომენტარებით. იმავე წელს გა-
მოქვეყნდა იე. ჯავახიშვილის ზემოხსენებული
ნაშრომიც.

არა მარტო სამეცნიერო გამოკვლევები, არა-
მედ პოპულარული ბროშურებიც იბეჭდებოდა ამ
პერიოდში წმინდა ნინოზე, მაგალითად: „ცხოვ-
რება ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნი-
ნოსი, ქართველადვე მდებარედ გადმოღებუ-
ლი მ. შარაძის მიერ, ტბილისი, 1899“ და სხვ.

ქვეყნდება აგრეთვე ბევრა სხვა მასალა
საქართველოს ისტორიაზე, სახელმძღვანელოე-
ბიც კი. მაგრამ მათში იშვიათად შეხვდებით
წმინდა ნინოს ქართველობის მტკიცებას. აი,
რას წერს, მაგალითად გამოჩენილი ქართვე-
ლი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ამ საკითხ-
ზე: „საქართველოს განმანათლებელს ქართლის
ცხოვრება უწოდს ნინოდ, ნინო იყო, — დას-
ქენს იგი, — კაპადოკიის ქალაქით, თუმცა არ
გვიჩვენებს მის ტომ-ნათესაობას...“

კაპადოკია მდებარეობდა თარლის მთაში,
შვეი ზღვის პირად და იმის საზღვრებში
ითვლებოდა თვით მცირე სომხეთიც. კაპადო-
კია დასახლებული იყო უფრო სემიტის ნათე-
სათვანგან. აქ ძველად გავრცელებული იყო სი-
რიული ენა და ნინევიისა და ბაბილონის სწავ-
ლა-ზღვარებმა.

„ჩვენის ბზრით ნინო შთამომავლობით უნდა ყოფილიყო საჩივილი“.¹

მსგავსი აზრია გამოთქმული მის ფუნდამენტურ ნაშრომში — „ისტორია საქართველოსი“.

ჩვენ დარწმუნებით არ ვიცით, ვინ იყო ქართლის განმანათლებელი ნინო... ჩვენის აზრით, ქ. ცხბის ცნობა ნინოს სამშობლო ადგილზე კაპადოკიაზე შესაწყნარებელი ცნობაა.²

ამრიგად, აკაცი წერეთელს თავის პოემაში იმ მეცნიერული გამოცემებისათვის ჩაუჭიდა ხელი, რომლებიც ყველაზე კარგად მიესადაგებოდა მის მხატვრულ და იდეურ კონცეფციას. ეს ჰეგელიზმის მის პუბლიცისტურ წერილებშიც გამოისახება.

აკაცის ეს აზრები არ დარჩენილა უცნაურ პარადოქსად: ქართველ ქალად, თუმცა გუგარქელ ქართველ ქალად მიაჩნდა წმინდა ნინო აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს. ზოლო, რაც შეეხება კაპადოკიის ტერიტორიაზე უძველეს ქართველ ტომთა მოსახლეობის საკითხს, ამაზე თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ დამაჩივრებელი, მეცნიერულად დასაბუთებული თეორია არსებობს. პირველ რიგში, აქ პირველ გიორგი გოზალიშვილის გამოკვლევები — „მითრიდატე პონტოელი“ და „ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან“ — უნდა დავასახელოთ.

გ. გოზალიშვილმა თავის გამოკვლევებში დიდძალი საისტორიო მასალების საგულდაგულად გამოძიებით, წყაროების სურბულოზური გამოწილივით, ნათლად დაამტკიცა, რომ მეორე აზიის უდიდეს ტერიტორიაზე, რომელსაც გვიან კაპადოკია ეწოდა, ჯერ კიდევ ძველ წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში ცხოვრობდნენ ქართველი ტომები: მოსხები, ტაბალები და ხალდები — ხალიბები. შემდგომში, კერძოდ, მე-6 საუკუნეში ქრისტეს წინ, ეს ტერიტორია სპარსელებს დაუპყრიათ და იმის გამო, რომ აქ ჯიშიანი ცხენების მოშენებას მისდევდნენ, „კატბადუა“ ანუ „კაპადოკია“ უწოდებოდათ, რაც კარგი ცხენების ქვეყანას ნიშნავს, მომდევნო პერიოდშიც, როცა აქ მითრიდატების დინასტიის პონტოს ძლიერი სახელმწიფო ჩამოყალიბდა, ქვეყნის ძირითადი მოსახლეობა ქართველი ტომებისაგან შედგებ-

ზოდა, რომელთა ჩამომავალი ტომები — ლაზები და სხვა ქართველები — დღესაც ბლომად ცხოვრობენ თანამედროვე სურბულოზურ ტერიტორიაზე.

ეს თემა, აგრეთვე, შეიჭრა ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში; ამის ნიმუშად მიგვაჩნია ლევან ვოთუას ახალი რომანი „მითრიდატე“, რომლის პირველი წიგნი დაიბეჭდა ეჭრნალ „მნათობში“ (1968 წ.).

წყაროებს თავისებური კონცეფციით მიდგომა აკაცი პოემის სხვა ადგილების მხატვრულ დამუშავებისას. ამაშიც თავს იჩენს საკითხის ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით, ყველაზე საყურადღებოდ მიგვაჩნია პოემის ის ეპიზოდი, სადაც გადმოცემულია სანადიროდ გასული შირიანის თავსდამტყდარი განსაცდელი, რამაც ეკრაქიტი მეთუ საბოლოოდ გატეხა და წარმართობიდან ქრისტიანული სარწმუნოებისაკენ შემოაბრუნა.

პოემის ამ ადგილს, სადაც თხოთის მთაზე მყოფი შირიან მეთუ მამა-პაპათა ღმერთებს ცოდვათა სინანულით იხსენიებს და ქრისტიანებს ცოდვილებად თვლის, ასეთი სტროფი მოსდევს:

„ამ სიტყვებზე მთა შეიძრა,
თვითთულს ეცა ელდა,
მოწმენდილმა ცამ იქუხა,
მზეც გაშავდა, ჩამობნელდა“.

როგორც ვხედავთ, აქ მზის ასტრონომიულ დაბნელებზე სულაც არ არის ლაპარაკი, მასში ბუნების სტიქიით გამოწვეული ჩამობნელება და მზის გაშავება იგულისხმება.

ეს ეპიზოდი „ქართლის ცხოვრებაში“ ასეა გადმოცემული: „ზოლო მეფემან მოვლო ყოველი სანაზები შეხარისა და ალგია მთისა ზედა თხოთისასა მავალსა, რათამცა მოიხილა კსანად და უფლისციხედ. განვიდა თხემსა მთისასა. შუა სამზრისა ოდენ დაბნელდა მზე მთისა ზედა და იქმნა ვითარცა ღამე ბნელი, უკუნნი, დაიპყრნა ბნელმან არენი და ადგილნი და განიბნივნენ ურთიერთას ჭირისაგან და ურვისა“.³

ასევე მზის დაბნელებაზეა ლაპარაკი ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოცემულ ნინოს ცხოვრების ვარიანტშიც: „შუა სამზრის ოდენ დაბნელდა მთა ზედა მზე და იქმნა, ვითარცა ღამე ბნელი და უკუნი. და დაიპყრა ბნელმან არენი და ადგილნი“.³

ამასვე ვითახლობათ საბინინის მიერ გამოქვეყნებულ ნინოს ცხოვრებაში, მაგრამ იქვე, სქოლოში, წიგნის შემდგენელი ასეთ საგუ-

¹ დ. ბაქრაძე, შირიან მეთუ და წმინდა ნინო, თბილისი, 1879 წ., გვ. 25, 35.

² დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფილისი, 1889, გვ. 143-144.

³ კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, ეტიუდები, ტ. IV, თბილისი, 1957, გვ. 286-287.

¹ გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, თბილისი, 1965, გვ. 278-279.

² ქართლის ცხოვრება, იქვე, გვ. 109.

³ ახალი ვარიანტი, გვ. 41.

ლისხმო აზრს გამოთქვამს: „წმიდა ეკლესია სრულიად საქართველოსი და ძველი მატერიალური, ერთობით მოკეთხრობენ მიზიანის თვალთ დაბრუნებასა და არა მზის დაბნელებასა, ვითარ უტოლნობით ზრახვენ აწინდელნი ურწმუნონი და უგონონი მწერალნი ბაქტშინი უსჯულოებისანი“.¹

და მართლაც, თ. გორდანიას „ქრონიკებში“ ჩართულ „ქართლის მოქცევის“ ერთ ადგილას ეკითხულობთ: „რამეთუ მეყსა შინა ბნელმან... მოიკცა იგი... ზოლო თანამონადირენი იგი მისნი ჩუქულებისაებრსა ზედვიდეს შარაქანდღდსა მისისა“.²

ასევე ემართება მეფე მიზიანს არსენ ბერის თხზულების გადამუშავებული ვარიანტის მიხედვით, რომელიც დაბეჭდილია „ჩვენი საუნჯის“ პირველ ტომში: თვალდამდგარა მიზიანი თვალხილულ მხლებლებს ვეღერება, შესთხოვეო ღმერთაებს, რომ თვალთ გამინათონო.³

ქართულ წყაროთა ამ ადგილების შესადარებლად მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ არსებული განსხვავებების დასადგენად ესეც საკმარისია.

და მართლაც, ბერძნულ წყაროებში, რომლებიც უმეტესად უქვეყნისა, მზის ასტრონომიულ დაბნელებებზე სულაც არ არის საუბარი. იგივე გელასი კესარიელი, რომელიც სომან ყუბხიშვილის შეშვეობით ზემოთ დავიმოწმეთ, გადმოგვცემს: როდესაც სანადიროდ მყოფი მეფე და მისი მხლებელნი განაღლებულნი იყვნენ და ასე დაექმდნენ ნადირს, ისეთი ბურთი ჩაიშოვნა, რომ ყველაფერი დაბნელდა, მონადირენი ერთმანეთსაც ვეღარ პოულობდნენო. სწორედ მაშინ გაიხსენა მეფემ ტყვე ქალი და მისი ღმერთის რწმუნის აღთქმაც დადოო. უმაღლე გაითანა ბერუსიც და არემარც შეჭით გაბრწყინდაო.⁴

შეიძლებაო ამ საეთხზე სიტყვა სულაც არ გავგებრებულენი, მაგრამ გადამუშავებულად შეიძლება ითქვას, რომ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ფაილის დადგენისათვის: თუ ჩვენ იმ საისტორიო წყაროებს ნდობით მოვეცდებით, სადაც მზის დაბნელებაზე, ე. ი. ნამდვილ ასტრონომიულ მოვლენაზეა ლაპარაკი, მაშინ ზუსტად შეგვიძლია დავადგინოთ, თუ რომელ წლებში, ასე გახიჩვით — თვესა და დღეს, უნდა მომხდარიყო იგი, და ამის კვალობაზე თარიღიც შევთხე საუკუნის მეორე

ნახევარში გადმოიწვეს: განსვენებულმა ჯადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ, სტრუქტურული მონაცემებით დაადგინა რომ — საქართველოში მზის დაბნელება შემდეგ წლებში მომხდარა: 319, 346, 348 და 355 წლის 28 მაისს (ცხადია, სხვა დროსაც, მაგრამ საეთხითან ეს თარიღები დაკავშირებული დ. ჩ). სწორედ ეს უკანასკნელი სრულ დაბნელებას წარმოადგენდა და საათნახევარს უნდა გაგრძელებულიყო.

ქართულში შეცნაურმა მატერიალურმა აღწერილი მზის დაბნელების ამხავი ამ მონაცემებს შეუდარა და დაასკვნა, რომ ქართლის გაქრისტიანება 355-356 წლებში უნდა მომხდარიყო.¹

მაგრამ აკადემიკოსი ივანე ჭავჭავაძე იმ თავითვე არ დაეთანხმა კორნელი კეკელიძის ამ მოსაზრებას არა იმიტომ, რომ მას მზის დაბნელების ასტრონომიული გამოანგარიშების სწორად არ მიაჩნდა, არამედ იმ საბუთის მოშვებით, რომ უძველესი წყაროები მზის დაბნელებაზე კი არ მოუთხრობენ, არამედ ბერუსის ჩამოწოლაზე. ივ. ჭავჭავაძე იწერდა:

„ამგვარად ირკვევა, რომ IV ს-დან მოყოლებული VIII ს-მდე ყველა წყაროებში მხოლოდ ბერუსზეა საუბარი და მარტო IX ს. ქველში ჩნდება ბერუსის მადეარ მზის დაბნელება, ცხადია, რომ ასეთ ცნობაზე დამყარება შეუძლებელია და ასტრონომია, მათისადასმე, ქართულთა მოქცევის თარიღის გამოკვლევითათვის ეგრე გამოგვადგება“.²

მაშასადამე, არა თუ ბერძნულ წყაროებში, არც უძველეს ქართულ წყაროებში ყოფილა საუბარი მზის დაბნელებაზე. ეს გარემოება, სხვათაშორის, მ. საბინისაც შენახული ჰქონია...

ამრიგად, აკაცი წერეთლის პოემის აღნიშნულ სტროფში წარმართი მიზიანის თავს დამტყდარი სტიქორი უბედურება მიჩნეულია ამინდის უეცარ შეცვლად და ეს უფრო პარამონიულად ეთავსება ისტორიულ წყაროებს. დასაჭარებელია, რომ ეს იტორიის უბრალო პოეტური იმეტიცა არ უნდა იყოს — მას ისტორიული წყაროების ღრმა ცოდნა და მათგან შესაფერი ადგილების შერჩევის შემოქმედებითი უნარი უძვეს საფუძვლად. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ აკაცი მზის ჩვეულებრივი დაბნელების ვერსიებს არ იზიარებს თავის პოემაში.

1 საქართველოს სამთხვე, იქვე, გვ. 140.
 2 თ. გორდანიას, ქრონიკები, ტფლისი, 1892, გვ. 36.
 3 ჩვენი საუნჯე, ტ. 1, თბილისი, 1960, გვ. 424.
 4 ს. ყუბხიშვილი, დასახლებული წიგნი, გვ. 126-129.

1 კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, ერთეულები, ტ. IV, გვ. 283.
 2 ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბილისი, 1960, გვ. 226.

წყაროებთან ურთიერთობის თვალსაზრისით ინტერესს იწვევს აგრეთვე პოემის ის სტრუქტურები, რომლის მიხედვითაც წმინდა ნინოს ვაზის ქვარი თვითონ ღვთისმშობელმა გადასცა:

„ერთხელ ძილში მან ზეენება
ნახა თორმე საკვარცხელს:
ვაზის ქვართი წარუდგა წინ
ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი
და უბრძანა: „წილად შეშხედა
ივერია... კერპთა მხარე,
შენ, გიბრძანებ, ჩემ მავიერ
იქ წახედილე... მოიარა!
ჩემი შვილის საყვარულით,
შე ესედა, რომ გიძგერს გულო.
გამოძებნე მისი კვართიც,
სადაც იყოს დამარხული.
მწელი ვხაა, მაგრამ შენ კი
აიტანე განსაცდელი.
აი, ხელში ეს გვეიროს,
მფარველი და შენი მხსნელი“.
ეს უთხრა და მისცა ხელში
ვაზის ქვარი დიდებული.
გაეღვიძა ნინოს, შეერთა...
მიეფინა სიხარული.
ნახა, ხელში რომ ეკვირა
მღვიძარესაც ვაზის ქვარი;
თმა მოიჭრა, იქვე შექარა,
გადიწერა რა პირქვარი“.

ღვთისმშობლის მიერ ნინოსათვის ვაზის ქვარის გადაცემზეც არ ამყარებენ ქართული წყაროები სრულ ივიეობას. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, მართლაც ასე მოხდა, ზოგის მიხედვით კი -- თვითონ ნინომ გააკეთა იგი ვაზის ნასხლევისაგან მცხეთაში.

ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ „ახალ ვარიანტში“ ვკითხულობთ: „მე მიჰმან (ღვთისმშობელმა, დ. ნ.) დღისაგან ჩემისა და მომცა ქვარი მე და კერპთაგან სახლად“.¹

არსენ ბერის მიერ შედგენილ ვარიანტში წერია: „...**მამინ ღვთისმშობელმან** მიყო ზედა კერპთ ცხედრისა მისისა მყოფსა მას რტოსა ევანჯისასა და მოკურმთა მისგან და შექმნა ქვარის სახელ და მისცა იგი ჰელთა ნინოსათა და ბრძე: „ამით ნიშნათა სლთო ყოველთა მანქანებთა ემშავისათა და წარგეშარათა ქადაგებამა შენი, და თანამეწე გეყო და არა დაგიტყო შენ“.²

ქართველთა მოქცევის ამ უძველესი ვარიანტის შესაბამისი ადგილი მხატვრულ სრულყოფამდეა აყვანილი აღნიშნული თხზულების პერიფრაზირებულ რედაქციაში: „ხოლო ღამესა

მას გამოუჩნდა ღირსსა ნინოს ძილსა შინა წმიდამ ღმრთისმშობელი და ბრძეჲ: „წყაროდ ქუეყანად ჩრდილოეთისა და უმეტადგე სსხარეუბამ ძისა ჩემისა და პპოო შენ შადლი წინაშე ღმრთისა, და მე ვიყო მფარველი და ჰელის მყარობელი შენი“. ხოლო იგი ვრცელად შეძრწუნებულა: „ღვთისმშობელი, ვითარ შესაძლებელ არს ეგე ჩემ მიერ? რამეთუ მე დედაცა ვარ უნდოა და უსწავლელი, ანუ რაა იყოს სსსწავლად საქმისა ამის? მაშინ წმინდამან დედოფალმან ჰელი მიპაო ზედა კერპთ ცხედრისა მისისა მყოფსა მას რტოსა ევანჯისასა და მოკურთა მისგან და შექმნა ქვარი და მისცა ხელთა ღირსსა ნინოს და ბრძეჲ: „ესე იყოს მცველი შენი და ამით სლთო ყოველთა წინააღმდეგობთა შენთა, და წარგმართოს ქადაგებამა შენი, და მე ვიყო შენ თანა და რა დაგიტყო შენ“.¹ მაგრამ, როგორც აღნიშნეთ, ეს ამბავიც ვანსხვავებულად არის წარმოდგენილი სხვა წყაროებში. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ მაყვლოვანში დამკვიდრებულმა წმინდა ნინომ „შექმნა ქვარი ნასხლევისა და აღმართა ქონსა მას ქუეშე“.²

„საქართველოს სამოთხეში“ გამოქვეყნებული ნინოს ცხოვრების მიხედვითაც წმინდა ნინომ თვითონ გააკეთა ვაზის ნასხლევისაგან; ამასვე იმეორებს ქართლის მოქცევის ვარიანტი, რომელიც თ. ყორღანიას და ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ ქრონიკებშია და ბეჭდილი: „და შექმნა სახეწი ნასხლევისა და მუნ დაადგრა და ილაოვიდა“.⁴

როგორც ვხედავთ, ისტორიულ წყაროთა ერთი ჯგუფი მოგვითხრობს, რომ წმინდა ნინომ ვაზის ქვარი თვით ღვთისმშობლის ხელით მიიღო, ხოლო დანარჩენების მიხედვით -- ნინომ თვითონვე შექარა მცხეთაში ვაზის ნასხლევისაგან სალოცავად და საქადაგოდ.

ესაკი წარჩინებული თავის პოემისათვის პირველი მთავარი უფრო შესაფერისად მიუჩნევა და მისი პოეტური-მხატვრული პერიფრაზირება მოუხდენია, საამისოდ პოეტს სათანადო საფუძველი უნდა ჰქონოდა: ერთი შეხედვით, შეიძლება ნინოს მიერ საკუთარი ხელით ვაზის ნასხლევისაგან ვაზის შექმნა უფრო პოეტურადაც მოეჩვენოს ვაჟს, მაგრამ აქაც მართლაც გარკვენი პოეტური ბრწყინვალება როდი აინტერესებდა: წყაროების ეს და ზოგიერთი ანა-

1 ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბილისი 1960, გვ. 416.
2 ქართლის ცხოვრება წ. I, თბილისი, 1955, გვ. 94.
3 საქართველოს სამოთხე, გვ. 131.
4 თ. ყორღანია, ქრონიკები, წ. I, 1892, გვ. 29. შტრ. ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული სამი ისტორიული ქრონიკა, ტფილისი, 1890, გვ. 15.

1 ახალი ვარიანტი, ტფილისი, 1891, გვ. 13.
2 ცხოვრება წმინდა ნინოსი შედგენილი დიდის არსენი ქართლისა კათალიკოსის მიერ... ტფილისი, 1902, გვ. 13.

ლოგიური ადგილი ზოგჯერ ისეთ შთაბეჭდილებასაც კი ტოვებს, თითქოს ნინო, როგორც იტყვიან, რომელსაც ქარმა გადმოაგდო საქართველოში, ხოლო ასეთი გაგება სულაც არ შეეფერება აკაის ისტორიულ კონცეფციას ამ საკითხში. პოეტის აზრით, წმინდა ნინო იმთავითვე მოწოდებული, სავანეებზე მოეღწეოდა იყო ქართველთა დიდ გამშანთლებლად და იგი აქ მოვიდა ღვთისმშობლისაგან ბოძებული ჯვარით ხელში!

სხვა მხრით აკაის ეს პოემა საოცარი სიზუსტით მისდევს ისტორიულ წყაროებს, ოღონდ ისე კი, რომ ამით ოდნავდაც არ იზრდილება ნაწარმოების მხატვრული ღირსება.

სანიშნულად შევადარეთ პოემისა და „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ადგილი. აკაი:

„წამოვიდა, არ დარიდა
თავი უცხო გასაჰირსა
და მწყემსებთან გამოკითხვით
წყალწყალ დაჰყვა სულ მტკიცის პირსა.
და რადგანაც ურების
მან იცოდა კარგად ენა,
ცოტა ხნობით ქალაქ ურბნისს
მათთან ერთად შეისვენა.

ლეონტი მროველი:

„და შემდგომად ამისა წარემართა მდინარესა მას ტბისასა, და იწყო დინება მისი დასაღლით—კერპო. და მიუღდა გზათა მწელთა და ფიცხელთა. ნახნა ქირინი ღლინდ გზათაგან და შიში დიდი მკეტთაგან, ვიდრეღა მიადღწია აღვილსა მას, სადა წყალმან აღმოსაღლით იწყო დინება. და მიერთიგან იქმნა ღბინება მისი, რამეთუ შიიწია სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა მას, რომელსა ეწოდებინ ურბნისა... და შევიდა ბავინსა ჰერიათასა ენისათჳს ებრაული-სა და დაყო მუნ თუე ერთი“¹

„ქართლის ცხოვრების“ ამ ადგილს ისევე, როგორც სხვა წყაროებს, ცნობილია, მოსდევს შემდეგი აზრები: კერპთშაბურთი ხალხის მტკათისაგან საყოველთაო დენა, იქ არმაზის, გაცისა და ვამის კერპებთან შეგროვება, ნინოს მიმალვა კლდის ნაპრაღში, მის მიერ ქრისტეს მიმართ — ლოცვა-ვედრება — დაამხვეო კერპები, ამ თხოვნის აღსრულება. ყოველივე ამა მხატვრულად, კვალდაკვალ მისდევს აკაი. წყაროების ზოგიერთი დეტალი პირდაპირ ლექსადაა პერიფრაზირებული და საოცარი ოსტატობითაა ჩართული ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში. აი, მაგალითად,

მამის მოხვდა ქარი ნიავს,
ცა შეიკრა ღრუბლით შევედრულნი
შაღლით სეტყვა ვადმოვარა
ლიტრა-ლიტრა... კაცის თვეად“.

ლეონტი მროველი:

„და ვითარცა დაასრულა ლოცვა ესე წმინდამან ნინო, და წამისყოფა იყო ოდენ თვალისა — აღდგეს დასაღლით ქარნი და პერნი, და მას სცეს კმითა საზარელითა. და გამოჩნდეს ღრუბელნი მოსწრაფედ ნიშნითა სამიწელითა... და შეყვებულად მოიწია რისხვისა იგი ღრუბელს, შწირედ სასტყეო მოილო სეტყვა ლიტრისა სწორი (ხაზგასმა ჩემია, დ. ჩ.) აღვილსა მას ოდენ ზედა, საყოფელსა კერპთასა“².

სხვათაშორის, სხვა წყაროებში სხვანაირევე მხატვრული შედარებები გვხვდება, მაგალითად, ასეთი: „მოილო სეტყა სწორი ჭვისა ორთა მიერ ხელთა მძლედ“²

აკაი წერეთელს წყაროების ის გადმონაცემებიც ოსტატურად ჩაურთავს პოემაში, რომლის მიხედვითაც შეშინებული ერი კერპთა დაღუწვას ქალღვევლ ღმერთს აბრალის: „ხოლო დღესა მეოტესა გამოვიდა მირიან მეფე და ყოველი ერი, ეძიებდეს ღმერთთა მათსა და არა პპოვებდეს, რომელისათჳს-იგი დავიცა მით შიში და ძრწოლა. და იგლოვებდეს გულფიცხელი ერი იგი და იტყოდეს, ვითარმედ: „ქალღვევლთა ღმერთი ითრუჴან და ჩუენი ესე ღმერთი არმაზ ყოვლადე მტერ არიან: ამან სამე მან ზედა ზღვა მოაქცია, და აწ მან შური იძია და მის მიერ მოიწია ესე“³

პოემაში ეს ამბავი ასეა გადმოცემული:

„დაფრთხა ერი, გამოიქცა...
ისევე მცხეთას მოაშრა.
შეშუსტრას და დამარცხებას
კერპებისას ვერ უყურა.
სიტყვა: „ითრუჴან ქალღვევლმა
ჩაიღინა ყველა ესო.
ერთხელ რომ ზღვა მიაცენა,
მის სანაცვლოს უხდის დღესო!“

წყაროებთან ურთიერთობის თვალსაზრისით საგულისხმოა აკაის ეს სტრიქონებიც:

„ახმებურდა ივერია,
გაიღიძა მთა და ბარმა
და კერპობაც შეურაცხყო
ჯვარცმულმა და წმინდა ჯვარმა.
დაამოწმა აბიათარ
ებრაელთა მღვდელმა ეს ხმა

1 იქვე, გვ. 91.
2 საქართველოს სამოთხე გვ. 130.
3 ქართლის ცხოვრება, გვ. 91-92.

1 „ქართლის ცხოვრება“, დასაბუთებული გამოცემა, გვ. 87-88.

და, ვინც იყო ექვეული,
გაემგრა მათ გულისტქმა.*

„ქართლის ცხოვრებაშიც“ და სხვა წყარო-
ებშიც სწორედ საგანგებო თავია, სათურთით:
„თქმული აბიათარ მღვდელისა, რომელი დაე-
მოწაფა ბეგრისა და ნეტარსა ნინოს“.¹

პოემის შტორი სხვა ადგილიც სრულ იგავეო-
ბას ამჟღავნებს წყაროებთან, მაგრამ საინფორმაციო
ესეც საქმარისა.

თუ შევჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, შე-
გვიძლია, დავასკვნათ: აკაკი წერეთელი პოემა
„წმინდა ნინოს“ დაწერისას მტკიცედ დაყრდ-
ნობა უძეგლვს და ძველ საისტორიო წყარო-
ებს. იმ მასალებიდან, რომლებიც ცალკეულ
დეტალებში გარკვეულ განსხვავებას ამჟღავნე-
ბენ, ისეთები შეურჩევია, რომლებიც უფრო
კარგად მიესადაგებოდა მის მხატვრულ და
იდეურ კონცეფციას; ხოლო ამავე მიზნით, იგი
ზოგჯერ არც წყაროებში დატული, ერთხმად
აღიარებული, ტრადიციულ ქვეყნულ დეტალებს
გადაჭრით უუფლებდასაც არ მორიდებია
და მათ ადგილს დიამეტრალურად საწინააღმ-
დეგო ეპიზოდები ჩაურთავს (მაგალითად, წმინ-
და ნინოსა და კანადიკის მცხოვრებათა ქართ-
ველებად გამოცხადება). მაგრამ პოეტი ამ შემ-
თხვევაშიც ისტორიული კვლევა-ძიებით მოზო-
ვებზე მასალებს დაყრდნობია და ასეთი ეპი-
ზოდებიც ამით დაუსაბუთებია.

მაგრამ მართო პოემის ისტორიულ წყარო-
ებთან და სხვა საისტორიო მასალებთან ურთი-
ერთობის გარკვევა ვერ დაგვაკმაყოფილებდა,
თუ სხვა ფაქტორებზედაც არ განვიხილავდით.
ამასთან დაკავშირებით კვლევ უნდა შევხვთ
პოემა „ანდრია პირველწოდებულსაც“...

როგორც აღნიშნული ვკმონდა, წმინდა ნი-
ნოს მიერ საქართველოში ქრისტიანობის გავრ-
ცელების საკითხს მრავალი მკვლევარი შეხე-
და, მის ცალკეულ საკითხებზე არა ერთი ურ-
თიერთსაწინააღმდეგო აზრი გამოთქმულა (პ
მხედველობაში არა ვგაქვს ზოგიერთი ფაქტორ-
ება, რომლებზეც წყაროებიც არ ამჟღავნებენ
სრულ თანხმობას). მაგრამ წმინდა ნინოს მიერ
ამ ისტორიული მისიის შესრულებაში, ვგონებ,
ექვსი არავის შეპბარება.

სამაგიეროდ, სულ სხვაგვარად დგას საკით-
ხი ანდრია მოციქულის საქართველოში მოგზა-
ურობის შესახებ. ამ საკითხის ისტორიოგრა-
ფიული განხილვა საქიროდ არ მიგვანია.
ოღონდ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ დი-
დი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვი-
ლის მეტად საინტერესო აზრებს ამ საკითხზე.
ამ მიზნით მშობიებლათ ერთ ისტორიულ
ამბავს, რომელსაც თვითონ განსვენებული მიუ-
ნიეროც შეეხოს ამ საკითხთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, მეათე-მეთერთმეტე სა-
უკუნეთა მიწნაზე ბიზანტიის უმადურმა იმპერა-
ტორმა ბასილმა საქართველოს მეფე-მთავრებს,
მთელ ქართველ ხალხს საბერძნეთის სახელმწი-
ფოსათვის გაწვეული დიდი ამაგი (ბარბოს სკლი-
აროსის განადგურება) საქართველოს მიწა-
წყლის დიდი ნაწილის მიტაცებით გადაუხადა.
მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისიდანვე ბიზან-
ტიის სახელმწიფომ გაერთიანებისა და ეროვ-
ნული კონსოლიდაციის პროცესში მყოფი
ქართველი ხალხის წინააღმდეგ აშკარად აგრე-
სიული პოლიტიკა განახორციელა.

მართლაც, ბერძენ-საქართველოთა ისტორიულ
მეტოქეობას თავისი წაყრებიც უფრო აღინ-
დელ პერიოდშიც კმონდა, მაგრამ წინააღმდე-
გობა ყველაზე რელიეფურად ამ პერიოდთან
გამოვლინდა და მან თავისი მკაფიო ასახვა
პოემა იდეოლოგიურ სფეროშიც. ამის გამოხა-
ტლება აშკარად შეინიშნება ქართული მწერ-
ლობის არაერთ ძეგლში.

ბასილის მომდევნო ხანებშიც ბერძენები ყო-
ველმხრივ ავიწროებდნენ უცხოეთის ტერიტო-
რიებზე მოქმედ ქართულ ეკლესია-მონასტრებში
ქართველ მოღვაწეებს და ცდილობდნენ საამი-
სოდ შეცნიერული საფუძვლებიც შეეშალებო-
ნენ. ამავე მიზნით ისინი ხშირად არც აშკარა
ცილისმწამებლურ გამოხდომებს ერიდებოდნენ
ქართველთა წარსულის მიმართ, მაგრამ არც
ქართველი მოღვაწენი დახვედრიან მათ მოუშ-
ხადებულნი და ბევრჯერაც შეცნიერული შე-
მართებით დაუცავთ ქართველთა ღირსება. ამ
მხრივ მეტად დამაბასიათებელია მეთერთმეტე
საუკუნის დიდი ქართველი მოღვაწის გიორგი
მთაწმინდელის ბიოგრაფის — გიორგი მცირის
მიერ აღწერილი ერთი ამბავი.

ბერძენთა მოწოდის გამო ცუდ დღეში ჩა-
ვარდნილან შვე მთაზე სვიმონ-წმინდელის სა-
ხელობის მონასტრში მყოფი ქართველი ბერ-
ები. თავდაპირველად ისინი მათ თურმე სვეტ-
ზე ქართული წესისამებრ წირვის ნებას არ აძ-
ლევდნენ, ხოლო შემდგ ბერძენ ბრათა გულ-
ღვარძლიანობას იქამდე მიუღწევია, რომ მათ
მონასტრიდან ქართველთა სრული განდევნა
მოუწოდებოდათ. ამისთვის მათ ქართველთა
სარწმუნოებისათვისაც მიუუწევიათ შეურაცხ-
ყოფა. ბერძენ ლეისმარბურებს ანტიოქიის
პატრიარქისათვის მიუმარათათ და მისთვის ამ
მზაკერულ ბრალდებათა „საბუთებიც“ წარუდ-
ვენიათ.

საქირო გამხდარა საქმეში გიორგი მთაწმინ-
დელის ჩარევა. ქართველ მოღვაწესაც ლავი-
კის ძალით და სათანადო საბუთების წარდგი-
ნებით არაწვეულნივე მკვერმეტყველრად
გუბათილებია ბერძენთა ბრალდებანი და ქარ-
თველთათვის ეკლესიის დამოუკიდებლობის და-
კარგვის საფრთხეც განურიდებია.
გიორგი მცირე მოგვიხსრობს:

¹ ქართლის ცხოვრება, დასახელებული გა-
მოცემა, გვ. 95.

„რამეთუ კაცთა ვითმე მრავალ-ღონეთა და მანქანათა მოაქსენეს და აუწყეს პატრეაქსა, ვითარმედ: „ვითარ ესე, მუდგო, რომელ ეკვლესიანი და მღვდელ-მოდღუარნი ქართლისანი არა რომლისა პატრეაქსა კელმწიფებასა ქუეშე არიან და ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგებთან და თვთ დანსუენ კათალიკოსთა და ებისკოფოსთა, და არა სამართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არაენი მისრულ არს ქუეყანისა მათსა, და ჭერ-არს, რათა ქალაქსა მეს ღმრთისასა და საყდარსა მოციქულთა თავისასა დაემორჩილნენ და ამისა კელმწიფებასა ქუეშე იყუნენ, რამეთუ ნათესავი არს უმეტარი და სამწყსოა მცირე, და ჩვენდა მახლობლად არიან და ჭერ-არს, რათა კელმწიფებასა ქუეშე ანტიოქელის პატრეაქსისასა იმწყესებოდინ და აქა იყრთხოვოდის კათალიკოზი მათი, და ვივინეთ ჩუენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემსს.“

როგორც ვხედავთ, ბერძნებს ყოველივე ისტატურულ მოუფიქრებიათ. სამართლიანად აღნიშნავს ივ. ჭავჭავაძე, რომ სამწყსოს გაერთოებასა და შემოსავლის გუნებებზე ამა ვინ იტყოდა უარს? პატრიარქსად არ დაუყოვნებია, თავისთან გიორგი მთაწმინდელი მიუღებია და მასთან შეთანხმებით საქმის მშვიდობიანი მოგვარება უცდია — თქვენი ქვეყნის საერო და საეკლესიო ზღვისუფლება დაარწმუნე, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გააქმონ და იგი ანტიოქიის საპატრიარქოს დაექვემდებარონ. უარის თქმის შემთხვევაში მწვალებლებად გამოგაცხადებთ, მსოფლიოს ოთხსავე საპატრიარქოს მიეწერთ, მკაცრად დაჯვგმონო.

გიორგი მთაწმინდელს ღვთაებრივი სიმშვიდით მოუხსენია ყოველივე და ასევე წყნარად მოუხსენებია მისთვის: **2**, წმიდაო მეუფეო, რამასათჳს შე ესრეთ აღვილად ჰელჳყად დიდისა ამის და მდღლისა საქმისა მოგონებად და აღსრულებებად? ვინ-მე არიან უტუნური იგი გამზარანნი შენნი, ანუ რად ესრეთ უტუნურად შეგირაკიბეს ნათესავი ქართველთაჲ, წრფელა და უმანჯოჲ? ახა ესერა, ვარ ჩე უნარჩვეესი და უმდაბლესი ყოველთა მათთა მცხად, მე მოგეცე მათ ყოველთა წილ პასუხი, მოღებად ეცწიენი „მიმოსელაჲ ანდრეჲ მოციქულისაჲ“ და მღწით გუწყოს სამიეგელი თქუენი“.

ხოლო პატრეაქსმან უბრძანა თეოფილეს, ნათესავით ქართველსა, რომელი იგი უქანახსენელ ტარსუს მირთოპოლტ იქმნა, მოღებად წიგნი-

1 გიორგი მცირე, ცხორებამ და მოქალაქეობამ წმიდისა და ნეტარისა მამისა ზუენისაჲ გიორგი მთაწმინდელისაჲ, ჩენნი საუნჯე, **1**, თბ., 1960, გვ. 373-374.

2 ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, წ. **1**, თბ., 1965, გვ. 182.

სა მის და ვითარ მოილეს, პირველ წარკითხვისა პრქუა ბერძან პატრეაქსა: „წმიდაო მეუფეო, შენ იტყ, ვითარმედ თავისსა მის მოციქულთასა პეტრეს საუღარსა ვნო, ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და მამისა თჳსისა მოღებულისა ნაწილი ვართ და სამწყსონი, და მის მიერ მოციქულნი და განათლებულნი, და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი — სიმონს ვიტყჳ კანანელსა — ქუეყანისა ჩუენსაჲ დამარბულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფს ეწოდებინ, ამით წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ. და ვინამთგან ერთი ღმერთი გვცნობიეს, არღარა უარ-გვყოფიეს, და არცა ოდეს წეალებისა მიმართ მიდრეკელ არს ნათესავი ჩუენი, და ყოველთა უერის-მყოფელთა და მწვალებელთა შეგაჩუენებთ და დაგწყყებთ. ამას საფუძველსა ზედა მართლ-მადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ. აჲ, უტუნეთუ ჭერ არს, დაგმორჩილნეთ“. და, რცა განცხრობით პრქუა პატრეაქსა: „წმიდაო მეუფეო, შეუენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მოღებულსა მს დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჭერ-არს, რათა დაემორჩილოს მწოდებულსა თჳსსა და მამას ანდრეას, და რათა თქუენ ჩუენ დაგუმორჩილნეთ!“ და ესეცა შესმინა, ვითარმედ: „წმიდაო მეუფეო, რომელნი-ეგე ჩუენ უმეტრად და სუბეჲად გუხედავთ და თუენი თქუენნი ბრქენ და მძიმე გაყოფიან; იყო ეამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლ-მადიდებლობამ არა იპოებოდა, და იოანე, გუთელ ებისკოპოსი, მცხეთას იყრთხა ებისკოპოსად ვითარცა სწერია დიდსა სჯანქსარსა“**1**.

საქართველოში ანდრია პირველწოდებულის მოგზაურობის საკითხს პირველად 1898 წელს შეეხო ჭერ კიდეე ქაბუცი ისტორიკოსი ივანე ჭავჭავაძე. მან თავისი გამოკვლევა ორი წლის შემდეგ 1900 წელს — დაბეჭდა „მოამბეში“.

საქართველოში ანდრია მოციქულის მიმოსვლისა და ქრისტეს სრულს ქადაგების ნამდვილობა, მეცნიერის აზრით, არ დასტურდება. ხოლო ეს ამბავი საქართველოში სწორედ ზემოხსენებული პერიოდიდან უნდა გაერკევიებულიყო. ამ მოსაზრებას იგი ასეთნაირად ასაბუთებს: შუა საუკუნეებში სწავლა-განათლების ცენტრებს, ძირითადად, ეკლესია-მონასტრები წარმოადგენენ და ისინივე ხელმძღვანელობდნენ ამ საქმეს. ასეთები იყვნენ უცხოეთში მოქმედი ქართული ეკლესია-მონასტრებიც, რომელთა წინამძღვრები, თუ სხვა მოღაწენი ცდილობდნენ, შეეცნათ ქართული მწერლობის ხარეხებში, მაშინდელი მსოფლიოს მოწინავე ლატერატურების მწვერვალებზე აეყვანათ იგი,

ველმოადგიენე კიოხულობდენ და უჯვირდებოდენ უცხოურ საეკლესიო თხზულებებს, კიდობდენ მათი ნიმუშების ქართულად გადმოღებას, სწორად იმ დროს მიღწეობდა კიო საკვირველი და დიდი, რომლის ღვაწლი დაუფასებელია ქართულ მწერლობის წინაშე, მამა ექვთიმე ათონელი. მის თხზულებების და თარგმანების ნუსხაში, სხვათა შორის, ანდრია მოციქულის მიმოსვლაც არის მოხსენებული. იქნებ, თვით ექვთიმემ მამინ გააკო, რომ ანდრია საქართველოში მოღვაწეობდა, როცა ანდრიას მიმოსვლა გადაიკითხა და თარგმნა განიზრახა. ის ქართველი ბერები, რომელნიც უცხო ქვეყნებში სცხოვრობდენ, ხშირად იგარანობდენ ხოლმე, რომ საქორთა-საფუძვლიანად დამტკიცდეს ქართული ეკლესიის თვითმართველობის უფლება¹.

ეგტორი იქვე დასძენს, რომ ამგვარ საკითხებზე ხშირად იმართებოდა ხოლმე კამათი თვით ბიზანტიის მეფისა და პატრიარქის რეზიდენციებში. საამისოდ ქართველი ბერებიც საფუძვლიანად უნდა მომზადებულიყვნენ: მოციქულთა მიმოსვლები, სხვა ათასგვარი ლიტერატურა გადაეკითხათ, მათგან სათანადო საბუთები შეერჩიათ. ამის წათვლასყოფად ივ. ჯავახიშვილი იხსენიებს ზემოაღნიშნულ კამათს. მისი აზრით, ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ეფერემ მცირემ საგანგებო გამოცვლევა დასწერა იმაზე, თუ რომელი უცხო მწერალი იხსენიებს ქართველთა გაქრისტიანებას. ამით ქართველ მოღვაწეებს საფუძვლიანი არგუმენტები ექნებოდათ ზელთ ქართული ეკლესიის თავისთავადობის დასამტკიცებლად.

ივ. ჯავახიშვილის მტკიცებით, იმავე მიზეზით იყო განმარტებული ის გარემოება, რომ საქართველოში ანდრიას მიმოსვლას ჩვენს ქვეყანასა და უცხოეთში მოქმედ ეკლესია-მონასტრებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. ათონის მთაზე ამებრძოდან დაწესდა ანდრია მოციქულის მოსახსენებელი დღეც.

ბიზანტიიდანვე შემოვიდა, ივ. ჯავახიშვილის აზრით, საქართველოში ანდრია მოციქულის მიმოსვლის ამბავი. და უკვე რუსისუბრძნისის კრება (1003 წ.) ამ ამბავს მომხდარ ფაქტად თვლის. შემდეგში კი ეს შეხედულება მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ მწერლობასა და ზეპირ ვადმოცემებშიც.

ბიზანტიური წყაროების განხილვისას განსვენებული მეცნიერი დაასკვნია, რომ საქართველოში ანდრია მოციქულის მოგზაურობა სინამდვილეში არ მტკიცდება.

ეს აზრი ივ. ჯავახიშვილს არც შემდგომში

შეუცვლია, მან „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნში არსებითად იგივე გაიმეორა.

მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში უფრო მეტად ისტორიკოსის ის მსჯელობა გვიანტერესებს, სადაც იგი საქართველოში ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლის ტრადიციული მტკიცების იდეოლოგიური მნიშვნელობის მეცნიერულ შეფასებას იძლევა, გიორგი მთაწმინდელის ანტიოქიის პატრიარქთან ზემოხსენებული პაექრობის განხილვასთან დაკავშირებით. ვმითხრობ, პერიფრაზებისას არაფერია გამოგვიჩვენებ, ამიტომ სრულ ციტირებას გამოვიჩინებთ:

„გიორგი მთაწმინდელის მართლ მადიდებელი უნდა იყოს საქართველო, რომ მან ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას იმ დროისათვის შეურყეველი კანონიერი საბუთი მოუპოვა და ბერძენთა სამღვდელთების მიმტაცებლობისაგან იხსნა...“

გიორგი მთაწმინდელის საბუთიანობის გასაგებად უნდა გაეხსენათ, რომ საჭაბუგაში იესო ქრისტეს პირველ მოციქულად ანდრია არის დასახელებული; ამიტომაც მას ზეულებრივ „პირველწოდებელი“ უწოდებოდა...

ამგვარად, ცხადია, რომ ანდრიაში ყოფნასა და ბრძოლას ქართველებისათვის დიდი სამსახური გაუწყვია და ნაყოფიერი შედეგი მოპოვოდა: საბერძნეთში და პალესტინაში მდებარე ქართველთა მონასტრების წყალობით ქართული მწერლობა გამდიდრდა, საეკლესიო წესები, სადაც საჭიროდ დაინახეს, ბერძნულის მსგავსად შეაწოჩეს, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა გამოიჩვენა და ეროვნული თვითშემეცნება გამოიყვრა და განმტკიცდა¹.

იგივე დებულება უნდა მივიღოთ მთავარ რგოლად აკაკი წერეთლის, ზემოაღნიშნულ ორგვე ისტორიული პირობის მნიშვნელობის შეფასებისას

მართალია, ეს ამბები, თუ მეტი არა, რვა საუკუნით მანც შორდება ერთმანეთს, მაგრამ მათში ბევრი საერთო შეიმჩნევა.

დღეს არაინ იღვავებს იმაზე, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთება იხსნა ქართველი ხალხი ფიზიკური ვანადგურებისა და სარწმუნოებრივი გადაგვარების საფრთხისაგან. მაგრამ უდავოა ისიც, რომ მდარეულმა — რუსეთმა — ხელდებულს — საქართველოს — ახალი, კოლონიური ჩაგვრის უღელი დააღება ქელზე.

ცარილში კოლონიური პოლიტიკის განხორციელების და ჩვენში რუსეთის მფლობელობის დამკვიდრების პირველსავე წლებიდან ქართველმა ხალხმა, პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან ერთად, საეკლესიო თავისთავადობაც,

ე. წ. აბოცეფალიაც, დაკარგა: 1811 წელს მეთის რუსეთმა დამოუკიდებლობა მოუსპო ქარ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ანდრია მოციქულის და წა-ნინოს მოღვაწეობა საქართველოში, „მოამბე“, 1900 წ., № 6, გვ. 41-42.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 11, თბ., 1965, გვ. 183-185.

თულ ეკლესიას და ვახტანგ გორგასალის ღრის დაწესებული კათალიკოსობა გააუქმა, მის მაგივრად საქართველოს ეკლესიის სათავეში სინოდის განსაკუთრებული განყოფილება დააყენა, რომელიც 1815 წელს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორად გადაკეთდა... საქართველოს ეკლესიის უკანასკნელი კათალიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე რუსეთის გზას გაუყენეს და მის მაგივრად ეგზარხოსო დასვეს. მართალია, თავდაპირველად ამ მოვალეობის აღსრულება პოლიტიკური მოსაზრებით, ქნის ერისთავთა სახლის წარმომადგენელს — ვარლამს მიენდო, მაგრამ მალე ისიც კათალიკოსის კვალს გადადევნეს და მის ადგილზე რიბუნის ეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი დასვეს.

იგივე პოლიტიკა განაპოტიცელა მეფის რუსეთში დასავლეთ საქართველოში იმერეთის სამეფოს შემოერთების შემდეგ. თუმცა ეს ასე უპოტიცელად როდი მომხდარა. ცნობილია, თუ რა დიდი სახალხო აჯანყება მოჰყვა 1819 — 1820 წლებში ამ ამაღებს. ეს აჯანყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოვლინება იყო და სულაც არ ყოფილა მარტოოდენ რელიგიური სამოსელში გამოწყობილი მოძრაობა.

ამ აჯანყების ჩაქრობისას მეფის მთავრობამ ტოლი არ დაუღო საქართველოს წინანდელ მტრებს და ტომარაში გაგუდა ველათის მწყემს-მთავარი დოსითეოზ გენათელი.

1871 წელს საქართველოში იმპერატორ ალექსანდრე მეორის ჩამოხრახინების შესვენებას და შეეწირა ქართული დედა — ტარას სეპტიცხოვლის ფრესკები, და განა მარტო იგი?!

მეფის მთავრობა ქართველი ხალხის ეროვნული ძალების გამოსაფიტავად მოხდენილად იყენებდა რელიგიურ მტრეებსაც: სხვანაირად შეუძლებელია ახსნას შეგრეღათათვის, ვითომ და მათზე ზრუნვის საბაბით, ლოცვათა კრებულის შედგენა და გამოცემა...

ცარიზმის ამ შავრახმული პოლიტიკის შედეგი იყო ი. ლალიაშვილის მიერ ქართველთა მოძულე იეზუიტ ზედდუცის მოკვლა, რასაც მოჰყვა არანაკლებ შოფინისტები — ეგზარხოს პაულის წყაველ-კრულვა ქართველი ერის მისამართით... რომელი ერთი მოუთვალათ!..

ქერ კიდევ მ. საბინინი გულსტიკვილით წერდა „საქართველოს სამოთხის“ წინასიტყვაობაში, რომ ამ განთქმული წიგნის გამოცემისას „მრავალ უკეთესს და მეძვე და გარყვინელი გონებით კაცს შეცხედი — მგელნი ტყავთა შინა ცხტართასა, — რომელთა ვერიდებოდი მარად და რომელნი მამულთ მოუყარეობით ჩქნის საცოდავი ეკლესიასათვის და ყოვლის

მხრივ მსახურობით იქებენ თავთა თვისთა-სიტყვით ძლიერნი, მოქმედებით მცურენნი, გმსკაცებანი იგინი უნაყოფოსა ხესსკრთმულნი მტრეშთების და ცეცხლსა ზედა დაუშრეტელსა დიდებისს—მუდი ოდენ წელი მომინდა ამ წიგნის შეკრებასა შინა, აქამომდენ გამოცემული მუქნებოდა, არამედ ზემოთქმული პირნი, საქართველოს მემუშაკენი იუტნენ დამარკოლებლნი ჩემნი. აღმიტყინეს სასულიერო და სამოქალაქო მთავრობა, ყოვლის ღონისძიებით ცდილობდნენ, რათა დამისმონ უტშლგან კარი“ 1.

ცხადია, აქ იგულისხმება მეფის აგენტურა, ყოველი ღონისძიებით რომ ზღუდავდა დამოუკიდებლობისაკენ ქართველთა სწრაფვის გამოვლინებას, და არა ქართველი მამულიშვილები...

ეს ამბები მაშინ ხდებოდა, როცა საზოგადოებრივ სარბიელზე, ერის მესვეურებად გამოდიან თერგდალეულები, რომლებმაც ერთმმლავრ ნაკადად შეაერთეს, ერთი საერთო მიზნისაკენ წარმართეს ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის ყველა გამოვლინება... ამის ერთი ნიშნეში იყო შემდგომში დიდი ილიას გაბედული გამოსვლა მეფის სათათბიროში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნით, რისთვისაც თერგდალეულები თავიდანვე გარკვეულად გამოდიოდნენ.

ეპოქა, რომელშიც ქართველი მოღვაწენი ბერძნებთან კამათისას ქართველი ხალხის თვითმყოფლობის იდეას ასე რელიეფურად გამოხატუნდნენ, მართლაც რომ გარდატეხის მომენტი იყო ქართველი ხალხის ისტორიაში: ქვეყნის გაერთიანებისათვის ხანგრძლივი შინაგანი დუდილი, ის-ის იყო, უნდა დამთავრებულიყო და საქართველო სახელმწიფოებრივად და კულტურულ-დელოლოგიურად მოწინავე ქვეყნების რიგებში ჩამდგარიყო. ამ პროცესს თან ახლდა ერის ისეთი ძირითადი ნიშნეების ჩამოყალიბება, როგორცაა საერთო ენა, მკიდრო ეკონომიკური კავშირი, ტერიტორიული (თუმცა ეფემერული) ერთობა ეროვნული ფსიქიკა, რომელიც კულტურაში იჩენს თავს... ერთი სიტყვით, იქმნებოდა მკლავრი წინამძღვრები იმ დიდი ისტორიული მოვლენებისათვის რაც თამარის ეპოქითა და შოთას უკვდავი აუფებისტყუარისთო-დაგვირგვინდა (თუმცა ეს პროცესი შემდგომში დიდი ხნით შეწყდა — საქართველოს თავს დამტყდარმა ეპოქა სიავემ და ძნელებდობამ ყველაფერი გააქარწყლა, მაინც ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრება სავსებით არ გაშრალა, რომ ეს ისტორიული ბედუქდმარობა არა, ქართველი ხალხი ერთად გაცილებით ადრე ჩამოყალიბდებოდა, ვიდრე

1 ი. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1958 წ.; გვ. 413.

1 საქართველოს სამოთხე, გვ. 2.

დღეს არის მიღებული ისტორიულ მეცნიერებაში).

ბევრი რამით მიაგავდა თერგდალეულთა მოღვაწეობის ეპოქა ზემოხსენებულს: დამილდამწეწილი ქართველი ტომები და მათი ძირითადი ტერიტორია, თუმცა სხვისი მსუსხაეი კალთების ქვეშ საბოლოოდ გაერთიანდა. ამავე პირობებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქართველი ერი, რომლის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა პირველი რიგის საერთაშორისო დიდებულების მესვეურების წინაშე. თუ წინათ ჩვენში ქრისტიანობა და მის ნიადაგზე შექმნილი სულიერი ღირებულებანი თითქმის ერთადერთი იდეოლოგია იყო, ახლა იგი პოლიტიკურ, უფლებრივ, მორალურ და სხვა შეხედულებათა უზარმაზარ ორბიტაში მოექცა.

სწორედ ამ იდეოლოგიური პოზიციებიდან იბრძოდნენ თერგდალეულები ქართულ ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის და იგი ქართველი ხალხის განთავისუფლებისათვის საერთაშორისო ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მიიჩნდათ. ამავე იდეებითაა ჩაგონებული აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები — „ანდრია პირველწოდებულ“ და „წმინდა ნინო“... ისეთ

პირობებში, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი, ქართველ მოღვაწეებს დიადი სტრუქტურით თვითმპყრობელობის საერო სახელმწიფო სამსახურში მყოფი შოვინისტებისათვის პირში მიეხალათ ისტორიული წყაროების ის გადმოცემები, რომელთა მიხედვითაც ქრისტიანობა საქართველოში ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში იქადაგა ქრისტეს ერთ-ერთმა მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა, ხოლო იგი მეოთხე საუკუნეში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა თვით ქართველი ქალის მოციქულებრივი მოღვაწეობის შედეგად. აკაკის ხსენებული პოემების მნიშვნელობას ამ ბრძოლის საქმეში კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ ისანი მტკიცედ ეყრდნობიან საისტორიო წყაროებს, ისტორიულ ჭეშმარიტებას.

თერგდალეულთა ვა და მიზანი, მათ მიერ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მოთხოვნა რომ სამართლიანი იყო, ამას დასტური რევოლუციამ მისცა — 1917 წლიდან მას კვლავ ქართველი კათალიკოს-პატრიარქები განაგებენ.

სწორედ ასე უნდა გვესმოდეს აკაკის ამ ისტორიული პოემების მნიშვნელობა.





ჯიბო ღოგაშვილი

„მე, რუსთველი, ხელობითა...“

ვეფხისტყაოსნის მე-8 სტროფის შინაარსის განმარტების თაობაზე მესამეჯერ მიხდება პრესაში გამოსვლა. ამის მიზეზი ვახლავთ ის, რომ რუსთველოლოგიაში დღემდე არ არის გარკვეული ამ სადავო სტროფის შინაარსი, ევრძოდ კი, სიტყვებისა „ხელობითა“ და „ვხელობ“.

აღვსიანდრე ბარამიძე, ელენე მეტრეველი, სარგის ციციშვილი ეურნალ „მნათობში“ (1968 წლის № 8) წერენ: „ხელნაწერულ მხატვრულ ძეგლებში დაადასტურა, რომ ვეფხისტყაოსნის მეორე სტროფის პირველი ტაქტის ხელობითა სწორედ ასე იწერებოდა და არა ფორმით — ქელობითა. გამოირკვეა, რომ ხელობა თანამედრობის (ქელობის) მნიშვნელობით არ დასტურდება რუსთველამდელი და რუსთველის დროინდელი არცერთი წერილობითი ძეგლით. ამის გამო, რომ ვეფხისტყაოსნის 1966 წლის ყველა გამოცემა ხელობას იგებს შმაგობის მნიშვნელობით. შმაგობად ესმის ახლა ეს სიტყვა ა. შანიძეს, ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარმა რედაქციამ ამას წინათ საგანგებოდ განიხილა ვეფხისტყაოსნის მეორე სტროფის საკითხი, დადასტურა 1966 წლის გამოცემების პუნქტუაციათა სისწორე („მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა“) და საგანგებოდ აღნიშნა, რომ ორივე შემთხვევაში (მეორე სტროფის როგორც მეორე, ისე პირველ ტაქტში) ხელობა ნახშირია შმაგობის (სიყვარულის გამო ვიგობის) მნიშვნელობით.

როგორც მკითხველი ხედავს, თანამედროვე რუსთველოლოგები წინ იხედებიან, ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერულად შემოწმებულსა და გამართულ რედაქციას გვთავაზობენ.¹

ეს რომ ასე იყოს, კარგი იქნებოდა და ჩვენც აღნიშნულ აზრს, მხოლოდ მივესალმებოდით, მაგრამ ასე არ არის. შეიძლება მეორე სტროფის რედაქცია, მართლაც, გამართულია (ავტორები გულისხმობენ, ალბათ, პუნქტუაცია), მაგრამ შინაარსის განმარტება, ჩვენ აღმა რწმენით, მიუღებელია და კუშმარიტებას არ ესადაგება.

ჯერ ერთი, ტექსტში „პუნქტუაციათა სისწორე“ ვერ ახსნის ამა თუ იმ სიტყვის შინაარსს, თუმცა ამ ახალი პუნქტუაციის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. პირიქით, ეს პუნქტუაცია მეორე სტროფისა უფრო თვალათლივ ცხადყოფს ჩვენს ვაგებას სიტყვისას — „ხელობითა“. მეორეც, მკითხველი იმას ხედავს, რომ თუ მიღებული იქნება მეორე სტროფის პირველ და მეორე ტაქტებში ნახშირი სიტყვების „ხელობითა“ და „ხელის“ შმაგობის მნიშვნელობით განმარტება, მაშინ დიდ უაზრობასთან გვექნება საქმე. გაუგებარი დარჩება შ. რუსთველის პოემის მთელი მიზანდასახულება და აგრეთვე ესთეის და რისთვის დაწერა მან ეს უკვდავი ნაწარმოები.

სადავო საკითხის გარკვევისა და კუშმარიტების დადგენის მიზნით მივმართეთ პოემის 988 სტროფს. ამ სტროფის შინაარსი პირდაპირ გასაღებს იძლევა იმისას, რომ სიტყვა „ხელობითა“ მეორე სტროფში ნახშირია სულ სხვაგვებით, ვიდრე ამას გვთავაზობენ წერილის ავტორები და აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია.

„მე უცხოს უცხო მანატრა მოსმენა
 მანატრელისა,
 მითხრა ამავეი მისი და მისისა
 სასურველია.
 რა პირნი დასთმნა, ვერ იტყვი სი,
 იწენა ესე ხელისა,
 ჰკლავს სურვილი და ვერ-ჰკერტა მისისა
 დამმარტველისა.“

¹ ეურნალი „მნათობი“, 1968 წ. № 8, გვ. 175.

ამ სტროფში ლაპარაკია პოემის მთავარი გმირის ტრაგიკის კირთა თმენაზე და მის თავდასხვაებაზე, რასაც შოთა რუსთველი მოგვითხრობს უდიდესი მხატვრული ოსტატობით და ავთანდილის პირით გვამცნობს, რომ ამას „ვერ იტყვის აქ ენა ესე ხელისა“, ე. ი. ხელ-ლოვანის, მხატვრის, მწერლის ენაც ვერ იტყვის იმ კირთა თმენას, რაც ტრაგიკს გარდახდენია. ამ სტროფის შინაარსის სხვაგვარი გავება წარმოუდგენელია, რადგან შ. რუსთველი თავის თავზე (ზომ მან დაწერა ტრაგიკის თავდასხვაელი) არ იტყოდა ვიეთის თუ გა-შმაგებულის ენაც ვერ იტყვის იმ გა-კირებებს, რაც ტრაგიკს გადაუტანიაო, შ. რუს-თველიმ სიტყვა „ხელოვანი“ შეეცა და აწარმოვა — „ხ ე ლ ი ს ა“, რადგან ლექსის გაწყობისათვის ასე იყო საჭირო.

მკითხველი და მკვლევარი ვეფხისტყაოსან-ში იპოვის იმის აუარებელ მაგალითს თუ პოე-მის ავტორი როგორ კვებს სიტყვებს, როცა ეს სჭირდება. დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი: 741-ე სტროფიდან: „ვიცი, ჩემთვის არას ვიხმას, თუ არ უნდა ვასაძებლად; თქვი, რა გინდა წაგვიტოლოს, თავი დადევ საწამებლად!“ აქ სიტყვები „უნდა“ (უნდახარ) და „გასაძებლად“ (ე.ი. გასაძებლად) შეეყვებილია რითმის გულისათვის. 1128-ე სტროფიდან: „მისი მჭკრეტელი დავიწვი, გაძებე გულითა მკვლარითა“ ე. ი. გაძებე გუ-ლითა მკვლარითა ანუ გული მომიკვლია. ანდა 920-ე სტროფში ნახშირი სიტყვა „ნუ გეშის“ — „ნუ გეშის, ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია.“ — ცხადია, ნიშნავს ნუ გეშინია. მაგალითად, ცალკე აღებული სიტყვა „მით-ხო ს“ ძნელი გასაგებია, მაგრამ შ. რუს-თველთან ეს გასაგებია. 658-ე სტროფში ნათქვამია: „შენმან ჰერეტა-სიახლემან მომა-ქარეთს, სეცდა მითხო ს!“ ე. ი. სეცდა (კავსანი) შემისუბრეთოს, შემოხელოს ან სეცდა გამოხელოს. ანდა თუ 1576-ე სტროფის გვიანსებობა: „ჩემ მიგერ მიტუნდა, წო, ნურას მერჩები“. აქ სიტყვა წო ნიშნავს წაუღო. აქაც ლექსის გაწყობისათვის ასე ძლიერაა შეეყვებილი სიტყვა წაუღე. მაგრამ ასეთი მაგალითების დასახელება შორს წაგვიყვანდა და, ნუთუ მკვლევარი შეუძლით და-ვიწყონ ან გვერდი აუარონ შ. რუსთველის მიერ ნახშირი სიტყვათა განმარტებისას მათ (ამ სიტყვების) სხვადასხვა შინაარსს. 1212-ე სტროფში სიტყვა „ხელი“—დან ნაწარმოები ასეთი გამოთქმაც გვხვდება — „ხელისათა“, რაც ნიშნავს ხელქვეითებს, მონებს, მსახურებს. „გვითხრა მისთა ხელი სათა: „წავალ, თანა წამომყვებით წავიტანა მონა ასა, ყველა-კი მისგან რჩევით.“ თანამედროვე ქართულით ეს ნიშნავს: გვითხრა თავის ხელქვეითებს, მის მსახურებს, წავალ და თან წამომყვებით,

წაგვიყვანა ასი კაცი, ყველანი მისგან შერე-ულები ვიყავითო.
 შ. რუსთველი „სიტყვების მხატვრობის“ როგორც ამას აკად. კ. კეკელიძე ამბობდა. გაკვირვებას იწვევს მხო-ლოდ ის გარემოება, რომ წერილის ავტორები, რატომღაც გვერდს უვლიან სიტყვა „ხ ე ლ ი ს ა“ სხვაგვარ გავებას, რომელიც ჯერ კიდევ ბ. ბაგრატიონმა აღნიშნა თავის „განმარტე-ბაში“.

იღქმანდრე ბარამიძე, ელენე მეტრეველი, სარგის ცაიშვილი, და არა მარტო ისინი, არა-მედ ყველა, ვინც იცნობს შ. რუსთველს პოეტურ გენიას, ხომ ერთხმად აღიარე-ბენ და ამტკიცებენ, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი უდიდესი მხატვარია, შეუდარებელი პოეტი, დიდი მოახროვნე, ბრძენი, უდიდესი გენოსი. და ნუთუ ასეთმა გენოსმა პოეტმა თავის თავზე საქვეყნოდ თქვა, რომ სიგიჟით თუ სიშმაგით ვწერო ამ პოემას? პოემის პრო-ლოგში და ეპილოგშიც გაცხადებულა შ. რუსთველის კრედიო. და ვინ დაიჯერებს იმ მოსაზრებას, თითქოს შ. რუსთველს თამარ მეფე გაშმაგებით ჰყვარებია და ამიტომ დაუ-წერია მას პოემა ვეფხისტყაოსანი?! აი, რას წერენ წერილის ავტორები:

„შე, რუსთველი, ხ ე ლ ო ბ ი თ ა ვ ე ქ მ საქმესა ამა დარი: ვის მორჩილობს ჯარი სპასთა, მისთვის ვ ხ ე ლ ო ბ, მისთვის მკვლარი.“

თანამედროვე ქართულით ეს ნიშნავს: მე, რუსთველი, შმაგობით (საყვარულის ნია-დაზე გიყობით) ჩავდივარ იმგვარ საქმეს: იმისთვის ვუშმაგობ, იმისთვის ვარ მკვლარი, ვისაც ჯარი (ლაშქარი) ემორჩილება (იგულის-ხმება მეფე თამარი, ავტ.). პირველი და მეორე ტაეპები ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია, ორგანულ მთლიანობას წარმოადგენს. პირველ ტაეპში ნათქვამია, რომ პოეტი შმაგობას შეუ-ყრია, ხოლო მეორე ტაეპში განმარტებულია თუ ვისთვის შმაგობს იგი ასე თავდავიწყებით. I როგორც მკითხველი ხედავს, ეს არის უკანასკნელი სიტყვა თანამედროვე რუსთვე-ლოლოგიაში.

ახლა ამ საკითხის ისტორიას გადავხედოთ და გავისწინოთ ერთი პირველთაგანი რუსთველო-ლოგთა შორის თემურაზ ბაგრატიონი. როგორ ესმოდა მას და როგორ განმარტებდა „მე რუს-თველი ხელობითა“?

თ. ბაგრატიონი თავის შრომაში „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა“ ამის თაობაზე წერს: „მე რუსთველი ჰელობითა — ეს ნიშნავს ჰელოვნებასა და საკელოსაცა ორსავე. ამა-ღარ-თქმამობითა ამით პიტიკოსობას აქებს

I „მნათობი“, 1968, № 8, გვ. 175.

და უმაღლესს ხარისხში აღუყავს. ა მ ა რ ი —
ამისთვის არს (ამასაც ნაშნავს)“¹

ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ თ. ზაგ-
რატიონს შესანიშნავად, ნამდვილად სწორად
ესმოდა და განმარტა რუსთველური სტროფის
შინაარსი. „ამაღარ—თქმაობითა“ შ. რუსთვე-
ლი თავის პოეტობას (პიიტიკოსობას),
„ქელოვნებას“ აქებს და უმაღლესს ხა-
რისხში აღუყავსო. თ. ზაგრატიონმა, ჩემი აზ-
რით, ალბათ, პრალოვის წინა სტროფების
(მე-6 და მე-7) შინაარსის ანალიზის შედეგად
გააკეთა ასეთი დასკვნა და მოგვცა განმარტება
სიტყვისა „ქელოობითა“, რომ ეს ნიშნავს „ქე-
ლოვნებასა და საქელოსაცა ორსავე“.

გავიხსენოთ რაზეა ლაპარაკი მეექვსე და მეშე-
ვიდე სტროფებში. მოელი შინაარსი რომ ნათ-
ლად წარმოვიდგინოთ და სათანადოდ გავიაზ-
როთ, უნდა მოვიტანოთ სტროფები მთლიანად:
„აწ ენა მინდა გამოთქმად, გული
და ქელოვანება,
ძალი მომეც და შეწევნა შეგნით მაქვს,
მოდესცე გონება;
მით შევიწივნეთ ტარიელს, ტურფად-
ცა უნდა ხსენება,
მით საშთა გმირთა მნათობთა სვირის ერთმა-
ნერთის მონება“.

მო, დაესხდეთ, ტარიელისთვის ერემ-
ლი გუდის შეუშრობილი;
მისებრი მართ დაბადებით ვინ-
მცა ყოფილა შობილი
დაეჭე, რუსთველიან გავლექსე, მის-
თვის გულ-ლაზვარსობილი.
აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალი-
ტი წყობილი“.

წელი დასაყრებელია, რომ ასეთი, პოეტუ-
რად, „უმაღლესს ხარისხში“ აყვანილი ხელოვნე-
ბით გამოთქმული მარგალიტების შემდეგ,
პოეტრ, ხელოვანი, იმას იტყვიდა, რომ „შმაგო-
ბით“ ეყვებოდა ასეთ საქმეს და იმისთვის „ვშმა-
გობ“, ვისაც ჩარი სპათა ემორჩილებოდა.

მერვე სტროფი ხომ მეექვსე და მეშვიდე
სტროფების გარკვევლია და სწორედ რომ
ისევ პოემის მთავარ გმირზე — ტარიელზე აქაც
საუბრობი. შ. რუსთველი ღმერთს ევედრება,
რათა მან მისცეს მას გონება, ძალი, ენა და
გული, რაც მთავარია, ხელოვანება, რათა
მით (ე. ი. პოემის შეთხზვით) შეეწიოს
(დაეხმაროს) ტარიელს, რომელსაც ტურ-
ფად უნდა ხსენება. შ. რუსთველს ტარიელ-
ისთვის ცრემლი სდის შეუშრობად, რად-
გან მისებრი არც არავინ ყოფილა ამ ქვეყნად
შობილი. დაჭდა რუსთველი ლექსის დასაწყობად,
რადგან ტარიელისთვის ის იყო „გულ-ლაზვარ-

სობილი“ და მისი ამბავი წყობილი მარგალი-
ტებით ვაღმოგვცა.

ამის ბუნებრივი, ლოგიკური გაგრძელებაა
მერვე სტროფის შინაარსი: მე, რუსთველი,
პოეტობით, ხელოვნებით, ეყვებოდა ასეთ საქმეს,
ვისაც (ე. ი. ტარიელს) ემორჩილება ჩარი სპათა
შისთვის ვპოეტობ, ვხელოვნობ,
მისთვის შევდარი (ე. ი. თავდადებული). მე მას-
ზე ისე ვარ გამიჭნურებული, რომ ვერავითარი
წამალი ვერ მომარჩენს ამ სიყვარულისგან,
ე. ი. ვერ განვიტურნები ამ სენისაგან (მიჭნუ-
რობისაგან) სამარის ქარამდ, სანამ ეოცხალი
ვიქნებიო. ასე უნდა გავიგოთ რუსთველის სიტყ-
ვები: „დაეფტურდი, მიჭნურათთვის კვლა
წამალი არსით არი, ანუ მომცეს განტურნება,
ანუ მიწა მე სამარი.“ ეს რუსთველოლოგიაში
დღემდე სწორად გაგებული არ არის. მერვე
სტროფის მეოთხე ტაბი: „ანუ მომცეს გან-
კურნება. ანუ მიწა მე სამარი“ ზოგიერთს გგო-
ნია იმას ნიშნავს, რომ თამარ მეფე, ან მომარ-
ჩინოს, ან მომკლასო. ჯერ ერთი, რომ ამ სტრო-
ფში ისევ ტარიელზეა (ე. ი. დავით სოსლანზე)
საუბარი, როგორც ჩაჩებებს მთავარ სარდალზე,
უფრო სწორად კი მეფეზე, რადგან თამარი მე-
ფე კი არ იყო. არამედ მეფეთ-მეფე, ხო-
ლო მის მეორე მეუღლეს — დავით სოსლანს
მეფე ეწოდებოდა. შეზღუდვით კი არ უწერია
თამარის ისტორიკოსს, როდესაც თამარისთვის
საქმროს ეტბდნენ დიდებულნი: „...წინამძ-
ღარსა სპათისა ითხოვედესო“¹, მიუხედავად
იმისა, რომ ამირსპასალარი ანუ სამხედრო მი-
ნისტრი სხვა იყო, დავით სოსლანს, როგორც
მეფეს „ჩარი სპათა“ ემორჩილებოდა.
ამას ხშირად შეხედება ის, ვინც გულდასმით
კითხულობს „ქართლის ცხოვრებას“. იქ მოთ-
ხრობილია შამქორის ომის შესახებ. ამ დროს
მეფეთ-მეფე თამარი ტაბახმელაში ყოფილა, ხო-
ლო დავით მეფე სარდლობდა ჯარებს. „და
წარემართა დავით, წარმძღვანელი ძელისა
ცხოვრებისა და შემუქნარი ღროშისა სვანად
მომმარებულისა, ზაგრატიანურისა და უჯროს-
ლა გორგასლიანურისა“ (ისტორიანი და აზმა-
ნი შარვაანდელთანი“, გვ. 68). ანდა იქვეა ასე-
თი ადგილი: „და ვითარცა ენა მეფე მან და
სპათა მისთი“ (იქვე, გვ. 68). შემდეგ,
„...თუ ვითარ ძეულ ოფსმე წინამე დავითისა
ოცდაათმუდმეტნი გმირნი მმარალობდეს და
მძლეობდეს უცხო თესლთა და ვითარ სპანი ვახ-
ტანგასნი წინამე ვახტანგისა, და ვითარ სპანი
ახლისა დავითისნი წყობათა დავითის-
თა იერუსალემს ერთობდეს...“ (ხაზგასმა ჩე-
ნია — ქ. ლ., იქვე, გვ. 69).

მტკიცება იმისა, რომ „ჩარი სპათა“ მხოლოდ

¹ თქვიშრაზ ზაგრატიონი, განმარტება პოემა-
ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის რედაქციით,
1960, გვ. 8.

¹ „ქართლის ცხოვრება“, II, 1959, გვ. 120
(ბასილი ებსიმოდვარი, „ცხოვრება მეფეთ-
მეფისა თამარისა“).

თანამდებობრივ მოვალეობას ანუ საზრუნავს და სხვას არადღერს.¹

3. რატანის სხვა ისტორიულ დოკუმენტებზე აქვს მითითებები, რომ სიტყვა ქელობა თანამდებობას აღნიშნავდა შუა საუკუნეებში. ჩემი მხრივ მხოლოდ ერთ ისტორიულ საბუთს დაუვამატებ პ. რატანის მიერ აღნიშნულს.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა მონგოლები ბატონობდნენ საქართველოში, XIV საუკუნეში, ქსნის ხეობაში, ლარგვისის მონასტერში მოღვაწეობდა ავგაროზ მანდაის ძე, რომელიც თავისთავზე ასე წერდა:

„წყალობითა ღმრთისაათა მომცეა თ ვ ნ ი ე რ მ ო ძ ლ რ ო ს ა . ქ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ესე ვითარი: პირველად ქ ე ლ ი ს წ ა ვ ა მ ქ ე ც ო ბ ის ა მ , ქ ე ლ ი მეორე მწიგნობრობისა... წერა ბ ე უ რ ო ს ა ... შ ე ქ მ ნ ა ... ე ტ რ ა ტ ის ა ... შ ე ე რ ა მ წ ი ვ ნ ის ა ... მ ხ ა ტ ე რ ო ბ ის ა ... შ ე ე რ ვ ა ლ ო ბ ის ა ... ტყავის კერვისა... ხეროვნობისა... ქ ე ლ ი მეათე მსოფლიო მუშაობისა...“² ამ ტექსტიდან ირკვევა, რომ ავგაროზს თვნიერ (გარდა) მ ო ძ ლ რ ო ს ა ე . ი . ასეთი თანამდებობისა მრავალი პროფესია (ქელოვნება) მქონდაო, ბოლოს საერო საქმეებიც შემეძლო ვამეკეთებინო („ქელო მეათე მსოფლიო მუშაობისა“ ამას ნიშნავს).

მაშასადამე, მტკიცება იმისა, რომ მხოლოდ „ვიან, XVII საუკუნიდან, ქელობას თანამდებობის მნიშვნელობაც მიეცაო, არ არის სწორი და მიზანმიმართული. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეპითაღმწერლის თხზულება XIV საუკუნეშია დაწერილი. მოვიყვანოთ მხოლოდ ერთი ადგილი ამ თხზულებიდან: „ამან ცხატანგ მეფემ, ჟ. ლ.) ილიენა პატევსა ათაბაგობისასა და ამირსპასალარობისასა ხეტულბულა, და მიუბოძა ორივე ქელი და განცემა სამეფოთა.“³ როგორც ვხედავთ, ქ ე ლ ი თ ან ა მ დ ე ბ ო ბ ის ა აღ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ს ი ტ ყ ვ ა ყ ო ფ ი ლ ა XVII საუკუნეში დეცხადია, წერილის ავტორები აჩქარებულან, როცა ასეთი დასკვნა გამოუტანიოთ, თითქოს XVII საუკუნემდე სიტყვა ქელობას თანამდებობის მნიშვნელობა არ მქონდაო.

ახლა, დავბრუნდეთ ისევ მერვე სტროფის პირველ და მეორე ტაქების განმარტების სისწორის საკითხს.

როგორც უკვე დავინახეთ, წერილის ავტორები არაყის განმარტებას არ აქცევენ უფრადლებას. არც თ. ბაგრატიონს, არც ანტონ ფერეცელაძეს და არც კორნელი კეკელიძეს არ მქონიათ სწორად გაგებულნი მერვე სტროფის პირველი და მეორე ტაქები. აღუქმანდრე ბაჩანიძის, ელენე მეტრეველის, სარგის ცაიშვილის

წერილში აღნიშნულია: „ჩვენ დროში კეკელიძე ლიძე ფიქრობდა, რომ ვეფხისტყაოსნის სავანელოზ ტექსტის ხელთა უნდა იყოს ქელობა და ნიშნავდეს მოხელეობა-თანამდებობას. პატეცეცემო პროფესორი ამბობდა: „რუსთაველი, ლექსისა და სიტყვის შეუდარებელი ვირტუოზი, ერთსა და იმავე ადგილას ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვას არ იმეორებს, ამიტომ პირველ შემთხვევაში (ხელობითა) ლაპარაკი უნდა იყოს არა „ხელობაზე“ — გეოგრაფიულად, არამედ „ქელობაზე“, მოხელეობა-თანამდებობაზე; მეორე შემთხვევაში კი (ხელობ) ლაპარაკია „ხელობაზე“ ან „გეოგრაფიაზე“.⁴

ამ მსჯელობას მოსდევს ინფორმაცია ასეთი შინაარსისა, რომ ი. შანჭყე და ა. ბარამიძეც „შე რუსთველი ხელობითა“ განმარტებდნენ როგორც რუსთავის გამგეს, რუსთავის სახელის, თანამდებობის მნიშვნელობით. მაგრამ, ახლა, მათ მიუღიათ ასეთი განმარტება: „პირველ ტაქში ნათქვამია, რომ პოეტი შმაგობას შეუცურა, ხოლო მეორე ტაქში განმარტებულია, თუ ვისთვის შმაგობს იგი ასე თავდავიწყებით“. და შემდეგ მათ გამოაქვთ ასეთი დასკვნა: „მერვე სტროფის პირველი — ორი ტაქის ტექსტი ამჟამად საყოველთაოდ მიღებული გაგების თანახმად უადრესობამდე აზრიანია შინაარსობლივად და ნატიფია ფორმით“.

წერილის ავტორები ამჟამად უარყოფენ კორნელი კეკელიძის შესანიშნავ დაკვირვებას, რომ შოთა რუსთველი: „ერთსა და იმავე ადგილას ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვას არ იმეორებს“. წერილის ავტორებს ვეფხისტყაოსნიდან მოაქვთ „ორიოდე შავალითა“ კ. კეკელიძის მოსაზრების უარსაყოფად. მაგრამ, მკითხველი თუ კარგად დააკვირდება, ეს შავალითები (პოეტიდან მრავალი მსგავსი შავალითის მოტანა შეიძლება) სწორედ კორნელი კეკელიძის აღნიშნულ დასკვნას ამჯარებს და დამჯარებელს ზღისა ჯერ განვიხილოთ წერილის ავტორთა მიერ დასახელებული შავალითები. „თავისი მხატვრული ამოცანის შესაბამისად, — წერენ დასახელებული წერილის ავტორები, — რუსთველი საჯანგებოდ და ხაზგასმით ორჯერ ხმარობს ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვას (თუმცა სხვადასხვა ფორმით), რომ აზრი უფრო მკაფიო, უფრო გამომეტყველი და ემოციური გახდეს. სიტყვების თავისებური მხატვრული განმეორებით რუსთაველი ამახვილებს უფრადლებას მათ მნიშვნელობაზე. ეს არის რუსთველის მხატვრული ენის უაღრესად ნიშანდობლივი თვისება. მხოლოდ ორიოდ ანალოგიური შავალითი „ს თ მ ო ბ დ ე ს გაყრისა თ მ ო ბ ა ს ა“ (26.2); „ზუღა ჯღა შავსა ტაქისა, — მერანი რამე შავიო“ (204.2); „აწ ნობათი ხელობისა

¹ „მნათობი“ № 2, 1968, გვ. 161.

² ლ. მენაბდე, „შველი ქართული მწერლობის ეტიმოლოგია“, 1, 1962, გვ. 41.

³ „ქართლოს ცხოვრება“, II, 1959, გვ. 293.

⁴ „მნათობი“, № 8, 1968, გვ. 174.

მომხდომია, მით ვარ ხელად (928,4). მესამე მაგალითი იმითაც არის საინტერესო, რომ აქ ერთი ტაქსის ფარგალში მოხვედრილია სწორედ საცილობლად ქვეყნის ერთი და იმავე მნიშვნელობის ორივე სიტყვა: ხელობითა — ხელად: „ახლა ხელობის, შმაგობის დრო დამდგომია, ამიტომაც ვარ ხელად, შმაგად.“¹

პირველად განვიხილოთ 26-ე სტროფი. ეს სტროფი მთლიანად უნდა მოვიტანოთ, რათა უფრო თვალნათლად დავინახოთ თუ ერთი და იგივე სიტყვები რა შინაარსს გამოხატავენ.

„ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა:
დღეს ერთი უნდეს ხეალე სხვა,
სთმობდეს გაყრისა თმობასა;
ესე მღერასა ბედითსა ჰგავს, ვეთა
ყმაწვილობასა.
კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა
თმობასა;“

მოკლებული თუ დააკვირდება ამ სტროფის შინაარსს, მართალი ყოფილა აკად. კ. კვეციანი, რადგანაც მიჯნური სხვა არის და მიჯნურობა კიდევ სხვას ნიშნავს; ასევე „სთმობდეს“ სხვა არის და „თმობა“ სხვა შინაარსს გამოხატავს. „გაყრის თმობა“ და „სოფლის თმობა“ სულ სხვადასხვა შინაარსს გამოხატავენ.

შემდეგ, 201-ე სტროფის (და არა 204-ე, როგორც ეს მითითებული აქვთ წერილის ავტორებს) შესახებ. ამ სტროფის მეორე ტაქსი: „ზედა ჯდა შვესა ტაიქსა, — მერანი რამე შვია“ — ასე უნდა გავიგოთ. მოყმე იქდა შვე ცხენზე (ტაიქზე), მაგრამ ეს ცხენი უბრალო ჩვეულებრივი ცხენი კი არ იყო, არამედ მერანი რაღაც უჩვეულოდ შვი ფერის (ე. ი. — რაღაც ზღაბრული ცხენი) იყოო („წერთ მისი მსგავსი შვენება კაცოვან უნახავიაო“).

ახლა შევეჩხთ 917-ე სტროფის მეოთხე ტაქსს.

წერილის ავტორები აკრიტიკებენ პ. რატიანს, რომ ის პოემის ძველი (1957 წ.) გამოცემით სარგებლობს და არა 1966 წლის აკადემიური გამოცემით. თვითონ კი სტროფების ნომრები, ალბათ, ძველი გამოცემიდან აქვთ დასახელებული. ამიტომ 928-ე სტროფი კი არ არის, არამედ 917-ე:

„აწ ნობათი ხელობისა მომხდომია,
მით ვარ ხელად, წერილის ავტორებს სწორედ აქვთ განმარტებული მისი შინაარსი. მაგრამ ნუთუ „ნობათი (რიგი, დრო, ეამი) ხელობისა (სიკეთისა, შმაგობისა)“ და „ვარ ხელად“ (გაყვეებული, გამაგებული ვარო) ერთი და იმავე შინაარსს გამოხატავენ? არა მეონია, რომ

ამ სიტყვებს ერთნაირი მნიშვნელობა ჰქონდეს. რუსთველს ზოგჯერ ერთნაირი ფორმით დაწერილი სიტყვების შინაარსიც კი განსხვავებული აზრით აქვს ნახმარი. აი, ერთი მაგალითი:

„მისმან შექმან ვინანათლა სამყარო და ხმელთა კიდევ,
რა უმიმბდა არ ვიცოდდი, ან ტირილდა
ვისთვის კიდევ.“
(108, 2,3).

ცხადია „ხმელთა კიდევ“, ხმელეთის კიდევ (საზღვარს) ნიშნავს, ხოლო „ვისთვის კიდევ“ ნიშნავს კიდევ ვისთვის ტირილდა არ ვიცოდდი. 33-ე სტროფი ხომ მაქამაა. აქ პირველი და მეოთხე ტაქსები ერთნაირი სიტყვით — „ას ული“ მთავრდება, მაგრამ შინაარსით ეს სიტყვა პირველ შემთხვევაში ასულს (ქალიშვილს) ნიშნავს, ხოლო მეორე შემთხვევაში ბევრად მაღლა ასულს, აღმატებულს. ანდა გავიხსენოთ 295-ე სტროფის მესამე და მეოთხე ტაქსები:

„იავუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერმცა მინა
მიწა და,
შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა
მიწდას“

ანაზღად, ვინც კარგად არ დააკვირდება, მას ეგონება, რომ ერთნაირი შინაარსის სიტყვებია ნახმარი. მაგრამ, პირველ შემთხვევაში მინა „მიწა და“ ნიშნავს შუშა (მინა), შუშად (მინად) იქნება, შუშად დარჩებაო ყოველთვის მეორე შემთხვევაში კი, „მიწა და“ სურვილს გამოხატავს. მსგავსი სტროფები საკმაოდ ბევრია ვეფხისტყაოსანში, მაგალითად, 123-ე, 170-ე და სხვა მრავალი.

აკად. კ. კვეციანი მართალი იყო, როდესაც ამბობდა მეორე სტროფის პირველ ტაქსში სიტყვა „ხელობითა“ სიგიჟეს თუ შმაგობას არ შეიძლება ნიშნავდესო. მაგრამ, მან უპრადღებდა იდარ მიაქცია იმას, რომ თ. ბაგრატიონმა შემთხვევით კი არ განმარტა და პირველ ყოვლისა „ქელოვნება“ ასხენა და შემდეგ „საქელო“. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ რითმოსათვის რუსთველი საოცრად კვეცავს სიტყვის ძირებს. ის იმასაც კი არ ერიდება, რომ სახელებზე შეკვეცილი ფორმით იხმაროს და ზოგჯერ „დამახინჯებულად“. მაგალითად, 394-ე სტროფში: „მოეწერა:

„რამაზ მეფე წიგნსა გიწერ ტარიერსა,
გამიკვირდა, რა ეწერა წიგნსა შენგან
მონაწერასა“

ცხადია, შ. რუსთველმა ეს რითმის გულისათვის გააკეთა — ტარიელს ტარიერი უწოდა.

ჩვენ არ ვიზიარებთ პ. რატიანის მტკიცებას თითქოს „...უკვს არ უნდა იქვეედეს ის დებუ-

ლება, რომ მე-8 სტროფში ნახშირი სიტყვა „ხელობითა“ არ შეიძლება სხვა რაიმეს ნიშნავდეს, თუ არა თანამდებობა — საქმიანობას.¹

ჩვენი მოსაზრების დასადასტურებლად კიდევ ერთ საბუთს მოვიტანთ. ესაა ნიკო მარის ნაშრომი — «Вопросы Вепхисткаосани и Висра-миანი», რომელიც 1966 წელს გამოიცა გამოსაცემლობა „მეცნიერებაში“. ეს შრომა გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, კომენტარები და შენიშვნები დაურთო პროფ. იოსებ მეგრელიძემ. წიგნის რედაქტორიც ი. მეგრელიძე ვახლავთ. ხოლო პასუხისმგებელი რედაქტორი — ალ. ბარამიძე.

ამ შრომის 29-ე გვერდზე, აი, რას ვეითხულობთ:

«...термин *qel-i* по средневековому представлению является грузинской заменой арабского термина *medpui*, по грузински *midpui*, что буквально значит 'одержимый бесом', но в кавказской средневековой со-словной рыцарской поэзии это 'любленный', 'пещ своих страданий', вообще 'поэт'».

მაშასადამე, თუ ნიკო მარს დაუეჭვრებლად და ვირწმუნებთ, რომ შუა საუკუნეებში სიტყვა „ხელი“ „შეყვარებულის“, „პოეტის“ გამოხატველი უყოფილა, მაშინ, ცხადია, სიტყვა „ხელობითა“ სწორედ ასე უნდა გავიგოთ — „პოეტობითა“.

„შე, რუსთველი, ხელობითა (პოეტობითა) ვიქმ საქმესა ამა დარი“-ო.

ახლა უკვე ნათელი ხდება ის გარემოებაც თუ რატომ არის ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში (უმრავლესში) სიტყვა „ხელი“ და, აგრეთვე, „ხელობითა“ დაწერილი ხანით (ხ) და არა ხა-

რით (ქ). რადგანაც მიწერილი (ხელი) პოეტის, მწერლის სიტყვებში უჭებოდა, ცხადია, ყოველგვარ საფუძველს ცხატყვის კრულ-თუელოლოგიაში დღემდე წარმოებული დავა იმაზე, თუ მე-8 სტროფში სიტყვა ხელობითა რატომ სწერია ხანით? და თითქოს ეს გადაშვერების შედეგია.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ავად. გ. წვერეთელი ყოველთვის დიდ სიფრთხილეს იჩენს და მოითხოვს ვეფხისტყაოსნის ყველა სადავო საკითხი მეცნიერული საბუთიანობით გადაწყუდეს და არა მხოლოდ სუბიექტური მსჯელობით. 1966 წლის ივნისის თვეში მასთან საუბარისას ვანაცხადე, რომ 988-ე სტროფში ნახშირი სიტყვა „ხელი“ პოეტს, მწერალს უნდა ნიშნავდეს-მეთქი, ცხადია, სტროფის შინაარსიდან გამომდინარე. მან მიმასუბა, რომ შეიძლება, მაგრამ საჭიროა ხელნაწერების შემოწმება, როგორ იწერებოდნენ ეს სიტყვა, ხარით (ქ) თუ ხანით (ხ). და როცა მერვე სტროფის შესახებ „ვეფხისტყაობა“, აქ ლაპარაკი არა თანამდებობაზე („ხელობითა“), არამედ პოეტობაზე-მეთქი, პატივცემულმა მეცნიერმა ისევ ასეთი პასუხი გამეცა: „საჭიროა დადგინდეს, რატომ იწერებოდა სიტყვა „ხელობითა“ ხანით? საჭიროა ხელნაწერების ვადამოწმება“.

როგორც ჩანს, ამის შემდეგ, მართლაც, სავანებოდ განუხილავთ მერვე სტროფის შინაარსი, რაზეც ზემოთ იყო ნათქვამი, მაგრამ დასკვნები, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს.

თუ ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისია კვლავ დაუბრუნდება ამ საკითხის განხილვას და გაითვალისწინებს ავად. ნიკო მარის შესანიშნავ აღმოჩენას, რომ შუა საუკუნეებში სიტყვა „ხელი“ ესმოდათ, როგორც პოეტის, მწერლის სინონიმად, მაშინ ყველაფერი ნათელი იქნება, რაც დაყვანილია მე-8 სტროფის შინაარსის განმარტებასთან.

1 „მნათობი“, № 2, 1968, გვ. 162.

სკოლომონ იორდანიშვილი

დიდი ტალანტისა და იშვიათი ენერჯიის მკვლევარი, ფართოდ ცნობილი რუსთველოლოგი, გამოცდილი ლექსიკოგრაფი, ფრთხილი ტექსტოლოგი, დახელოვნებული მთარგმნელი, ქუშმარიტი პედაგოგი, პრინციპული რედაქტორი, ჩემი საზოგადო მოღვაწე, პატრიოტი მოქალაქე და გულისხმიერი მეგობარი. ასეთი ახსოვს ყველას სოლომონ იორდანიშვილი.

დაუცხრომელი აზრის მეცნიერმა დაამუშავა და შექმნა მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომები, უმთავრესად ქართული ენის ლექსიკონი დარგში. 1949 წელს გამოსცა საბას უკვლავი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი. 1935 წელს ს. იორდანიშვილმა გ. ახვლედიანთან ერთად გამოაქვეყნა „რუსულ-ქართული“ ლექსიკონის I და II ტომები. 1931 წელს მან ლექსიკონი დაურთო დ. გურამიშვილის „დავითიანს“, 1938 წელს საბა-სულხანის „საბრძნე სიცრუისას“, 1939 წელს საბას „ეკრომაში მოგზაურობას“, 1940 წელს „შანაფაზიანს“ და ესოპის „იჯავნი“-ს, ხოლო 1945 წელს იგი მონაწილეა „ქართული განმარტებითი ლექსიკონის“ I ტომის შედგენისა.

წლების მანძილზე ს. იორდანიშვილი იკვლევდა „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონს საკითხებს და ბევრადეა საინტერესო წერილებს. მის მიერ წარმოდგენილია მთელი რიგი ახალი და საყურადღებო მონაშრომები პოემის სადავო სიტყვებთან დაკავშირებით.

ს. იორდანიშვილის, როგორც რუსთველოლოგის, ნაშრომთა შორის აღსანიშნავია გამოკვლევა — „ვეფხისტყაოსნის ევრთწოდებული უძველესი ხელნაწერის შესახებ“. რომელშიაც იგი პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით ათარიღებს ამ ხელნაწერს (H:2074) XVII საუკუნის მეორე ნახევრით. ამ მსრივ საყურადღებო, აგრეთვე, მისი ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი შესწორება-კომენტა-

რებისათვის“ (მოხსენება, წაკითხული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1942 წელს). აქ ავტორი ნათელს ზღის პოემის, ზოგიერთ გაუთვება ადგილს ს. იორდანიშვილის გამოკვლევა „ქამთა აღმწერლის ერთი ცნობის შესახებ“ და ნაშრომი იოსებ მშენებელზე (გამოქვეყნდა 1942 წელს) საინტერესო მასალებით ამდიდრებენ რუსთველოლოგიას.

როგორც ცნობილია, ს. იორდანიშვილი წლების მანძილზე მუშაობდა შოთა რუსთაველი პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის მდივანად და გულმშტრგალედ მონაწილეობდა 1937 წლის შოთა რუსთაველის საიუბილეო საშაფისში. მას ეკუთვნის მრავალი პროექტი და საექსპოზიციო გეგმები იუბილესათვის. გარდა თბილისისა, იგი უსასყიდლოდ ემზადებოდა საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს შოთა რუსთაველის საიუბილეო საშაფისში და ენერჯანს არ ზოგავდა ამ ღონისძიებების ლაიხელად ჩატარებისათვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ს. იორდანიშვილის მთარგმნელობითი მოღვაწეობა. პირველ ყოვლისა მან ანგარიშგასაწევი აზრი გამოთქვა (1938 წელს) „ვეფხისტყაოსნის“ ევროპულ ენებზე არსებული თარგმანების (ინგლისური ეთრდრობისეული, ფრანგული-ბროსე-მეტნარგაისი, გერმანული ლისტისეული, პოლონური—ლაფჩინსკისა, უნგრული-ვიკარისა, უკრაინული—ბაგანისა და სხვა) ირველივ.

ს. იორდანიშვილის თარგმანები გამოირჩევა მისთვის ჩვეული ტექსტის ღრმა ცოდნით, საითადო ანალიზითა და განსაკუთრებული სიზუსტით. „ვეფხისტყაოსნის“, ს. იორდანიშვილის რუსული ბწყარედი საფუძვლად დაედო პოემის მრავალ ენაზე ვაღმოცემულ თარგმანებს. 1937 წელს გაზეთმა „პრავდამ“ დაბეჭდა ს. იორდანიშვილის მიერ თარგმნილი „ვეფხის-

ტყაოსნისა* შინაარსი, ხოლო 1938 წელს კვლევში გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ — პროზაულ თარგმანი უკრაინულ ენაზე. ამავე წელს მოსკოვში გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინული ვარიანტი შევსებული და შესწორებული თარგმანი ს. იორდანიშვილისა და ელ. ორბელიანის რედაქციით. ს. იორდანიშვილს კეთილშინს „ვისამაინის“ თარგმანი რუსულ ენაზე; მანვე შეასრულა „ნიბელუნგების“ ქართული სიტყვისიტყვიანი თარგმანი გერმანულიდან. აგრეთვე ვრანგული ეპოსისა — „სიმღერა როლანდზე“ და სხვა.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ს. იორდანიშვილმა შესწირა ქართული ფილოლოგიის აუცილებელ საქმეს. მნიშვნელოვანია მისი საერთაშორისო ნაშრომები, მანვე შეიმუშავა ქართული კომპოზიტების დაწვრილობის პროექტი, რომელიც მიღებულ იქნა საკულტურო-ნორმალ სალიტერატურო ქართულში, და სხვა მრავალი.

თუ რაოდენ მძლავრი იყო ს. იორდანიშვილის მეცნიერულ-კვლევითი პოტენცია, ამას კომპარატივ დაღაღებს მისი არქივი, რომელიც სათუთად არის მოვლილი და დაცული განსვენებულის ოჯახში.

ამ არქივში დაცულ მასალათა შორის ყველაზე უფრო დიდი მოცულობისა და მნიშვნელობის ნაშრომად მიგვაჩნია „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა შემსწავლელი მასალები“. ჩვენამდე მოღწეული ყოველი ხელნაწერი პოემის ისეთი მეცნიერული სიზუსტით არის განხილული, რომ არ არის დარჩენილი მცარეოდენი ვარიანტული სხვაობაც კი. მასალა მოთავსებულია თანხაზობრივად დაჭრილ ნახევარი თაბახის ზომის ფურცლებზე. დალაგებულია გარკვეული მეთოდით და მოთავსებულია ცალკეულ კონვერტებში. გამოტანილია მკვლევარის მიერ თითოეული ხელნაწერის ტექსტის შეყვრების შედეგები, სხვაობები, თავისებურებანი და დასკვნები. ცალკე ბარათებზეა მოთავსებული ტექსტის საბეჭო ადგილები და გარკვეულია მათი ურთიერთმიმართება. განსაკუთრებული სიფაქიზით არის გამოკრებილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტებიდან პოემის ლექსიკური მასალა. განლაგებულია ანბანზე და თან ატარებს ინდექსები. აქვეა ხელნაწერების ვრცელი აღწერილობა, ავტორის შენიშვნებით, მისი მოსაზრებანი ამა თუ იმ ხელნაწერის დათარიღებისა და წარმოშობის თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ნაშრომი რუსთველოლოგიაში დღემდე არ მოიპოვება. იგი წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების სრულ მეცნიერულ აღწერილობას, კომენტარებს, პოემის აკადემიური ტექსტის დასადაგენ მდიდარ მასალას და ჩვენამდე მოღწეული „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ხელნაწერის სიმჭონია.

არქივში დაცულია, აგრეთვე, „სხვათა აზრები „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვების შესახებ“, რომელსაც თან ერთვის ს. იორდანიშვილის კომენტარები.

აქვე ინახება მოზრდილი „ხელნაწერის“ მასალები — „საქართველოს ენობრივი ეთარება XII საუკუნეში“, რომელშიაც დაწვრილებითაა განხილული თამარის ეპოქა და ქრონოლოგიური წყობით მოტანილია ისტორიკოსთა აზრები „ოქროს“ ხანის შესახებ.

საყურადღებოა არქივში დაცული 1936-37, 38 წლებში ჩატარებული რუსთველოლოგიური დისკუსიების სტენოგრაფიული ანგარიშები (ნაწილი მინუტანზე ნაბეჭდი და მკვლევარისაგან ნაწილობრივ), სადაც შესულია ივ. ჯავახიშვილის გამოსვლები და აზრები შოთა რუსთაველსა და მის პოემაზე.¹ აგრეთვე ქართული რუსთველოლოგიების გამოქვეყნებული მოსაზრებანი და სხვა, რასაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება რუსთველოლოგიის ისტორიისათვის.

ცნობილია, რომ ს. იორდანიშვილი წლების მანძილზე სწავლობდა და ამუშავებდა „ვეფხისტყაოსნის“ ძველი სარედაქციო თუ ტექსტის დამდგენი კომისიების ისტორიის საკითხებს. არქივში ინახება XIX საუკუნის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრების — გრ. ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რაფ. ერისთავის, იონა მეუნარგიას, ივანე მაჩაბლის, იაკობ გოგებაშვილის, სერგეი მესხის, პეტრე უმიკაშვილის, თელე ფორდანიას, ნინო ორბელიანის, ეკატ. ვაზაშვილის, ი. წინამძღვარიშვილის, გ. იოსელიანის აზრები „ვეფხისტყაოსანზე“ და მათი კრიტიკული განხილვა. აქ აღინიშნულია: „კომისია მიზნად ისახავდა რუსთაველის ნამდვილი ტექსტის აღდგენას, მათდამი მოღწეული „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტების შემწეობით. კომისიის წევრს გ. იოსელიანს საჭიროდ მიანჩია, რომ ტექსტთან მოყვანილი ყოფილიყო ის ადგილებიც, რომელნიც „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ტექსტში არ შევიდნენ, მისი აზრით, ეს გამოსადგენი იქნებოდა ლიტერატურულ მასალად“, პ. უმიკაშვილი კი საჭიროდ ცნობდა იონა მარტოვლას ლექსიკონ და კომენტარები, ი. მუჟნარგლას აუცილებლად მიანჩნა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა არსებული ხელნაწერების, ე. ი. ვარიანტების შემწეობით და სხვა. კომისიის ეს მიზანსურველობი დასაყენის ს. იორდანიშვილი, ნათლად მოწმობენ მას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ არსებული გამოცემები — ვახტანგისეული, მ. ბროსესი და სხვა არ აკმაყოფილებდა 60-იანი წლების ჩვენს მოღვაწეებს.

უნდა აღინიშნოს, გვაუწყებს ს. იორდანიშვილი, რომ „XIX საუკუნის მწერლებისა და ინტელიგენციის იმ წრემ, რომელმაც ქართვე-

¹ მასალის ნაწილი დაბეჭდა 1963 წელს.

ლიშვილის გამოცემის „ვეფხისტყაოსნის“ დედანი დაამზადა, ვერ ჩაატარა ის დიდი კრიტიკული მუშაობა ხელნაწერებსა და ტექსტებზე, რაც საჭირო იყო „ვეფხისტყაოსნის“ ნამდვილი ტექსტის აღდგენისათვის. ცხადია, ასეთი რთული და საპასუხისმგებლო მუშაობისათვის კომისიის წევრებს შესაფერისი მოწოდებაც აკლდათ. სხვა არ იყოს რა, კომისიაში არ იყო არც ერთი საფუძვლური მკვლევარი აღმოსავლური, არაბულ-ირანული მწერლობისა, ხოლო იმ დროს ქართული ფილოლოგიების დარგის ჩამორჩენილობა ხომ არავისთვის საეჭვო არ არის, ყველფერი ეს, ცხადია, სათანადო გავლენას იქონიებდა კომისიის მუშაობაზე. როგორც ჩანს, კომისიას არ გააჩნდა ზუსტი სახელმძღვანელო პრინციპები ტექსტის დასადგენად, თითოეულ თავისი შევადგულება ჰქონდა. თავმჯდომარე გრავოლ ორბელიანი ურჩევდა კომისიის უმბრატესობა ვახტანგის გამოცემის მიუკეთოდ, რადგან მან (ვახტანგს) შეეროთ უკეთესი ვარიანტები შეერჩია და იქედან დაიშვებდა პოემის ტექსტი. ილია ჭავჭავაძემ მოითხოვა პირდაპირ კითხვას შეუდგებოდა თვითონ კითხვა დაგვანაშტებს, თუ რა ფასი, რომელ გამოცემას ექნებათ... სხდომაზე მუშაობა შემდეგი წესით მიმდინარეობდა: კომისიის ერთ-ერთი წევრი, რაფიელ ერისთავი ან ილია ჭავჭავაძე კითხულობდა ხმაშლი ბროსე-ფალავანდიშვილ-ზუბინიშვილის (1841) გამოცემას და სხვები ხელნაწერებს ადევნებდნენ თვალს, საკითხები ამა-თუ იმ სტროფის ამოღება-დატოვებისა და ამა თუ იმ სიტყვის ასე თუ ისე დაწერილობისა, წყდებოდა ესტეტიკურ გრძნობათა შეწყვეობით და ლოკაის სასწორზე შევადგებოთ.

თავისთავად ცხადია, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე ამგვარ პირობებში წარმოებული მუშაობა დამამაყუფილებელ შედეგს ვერ მოგვცემდა. „მთხზუდავად ამისა, დისტენს ს. იორდანიშვილი, კომისიამ შეძლო რამდენიმე ბუნდოვანი აზრის გამოკრევა და მისი შემცველი სტრიქონების გამართვა. რაც შეეხება სტროფულ შედგენილობას, კომისიამ არამე თუ დასტურტი არ მისცა მ. ბროსეს მიერ ჩამატებულ 47 სტროფს, რომლებიც მხოლოდ ზოგიერთ ხელნაწერში მოიპოვებოდა, არამედ ვახტანგის გამოცემის ტექსტსაც კი გამოაკეთა 16 სტროფი, რომლებიც ძველ ხელნაწერებში არ იყო და აზრის მიმდინარეობას აფერხებდა“.

ასე დაწერილებით განიხილავს ბოლომდე ს. იორდანიშვილი შემდგომდროინდელ, 1934-37 წლების „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობასაც. აქვე დაცულია ს. იორდანიშვილის ხელთ ნაწერი 1934-37 წ. წ. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის ოქმები, რომლებშიც ვრცლად არის შეტანილი სხდომებზე გამოთქმული მოსაზრებანი

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენასთან დაკავშირებით. ეს მასალები დღემდე გამოქვეყნებულა. ს. იორდანიშვილის არქივში შენახილი მასალები ცალკეული რედაქტორების მიერ ჩატარებული სამუშაოებსა და, რაც ყველაზე უფრო ძვირფასია, 1937 წლის ივ. ჯავახიშვილისეული მასალები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ცნობილია, რომ ივ. ჯავახიშვილმა მკაცრად გააკრიტიკა ზოგიერთი რუსთველოლოგის მცდარი დებულებები და აღნიშნა რიგი ქართველი ფილოლოგის დამახტრებაც.

ს. იორდანიშვილის არქივში არსებობს ყურადღებით დამუშავებული მთელი რიგი საკითხები ცალკეული წერალებს სახით, როგორცაა „ვეფხისტყაოსნის“ „ვეფხისტყაოსნის ევროპული რედაქციის შესახებ“, „გიორგი მეფის გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის გარშემო“, და ვრცელი გამოკლევა, რომლის ნაწილი გამოქვეყნებულა, — „ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები და შოთა რუსთაველის პორტრეტები“, სადაც ს. იორდანიშვილი, როგორც მხატვრობის მოყვარული, ამეღვანებს ფერწერის არაწვეულებრივ კონდას. ერთ ადგილას იგი აღნიშნავს: „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა მოხატულობასა და სიტყვებურ ილუსტრაციებს თავიანთი მაღალი ღირსებით ცენტრალური ადგილი უჭირავთ ქართულ საერო მხატვრობის ისტორიაში“. შემდეგ ს. იორდანიშვილს მოჰყავს სხვა მკვლევართა აზრები „ვეფხისტყაოსნის“ მოხატულობათა შესახებ და კრიტიკულად განიხილავს თითოეულ მათგანს, არკვევს ხელნაწერთა დამსურათებლების ვინაობას და მოთითებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა მკვლევარების უმრავლესობა მცდარ შეხედულებებზე დაყრდნობით არკვევენ ზოლზე ხელნაწერის მხატვრის ვინაობას და ერთხელ გამოთქმული შეხედულება უკრიტიკოდ მეორდება სხვების ნაშრომებში. როგორც ნარკვევიდან ჩანს ს. იორდანიშვილს ზედმიწევნით შეუტყუველია ყველა მოხატული და მინიატურებიანი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი და, მიუხედავად ამისა, რომ იგი ხელაუწყების მცოდნე არაა, ჩინებულად არკვევს თითოეული სურათის კომპოზიციას, ფერთა შეგამებას და მათ ეპოქალურ თავისებურებებს. ყოველივე ეს უსათოდ შედეგია იმისა, რომ ს. იორდანიშვილს ხატვა ეგებებოდა და უყვარდა, იგი ერთ-ერთი მეგობრისადმი მიწერილი წერილში აღნიშნავს: „ნეტაი ზემს სანუკვარ საქმეს, ხატვას გაყოლოდი, იქნებ უკეთესი მხატვარი ექნებოდი, ვიდრე ფილოლოგი“-ო.

არქივში ინახება, აგრეთვე, ს. იორდანიშვილის მიერ დამუშავებული რუსთველოლოგიის ცალკეული საკითხებისადმი მიძღვნილი მცირე მოკლეობის ნაშრომები, რომლებიც, ალბათ, ავტორს გამოსაქვეყნებლად ჰქონდა გამ-

ზადებულო, მაგ. „სამხედრო ხელოვნება „ვეფხისტყაოსანში“. „ზმნები „ვეფხისტყაოსანში“. „ქალის როლი „ვეფხისტყაოსანში“. „ტექსტზე მუშაობის პროცესები“. „კატო მქელადის ნაშრომი „ვეფხისტყაოსანზე“. „შენიშვნები ჩემს სიტყვათა-სიტყვით თარგმანზე“. „ვეფხისტყაოსნის“ ენის შესახებ“. 3. უმჯობესი და „ვეფხისტყაოსანი“. „ვეფხისტყაოსნის“ არტანუჯული რედაქციის გამო“ და სხვა.

განსაკუთრებული საფაქიზით არის დაცული ამ არქივში ს. იორდანიშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემით განხილვები—მაგ. „ვეფხისტყაოსნის“ ვაჭარავისეული გამოცემა“. „ვეფხისტყაოსნის“ XIX გამოცემა — 1923 წელს და კარიკაშვილის რედაქციით“. „ვეფხისტყაოსნის“ XVI გამოცემა. 1825 წელს, — არსენ ვალანდაძისა“ „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემა და სხვა. ხოლო 23 საერთო რვეულში მოთავსებული ს. იორდანიშვილის ნაშრომი — „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის ისტორიისათვის“, რომელშიც ავტორი აშუქავს დიდ მეცნიერულ აღლოს, დიდმნიშვნელოვან შენაძინა რუსთველოლოგიას.

მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ს. იორდანიშვილს ჰქონია მოფიქრებული, ქალაღზე გადატანილი და ქართული ფილოლოგიის სიმდიდრეს წარმოადგენს. ასეთებია „ვეფხისტყაოსნის პროლოგ-ეპილოგის ტექსტი“. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიური სამუშაოები და ტექსტზე მუშაობის პროცესები“. „უკვა ფაქეველა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“. „რუსთველოლოგიის შესავალი“. „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანი, შესრულებული გვაზავასა და და მარსელ-პარისის რუს. ჰაიზში 1938 წელს“. „ივ. ჭავჭავაძის მიუსთავლის ეპიქოსა და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“. „მაქსიმ გოგოის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“. „ბარონ სტენერის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“. „რუსთველის პოეტიკის საკითხები“. „ვეფხისტყაოსნის“ სუსტი ადგილები“ და სხვ.

იქვეა მკვლევარის მიერ დიდი ოსტატობით გაკეთებული მხატვრული სქემები. ზომით 2 მ X 3 მ. ოთხი ცალი: ა) ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები, — ვარიანტული მნიშვნელობის მიხედვით, ბ) „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები ევროპულ ენებზე — ქრონოლოგიური მწკრივით, გ) „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციები და დ) „ვეფხისტყაოსნის“ რედაქტორები. კარგი კალიგრაფიით გაფორმებული ეს სქემები, მეტად მოხდენილი მასშტაბური შემცირებების საფუძველზე, იტევს პოემის შესწავლასთან დაკავშირებულ უამრავ საკითხს, რაც მათ ანიჭებს ერთგვარ სახელდახელოდ მოსახმარებელი ცნობარის ხასიათს. თუ ეს სქემები ერთად შეინძნეული დაიბეჭდება, იგი საინტერესო იქნება ყველა განათლებული ადამიანისათვის.

არქივში ინახება საყურადღებო ხელნაწერი

IX საუკუნეში გადაწერილი თვალსაჩინო ძეგლსა „განიწმება იერუსალიმისა“, რომელიც გადაწერილია და შედარებული ლექსონის ს. იორდანიშვილის მიერ. ეს ძველი ხელნაწერი მან მიაკვლია სენარში 1948 წელს და თბილისში ჩამოიტანა. მისი ვაზრახვა იყო ტექსტის შეცნობიერული შესწავლა და გამოცემა, მაგრამ არ დასცალდა.

ს. იორდანიშვილის არქივის ერთ-ერთი საყურადღებო მასალა (რამდენიმე ცალ საერთო რვეულში მოთავსებული) ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან ამოკრფილი სიტყვები, რომლებიც სათანადოდ განმარტებულია. ანბანზე დალაგებული და სრული ლექსიკონის სახე აქვს. იგი მდიდარი წყაროა ქართველ მწერალთა ლექსიკონის შესასწავლად.

იქვეა გერმანულ-ქართული ლექსიკონის მასალა, რომელიც 6000 სალექსიკონო ერთეულს შეიცავს და ორ ვარიანტად არის დაცული. ერთი — ანბანზე დალაგებული, სალექსიკონო ბარათებზე მოთავსებული და მეორე — საერთო რვეულში. ეს უკანასკნელი რედაქტირებულია და დასაბეჭდად გამზადებული. როგორც ამ მასალის მინაწერი იტყვება, მისი ერთი პირი თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტში ინახება და ივარაუდება, რომ უფრო სრულქმნილია დასაბეჭდად, ვიდრე დასაბეჭდული ვარიანტები.

ცნობილია, რომ ს. იორდანიშვილმა კარგად იცოდა ოსურ ენა. არქივს შემოუნახავს მის მიერ ოსურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები, თარგმანს თან ერთვის 1937 წელს ქ. ცხინვალში ს. იორდანიშვილის მიერ წაკითხული მოხსენების ტექსტი ოსურ ენაზე.

ს. იორდანიშვილის არქივში ინახება „ვეფხისტყაოსნის“ გამოქვეყნებული ფრანგული თარგმანი, რომელიც 1937 წელს შეასრულა ელისაბედ ორბელიანმა, ს. იორდანიშვილთან ერთად. ეს თარგმანი იმავე წელს ენდა გამოცემილი „ვეფხისტყაოსნის“ დაწერილან 750 წლის სათბილოდ, მაგრამ რატომღაც არ გამოცემულა.

როგორც მკვლევარს და როგორც ქართული კულტურის დიდ მოყვარულს, ს. იორდანიშვილს სწამდა, რომ საკვირო იყო ლიტერატურული ცხოვრების ამსახველი მასალები დაეცვა და შეენახა. ამიტომ არის, რომ მისი არქივის ერთი დიდი ნაწილი შეიცავს მეტად საყურადღებო იკონოგრაფიულ მასალებს, რომელთა უმრავლესობა შეგება შოთა რუსთაველს, მაგალითად, 1936-37 წლებში ჩატარებული სტუდენტების, სათბილო საღამოების, გამოფენებისა

1 ამ ძეგლის მეშველედ საუკუნის ხელნაწერის შესახებ 1912 წელს ქ. კველიძემ აღნიშნა ნაშრომში „იერუსალიმის კანონარი VII საუკუნისა, ქართული ვერსია“, გამოვიდა რუსულ ენაზე, თბ. 1912 წ. გვ. 364.

და სხვათა ფიქრებს. აქვეა ქართული მწერლების ცხოვრების საინტერესო დეტალების ამსახველი დოკუმენტებიც.

ს. იორდანიშვილის არქივში დაცულია გამოქვეყნებული მრავალხრივ საყურადღებო წერილები: „ნარკვევები ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან“, „სიტყვა სახალხო პოეზიაზე“, „ეპარლამ ჩერქესიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „ეპიზოდები მთიულთა ცხოვრებიდან“ და მისივე ზეღოთ ჩაწერილი ხევერდული ლექსები, საბავშვო თამაშობანი და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არქივში დაცული ეპისტოლარული მასალები, რომლებიც ცხადყოფს ჩვენი დროის რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას. კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის საქმეში, როგორც ვიცით, ს. იორდანიშვილის მიერ შესრულებული პეჯარეა „ვეფხისტყაოსნისა“ სალუჯლად დაედო როგორც უცხოურ, ისე რუსულ და უკრაინულ თარგმანებს. 1937-40 წლებით არის დათარიღებული მ. ბაქანის, ზაბოლოცის ალ. ტოლსტოის, სლავინსკის, დ. კოსარაიის და სხვათა წერილები ს. იორდანიშვილისადმი. ადვილად წარმოვიდგინოთ თუ რაოდენ სპირით, რაოდენ საპატიო პიროვნება იყო მათთვის ს. იორდანიშვილი და რა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდნენ ისინი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის საქმეს, ამის შესანიშნავ საბუთს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ 1966 წელს მ. ბაქანმა, მისთვის რუსთაველის პრემიის ლაურეატობის მინიჭებასთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაში, დიდი მოწიწებითა და სიყვარულით, პატივისცემითა და მადლიერებით მოიხსენია ს. იორდანიშვილის წარუშლელი ხსოვნა.

საინტერესოა ის წერილებიც, რომლებიც ელ. ობზელისს ეუფუნის. ამ წერილებში აღნიშნულია მისი და ს. იორდანიშვილის ურთიერთობა თანამთარგმნელობაში. ზოლო კ. უკვლძის, გ. ლეონიძის ი. ჯავახიშვილის, ეკე. თაყაიშვილის, მიხ. ჯავახიშვილის, კ. კვიციანიძის, გ. ბერიძის, ალ. აბაშელისა და სხვათა წერი-

ლები ცხადყოფენ, რომ ყველაზეთი სწრაფად საქმეს შოთა რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა წარმოადგენდა.

გარდა სამეცნიერო-კვლევითი და მთარგმნელობითი მოღვაწეობისა, ს. იორდანიშვილი ცნობილი იყო, როგორც კულტსაგანმანათლებლო საქმის დიდი ენთუზიასტი. მას უყვარდა სამეცნიერო მუშაობა და ამიტომაც იგი არჩეული იყო ჩვენი რესპუბლიკის მეზუემების სამეცნიერო საბჭოს წევრად და მეზუემების კონსულტანტად. ის აქტიურად მონაწილეობდა ხოლმე მეზუემის მუშაობა ყიროლობებში, თათბირებში და გულმხერაულ ეხმარებოდა საქართველოში რომელიმე მეზუემის ვაგსნის თუ სხვა კულტსაგანმანათლებლო დაწესებულების დაარსების საქმეს. ამავე დროს, ს. იორდანიშვილი ითვლებოდა კარგ ექსპოზიციონერად. მისი მადალი მხატვრული გემოვნება, ზატკის უნარი და თემატურ-საექსპოზიციო გეგმისა შედგენაში დახელოვნება სადღო იყო ყველაათვის. მის არქივში ბევრია მეზუემების გამოფენების ფოტოალბომები, სამეცნიერო გეგმების ასლები, დიორამები, დიარამები და სხვა ამგვარი მასალები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეზუემების ისტორიის საქმეში და ახალი გამოფენების მოწყობისას. აქვეა ს. იორდანიშვილის მიერ წაკითხული მოხსენებები, რომლებიც შეიცავენ სამეზუემო საქმეში მის მიერ წამოყენებულ პრობლემებს, პროექტებს და, საერთოდ, ახალსა და ორიგინალურ აზრებს სამეზუემო საქმის აღმავლობისათვის.

საქლოვანი მკვლევარისა და საზოგადო მოღვაწის ს. იორდანიშვილის არქივს უცილობელი მნიშვნელობა აქვს ქართული დილოლოგიისათვის. ასევე უდავოა მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ბუნდოვანი საკითხის გარკვევაში. ამასთანავე, ეს მასალები თვალსაჩინოს ხდიან თუ რაოდენ დიდი იყო ამ მრავალხრივო მოღვაწისა და მეცნიერის დამსახურება ქართული კულტურისა და ქართველობის წინაშე.

თემატიკა: ანტიკორუპციული

შუა აზიის გზაზე

1. ტიანშანის ციხარტყელა

ბათიანეზული ქალაქი

შუალაშე იყო, ფრუნზეს აეროდრომი-ზე რომ დაეფრინდი.

ნებიერად წვიმდა. ლამპიონები მკრთალად აბამხამებდნენ დაბინდულ წამწამებს და გაწუწული ხეები ნიავის შემოქროლებზე ტანიდან მსხვილ-მსხვილ წვეთებს იყრევინებდნენ.

აეროპორტის შენობასთან მხოლოდ ორიოდ ტაქსი იდგა. იმათაც ვერ მივუსწარი. ანდა რას აუვიდოდნენ ამდენ ხალხს ის მანქანები.

წვიმის წვრილი ძაფებით დაქსელილ ღამეში ღრმად ეძინა ქალაქს, რომელიც არც თუ ისე შორს უნდა ყოფილიყო აეროდრომიდან. ფრუნზესკენ მიმავალ ფართო მაგისტრალზე კანტიკუნტად თუ გაიქროლებდნენ მანქანები.

როგორც იქნა, გავედი აეროპორტი-დან.

უზარმაზარ შენობაზე ელექტრონის ბრდღვილა ასოებით ეწერა — „ალა-ტოო“ სასტუმროს ძილმოარეულმა მორიგემ უადგილობა მოიბოდიშა და ვესტიბულში მდგარი დივანი შემომთავაზა. სულ ორიოდ საათით მოვიტყუე თვალი.

გათენებულ ქალაქში დილაადრიათ გამოვედი. ღრუბლებიან ციდან ძლიერ გამოკრთოდა სხივები ივლისის მზასა, გუშინ ჯოჯოხეთურად რომ მწვავდა

ტაშკენტში. სასიამოვნოდ გრილოდა. ღრმად ისუნთქებოდა დილის ნაწიშმარი და დაწმენდილი ჰაერი.

თავი უზარმაზარ ბალნარში მეგონა. ქუჩებს ორივე მხარეზე მათზე უფრო ფართო მწვანე ზოლები ასდევნებოდა. სიმწვანე კამკამა ტბებივით ჩამდგარი-ყო შორიშორ ამენებულ სახლებს შორისაც. ათასფრად ბრდღვილებდნენ პირდაბანილი ყვავილნარები. საოცრად ხასხასებდა სველი სიმწვანე.

ამისთანა ქალაქში დანაშაულიც არის, რომ ფეხით არ გაიარო.

მოამე ყირგიზეთის დედაქალაქი ფრუნზე ყველაზე ახალგაზრდაა ჩვენი მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქთა შორის. აქ, მდინარე ჩუს ველზე, ერთი ქოხიც კი არ მდგარა გასული საუკუნის პირველ ნახევარში. შემდეგ კი ციხე-სიმაგრე აუშენებია კოკანდის სახანოს, რომელმაც მონობის უღელი დაადგა ყირგიზ ხალხს. ციხე-სიმაგრეს პიშპეკი ერქვა. ფრუნზეს ჩრდილო-დასავლეთით ახლაც შემორჩენილია ციხე-სიმაგრის კედლების ნანგრევები. მერე აქ საცხოვრებელი სახლებიც გაჩენილა.

საბჭოთა ხელისუფლების დროშამ პიშპეკში 1918 წელს შეაშუქა. იმ დროისათვის იგი პატარა, მივარდნილი ქალაქი იყო. პიშპეკმა საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე იცვალა

სახე. 1926 წელს მან სახელიც გამოიცვალა და თავისი ლეგენდარული შვილის მიხედვით ფრუნზეს სახელი დაირქვა.

პიშპეკში დაბადებულ სახელოვან მხედართმთავარს მიხედვით ფრუნზეს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ყირგიზი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. სამოქალაქო ომის წლებში წითელი არმიის ნაწილებმა მისი სარდლობით განადგურეს თეთრგვარდიელები და ადგილობრივი კონტრრევოლუციის ბანდები.

ბაღებად ქცეულ ქუჩებს მივყავები. როგორც მითხრეს, აქ ახლოს უნდა იყოს ყირგიზეთის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი, სადაც ყირგიზ მწერლებს თავიანთი ყრილობა აქვთ მოწვეული.

ქალაქის ცენტრალურ სკვერში ამოვყავი თავი. ჯერ ისევ აღრეა და ბალშიც ხალხნაკლებობაა.

მიანც მიდიან ადამიანები, მიდიან ფეხჩქარებულნი — ალბათ, სამუშაოზე მიეშურებიან. მხედება ძეგლებიც. მაღალ კვარცხლბეკზე შემდგარა მარჯვენაშემართული დეკაკი. იქნებ ეს სახელგანთქმული ვენერალი პანფილოვიც აქაურია?! ვაქვავებულა ფარაჯის კალთები და გაცოცხლებულა ქვაში გამოკვეთილი სახე გვირისა.

ამაყად ატყორცნილა ობელისკი, რომლის წვერზეც წითლად ეღვარებს ჩაქუჩი და ნამგალი. ეს სვეტი კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში 1918 წელს დაღუპული წითელარმიელებისათვის დაუდგამთ ძეგლად.

ყვავილების ზღვაში ჩამდგარა ტოგოლოკ მოლდო — სახალხო მომღერალი, ყირგიზეთი დამწერლობითი ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი. და მე ერთხელ კიდევ დავრწმუნდი: სადაც გვირები არიან, იქ პოეტებიც არიან უთუოდ.

თავისუფალი მთაბი

სასამართლოს წინაშე დგას პოეტი — მომღერალი.

ხელფეხზე ბორკილი აქვს დადებულ.

ბორკილი არ დაედებოდა სიმღერას.

ხალხს დასტრიალებს მისი აზრი. ხალხს თავისუფლებისაკენ მოუწოდებს მისი სიმღერა.

მოსამართლე სიკვდილით დასჯის განაჩენს კითხულობს.

სიკვდილით ვერ დასჯიან აზრსა და სიმღერას.

სიკვდილმისჯილის დილეგში გამომწყვდეული ახალგაზრდა აკინი ისევ განაგრძობს თავის სიმღერას. ხერხეში შემოღწეულ მზის სხივებზე, როგორც სანოტო რვეულის ხაზებზე, აწყობს ახალ სიმღერებს. ნაპერწყლები დასტიან ამ ხაზებზე. აქა-იქ ცრემლიც გამოიფრევა. და ეს ცრემლიც იწვის. ასე მღეროდნენ ზინდანებში ჩაყრილი მისი მამა-პაპანი.

ზინდანი, ჰა იყო, ციხედ ქცეული. საეციალურად მოთხრილი. ჰა. შეუხორციებელ ჭრილობასავით ისევ სწავს მიწას ეს ციხე-ჭები.

ხალხი ღელავს თავისი მომღერალი შვილის გადასარჩენად.

შეიწყალეს სიკვდილმისჯილი. სიკვდილი კატორღით შეუცვალეს და ციმბირის გზას გაუყენეს.

ეს ჩვენი საუკუნის კვირაძალზე იყო.

და ამ აკინმა, უკვე ჰადარანამოთოვლილმა ტოქტოგულ ტოკომბაევმა, მეოთხედი საუკუნის შემდეგ ასე იმღერა:

იყო დრო, ცხარე ცრემლებსა ვღვრიდი. ვიტანჯებოდი შორს განდევნილი. მე ტყუობაში ვუხმობდი მამულს, მასზე ნაღვლობდა სულა ღელვილი. სწუხდა, ბორგავდა და ბობოქრობდა ჩემი სიმღერა სისხლდაფერილი, თვალზე შემაშრო სისხლი მდღელარე. მეც მომეღვინა მხსნელად ღენინი. ვით შეუძლია ტოქტოგულს, ახლა ამ დღეზე რომ არ იმღეროს ლენინი, წყვდიადში იყო ყირგიზი ხალხი, ლენინ, მზის შუქზე გაესულვარო შენით!

ყირგიზული დამწერლობითი ლიტერატურა საბჭოთა ბელისუფლების დამყარების პირველ წლებში, სწორედ მაშინ დაიბადა, როცა ტოქტოგული ამ ლექსს სწერდა. 1924 წელს გამოსულ პირველ ყირგიზულ გაზეთს ერქვა „ერკინ ტოო“ — თავისუფალი მთები. ორიოდ წლის შემდეგ დაიბეჭდა პირველი ყირგიზული წიგნიც.

ღიახ, ძლიერ ახალგაზრდაა ყირგიზული ლიტერატურა, მაგრამ იგი ძლიერ უძველესიც არის.

ყირგიზი და სიმღერა ერთად გაჩენილან ამ ქვეყანაზე. საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა საგმირო პოემები, საწესჩვეულებო და ლირიკული სიმღერები. ყირგიზი ხალხის მდიდარი და მრავალფეროვანი ეპოსის გვირგვინს წარმოადგენს მონუმენტური ძეგლი „მანასი“ — მითების, ლეგენდების, საწესჩვეულებო სიმღერების უხარმანარი კრებული, ათეულ ათასობით სტრიქონს რომ ითვლის. და მერე გაეხსენოთ ე. წ. მცირე ეპოსი — ხუთი-ათი ათასსტრიქონიანი ზღაპრულ-დეკამირული ხასიათის პოემები. ხალხის ამ შესანიშნავ ქმნილებებს თაობებიდან თაობებს გადასცემდნენ მანასები — მანასის მთხრობელნი, აკინები და ირჩები — სახალხო მომღერლები.

აკინების შეჯიბრებას აიტიში ერქვა. უხსოვარი საუკუნეებიდან დაიწყო ეს აიტიში და მასში მთელი ხალხი მონაწილეობდა. ყირგიზი მღეროდა შრომამიც და ბრძოლამიც, ხოლო მისი მრავალსაუკუნოვანი ცხოვრება გაუთავებელი ბრძოლა იყო.

ამ მომთაბარე მებრძოლ ხალხს დაეკარგა შესანიშნავი პოეტური ქმნილებების შემქმნელთა სახელები, მაგრამ ეს ქმნილებები საუკუნეებში გულით გამოატარა და დღემდე მოიტანა.

ყირგიზი ხალხის ლიტერატურა გაამდიდრეს და მას დიდი მოქალაქეობრივი ელერადობა მისცეს მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და ჩვენი საუკუნის დასაწყისის სახელოვანმა სახალ-

ხო პოეტებმა ტოქტოგულ ტოკომბაევმა და ტოგოლი მურყანმა და დღეს საქვეყნოდ გაიშინა ყირგიზი თანამოკავშირების დიდი პოეტური აიტიში.

გზა მთაზეში მიდის

ასეთი ბედი იშვიათად თუ ვაპლიმებია ტრანსპორტის, რომელიც ვინდათ, სახეობას.

ჩვენს ავტობუსს თავისუფლად შეიძლება წააწერო — „სსრკ“.

ამ ერთ მანქანაში არის რუსეთიც და უკრაინაც, ბელორუსიაც და აზერბაიჯანიც, სომხეთიც და ლიტვაც, ლატვიაც და ესტონეთიც, მოლდავეთიც, და ყაზახეთიც, ტაჯიკეთიც და თურქმენეთიც, საქართველოც და თვით ყირგიზეთიც. ამას მიუმატეთ თათრეთი, ყარაქალპაკეთი, ტუვა, ჩუვაშეთი. ყველა ამ რესპუბლიკის წარმომადგენლები ვართ თავშეყრილნი და ყირგიზეთის გზებზე გასულნი.

ხმაურობს, იცინის, მღერის, მსჯელობს ერთ მანქანაში თავშეყრილი დიდი ოჯახი.

გზა მდინარე ჩუს ველზე მიქრის. მდინარე ხან კარგა შორს გაეშუქება შარავზას, ხან კი ალევების ამხედრებული ხეივანებით ისევ მოეკრება და თავის მოქნეულ წელს მოაზმანებს.

ავტობუსს წინ მახარობლებივით მიუძღვიან მსუბუქი მანქანები.

უცებ მეწინავე მანქანა გაჩერდა და წინ გადაგვიდგა. შესვენება გამოცხადდა. მასპინძლებმა გზის პირას, ხეების ჩრდილში სახელდახელო სუფრა გაშალეს. სწორედ აქ, ამ დაცემულ ველზე, მდგარა ოდესღაც ყირგიზეთის უძველესი დედაქალაქი ბალსაყური. ქარად და წვიმად ჩაქროლილ დროს, ქარიშხლად და სეტყვად მოვარდნილ ცეცხლსა და მახვილს ისე აღუგვია იგი, რომ ქალაქის ნაკვალევსაც კი ვეღარ ხედავს თვალი.

ნაქალაქარზე გაშლილ მწვანე სუფრაზე ისევ და ისევ შეისვა ძმობის სადღეგრძელო.

ბოომის ხეობაში შევედით.

გზამთებში მიდის.

ახლა კი საბოლოოდ მორიგდნენ და ერთმანეთს გადაკედდნენ გზა და მდინარე. და ორივე ისინი შეუღებოვნება რკინიგზას, ფრუნზედან ველიველ რომ წამოსულა, ამ ხეობას შემოაჭიზნებია და თავისი ფოლადის მუხლებით მძიმედ ასდევს აღმართს.

პორიზონტზე ქალაქის კონტურები შემოიჩაზა.

რბაჩიე რქმევია სახელგანთქმული ისიკ-კულის დასაწყისში მოშიშვლებულ ტაფობზე გაშენებულ ამ პატარა ქალაქს. მარტო სახელიც რომ ვითხრან ამ ქალაქისა, ისიც საკმარისია, რომ გაიკნო იგი. მეც მეტს არაფერს ვიტყვი. მამ თევზიც უშრავლოს და მეთევზეც!

ჩუ რბაჩიემდე აღარ მოგვეოლია. რკინიგზაც რბაჩიეში შეჩერდა. ვალაღებულმა შარავზამ მხრები გაიგანივრა.

შუა ზაფხულის ცხელი დღეა. სიცხე კი არ იგრძნობა. გრილი, ზომიერი ქარი ელამუნება არემარეს. რბაჩიეშივე შეგვეგება იგი. თურმე აქ წლის ყოველ დროს, დღის ყოველ საათს უბერავს ქარი, ზაფხულში გრილი და ზამთარში თბილი. იქნებ ირგვლივ აწვდილი უზარმაზარი მთები სუნთქავენ... ულანებს ეძახიან მთების ამ სუნთქვას. და შუა ზამთარშიც კი, როცა მთებში ყინვა ქვასაც კი ხეთქავს, ულანების წყალობით, გაუყინავი ისიკ-კული ზეცის გადაწმენდილი თვალივით კამკამებს ხოლმე.

ისიკ-კულის ტალღებს გემები მისერავენ. თევზის მოსავალს იღებენ მეთევზეები.

ტბის ვასწვრივ ვაწოლილ შარავზას მანქანების გახურებული თვლები მიამტვრიავენ.

ამ ტბის მეორე ბოლოში დგას მეორე ქალაქი — პრევეალსკი. იქ დაუდგია თავისი მარადიული ბინა სახელგანთქმულ რუს მოგზაურს პრევეალსკის. კონტინენტის დიდ გზებზე გაჭირილს იქ დაჰამებია თავისი სიცოცხ-

ლის დღე და თავისი დაუღამებელი სახელი ამ ქალაქისათვის დაუნათლებია.

თეთრი გზა აბრეშუმის სარკვეთს და უკმაყოფილო ტბის სილურჯესა და მიწის სიმწვანეს. მსუყე სიმწვანით ხასხასებს ისიკ-კულის მეორე ნაპირიც, ოცდაათიოდე კილომეტრის იქით რომ მოჩანს, და ამ სიმწვანეზე ქათქათა ღრუბლებივით მძიმედ მიიზღაზნებია ცხერის ფარები.

ისიკ-კულის ტბასთან მომდგარი უტყუო მთების მწვანე კალთებზე ყირგიზეთის საქონლის ერთი მეოთხედი იმწყემსება. აქ არის ამ მიუწვდომელ მწვერვალთა და აყვავებულ ველთა ქვეყნის ყველაზე სახელგანთქმული საძოვრები.

ისიკ-კულის ნაპირზე ქარს სალამურის ხმები ჩამოაქვს. იქნებ, ალაზნის ტალღებს მივდეც და ჩვენებური მეცხვარე ბიჭი აკენესებს სალამურს...

ბავშვობაში რამდენს ვოცნებობდი სალამურზე. ბოლოს უფროსმა ძმამ ამისრულა ოცნება — მივიდა სალამური. მე და სალამურმა დიდხანს ვაწვალეთ კიდევ ერთმანეთი. მაინც და მაინც ვერაფერი მესალამურე გამოვდექი, მაგრამ მუდამ მხიბლავდა მისი ხმის გაგონება, რაც ჩვენმა მუსიკოსებმა ასე ძლიერ მოგვანატრეს ამ ბოლო ზანებში.

ახლაც გავირონდე სალამურის ხმის გაგონებაზე.

მაგრამ აქ რა უნდა სალამურს?..

ეს ჩოორე ყოფილა — პირწავარდნილი ჩვენი სალამური.

გზაზე შეხვედრილ მწყემსს წუთით ვთხოვე ჩოორე და ჩაებერე.

ცხელი ტბის სიბრილე

მზეჩაღვრილ ლურჯ სივრცეს უზარმაზარი ნალივით დასქედია ყინულოვანი რკალი. და მის შუაში ჩავარდნილ ვეება ტაფობზე ზღვასავით მოდიდებულა ისიკ-კული, რაც ყირგიზულ ენაზე ცხელ ტბას ნიშნავს. ხელმარჯვნივ ხუთიათას ორასოთხმოცი მეტრის სიმაღლეზე ატყორცნილა ტერის ალა-

ტოო, ხელმარცხნივ — ეუნგეი ალა-ტოო, რომელიც თავის წინ მდგარ თანამოძმეს ხუთასიოდე კილომეტრით თუ ჩამორჩება სიმაღლეში. მწვერვალებს შორის ჩაწოლილი და მყინვარების ძუძუებს დაწაფებული, ზღვის დონიდან ათასრგაას მეტრზე აზიდული, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი მთის ტბა ისიკ-კული სიგრძით ორას კილომეტრამდე გადაჭიმულა და თავის ცისფერ ტალღებს ექვსიათასზე მეტ კვადრატულ კილომეტრზე აღივლივებს.

ლონიერია ამ მწვერვალების ძუძუ-მთებში და მწვერვალებში სათავეაღებული მრავალრიცხოვანი მდინარეები ახლადდაბადებულის გახარებული ყვირილით ეშვებიან თავქვე.

ორ საათზე მეტია, რაც ტბის პირ-პირ მივჭრით.

ტბის პირას მარტო ტალღის შრიალი თუ ისმის. იშვიათად დალანდავ ხეს. და ეს კანტიკუნტად მდგარი ქარდაკრული ხეებიც შეშინებულებივით აქნევენ ხელებს და გაქცევას ლამობენ. მოშიშვლებულა აქეთ-იქით აზიდული მთების კალთებიც.

— იმ ქედის პირიქითა მხარე ტიან-შანის სახელგანთქმული ნაძვების ტყე-რებით არის დაფარული, — ამბობს ყირგიზი პოეტი მუსა ჯანგაზიევი.

და აი უცებ აქოჩრილი სიმწვანის კუნძული აილანდა.

ეს ჩოლპონ-ატა — ისიკ-კულის ერთ-ერთი საუკეთესო კურორტი. მხოლოდდამხოლოდ ახალი შენობები, მხოლოდდამხოლოდ ახალგაზრდა ხეები.

შუე უკვე გადაიწვერა და აგრილდა. მთებში მალე ჩადის შუე.

„ცისფერი ისიკ-კული“ (ასე ჰქვია ერთ-ერთ სანატორიუმს) პლაჟზე ვართ და გაფაციცებით ვიხდით ტანსაცმელს.

ისიკ-კულში ბანაობს ყირგიზეთი, უკრაინა, ესტონეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო. სხვებმა სახვალაოდ გადადეს ისიკ-კულის ქაშნიკი. ცხელი ტბა საკმაოდ გრილი აღმოჩნდა. მაგრამ როგორი მსუბუქი და მოალერსე ტალღები აქვს! ქვიშას შემოუ-

ნახავს სიცხე. ღუმელივით შემოგვენთო გულამა გამსლავებულს და ჩაგვივარცხნა სიცივისგან სხურმანული თმა.

შორიდანვე მომესმა ვიღაც ქალის ხმა:

— ტარიელ!

გამიკვირდა, წამოვკეცი. ეგებ სხვა სახელი დაიძახეს და მე ასე მომესამეთქი.

სანატორიუმის ყვავილოვან ეზოში ვსეირნობთ. დღეს და ხვალ „ცისფერი ისიკ-კული“ სტუმრები ვართ. მეხუთე სართულზე საპაერო აბაზანების გრძელ დარბაზში დაგვიდგეს გასაშლელი საწოლები, მაგრამ ოთახში რა ვაგვიჩერებს. პოდა, ვსეირნობთ ეზო-ბაღში. ერთმა ახსაყალმა ნასბაი შემომთავაზა. პაწია აბია ნასბაი. აიღე და დაიღე ენის ქვეშ. ეგეც შენი პაპიროსი, ისიამოვნე თუ თამბაქოს მწვეველი ხარ.

ყირგიზი მასპინძლის თანხლებით საუბრით მივყვებით ხეივანს. ჩვენი თანხლები ყირგიზი ახალგაზრდა ქალს შეხვდა და ჩამოგვჩა. უცებ მე დამიძახა. მარტო მე. გაიცანი ეს ქალიშვილიო, ეშმაკური ღიმილით მითხრა.

ქალმაც ღიმილით გამომიწოდა ხელი. და მორცხვად, მაგრამ გარკვევით წარმოთქვა:

— თინათინ. მხოლოდ ყირგიზი თინათინი გახლავართ. — დამამატა.

მაშ ყურს წელანაც არ მოუტყუებივარ!

ჩემი მეგობარი პოეტის ოთარ ჭელიძის შეიდი წლის წინანდელი ნაამბობიც გამახსენდა. მწერალთა წინა ყრილობაზე ის იყო ყირგიზეთში და მასაც გაეგო ყირგიზი ტარიელების ამბავი.

— მაშ გამარჯობათ, ჩემო ყირგიზო ტარიელებო და თინათინებო!

ვარსკვლავებმა ისიკ-კულში დაიწყეს ცვენა. უამრავი ვარსკვლავით აივსო ცისფერი სივრცე.

გვიან ღამემდე შევყურებდი ვარსკვლავებს ცაზეც და ტბაზეც. გულშიც მთელ ღამეს ციმციმებდა რალაც ახალი და უჩვეულო ვარსკვლავი.

ჩვენება ნავმისადგომზე

როგორც იტყვიან, მზეს დავსწარი ადგომა და ისიკ-ელის ნაპირზე გამოვ-ვარდი.

ტბის ცისფერ სარკეში თრთის ხი-მინჯებზე შემდგარი და ტბაში შესუ-ლი ნავმისადგომი.

ჩემზე ადრე გამოსულა ეს მოხუცი კაცი. ნავმისადგომის კიდეზე ჩამოქდა-რა. ოლიმპიური სიმშვიდით ზის და თვალს არ აშორებს წყალში ჩავდებულ ანკესს. არც დასჭირდება ანკესის ძაფის ყურება, რომლის შერბევაც მე-თევზეს ანკესზე თევზის წამოგებას ამ-ცნობს ხოლმე. ფსკერზე სრულიად გარკვევით ჩანს ის ანკესიცი და მის ირგვლივ მოსრიადე თევზებიც.

ნავმისადგომის მოაჯირზე დაყრდნო-ბილი ჩავყურებ წყალს და თითქოს ჩამქსმის შრიალი ახლად ამოგორებუ-ლი მზის წყალში ვადამტყდარი პირ-ველი სხივებისა. ამ სხივებმა სულ სხვა ფერი მისცეს აქა-იქ ამოწვერილ წყალ-მცენარეებსა და ათასფერ კენჭებს. კუ-დიანი ნაპერწკლებივით დახტიან პაწა-წინა ლიფსიტები.

ლაპარაკი შემომესმა. შემოვბრუნდი. მოსკოველი კრიტიკოსი ლეონიდ ნოვი-ჩენკო და ყირგიზეთის მწერალთა კავ-შირის თავმჯდომარე ტოქტობოლოტ აბდუმომუნოვი შემომდგარიყვნენ ნავ-მისადგომზე. დილამშვიდობისა ვუსურ-ვეთ ერთმანეთს.

ტოქტობოლოტს საუბარში გაახსენ-და ჩემი გუშინდელი გაცივრება ქარ-თული სახელების გაგონებაზე.

— ყირგიზებს ტარიელებიც გვყავს, ავთანდილებიც და თინათინებიც. ამ სა-ხელებით თქვენმა რუსთაველმა მოგვი-ნათლა ახალგაზრდები. რუსთაველს კი ჩვენი პოეტი ალიყულ ოსმონოვი შე-უძღვა ყირგიზულ ოჯახებში.

და მერე ნაღვლიანად განაგრძო ტოქ-ტობოლოტმა:

— უდროოდ დავკარგეთ ალიყულ ოსმონოვი. ოცდაჩვიდმეტისა მოკვდა და რამდენი რამ მოასწრო, ორიგინა-

ლურ ნაწარმოებებს გარდა, თარგმა-ნების მთელი ტომები დაგვიტოვა... მან ყირგიზულად აამეტყველა... მან და შექსპირიც, მაგრამ ყველაზე მეტად „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანით გაითქ-ვა სახელი. სხვა რომ არაფერი გაეკე-თებინა, ამითაც დარჩებოდა უკვდავი.

სივრცეს ვაპყურებს და ისე ლაპარა-კობს ტოქტობოლოტ აბდუმომუნოვი.

— ყირგიზებმა თავიანთი ხალხური პოემებივით შეისისხლობორცეს „ვეფ-ხისტყაოსანი“. შოთას წინა თუბილის, მერე რამდენჯერმე გამოიცა ეს წიგნი. გამოსვლისთანავე იტაცებდნენ. ახლა ჩვენს მწყემსებს ვერც დაარწმუნებ, რომ ეს პოემა ყირგიზული არ არის.

ტოქტობოლოტმა ისიკ-ელის ვაღმა შეფენილი მთების კალთებისაკენ გაიშ-ვირა ხელი.

— აი იქ საძოვრებია. ყოველ ნაბიჯ-ზე შეხვდები მწყემსების ბინებს და რომელ მწყემსს ნახავ, რომ არ წაეკით-ხოს ან არ მოესმინოს „ვეფხისტყაოსა-ნი“, ბევრი ზებიარადაც გეტყვიან პოე-მას. იმ მწყემსებშიც არიან ტარიელე-ბი და ავთანდილები.

მოსაუბრეს უხმოდ ვუსმენდი და ისე მეგონა, რომ ჩვენს შორის იდგა ის კა-ციც, ალიყულ ოსმონოვი — უდროოდ წასული ამ ქვეყნიდან და სამუდამოდ დარჩენილი ამ ქვეყანაზე.

ოსმონოვს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმ-ნა რომ დაუმთავრებია, ლექსიც მიუძ-ღვნია უკვდავი შოთასათვის. ძალიან დამიანტერესა ამ ლექსმა, რომელიც ცოტა მოგვიანებით, ჩემი თხოვნით, თბილისში გამომიგზავნა ყირგიზმა პო-ეტმა სოვეტ ურმაშბეტოვმა.

და აი რაღაც საოცარი მოკრძალებით ვიწყებ ამ ლექსის თარგმნას.

შოთა რუსთაველს

დიხანს ვლელავდი
შენს სტრიქონთან ლეღვით მისული,
შენ ამბიანძრე
ეცხლი, სულში გადამალული,
შვილას წლის მერე გაახელი
და ყირგიზული.

ცხენი მოგვევარე, —
მოიარე ზემო შამქლი.

არ კი მიწყინო, დიდო შოთავ,
ეს საჩუქარი,
იქნებ მცირეა,
იქნებ კიდევ დაეაგვიანე, —
შენი უკვდავი პოეზია
სიბრძნე მშვექარი
ამ მაღალ მთებში
ყირვიზულად აახშიანე.

ელავს წესტანის
ღიმილიც და ცრემლიც ლამაზი,
და თინათინიც
კვლავ დილის შხის შესადარია,
შენი აეთანდილ
მზუოზს სიბრძნით და სიმამაცით,
ისევ ისეთი გმირი არის,
შენი ტარიელ.

აქაც ის მთები ახავერდდა,
შენ რომ დახატე,
ის მდინარენი,
ის ველები, ის ქალაქები,
და სიყვარული
ღმერთის ენით ისე დაღაღებს,
ვით განაფხულზე
წალკოტები და ქალაქები.

ისევ ის ტაჩვა,
გულის დელვა, სულის წეხილი
და თავდაღება
სიყვარულის უკვდავ თავდებად,
ძობის, სიმართლის ერთგულება,
წვა და დღილია,
მოყმის სიმღერა,
ვით ეამთა სელა რომ არ თავდება.

ამ შრომისათვის
მე მადლობა არ მინდა, არა,
(წაიკითხავდე ნეტავ თვითონ,
თვითონ ნახედე!).
მხოლოდ ერთს ვნატრობ მთელი გულით:
მამულში მარად
ენათოს ისეთი სიყვარული,
შენ რომ დახატე.

გზა გაღმა დაეშვა

და როცა ამ თარგმანის ბოლო სტრიქონს წერტილი დაეუსვი, მეგონა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანისათვის მადლობა ვუთხარია-მეთქი ალიყულ ოსმონოვს — მშვენიერ ყირვიზ პოეტს და აეთანდილს ქართული პოეზიისას.

...ისიკ-კულის პლაზეზე დამსვენებლები გამოიშალნენ. ჩვენებრისკენ ვეცდნენ მოვკარი თვალი — საბანარდესამხალდე-ბულიყენენ. მეც მათ შეეუერთდი და ისიკ-კულის ცისფერ წყალს მივეცი თავი.

მთებში ცრემლივით ჩავარდნილი რიცა გამახსენდა.

შავი ზღვის ტალღების ჩურჩულიც ჩამესმა.

მერე სილაზე წავწიქი და ყირვიზული მზით ავიწვი კანი.

გამგზავრების დროც დადგა.

კარგა ხანს მივეყვებოდით ისიკ-კულის გასწვრივ ლარივით გაჭიმულ შარას. მეთევზეთა ქალაქს გავცდით და გავყვით დაუსახლებელ ველებზე გატყორცნილ ვზას.

ვზა დაღმა დაეშვა.

ისიკ-კულისაკენ მგზავრობისას რამდენგანმე გადათეთრებულ ველებს მოვკარი თვალი.

თეთრი ყაყაჩოაო, თქვეს.

თეთრი ყაყაჩო?

საქართველოშიც და უკრაინაშიც, სომხეთშიც და აზერბაიჯანშიც, ჩრდილოეთ კავკასიაშიც და გერმანიის ველებზეც მინახავს ყაყაჩოები, მიწის სისხლივით მწვანე ველზე ამოღვრილები.

ამ თეთრ ყაყაჩოს თურმე სპეციალურად სთესავენ.

თეთრ ველზე ადამიანები ტრიალებენ. გავჩერდით, გამოველაპარაკეთ. დაყვავილების შემდეგ დარჩენილ კაკლისხელა ბურთულებს აღმასის მავგარი იარაღით სერავენ. მეორე დღეს ამ ნასერავეებიდან გამოსულ, უკვე შემხმარ რძეს ავროვებენ და სახელმწიფოს აბარებენ. ეს უძვირფასესი მასალა ყოფილა ფარმაცევტული მრეწველობისათვის.

შორს მოტოვებული თეთრი ყაყაჩოების ველზე წითელი ყაყაჩოებივით მოჩანან კოლმეურნე ქალების თავსაფრები.

ც ხ ე ნ ე ბ ი

ისიკ-კულიდან მომავლები ცხენების რემას გადაეყარეთ. რომელიღაც საბჭოთა მეურნეობის ცხენები იყვნენ, მეწველი ცხენები. მათ არავითარი სხვა დანიშნულება აღარა აქვთ. და იმათ რძეს დიდი სიამოვნებით შეექცევიან ყირგიზები, რომლებმაც მთელი თავიანთი სიცოცხლე განენის დღიდან დღემდე ცხენებზე გაატარეს. და ამ რძეს — კუმისს სთავაზობენ სტუმრებს, როგორც ქართველი კაცი თავის საუკეთესო ღვინოს სთავაზობს ხოლმე.

ამ ცხენების შემხედვარეს ერთი ჩემი უფროსი მეგობრის მიხეილ გომიშვილის ნაამბობი გამახსენდა.

...რომ იტყვიან, ვარსკვლავებს ეთამაშებაო, სწორედ ისეთი ცხენი ჰყავდა ერთ მოხვევს. ჩრდილოეთ კავკასიაში ეყიდა. მთის ბილიკებზე და დარიალის ვიწროებში ეღვასავით დააქროლებდა. მთელ ხევს ეპირა თვალი ამ ცხენზე.

ერთხელ თბილისიდან ერთი დიდი თანამდებობის კაცი ჩამოსულა ყაზბეგს. თვალს დაუკრავს მოხვევის ცხენისათვის და მოსვენება დაუკარგავს. მოხვევს მაშინვე მიადგნენ მოციქულები. ასე და ასეა საქმე და იმ დიდკაცს უნდა მიჰყიდოო ცხენი. მოხვევე შეცბა და გაოგნდა. ცეცხლივით ვაჟკაცმა სიკვდილივით იუცხოვა იმათი სიტყვა.

როგორც ცოლი არ გაიყიდება, ისე ცხენიც არ გაიყიდებაო.

დიდკაცმა მაინც არ გადათქვა თავისი სიტყვა. ცხენის პატრონთან ისევ მიბრუნდნენ მოციქულები. თუ კიდევ უარს იტყვი, ხევიც შორს დაგრიგება და ცხენსაც მუქთად წაიყვანენო. მე შენ გითხრა და გაუპირდებოდა იმ დიდკაცს ამის გაკეთება! ვაჟკაცს გული ყელში მიეგვინა და დათანხმდა. ოღონდაც დღეს ნუ წაიყვანთ და ხვალ თქვენი ხმალი და ჩემი კისერიო. ან მაგ დიდკაცს ფულს როგორ გამოვართმევო.

გვიანი შემოდგომა იყო. მთებში უკვე ჰყინებდა.

მოხვევამ შეკაზმა ჯერ კიდევ თავისი ცხენი. ამხედრდა, აღვირე, მოუშველია და მთის ბილიკებზე შეაგდო. ცხენმა მისი ჩამდგარი ცხენი. უცნაური აღზნებით შემოილიოვით დაჰკიოდა, ქარივით დააქროლებდა. რამდენიმე საათის შემდეგ უღმერთოდ გაოფლილი ცხენი მოაგდო და დააბა. თვითონ კი სახლში შევიდა და ვულაღმა დაემხო საწოლს.

ყინვამ ცხენს ზედვე მიაყინა ოფლი და გულღვიძლამდე ჩასწვდა თავისი მყიფე და მშანთავი ხელებით.

და როცა ცხენის წასაყვანად მოვიდნენ, მას უკვე ფეხზე დგომა აღარ შეეძლო. მოკვდა.

ამ ამბავმა მთიელთა ერთი ლეგენდა გამახსენა. ვაჟკაცს მტერმა ულამაზესი და უსაყვარლესი ცოლი მოსტაცა. და როცა მისი დახსნის ყოველგვარი იმედი გადაიწურა, ვაჟკაცმა გატაცებულ ცოლს არაგვეგდმიდან ტყვია დაჰკრა და მოკლა. მტერს არ გაატანა.

...ახლა კი ისიკ-კულის იალაღებზე სძოვენ მეწველი ცხენები.

ახლა კი სადღაც სხვა მეურნეობებში ცხენებს ზრდიან... მელიებისათვის. მათი ხორციტ გამოკვებილი და დაზრდილი მელიები, რომლებმაც ცხენებს ზღაპრებშიაც ვერაფერი შებედეს, თავიანთი აღსასრულის შემდეგ ლამაზმანების ბროლის კისრებს დააკვდებიან ხოლმე.

სადღაც წაფიკითხე ეს ამბავი. საზღვარგარეთის რომელიღაც ქვეყანაში ერთი მდიდარი კაცი ცხოვრობდა... მან სასტიკი ბრძოლა გამოუტყხადა მანქანებს და მონინდომა აღედგინა ცხენის ღირსება. სპეციალურად დაამზადებინა ეტლები, შეიძინა რჩეულ-რჩეული ცხენები და ასე დადიოდა დიდი ქალაქის ქუჩებში, ათასნაირი მანქანების ნიაღვარში. სიკვდილის წინ ერთ თავის უახლოეს ნათესავს სიტყვა ჩამოართვა, რომ ისიც მხოლოდ ცხენებით ივლიდა და მთელი თავისი ქონება მას უანდერძა. ამ სიტყვის კაცმა კი ბერიკაცის დაქრძალვის დღისთვისვე მოასწრო

ცხენებისა და ეტლების გაყიდვა, სწორედ მათში აღებული ფულით მანქანა იყიდა და თავისი კეთილისმყოფელი ამ მანქანითვე გააცილა უკანასკნელ გზაზე.

ჩენებ, ეს აღამიანის პირადი ახირება იყოს, მაგრამ დრომაც რომ იცის ახირება?... ვის გაამტყუნებ.

და ცხენებიც, გუშინ რომ აღამიანის მეგობრები და თანაშემწენი იყვნენ ყველგან და ყველაფერში, უკვე განზე გამდგარან თუ გადააყენეს. მათ ვხედავთ მხოლოდ ძეგლებადქცეულთ. ამ ატოტებულ თუ თვინიერად მდგარ მერნებზე შემომსხდარან იური დოლოგორუკიც და ვახტანგ გორგასალიც. და ბართაშვილის მერანიც მხოლოდ გონების თვალწინ ჩაიჭროლებს. საუკუნოვანი ეპოსის „მანასის“ სტროფებში-ლა დაქიხნივებენ სახელგანთქმული ყირგიზული არგამაკები.

და მე რატომღაც გულ- მტყივა, რომ ცხენები აღარ არიან ცხენები, რომ მათ მხოლოდ ზოოლოგიურ პარკებში-ლანახავენ ჩვენი შვილები.

მომიტევონ იპოდრომებისა და ცირკის ცხენებმა...

ჩუს ველზე შეხვედრილი ამუღარი

შარავგზაზე გაქროლილი მანქანების კულს ქარი სწეწავს.

ისევ ხმაურობს, ისევ იცინის, ისევ მღერის და მსჯელობს ჩვენი ავტობუსი.

ჩემს გვერდით გამხდარი ახალგაზრდა კაცი ზის — იბრაჰიმ იუსუფოვი — ყარაჯალბაკელი პოეტი, ყარაჯალბაკეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე.

— სულ პირველად აღექსანდრე ყაზბეგის მოთხრობები წაგიკითხე. მეოცნებე ყმაწვილი ელგუჯას შვევეარი ფიციით და ხევისბერის ლაშქარშიც ჩავეწერე. მერე ქართველი მწერლების სხვა ნაწარმოებებიც წაგიკითხე რუსულსა და უზბეკურ ენებზე. მაშინ ჩუმჩუმად

ჩემთვის ეწერდი ლექსებს. და მე მტკიცედ გადაწყვიტე: ახლანდელ მენახა ქვეყანა ჩემი საყვარელ — მწერლებსა და ნაწარმოებებისა. უკვე დაბეჭდილი რამდენიმე ლექსის ავტორმა, როგორც კი ხელთ დრო და საშუალება მოვიგდე, ვიყიდე თვითმფრინავის ბილეთი — ნუკუსი-ბაქო-თბილისი — და ყოველგვარი მივლინების ვარეშე თბილისში ჩამოვფრინდი. არავის ვიცნობდი. კითხვისკითხვით მწერალთა კავშირის შენობას მივადექი. კარებთან მდგომმა ვერა და ვერ შევხედე შესვლა. როგორც პოეტს, ჩემს ნუკუსშიც პლივს მიცნობდნენ და როგორ შემელოქართველი მწერლების სასახლის კარი. უკან გავბრუნდი და სასტუმროებს ჩამოვუარე. ვერსად ვერ მოვახერხე შესახლება. არსად არ აღმოჩნდა თავისუფალი ადგილი. ბოლოს, ისევ სასტუმრო „თბილისს“ მივადექი, მთელი ჩემი გამბედაობა მოვიყრიბე და სასტუმროს აღმინისტრატორს, შავულვაშებიან სიმბატიურ კაცს წარვუდექი:

— თქვენ ხომ ქართველი ხართ? — თანხმობის მიღების შემდეგ გაეაგრძელე. — მე ყარაჯალბაკელი ვახლავართ. ჩემი ბავშვობის ოცნება ავისრულე და თბილისის სანახავად ჩამოვედი. ეს ჩემი პირველი გამოსვლაა ჩემი სამშობლოს ფარგლებიდან. ჰოდა, ღამის გასათევს ვთხოვთ-მეთქი.

მოგეხსენება, საერთოდ, როგორი კუშტები და ოფიციალურები არიან ეს აღმინისტრატორები. იმ კაცს კი კეთილი ღიმილით გაებადრა სახე, თავისი დიდი დავთარი გადაშალა და თან მკითხა: რა მოხელე ბრძანდებიო, ყმაწვილო. ან იმას როგორ გაეუმხელდი ჩემს პოეტობას. სტუდენტი ვარ-მეთქი. ოღონე ჩაფიქრებულმა რამდენჯერმე თავიდან ბოლომდე ჩაათვალიერა თავისი დავთარი და მითხრა:

— ორიოდ საათით კიდევ გაისვირნე და მერე მოდი, ერთი ადგილი განთავისუფლდებო. რას ვიზამდი, უნდა განესვირნა — ვესტიბიულში უბინაო სტუმრებს ყველა სკამი დაეკავებინათ.

ორიოდე საათის მერე, უკვე თბილისის სრულფლებიანი ბინადარი ვავხდი. ხუთიოდე დღე დავრჩი. წუთითაც არ ჩამხრია მუხლი. ძირისძირობამდე შემოვიარე თბილისი, მცხეთაშიც ვავედი და ახლადდაბადებულ თბილისის ზღვაშიც ვიბანავე. უყიდველი არ ვეუშვი რუსულად გამოსული წიგნები ქართველი მწერლებისა. და ჩემი ამუდარიის პირებზე ისე დავბრუნდი, თითქოს თან რაიმე დიდი საგანძური წამელოს. წავიღე კიდევ. სულ ახალგაზრდაა ჩვენი ყარაქალპაკური ლიტერატურა და, საწყენად არ დავგრძედა, არცერთი თარგმანი არ გექონდა ქართული ლიტერატურიდან. ჰოდა, დავუქეი და ვთარგმნე ილია და აკაკი, გიორგი ლეონიძე და ირაკლი აბაშიძე. პროზასაც გადავწვი — ყაზბეგის მოთხრობებიც მივეცი ჩვენს მკითხველს. ახლა ყარაქალპაკურ ენაზე „ვეფხისტყაოსანიც“ ითარგმნება.

ყურადღებით ვუსმენდი იბრაჰიმს — ამ გულლია და გულალა კაცს. ჩემის მხრივ სულ გადავქევე ჩემი მეხსიერება და საპასუხო ვერაფერი ვუპოვნე: ქართულ ენაზე ვაქვს თუ არა ყარაქალპაკური ლიტერატურის რაიმე ნაწარმოები?.. თითქოს მიმიხვდა იბრაჰიმი:

— ნუკუსში მესტუმრე, ჩვენი ამუდარია ინახულე, იქაც ნახავ ბევრ საინტერესოს. — და მერე ხუმრობით დამატა, — შენ ჩვენთვის პირდაპირ კოლუმბი იქნები. ყარაქალპაკეთში ხომ ვერ არცერთი ქართველი მწერალი არ ყოფილა. არ დავაფრუყდეს, ჩემი მანქანაც მაქვს, ჩავსვამ და მთელ ჩვენს შარეს შემოგატარებ.

თანხმობა მივეცი.
— მხოლოდ იცოდე, მე არ დავასწროო სტუმრობა, — ჩაიციხა და ავი დამასწროო კიდევ. ერთი თვის შემდეგ ტელეფონის ყურმილში მესმის:

— იბრაჰიმი ვარ, გამარჯობა!
ის და ახალგაზრდა პოეტი შაუდირბანი სეითოვი შემოქმედებითი მივლინებით ჩამოსულიყვნენ. ორიოდე დღეს

დარჩნენ თბილისში, მერე გულანანდის აიკიდეს და მთელი საქართველოში მოიარეს.

და, ალბათ, ახლა, როცა მე ვახვავრობ შუა აზიის რესპუბლიკებში დაწყებული წიგნის წერას, ისინი საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებენ თავიანთ მკითხველს.

მე უკვე ისიც-კულიდან ფრუნზეში მიმავალ ვზას გადავუხვიე. ჩვენი ავტობუსი კი ჯერ ისევ იმ გზაზე მიქრის. გზაზე გვხვდება მწვანე ბაღები და ყვითელი ყანები, ახმაურებული სოფლები და დადუმებული სასაფლაოები. საოცარია — ერთი საფლავის ძეგლზე გვერდიგვერდ მოუთავსებიათ თუნუქისაგან გამოჭრილი თეთრი ნახევარმთვარეცა და წითელი ვარსკვლავიც.

თიხითაა ნაშენი სახლები, თიხის კედლებითაა შემოღობილი ეზოები, თიხისაა საფლავებზე დადგმული ძეგლები. თიხა აქ ერთ-ერთი მთავარი საშენი მასალა ყოფილა. და განა მარტო აქ? მიწისძვრისაგან დანგრეული რამდენი ალიზის სახლი ვნახე ტაშვენტში. ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში თიხას რკინა-ბეტონი და აგური შებრძოლებია და განუდევნია იგი. სოფლებში კი ჯერჯერობით ისევ თიხა ბატონობს. და მერე თიხის როგორი ჩუქურთმებია გამოყვანილი!

სოფლებში, გზის პირას, ბავშვები და მოხუცი ქალები დგანან. ვედროობით ჰყიდიან ადრეულ ვაშლსა და ქარვასავით ჭერამს.

ფრუნზესკენ მიქვრით და ჩუც სირბილით მოგვდევს. უცებ ცაზე თქარათქურით მოცივდნენ საავდრო ღრუბლები. ყაჩაღივით მოვარდა წვიმაც და ავტობუსის ფანჯრები ჩავვაკეტინა. მალევე გადაიღარა.

ფრუნზეც გამოჩნდა.

ჩვენ არტისტები ვართ

მზე უკვე დასავალზე იყო. ნაწვიმარ ფრუნზეზე საზეიმო თალივით შეკრულიყო ცისარტყელის რკალი. ამ თალში

შევერიალდით და ქალაქი შუაზე გადაეკვეთეთ.

დამავიწყდა ადრე მეთქვა: ქალაქგარეთ, ფრუნზეს სამხრეთით ვიყავით დაბინავებულნი. ერთსართულიანი დიდი შენობა შიგ შუა ბაღნარში იდგა. ირგვლივ ალვის ხეებივით ტანწერწერტა მუხნარი, ხეხილის დახუნძლული ბაღები, ვაზნარები და ყვავილნარები ერთჯა. სიმწვანე ლამის ოთახებშიც შემოჭრილიყო და ღია ფანჯრებში ძალუმიად სუნთქავდა.

შემთხვევით ისე მოხდა, რომ ვახშმის შემდეგ ჩვენი საგანის ყველაზე დიდ ოთახში თითქმის ყველა რესპუბლიკამ მოიყარა თავი. ტუვის წარმომადგენელმა აიხირა: ყველა ჩვენთაგანმა თავის ენაზე თავისი ხალხის ყველაზე საყვარელი და გავრცელებული სიმღერა უნდა თქვასო. ამ ბერიკაცს კონიაის საკმაო დოზა მიეღო და საოცრად მზიარულ ხასიათზე იყო, თვითონვე გახსნა ეს თავისებური საღამო. პანტომიმით დაიწყო. ტუვის ხორშაკიან ფელზე მონღოლური ცხენით მოქროდა. გზად ქალიშვილს გადაეყარა და სიმღერით შეპლალადა თავისი სიყვარული. ამღერდა ტუველი. საოცარი ხორხისმიერი ხმები აღმოხდა „მხედარს“. მე ვერ არსად მომისმენია ასეთი სიმღერა. ვუსმენდი და მეშინოდა, ზმის ძაფები არ დასწყვეტოდა. მქუხარე ტაშით დავაჯილდოვეთ.

ესტაფეტა ცალხელა უკრაინელმა ბორისლავ სტეპანიუკმა აიტაცა. (სამამულო ომში მარჯვენადატოვებულ პოეტს დღეს საღამოს ვახშმობისას აღფენიშნეთ დაბადების დღე). სეველიანი და გულში ჩამწვდომი იყო ყარაქალპაკელის სიმღერა. ესტონელმა ბალტიის მშვიდი და ლურჯი ტალღების შრიალი მოგვასმენინა. თურქმენი მწერალი მსახიობიც ყოფილა და ამა რალა ვაუჭირდებოდა. რიგი ჩემზე მოდგა. მოდი და უარი თქვი... მაგრამ რა მექნა ჩემი ზმის პატრონს. საღამოს რეპერტუარში სიახლე შევიტანე — ქართული ხალხური ლექსი წარმოვთქვი. ამ სიახლემ სხვა

„უხმო“ მეგობრებსაც უშველა. ზოგმა ცეკვითაც გაგვაცნო თეატრი — ხალხი. მღერის ბელორუსია, მტყუალეებს ლიტვა, ცეკვავს მოლდავეთი.

გვიან დავიშალენით. ჩემს პატარა ოთახს მივაშურე და საწოლზე წამოწოლილმა რადიო ჩავრთე.

შუსაკლაველი დიალოგი

მოსკოვი უკანასკნელ ცნობებს ვადმოსცემდა.

— ამერიკული თვითმფრინავები თავს დაესხნენ ჰანოისს...

ჩემი თაობის ადამიანებმა განსაკუთრებით კარგად იციან, თუ რას ნიშნავს ეს საში სიტყვა: თვითმფრინავები თავს დაესხნენ... ეს სიტყვები ზედ გულზე დამეცა ცხელ და მძიმე ბომბებად.

რადიომ დამემშვიდობისაც თქვა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დავიძინე.

მე ასე ახლოს არასოდეს ვყოფილვარ ვიეტნამთან. მანძილითაც ახლოსა ვარ. აქედან, ყირგიზეთიდან, მხოლოდ ჩინეთი-ლა უნდა ვადაიარო და ვიეტნამში ამოჰყოფ თავს. ფიქრით აყუევდი ამ გზას და ვიეტნამის ჭუნგლებში შევედი. თავზე ფრთების სავსავით გადამიარა თვითმფრინავმა. მიწა საზენიტო ქვემეხთან ერთად ალაპარაკდა. ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავი ქვასავით დაეშვა დაბლა.

ჩემს გვერდით აფეთქებული თვითმფრინავიდან გადმოშტარი ამერიკელი მფრინავი დგას.

ურცხვად შემყურებს ტეხასელი თუ ორლენელი.

მეცნობა საიდანაც.

იქნებ, უმცროსი ძმა ან შვილია ცხრაასორმოცდახუთში გერმანიაში შეხვედრილი ჯარისკაცისა, იქნებ, თვითონ ისიც არის... ჩვენ მაშინ ერთად ვიბრძოდით, ჩვენ მაშინ ომგადასდილებმა მაგრად ჩავიკარით ერთმანეთი გულში და კაცობრიობის პირისხელიან მტერზე გამარჯვება მივულოცეთ ერთმანეთს. მე უფრო მძიმე გზა მქონდა ვანელილი

და მუხლსა და მარჯვენას მიჭებდა იგი. მასთან გერმანელს ისეთი გააფთრებით არ უბრძოლია, როგორც ჩემთან. მან უფრო იოლად ვაიარა გზა ლამანშიდან გერმანიის გულამდე. მას არ გაუვლია სტალინგრადიდან ელბამდე მიმავალი გზა, ჩემს მიერ განვლილი გზა.

და იგი ურცხვად შემყურებს თვალ-ში.

— რა გინდოდა აქ, რამ მოგიყვანა?

— თავისუფლება უნდა მოვუტანო ამ ჩაგრულ ხალხს.

— რას ეძახი თავისუფლებას?

— თავისუფლებას? — რეზინი გაღვე-ჭა და გადააფურთხა, — ნუთუ არ იცი, რა არის თავისუფლება.

— ამ ნანგრევებს ორიოდე წუთის წინ სკოლა ერქვა, ნანგრევებში დაყო-ლილ ამ ბავშვებს — მოწაფეები. აგერ რამდენიმეს ნანგრევებიდან თითაწეუ-ლი ხელი მოუჩანს. გაკვეთილის სა-ბასუხოდ აწეული თითი ახლა შენს-კენაა გამოშვებული და ყვირის: შენ ბავშვების მკვლელი ხარ, ჯონ! გზის პი-რას დაცემულ იმ თავგაჩხილ ახალგაზ-რდა ქალს, მოდუნებულ ხელებში ძუ-ძუთა ბავშვი რომ გასციებია, დედა ერქვა. თვალები ღია დარჩენია. ის თვა-ლები შენ შემოგყურებენ და ყვირიან: შენ დედების მკვლელი ხარ, ჯონ! ეს არის შენი მოტანილი თავისუფლება?

— რას იზამ, ბომბს თვალები არა აქვს.

— შენ გაქვს თვალები, ჯონ.

— მე ჯარისკაცი ვარ.

— შენ მკვლელი ხარ, ჯონ!

— გული ძუ გაქვს, ჯონ?

— გული? გული ჯარისკაცს არ უნდა ჰქონდეს.

— სინდისი?

— სინდისი? რაში მჭირდება სინდი-სი. მე თავისუფალი ვარ ამ ზედმეტი ქიშკრისაგან.

— ჰიტლერი ამბობდა ასე, ჯონ.

პასუხს არ მაძლევს და კვლავ ურცხ-ვად შემომყურებს.

— და იმას ბოლოს შიშის გრძნობა

მინც აღმოჩნდა, და ამ შიშმა თავი მოაკვლევინა ჭურღმულეებზე ველამ-ლულს.

— მე შიშობარა არა ვარ!

— მაშ დღეები მაგ კედლის ნანგრე-ვთან. უნდა დაგხვრიტო, ჯონ!

— უნდა დამხვრიტო? რა დავაშავე?

— რატომ აკანკალდი, ჯონ. რატომ დაგვლო ნაცრისფერი? შენ ხომ მამა-ცი ხარ!

— მე ჯერ ახალგაზრდა ვარ, სი-ცოცხლით სავსე. რათ უნდა მოგვედ-ესე უდროოდ?

— რატომ უნდა მომკვდარიყო ის ბავშვი?

— ის ვიეტნამელია

— და ის ადამიანია!

— მე ამერიკელი ვარ!

— შენ ამერიკელი ხარ და არა ხარ ადამიანი. შენ ამერიკელი ხარ და მოპ-კალი საკუთარი პრეზიდენტი. შენ შე-ვიძლია მოჰკლა საკუთარი დედაც.

ცა ისევ გადასერეს თვითმფრინა-ვებმა. ბომბები ღმუილით დაეშენენ დაბლა.

მიწა ისევ ალაპარაკდა ქვემეხთა ენით.

— თავჩაღუნული ტყვე მფრინავი ჭუნ-გ-ლებში მიაბიჭებს და უკვე თვალებში შიშამდგარი შეპყურებს ვიეტნამელ ბადრავს.

— შენ იოლ ომსა ხარ მიჩვეული. ჯონ. შენ ჯერ კიდევ არ იცი, რა არის ნამდვილი ომი. შენს მისისიპზე, შენს პოზე, შენს ტეხასში, შენს ცათამბჭე-ნებში ჯერ კიდევ არ ჩამოვარდნილა ბომბი, ჯერ კიდევ არ გადაუვლია ომს თავისი ჯოჯოხეთური მუხლებით. გაფ-რთხილდი, ჯონ. ბოლომდე ნუ გაიგებ, რა არის ომი. შენ ჯერ არ იცი, რა არის ომი. მე ის კარგად ვიცი, ძალიან კარ-გად და ამიტომ გაფრთხილებ, ჯონ..

პასუხი აღარ მიმიღია.

ბოლომით და აღშფოთებით აღსავსე თვალებს ვხუჭავ და გულზე მეშვება. იქ, შორს, პენტაგონის მახლობლად ვხედავ სხვა ამერიკელს. და ის ჭაბუცი,

ამ საზიზღარი ომისადმი პროტესტის ნიშნად, ჯარისკაცის ფორმას იხდის და ნაყურ-ნაყურ აქცევს სამხედრო ბილეთს. მე კი ისევ წითელი მდინარის ნა-

პირებს მივდევი. თვალებს მწესუმწირის მსგავსი ვიეტნამური ქუცდოფი ვიჭრდილებ და გავყურებ ვიეტნამს, მშებრძოლსა და დაუჩოქებელს.

2. ჯმონზე გადავდივართ

ისევ გზავი

თბილისიდან ნუკუსამდე უმოკლესი გზა ბაქოს გავლით მიდის. მე კი ტაშკენტის გავლით ვარჩიე და ორმაგად, თუ უფრო მეტად არა, გავიგრძელე გზა. ერთი სული მქონდა, კიდევ მენახა ტაშკენტა, ამასწინანდელი შიწისძვრების დროს რომ გავიცანი და შევიყვარე.

გათენებისას ჩავფრინდი ტაშკენტში, ღრმად ჩავისუნთქე მისი ოდნავ გაგრილებული მტვერი და ისევ პაერს მივეცი თავი.

ვერცხლისფერმა ლაინერმა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ აიღო გეზი. სარკმელთან მიმჯდარი ხარბად დავყურებ ახალ სივრცეებს. მე შენ გითხრა და ღრუბლები შემიშლიდნენ ხელს! თურმე გვიან შემოდგომაშივე ღრუბლის ნასახსაც ვერ დაინახავ.

მაღე აელვარდა უხარმზარი ვერცხლისფერი სარტყელი. მეგონა, რომ რაც კი დედამიწაზე ვერცხლი ყოფილა, ერთთავად გაუღვნიათ და ამ უყიდევანო ველებზე დაუღვრიათ-მეთქი. იმისაგან, როგორც ვეება სარკისაგან, არეკლილი მზის სხივები ისე მჭრიდა თვალს, თითქოს ერთისა კი არა, ათობდე მზისათვის მიეშვირნათ იგი — ამუღარია — მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მდინარე.

თვითმფრინავმა დამშვება დაიწყო და მიწაზე არც თუ დიდი ქალაქი შემოიხანჯა.

სიმწვანეში ჩაძირულა ნუკუსი — ყარაქალპაკეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქი. თითქოს ნაცრისფერი ტრიალი ველებიდან უდაბნოს ზორშაყისაგან დამფრთხალ და

შეშინებულ ხეებს ამ ქალაქისათვის შეუფარებიათ თავი.

თვითმფრინავი დაჯდა და ძლივს გამართა მხრები. მართლაც და ხელისგულის ოდენა აეროდრომაზე.

მიწაზე ფეხის დადგმა ძლივს მოვასწარი, რომ ისევ თვითმფრინავში ამომაციოფინეს თავი. პატარა ძველებური თვითმფრინავი იყო. ფრონტიდან ჩემთვის კარგად ცნობილ „უ-2“-ს ჰგავდა, ორსართულად ფრთებმდგმულს. თავისი პატარა სხეულისათვის შეუფერებელი საოცარი ქოთქოთით ძლივს აიზიდა პაერში და ამუღარის პირებს შეუყვავ.

ღღეს უკვე მესამე თვითმფრინავი გამოვიცვალე. სანიათასზე მეტი კილომეტრი გავიარე და კილომეტრთა ახალ ასეულებს შევექვიდე.

და უღახრომი გავდივართ

— დახედე, მართლაც ღმერთსა ჰგავს ეს დალოცვილი! — თვითმფრინავის სარკმლის მინაზე მიკრულს ფერღში იდაყუს მორტყამს ყაზახი პოეტი მუკაგალ მაკათაევი და დაბლა, ამუღარისაკენ მახედებს. თითქოს მე ასტრონომი ვყოფილიყავი, რომელიღაც ახალი ვარსკვლავის აღმოსაჩენად ცაში თვალაპყრობილი, და ამ კეთილისმსურველმა მიწაზე დამიპირა დაბრუნება. მეც ხომ ამუღარიაზე ვიყავი. თვალშიმტერებულნი.

თავებით ავსებული პაწია სარკმელებიდან ახლა ჩვენი სამზერი და სალოცავი მხოლოდ ეს „ღმერთია“.

ცოტანი ვართ თვითმფრინავში, სულ რვა კაცი. ყაზახი, თურქმენი, ყირგიზი, აზერბაიჯანელი პოეტები, ყარაქალპაკეთის მწერალთა კავშირის თავმჯდო-

მარე იბრაგიმ იუსუფოვი — ჩვენი მასპინძელი და მე.

ვილაცამ იხუმრა: ამდენ მაჰმადიანში ერთი ქრისტიანი ძლივს გამოგვეჩივრება და გავუფრთხილდეთო. ერთ უჩებრულობაში კი ვაყენებ მათ — ყველა მათგანს შეუძლია თავის შშობლიურ ენაზე ილაპარაკოს და ერთმანეთს შესანიშნავად გაუგოს ყველაფერი. წამოიწყებენ ერთმანეთის ახლო მონათესავე და ერთმანეთისათვის გასაგებ ენებზე ლაპარაკს და უცებ გაახსენდებთ, რომ მართო მე ერთს არ მესმის მათი ლაპარაკი. მაშინვე ბოდიშს მოიხდიან და რუსულ ენაზე გადადიან. მე რაღად ჩამოვჩე, მეც ებოდიშობ მათი ენის უცოდინრობის გამო, და ასე მეორდება დაუსრულებელივ.

თითქმის ერთ საათს ვიფრინეთ და ზედ ამუდარიის ნაპირზე, პირდაპირ ველზე დაჯდა ჩვენი ურმისტოლა თვითმფრინავი.

ამუდარიის რაიონში მოვფრინდით.

ცეკვა-სიმღერითა და დუტარის დაკვრით შეგვგზდნენ ამუდარიელები.

მცირე ხანს დაყავით რაიონულ ცენტრში — მანგიტში. მალე მანქანებში ჩავსხედით და უდაბნოში გავედით.

ბ უ ჯ უ მ ი

უდაბნოს მიყვებით.

მიწა ისეა ხორშაკის ცხელი უთოთი მოსწორებული და გაუთოვებული, რომ საგულდაგულოდ მოასფალტებულ გზებსაც შეშურდებოდათ. ასე სარკესავით ვაპრიალებული და გატკეცილი კალოები თუ მინახავს ჩემს ბავშვობაში. მაგრამ ამ კომფორტს ხშირხშირად საშინელი ოღრო-ჩოლორები სცვლიან, იმავე ხორშაკის გეარვარებული გუთნისაგან ახორხილები. მანქანა ისე ხტის, ინჯღრევა, ირყევა და ხრიალებს რომ მგონია, საცაა შიგნეული ვადმოსცივება და ერთიანად ჩაიშლება-მეთქი. სექტემბრის მიმცხრალ მზეზე სთვლემენ დიუნები — ქვიშისა და სილის წაგრძელებული გორაკები, უზარმაზარ ლომებს რომ ჰგვანან, ერთმანეთის

გვერდ-გვერდ წამოწოლილთა და წინათათებზე თავჩამოდებულთა შორის აქა-იქ მცენარეთა. უნაყოფო ჩალისფერი ღერები ამოჩრილა. ნეტავ ოდესმე მაინც თუ აქვთ ხოლმე მოშწვანო ფერი...

პორიზონტზე, იქ, სადაც ერთმანეთს უერთდება ნაცრისფერი მიწა და მონაცრისფერო ცა, უზარმაზარი მწვანე ბურთი გამოისახა. თითქოს ვილაცა მოაგორებდა ჩვენსკენ, თითქოს ვილაცას დიდი ოსტატობით ბურთისათვის დაეშვავსებინა ეს უზარმაზარი მწვანე მასა და არც თუ მალალ საბრჭენზე შემოედგა.

მეჩვენებოდა, რომ ჩვენ ვიდექით, ის ბურთი ჩვენსკენ მოჰქროდა.

და აი, უკვე შევეუპირისპირდით ამ საოცარ ბურთს.

გუჯუმი რქმევიც ამ ხეს — მუქი მწვანე ფოთლების ამ უზარმაზარ მასას.

იბრაგიმ იუსუფოვი მიყვება:

უდაბნოში ბაჯალლო ოქროდ ღირს ჩრდილი.

უდაბნოების ერთადერთი სიმდიდრეა გუჯუმი — ჩრდილუხვი და სიმწვანეუხვი. და მერე რა ფასი ექნებოდა მას, როცა ამ მიწაზე ჯერ კიდევ არ ბინადრობდნენ სხვა ხეები. ისინი ძალიან გვიან მოვიდნენ, ჩვენს წლებში მოვიდნენ და ისიც იქ, სადაც არხებში გადაგდებულმა ამუდარიის წყალმა გაიარა.

ჰოდა, როცა ყარაქალპაკელს ვაქიშვილი შეეძინებოდა, იგი საცხოვრებლად ცოტად თუ ბევრად ხელსაყრელ ადგილს აირჩევდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, გუჯუმის ნერგს იშოვნოდა და იმ ადგილას დარგავდა.

იზრდებოდა გუჯუმი და იზრდებოდა ვაიცი.

ვაიცი ვაქაცდებოდა და გუჯუმიც ვაქაცდებოდა.

და როცა ვაქაცცი საქორწინედ მოიყრებოდა, მამა იმ გუჯუმის ჩრდილში ჩაუდგამდა ალიზის ქოხს ან იურტას, დააქორწინებდა და დაასახლებდა.

ასე მრავლდებოდნენ ოჯახებიც და გუჯუმებიც.

გუჯუმის ჩრდილში ასე ინთებოდა ახალი კერიის ცეცხლი.

გუჯუმის ჩრდილი მოვიჩრდილე და ამქვეყნიური შუქი დავინახე.

დიდი აღამიანებიც ასე რგავენ და ზრდიან სიბრძნის ზეს ხალხის ცხოვრებაში, რომელიც ნამდვილად უდაბნოს დაემსგავსებოდა, ეს სიბრძნე რომ არ ყოფილიყო.

ლ ე ბ ე ნ დ ა

— შენ უზბეკი ხარ, — უთხრა უზბეკმა ყარაჯალბაქელს, — რა ვუყოთ, რომ ოდესღაც შავი ქუდები გვხურათ და ყარაჯალბაქელები დაგერქვათ. ენა ერთი გვაქვს, ვერც გაარჩევ, სად იწყება უზბეკური და სად თავდება ყარაჯალბაქური.

საუბარში თურქმენი ჩაერია და თქვა:

— არა, ძმაო, მართალი თუ გინდა, შენ თურქმენი ხარ. განა ჩვენი ენა კი დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

— მე ძმებო, ყარაჯალბაქელი ვარ, — ერთსაც და მეორესაც გაუჭიუტდა ჭეონის პირებზე გაზრდილ ჭიგიტს.

იდავეს, იკამათეს და ვერ მორიგდნენ.

— ლენინთან წავიდეთ. იმან ყველაფერი იცის, ის მოგვარივებს, — თქვა ყარაჯალბაქელმა.

— წავიდეთ, — მამინევე დაეთანხმა უზბეკს.

— წავიდეთ! — მხარი აუბა თურქმენმაც.

სამივენი მივიდნენ ლენინთან.

ყარაჯალბაქელს თან დუტარა ჰქონდა, უიშისოდ არც არსად დადიოდა. ეს ჩვენი ეროვნული საკრავიაო, უთხრა ლენინს.

ლენინმა სამივეს ყურადღებით მოუსმინა. დაფიქრდა. მერე უცებ ყარაჯალბაქელს დუტარა გამოართვა და უზბეკს გაუწოდა, დაუჯარიო. უზბეკმა ბევრი ატრიალა და ვერ იქნა და ვერ ააბმინა.

ლენინმა ახლა თურქმენს გადასცა

დუტარა. რამდენს არ ეცადა, მაგრამ არც იმას გამოუვიდა რაღაც.

— აბა ახლა შენ აიღე დუტარი, — უთხრა ლენინმა ყარაჯალბაქელს.

ყარაჯალბაქელმა თითები ჩამოჰკრა დუტარის სიმებს, და ჰაერი გულში ჩამწვდომმა მულოდებმა შეარხიეს, უკრავდა ყარაჯალბაქელი, უკრავდა საოცრად ლამაზად და ტკბილზმოვნად.

ლენინს სახეზე სიამოვნების ღიმილმა გადაურბინა, თვალები მოჭუტა და მთელი არსებით მიეცა მუსიკას.

— ყარაჯალბაქელო, შენ ნამდვილად ყარაჯალბაქელი ხარ, იცოცხლე და გაიხარე ამ შენს ძმებთან, შენს მეზობლებთან ერთადო, — ასე თქვა ლენინმა.

გულდაჭერებულები გამოზრუნდნენ ლენინის სტუმრები.

ეს ლეგენდა ყარაჯალბაქეთში, იმ გუჯუმის ჩრდილში მიაშხეს. ხალხს შეუახზავს და ხალხშივე დადის ლენინის დიდი აღამიანობისა და სიმღერის მაღიღებელი ეს მშვენიერი ზქმულება.

აიხანის სურბა

უდაბნოს ისე უცებ გადაბა ბამბით გადაქათქათებული ველები, რომ ვერც კი გავიგე, სად გადიოდა მათი საზღვარი.

გადაპენტილი ბამბის თეთრ ზღვაში სიმწვანის მეჩეჩი ამოტივტივდა. ტანაყრილი დეკორაციული ხეები და ხეხილები შემორტყმოდნენ ირგვლივ ერთსართულიან დიდ შენობას — ამუდარიის რაიონის კრუჰსკაიას სახელობის კოლმეურნეობის კანტორას.

მასპინძლები ეზოში გამოგვეგებნენ.

ამუდარიის რაიონმასკომის თავმჯდომარე იოლდამ ფაიზულაევი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გვაცნობს.

შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი უცემივებს ორმოციოდე წლის ჭალს. სახეზე მზე მოჰკიდებია და თვალეზშიც ვარსკვლავები უკიაფებს. ეტყობა, დინჯია და საქმიანი, აღამიანებთან ღბილი და საქმესთან ჭიუტი.

ოთხი წელია, რაც ეს ჭალი — აიხან

ქმალოვი ამ კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს. თავისი ცხოვრების გზა ტრაქტორისტობით დაუწყია ამავე კოლმეურნეობაში. მისგან ვატეხილ ყამირზე, ამუღარიის წყალდაღულულ გელებზე ხეხილის ბაღები შრიალებენ და ბამბისა და ბოსტნეულის გორები დგება.

კანტორის დიდ დარბაზში ვსხედვართ. გრძელ მაგიდაზე შემოწყობილ ლარნაკებში ყვაფილები ციმციმებენ. ჰაერში ნაწვავიულის დამატარებელი სურნელება ტრიალებს. ამ რეჰანის მსგავს, იასამნისმაგვარ ყვაფილებიან მცენარეს მწვანილადაც იყენებენ და ყვაფილადაც.

გულთბილი საუბარი ვაიბა, და ამ საუბარში მაგიდაზე მალე მომინანქრული ფილები და ჩაიდნები გაჩნდნენ. ჩაის სმით დაიწყო ვაშამი. თურმე აქ სადლილიცა და, რა თქმა უნდა, საუზმეც ჩაის და მხოლოდ მწვანე ჩაის სმით იწყება და ჩაის სმითვე მთავრდება.

სუფრას თანდათან ხილიც შემოესია. მთელი თეფში არ ყოფნის ყურძნის ერთ მტევანს. შევიძლია ჩაკბიჩო და ისე სქამო ცერისაიშხო და სიგრძე მარცვალი.

ვერც კი შევაძინე, ხილს როგორ შემოაპარეს კონიაკის ბოთლები.

აიშხანა დაიწყო თამალობა.

მზე უკვე დაცხრა და ჰორიზონტს იქით ჩაყურყუმალავდა.

სასწაულებრივი წყალი

იქაც კი, სადაც გვალვას არ შეუწყუხებია მიწა, კარგად იციან სიკეთე წყლისა. მაგრამ მხოლოდ აქ, ამ უდაბნოებში შეეძლოთ ეთქვათ: წყალი — სიცოცხლის წყარო.

ნამდვილად სიცოცხლის წყაროდ გაჩენილა ამუღარია.

ამუღარია!

მოალერსებით ხან ამუს ეძახიან და ხან ღარიად მოიხსენებენ ხოლმე.

და ამ სიტყვებს ისე წარმოსთქვამენ, როგორც ყველაზე საყვარელი და ყვე-

ლაზე უძვირფასესი ადამიანის სახელს. ძველად აქაურები ჯეიბუნსაც ქმანდნენ.

ჩვენში კი ჯეონი ერქვა.

„მე რა შენგან ჰირნი მოვიგონი, ცეცხლი ფერხითი ტვინამდის გამიხდების და თვალთა ჯეონი მდინდების“, — ვისისადმი თქმული რამინის სიტყვები მაგონდება.

მუდამ მღვრიეა, თითქმის ტალახიანია პამირის მთებიდან სადავემოშვებული, ხელისგულივით მოსწორებულ ველებზეც ფიცხი და დაუდგრომელი ჯეონი.

დაუმორჩილებელი ყოფილა ოდითგანვე.

დღემდის ვერ დაუდგამთ მისთვის უნაგირი — ხიდი. მხოლოდ ბარჯები-თა და ნაგებით გადად-გადმოდიან ამ უზარმაზარი სივანის მდინარეზე.

და ამავე დროს საოცრად მოყვარული სურპრიზებისა.

მიაშხეს.

ბარჯით ტრაქტორი უნდა გადაეტანათ ჯეონის ერთი ნაპირიდან მეორეზე. ტრაქტორი მდინარის ნაპირს მიადგა და, ის-ის იყო, ბარჯაზე უნდა აევორებინა, მუხლუხოები რომ უცებ გაქრა. ჯეონს მოებრიაანა და მზარი იცვალა. სწორედ ტრაქტორის ქვეშ შეაგდო თავისი ტალღები, ტრაქტორს მკვარტლისფერი ზეირთებით თავზეც გადაევილო და, ვითომც აქ არაფერიიო, ისევე განაგრძო გზა. როგორც იქნა, ტრაქტორისტმა თავი დააღწია მდინარეს. ტრაქტორი კი ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერ ვაიგეს მისი ასავალ-ღასავალი.

დიდ სამამულო ომამდე ყარაყალპაკეთის ცენტრი თურტყული (თურტყული — ოთხი ტბა) იყო. ეს ქალაქი ზედ ჯეონის ნაპირზე იდგა. ომის წლებში ერთ მშვენიერ დღეს ჯეონს მოეხასიათა და ახალ გზაზე გავიდა. ამ გზამ ზედ თურტყულზე გადაიარა. მდინარემ მთლიანად ქვეშ მოიქცია და თავის ფსკერად აქცია ახალგაზრდა რესპუბლიკის დედაქალაქი.

საქმე იმაშია, რომ ამუღარიის წყლის

დონე დედამიწის სიმადლეზეა, თითქოს თარაზოში მოუსწორებიათო, მიწა კი მხოლოდ უძარღვო სილაა (საგულდაგულდაც რომ გინდოდეთ, ერთ ქვასაც ვერ იპოვნით), ტალღის ერთი გაცვრა და იმ წამშივე მოსწყდება ადგილიდან. განა რა ჯებირებს აღუშართავდნენ ამ გოლიათს.

და მას, ჯეონს, რამდენიმე ძველი კალაპოტი აქვს, ერთმანეთისაგან კარგა მანძილზე მოტოვებული და დავიწყებული.

ახლა კი უფრო მოთვინიერებულია ჯეონი. მისგან გასული უთვალავი და უზარმაზარი არხები მარცხნივ და მარჯვნივ, ასეულ კილომეტრებზე მიაქანებენ ჯეონის ნოყიერსა და სასწაულებრივ წყალს.

ნამდვილად სასწაულებრივია ჯეონის წყალი. დახედავ მიწას და იფიქრებ, რომ არასოდეს არაფერი არ მოვა ამ მიწისა და გამოფიტულ ნიადაგში. მაგრამ როგორც კი ჯეონის მღვრიე ტალღა გადაუვლის, მიწა დაიძახებს და მარგალიტებს ამოჰყრის გავრილებული მკერდიდან.

ჯეონის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადავდივართ ბარკით.

**იმოგზაურობა წარსულში და
დღევანდელ დღეში**

ისევ უდაბნოს მივყვებით, ისევ გვანჯღრევენ უგზოოდ მიმავალი „კოლხოზნიკები“.

ჯეონის ძველ კალაპოტზე მივდივართ. ასე მითხრეს, თორემ ვერაფრით ვერ შეატყობ, თუ აქ ოდესმე მდინარე დიოდა.

თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ძველისძველ ციხე-ქალაქებს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე და ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში აშენებულთ.

ძველი კალაპოტიდან ამოვარდნილ ჯეონს თუმცა უკვე შორიდან, მაგრამ მაინც ამაყად გადაჰყურებს ჩილპოკყაღა. შორიდანვე იწონებენ თავს ისეთსა-

ვე ბორცვებზე შეშენებული რიყსა და ყიზილყალა, გვერდგვერდ დგანან გულდურსუნის დიდი ციხე-ქალაქი და მცირე ციხე-ქალაქი. უამთასკლას თითქმის მთლიანად გადარჩენიან გულდურსუნყალის ყარაულხანები — სახვერავეი კოშკები. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნეში აშენებული აიახყალაც ორია — დიდი და მცირე.

როგორია ეს ციხე-ქალაქები? რამდენიმე კვადრატული კილომეტრის ტერიტორიას შემოვლებული აქვს... თიხის, დიახ, თიხის კედლები (ვიმეორებ, ზოგიერთი მათგანი ჩვენს ერამდეა აშენებული). ეს კედლები სამი-ხუთი მეტრის სიმაღლისაა. სიგანე? მათს ზედა ნაწილზე თავისუფლად გაივლის მსუბუქი მანქანა. ფუძე კი ლამის ორი იმსიგანეა. ზოგიერთ ციხე-ქალაქში შენობებისა და გვირაბების ნაშთებიც შემორჩენილა.

ცნობილმა საბჭოთა ისტორიკოსმა სერგეი ტოლსტოვმა ყარაქალპაკეთში რვაათასამდე ასეთი ციხე-ქალაქი დათვალა და ყარაქალპაკეთს რვაათასი ქალაქის ქვეყანა უწოდა.

ერთმანეთს ენაცვლებიან უდაბნოები და ბაღნარები და გზადგზა ვმოგზაურობთ შორეულ წარსულშიც და დღევანდელ დღეშიც.

ისევ დღევანდელ დღეში შევდივართ. ათიოდე წლის წინათ აქაც მწირი და ზორშაკიანი უდაბნო იყო. ახლა კი თოთხმეტიათასხუთას ჰექტარზე გადაჭიმულა კირკიზის საბჭოთა მეურნეობა. ამ შეიდი წლის წინათ ჩაუყრიათ ხეხილის პირველი ნერგები. არც დაიჯერებ, რომ ასეთი ახალგაზრდაა ოთხმოც ჰექტარზე გაშენებული ეს მსხმოიარე ხეხილის ბაღი. ტოტები ძლივს უძლებენ დამსხვილებულ და სიმწიფით დამძიმებულ ვაშლებს, მსხლებს, ატმებს. ამ ბაღს ყოველწლივ ზრდიან. მარტო წლებანდელ გაზაფხულზე ოთხმოცდახუთ ჰექტარზე ჩაუყრიათ ხეხილის ნერგი.

საქვეყნოდ განთქმულია შუაზიური და კერძოდ ყარაქალპაკური სახამთრო

და ნესვი. ერთხელაც რომ იგემო, მთელ სიციხულში ვეხსომება იმისი გემო. მიწაზე მუთაქებივით ყრია ნესვები, პატარ-პატარა გორებივით წამწკრივებულან საზამთროები. მიწაში ჩარგულ ტოტებიან ხმელ ხეებზე ტანმსხვილი ვაზები ახოხებულან და ლერწებზე კილოიანი მტევნები გადაუკიდებიათ ხურჭინებივით. ჩვენში არ იცის ასეთი ვაზი, საოცრად მსხვილმარცვლიანი, წითლად ან ქარვისფრად რომ შეუფერადებია ზაფხულის ხვატს. ზამთრისთვის ამ ვაზებს დასაკლავი ზარებივით წამოაქცევენ და მიწაში ჰფლავენ, რომ ყინვამ არ დააზიანოს. სარწყავი ფართობის გადიდებისთან ერთად იზრდება ათვისებული მიწის ფართობიც. წელს ამ მეურნეობას ორიათასშვიდასი ჰექტარი შემატება; მართო ათასხუთას ჰექტარზე ბამბა დაუთესავთ.

ყოველივე ამას ძუნწად გვიყვება მეურნეობის დირექტორი იაკობ აბდალოვი, ამ ნაუდაბნოვარზე პირველივე ბარის დამკვრელი.

ჩვენი მოგზაურობის დროს ათიოდე საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა ვინახულე. და არ შემძლია არ აღვნიშნო ერთი ამბავი, მეტად კარგი, მოსაწონი, ყველა მათგანს, დირექციისა თუ კანტარის გარდა, თვით მეურნეობის ტერიტორიაზევე აქვს შესანიშნავად მოწყობილი სასტუმროები (ასეთ სასტუმროებს ზოგ რაიონულ ცენტრშიც ვერ ნახავთ), სასადილოები, კლუბები. და ყოველივე მათგანი დამშვენებულია კონიდრიანი ეზოებით, ჩეროიანი ხეებითა და ხეხილით, მწვანე ბუნებრივი ფანჯატურებით, მშვენიერი ყვავილნარებით.

კირკიზის მეურნეობაშივე დაურჩით ღამის სათევად.

სასტუმროში დაძინებაზე უარი ვთქვით და საწოლები ეზოში გამოვიტანეთ. ვაზის ქვეშ მოხვდა ჩემი საწოლი. გულაღმა ვიწეკი და ჩამესმოდა ხმა ბუნებისა, ჩაძინებული კაცივით რომ ფშვინავდა უდარდელად.

ზ ლ ა კ ა რ ი ?

მარკუნული

ფართოდ გაუშლია მხარეში საზამთროებს.

გალავანშივინით დავაბოტებ და, მგონია, შორეულ საუკუნეებში დავხეტებო.

ეს ქალაქი იყო სახელმწიფოს ცული. აქ იყო ჩანის საბრძანებელიც.

აქ იღვა მისი ოქროთი მოჭედილი ტახტი.

ამ ტახტზე მჯდარა აიაზ ხანიც.

...აიაზი მწყემსი იყო, უბრალო მწყემსი, მეტად ჭკვიანი, გაბედული, მართალი კაცი.

და როცა სიკვდილმა მარადიულ სასუფეველში წააბრძანა უნიჭო და ბოროტი ხანი, ხალხმა აიაზი აირჩია ხანად.

სასახლეში მორიდებით შევიდა იგი. პირველ დღესვე კედელზე თავისი ძველისძველი დაფლეთილი ქალამანი ჩამოჰკიდა, ისე რომ მბრძანებლის ტახტზე მჯდარს მუდამ შესძლებოდა მისი დანახვა.

გვერდით მოისვა მწყემსობის მეგობარი — სამართლიანი და პატიოსანი.

და მას მხოლოდ ერთი მოვალეობა დააკისრა.

თუ დიდკაცობამ დამაფიქყა ადამიანობა, თუ მეფობამ სამართლიანობისათვის მხარი ამაქცევინა, თუ შრისხანებამ დამამბრძავა, მაშინვე ხელი ჩამომკარი და იმ ქალამანზე მანიშნეო.

დიდკაცობას სცოდნია ზოგჯერ ადამიანობის დავიწყება...

და ყველაზე კეთილ და სამართლიან ადამიანსაც დასჭირვებია მისი შეხსენება...

ასე დაიწყო მეფობა ბრძენმა მწყემსმა, ახლა უკვე მთელი სახელმწიფოს მწყემსმა, ხვარაზმის მეფემ.

და მეფობის მთელ მანძილზე გვერდით ეღვა ის კაცი, რომელსაც მისთვის ბევრჯერ დაუნახებია თვალწინ დაკიდებული ძველი მწყემსური ქალამანი.

და ხალხი ლოცულობდა მის სიკეთეს,

მის სამართლიანობას, მის ადამიანობას.

აიაზალოს ვალაჟანშიგინით დაეპოტებ და ის ქალამნები ირხევა ჩემს თვალწინ.

ნუთუ ზღაპარია, მუდამ კეთილი და მუდამ სიკეთის მდომელი ხალხის მოგონილი ზღაპარი?..

ყველას, დიდსაც და პატარასაც, თავისი სულის სასახლეში ჩამოკიდებული უნდა ჰქონდეს ის ქალამნები...

და ჩემი სულის სასახლეში ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე ვკიდებ ნამუხის ქალამანს.

გზა ბამბამ გადაგვიყრა

საერთოდ ყარაქალბაქეთში ძალიან იგრძნობა გზების ნაკლებობა. ეს თითქმის პირველი მოასფალტებული გზაა, რომელიც ჩვენ ამ მოგზაურობისას შეგვხვდა...

ძლივს მოითქვეს სული მანქანებმა. მავრამ დიღხანს არ გაგრძელდა ეს სიამოვნება. გზაზე ბამბა გამოსულიყო და რამდენიმე ათეულ კილომეტრზე დაეპყრო იგი. მზისათვის მიეფიცებინა თავისი ვრილი სითეთრე. დილიდანვე გაეფინათ. წინაღობით მოკრეფილ ბამბას სალამოს მიმღებ პუნქტს ჩააბარებენ. ბამბის კრეფის სეზონში დღისით ბამბას ეკუთვნის გზა, მანქანები კი გზის გასწვრივ, მტკრის მდინარეში დაბობლავენ.

გზიდან გადავედით და მტკრის ღრუბელში ვახვეულნი ისევ ნჭლრევანჭლრევით წავედით წინ.

ყარაქალბაქეთში ამ დროს — სექტემბრის შუა რიცხვებში ჩაიდება ბამბის მოსავლის აღება და ოქტომბრის ბოლომდე — წვიმების მოსვლამდე მთავრდება.

აუარებელი და საუკეთესო ბამბა მოპყავთ ყარაქალბაქეთში. ყარაქალბაქეთი მეზამბეობის ყველაზე ჩრდილოეთი ზონაა მსოფლიოში.

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში არაბი მოგზაური აქმედ იბნ ფადლანი ამუდა-

რიის დელტის ნახვისას წერდა: „მცხეთა ეს ქვეყანა, ისეთი სიცივეშია რტის, რომ გივანტურ ხეებს [ხეთქება] ჭეინქუნი იყინება. აქაური მცხოვრებლები დიდად უფრთხილდებიან პატიოსნებას. ისინი გამოიჩინევიან ამტანობითა და სერიოზულობით“.

ჩვენი ანდაზა ამბობს: „ზოგისა ბამბა ჩხრიალებსო“. თუ ეს სიტყვები ითქმის, ყარაქალბაქელებზე ითქმის. მართლაც, ჩხრიალებს მათი ბამბა — თეთრი ოქრო, როგორც აქ ეძახიან. მეზამბეობის განვითარებისა და ბამბის დიდი მოხავლის მოყვანისათვის რესპუბლიკა ლენინის ორდენით არის დაჯილდოებული.

ყარაქალბაქეთი — ზღვისპირეთის ქვეყანა

დიახ, ზღვისპირეთის ქვეყანაა ყარაქალბაქეთი. მის ჩრდილოეთ ნაპირს ეკვრის არალის ზღვა, რომლის უბესაც ავსებენ ტიანშანიდან წამოსული სირდარია და პამირის მწვერვალების ვეფხევი — ამუდარია.

არალის ცისფერ ტალღებში გამუღმებით დასრიალებენ თევზსაჭერი ტრალერები. კუნძულ მუნიაკზე (კუნძულზე გაშენებულ დაბასაც მუნიაკი ჰქვია) მუშაობს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი დიდი საკონსერვო ქარხანა, რომელიც ათეულ მილიონობით კონსერვს იძლევა წელიწადში.

უმდიდრესია ამუდარიის დელტა. ახლა აქ უდიდესი სამუშაოები სწარმოებენ ახალი მიწების ასათვისებლად. საფუძველი ეყრება ათობით საბჭოთა მეურნეობას და კოლმეურნეობას. ამუდარიის ქვემო წელი მალე იქცევა ჩვენი სამშობლოს ბრინჯის უმდიდრეს ბელლად. აქ დიდი მომავალი აქვს მეზამბეობას. ამის საწინდარია წყლის სიუხვე, რბილი კლიმატი და ამუდარიის დელტის ნიადაგის სინოყიერე. 1970 წლამდე უნდა შეიქმნას მეზამბეობის ოცდახუთი მსხვილი მეურნეობა, რომლებიც რესპუბლიკის ბრინჯის

სათეს ფართობებს ასორმოცი ათასი ჰექტარით ვაზრდის.

აქვე არალის სანახებში მოდის ნესვის საუკეთესო ჯიში მთელ მსოფლიოში. მათი წონა რამდენიმე ათეულ კილოგრამს აღწევს. ამას მიუმატებ ხეხილის ბაღები, სიმინდისა და ჯულარის ყანები, ბაშბა, რომლის თეთრ ზღვასთანაც თვით არალის ნამდვილ ზღვასაც შერცხვება. მაგრამ რას იზამ, არალი მაინც ზღვია და ყარაქალპაკეთსაც იმის გამო დაარქვეს ზღვისპირეთის ქვეყანა.

მეგობრობის საღამო

შე უკვე ჩასასვლელად ემზადებოდა, ნუკუსში რომ შევიდით მზით გარუქტულები და დამტვერიანებულები.

პატარა და ახალგაზრდაა ნუკუსი — ჯეონის პირზე პატარაალივით შემომდგარა დედაქალაქი ყარაქალპაკეთისა. მისი საძირკველი იმის მერე ჩაიყარა, როცა ჯეონმა თურტყული გადაყლაპა. მისთვის შედარებით შემალღებული და საიმედო ნაპირი გამოძებნეს. აქ უკვე ვეღარ ნახავთ ალიზის შენობებს, ალიზის ღობეებს, ჩუქურთმებიან ყალიბებში ცემენტავით რომ არის ჩამოსხმული და ასე უხვად რომ მიმოხანულან ამ ქვეყნის ძველ სოფლებსა და ქალაქებში. ნუკუსში დიდი მშენებლობაა გაჩაღებული. შენდება ახალი მრავალსართულიანი სახლები, ახალი ქარხნები და ადმინისტრაციული შენობები, სკოლები და კულტურული დაწესებულებები შენდება თეატრის ახალი შენობაც. ჭერჭერობით კი თეატრის ძველ შენობას უნდა ვესტუმროთ.

მოძმე ლიტერატურათა მეგობრობის დღე, რომელიც ყარაქალპაკეთის მწერალთა კავშირმა მოაწყო, კვირეულად იქცა, და ამ საღამოს უნდა დაგვირგვინდეს. თუმცა ჩვენი მოგზაურობის დროს მკითხველებს რამდენჯერმე შეეხვდით რაიონულ კულტურის სახლებში თუ მეურნეობათა კლუბებში.

თეატრის შენობა ხალხით არის გაჭვდილი. ეს დაუვიწყარი პოეტური მე-

შაითი ყარაქალპაკეთის პოეტებთან ახსალმა (სწორედ ასე გამოაცხადა „სალამოს თავმჯდომარე“), ყარაქალპაკეთის სახალხო პოეტმა სადიკ ნურუმბეტოვმა დაიწყო. ტრიბუნასთან დადგა და კი არ კითხულობდა, მღეროდა ეს ახოვანი, თეთრწვერიანი ბერიცაცი. და სრულიად ახალბედა ყარაქალპაკელმა პოეტმა ქალიშვილმა შირინმა დაამთავრა. მსურვალედ მოგვესალმნენ ნუკუსის მშრომელთა წარმომადგენლები. დარბაზში ეღერდა აზერბაიჯანული, ყირგიზული, ყაზახური, თურქმენული, უზბეკური, ყარაქალპაკური ლექსები. დამსწრე საზოგადოებას არ სჭირდებოდა გამოსული პოეტების ლექსების თარგმანა — უამისოდაც კარგად ესმოდათ.

და როგორ მინდოდა, რომ არც ჩემს წაკითხულ ლექსს დასჭირებოდა თარგმანა და ლექსი კი ქართულ ენაზე წამეკითხა. ჩემი ლექსების ქართული და რუსული წიგნები შორს გადავმალე. თან „ვეფხისტყაოსნის“ ქართული მინიატურული გამოცემა მქონდა წაღებული და ის მოვიმარჯვე. აუდიტორიას ორიოდ სიტყვით მივესალმე და დაევიწყე კითხვა:

არ დავიწყებ მოყვრისა
 აროდეს გვიხამს ზიანსა,
 ვგობ კაცსა აუვიანსა,
 ცრუსა და ღალატთანა...

ლამის ჭერი ჩამოანგრია ტაშის გრი-
 ალმა.

შოთას ქართული ნამდვილად უთარგმნელადაც ცასაგები ყოფილა ყველასათვის!

დიდი კონცერტით დამთავრდა მეგობრობის ეს საღამო.

და მერე ლამის დილაზე გავრძელიდა დიდი მაგიდის ირგვლივ.

თვითმფრინავის ფრთავით ძარდაკრული დღე

დღეს რამდენჯერმე გადაგვიღელა უბე თვითმფრინავის ფრთებით ატეხილმა ქარმა.

პირველი თურქმენი კაიუმ ტანგრი-
ყულიევი აფრინდა. კაიუმი ცნობილი
საბავშვო პოეტია. სხვათაშორის, მან
თურქმენულ ენაზე თარგმნა „ვეფხის-
ტყაოსანი“, რომელიც ამ რამდენიმე
წლის წინათ აშხაბადში დაიბეჭდა.

ერთი საათის მერე ალმა-ატელებს —
აბუ სარსენბაევსა და მუკაგალ მაკათა-
ევს, ტაშკენტელებს — შუქურ სადუ-
ლასა, აბითაი ტურუმბეკოვს და ყირ-
გიზ სოვეტ ურმაბეტოვს დავემშვიდო-
ბეთ.

საოცრები ვართ აღამიანები. საკმა-
რისია თუნდაც ერთი დღე დაეყოთ
ერთად, რომ უკვე გეიჭირს ერთმანეთ-
თან განშორება, გვგონია, თითქოს
მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთად
ვიყავით და ამ განშორების შემდეგ
გავგიჟირდება უერთმანეთობა.

სწორედ ამ გრძნობით დავემშვიდო-
ბენით ერთმანეთს.

ჩემი თვითმფრინავის გასვლამდე კი-
დეც რამდენიმე საათი დარჩა. აღარ
გვეშვება ახალგაზრდა ყარაკალპაკელი
პოეტი შაუდირბაი სეითოვი, გინდათ
თუ არა, მამაჩემმა დაგვატყუათო. მეტი
გზა აღარ იყო, უნდა დავთანხმებული-
ყავით.

ეზო-ბაღის ხეების ჩრდილში გაეშალა-
თ სუფრა. შაუდირბაის მამა ცხვარს
ატყავებდა, დედა ეზოში ჩადგმულ და
ჩარდახგადაფარებულ თანდირიდან —
ჩვენებური თონის ასლიდან — ცხელ-
ცხელ პურებს ჰყრიდა.

ჩვენს თავზე ვაშლის ხეებს შეეკრათ
მწვანე და მტერიანი ჰერი. ხეების ფოთ-
ლებს სქელი მტვერი ადევს, აქ ხომ აღ-
რე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამ-
დე სრულებით არ იცის წვიმა.

ეს სუფრაც ჩაით დაიწყო. დღეს
მგონი უკვე მეთაუდ გეახლებით მწვანე
ჩაის. მერე კი ღვინის ფიალების ტრია-
ლიც გაჩაღდა. და ის იყო სუფრა ეშხ-

ში შვეიდა, რომ ჩემი წასვლის საათამაც
ჩამოჰყრა.

მთელი სუფრა აიშალა და გამაცილა.

— ნუ ბოდიშობ, ჩვენ მხოლოდ შეს-
ვენება გამოვაცხადეთ, — ხუმრობენ
აზერბაიჯანელი პოეტები აბულფაიზ
ჰუსეინოვი და ხეირულა აბდულაევი.
ისინი ნუჯუსში კიდევ რამდენიმე დღეს
დარჩებიან.

რ ა ხ მ ა ტ!

ყველგან უდაბნოებსა თუ წალკო-
ტებში მოგზაურობისას, სუფრაზე თუ
სასტუმრო ოთახში მესმოდა ეს სიტყვა.

სახელი მეგონა (ტაშკენტში გავიცა-
ნი ამ სახელის კაცი).

მაგრამ ჩვენს შორის არავის ერქვა
ეს სახელი და მივიკირდა.

რამდენჯერმე მეც მითხრეს: რახმატ!
ვიკისრე და ვკითხე, რას ნიშნავს-
მეთქი.

თურმე მადლობა ყოფილა.

და აი ახლა, როცა თბილისში ვზი-
ვარ, ჩემს სამუშაო მაგიდას ეუზივარ
და ამ სტრიქონებს ვწერ, მთელი ხმით
მინდა დავეძახო:

— რახმატ, ჩემო ყირგიზო ძმაო,
ჩემო ყარაკალპაკელი ძმებო. თქვენმა
მოსიყვარულე გულმა და საოცარმა
მიწა-წყალმა, თქვენმა მთებმა და ვე-
ლებმა გადაამახალისა, გამახალუათა, გა-
მამდიდრა. ამ სტრიქონებთან ერთად
ლექსების მთელი წიგნი დამაწერინა. იმ
საღამოს, ნუჯუსის თეატრში გამოსვლი-
სას, აღგიტყვი, რომ უახლოვს ხანში
ჩვენს ქართველ მკითხველს გავაცნობ
ახალგაზრდა და საინტერესო ყარაკალ-
პაკურ პოეზიას, რომელიც ჩვენს ენაზე,
ქართულ ენაზე ჯერ არ ახმიანებულა.
ეს იქნება ჩემი კიდევ ერთი რახმატი-
რახმატ, ჩემო შუაზიელი ძმებო!

ერთი ფურცელი ფეოდალური საქართველოს შინაქალაქობრივი ბრძოლის ისტორიიდან

(ორგანული ანგარიში)

XII საუკუნის საქართველოს შინაქალაქობრივი ბრძოლის, კერძოდ მეფესა და დიდგვარაინებს შორის არსებული ბრძოლის ისტორიაში მეტად საინტერესო ფურცელია დემეტრე უფლისწულ-ივანე ორბელის სახელწოდებით ცნობილი აქანყება.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ისტორია აღსავსეა მეფესა და დიდგვარაინებს შორის არსებული მწვავე ბრძოლის ფაქტებით, რასაც თვით ფეოდალური წყობილება წარმოშობს. არც საქართველო წარმოადგენდა ამ მხრივ გამონაკლისს.

ფეოდალურ მონარქიებს; იცავდნენ რა მიწათფლობელთა ინტერესებს, ხშირად ბრძოლა უძღებოდათ 'გაბატონებული კლასის წარმომადგენლებთან. ეს სამეფო ხელისუფლებისათვის წერილობრივ ბრძოლა იყო ფეოდალური საკუთრების დაცვისათვის, ფეოდალური რენტის გადაწვევისათვის; მოქმედებდა სახელმწიფო აპარატი.

სამეფო ხელისუფლებამ უძღებოდა მოქნილი პოლიტიკის გატარებას, გაბატონებული კლასის სფეროში მუარა საყრდენის შექმნას, ფეოდალური წრეების გაყენებას წარმომადგენლების მოსივლა — ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რასაც კლასობრივ-ექსპლოატატორულ საზოგადოებაში მმართველი წრეები საერთოდ აკეთებენ. ასე რომ, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ჩვენ ერთის მხრივ საქმე გვაქვს ფეოდალური საზოგადოების ძირითადი ჯგუფების მიწათფლობელთა და გლეხთა კლასების დაპირისპირებასთან («Крепостное общество представляло такое деление классов, когда громадное большинство — крепостное крестьянство — находилось в полной зависимости от ничтожного меньшинства — помещи-

ков, которые владели землей»), ხოლო მეორე მხრივ სამეფო ხელისუფლებასა და ფეოდალებს შორის ბრძოლასთან.

დემეტრე უფლისწულ-ივანე ორბელის სახელით ცნობილი აქანყება სათანადო სიღრმით ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია არსებული ქართული, სომხური და სხვა წყაროების შესწავლისა და მათზე დაყრდნობის საფუძველზე, შევსო ისტორიოგრაფიაში აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის გათვალისწინებით, გაამუქოს დემეტრე უფლისწულ-ივანე ორბელის სახელწოდებით ცნობილი აქანყების ობიექტური მიზეზები, მისი მსვლელობა და შედეგები, მეფის წინააღმდეგ დიდგვარაინთა ამ გამოსვლის ადგილი განვითარებულ ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიაში.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ ცნობები დაცულია ძირითადად ქართულ და სომხურ საისტორიო წყაროებში. თითოეული ისტორიკოსი საკითხს სუბიექტურად უდგება. ეს სხვაგვარად არც შეიძლება ფეოდალური წყობილების დროს, როცა თითოეული ისტორიკოსი გამოხატავს გაბატონებული, ამ შემთხვევაში ფეოდალური კლასის (საერთოდ ან ამა თუ იმ ცალკეული ჯგუფის) ინტერესებს; მოცემულ შემთხვევაში ქართული წყაროები საქართველოს მეფის მხარეზე ჩანან, ხოლო სომეხი ისტორიკოსები (განსაკუთრებით სტეფანოს ორბელიანი) მოწინააღმდეგე მხარის პოზიციას ამართლებენ, ასეა თუ ისე, ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული წყაროები გვაძლევენ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის საშუალებას.

¹ В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 39, стр. 77.

ელის თხზულება ინტერესსმოკლებული არ არის XII საუკუნის საქართველოს სოციალური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხის გარკვევისა და შეფასების თვალსაზრისითაც. აღებული საკითხის კვლევისას ჩვენ შევეცადეთ გავეთვალისწინებინა ყველა ზემოთდასახელებული წყარო, გავეთვალისწინებინა ამა თუ იმ ისტორიკოსის შეხედულებები ამ წყაროებზე, სათანადო დაკვირვებები გვეწარმოებინა მათზე და შესაბამისი დასკვნებიც გავვეთვებინა.

ისტორიოგრაფია

დემეტრე უფლისწულ-ივანე ორბელის აჯანყება, როგორც შიდაელაობრივი ბრძოლის გამოვლინების სერიოზული ფაქტი, იმთავითვე იქცევა ისტორიკოსთა ყურადღებას. აღნიშნული მოვლენა მხედველობის არიდან არ გამოპარვია ვახუშტი ბაგრატიონს. იგი ძირითადად ამბის ვაღმოცემით მკაცრფილდება და სოციალური ურთიერთობის ასლის ახსნას ვერ იძლევა (ეს ბუნებრივია, რადგან ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცხოა სოციალური საკითხებით დაინტერესება)¹.

პროფ. ალ. ხახანაშვილმა 1900 წელს ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა „საქართველოს ისტორია“, სადაც ზოგადად მიმოიხილა საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნის ჩათვლით. აღნიშნული ნაშრომის გიორგი მესამისა და თამარის მეფობისაღმებ მიმდინარე ცალკე თავში ავტორი ჩერდება ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, თუმცა ფაქტის დასაბუთების გარდა არსებითს არაფერს გვეუბნება².

აკადემიკოსი მარი ბროსე თავის „საქართველოს ისტორიაში“³ საკმაოდ დაწვრილებით მიმოიხილავს დემეტრე-ივანე ორბელის აჯანყებას და ქართულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობის შედეგად (ეს მთელი რიგი მომენტებიდან ჩანს), აჯანყების თარიღსაც გვაძლევს. არც მარი ბროსე აძლევს სათანადო შეფასებას აღნიშნულ საკითხს.

ისე როგორც საქართველოს ისტორიის ბევრ სხვა საკითხს, ამ მოვლენასაც არ ტოვებს უწყურადღებოდ პროფესორი თ. ჟორდანია. მოკვამს რა აჯანყებასთან დაკავშირებული ქრონიკები

იგი თავის დაკვირვებით სათანადო კომენტარს უკეთებს მათ⁴.

დემეტრე უფლისწულ-ივანე ორბელის აჯანყების შესახებ ფართო ხასიათის კვლევა იქვს ნატარბული აკად. ივ. ჯავახიშვილს. იგი ფაქტურად პირველია, რომელმაც შეცნობურად დაისაბუთებელი, ქართული და სომხური ისტორიული წყაროებით გამაგრებული დებულებები მოგვცა აღნიშნული საკითხის ირგვლივ. აკად. ივ. ჯავახიშვილი დაწვრილებით ჩერდება მოწინააღმდეგე მხარეთა შემადგენლობაზე, აჯანყების შედეგებზე⁵.

აკად. ნ. ბერძენიშვილი მიმოიხილავს რა კლასობრივი და შიდაელაობრივი ბრძოლის გამოვლინებას საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში, საგანგებოდ ჩერდება მოცემულ საკითხზე და ასკვნის: „აჯანყება (დემეტრე უფლისწულ-ივანე ორბელის აჯანყება—რ. მ.) განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისა... ეს მომართა ფეოდალური ურთიერთობის ახალი ეტაპის, ბატონყმობის გამარჯვების მუწუცბული იყო, რომლის შემდგომი განვითარება, ახალ დროში კლასობრივი ბრძოლის ახალ ფორმებს წარმოშობდა შესაფერისი სამეფისკარო პოლიტიკით“⁶.

აკად. ნ. ბერძენიშვილი აჯანყების მიმდინარეობას იკვლევს თავის მეორე ნაშრომში „ეპიზოდული ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულეო ბრძოლიდან XII საუკუნის საქართველოში“⁴.

დემეტრე უფლისწულ-ივანე ორბელის აჯანყებასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს სხვადასხვა დროს შეეხენ სხვადასხვა ისტორიკოსები (ს. კაკაბაძე, ლ. მელიქიძე-ბეგი, თ. ბარნაველი და სხვ.). ჩვენ ქვემოთ შეძლებისდაგვარად ვითვალისწინებთ მათ მოსარბებებს.

საპარტევლო XII საუკუნის მეორე ნახევარი

ფეოდალურმა საქართველომ XII საუკუნის პირველ მეოთხედში მოიგერია თურქი მომთაბარეები. აქედან მოყოლებული ვიდრე XIII საუკუნის 20-იან წლებამდე საქართველო დროდადრო ებრძოდა მუზობელ თურქულ სახელმწიფოებს, სამირო-სასურთოებს. ეს ომები ძირითადად სომხეთისა და ჩან-შარვანის საკითხების მოსაგვარებლად წარმოვბდა. თურქობის

¹ ვახუშტი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შეესებული დ. ბაქრაძის მიერ, ტფ. 1885.

² A. Khakhanoff, Histoire de la Georgie, Paris, 1900.

³ მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, I, გამოცემული ნიკ. დოლობერიძის მიერ, თბ. 1895, გვ. გვ. 160—161.

⁴ თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, თბ. 1892, გვ. 260.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია II, თბ.; 1965, გვ. გვ. 239—243.

⁶ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ.; 1965, გვ. გვ. 36—37.

⁷ ივ. მისი საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. გვ. 74—112.

ნიმე* ვაგრძელდა—სწორედ აღნიშნულა ნაბიჯის შედეგი იყო.

საქართველოს მეფე შვიდილობიანობის ჩამოგდებით კმაყოფილი „დაჯდა სიხარულად და განსუენებად და ნადირობად“.1 ომსა და ბრძოლას შეჩვეული ქართველი მეომრები ახალი ლაშქრობისაკენ იწვევდნენ. მათ კიდევ მიუზღოთათვე მეფისათვის: „აბა არს ღონე ღარჩოშისა ზუნისა თუნორი ლაშქრობისა და რბევისა.“ გიორგი მესამეს ვარკვეული შიში ჰქონია შინაურის მტრებისა და თავისი ლაშქრის დაბირისპირებას სწორედ მათზე ფაქტობდა. საცნაოების შემთხვევაში. მას შემდეგ რაც „წარსინა ზაენი და თიენი შინა“ (როცა განამტკიცა შვიდილობიანობა და უშიშროება სახელმწიფოს შიგნით), გიორგი მეფემ ლაშქარს უფლება მისცა დაერბიათ მეზობელი ქვეყნები. „უბრძანა ტაოელთა, კარჭთა და შვეთთა მორბევა ოლთისისა და ბანასა, მესხთა და თორელთა — კარისა და ამორნისა, და ამირ-სასაღარსა და სომხითართა — მტკუარს აქეთ. ვიდრე განმამდის; თვთ ხასავანიანთა, ღიბთ—იმერთა და ქართველთა— განძას დამართებით მტკურის პირი იმორი და ამირ ხოლთამდის, ჰერთა და კახთა — ალაზნის შესართავით ვიდრე შავკანამდის“.2

საქართველოს ლაშქრის ამ ბრძოლების შესახებ ცნობები ძალზე მცირე რაოდენობით მოგვეპოვება, მაგრამ უცხოელი ისტორიკოსები აღსატრებენ ქართველთა ლაშქრობის ძლიერბოლოვად ჩატარებას.

ამვე პერიოდში გიორგი მესამემ ილაშქრა შირვანში, სადაც მისი დისწული აღსართანი მეფობდა. შირვანში საქართველოს მეფის ყმაღნაფიცად ითვლებოდა. ამიტომ როდესაც იგი დაპირებული დარუბანდელთა ხაზართავან* შეულას შეეხეწა საქართველოს მეფეს, გიორგი მესამე ჭარბ მიეშველა 1167 წელს. ქართველთა მხედრობა მივიდა დარუბანდის კარამდე, მოაოხრა მუსკურისა და შარბაშის ქვეყანა და აილა ქალაქი შაბურანი. როგორც „ისტორიანი და აზმანი“ გადმოგვცემს შაბურანი საქართველოს მეფეს აღსართანისათვის უწყალობები.

შირვანის შემოტაცება საქართველოს პირდაპირ იტიკრებს ემსახურებოდა. ამრეუშით მდღარაი შირვანის შემოსავლის წყარო იყო საქართველოსათვის. შირვანის დაკავებით ქართველები საფრთხეს უქმნიდნენ განძას, რომელიც თურქების მთავარი საყრდენი იყო ამირ კავკასიაში. და ბოლოს საქართველო თანმიმდევრულად ატარებდა ქრისტიანული ქვეყნების შემოკრებასა და მათი ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების პოლიტიკას.

1173 წელს, სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, გიორგი მესამეს ანაბი აულია, ქალა-

ქის ამირა კი თან წაუყვანია. განაწევრებული და გაბრაზებული თურქები ქალაქს მოედგნენ. ანისის მცხოვრებთა დაყენებულ სიძველეს უნისის თურქებისათვის დათმობაზე უარი თქვა ივანე ამირსპასალარმა. ასე რომ 1173 წლიდან ანისი და მისი მიმდგომი მხარეები მტკიცედ შემოვიდა საქართველოს შემადგენლობაში.

შირვანისა და სომხეთის დიდი ნაწილის შემოტკიცება საქართველოს სამეფო კარის შორსგახედული პოლიტიკის და აგრეთვე მისი მეფის — გიორგი მესამის, როგორც ძლიერი და ნიჭიერი მხედართმფროსის, დამსახურებას უნდა მიეწეროს. საერთოდ, ბევრი მოვლენა მშინდელ ამიერკავკასიაში გიორგი მესამის სახელთან იყო დაკავშირებული.

«...Сын и преемник Менучехра II, Ахситан, пожалуй, должен был быть обязан своей победой... под Баку, а также отвоеванием Ширвана и Дербенда своему могущественному родственнику, союзнику и верховному повелителю — царю Георгию III»¹. ბუნებრივია, „ისლამის ენციკლოპედიას“ მიერ გიორგი მესამის ისეთი ვნითვდებითა და ტიტულთა შემოქმად როგორცაა «могущественный» და «верховный повелитель» რაც საყვებით შეესაბამება საქართველოსა და მისომეფის ავტორიტეტს XII საუკუნის წინა აზიასა და კავკასიაში.

ამგვარად, XII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველო პოლიტიკურად ძლიერი ქვეყანაა. მის საყვოდ დიდი გავლენა და ავტორიტეტი აქვს მოპოვებული საერთაშორისო მასშტაბით, საქართველოს მეფე ძლიერი და პატივდებულნი. რაც შეეხება ქვეყნის საშინაო მდგომარეობას, აქ უფრო რთულადაა საქმე. XII საუკუნის მეორე ნახევარში ამჟამად გამოჩნდა, რომ ფეოდალური საქართველო განვითარების ისეთ სტადიაში იმყოფება, როცა სახელმწიფო წესწყობილების ფორმა აღარ შესაბამება საზოგადოების განვითარებას.

ამიტომ არ უყოფილა შემთხვევითი, რომ როცა საქართველომ თავისი ძლიერბოლოვებით შორს გაიშვა სახელი მეზობელ სახელმწიფოებში, ქვეყნის შიგნით დიდი და ძლიერი აჯანყება მხადლებოდა, თვითმპყრობელი მეფეს და სამეფო კარის წინააღმდეგ.

აჯანყების გამომწვევი მიზეზები

XII საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფეოდალური საქართველო

¹ В. В. Бартольд, Ширваншах (статья в «Энциклопедии ислама»), соч., т. II, ч. I, с. 877.

კრიტიკულ პერიოდში იმყოფებოდა თავის განვითარების თვალსაზრისით. ეს იყო საკმაოდ შწკვე კრიზისი საზოგადოებას განვითარებაში, რომლის ერთ-ერთი ნიშანი იყო ფეოდალური წარმოებიდან გამოძევებულთა ე. წ. „გლახაკთა“ სიმრავლე, რაც მისივე ტვირთად დასწოლულა მატერიალური დოვლათის მწარმოებელ მოსახლეობას. საზოგადოების განვითარებაში კრიზისის მომასწავებელი იყო „მეკობართა“ სიმრავლე („მეკობარნიც“ ფეოდალური წარმოებიდან გამოძევებულნი იყვნენ) ამ კატეგორიის წარმომადგენელთა ლიკვიდაცია სამეფო კარისათვის მეტად მტკივნეულ საკითხად იყო გადაქცეული. თავისთავად კრიზისის მახველებელია ეს ფაქტი, რომ საქართველოს სამეფო ლაშქარში შექმნილია მიდრეკილება ჭონების შექმნის მიზნით უცხო ქვეყნების ბოლომოუღებელი რბევისადმი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საქმეს წინ ვერ უდგება თვით მეფე და, შესაძლოა, საკუთარი სურვილის წინააღმდეგაც კი იძულებით მიდის იგი! (მოვიგონოთ როცა ლაშქარმა მეფეს ბრძოლის და ქვეყნების დაბრუნების უფლება მოსთხოვა და მეფისგან მათ მიიღეს ნებართვა).

საზოგადოების განვითარებაში შეპარულ ბზარულ მოწმობდა ის გარემოება, რომ ქვეყანაში ფართოდ იყო გავრცელებული მონაღატური განწყობილება, გაბზირდა გარეშე დამპყრობელთა მხარეზე გადასვლა.

გაძლიერებული დიდებული აზნაურები ვეღარ ეგუებოდნენ მეფის თვითმპყრობელობას და შეუვალაბაზე, ფიქრობდნენ. უკმაყოფილონი იყვნენ დიდაზნაურთა ხელშეკით მყოფი აზნაურები, რადგან მათ (იბის გამო, რომ დიდაზნაურებს მორჩილებდნენ) აღზევების იმედი გადაწურული ჰქონდათ.

არსებული ფეოდალური ურთიერთობის მძლავრ პროტესტის წარმოადგენდა გადაბიორ-მოლაშქრთა ფართე ფენა, გღვად გადაქცევის წინააღმდეგ რომ იბრძოდა და იძულებული იყო გლახაკობა-მეკობრეობისათვის მიემართა. აღმავლობის გზაზე მდგარი ეპარ-ხელოსანთა წრეები თუმცა ერთგვარად კმაყოფილი იყვნენ არსებული ვითარებით (გიორგი III სამონათ პოლიტიკაში, ისევე, როგორც საგარეო საქმეებში იმპერიებმა დაეთა აღმაშენებელს. თუ დემეტრე პირველი უმეტესწილად დაეთა აღმაშენებლის მემკვიდრეობის დამცველად გვევლინება, გიორგი მესამე ახალ ქმედით ზომებს იღებს საქართველოს საზღვრების გაფართოებისათვის და, ისევე როგორც მის პაპს, დიდაზნაურები შევიწროებულ მდგომარეობაში ჰყავს, ეს უკანასკნელი ხელს უხსნიდა ეპარ-ხელოსნებს თავიანთი საქმიანობის ფართოდ

წარმოებისათვის), მაგრამ ისინი მეტს არიბთვოდნენ, რადგან მათ ევიწროებოდათ ფეოდალურა სოციალ-პოლიტიკური გარემო და წინააღმდეგ დიდაზნაურებისა მეფის თვითმპყრობელობის შეძღვაში გაძლიერება უნდოდათ (ძლიერი თვითმპყრობელი მეფე თავისი ინტერესების დამცველად სჭირდებოდათ ეპარებს). უკმაყოფილებას აშკარად გამოხატავენ მთიელები, რადგან ფეოდალური ურთიერთობა მიეკვლევდა გზას მთაში და მანამდე თავისუფალ მოსახლეობას სოციალური დამონებით ემუქრებოდა.

მეფის თვითმპყრობელობის, საერთოდ ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ დაუსრულებლად იბრძოდა ფეოდალურ ურთიერთობაში სოციალური კიბის დახალ საფეხურზე მდგომი გლეხობა, რომელიც ვერ ეგუებოდა თავის მდგომარეობას და მუდამ უკმაყოფილო იყო.

ასეთ მეტად რთულ და სერიოზულ საფრთხის წინაშე იდგა შინაგანად მეფის თვითმპყრობელობის ხელისუფლება.

დამოკიდებულება მეფესა და დიდგვარიან ფეოდალებს შორის

ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორია აღსავსეა მეფესა და დიდგვარიანებს შორის დამოკიდებულების სიმწკვევით, რასაც თვით ფეოდალური წყობილების ბუნება განაპირობებდა. დიდგვარიანი ფეოდალები ყოველთვის ცდილობდნენ, როგორც აღსაშუალებდა მიეკმობათ, განდგომოდნენ და დამარისპირებოდნენ მეფეს. მეფეებიც თავის მხრით მეტნაკლებად წარმატებით ებრძოდნენ ამ ცენტრიდანულ ძალებს და ცდილობდნენ განემტკიცებინათ ცენტრალური სახელმწიფოებრივი აპარატი.

ყველაზე დიდი წარმატება დიდგვარიან ფეოდალებთან ბრძოლაში დაეთა აღმაშენებელმა მოიპოვა. მის მიერ გატარებული სახელმწიფოებრივი რეფორმები ეკონომიური ხასიათისა იყო ის, თუ სამხედრო პოლიტიკის ეხებოდა, მიმართული იყო ქვეყნის ცენტრალიზაციის, სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისაკენ. ეს თავისთავად დიდშინშენელოვანი მოვლენა იყო, რადგან სამეფო ხელისუფლება განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში პროგრესული ელემენტი იყო. «... Она была представительницей порядка в беспорядке » I.

დაეთა აღმაშენებელმა დიდაზნაურთა პოლიტიკური უფლებები მკვეთრად შეეცვლა, მაგრამ როგორც ზემოთაც მივუთითეთ, დიდაზნაურთა სოციალ-ეკონომიური საფუძვლები იგივე დატოვა მეთორმეტე საუკუნის სინამდვილემ საქმე იმეთ წაიყვანა, რომ დიდ ფეოდალთა სო-

1. ნ. ბერძენიშვილი, და სტ. საქართველოს ისტორია I, თბ. 1958, გვ. 191.

1 K. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. XVI, ч. I, 1937, стр. 445.

ცილი-ეკონომიური გაძლიერება გარდუვალი გახდა, მათ გულზედა იქცნენ გაინანებულა მღაბორ-მოლაშქრეები (მღაბორ-მოლაშქრეთა ფენის გაქრობა და მისი გლეხობაში გადასვლა იყო XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს კლასთა ბრძოლის ვარსავევა-განვითარების პროდუქტი.

კლასობრივი ბრძოლების გამწვავების პირობებში წვრილი ფეოდალები ზელისუფლების გაძლიერების მომხრეებად გამოდიან. რადგან ეს უკანასკნელი მათთვის გლეხების დამორჩილების იარაღი იყო, მეორე მხრივ, იცავდა მათ დიდი ფეოდალების კლანჭებში ჩაყარდნისაგან (ამ უკანასკნელს ვერ ასდენენ XII საუკუნის საქართველოს წვრილ აზნაურთა წრეები).

მომლაშქრებელი ფეოდალები ყოველგვარ ზურხს მიმართავენ იმისათვის, რომ მეფისაგან ხელთ იგდონ გაძლიერება-განდიდების ისეთი საშუალება, როგორცაა დიდება (გავიხსენით ამავე პერიოდის გერმანია, სადაც ფეოდალი მეფეები საზოგადოების განვითარებისა და ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო იძულებული არიან ვასცენ ასეთივე დიდება¹ თავისთავად ასეთი უფლებების მიცემა ნიშნავდა პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილებას მოსახლეობაზე. გარკვეულ გავლენას ქაზრგაუდა მცხეთ, დიდი ფეოდალების სამარტებლოდ). მეფისაგან დიდებამოპოვებული (დიდებული) აზნაურები კი იწყებენ ბრძოლას, თავიანთი სოციალ-ეკონომიური უფლებების შესაფერისი პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის².

¹ ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა და სხვ., საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 180.

² Н. Ф. Колесницкий, Исследование по истории феодального государства в Германии, М., 1959, стр. 90.

³ აღნიშნული მოვლენებით აღსავსეა შესაბამისი პერიოდის მსოფლიო ისტორია.

ფეოდალური ინგლისის სამეფო ხელისუფლების გაძლიერება მკვეთრად იწყება XII საუკუნის პირველი ნახევრიდან, როცა ტახტზე აღის ქენის პირველი (1100—1135). მან მთელი რიგი რუფორშების ვატარების შედეგად მოახერხა სახელმწიფო აბარტის ერთგვარი ცენტრალიზაცია. მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ განვითარება-გაძლიერების წინსვლა შეწყვეტილი იქნა, რადგან ქენისის ვეფსილი არ ჰყავდა, მან სამეფო ტახტი თავის ქალიშვილს მატლდას უანდერმა. შექმნილი ვითარება გამოიყენა ქენისის ნათესავმა სტეფანე ბლუასელმა, რომელმაც თავის ირგვლივ მყოფი მეფის

რა მდგომარეობაა XII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში? რა დამოკიდებულება მეფესა (გიორგი მესამესა) და დიდგვარიან ფეოდალებს შორის? საქმაოდ დაწინაურებული ჩანს ეკონომიურად და სოციალურად ფეოდალთა ერთი ჯგუფი. ესენი არიან: ამირსპარსაღარი ივანე ორბელი, ივანე ვარდანის ძე, შოთა ძე ართავანოს ძისა, ქართლის ერისთავი სუმბატის ძე, ლაპარტი, მექინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე და სხვ. მათ დაწინაურების რამდენიმე ხელი შეუწყო თეთი მეფის წყალობებმა, გიორგი მესამე, „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსიის მიხედვით, „თვალეობით უდიდესისა დიდებითა და ბატონით აღმაღლება მას (ივანე ორბელს — რ. მ.)“¹ იგივე წყაროს მიხედვით „გიორგიმან აიღო ანის ქალაქი... და ყოველი ქვეყანა შირაქისა, და უბოძა ამირსპარსაღარსა ივანეს, ძესა დიდისა სუმბატ ორბელიანისასა“² ასეთი წყალობების გაღებაში გიორგი მესამე პირველი არ ყოფილა და არც უკანასკნელი. ერთი რამ ცხადია, რომ როდესაც მეფეები წყალობას ვასცემდნენ, ეს გარკვეული იძულებით ხდებოდა. რადგან ბოძება ხდებოდა ამა თუ იმ დიდ ფეოდალზე მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი გარკვეულ ავტორიტეტს მოიპოვებდა მოსახლეობაში. მეფე კი ცდილობდა ასეთი პიროვნება თავის ერთგულებაში ჰყოლოდა, ამიტომ იკლებდა უფლებასა და სომღიდრესაც და ამა თუ იმ ფეოდალს ვადულოცავდა. ასე რომ, გულბრყვილობა იქნება იმისი მტაცება, რომ ესა თუ ის მეფე მხოლოდ პირადი სიმპატიით (მის წინაშე რაღაც დამსახურებისათვის (მხოლოდ თავისი ნებით) და არა შექმნილი ვითარებით

პოლიტიკით უკმაყოფილო დიდებულები შემოიყრბა და ლონდონში თავი მეფედ გამოაცხადა. ინგლისის ფეოდალებმა მერყეობა იწყეს. ბარონების ერთი ნაწილი მხარს უჭერდა სტეფანე ბლუასელს, ხოლო მეორე — მატლდას ემხრობოდა. აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ფეოდალების ორად დაქვევება არ იყო გამოწვეული რომელიმე სამეფო კანდიდატისადმი მეტი პატივისცემით ან პირიქით, ბარონებმა უპირველეს ყოვლისა თავიანთი უფლებების გაძლიერებითა და სამეფო ზღისუფლების დასუსტებით იყვნენ დაინტერესებულნი (ეს იქმნებოდა ნათლად ჩანს, რომ თვითველი მეფის მომხრე ბარონებმა სიამოვნებით იცვლიდნენ მატრონებს იმის მიხედვით, თუ ვინ უფრო მეტი მიწით დააჯილდოვებდა მათ). ჩვენ მხოლოდ ამ ერთი ფაქტის მოყვანით ვკმაყოფილდებით, რადგან იგი დამახასიათებელია, ტიპურია განვითარებული ფეოდალური ქვეყნებისათვის.

¹ „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია, საისტორიო მოამბე, თბ. 1952, გვ. 60.

² იქვე, გვ. 59.

რებით, ე. ი. რამდენადმე იძულებით ვასცემდა წყალობას და დიდებას.

ჩვენთვის საინტერესო ვითარებაში იყავი ორბელი და მისთან ერთად ფეოდალთა გარკვეული წგუფი საუთარი მცდელობითა და მეფის შემწევობით ეკონომიკურად და სოციალურად დაწინაურებულნი არიან და იწყებენ ბრძოლას მათი მდგომარეობის შესაბამისი პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის. ამ უკანასკნელს წინ ეღობება ქვეყნის ერთმმართველი — ფეოდალი მეფე, რომელიც თავის მხრივ დაინტერესებულია საუთარი უფლებების ამაღლებით და შესაბამისად ქვეშევრდომთა (ეს უკანასკნელნი უკვე საკმაოდ ძლიერნი არიან). შესაძლებლობების დამკრობით.

ასე რომ, მდგომარეობა მეფესა და ფეოდალებს შორის უკიდურესად გამწვავებულია. ასეთ დაძაბულ ვითარებაში ღიბი ფეოდალები ეძებენ სახაბს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ასახედრებლად. სახაბი მართლაც გამოინახა, დიდებულებმა მეფის წინააღმდეგ ბრძოლის დროშად დემეტრე (დემნა) დაავითის ძე აქციეს და მასზე ამოფარებულები იწყებენ ბრძოლას.

რატომ გაცეთა არჩევანი დემნა უფლისწულზე? ქართული სამართლის მიხედვით, სამეფო ტახტის მემკვიდრეობით გადაცემა პირმშობიანზე იყო დამყარებული ე. ი. როგორც წესა, მეფის ვარდაცვალების შემთხვევაში ტახტზე ადის მისი უფროსი შვილი და მისი შთამომავლობა აგრძელებს სამეფო დინასტიას. XII საუკუნის სინამდვილეში ორთოდოქსალური ქართული სამართლის მიხედვით, სამეფო ტახტის მფლობელები ამგვარად უნდა გამოიყურებოდნენ:

დემეტრე I 1125—1156



დემეტრე V 1155



დემეტრე (უნდა ყოფილიყო).

რადგან დავით დემეტრე პირველის უფროსი შვილი იყო. დემეტრე პირველს მეორე შვილიც ჰყავს — გიორგი. წესისამებრ, დემეტრე პირველის ტახტიდან გადაყენების შემდეგ, 1155 წელს ტახტზე ავიდა დავით მეცხთე, რომელიც ექვსი თვის შემდეგ გარდაიცვალა. ტახტს კვლავ უბრუნდება დემეტრე პირველა და მისივე შემწევობით 1156 წელს მეფე ხდება არა დავით მე-

ხუთის შვილი დემეტრე, არამედ გიორგი მესამე.

საქართველო

წყაროება სხვადასხვაგვარად ამოქმედენ მსახიობს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთან“ გიორგი მესამის დამსახურებას მიაწერს იმ ვარემოებას, რომ იგი განსხვავებით უფროსი შვილისაგან გამოჩნეული ჰყავდა მეფეს. „ღიმიტორის... ორ ძე ებადესა, რომელთა დავითა და გიორგი (ეწოდებოდა სახელად). მარჩეველი ძისა უმცროსისა მლარწველი შეიცვებელი იქმნა, ვითარ ისაჲ იაკობისადმი. და ვედრებისა შემსაშენელმან ღმერთმან დავითს დღეთა შემეორებითა სრულ ყო პირველ მამისა. და მამამან ძითერთ ძე ტყბული, შემგებარი შამისა, აღამალა თავისა თანა და ძისა სწორად მისაყდრედ გამოაჩინა“...1

სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ორბელიანი სხვაგვარად გადმოგვცემს ამ ამბავს. მისი თქმით, დავით მეხუთემ სიყვარულს წინ მიკარწყოვანი შვილის დემეტრეს პატრონად დანიშნა გიორგი III და მის სრულსაკონცხებად სამეფოს მართვის საქმეც მას მიანდო. შემდეგ კი გიორგის დემეტრესათვის უნდა დაეთმო ტახტი (იხ. სტ. ორბელიანის „ისტორია“). „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსიაც იგივეს გაუწევებს: გიორგი მესამეს თავისი გამეფების სურვილი ერთი ღვის შემდეგ გაუმტლია და თითქოს დაურწმუნებია დიდებულები მის მიერ სამეფო ტახტის დაკაების დროებითობაზე2.

ყველა დასახელებული განხილული წყარო თვალნათლად გამოხატავს იმ სუბიექტურ დამოკიდებულებას საკითხისადმი, რომელიც თვითიველი მათგანი გიორგი მესამის მიმართ იყო გამსქვალული. „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთან“ ავტორი საქართველოს მეფის აპოლოგეტი. იგი უოველგვარად ცდილობს გაამართლოს გიორგი მესამის მეფედ კურთხევის აქტი (თუმცა ეს ფეოდალური ქვეყნისათვის დაუშვებელი იყო). ეს ბუნებრივიცაა. სხვაგვარი დამოკიდებულება სკიოხისადმი ფეოდალური ისტორიოგრაფისათვის უცხოა. თვით ისტორიები, აღმათ, შესაბამის მეფეთა მითითებით და ზედამხედველობით იქმნებოდა და რა ვასაკეირია, რომ ბევრი ფაქტი შელამზებულად იყოს წარმოდგენილი, ან კიდევ ფაქტებს თავისებური შეფასება ჰქონდეს მიცემული. ამ გარემოებას იმიტომ ვუსვამთ ხაზს რომ, ჩვენი აზრით, დემეტრე პირველისა და დავით მეხუთის დამოკიდებულების სახით საქმე გვაქვს არა მამა-შვილს შორის არსებულ შემთხვევით უთანხმოებასთან და შვილის არასწორი (ან უფვანო) მოქმედების გამო განწყვენების შედეგად შამის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან (რომ მი-

1 ი. ჭავჭავიძელი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ. 1965, გვ. 239. ი. სურგულაძე, ტახტის მემკვიდრეობის საკითხი ვეფხისტყაოსნის მიხედვით, იხ. ცრებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთველს, თბ., 1966, გვ. 94.

1. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 3.
2. „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია, საისტორიო მოამბე, 6, 1952, გვ. 59.

თველოს პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად იქცა.

დავით აღმაშენებლის ანდერძიდან ჩანს, რომ დემეტრე პირველმა ტახტი შიღო ანა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უფროსი შვილი იყო საქართველოს მეფისა, არამედ იმიტომაც რომ იგი იყო „სიბაძნითა სიწმინდითა, ახონებთითა და სიმხნეთა უმჯობესი ჩემსა“ (დავით აღმაშენებელზე უმჯობესი. — რ. მ.).¹

დავით აღმაშენებელი თავის უმცროსი შვილის გამეფებასაც მას შემდეგ მოითხოვს, თუ მას სრულსაკონსტიტუციონერად დასტავებულ ტახტის მფლობელისათვის საქართველოს ღირსებები აღმოაჩნდება—... თუ ინებოს ღმერთმა და უ არ გ ი ყ ს ც უ ა ტ ა, შე მ დ გ ო მ ა დ მისსა მეფე კუთს მამულსა ზედა“.²

ამგვარად, დავით აღმაშენებელმა, მეფეთა შორის პირველად შეცვალა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი. ცვლილება მართალია ნაწილობრივი ხასიათისა იყო, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი, რადგან იგი პირველი შემთხვევა იყო, როგორც აღენიშნეთ, IX საუკუნიდან მოყოლებული დავით აღმაშენებლის ჩათვლით.

იხადება კითხვა. დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძში დადგენილ ახალ სამემკვიდრეო წესს ჰქონდა ზოგადი ხასიათი თუ კერძო მნიშვნელობის ნორმას წარმოადგენდა? თვით ანდერძის ანალიზს თუ შევაჯერებთ იმ ისტორიულ მოვლენებთან, რაც დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის შემდგომ პერიოდში მოხდა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ახლად დადგენილი სამემკვიდრეო წესი არის კერძო ხასიათისა (იგი კონკრეტულ პიროვნებას ცუტას შეეხება), და იგი არ წარმოადგენს შემდგომში სამეფო ტახტის მემკვიდრეთა განსაზღვრის ნორმას. ამას ისიც ადასტურებს, რომ დემეტრე პირველს, დავით აღმაშენებლის მემკვიდრეს გაუპირდა ამ ნორმის ცხოვრებაში გატარება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დავით აღმაშენებლის ანდერძით დადგენილი წესი დემეტრე პირველის დროს ძალაში აღარ არის. და მას შემდეგაც კი, როცა

დემეტრე ამარცხებს დავითს! და ზღაპერულ იღებს სამეფო ძალაუფლებას ზღაპრით, იგი იტყულებულა თავის უმცროსი ვაჟი... გიორგი („ძე ტბილი“) აღმაშენებლის „თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ“ გამოაჩინოს.³ ე. ი. გიორგი (რაც იგი უმცროსი შვილია) საქართველს გარკვეულ ამაღლებას მეფის დონემდე, რათა იგი მეფის „ძისა სწორი“ გახდეს. არც ისაა შემთხვევითი, რომ დემეტრე „მოსაყდრედ“ (ე. ი. თანამმართველად) ისევას გიორგის, ყოველივე ამ მოქმედებით დემეტრე პირველმა გარანტირებულ ვახანა მისი უმცროსი შვილის გიორგის სრული უფლება ფეოდალური საქართველოს სამეფო ტახტზე. დემეტრეს მოკავშირედ, მხარისდაშეკრად ამ რთულ ეთაპრებში ალბათ მისი უმცროსი შვილი გიორგი გამოდიოდა. „ძე ტბილი შემგუარა მამისა“. თავისთავად დემეტრე-გიორგის მიერ შესრულებული აქტი გიორგის გამეფებისას არსებულ სინამდვილეში პროტესტის ნიშნით გატარდა. ეს მოასწავებდა დემეტრე-გიორგის ბანაკის გამარჯვებას.

ასე რომ, ერთი მხრივ, დავით V, ხოლო მეორე მხრივ, დემეტრე პირველ-გიორგის შორის ურთიერთობა სამეფო ტახტისათვის ბრძოლის ნიშნით წარმოიჭრა და მწვავე შინაელსობრივი ბრძოლის ელფერს ატარებდა.

რაც შეეხება სომხურ წყაროებს, ესენიც ფართო მასშტაბით ატარებენ სუბიექტურ ხასიათს იმ განსხვავებით, რომ მხარში უდგანან და ამართლებენ ამბოხებულთა მოქმედებას.

დაუჭერებელია იმის მოხსენიება, რომ დემნა უფლისწული არ გამეფდა მცირეწლოვანობის გამო, როგორც ზემოთ ვნახეთ, გიორგი მესამე დემეტრე პირველის მეფობაშივე გამეფდა (ეს თავისთავად აბათილებს იმ სომხურ წყაროების ეერსიას, თითქმის იგი დემეტრეს გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ გამეფდა). დაუჭერებელია ისიც, რომ თითქმის დიდებული მამა დაუჭერეს გიორგის, რომ იგი ცოტა ხნით იმეფებდა — დემნას სრულწლოვანებაშივე. წყაროების მიერ დემნას ტახტისმამიებლობის დასახელება ამბოხების მიზეზად, უსუსურია, რადგან აყვანება 1177 წელს მოხდა, როცა დემნა სულ ცოტა ოცდაორი წლის მაინც უნდა ყოფილიყო (დავით V 1155 წელს გარდაიცვალა, ხოლო თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ მისი შვილი დემეტრე (დემნა) მის გარდაცვალებამდე ერთი

1. თ. ვორდანია, ქრონიკები, იქვე.

2 ბუნებრივია, სამეფო ტახტის სამემკვიდრეო წესის შეცვლა მხოლოდ დავით აღმაშენებლის, როგორც პიროვნების სურვილი არ იქნებოდა. იგი XII საუკუნის საქართველოში არსებული გამაფრებელი შინაელსობრივი ბრძოლის პროდუქტია და გამოხატავს მაშინ არსებული ელსობრივი ძალების შესაბამის თანაფარდობას.

1 სომხები ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, დავით მოკლული იქნა დემეტრესთან შეთანხმებით სუბმატ და ითანე ორბელიანთა ხელით, თითქმის იმიტომ, რომ ორბელიანთა ზელისუფლება — ამირსპასალარობა დავითმა თირქმასთან ითანე აბულეთის ძის შვილს გადასცა.

2. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 3.

ვით აღმაშენებლის ჩათვლით) და კლდეკარის ერისთავებს შორის მიმდინარეობდა XI საუკუნის მთელ სიგარძესა და XII საუკუნის პირველ მეოთხედში.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამეფო კარზე გველენის მოპოვებისათვის ბრძოლაში მსხვილი ფეოდალების გვერდით წვრილ აზნაურთა ფენებსაც ვხვდებით. ესენი არიან ეკლესიის მსახურნი, რომლებმაც თავად ასწავლეს დიდ აზნაურებს (მაგალითი უჩვენეს), თუ როგორ უნდა ძალაუფლების ხელში აღება (სწორედ საზოგადოების ამ ფენამ გადააყენა გიორგი მეორე)¹.

დიდგვაროვან ფეოდალთა გამოსვლა გიორგი მესამის წინააღმდეგ თითქმის მთელი საქართველოს შესტაბილ მოხდა. მასში მონაწილეობას იღებენ საზოგადოების ფართო ფენები (აჯანყების მომხრედ თუ მოწინააღმდეგედ). აჯანყების ბედზე ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. მიუხედავად იმ უმკაცრესი ზომებისა, რომლებიც საქართველოს სამეფო კარის მიერ იქნა გატარებული აჯანყებულთა წინააღმდეგ (ლაზოცვა, ექსორია, განპატივება, დიდგვარიანთა ნაცვლად

ერთგული უგვარო პირების დაწინაურება), ქვეყანაში არსებითად ვითარება არ შეცვლილა და გატარებული ღონისძიებებიც დროებითი აღმოჩნდა (თამარის დროს უგვაროები გადააყენეს და ექსორიაქმნილთა ამინისტრაცი გატარდა). საკმე იმაშია, რომ ამ დროს საქართველო თავისი ფეოდალური განვითარების სიმწიფეში შედიოდა, როცა ქალაქებს, ხელოსნებს, „შესამეწოდებას“ უკვე მოუდგამს ფეხი, მაგრამ გადაშვევტი ბრძოლა ფეოდალიზმისათვის მაინც არ გამოუცხადებია. ერთი სიტყვით, ახალი კლასი, რომელსაც შესაძლო იყო მეფე დაყრდნობოდა, ჯერ კიდევ არ იყო მობილიზებული. ეს უკანასკნელი კი იმას განაპირობებდა, რომ ქვეყანაში არსებითად რაიმე სიახლის მოლოდინი არ გამართლებოდა.

1177 — 78 წლების აჯანყება უდიდესი მნიშვნელობისა იმით, რომ არსებითად ამ გამოცხადებით დაიწყო ქვეყანაში პოლიტიკური მდგრადობა; ბრძოლა დიდგვარიანებსა და „უგვაროებს“ შორის, საერო და საეკლესიო ფეოდალებს შორის, მეფის ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის. ამდენად, აღნიშნულ აჯანყებას, როგორც კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის აშკარა გამოხატულების შექონე აქტს. საქართველოს სოციალური ბრძოლის ისტორიაში შეტად თვალსაზრისით ადგილი უკავია.

¹ ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ. 1965, გვ. 34-35.

3360 80 333.

ИНДЕКС
76128
012-01101033



«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ